არჩილ სულაკაური

სამი რომანი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი— 1988

84 Гр 7—4
Ь 923

შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, არჩილ სულაკაურის შემოქმედებას კარგად იცნობს მკითხველი, იგი მრავალი შესანიშნავი პოეტური და პროზაული ნაწარმოების ავტორია.

გამომცემლობა მკითხველს სთავაზობს მწერლის ნაწარმოებების კრებულს, რომელშიც სამი რომანია შესული.

მეორე გამოცემა

47021770201 — 224
С————————258—88
М 601 (08) 88

ISBN 5-529-00155-6

ლუკა



ლუკა სტევენამ გამოაღვიძა. საწოლზე წამოჯდა და ფვალები მოიფშვნიტა. მერმე მიაყურა: სტევენა ქუჩიდან ისმოდა. სწრაფად მიირბინა ფანჯარასთან და ქუჩაში გადაიხედა. მიტო, ლუკას სკოლის ამხანაგი, ზურგით მიყრდნობოდა ჭადარს ვეტერინალური კლინიკის წინ და გამწარებული ცას უბერავდა, იქაურობას სტევენით აყრუებდა.

— ეი, მიტო! — გადასძახა ლუკამ.

— რა გინდა? — ალმაცერად ამოხედა მიტომ ქვემოდან.

— რას უსტვენ-მეთქი? — ჰკითხა სკოლის მეგობარს. თან ღიმილითა და ხელების მოძრაობით სცადა ენიშნებინა — თუ გინდა წაგეშველებიო. ლუკას ერთი სული ჰქონდა, თვითონაც დაესტვინა.

— ისე... ჩემთვის ვუსტვენ... რა აკრძალულია?!—ჭადარს მიყრდნობილმა ამრეზით აჰყარა მხრები და კვლავ თითებით გამოიტენა პირი.

ლუკას, რა თქმა უნდა, გული დაწყდა, არა მარტო დაწყდა გული, ეწყინა კიდეც, ამ დილაადრიანად სტევენის შესაძლებლობა რომ დაჰკარგა. მიტოს მიზეზი არ უთქვამს და უმიზეზოდ ხომ არ დაუსტვენდა? იდგეს ქუჩაში ახლა და სულელივით მარტომ უსტვინოსო, — ფეხშიშველი გამოტყაპუნდა შუშაბანდში, ტრუსისა და მაისურის ამარა.

შუშაბანდში ორივე დეიდა ტიროდა, ისინი ჰატარა მაგიდას მისხდომოდნენ და ჩუმად, უხმოდ ტიროდნენ.

ლუკა მათ თვალებზე პირველად ხედავდა ცრემლს და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. ერთი კი გაიფიქრა,—ამათი სლუ-

კუნის თავი სადა მაქვს, მოდი, გავიძურწებიო, მაგრამ დედაბ-
რებმა მაშინვე იგრძნეს ლუკას შემოსვლა და ახლა უკვე ამა-
მაღლა აქვითინდნენ:

— დავიღუპეთ, ლუკა!.. დავიღუპეთ!.. ომი დაიწყო!..

თავი პირველი

კაცმა რომ თქვას, იმ დილით, როდესაც დედაბრებისაგან შეიტყო, ომი დაიწყოო, ეს ამბავი მაინცდამაინც არა სწყენია. ომზე მისი წარმოდგენა კინოფილმებში ნანახი წითლებისა და თეთრების საბრძოლო ეპიზოდებით შემოიფარგლებოდა. იქ ყოველთვის წითლები იმარჯვებდნენ და სულაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ამჯერადაც ისევე იოლად გაიმარჯვებდნენ, როგორც ეკრანზე, განსაკუთრებით ბუდიონის იმედი ჰქონდა.

მაშინ გუნებაში გაეღიმა, — ბებრებმა რა იციან ომის გემოო, და აივანზე გამოვიდა. დედაბრების მიმართ ამ დამცინავ აზრს ისიც უმაგრებდა მხარს, რომ ლუკას მამა კავალერიის ოფიცერი გახლდათ.

მაგრამ აივანზე გამოსულს ანდუყაფარმა უთხრა ის, რაზეც მას ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა: ამ ომში ცხენები სამხედრო საჭურველის გადასაზიდად ანდა დაჭრილებისა და ლტოლვილების გადასაყვან-გადმოსაყვანად თუღა გამოდგებიან თორემ სხვა დანიშნულება მათ უკვე აღარა აქვთო.

უფრო თავზარდამცემი ამბავი შეიტყო ლუკამ ანდუყაფარისაგან და მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ რატომ ტიროდნენ დედაბრები ასე გამწარებით. ლუკას დედა ომის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე გაემგზავრა მეუღლის მოსანახულებლად დასავლეთ უკრაინაში, სწორედ იქ, საზღვრის მახლობლად, სადაც პირველად დატრიალებულა ჯოჯოხეთის გამანადგურებელი ცეცხლი. ლუკას ტკივილისაგან გული კი შეეკუმშა, მაგრამ განსაცდელის სიახლოვე მძაფრად მაინც არ უგრძვნია, რადგან ცხადად ვერ წარმოიდგინა, თუ რა უბედურება შეიძლებოდა დასტყდომოდა თავს მათ ოჯახს.

მერე გაახსენდა, როგორ გააცილეს დედა, გაახსენდა სად-

გურის ბაქანი, დედის ცრემლიანი ღიმილი, პირქუში, გაბოროტებული დეიდები.

დედამ გამგზავრების თადარიგი ადრევე დაიჭირა, მაგრამ თავის გადაწყვეტილებას საიდუმლოდ ინახავდა, უფროს დებს უმალავდა. ლუკამ იცოდა რატომაც არ ამხელდა დედა ამ განზრახვას. დარწმუნებული იყო, დედაბრებს გამორჩეულად სძულდათ სიძე. მათი აზრით უმცროსი და, შვილივით რომ ჰყავდათ გაზრდილი, ცოლად გაჰყვა უღირს მამაკაცს. ეს კაცი თითო ცოლს ყველგან იძენდა, სადაც მისი სამხედრო ნაწილი დაბანაკდებოდა. ამ აზრს, რასაკვირველია, დედა-შვილი არ იზიარებდნენ.

იმ დღეს ანდუყაფარმა უთხრა: თუკი დედაშენმა ჩაასწრო და მამაშენს შეხვდა, აღარაფერი გაუჭირდებაო. ლუკასაც ასე ეგონა და ანდუყაფარის ნათქვამმა გული უფრო გაუმაგრა.

ანდუყაფარი ლუკას კარის მეზობელი იყო. სამიოდე წლისას პოლიომელიტმა წაართვა ფეხები, მწოლიარე გაიზარდა და დავაჟკაცდა. პატარაობისას ეზოში ჩაჰყავდათ და ასეირნებდნენ. შემდეგ ველოსიპედისთვლებიანი, მუშამბაგადაკრული სავარძელი შეუძინეს და იმით დასრიალებდა აივანზე. მამა ადრე დაეღუპა. დედა ხელმეორედ გათხოვდა და ახალ მეუღლესთან გადასახლდა საცხოვრებლად. თუმცა ხეიბარი ვაჟისთვის ზრუნვა არ დაუკლია, შვილს კვირაში სამჯერ მაინც აკითხავდა, ოთახს ულაგებდა, საჭმელს უმზადებდა, საცვლებს ურეცხავდა და უუთოვებდა.

სკოლაში არასოდეს უვლია. მიუხედავად ამისა, ლუკას მიან და, რომ ანდუყაფარი ყველაზე ჭკვიანი და განათლებული ადამიანი იყო მთელს დედამიწის ზურგზე. გაკვეთილების მომზადებაში ხშირად ეხმარებოდა და ლუკა აშკარად ხედავდა, ანდუყაფარი ყველა საგანს ერთნაირი სიძლიერით ფლობდა, ასახსნელ მასალას სკოლის მასწავლებელზე უკეთ გადასცემდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ლუკას.

ანდუყაფარის ოთახში ყოფნაც უყვარდა. ოთახის ერთი კედელი წიგნების თაროებს ჰქონდა დაკავებული. დიდ სიამოვნებას განიცდიდა და ერთგვარად სიამაყითაც კი ივსებოდა, როცა ანდუყაფარი დაავალებდა, — ამა და ამ თაროდან ესა და ეს წიგნი გადმომიღეო.

კიდევ კარგი, ანდუყაფარი ჩემი მეზობელია, თორემ რა მეშველებოდაო. — ფიქრობდა ხშირად ლუკა.

ყველა სიავეს, ომის დაწყებასაც კი, დეიდები ლუკას მამას აბრალებდნენ, თითქოს ის ყოფილიყოს ამქვეყნად ყველაზე ცუდი ბოროტების დასაბამი თუ სათავე. დღე და ღამე წყევლიდნენ, წყევლიდნენ ძირფესვიანად, სამარადისოდ. ამ წყევლაში ლუკასაც გამოიტანიებდნენ ხოლმე, ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდაც.

— პირწავარდნილი მამაშენი ხარ, შენგან კაცი არ გამოვა! — ეუბნებოდნენ დედაბრები.

პირწავარდნილი მამამისი რომ იყო, ლუკას ადრეევე ჰქონდა გაგონილი დეიდებისგან, მაგრამ წინათ ამ სიტყვების წიაღ ნაგულისხმევი აზრისათვის ყურადღება არ გაუმახვილებია, რადგან ეგონა, ეს სიტყვები მხოლოდ მის დასატუქსად მოეგონათ დედაბრებს, როგორც ყურის აწევა ან კუთხეში დგომა.

ლუკა თითქმის უმამოდ გაიზარდა. მხოლოდ ზაფხულობით არდადეგებზე ნახულობდა მამას. ორიოდე თვით ჩააკითხავდნენ ისა და დედა სამხედრო ნაწილში. იქ გატარებულ დღეებს ლუკა ყველაზე ბედნიერ დღეებად თვლიდა. მამამისის ჯარისკაცები ასწავლიდნენ ცხენზე ჯდომას, ცხენის ტარებას, ნამდვილი მხედარივით ისიც მიაქროლებდა თავის ცხენს და ხმლით სხეპავდა გარდი-გარდმო დარჭობილ წკნელებს. საღამოობით კი მიდიოდნენ მდინარეზე და ცხენებს არწყულებდნენ, აბანავებდნენ, წმენდდნენ, ასუფთავებდნენ... ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ცხენის მოვლას, ცხენთან სიახლოვეს ასეთი სიამოვნებისა და სიხარულის მინიჭება შეეძლო ადამიანისათვის.

ლუკა ხედავდა, სამხედრო ბანაკში რა პატივსა სცემდნენ და როგორ ეკრძალებოდნენ მამამისს. ყველანი ვაჟკაცად და უშიშარ მხედრად თვლიდნენ. მართალია, ორი თვის განმავლობაში იქაც იშვიათად უხდებოდათ ერთად ყოფნა, მაგრამ მეთაურთა და ჯარისკაცთა ამგვარი დამოკიდებულება მაინც გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა მამაზე. გულის სიღრმეში ამაყობდა, ხოლო ამხანაგებთან და მეგობრებთან ტრაბახობდა კიდეც საკუთარ ი მამის ღირსებებით.

ახლა კი ხვდებოდა, რასაც ნიშნავდა ეს სიტყვები. გაბოროტებული დედაბრები თავიანთ სიძეს კაცად არ თვლიდნენ

და გაუთავებლად ლანძღავდნენ. ლუკა ვერაფერს ეუბნებოდა და ბოღმას გულშივე იხშობდა.

— რა კარგია, რომ ქვეყანაზე ანდუყაფარი არსებობს.— ფიქრობდა მარტოდ დარჩენილი ლუკა.

ზაფხული ისე გავიდა, დედაზე თითქმის არ უფიქრია. უფრო სწორად, თავს აიძულებდა, არ ეფიქრა, რადგან დედა გაახსენდებოდა თუ არა, გული ეწურებოდა და ტირილი უნდოდა. ამასთანავე მას შინაგანად სჯეროდა, დედას რაიმე საბედისწერო ხიფათი არ შეემთხვეოდა. მალე დაბრუნდებოდა, დაბრუნდებოდა ისეთივე ლამაზი, კეთილი და ბედნიერი, როგორიც იმ დღეს ბაქანზე ნახა, გაცილებისას.

მაგრამ გადიოდა დღეები, გავიდა ერთი თვე, მეორე, დედა კი არ ჩანდა. ის მხარე, სადაც მამამისის ნაწილი იყო დაბანაკებული, გერმანელებმა აიღეს, არა თუ ის მხარე, თითქმის მთელი უკრაინა გადმოლახეს.

შინ დეიდები ადგილს ვეღარ პოულობდნენ და ერთმანეთს აწყდებოდნენ, ყოველდღე წერდნენ წერილებს და სადღაც გზავნიდნენ, თავიანთ უმცროს დას, ლუკას დედას დაეძებდნენ. მაგრამ ვერავინ მიაგნო მის კვალს, ქვეყანაზე არავინ არაფერი იცოდა.

დეიდები დისშვილისათვის ძველებურად ვეღარ იცლიდნენ და ლუკა ანდუყაფარს მიეკედლა და მიენდო, იგი ამხნევებდა და ანუგეშებდა, როგორც თავის ტოლს, ისე ეთამაშებოდა და ართობდა. ზოგჯერ კი, როცა ლუკა მოიწყენდა, საათობით უამბობდა ჯემს კუკისა და ლევინგსტონის ხიფათით სავსე ცხოვრებას, ანდა უყვებოდა განძისა და მარგალიტის მაძიებელთა ფათერაკიან თავგადასავლებს.

რაღაცნაირად ეზოს ყოფაც უცებ შეიცვალა.

ომის დაწყებამდე მეზობლებს თითქოს არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან დასამალი და გასაყოფი, ცხოვრების უმეტეს ნაწილს ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ეზოსა და აივნებზე ატარებდნენ. სარეცხი ეზოში ირეცხებოდა და იფინებოდა, საჭმელი აივანზე მზადდებოდა. აივნებზევე შეექცეოდნენ საუზმეს, სადილსა და ვახშამს. აქვე იძინებდნენ, აქვე მართავდნენ სიტყვიერსა თუ ხელჩართულ ბრძოლებს, რაც ხელთ მოხვდებოდათ ან ენაზე მოადგებოდათ, დაურიდებლად ახლიდნენ ერთმანეთს. ეს კი იყო, დამდურება დიდ-

ხანს არ შეეძლოთ, გამარჯვებულები მეორე ან მესამე დღესვე უგზავნიდნენ დამარცხებულებს შუამავლებს, ოღონდ ელჩებს თავი ისე უნდა დაეჭირათ, ვითომ მიგზავნილები არ იყვნენ, ვითომ მხოლოდ და მხოლოდ კეთილმეზობლობისა თუ მეზობელთაშორის მშვიდობის აღდგენის სურვილი ამოძრავებდათ. დიდი თავპატიჟისა და დავიდარაბის შემდეგ ორივე მხარე მორცხვად გაიღიმებდა და თავს ჩაჰკიდებდა. ამით გამოიხატებოდა გუშინდელი თუ გუშინწინდელი საქციელის გამო მწარე სინანული. მერმე კი ისევ გრძელდებოდა მეზობლების ტკბილი, მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულება.

ეს იყო ეზოს ყოფის განრიგი, ცხოვრების წესი, რომელსაც ყველა ერთნაირად ემორჩილებოდა.

ეზოს ყოფაც მოულოდნელად დაირღვა.

ხალხი ეზოებიდან და აივნებიდან ოთახებში შეიმალა და შეიხიზნა. აივნები დაცარიელდა, დაცარიელდა ეზო და მტკვრის ნაპირი. ყველაფერი დიდი ხნის მიტოვებულს დაემსგავსა. ყველა რაღაცას მალავდა. არ ამხელდნენ სიხარულს, მწუხარებასაც არ ამხელდნენ. მალავდნენ სიმდიდრეს, სიღარიბესაც ასევე მალავდნენ. კაცი იფიქრებდა, ამ ძველისძველ, მინგრეულ შენობაში სულ სხვა ხალხი შემოუსახლებიათო. მდგმურები თითქოს არ იცნობდნენ და ამიტომაც არ ენდობოდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ ანდუყაფარმა არ უღალატა ჩვეულ წესს, ძველებურად ცხოვრობდა, ძველებურად დაასრიალებდა თავის ველოსიპედისთვლიან სავარძელს, მოადგებოდა რიკულებიან აივნის კუთხეს, რომელიც ერთი მხრიდან ეზოს დაჰყურებდა, ხოლო მეორე მხრიდან მტკვარს, და საღამომდე კითხულობდა წიგნებს.

თავი მეორე

მთელი ზაფხული მტკვრის პირას რიყეზე გაატარა ლუკამ. ხან მტკვარში ბანაობდა, ხან მზის გულზე ეგდო, ხან თევზაობდა.

— ლუკა! — გაიგონა ერთხელ ნაცნობი ხმა.

ლუკამ ნაცნობი ხმის გაგონებისთანავე თავი მიაბრუნა და ეზოში ცაცხვის ქვეშ მდგარი ძია ლადო დაინახა.

— არ გესმის, ლუკა?!

— გავიგონე, ძია ლადო, მოვდივარ!

ფეხშიშველმა ლუკამ წვალებით გაირბინა რიყე და რიყიდან აღმართულ აგურის კედელს მიადგა. ეს აგურის კედელი ეზოს კიდე იყო.

ძია ლადო ეზოს კიდესთან ჩაჯდა და, თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ჩამოსძახა ლუკას:

— წამო, ვითევზაოთ, ცოტა გული გადავაყოლოთ.

— წამოვალ, ძია ლადო! — მაშინვე დაეთანხმა ლუკა, ჩემი სათევზაოდ წაყვანა არ გადაიფიქროსო.

მანამდე ძია ლადოს ასეთი რამ არასოდეს შეუთავაზებია და ძველი მეთევზის მოულოდნელმა ნდობამ ააღელვა კიდეც ლუკა.

— მანდ დამიცადე, ახლავე მოვალ. — უთხრა ძია ლადომ და წავიდა.

ძია ლადო ძველი მეთევზე იყო, ოდესღაც თევზაობით ირჩენდა თავს. ახლა კი მენავედ მუშაობდა. ძველი ვორონცოვის ხიდიდან მუხრანის ხიდამდე საგუშაგო გახლდათ. ყოველთვის ცაცხვის ქვეშ, გრძელ მერხზე იჯდა და მტკვარს აღმა და დაღმა თვალს ადევნებდა, რაიმე უბედურება არ მომხდარიყო, ვერაგსა და დაუნდობელ მტკვარს ვინმე არ შეეტყუებინა და არ დაეხრჩო. კითილ საქმეს ემსახურებოდა ძია ლადო. ბევრი სიკეთეც ჰქონდა ამქვეყნად დათესილი. ვინ უწყის, რამდენი კაცი გამოუტაცია მტკვრის ტალღებისათვის, რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია დაღუპვისაგან.

— მოეცალე, ბიჭო! — გაიგონა ლუკამ ძია ლადოს ხმა.

ძია ლადომ ეზოს კიდიდან თოკით ჩამოუშვა დიდი ვედრო. ლუკამ ვედროს მაშინვე წაატანა ხელი.

— მოიცა, ბიჭო, ნუ ჩქარობ, შიგ ბადეა, მაგ ვედროს ასე ადვილად ვერ მოერევი.

ვედრო მართლა მძიმე აღმოჩნდა. ლუკა ორთავე ხელით დაეჯაჯგურა და ძლივს უყო ძვრა.

ძია ლადო კედელ-კედელ მარჯვედ ჩამოცოცდა და რიყეზე ჩამოხტა. ვედროს დაავლო ხელი და მდინარისაკენ წავიდა. ლუკა უკან გაჰყვა. მენავეს ძველისძველი, გაცვეთილი ჯეალოს შარვალი ეცვა, წელზევით შიშველი იყო.

— გაიქეცი, ნავი ახსენი.

ლუკა გაიქცა.

ნავი ნაპირზე დარჭობილ აზარმაცზე იყო ჯაჭვით გამობმული. ლუკამ ჟღარუნით შემოხსნა ჯაჭვი. ამასობაში ძია ლადოც მოვიდა. ჯერ ვედრო ჩადგა, მერე თვითონაც გადავიდა ნავში და რკინისკაპიანი ჭოკი მოიმარჯვა.

— ჩაჯექი!

ლუკამ იმ წამსვე ისკუპა და შეტორტმანებულ ნავის ფერდებს ორივე ხელით ჩააფრინდა და ჩაიკუზა.

— სულ ეგა ხარ?! რამ შეგაშინა?!

ლუკამ დამნაშავესავით მიხედა ძია ლადოს და გაიღიმა. მერე თანდათან გათამამდა. მობრუნდა და ნავის ცხვირზე ჩამოჯდა. მართლაც და რისი უნდა შინებოდა, როცა თვითონაც მშვენივრად ცურავდა. ესეც არ იყოს, ძია ლადოს გვერდით მტკვარში ვის გასჭირვებია, რომ ლუკას გასჭირვებოდა?!

ნავი ნაპირ-ნაპირ, დინების საწინააღმდეგოდ მიჰყავდა ძია ლადოს, ძალზე მოხერხებულად ხმარობდა რკინისკაპიან ჭოკს. კისრის ძარღვები ეჭიმებოდა, შიშველ მხრებსა და მკლავებზე დაძაბული კუნთები ებურცებოდა და უხტოდა. ლუკა ნავის წინა ქიმზე მოკალათდა და იქიდან ადევნებდა თვალს მენავის ყოველ მოძრაობას.

— მაგ რგოლს ეგ თოკი გამოაბი!

— აბა თოკი?

— ვედროში გდია.

ლუკამ თოკის ერთი ბოლო ნავის ქიმზე შეხრახნილ ლითონის რგოლს გაუყარა და მაგრად განასკვა. მტკვრის ნაპირიდან თუ აივნიდან ხშირად უდევნებია თვალი, როგორ თევზაობდა ძია ლადო. ამიტომ უკვე იცოდა, რისთვისაც იყო საჭირო ეს გრძელი თოკი. ის, ვინც ძია ლადოს თევზაობაში ეხმარებოდა, თოკის მეორე ბოლოს მდინარეში შეჭრილ კედელზე ანდა ჯებირზე გამოაბამდა, მერე საჭიროების მიხედვით თოკს აგრძელებდა და ამოკლებდა, რომ მეთევზეს ბადე ერთიდაიგივე ადგილზე არ გაეშალა. თანაც ეს თოკი ნავს აკავებდა, უამთოკოდ მტკვრის ჩქარი დინება ნავსაც და მეთევზეებსაც გაიტაცებდა.

ძია ლადომ ლუკა გააფრთხილა: გამაგრდიო და ნავს მიმართულება შეუცვალა. ჭოკს მთელი ძალით დააწვა. ნავი

თითქმის შუა მდინარემდე გაიყვანა. მერე ჭოკი დააგდო და ნიჩაბს დასწვდა. ახლა ნიჩაბი მოუსვა ღონივრად. პირველი ტალღა წინა ქიმს შეეჯახა, გააპო და ჰაერში ორად ამოტრიალებული მსხვილ წვეთებად გაიფანტა. ნავი ირწეოდა, ქანაობდა, ტალღებზე ადი ადიოდა. ლუკას მათრობელ ჟრუანტელივით დაუარა სხეულში ტალღებზე ნავის სრიალით გამოწვეულმა სიამოვნებამ. გაბრუებული თავისთვის იღიმებოდა მთვრალი კაცივით.

მენავემ შეუძახა და ნირვანიდან გამოიყვანა ლუკა.

სულ მალე გავიდნენ გაღმა. ძია ლადომ ისევ ჭოკი მოიმარჯვა, დაებჯინა და ნავი სანაპიროს კედელს ფრთხილად მიაყენა. ახლა კედელ-კედელ აჰყვნენ სანაპიროს, ასე იარეს ერთხანს, მერმე მენავემ ანიშნა და ლუკამ თოკის მეორე, მარყუჟიანი ბოლო ბეტონის ჯებირიდან ამოჩრილ ერთ-ერთ მავთულზე ჩამოაცვა. მავთული ისე გადაგრიხა, რომ მარყუჟი უკვე ადვილად აღარ ასხლტებოდა.

— კარგი ხარ! — შეაქო თუ გაამხნევა მენავემ ლუკა, — ვიცოდი, რომ ჭკვიანი და დაკვირვებული ბიჭი იყავი. შენგან კარგი მენავე დადგება. — ძია ლადო ნავის ბაგეზე ჩამოჯდა, ხელები ჯვალოს შარვალზე შეიწმინდა და თუნუქის კოლოფი ფრთხილად გახსნა.

ლუკამ ვერ დაინახა, როდის ამოიღო ეს კოლოფი შარვლის ჯიბიდან ძია ლადომ.

მენავეს თუნუქის კოლოფი მუხლებზე დაედო და დიდხანს გულმოდგინედ ახვევდა თამბაქოს გაზეთის ქაღალდში.

გაღმა მოჩანდა ორსართულიანი, კრამიტით დახურული სახლი, სადაც ლუკა ცხოვრობდა. მოჩანდა რიკულებიანი აივნები, შუშაბანდები, ხის დაბრეცილი კიბეები. ასეთი სახლები მოსდგომოდნენ მტკვრის ნაპირს ერთი ხიდიდან მეორე ხიდამდე. ერთსართულიანები... ორსართულიანები... სამსართულიანები... ერთმანეთს მიჯრილები, ჩახლართულები... ზოგიერთი აივანი პირდაპირ მდინარეზე ეკიდა. კრამიტიან სახურავებს გაუქმებული ეკლესიის გუმბათი დაჰყურებდა ზემოდან...

აივანზე თავჩაღუნული იჯდა ანდუყაფარი და წიგნს კითხულობდა. ნეტავი თუ დამინახაო, — ფიქრობდა ლუკა და მალიმალ გაღმა აივნისკენ იხედებოდა. რა თქმა უნდა, საშინ-

ლად დაწყდებოდა გული მდინარეში მისი სათევზაოდ გასვლა სამყაროსთვის შეუმჩნეველი რომ დარჩენილიყო.

ძია ლადო თევზაობას აყოვნებდა. ნავის აშიაზე ჩამომჯდარი ხმაგაკმენდილი აბოლებდა თამბაქოს. მომწვანო, გამჭვირვალე წყალი ნავის ქიმს ნაზად ეხებოდა და საამო, ჟრუანტელისმაგვარ ხმებს გამოსცემდა. ლუკამ მდინარის ნაპირზე მოტივტივე საზამთროს ქერქები დაინახა და ძია ლადოს წინათ ნათქვამი სიტყვა გაახსენდა: „დაიმახსოვრე, თუ მტკვარს საზამთროს ქერქები მოაქვს, ჭანრის დრო დგება“. ნავის ქიმზე წამოსკუპებულს ღრმადა სჯეროდა, რომ ჭანრებით გავსებული ნავით დაბრუნდებოდნენ. ლუკას მოთმინება ელეოდა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაეთრია თევზი, რომელსაც მისთვის აგრე ნაცნობი, დაბინდული ვერცხლისფერი ზურგი ჰქონდა, ხოლო მუცელი თეთრი. ეს ორი ფერი ბუნებას ისე ზუსტად გაენაწილებინა, გეგონებოდა, თევზს წინა ფარფლიდან ბოლომდე უხილავი სწორი ხაზი გასდევდა.

ძია ლადომ თამბაქოს ნამწვავი მდინარის შუაგულისკენ მოისროლა და წამოდგა. ბადის თოკი მარცხენა მაჯაზე შეიბა და დაიხვია. მერმე დაიხარა და ბადის ღონე აკეცა. ვიდრე წელს გამართავდა, თავისი ლურჯი თვალებით ლუკას მიაშტერდა. ლუკა დაიძაბა, მენავისაგან მორიგ ბრძანებას ელოდა.

მენავემ ერთხანს უყურა ლუკას, მერმე ბადეს ხელები შეუშვა და მაჯიდან თოკიც მოიხსნა. ისევ ჩამოჯდა ძველ ადგილზე და მზერა გაღმა ნაპირისაკენ გააპარა. ლუკამ ახლაღა შეამჩნია, ძია ლადოს ძალზე დაღლილი სახე ჰქონდა, გამოუძინებელი, როგორღაც უფრო დაბერებული მოეჩვენა. შუბლზე ჩამოშლილი მეჩხერი, წითური თმა ღრმა ნაოჭებს ვერ უმალავდა.

— რა უნდა ჰქნას კაცმა? — იკითხა ძია ლადომ და დიდი ხელები უმწეოდ გაშალა და გადააატრიალ-გადმოატრიალა. სულ არ უხდებოდა მის ღონიერ, დაკოჟრებულ ხელებს ასე უმწეოდ გაშლა. — რას იზამ, წავიდა... სხვებიც წავიდნენ... მარტო ეგ ხომ არ წასულა?

— ვინ წავიდა, ძია ლადო?

— ჩემი კოტიკო... გუშინ საღამოთი გავაცილე.

— სად გააცილე?

— სად და სადაც მიდიან, — გაბრაზდა ძია ლადო, — ომ-

ში... ფრონტზე... სად უნდა გამეცილებინა?! — ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ისევ განაგრძო: — მე გავზარდე, ეგ ოხერი. თანაც რა ბიჭი დადგა? გულუხვიცა და თვალუხვიც! ტყუილია ეგეთი ბიჭი! ლუკა, შენ ხომ იცი, ეგრე იოლად კაცში არ მოვტყუვდები.

— ვიცი, ძია ლადო.

— ჰოდა, კარგი ბიჭი წავიდა.

კოტიკო, ძია ლადოს გერი, ასოთამწყობად მუშაობდა რომელიღაც სტამბაში. ერთი აწოწილი ვინმე იყო, ახმახი, მხრებში მოხრილი. ფეხებს ისე უშნოდ დაათრევდა, თითქოს შემთხვევით სხვისი გამოებათ. ავადმყოფივით გაფითრებული სახე ჰქონდა, თანაც სულ შეწუხებული დადიოდა, თითქოს გამუდმებით რადაც სტკიოდა და ამ ტკივილს ვერაფრით იყუჩებდა. „ნეტავი ომში რა უნდა გააკეთოს, — გაიფიქრა ლუკამ, — მაგისთანა სუსტმა და უღონო კაცმა. არა სჯობდა შინ დარჩენილიყო?!“ ლუკას რატომღაც ეგონა, ომში წასვლა-არწასვლა კოტიკოს ნებასურვილზე იყო დამოკიდებული.

— მიტუშაც წავიდა, — თქვა ძია ლადომ, — აი ჩვენ წინ, დარაბაში რომ ცხოვრობდა. ისიც გავაცილეთ წუხელ.

ძია ლადომ ისევ ამოიღო თუნუქის კოლოფი ჯიბიდან.

— გოგიაც წავიდა, მექვაბიშვილი, პეტოც... ჩოლახას ჯიბოცა... ყველანი კარგი ბიჭები იყვნენ... ჰო, კიდეე ვინ წავიდა? კოკილა... ოზო... ბევრნი წავიდნენ... მერმე გამახსენდება, ნელ-ნელა.

აქ ჩამოთვლილთაგანს ლუკა ყველას იცნობდა. ისინი ჩუღურეთელები იყვნენ, მზესა და მტკვრის წყალში გამოყვანილები, ჯან-ღონით სავსენი, შაბათკვირაობით მდინარის ნაპირზე იყრიდნენ თავს, მათი ხუმრობა და ღრიანცელი მთელ სანაპიროს იკლებდა. ეს ბიჭები, რა თქმა უნდა, ომში უნდა წასულიყვნენ და წავიდნენ კიდეც, მაგრამ კოტიკო რისთვის წავიდა, ვერაფრით აეხსნა... „ეტყობა, ამათ აპყვა“, — დაასკვნა ბოლოს.

— ზიპოც გავაცილეთ... ცხენთავაც... ჯეკოც, — ძია ლადომ თამბაქო მოქაჩა და ბეტონის ჯებირს შეაბოლა, — კურკაც, პუპუზაც... კიდევ... აი მაშოს ბიჭს რა ერქვა?

— ეზეკია.

— ჰო, ეზეკიაც წავიდა. ეზეკიას წაყვანა კი ჯერ ადრე

იყო, სულ ბავშვია, გამოუცდელი... რუბენაც გამოვიდა ნავთ-ლუღის სადგურში. გააცილა ბიჭები... როგორ ტიროდა ეგ საცოდავი. რა სხვანაირი გული ჰქონია მაგ ჯუჯასა. მე კი ქოსა კაცი არ მიყვარდა. „რუბენ, ნუ ტირი!" — ვამშვიდებდი ჯუ-ჯას, ის კი ქალივით ტიროდა, ღაპაღუპით ღვრიდა ცრემლს,— ძია ლადომ ნიჩაბი აიღო და წამოდგა. ეს უკვე იმას ნიშნავ-და, რომ შინ აპირებდა დაბრუნებას, დღეს აღარ ითევზაებ-და.

ლუკამ თოკი მოქაჩა და ნავის ცხვირი ბეტონის კედელს მიახეთქა. ხელი სწრაფად წაავლო კედლიდან გამოჩრილ მავ-თულს.

— ვიფიქრე, გულს გადავაყოლებ-მეთქი, — თქვა ძია ლა-დომ, — არაფერი არ გამოვიდა... ხელები დამიძაბუნდა, ძალა გამომელია.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე თავიანთ ნაპირზე გავიდნენ. ლუკა სწრაფად გადმოხტა რიყეზე, ჯაჭვი მოქაჩა, მოზიდა და ნავი გააჩერა. ძია ლადო ნავიდან გადმოვიდა და შინისკენ გა-ეშურა.

— ძია ლადო, — დაუძახა ლუკამ, — ეს ბადე ნავში დავ-ტოვოთ?

— დამავიწყდა ეგ ოხერი! — მერმე ჩაფიქრდა და ლუკას ჰკითხა: — თქვენებისგან რა ისმის?

— არაფერი.

— ვერ მიაგენით?

— ვერა.

ძია ლადო უკანვე გამობრუნდა, ცალი ფეხით ნავში ჩადგა და ბადე დაითრია, ვედროში ჩატენა. მერმე ვედროს დასწვდა და ნელი ნაბიჯით ეზოსკენ გაეშურა. ეზოსკენ მიმავალი ისევ მოუბრუნდა ლუკას, რომელიც ნავს ჯაჭვით აბამდა მდინარის პირას დარჭობილ აზარმაცზე.

— კიდევ კარგი, შენ არ წაგიყვანა.

— მე კი არა, დედაჩემსაც უშლიდა—არ ჩამოხვიდეო.

— რათაო?

— რა ვიცი. — ლუკას დედის გახსენებამ გუნება აუმღვ-რია. გული ყელში მოებჯინა, ცრემლად აწვებოდა თვალებზე.

— იქნებ იცოდა, გერმანელები ომის დაწყებას რომ აპი-რებდნენ? — დაეჭვდა ძველი მეთევზე.

ლუკამ მხრები აიჩეჩა. ხმის ამოღება ვერ გაბედა, შეეშინდა,—ტირილი არ დავიწყოო.

ძია ლადო დაფიქრებული გამოსცქეროდა ლუკას, წყლისა და მზისაგან დაღარულ სახეზე ღრმა დაეჭვება გამოხატვოდა.

— იქნებ იცოდა, ჰა?!

მზე უკვე კარგად ასცდენოდა სახურავებს. ლუკამ ჯაჭვი შემოახვია აზარმაცს, განასკვა და ძია ლადოსკენ გასწია. რიყის ქვები უკვე იმდენად გაეხურებინა მზეს, რომ ფეხშიშველი სიარული ჭირდა.

თავი მესამე

ანდუყაფარმა კი უთხრა ლუკას, ტყუილად მიდიხარ სკოლაში, წელს სწავლა პირველი ოქტომბრიდან იწყებაო, მაგრამ შინაბერა დეიდებმა არ ჰქნეს. — მაგან რა იცის, თავის სიცოცხლეში შინიდან გარეთ არ გასულაო. ლუკას რვეული და ფანქარი მიაჩეჩეს ხელში და სკოლისაკენ გაისტუმრეს.

ლუკამ თავისი სკოლის შენობა ვეღარ იცნო. თეთრი, ქათქათა კედლები მუქ ნაცრისფრად გადაეღებათ. სადარბაზოსთან ჯარისკაცები იდგნენ და უსაშვოდ შიგ არავის უშვებდნენ.

ლუკას აქა-იქ ღია ფანჯრებიდან დაჭრილი ჯარისკაცები დასჩერებოდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ამ დილაადრიანად მთელს ქუჩაზე მის გარდა კაციშვილი არ ჭაჭანებდა. რალაცნაირად ეჩოთირა თუ ეუხერხულა, თანაც მოეჩვენა, თითქოს მთელი ქვეყანა ზემოდან დასცქეროდა — ეს ტუტუცი ბიჭი ამ დროს ნეტავი აქ რამ მოიყვანაო? მოწყენილი, სკოლის შენობის გასწვრივ გაჰყვა რკინის მესერს. მერმე ჭიშკართან შეყოვნდა, ცოტა ხნით შეჩერდა, რადგან დაინახა, ჭიშკარს დიდი ბოქლომი ედო.

ეზოს სიღრმეში შეიჭვრიტა.

ეზოში რამდენიმე სამხედრო-სანიტარული მანქანა იდგა.

აშკარა იყო, მისი სკოლა, სადაც უკვე ამდენი წელი სწავლობდა, აღარ არსებობდა. ალბათ ასეა ომის დროს,—ფიქრობდა ლუკა, — ახლა ალბათ სამხედრო ჰოსპიტლები უფრო სჭირდებათ, ვიდრე სკოლებიო. მაგრამ ისიც არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ბავშვები სულ უსკოლოდ დაეტოვებინათ. ლუ-

კა უკანვე გატრიალდა, — ერთი, მივალ და იმ ჯარისკაცებს ვკითხავ. იქნებ ჩვენი სკოლა სადმე სხვა შენობაში გადაიტანეს და იმათ იციანო.

ჯარისკაცებმა კედელზე გაკრულ განცხადებაზე მიუთითეს. ლუკამ განცხადება ჩაიკითხა და მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს. მერმე რვეული და ფანქარი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა და ფრიად კმაყოფილმა და დამშვიდებულმა შინისკენ გააბოტა. სკოლა სხვა შენობაში გადაეტანათ, თანაც, რაღა თქმა უნდა, ანდუყაფარი მართალი გამოდგა — სწავლა პირველ ოქტომბერს იწყებოდა.

ქუჩის კუთხესთან მისულმა მხარი იცვალა. იმის ნაცვლად მარცხნივ წასულიყო და მერმე პროსპექტს შინისაკენ გაჰყოლოდა, მარჯვნივ ჩაუხვია და ვიწრო ოღრო-ჩოღრო ქუჩით მტკვრის ნაპირისკენ გასწია, იქნებ იქ სკოლის ამხანაგებს წავაწყდეო, იმათ, ვინც ჩემსავით არ იცოდა, სწავლა რომ პირველ ოქტომბერს იწყებაო.

ვიწრო ქუჩას გარდი-გარდმო დაბალი და ძველი სახლები გასდევდა. ერთადერთ გამონაკლისს მაღალ გალავანში მომწყვდეული ფსიქიატრიული საავადმყოფოს სამ-ოთხ სართულიანი შენობები წარმოადგენდა. ამ საავადმყოფოს (რომელსაც ყველანი უბრალოდ „საგიჟეს“ უწოდებდნენ) რამდენიმე შენობა თავის გისოსებიანი ფანჯრებით პირდაპირ მტკვარს გადასცქეროდა.

რკინის ალაყაფის კარი ყოველთვის ჩაგმანული იყო და შიგ ბუზიც ვერ შეფრინდებოდა. ბიჭები სულს ლევდნენ, რას არ გაიღებდნენ იმისათვის, ერთხელ მაინც საგიჟის ეზოში რომ შეეხედათ და ენახათ, შიგ რა ხდებოდა, მაგრამ ამას ვერასოდეს ახერხებდნენ.

საგიჟეს რომ ჩაუარა, თვალებს არ დაუჯერა, ალაყაფის კარი ღია დახვდა. უფრო სწორად, ოდნავ იყო შეღებული. გაოცებული ლუკა უნებურად შეჩერდა. წლების მანძილზე მის არსებაში დაგროვილმა, შემდეგ კი მინავლულმა ცნობისწადილმა კვლავ გაიღვიძა. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მას შეეძლო, ხელი ეკრა კარისთვის, გაეღო და ენახა, რა ხდებოდა იქ, იმ უცნობ, იდუმალებით მოცულ ქვეყანაში.

კარი ფრთხილად შეაღო და თავი შეჰყო. ცნობისმოყვარეობით მიმოათვალიერა იქაურობა. საავადმყოფოს ეზო გაცი-

ლებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. უზარმაზარი ხეებით იყო დაბურული; შუა ეზოში მრგვალი, ცარიელი აუზი უაზროდ მისჩერებოდა ზეცას. ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. საოცარ სიჩუმესა და სიმშვიდეს მოეცვა იქაურობა. ხის ჩრდილში ავადმყოფებისათვის დადგმული მწვანე მერხები უიმედოდ, სამუდამოდ მიტოვებულებსა ჰგავდნენ.

ამით გამხნევებულმა ლუკამ უფრო ღრმად შეაღო კარი და შეავიდა. ლუკას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, ეზო შენობებით კი არა, თითქოს მაღალი, ნაცრისფერი კედლებით შემოეწლუდათ და ამ კედელზე უამრავი ბნელი ფანჯარა გამოეჭრათ. ზოგი ფანჯარა ღია ჩანდა, ზოგი—დაგმანული. მაგრამ ერთიცა და მეორეც, ყველა უკლებლად რკინის გისოსებით იყო აშოჭედილი.

— ბიჭო! — გაიგონა უცებ ქალის ჩურჩულის მაგვარი ხმა და შეკრთა. — ბიჭო!

ლუკა ვერ მიხვდა, საიდან ეძახდნენ. დაბნეული და შეშინებული შებრუნდა. გაქცევაც კი დააპირა. — ნეტა ვიცოდე, რა მინდოდა, აქ რომ შემოვეთრიეო.

— ბიჭო, მოდი აქ, ცოტა ხანს მოდი! რაღაც მინდა დაგაბარო. — ისევ გაიგონა სულ ახლოდან ჩურჩული.

ლუკამ თავი მოაბრუნა და თავზარდაცემულს კინაღამ მუხლები მოეკვეთა, იქვე, მარცხნივ სრულიად შიშველი ქალიშვილი ღია ფანჯარას მოსდგომოდა, რკინის გისოსებისათვის თავზევით ხელები ჩაევლო და ლუკას მისჩერებოდა ნაღვლიანი, დიდი მომწვანო თვალებით. ლუკას სირცხვილისაგან სახე აეღეწა და სცადა, შიშველი სხეულისათვის არ შეეხედა. თუ შეხედავდა, მხოლოდ თვალებში უმზერდა. მონუსხულივით იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. მაგრამ თვალები ლურსმანი არ არის, რომ ერთ წერტილს მიაჭედო. ხედვის არე გაცილებით ფართოა, ვიდრე წერტილი, რომელსაც მიშტერებიხარ. თმაგადაკრეჭილი თავისა, საოცრად ნაზი, ფერმკრთალი და ლამაზი სახის გარდა ლუკა ხედავდა შიშველ მკლავებს, ორ თეთრ ბორცვსა და მაღლაშვერილ დიდსა და ვარდისფერ ძუძუსთავებს... ქალიშვილი წელამდე მოჩანდა ღია ფანჯრის რუხ ჩარჩოში გამოკვეთილი.

— რა გახდა, ბიჭო, შენი მოსვლა? მოდი, ბიჭო, მოდი! ცოტა ახლო მოიწი, რაღაც მინდა შინ დაგაბარო! — ქალიშვილმა

მოწყვეტით დაუშვა ხელები. ბუსუსებიანი იღლიები გაქრა და ლუკამ დაინახა გლუვი, დაქანებული მხრები.

ფანჯარას რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა და ქალიშვილი უფრო ლამაზი ეჩვენა თავისი პატარა, კოხტა თავითა და ლამაზი მომცრო ყურებით. ახლაღა შენიშნა, რომ ქალიშვილს ტუჩებიც ზუსტად ისეთივე ვარდისფერი ჰქონდა, როგორც ძუძუსთავები.

— მე მთვარისა ვარ. გაგიგონია ასეთი სახელი: მთვარისა? არა? თბილისში ვცხოვრობ. ვერჰარნის ქუჩაზე... აჰ, ჩემი სიკვდილი! ნომერი დამვიწყებია... არა უშავს, მომაგონდება... ახლა კი წადი, ჩემო კარგო ბიჭო, და ჩვენებს შეატყობინე, მთვარისა იქ არის-თქო. მათ იციან, რომ აქ ვარ, მაგრამ მაინც შეახსენე... ვაითუ დაავიწყდეთ... იცი, რა უთხარი? ის ადგილი მთვარისასთვის შეუფერებელია-თქო. უთხარი, რა უნდა-თქო იქ მთვარისას, ოთხ კედელში გამომწყვდეულს... ხვალვე წამიყვანონ...

ლუკამ გარკვევით გაიგონა სიტყვები, მაგრამ რას ეუბნებოდა მთვარისა, ანდა რას სთხოვდა, არ გაუცნობიერებია. აღტაცებული შესცქეროდა რკინის გისოსებში გამომწყვდეულ ქალიშვილის რძისფერ სხეულს. ისე თრთოდა, თითქოს დიდი და მნიშვნელოვანი საიდუმლო გაუმჟღავნეს და ანახვეს ის, რაც მისთვის მუდამ წყვდიადით იყო მოცული და რასაც მუდამ უმალავდნენ. ეს იყო პირველი ხილვა, პირველი აცხადება. პირველი გამოსვლა ძველი, ბორგნეული სიზმრიდან.

— ხო, ასე უთხარი, ასე უთხარი... — განაგრძობდა საუბარს მთვარისა, — უთხარი ტკივილებიც აწუხებს-თქო. ტკივილები მართლა მაწუხებს, ბიჭო... მთელი სხეული მტკივა... ოღონდ ღამღამობით. დღისით არა, დღისით ჩვეულებრივად ვარ. არაფერი არ მაწუხებს... მაგრამ ეს ტკივილები ჩემი ბრალი არ არის, მთვარის ბრალია...

ლუკამ უცებ როგორღაც იგრძნო, ქალიშვილი, რომელსაც მისთვის მიეპყრო მწვანე, ნაღვლიანი თვალები, მას არ უმზერდა. ღია ფანჯრიდან ნასროლი მზერა არ წვდებოდა ლუკას, ანდა, ვიდრე ლუკამდე მიაღწევდა, ჰაერშივე იფანტებოდა და იბნეოდა.

— საოცარი ტკივილები მაწუხებს, ბიჭო, ღამ-ღამობით, მთელი სხეული ერთბაშად ამტკივდება, ოღონდ სხვადასხვა-

ნაირად. თავიც მტკივა, თვალებიც, ხელებიც, მკერდიც, წელიც, ფეხები, მაგრამ რა ხდება, იცი, თავი სხვანაირად მტკივა და თვალები სხვანაირად. მკლავის ტკივილი არა ჰგავს თითის ანდა ფრჩხილის ტკივილს. მით უმეტეს მკერდი სულ სხვანაირად ამტკივდება ხოლმე. რა ხდება, ბიჭო, იცი? სხეული თოთხმეტ ნაწილად დამეშლება და ყოველი ნაწილი ცალ-ცალკე მტკივა. ჰო, ასე ხდება, სხეულის ყოველ ნაწილის თავისი განსხვავებული ტკივილი აქვს და, როგორც კი დაღამდება და მთვარე გამოჩნდება ცაზე, ტკივილი თავის ამორჩეულ ნაწილს მიაკითხავს. მაგრამ მე ვიცი, ეს რისი ბრალიც არის. ღამ-ღამობით მთვარეც ხომ იბზარება და ირღვევა ნაწილებად. აბა, კარგად დააკვირდი. დარღვეული მთვარის ყოველ ნაწილს ჩემი დარღვეული სხეულის ნაწილთან აქვს კავშირი. ჩვენ ერთნაირად ვირღვევით... ამიტომაც მტკივა სხეული და ეს ყველაფერი მთვარის ბრალია. ოღონდ შენ არავის არ უთხრა ეს ამბავი, არ მინდა ხმა დაირხეს. უხერხულია, მთვარემ რომ შეიტყოს.

მთვარისამ სევდიანად გაიღიმა, გატრიალდა და ოთახის სიბნელეში მშვიდი ღიღინით გაუჩინარდა.

ლუკა კარგახანს იდგა ბნელი ფანჯრის წინ გაოგნებული იმით, რაც ნახა და რაც მოისმინა. მთვარისა აღარ გამოჩენილა, აღარ მოსდგომია გისოსებაჭედილ ფანჯარას.

გულდამძიმებული, დათრგუნული ლუკა საავადმყოფოს ეზოდან გამოვიდა. მდინარის პირისკენ არ ჩაუხვევია, პირდაპირ შინისაკენ გაემართა.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან მიტო შეეფეთა და გამოელაპარაკა. გამოირკვა, რომ კინოში მიდიოდა დილის სეანსზე. ლუკასაც შესთავაზა — შენც წამოდი, მე დაგპატიჟებო, მაგრამ ლუკამ უარი უთხრა და, როცა მიტო გაშორდა, ერთგვარი უპირატესობის გრძნობით გააყოლა თვალი.

მერმე თვითონაც მოწყდა ადგილს და ერთხანს სწრაფად იარა, თითქოს გადაუდებელ საქმეზე აგვიანდებოდა ანდა ვიღაც მისდევდა უკან და გაურბოდა. ეს აჩქარება უნებური არ ყოფილა, იგი ნამდვილად ჩქარობდა, ოღონდ შინ კი არა, იქ სადაც ალაყაფის კარი ღია დატოვა და ახლაც ღია ეგულებოდა. თავის ყოფილ სკოლას სირბილით ჩაუქროლა და თვალის დახამხამებაში მიადგა ნაცნობ ალაყაფს. აქლოშინებული

ფრთხილად მიაწვა კარს. არ გაიღო. ახლა უკვე მთელი ძალით ჰკრა ხელი, მაგრამ კარი ამჯერადაც არ დაძრულა ადგილიდან, რადგან იგი ისევე მაგრად იყო ჩაკეტილი, როგორც ძველად, წლების მანძილზე, და არავითარ იმედს არ იძლეოდა, რომ ოდესმე გაიღებოდა.

ლუკამ კარის წინ დაიწყო ბოდიალი. ეზოში შეეკვრეტაც სცადა. სულ ამაოდ გაისარჯა.

უჩვეულოდ მოთენთილი თუ დაქანცული მტკვრისაკენ დაეშვა და ქუჩის კიდესთან, საიდანაც მწვანე ფერდობი და საცალფეხო ირიბი ბილიკი იწყებოდა, შეჩერდა და მოწყენილმა მზეზე აელვარებულ, უკაცრიელ ნაპირს გახედა.

მერმე ეს ყველაფერი ანდუყაფარს უამბო და ცოტათი შვებით ამოისუნთქა. თითქოს მძიმე ტვირთი მიეჭონდა და ახლა ნახევარი მაინც იმ ტვირთისა მეგობარს გადაულაგა მხრებზე. ანდუყაფარი უხმოდ უსმენდა, ჩვეულებრივად სამი-ოთხი დღის გაუპარსავი სავარძლის საზურგეს მისვენებოდა და თავის უმწეო, ძალაწართმეულ ფეხებს დასცქეროდა დაფიქრებული.

არ ეგონა, ერთხელ უკვე განცდილი, თხრობისას თუ ისევ ააღელვებდა. მისი სულის სიმები უაღრესად დაჭიმული და დაძაბული იყო, ხოლო დილანდელი შემთხვევის გახსენება უხილავი თითებივით ეხებოდა ამ სიმებს და ათრთოლებდა. ამავე დროს სჯეროდა, რომ ანდუყაფარი აუხსნიდა და განუმარტავდა იმას, რაც მისთვის აუხსნელი, განუმარტავი და ბნელში მომწყვდეული დარჩა. მაგრამ ანდუყაფარი ხმას არ იღებდა. ჩაფიქრებული დაასრიალებდა თავის ველოსიპედისთვლებიან სავარძელს აივანზე. ხის მოაჯირს ზურგით მიყრდნობილი ლუკა თვალს ადევნებდა ვიწრო და გრძელი ხელების მოძრაობას. ეს მოქნილი ხელები თითქოს იმიტომ იყვნენ შექმნილნი, რომ ველოსიპედის ბორბლები მთელი სიცოცხლის მანძილზე ებრუნებინათ და სავარძელში უღონოდ მიწოლილი კაცისათვის ფეხების მაგივრობა გაეწიათ.

დუმილში გამოხდა ხანი. ანდუყაფარმა თავისი სავარძელი ონკანთან მიაგორა. გადაიხარა და წყალი მოუშვა. სავარძელი მოქექა, საიდანღაც ფინჯანი დააძრო და წყალი დალია. მერმე ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ლუკას მიაპყრო და ისე ხმადაბლა ჰკითხა, კაცი იფიქრებდა, თავისთვის ჩაილაპარაკაო.

— შენ ამბობ, კარი ღია იყოო?

— კი.

— მანამდე არასოდეს ყოფილა ღია?

— არასოდეს.

— ნამდვილად ღია იყო?.. დარწმუნებული ხარ?

— ხომ გითხარი, შიგ შევედი-მეთქი.

— ეზოში სხვა არავინ გინახავს?

— არავინ.

ეტყობა, ანდუყაფარს ეშვი შეეპარა, ლუკასაც აღარ უცდია თავისი სიმართლის დაცვა, შებრუნდა და ეზოს მხარეს გადაეყუდა მოაჯირს. ეზოში ჯუჯა რუბენა ფუსფუსებდა საკუთარ სამტრედესთან. ეს იყო მთელი მისი ავლადიდება, მტრედების მოშენებითა და ყიდვა-გაყიდვით ედგა სული. რუბენას განსაკუთრებით უყვარდა ერთი ქალაქი — სამტრედია. იგი არასოდეს ენახა და ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს ეს პატარა და ლამაზი ქალაქი ძირითადად მტრედებით იყო დასახლებული.

— ასე თქვა, მთვარე იბზარება და ნაწილ-ნაწილ ირღვევაო? — გაიგონა ლუკამ ანდუყაფარის ხმა.

— კი, ირღვევაო. — უპასუხა და ანდუყაფარს მოხედა.

— ესეც თქვა, რომ ჩემი სხეულის ყოველი ნაწილი დარღვეული მთვარის ნაწილებთან არისო დაკავშირებული?

— ჰო, ეგრე თქვა.

— თოთხმეტ ნაწილად მერღვევაო სხეული?

— რატომ მეკითხები, არა გჯერა ჩემი?

— როგორ არა... ისე... ძალზე დამაინტერესა... — ანდუყაფარმა აივნის სიღრმეში გააგორა თავისი სავარძელი და ისევე მალე მობრუნდა. — ეს ვერჰარნის ქუჩა რაღაა?.. თუმცა შესაძლებელია, მართლაც ამ ქუჩაზე ცხოვრობდეს. თუ არა ვცდები, თბილისში არის ასეთი ქუჩა, სადღაც დიდუბეში ანდა ნაძალადევში.

ლუკა სულგანაბული უსმენდა — ანდუყაფარი ლაპარაკის გუნებაზე მოდგა და ალბათ ბევრ რამეს მეტყვისო, მაგრამ ანდუყაფარმა სავარძელი თავის ოთახისაკენ წააჩოჩიალა და ოთახში შესულმა ლუკას გამოსძახა:

— უცნაური კაცი ხარ, ლუკა, ყველაფერს შენ უნდა გადააწყდე ხოლმე!

ლუკამ რამდენიმე დღის შემდეგ დრო იხელთა და შინიდან გაიპარა. ამ დღეების მანძილზე ხშირად ფიქრობდა მთვარისაზე; ზოგჯერ ესიზმრებოდა კიდეც. ერთი-ორჯერ გადაწყვიტა, ანდუყაფარისთვის გაენდო თავისი საწუხარი, მაგრამ თქმა რომ დააპირა, უცებ მიხვდა, სათქმელი არაფერი ჰქონდა, თვითონაც არ იცოდა, რა აწუხებდა, რატომ იყო ასე მოუსვენრად. არადა, რაღაც უცნობი ძალა ეზიდებოდა იმ ჩაბნელებული ფანჯრისაკენ, საიდანაც პირველად გამოანათა მისთვის მანამდე უნახავმა შუქმა.

ისევ მიადგა ნაცნობ ალაყაფს, რკინის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ხელი ჰკრა, მხრითაც მიაწვა, ამაოდ! რკინის კარი ისევე მაგრად იყო ჩაგმანული, როგორც შარშან, როგორც შარშანწინ. გულდაწყვეტილმა და იმედგაცრუებულმა რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა აგურის მაღალ გალავანს და თავქვე დაეშვა. ქუჩის ბოლოდან მდინარის ნაპირს გადახედა. ნაპირი უკაცრიელი მოეჩვენა, მაგრამ, როცა კარგად დააკვირდა, ვერის ხიდის ქვემოთ, რიყეზე მჯდარი ბიჭი შენიშნა. ვინმე ჩვენიანი იქნებაო, — გადაწყვიტა გუნებაში და მწვანე ფერდობზე ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა.

ბიჭმა ალბათ იგრძნო, ვიღაც მიახლოვდებაო და ლუკას მხარს უკან მოხედა.

ლუკა ამ ბიჭს არ იცნობდა, პირველად ხედავდა. ნაბიჯი შეანელა და გამობრუნება დააპირა, მაგრამ უცნობმა ბიჭმა ალალად გაუღიმა, თან ხელები დაუქნია, — მოდი, აქვე ჩამოჯექიო.

უცნობს წითური, ხუჭუჭა თმა და ჭორფლიანი სახე ჰქონდა. ცოცხალ, ჟღალ თვალებსაც წითური, საკვირველად მოკლე და ხშირი წარბები უჩრდილავდა. ძალზე გამხდარი იყო, მაგრამ სახე მზეს შეერუჯა და ჯანსაღი იერი დაჰკრავდა.

ჭორფლიანმა რიყეზე გამხდარი ხელი დაატყაპუნა და ლუკას უთხრა, — დაჯექი, სად გეჩქარებაო.

ლუკა მორჩილად დაჯდა.

— ცურვა იცი? — მოულოდნელად ჰკითხა ჭორფლიანმა.

— ვიცი. — მიუგო ლუკამ.

— მე — არა. — უცბადვე თქვა ჭორფლიანმა ისეთი კი-

ლოთი, თითქოს ტრაბახობდა, ანდა ნიშნს უგებდა, ცურვა რომ არ იცოდა.

— ცურვას რა უნდა, ისწავლე...

— ვა, როგორ ვისწავლო, ვიძირები.

— როცა ცურვა გეცოდინება, აღარ ჩაიძირები.

— ვა, ეს ვინ ყოფილა, — გაიცინა ჭორფლიანმა, — როგორ მეცოდინება, ვიძირები და...

ლუკას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და გაჩუმდა, ჭორფლიანიც დუმდა. დუმილის შემდეგ დაასკვნა:

— ალბათ გამხდარი ვარ და იმიტომ.

ლუკას ხმა არ გაუღია.

— შენ ფიქრობ არა ვჭამ? ვჭამ და არ ვსუქდები, — და უცებ, — შენ სად ცხოვრობ?

— ჩუღურეთში. — ლუკამ მდინარის გაყოლებით ხიდისკენ გაიშვირა ხელი და განაპირა თაღს მიღმა ორსართულიან სახლზე მიუთითა. ჭორფლიანმა, რა თქმა უნდა, იმ დაბრეცილი კედლების, აივნების, ათასფრად შეღებილი შუშაბანდების და კრამიტიან სახურავების ზედახორაში ლუკას სახლი ვერ გამოარჩია.

— იქ თუ ცხოვრობ, აქ რა გინდა? — ისევ მიახალა კითხვა ჭორფლიანმა.

— აქ დავდივარ სკოლაში. — ლუკას კიდევ უნდოდა ეთქვა, ჩემი სკოლა სხვაგან გადაიტანეს, ხოლო შენობაში ახლა სამხედრო ჰოსპიტალიაო, მაგრამ დაეზარა. უფრო სწორედ იმიტომ დაეზარა, რომ გაიფიქრა, ამისთვის ალბათ სულერთია ჩემი სკოლა სად გადაიტანესო.

— მაშ იქიდან აქ დადიხარ?

— კი.

— კარგია! რა გქვია?

— ლუკა.

— ლუკა რა სახელია?! — გულწრფელად გაეცინა ჭორფლიანს, — პირველად მესმის.

— რა ვიცი, დამარქვეს... — მერმე მორცხვად დაუმატა,— ბაბაჩემს რქმევია.

— მე ალბერტი მქვია.

— ალბერტი?

— კარგია, არა?

— კი, — დაეთანხმა ლუკა.

— ჰო, კარგის რამისაა. — ალბერტმა ქვა აიღო და წყალში ისროლა. ლუკამაც ისროლა ქვა წყალში.

— მიდი, რა იცურავე. ერთი განახო, როგორ ცურავ. — შეეხვეწა ჭორფლიანი.

ლუკა სრულებით არ იყო ცურვის გუნებაზე, თანაც ეზარებოდა დასველებული ტრუსის გაშრობა და უაზრო ლოდინი... ამიტომაც სიტყვიერად მოახსენა ჭორფლიანს, როგორი ცურვა იცოდა, რისთვისაც შემდეგ საკმაოდ დაისაჯა და რის გამოც სინანული გულში კარგა ხანს ჩარჩა.

— მე შემიძლია აქედან ჩემს სახლამდე ცურვით გავყვე მტკვარს.

— ვა? — გაოცდა ალბერტი. — მერე ტუფლები, შარვალი, ხალათი... ეგრეევე მიცურავ?

— არა, — გაეღიმა ლუკას, — გაკვეთილები რომ დაგვიმთავრდება, ბიჭები აქ ჩამოვდივართ ხოლმე საცურაოდ. როცა ცურვით გულს ვიჯერებთ, ჩემს ტანსაცმელს ამხანაგებს გავატან. მე ცოტახანს მოვუცდი და მერმე შევცურდები, დინებას გავყვები.

— დინებას? — რატომღაც ეს სიტყვა ამოირჩია ალბერტმა, უფრო მეტი გაოცება რომ გამოეხატა.

— ჰო, დინებას.

— მიდი, რა, მიდი!

ლუკამ ღიმილით თავი გააქნია, — ახლა არა, სხვა დროსო.

— მაჩვენე რა, როგორ ცურავ. გინდა, შენი ხარახურა მე წავიღო? ოღონდ შენ იცურავე და სულ სირბილით წავალ... ჩემმა მზემ!..

— ახლა არ შემიძლია, გუნებაზე არა ვარ, თანაც ჯერ ადრეა, ცოტა ცივა.

— წყალს გუნება რათ უნდა. ცურვა ვიცოდე, სულ წყალში ვიქნებოდი. მიდი, რა, გაიხადე... ერთი მაჩვენე, რა! კაცი არა ხარ!

ლუკა წამოდგა და ფეხსაცმელები წაიძრო, მერმე შარვალი და გაქათქათებული, დღეს დილით საგანგებოდ დაუთოვებული თეთრი პერანგი გაიხადა, პერანგს მაისურიც მიაყოლა. მერმე ეს ყველაფერი გულისყურით დაკეცა და ალბერტს გაუწოდა.

— იცი, სად უნდა მიიტანო?
— აბა, საიდან უნდა ვიცოდე?
— გაგიგონია რიყის ქუჩა?
— „პესკა“, არა?
— ჰო.
— მაგის მეტი რა ვიცი, შენ ნომერი მითხარი.
— ჩვიდმეტი. ეზოში შეხვალ და ცაცხვის ქვეშ დამელოდები. ოღონდ სწრაფად უნდა იარო.
— ვა, სულაც ტროლეიბუსით წავალ! — ალბერტმა ფერდობისაკენ ხელი გაიშვირა და უთხრა, — იქიდან შეგხედავ, მერმე გავიქცევი... თუ შენ მიმასწარი, ამ დანას გაჩუქებ,— ჯიბიდან რამდენიმეპირიანი ჯაყვა ამოიღო და ლუკას უჩვენა, — თუ მე უფრო მალე მოვედი, მაშინ შენ მაჩუქე რამე.
— კარგი. — დაეთანხმა ლუკა.
ალბერტმა სირბილით გაიარა რიყე და სირბილითვე აათავა მწვანე ფერდობი. ფერდობზე ასულმა ლუკას შეუძახა:
— ჰა, ჩქარა, თორემ წავედი!
მომწვანო წყალი საამოდ თბილი და გამჭვირვალე იყო; ტყვესავით ხელებაწეული ლუკა ნელ-ნელა შედიოდა წყალში. უცებ ისკუპა და ჩაყურყუმელავდა. წყალქვეშ გასცურა რამდენიმე მეტრი და წყალქვეშვე ამოტრიალდა. მერე მშვიდად ამოჰყო თავი და მარცხენა ხელით თვალებიდან და სახიდან წყალი ჩამოიწურა.
ალბერტი ფერდობზე იდგა. გახარებული იცინოდა და ხტოდა, თან ხელს უქნევდა. ერთხანს მიადევნა თვალი ლუკას, ლუკაც არ აშორებდა თვალს, იღიმებოდა. — მაშ რა გეგონაო და ისიც ხელს უქნევდა.
ჭორფლიანს კიდევ ერთხელ აღმოხდა აღტაცების ყიჟინის მაგვარი ხმები ყელიდან, მერმე შეხტა, შეკუნტრუშდა და ისევ უცებ გაუჩინარდა, როგორც სიზმარში.
ლუკა არ ჩქარობდა. შუაგულ მდინარეში შეჭრილი ტალღების დინებას მინდობოდა. რა სჭირდა ასაჩქარებელი?! ჭორფლიანი გინდაც სირბილით გამსკდარიყო, ლუკას მაინც ვერ მიასწრებდა. ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი რომ სწორი ხაზია, ლუკამ აქ, მტკვარზე დაამტკიცა.
რა სისულელეა, იმ დანას როგორ გამოვართმევო, — ფიქრობდა ლუკა და წყალქვეშ დინჯად და ზომიერად ამოძრავებ-

და ხელებსა და ფეხებს. კარგი დანა ჩანდა და სწორედ ამიტომაც არ უნდოდა გამოერთმია, გული დაწყდებაო. „ისე კი არ უნდა იყოს ცუდი ბიჭი. მხიარულია, ალბათ ცოტა წაიშტერებს კიდეც“.

მდინარის მარჯვენა მხარეს მუხრანის ხიდამდე ბეტონის მაღალი ჯებირი აყუდებულიყო. მარცხნივ ჯერ არ ჰქონდა სანაპიროს კედელი და ნაპირი მოღიაღებული იყო. როცა ლუკა შინისკენ მიცურავდა, ყოველთვის მარცხენა ნაპირს გასცქეროდა. უყვარდა ამ პატარა სახლებისა და სხვადასხვაფერად შეღებილ შუშაბანდებისა და აივნების ცქერა. ყველაფერი ეს მისთვის ნაცნობიც იყო და უცნობიც, ახლობელიც და შორეულიც. შუა მტკვრიდან თვალისმადევნებელი ყოველთვის აღმოაჩენდა ხოლმე ორ სახლს შორის ჩაჭედილ სახლს, რომელიც მანამდე არ ენახა ან არ ჰქონდა შემჩნეული. ზოგჯერ ლამაზ აივანს გამოარჩევდა. ამ ლამაზრიკულებიან აივანსაც, რა თქმა უნდა, პირველად ამჩნევდა. ზოგჯერ კი სრულიად უცხო ფანჯარას იპოვიდა. ფანჯარა მართლაც უცხოდ ელვარებდა მზეზე, ფერადმინებიანი.

ხიდის თაღს რომ გაივლიდა, გული უკვე საგულეში ჰქონდა, რადგან აქედან უკვე ჩუღურეთი იწყებოდა. ეს კი უკვე ბევრ რამეს ნიშნავდა. ჩუღურეთი მისი უბანი იყო, მისი სამფლობელო.

ხიდს გასცდებოდა თუ არა, მდინარეს ორად ჰყოფდა რიყით მოფენილი პატარა კუნძული. მარცხნივ პირდაპირ მდინარიდან აღიმართებოდა მაღალი შენობის თეთრად შეფეთქილი კედელი. ეს კედელი შეღებილი არ გეგონოთ, ფქვილით იყო შეფიფქული. მისი ფანჯრებიდან ყოველთვის ბერტყავდნენ ფქვილიან ტომრებს ანდა უვარგის ქატოს ზემოდან უბოდიშოდ პირდაპირ მტკვარში გადმოუძახებდნენ ხოლმე.

მერე გაუქმებული ეკლესიის ყელი და გუმბათი გამოჩნდებოდა. ამ გაუქმებული ეკლესიის ეზოში მაიკო ცხოვრობდა, ლუკას კლასის ამხანაგი. ჩრდილში გაზრდილივით დალეული, წრიპა გოგო. როდესაც ლუკას მაიკო გაახსენდებოდა, რატომღაც წარმოიდგენდა, თითქოს ეს გოგო სადმე ბნელ კუთხეში თავისთვის მიყუჟულიყო, იჯდა და თხილს აკნატუნებდა.

ეკლესიის ქვემოთ ისევ რიყე იწყებოდა. რიყე მდინარეში იყო შეჭრილი და ავტოსკოლის გარაჟიდან ბაბოს კედლამდე

რამდენიმე ეზოს გასდევდა. ლუკა კუნძულს ჩაუვლიდა, და სწორედ იქიდან, სადაც ეს ტოტი მდინარის მთავარ კალაპოტს უერთდებოდა, იწყებდა ნაპირზე გასვლისთვის ზრუნვას.

აქედან უკვე კარგად მოჩანდა ლუკას ეზო, ორსართულიანი სახლი და დიდი ცაცხვი. ლუკამ მაშინვე ცაცხვს გახედა, აბა თუ მიმასწრო ჭორფლიანმა ალბერტმა მოსვლაო. ეზო ცარიელი აღმოჩნდა. არც ცაცხვის ქვეშ მდგარა ვინმე.

ლუკამ ნაპირისკენ მოუსვა და ნავის ფერდს დაებღაუჭა. მხოლოდ ნაპირზე ამოსულმა იგრძნო დაღლილობა, სხეული თითქოს დამძიმებოდა. მაგრამ ეს სიმძიმე მისთვის უცხო არ იყო, ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა სკოლიდან ცურვით ბრუნდებოდა შინ.

მეორე სართულის აივანზე ანდუყაფარი დაასრიალებდა თავის მუშამბაგადაკრულ ველოსიპედის ბორბლიან სავარძელს. დეიდები, როგორც ყოველთვის, ოთახში იყვნენ შეკეტილნი.

ლუკა მზეზე იდგა და შრებოდა. ცოტათი შესცივდა კიდეც, სხეული გაულურჯდა და აეხორკლა. გაუხდელად ზედვე იწურავდა სველ ტრუსს. მერმე რიყე გადაჭრა და კედელს მოფარებულმა ტრუსი გაიხადა. — უკეთესია გავწურო, ტანზე როდის შემაშრებაო. გაწურა და ჩაიცვა კიდეც. ისევ მზეზე გამოვიდა. თუ ფეხით იარა, ჯერ ვერ მოაღწევდაო. — ფიქრობდა. თუმცა არც ტროლეიბუსით წამოსვლა იყო დიდი ბედენა, იშვიათად დადიოდა და ისიც ძლივს დაჩაქჩაქებდა, ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა.

მრავალპირიანი დანა უკვე მოგებული ჰქონდა და საკუთარ ჯიბეშიაც კი ეგულებოდა. საქმე ის იყო, რომ ლუკამ გზაში გადაიფიქრა. ჯერ ერთი ჭორფლიანი ისეთი ბიჭი ჩანდა, წაგებულს არ შეირჩენდა, მეორეც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოსწონდა სადაფისტარიანი პატარა, ლამაზი დანა.

ტანზე წყლის წინწკლებიც კი შეაშრა, სილურჯემ გაუარა. გათბა და კანი დაეწმინდა. მხოლოდ თმა და ტრუსი ჰქონდა სველი. თუმცა სველი არ ეთქმოდა, უფრო დანამულსა ჰგავდა.

ეზოს კიდეს ჯვალოს შარვალხალათიანი ძია ლადო მოადგა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა რიყეს გადახედა.

— ამოდი, მანდ რას უდგეხარ? — უთხრა ლუკას.

— ამხანაგს ველოდები.

— აქ დაელოდე. — ძია ლადო სკამზე დაჯდა და ზეთის ქაღალდში თამბაქოს გახვევა დაიწყო.

ლუკას ტრუსის ამარა დაცარიელებულ ეზოში დგომა და ლოდინი არ უნდოდა. ახლა რახან ძია ლადო გამოჩნდა, სწრაფად მიადგა კედელს და ზედ კატის სისწრაფით და სიფრთხილით აცოცდა. ეზოში ასულმა მტვრიანი ხელები დაიფერთხა და იმავე სკამზე, უფრო სწორედ, გრძელ მერხზე ძია ლადოს გვერდით ჩამოჯდა, მტკვრისაკენ ზურგშექცევით. ასე იმიტომ დაჯდა, რომ ქუჩიდან ეზოში შემოსასვლელ ჭიშკრისათვის ეცქირა. ჭორფლიანი ეს-ესაა მოვაო, — ფიქრობდა.

ჭორფლიანი იგვიანებდა.

ძია ლადომ მყრალი თუთუნი გააბოლა, მერმე ჩაიჩოჩა და ცაცხვის მერქანს ზურგით მიეყრდნო. ეს მერხი, რომელზედაც ისხდნენ ახლა, ძია ლადოს ნახელავი იყო. მთელი ეზოს მამაკაცები ამ ცაცხვის ქვეშ იყრიდნენ ხოლმე საღამოობით თავს და დასაჯდომი კი არ ჰქონდათ. ძია ლადომ მტკვარში დაქერილ მორს ბოლოები წაუმახვილა და შუაზე გადაჭრა. წამახვილებული მორის ორი ნაჭერი ერთმანეთის მოშორებით დაარჭო, ზედ ფიცარი გასდო და დააჭედა. მერმე ამ მერხს ასევე დაუდგა მაგიდა. ერთი მერხი, რასაკვირველია, მეზობლებს არ ეყოთ, ვინც მოსცლას დააგვიანებდა, ფეხზე იდგა. ამიტომ ძია ლადომ მაგიდის მეორე მხარესაც გამართა ისეთივე მერხი.

ჭორფლიანი ალბერტი ისევ არ ჩანდა.

— რას უცდი? — ჰკითხა ძია ლადომ. — რატომ შინ არ ადიხარ?

— რა ვიცი, ერთი ჭორფლიანი ბიჭია, ალბერტა ჰქვია, იმას ვუცდი.

— რა მინდაო?

— არაფერი. ტანსაცმელი უნდა მომიტანოს.

— საიდან?

— ვერის ხიდიდან ცურვით წამოვედი და ტანსაცმელი იმას გამოვატანე.

— იცნობ, ვინ არის?

— არა. დღეს გავიცანი.

— აბა, შენა ყოფილხარ! — ძია ლადო უცებ აღელდა და როგორც ლუკას მოეჩვენა, გაბრაზდა კიდეც. — უცნობ ბიჭს გამოატანე ტანსაცმელი?

— რა ვიცი.

— როგორ თუ, რა იცი?!

— კარგი ბიჭი ჩანდა.

— კარგი ბიჭი! — ძია ლადომ ეზოდან რიყეზე გადააპურ-ჭყა და აბოლებული ნამწვავი მოისროლა. — როგორი ბიჭი იყო?

— ჭორფლიანი, გამხდარი... ცეცხლივით წითელი თმა ჰქონდა.

— აბა, შენა ყოფილხარ!.. წამოდი, ქუჩაში გავიდეთ.

— არა, ძია ლადო, ისეთი ბიჭი ჩანდა, არ მომატყუებდა.— ლუკა მაინც დარწმუნებული იყო, ჭორფლიანი მოვიდოდა და ტანსაცმელს მოუტანდა. ძია ლადო სულ ტყუილად ღელავდა.

— წამოდი-მეთქი, გეუბნები. — ძველმა მენავემ ხელი მკლავში წაავლო, მერხებს გადაალაჯა და ლუკაც გადაათრია.

ქუჩაში გავიდნენ.

ლუკასთვის ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა ძია ლადოს ამგვარი აღელვება და გაბრაზება. კაცი უცებ გამოიცვალა, სახე დაეძაბა და დაეჭიმა. ვიწრო, ჩამქრალი თვალები აენთო და გაუფართოვდა. ალბათ თვითონ ვერცა გრძნობდა, რა მაგრად უჭერდა ლუკას მკლავზე ხელს. ლუკა ტკივილისაგან იმანჭებოდა, — ოღონდ ხელი შემიშვას და ჯანდაბას ჩემი ტანსაცმელიო.

— წამოდი, წამომყევი. იქნებ სადმე წავაწყდეთ! — ძია ლადომ ლუკას შეუშვა ხელი და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას ეკლესიისაკენ.

— ძია ლადო, სირცხვილია, სულ ტიტველი ვარ! — რკინის მარწუხებისაგან განთავისუფლებულმა ლუკამ შეებით ამოისუნთქა.

— სირცხვილი ის იყო, თავი რომ მოატყუებინე. ვერ ვითმენ რა, როცა კაცს ატყუებენ!.. ერთი, თუ ხელში ჩამივარდა!..

ლუკამ ეკლესიის ეზოსთან დაინახა მაიკო. იგი ვიღაც სამ გოგოსთან ერთად იდგა. გოგოები საუბრობდნენ და თანაც მზესუმზირას შეექცეოდნენ.

გიჟივით გავარდა უკან. ძია ლადო არც გაუფრთხილებია, ისე მოჰკურცხლა შინისაკენ.

ლუკა დარცხვენილი, საკუთრად ჩადენილი შეცდომისა და დანაშაულის ამღიარებელი კაცის იერით წარსდგა დეიდების

წინაშე. შინაბერა დეიდებმა, რა თქმა უნდა, შეიცხადეს დისშვილის ასე უსინდისოდ გაცურება და გაძარცვა. მაგრამ დანაშაულის მთელი სიმძიმე მაინც ლუკას მამას დააწვა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ის იყო ყოველგვარი ბოროტების სათავე, ასე მიაჩნდათ ტყუპ, შინაბერა დეიბს ლუკა დაუდეევარი და ბეყეირათია — იმიტომ, რომ პირწავარდნილი მამაა. ლუკამ იცრუა, მაინც მამაა დამნაშავე, რადგან ისიც მატყუარა და ცრუ კაცია. ლუკას შინ დაბრუნება შეაგვიანდა, მეგობრებთან საუბარმა შეაყოვნა, ან ბურთი ითამაშა, ან ლახტი, ან ოთურმა, ესეც მამის ბრალია. ის კაცი მთელი ცხოვრება ხომ მხოლოდ იმას ფიქრობს, როგორ გალაღდეს, დრო როგორ გაატაროს, როგორ გაინავარდოს.

ლუკას ერჩია, ეს ქარიშხალი პირადად მას დასტყდომოდა და არა მამამისს. მამის აუგად ხსენება ამწარებდა და აბოროტებდა. ლმობიერი და მიმტევებელი გული წვეთწვეთობით შხამითა და ბოღმით ევსებოდა. ხმაგაკმენდილი თვალს ადევნებდა ოთახებში დეიდების ამაო ფუსფუსს და ბავშვური ალღოთი გრძნობდა, ეს ფუსფუსიც მისთვის იყო გამიზნული, ალმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, ვითომ ნახე, ჩვენ რამდენს ვშრომობთ, შენ კი მამაშენივით უქნარობასა და უსაქმურობაში ამოგდის სულიო.

ზოგჯერ ფიქრობდა, განგებამ ამქვეყნად ეს ტყუპი, შინაბერა დეიდები ჩემს სატანჯველად მოავლინაო. ისინი წამდაწამ ეძებდნენ საბაბს ლუკას დასჯისა და დატუქსვისათვის. გარდა იმისა, რომ ზუსტად ერთნაირად იცვამდნენ, ერთნაირადვე ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ, ერთნაირი წარმოდგენა ჰქონდათ საგნებსა და მოვლენებზე და ამიტომაც ზედმიწევნით შეთანხმებულად მოქმედებდნენ ლუკას წინააღმდეგ. ბოლო ხანებში კი ლუკას დასჯის უმკაცრესი ხერხიც მოიგონეს: მამას ულანძღავდნენ.

ლუკა ოთახში ხმაგაკმენდილი იდგა, შურისძიებაზე, სამაგიეროს მიზღვაზე ფიქრობდა. დედაბრები იმდენად ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ლუკა შარშანდლამდე თითქმის ვერ ანსხვავებდა, რომელი იყო დეიდა ნატო და რომელი დეიდა ნუცა.

ერთი სიმაღლისანი იყვნენ, მაღალნი, ხმელხმელნი. ორივეს გრძელი და დამჭკნარი ხელები, დიდი და შავი თვალები ჰქონდათ, საკმაოდ სწორი და პატარა ცხვირები. თმაში არც

ერთი თეთრი ღერი, თუ არ ჩათვლით იმ ჭაღარა ზოლს, რომელიც ყმაწვილქალობაშიც შავ თმაზე ისევე გასდევდათ, როგორც ახლა. ლუკას დედისგან და სხვებისგანაც გაგონილი ჰქონდა, რომ მისი დეიდები ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ ულამაზეს ქალიშვილებად ითვლებოდნენ.

ლუკას კარგად ახსოვს, როგორ ბრაზდებოდნენ და როგორ ტუქსავდნენ, თუკი შეეშლებოდა და მათ სახელებს აურევდა. ეს ჭაღარა თმის ზოლი სხვადასხვა მხარეს მაინც გასდევდეთ, — უფიქრია ხშირად, — მაშინ მათი გამოცნობა ასე არ გამიჭირდებოდაო.

დაბოღმილმა გადაწყვიტა, არასოდეს აღარ მიემართა დეიდებისათვის თავიანთი ნამდვილი სახელებით. საკუთარი გულის მოსაოხებლად ამიერიდან დეიდა ნუცას დეიდა ნატოს დაუძახებდა, ხოლო დეიდა ნატოს დეიდა ნუცას. დარწმუნებული იყო, ეს სახელების არევ-დარევა სიგიჟემდე გააწიწმატებდა და გააცოფებდა დეიდებს.

მაგრამ თავისი გადაწყვეტილება როცა ანდუყაფარს გაუმხილა, იმ წამსვე მიხვდა, რომ ანდუყაფარმა განზრახვა გუნებაში არ მოუწონა. ეს სახის ცივ გამომეტყველებაზე შეატყო, თანაც აივანზე თავისი ბორბლებიანი სავარძლით მოსეირნემ სიტყვა ბანზე აუგდო და ჰკითხა: — თქვენი სკოლა რომელ ქუჩაზე გადავიდაო?

ლუკამ შურისძიების გეგმა ჩაფუშულად ჩათვალა და აივნის მოაჯირს დაყრდნობილმა მტკვარს აღმა გახედა. ისევ გაახსენდა დილანდელი მარცხი.

შინაგანად მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ ჭორფლიანმა მოატყუა და ტანსაცმელი წაჰგლიჯა. ალბათ ჩვენს ეზოს ვერ მოაგნოო — ფიქრობდა. ეგონა, ხვალ მათი გაცნობის ადგილზე მისულს ჭორფლიანი ალბერტი უსათუოდ დახვდებოდა და ლუკას ტანსაცმელი, ისევე სათუთად დაკეცილი, როგორც თვითონ დაუტოვა, იქვე იდებოდა პატრონის მოლოდინში.

ასეც მოიქცა.

მეორე დილას გაეშურა ვერის ხიდისაკენ. ახლანდელ მარჯანიშვილის მოედნამდე, სადაც მაშინ ჯერ კიდევ ძველი კირხე იდგა, ტროლეიბუსით იმგზავრა. მერმე უკან გამობრუნდა და ლენინგრადის ქუჩით თავისი ყოფილი სკოლისაკენ ზლაზ-

ვნით გაემართა. ტანსაცმელი, რომლის გამო შინ ასეთი ამბავი დაათიეს, ამ ერთ დღეში შეჯავრებოდა. და მიუხედავად იმისა, რომ გაცვეთილი ფეხსაცმელებისა და ძველი შარვლის ამარა დარჩა, მათ დაბრუნებაზე სიამოვნებით იტყოდა უარს.

ლენინგრადის ქუჩა გაიარა და მარცხნივ გაუხვია. მალე გამოჩნდა ლუკას სკოლაც — ახლა უკვე სამხედრო ჰოსპიტალი. სადარბაზო შესასვლელთან ისევ იდგნენ ჯარისკაცები. იქვე იყო გაკრული განცხადებაც. სადარბაზოს ჩაუარა და მესერის გასწვრივ ქუჩას გაჰყვა. წინ მუქი-მწვანე ფერის სამი სამხედრო — სანიტარული მანქანა დაინახა. ისინი ერთიმეორის მიყოლებით, ფრთხილად შედიოდნენ ჭიშკარში. როდესაც ლუკა ჭიშკართან მივიდა, დიდულვაშა ჯარისკაცი რკინის კარს ბოქლომს ადებდა. ეზოს სიღრმეში კი მწვანე სანიტარული მანქანები დინჯად მიზოზინებდნენ, როგორც ბარადზე.

ლუკამ ქუჩა გადაჭრა და ვიწრო ოღრო-ჩოღრო ქუჩით მტკვრისაკენ დაეშვა. როგორ არ უნდოდა ახლა იქ მისვლა. ნეტავი რიყეზე ჭორფლიანი არ დამხვდესო, — ნატრობდა გზადაგზა. მაგრამ, სხვამ თუ არა, მან ხომ დანამდვილებით იცოდა, რომ ცეცხლისფერთმიანი ალბერტი მტკვრის ბირას ელოდებოდა.

თავი მეხუთე

სექტემბრის შუა რიცხვებში დეიდა ნუცა, რომელიც თავის ტუჯინაცალზე ორმოცდაათი წუთით უფროსი იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა. გარდაიცვალა საკუთარ საწოლში მძინარე, უხმოდ და უდრტვინველად. როგორც ჩანს, შუაღამისას, რადგან დეიდა ნატომ დაახლოებით დილის ექვს საათზე შეშზარავი კივილი ასტეხა და მთელი ეზო შეჰყარა.

მეორე სართულის აივანი მეზობლებით გაიჭედა. დაფეთებულები ამორბოდნენ კიბეზე და შეძრწუნებულები კითხულობდნენ, — რა მოხდაო?! მერმე, როცა შეიტყობდნენ, რაც მოხდა, სინანულით აქნევდნენ თავებს და იქვე კედლებთან აყუდებულები, მდუმარედ იდგნენ. ზოგნი დეიდა ნატოს ამშვიდებდნენ და ანუგეშებდნენ, უმეტესად ქალები.

მერმე ყველაფერი მიჩუმდა. ტირილისაგან თვალებდასიე-

ბული დეიდა ნატო მიცვალებულის წინ იჯდა გაშტერებული და მეზობელი ქალების ხმადაბალ შეკითხვებზე ჩურჩულით-კე პასუხობდა, თითქოს ისინიცა და ესეც მიცვალებულს რაღაცას უმალავდნენ. მეზობელმა ქალებმა ამ საუბრიდან გამოარკვიეს, რომ ქალბატონ ნუცას სამოცდაათი წლის მანძილზე, ფრჩხილი რა არის, ფრჩხილიც კი არ წამოსტკივებია. უმცროსი დის ჯავრმა გადაიყოლაო. — ერთსულოვნად დაასკვნა ყველამ.

ეს მართლაც ასე იყო. ტყუპებს უკვე დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია, როდესაც მათმა დამ, მერმე უკვე ლუკას დედამ, დააპირა ამ ქვეყანას მოვლენოდა, სამწუხაროდ, ტყუპების დედა მშობიარობას გადაჰყვა და უფროსმა დებმა იკისრეს ბავშვის გაზრდა. გაზარდეს კიდეც. კარგად გაზარდეს. თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრებინეს, სწორედ ამიტომ გაღმოსახლდნენ ქუთაისიდან თბილისში. განსაკუთრებული სიყ—ვარულით უყვარდათ, თავს ევლებოდნენ, დაჰკანკალებდნენ და, როგორც იტყვიან, — ცივ ნიავსაც კი არ აკარებდნენ. პირველი თავზარი, რომელიც უმცროსმა დამ დასცა უფროს დებს, ის იყო, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე რომ გამოუცხადა — ვთხოვდებიო და წარუდგინა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ვაჟი — გოგი ჯორჯაძე. უფროსი დების შეცხადებამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. რასაკვირველია, მათ არ უნდოდათ უმცროსი დაც გაუთხოვარი და შინაბერა დარჩენილიყო, მაგრამ ცხოვრებამოუწყობელი, ქვეყნად აღოღიალებული სამხედრო ვაჟისათვის არ ემეტებოდათ აგრერიგად ნალოლიავები და.

ახლა კი საშინლად განიცდიდნენ უმცროსი დის ასე უაზროდ დაკარგვას. თითქმის სამი თვე გავიდა და მისი ასავალ-დასავლისა ვერაფერი შეიტყვეს. დილიდან დაღამებამდე ყოველ წამს, ყოველ წუთს შფოთავდნენ და წუხდნენ დები და არა მარტო დაღამებამდე, ლუკას გვიანობამდე ესმოდა დედაბრების ლაპარაკი. ზოგჯერ მათი ხმა აღვიძებდა კიდეც. მიაყურადებდა, თუმცა წინდაწინვე იცოდა, რაზე საუბრობდნენ და შფოთავდნენ.

ლუკა მოუსვენრად დაბოდიალობდა მეზობლებით სავსე ოთახებსა და შუშაბანდში. ხანდახან აივანზეც გადიოდა. მოაჯირს დაყრდნობილი ჩასცქეროდა მტკვრის დინებას. ეცოდე-

ბოდა საკუთარ საწოლში გაშეშებული დეიდა, რომელსაც სახე უფრო მეტად დასჭკნობოდა და ჩაყვითლებოდა. ოღონდ ეს კი იყო: ტანჯვისა და ტკივილის ნაცვლად მიცვალებულის სახეს სრული სიმშვიდე აღებეჭდა.

როდესაც ნატო დეიდას მეზობლები ეკითხებოდნენ სიკვდილის მიზეზს, ლუკას შეეშინდა, — ვაითუ ესეც დეიდა ნატომ მამაჩემს დააბრალოსო. მაგრამ დეიდას ლუკას მამაზე სიტყვა არ დასცდენია. დაკარგულ დას ხშირად ახსენებდა, უხმობდა, ეძახდა. უხმობდა იმისათვის, რომ უკანასკნელად ერთხელ მაინც დაეხედა თავისი აღმზრდელი უფროსი დისათვის.

პირველმა ელდამ გაიარა. დადუმებულმა მეზობლებმა ხმა ამოიღეს. იქვე შეუდგნენ დასაფლავების თადარიგს. მსჯელობდნენ, კამათობდნენ. ლუკა შორიდან უგდებდა ყურს და ძალიან რთულად ესახებოდა მიცვალებულთა დაკრძალვის წესები, იმდენად რთულად, რომ შეშფოთდა კიდეც, თუ ყველა ამ წესის დაცვა აუცილებელია, დეიდა ნუცას ალბათ ვერასოდეს დავასაფლავებთო.

დათიკო ბერიშვილმა, რომელიც პირველ სართულზე ცხოვრობდა, სხვათაშორის თქვა: მართალი გითხრათ, მე ჯერაც ვერ გავრკვეულვარ, რომელი გარდაიცვალა — ნუცა თუ ნატო? ამ გაუგებრობის გამო ერთი ორმა ჩაიხითხითა კიდეც, მაგრამ მოხითხითენი მაშინვე ჩააჩუმეს, — სირცხვილიაო. დათიკო თავისას მაინც არ იშლიდა, — ნამდვილად არ ვიცი, — ამტკიცებდა. როგორ თუ არ იცი, — უთხრეს, — აქ რომ შემოვედით, ნატომ შემოგვტირა, — ნუცა, ნუცა მოკვდაო! ამაზე დათიკო ბერიშვილმა უპასუხა, — ალბათ იმიტომ, რომ შეეშინდა, ამ ხალხს მკვდარი მე არ ვეგონოო. აქ ისევ ატყდა ჩუმი ხითხით. მაგრამ მალევე შეწყდა, ეტყობა ლუკა უფრო ადრე შენიშნეს, მანამდე, ვიდრე იგი თავს მოაბრუნებდა და ტრადიციების დამცველ მეზობლებს შეხედავდა თვალებში, რომლებშიც ახლა დაღვრემილი თანაგრძნობის მეტს ვერაფერს აღმოაჩენდა კაცი.

საღამო ხანს უკვე ნათესავები მოცვივდნენ. ამ ნათესავთაგან თითქმის არავის იცნობდა ლუკა. ისინი მოსვლისთანავე საქმიანად დატრიალდნენ, იმ წამსვე შეადგინეს ტექსტი ტელეგრამებისათვის და ფოსტაში კაცი აფრინეს, რათა თბილისს

გარეთ მცხოვრებ ნათესავებისა და მახლობლებისათვის შეეტყობინებინათ დეიდა ნუცას გარდაცვალების ამბავი.

სულ ტყუილად გაისარჯნენ, ხუთიოდე ნათესავი თუ ჩამოვიდა სოფლებიდან. ამ ხუთიდან მხოლოდ ერთი ახმახი იკლავდა თავს, ვარდისფრად გაღაჟღაჟებული მელოტი კაცი. ეზოში შემოსვლისთანავე განწირული ხმით აბღავლდა, ვაიმე, დაო, ეს რა დაგვემართა, რა გვიქნი, რატომ დაგვღუპეო— თან ღაპაღუპით ღვრიდა ცრემლს. ღამით კი, როცა კუბოზე დანთებული სანთლიდან პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და შენიშვნა მისცეს, — რას შვრები, პოლიკარპე, მაქედან ცეცხლის მოკიდება ვის გაუგონიაო?! — პოლიკარპე ადუღდა და შენიშვნის მიმცემს მკაცრად გადაულაპარაკა:

— ნუ გადამაყოლებთ ახლა ამ გადაბეხრეკებულ დეიდაზერს! ნუცა კი არა, ვარსკვლავივით ბიჭები იხოცებიან ომში უსაშველოდ!

— კი მარა, შენ არ იყავი, თავს რომ იკლავდი, რატომ დაგვღუპეო? — დამცინავად ჰკითხა შენიშვნის მიმცემმა.

— თუ კაცი ხარ, მაცალე! ამ ხნის კაცს მოქცევა შენგან არ მესწავლება. ორმოცდაათი ნათესავი მაინც დამისაფლავებია, თუ მეტი არა! — ისევ დუღდა ბატონი პოლიკარპე.

ანდუყაფარი ოთახიდან თითქმის არ გამოდიოდა. ლუკას შესთავაზა, — სანამ დეიდაშენს დაასაფლავებენ, ჩემთან ათიე ღამეო. სხვებმაც ასევე ურჩიეს და ლუკამ სამი ღამე გაათია ანდუყაფართან. უფრო სწორედ გაათენა, რადგან ძილი არ ეკარებოდა. თუკი წასთვლემდა, ხან მამის სამხედრო ბანაკი ესიზმრებოდა, ვითომ ცხენები მიჰყავდა მდინარეზე განსაბანად, ხან მთვარისა. მთვარისა უფრო ხშირად ეცხადებოდა წათვლემილს, უცნაურად მომღიმარე, რომლითაც სიხარულსაც და მწუხარებასაც ერთნაირად გამოხატავდა, თითქოს ტკივილი ნეტარებასაც ჰგვრიდა.

სკოლის ამხანაგთაგან მხოლოდ მიტო და მაიკო აკითხავდნენ, ეტყობა სხვებმა ვერ გაიგეს ეს ამბავი, ზოგი ამხანაგი ამ დროს, შეიძლება, თბილისში არც იმყოფებოდა. მიტო და მაიკო ყოველ საღამოს მოდიოდნენ ლუკასთან და გვიან ღამემდე რჩებოდნენ. ამ უბედური დღისათვის საგანგებოდ გაჩახჩახებულ აივანზე ისხდნენ. აივნიდან ნახევარი თბილისი, როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანდა: მარცხნივ ძველი მუხ-

რანის ხიდი, მიღმა მეტეხი, ზემოთ კი ნარიყალა, მთაწმინდა ხომ ზედ თავზე წამოსხდომოდათ. მარჯვნივაც ძველი ხიდი— (ეს ხიდები ახლა უკვე აღარ არსებობენ, მათ ნაცვლად ახალი ხიდებია აგებული), უფრო ზემოთ — ფიქრის გორაზე შეფენილი სახლები, ხოლო შორს — თრიალეთის ქედის ფერდობები. აივნიდან გუმბათიც მოჩანდა გაუქმებული ეკლესიისა, რომლის ეზოშიც მაიკო ცხოვრობდა.

სალაპარაკო პირველსავე დღეს მოათავეს, შემდეგ დროის უმეტეს ნაწილს დუმილით ავსებდნენ, მაგრამ ლუკას მათთან მდუმარედ ჯდომაც შვებას გვრიდა, რადგან დაკრძალვის სამზადისი — ნერვული, გაუთავებელი ფაცი-ფუცი და ფუსფუსი მასაც აღიზიანებდა და თრგუნავდა. ამდენ ჭირისუფალთა შორის ორ კაცსაც ვერ იპოვიდი, დაკრძალვის წესებზე ერთნაირი აზრი რომ ჰქონოდა. ყველა თავისას ამბობდა და ამტკიცებდა. თანაც თავის აზრს ყველა ამ სიტყვებით ამაგრებდა:— ჩვენ, ქართველებმა ასე ვიცით, ბატონო, კაცის დამარხვა და თქვენ თუ ახალი წესი მოიგონეთ, ნუ გვიმალავთო. პასუხს, რა თქმა უნდა, არ უგვიანებდნენ: მეც ქართველი ვარ, ჩემო ბატონო, და თუ ღმერთი გწამს, ნუ მასწავლი, როგორ უნდა კაცის დამარხვაო! — ეს ბატონი პოლიკარპე გახლდათ, პაპიროსს კუბოზე დანთებულ სანთლიდან რომ მოუკიდა ცეცხლი.

სკოლის ამხანაგების საუბრები სკოლითვე იყო მოზღუდული. დაბნეულებივით იყვნენ და არ იცოდნენ, როგორ შეგუებოდნენ სხვა შენობას, სხვა საკლასო ოთახებს. განსაკუთრებით მიტოს მოწოდებულმა ცნობამ შეაშფოთათ. მე დანამდვილებით ვიცი, — თქვა მიტომ, — ჩვენ ყველანი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სულ სხვადასხვა სკოლებში დაგვანაწილესო. ამას ოც სექტემბერს შეგვატყობინებენო. მიტოს ცნობა სიმართლეს ჰგავდა და ლუკამაც და მაიკომაც მაშინვე დაიჯერეს. მეტად ეძნელებოდათ ახალსა და უცნობ გარემოში მოხვედრა, თუმცა ამ გარემოს მაინც ჰქონდა ერთგვარი მიმზიდველობა, სწორედ იმიტომ, რომ ახალი და უცნობი იყო.

მერმე მიტო და მაიკო წასასვლელად აიშლებოდნენ. სამივენი ერთად დაეშვებოდნენ კიბეზე, რადგან ლუკა მათ ჭიშკრამდე აცილებდა ხოლმე. დაკრძალვის წინა ღამეს მიტო შედარებით ადრე წავიდა, — ხვალ დილით ჩემი უფროსი ძმა ფრონტზე მიდის და რაღაც ვერ ვისვენებო.

მაიკო დარჩა.

პანაშვიდი დამთავრდა. მუსიკოსებმა თავიანთი საქმე მოათავეს. გასაოცარი სისწრაფით ჩაალაგეს საკრავები ბუდეებში და თითქმის სირბილით დაეშვნენ კიბეზე. ეზოც სირბილითვე გაიარეს. ხალხი დაიშალა, აივნიდან თანდათან ჩაიწრიტა ქვედა სართულსა და ეზოში, საიდანაც მერმე თავიანთ გზას გაუდგნენ. ოთახში კი ჯერ კიდევ ისხდნენ კუბოს აქეთ და იქით, კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე ჭირისუფალნი. მახლობლები შუშაბანდშიც ირეოდნენ და ხვალინდელ გეგმებს აწყობდნენ.

მაიკოს აივნის მოაჯირთან მიედგა სკამი და თავისთვის მყუდროდ იჯდა. ლუკა, მანამდე რომ იდგა დაძაბული, სამგლოვიარო მუსიკისა, ქალების კივილის, შეცხადებისა თუ ზარის შემდეგ ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ ახლა უკვე ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა. აივანზე დადიოდა წინ და უკან, ხანდახან შუშაბანდს გაივლიდა, ოთახში შეიხედავდა და უკანვე გამობრუნდებოდა.

— ლუკა, — დაუძახა მაიკომ.

ლუკა მოაჯირთან მივიდა და სკამზე ჩამოჯდა.

— დაიღალე?

— არა.

— ისეთი დაღლილი სახე გაქვს...

— რა ვიცი, შეიძლება, დავიღალე კიდეც... მე ვერაფერს ვერა ვგრძნობ.

ფუნიკულიორი განათებული იყო. მთაწმინდის ფერდობზე ტრამვაის ორი ვაგონი ერთმანეთისაკენ მიღოღავდა, ერთი ზევიდან — ქვევით, მეორე ქვევიდან — ზევით. მიღოღავდნენ ერთ ხაზზე ნელა, შეუმჩნეველად. ასევე შეუმჩნეველად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

— აქედან თურმე ჩვენი ეკლესიის გუმბათიც მოჩანს. — თქვა მაიკომ.

— კი, მოჩანს,—მაშინვე დაეთანხმა ლუკა.

— იცი, რა არის ახლა იმ ეკლესიაში?

— არა.

— საწყობი.

— რისი?

— დეკორაციების.

— რა დეკორაციების?

— ოპერის დეკორაციებს ინახავენ. ჩვენმა მეზობელმა, ერთი მოხუცი კაცია, პენსიონერი, ოპერის ორკესტრში ქართულ ცეკვებს უკრავდა დოლზე, სულ ზეპირად იცის, რომელი რომლისაა. მანქანა რომ შემოხრიგინდება, ყველას გასაგონად ამაყად იტყვის „აიდა“ მოვიდაო. ეს „კარმენიაო“, ეს „აბესალომ და ეთერიო“..

თითქოს დაუსრულებლად მიღოლავდნენ ვაგონები ერთმანეთისკენ, ერთი ზევიდან — ქვევით, ხოლო მეორე ქვევიდან— ზევით, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად უახლოვდებიან ერთმანეთს.

— შენ დადიხარ, ლუკა, ოპერაში?

— იშვიათად.

— მე თითქმის ყოველ კვირას.

— ყოჩაღ!

— რა, დამცინი?

— არც მიფიქრია.

ლუკას მართლაც არ უფიქრია დაცინვა. ისე ანგარიშმიუცემლად წამოსცდა ეს სიტყვა. მაგრამ ამ სიტყვამ მაიკოს ლაპარაკის გუნება, როგორც ჩანს, წაუხდინა. აივნის კუთხეში, მოაჯირთან მიდგმულ სკამზე მიიკუნტა, ისედაც ერთი ციცქნა, სულ დაპატარავდა.

ვაგონები კი ისევ მიღოლავდნენ. თანდათან უახლოვდებოდნენ, მერმე მიახლოვებულებმა ერთმანეთს გვერდი აუქციეს. ასე გაიარეს მცირე მანძილი და ისევ ერთ ხაზზე დადგნენ. ერთი ზევით წავიდა, ხოლო მეორე — ქვევით. ვაგონები ახლა უკვე შორდებოდნენ ერთმანეთს, ნელ-ნელა შორდებოდნენ, ისევე შეუმჩნევლად, როგორც წელან უახლოვდებოდნენ.

— მე წავალ.

— რა თქვი?

— არაფერი. წავალ-მეთქი. — მაიკო წამოდგა და კაბა გაისწორა.

— როგორც გინდა. მაგრამ ცოტახანს კიდევ შეგეძლო დარჩენა.

— არა, წავალ.

— კარგი.

მათ ორივემ ერთად გაიარეს აივანი და ხის კიბეზე დაეშვნენ. მაიკო სწრაფად ჩარბოდა და ლუკამ გააფრთხილა, — მო-

აჯირს არ მიეხეთქო, მორყეულიაო. კიბის საფეხურები თითქმის ზედ პირველი სართულის მოაჯირთან თავდებოდა და მერმე იქვე ხელმარცხნივ იწყებოდა ახალი კიბე, რომელიც პირველ სართულს ეზოსთან აკავშირებდა. მაგრამ პირველი სართულის მოაჯირი არც ისე იყო მორყეული, რომ ვისმე ერთი მიწოლით გადაენგრია მით უმეტეს მაიკოს. მაიკო მოაჯირს სულაც არ შეხებია, მარცხნივ ჩაუხვია და ის კიბეც სირბილით ჩაათავა.

რაღაც ეწყინაო, — ფიქრობდა გუნებაში ლუკა, — ალბათ შეამჩნია, გულისყურით რომ არ ვუსმენდიო. მაინც რას მიაცივდა ფუნიკულიორის ვაგონებს, თითქოს არასოდეს არ ენახა? მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ მას შემდეგ, რაც პატარა ბავშვმა საგნების ერთმანეთისაგან გამორჩევა შესძლო, ამ აივნიდან მთაწმინდას შესცქეროდა და იმდენად შეაჩვია თვალი, — ვეღარც ამჩნევდა. თუკი ზოგჯერ შეხედავდა, ეს იყო წამიერი თვალის გადავლება, თითქმის მთაწმინდის ფერდობებს ღრუბლის ჩრდილმა გადაურბინა.

მაიკომ და ლუკამ ხის ჭიშკარს გადააბიჯეს და ქუჩაში გავიდნენ. ფანჯრებში უკვე შუქი ენთო. ასიოდე ნაბიჯზე ტელეგრაფის ბოძიდანაც დასციმციმებდა ერთი ნათურა ქუჩას; მიუხედავად ამისა, ქუჩაში მაინც საკმაოდ ბნელოდა.

— ატყობ, ლუკა, როგორ დაცარიელდა ქუჩები?

— კი, ძალიან. — დაეთანხმა ლუკა და მერმე, როცა მაიკომ წასვლა დააპირა, უთხრა, — გაგაცილებ.

— მოსახვევამდე მიმყევი. მერმე აღარ მეშინია. იქიდან უკვე მოჩანს ჩვენი ეზო.

ისინი ნელა მიდიოდნენ, არც ერთი და არც მეორე არა ჩქარობდა. დარაბასთან, სადაც მოხუცი დაბალი ცხოვრობდა, მაიკომ მკლავი გაუყარა ლუკას. ლუკამ, ცოტა არ იყოს, უხერხულობა იგრძნო და როგორღაც შეიბორკასავით, თითქოს ბორკილები დაადეს ხელებზეც და ფეხებზეც. ეჩვენებოდა: კი არ მიდიოდა ჩვეულებრივად, არამედ მიყანყალებდა. თანაც ცდილობდა, როგორმე ფეხი აეწყო მაიკოს ფეხისათვის და, რაც უფრო მეტად ცდილობდა, მით უფრო ვერ ახერხებდა.

მაგრამ ლუკამ ისიც იგრძნო, რომ ეს მშვენიერი ბორკილი იყო. მიუხედავად ასეთი უხერხულობისა, მაინც დაწყდებოდა გული, მაიკოს რომ ხელი გაეშვა. ეს პაწაწინა, მსუბუქი ხელი

მოულოდნელი, უხილავი ძაფებით აკავშირებდა ამ წრიპა გოგოსთან და უცნაურად კარგ, უფრო ზუსტად, აღსარების გუნებაზე აყენებდა.

ლუკას ეჩვენებოდა, რომ მაიკოსთან არასოდეს არ ჰქონია რაიმე დასამალი და გასაყოფი. ყველა საიდუმლოს უმხელდა, ყველა ფიქრსა თუ გულისნადებს უმჟღავნებდა. ახლა მდუმარედ მიმავალი ფიქრობდა, — დიდი ხანია მაიკოს აღარ შეეხვედრივარ და ბევრი სათქმელი დამიგროვდაო. თქმით მაინც არაფერი უთქვამს. მას აღსარების სურვილი დაებადა, ამისათვის განეწყო კიდეც, მაგრამ ვერაფერი უთხრა, შეიძლება იმიტომაც, რომ არაფერი ჰქონდა სათქმელი.

ასე ხმისამოუღებლად ზივიდნენ წყალსაწევის ქუჩამდე, საიდანაც უკვე მოჩანდა ოპერის გარდერობად ქცეული ეკლესიის გუმბათი. მაიკო შეჩერდა და ლუკას უთხრა:

— ახლა მე წავალ.

— ბარემ ეზომდე მიგაცილებ.

— არა, არა, აქედან უკვე აღარ მეშინია. — თქვა მაიკომ და დაუმშვიდობებლად გაიქცა. წყალსაწევის ქუჩა გადასჭრა და მერე სიბნელეში გაუჩინარდა.

ლუკა გამობრუნდა. ახლა უკვე ჩქარი ნაბიჯით ბრუნდებოდა შინ. მოხუცი დაბაღის დარაბასთან შეყოვნდა და გაიფიქრა, — ნეტავი რას იტყოდნენ ანდუყაფარი ან მიტო, მაიკოსთან ასე მკლავგაყრილი ქუჩაში მოსეირნე რომ დავენახე. ანდუყაფარი არ იცოდა, რას იტყოდა, ხოლო მიტო ნამდვილად შეუყრიდა სკოლას, მთელს ქვეყანას მოსდებდა ამ ამბავს და მერმე რა გაუძლებდა ამხანაგების ორჭოფულ შეკითხვებსა და დაცინვას. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ცოტათი სასაცილო იყო, ამ ნახევრად ბნელ ქუჩაში დიდებივით მკლავგაყრილი სეირნობა.

როდესაც ეზოში შესასვლელი გვირაბი გაიარა და თავისი სახლისკენ გაუხვია, ძია ლადოს ხმა გაიგონა. ძია ლადო ცაცხვის ქვეშ მერხზე იჯდა ცალი ხელით მაგიდას დაყრდნობილი.

ლუკამ მიმართულება იცვალა, ძია ლადოსთან მივიდა.

— დაჯექი. — უთხრა ძია ლადომ.

ლუკა მორჩილად დაჯდა.

— როგორა ხარ?

— არა მიშავს რა, ძია ლადო, გმადლობთ.

— ტანსაცმელი შეიტყაპუნა იმ ოხერმა.

— კი.

— ბევრი ოხერი დადის ამ ქვეყანაზე. ძნელი კია, მაგრამ კაცი მაშინა ხარ, როცა შეგიძლია ოხრების გამორჩევა... მეც ბევრი შემხვედრია ეგეთი.—ძია ლადო მცირე ხნით გაჩუმდა და მერე მოულოდნელად ჰკითხა ლუკას. — შეგიძლია ხვალ ექვს საათზე ადგე?

— შემიძლია, ძია ლადო.

— მართლა?

— კი, ძია ლადო, მე ახლა თითქმის არც მძინავს.

— უნდა დაიძინო... ბავშვისთვის უძილობა არ შეიძლება! ახლა წადი, გათენებისას აქ გელოდები, არ დამაღალატო, სათევზაოდ უნდა წავიდეთ, შენ არ გაგაღვიძებდი, მაგრამ, რას იზამ, დამხმარე კაცი ვერ ვიშოვნე, ყველა წასულია... ძალზე მურდალი ომია.

სხვა დროს ასეთი ნდობა ლუკას ალბათ ისევე გაუხარდებოდა, როგორც მაშინ გაუხარდა, მაგრამ ხვალ დეიდა ნუცას დაკრძალვის დღე იყო და სათევზაოდ წასვლაზე რაღაცნაირად გული ეთანაღრებოდა.

— იცი, რა ლუკა? თევზი მაინც საჭიროა ქელეხზე. ერთ ორ საათში საკმაოდ დავიჭერთ. მოხარშვით კი მე მოვხარშავ.

თავი მეექვსე

ლუკას მთელი ღამე მართლა არ სძინებია. ბორგავდა, წვალობდა, ხანდახან წასთვლემდა. წათვლემილს შიშველი მთვარისა ესიზმრებოდა. ოღონდ მთვარისა ახლა რკინის გისოსებში გამოსვლას როგორღაც ახერხებდა და ორივენი, მთვარისა და ლუკა, მკლავებგაყრილები დასეირნობდნენ საავადმყოფოს ეზოში. აუზი ლურჯი, გამჭვირვალე წყლით იყო სავსე და შიგ ოქროს თევზები დასრიალებდნენ.

უცნაური შინაგანი ბიძგი აღვიძებდა. მერმე ისევ თვლემა მოერეოდა და ახლა უკვე ლურჯ კრიალა აუზში ოქროს თევზების ნაცვლად ლუკა და მთვარისა დაცურავდნენ.

სიზმრისეული აუზი, როგორც ჩანს, გაცილებით დიდი იყო,

ვიდრე ის, საავადმყოფოს ეზოში რომ ნახა — ამომშრალი და დანაგვიანებული. ანდა სიზმარში თვითონ პატარავდებოდნენ, რადგან აუზში მთვარისას ცურვით დასდევდა და ვერ იჭერდა. მაგრამ ეს დევნა, თუ ლტოლვა მთვარისასაკენ წარმოუდგენელ, ჯერ განუცდელ ნეტარებას ანიჭებდა. მთვარისა წყალში თევზივით დასრიალებდა, თან ამბობდა: რა ბედნიერებაა მთვარეში ბანაობა... ეს ხომ მთვარეა, ბიჭო, ჩვენ, მთვარეში დავსრიალებთო...

— რა მოგვივიდა, ლუკა?! თუ გინდა, სინათლეს ავანთებ?— ეს ანდუყაფარის ხმაა.

— რა ვიცი. — ბუტბუტებდა ლუკა.

— ავანთო?

— როგორც გინდა.

— დაიძინე... დაიძინე...

— არა მძინავს და მაინც სიზმრებს ვხედავ.

— ალბათ წაგთვლიმა. სიზმარს რა უნდა, ერთი წამი. ორიოდ წამში მთელი ეპოქის ნახვა შეიძლება.

არც უცდია ლუკას ამის დაჯერება, არც წინააღმდეგობა გაუწევია. უძილობითა და უძილო სიზმრებით გაბრუებულმა გაიფიქრა, — ალბათ ასეა, რადგან ამას ანდუყაფარი მეუბნებაო. იგი უკვე მესამე ღამე იყო, ანდუყაფარის ოთახში წვებოდა დასაძინებლად. ლოგინს ძველ, ჭრიალა ტახტზე იშლიდა, რომელიც ოთახის შორეულ კუთხეში იდგა მივიწყებული, წელიწადი ისე გაივლიდა, ზედ არავინ დაჯდებოდა.

— რა ნახე, რა დაგესიზმრა?

— რა ვიცი.

— ყველაფერზე „რა ვიცის“ როგორ ამბობ?

— მთვარისა დამესიზმრა, ვითომ აუზში ვბანაობდით... მე დასაჭერად დავდევდი...

— ჰოო?! — თქვა ანდუყაფარმა და გაჩუმდა, დიდხანს არ ამოუღია ხმა. მერმე სიბნელეში ისევ გაიგონა ლუკამ ანდუყაფარის ხმა: — ხშირად ფიქრობ მთვარისაზე?

— არა... არც ისე...

— ლუკა, ნუ გინდა, მოეშვი მთვარისაზე ფიქრს.

— სულაც არ ვფიქრობ... ხანდახან გამახსენდება ხოლმე.

— ლუკა, მოდი, ნუღარ იფიქრებ, საწყალი, სულით ავადმყოფია და ასეთ ავადმყოფზე ფიქრი, მკრეხელობაა. შენ იცი, რას ნიშნავს „მკრეხელობა“?

— ვიცი. — უპასუხა ლუკამ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ.

— ამიტომაც აღარ იფიქრო მთვარისაზე.

— მე ცუდს არაფერს ვფიქრობ.

— დამიჯერე, ლუკა. მე ვიცი, რასაც ფიქრობ და როგორ ფიქრობ.

ლუკას სახეზე ცეცხლი შემოენთო. კიდევ კარგი სიბნელეა და არა ვჩანვარო, — გაიფიქრა. მერმე გაიტრუნა და დიდხანს იწვა ლოგინში ასე გატრუნული. — ვითომ მძინავსო, — ანდუყაფარს ატყუებდა.

— ცოდვაა სულით ავადმყოფზე ასე ფიქრი. გესმის ჩემი, ლუკა!

— კი, მესმის.

— მომეცი პირობა, რომ აღარ იფიქრებ.

— კარგი, აღარ ვიფიქრებ.

— ეცადე.

— გითხარი, აღარ ვიფიქრებ-მეთქი. — ჯიუტად გაუმეორა ლუკამ.

— შენ თვითონ არ იცი, როგორი ბიჭი ხარ, ლუკა.

— რომელი საათი იქნება?

— ალბათ სამი. დაიძინე.

— ექვსზე უნდა ავდგე... კი არ უნდა ავდგე, უკვე ეზოში უნდა ვიყო.

— მით უმეტეს, გამოუძინებელი ხომ ვერ წაჰყვები სათევზაოდ.

— კარგი კაცია, არა, ძია ლადო?

— იშვიათი. ძალიან მძიმე ცხოვრება აქვს გადატანილი. სხვა მაგის ადგილზე გაბოროტდებოდა, დაიბოღმებოდა... საკვირველია, როგორ შეინარჩუნა მაინც ესეთი კეთილი გული.

დილის ექვს საათამდე ლუკამ თავი მოიკატუნა. ანდუყაფარს მოაჩვენა, ვითომ ტკბილად და უდრტვინველად ეძინა. სინამდვილეში თვალიც არ მოუხუჭავს. იგი ამ საუბრის შემდეგ როგორღაც დამნაშავედ გრძნობდა მთვარისას მიმართ თავს, მიუხედავად იმისა, რომ ანდუყაფარის საყვედური სამართლიანად არ ეჩვენებოდა.

ექვს საათზე კი ლუკა უკვე ეზოში, ცაცხვის ქვეშ უცდიდა ძია ლადოს.

ჯერ ისევ ბნელოდა.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. ძია ლადო მაშინვე გადმოდგა პირველი სართულის აივანზე და ლუკას დაუძახა. ძია ლადომ რკინისკაპიანი ჭოკი და ნიჩაბი გადმოაწოდა, —შენ ესენი წაიღეო.

ლუკამ ჭოკი ეზოდან რიყეს მიუწვდინა და აგურის კედელზე მიაყუდა, ხოლო ხის ნიჩაბი, იმის შიშით არ გამიტყდესო, გაჭირვებით ჩაიტანა. აგურის კედელზე ჩაცოცება უნიჩბოდაც ეძნელებოდა.

ეზოს კიდეს ცოტა ხანში ძია ლადოც მოადგა ვეებერთელა ვედროიანად. რაღას უცდი, ეგენი ნავში ჩაყარეო, ჩამოსძახა ზემოდან.

ძია ლადოს ღამით ნაპირზე ამოეთრია ნავი. ლუკამ ნიჩაბი და ჭოკი ნავში მოისროლა, მერმე ნავის ქიმს დაეჯაჯგურა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. სანამ ძია ლადო მოვა, ამ ჯაჭვს მაინც შევხსნიო, — გაიფიქრა და აზარმაცს ჯაჭვი შემოხსნა.

ძია ლადომ ჯერ ნავის უკანა ქიმი შეაცურა მდინარეში, შემდეგ ლუკას უთხრა: გამეცალეო და წინა ქიმს ჩაავლო ღონიერი ხელები. ნავი რიყის ქვებზე ხრიალ-ხრიალით გასრიალდა და მდინარეში შეცურებულმა ტორტმანი იწყო. ლუკა ძია ლადოს კი მოეცალა, მაგრამ ჯაჭვისთვის ხელი არ გაუშვია, ორივე ხელით ჩაებღაუჭა, ნავი მტკვრის დინებას რომ არ გაეტაცა.

ძველი მეთევზე ნავზე გადავიდა და ვედრო გადაიტანა. ლუკას ანიშნა, შენც გადმოდიო და რკინისკაპიანი ჭოკი მოიმარჯვა. ლუკა წინა ქიმთან მოკალათდა და ნავი დაიძრა ნაპირ-ნაპირ, მტკვრის დინების საწინააღმდეგოდ.

ლუკამ მეორე სართულის აივანს ახედა, ელექტროშუქით გაჩახჩახებულ აივანზე არავინ ჩანდა. ჯერ ყველას ეძინა. როცა ოთახიდან გამოვიდა, ანდუყაფარი მშვიდად, უდრტვინველად მიძინებული დატოვა.

ძია ლადო მთელი ძალით აწვებოდა ჭოკს და ნავი მარჯვედ მიჰყავდა ზედ ნაპირის გასწვრივ. ავტოსკოლის გარაჟის წინ ნავს სწრაფად და მკვეთრად უცვალა მიმართულება და შუა მდინარეში შეაცურა. ლუკამ ამასობაში თოკის ერთი ბოლო ნავის ქიმზე მიხრახნილ ლითონის რგოლში გაუყარა და განასაკვა.

გაღმა გავიდნენ, ბაბოს კედლის პირდაპირ, სანაპიროს ჯე-

ბირთან ამოზიდულ პატარა ნაპირზე. ლუკამ არ იცოდა, რატომ ერქვა ან რატომ იყო ის კედელი მაინცდამაინც ბაბოსი. ის კი იცოდა, მდინარეში შეჭრილ ამ აგურის სქელ კედელსა და სხვა მის მსგავს კედლებზე უმსხვილესი ჯაჭვებით წყლის წისქვილები იყო ძველად გამობმული. ერთ-ერთი ლუკასაც კარგად ახსოვდა, არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სტეფანეს წისქვილი წყალდიდობამ იმსხვერპლა.

— სიბნელეში ვერ შევამჩნიე, მტკვარი ცოტათი მოდიდებულა, — თქვა ძია ლადომ, — ცუდია, დაიმახსოვრე, მტკვარი რომ მოდიდდება, თევზი ძველი გზით აღარ მოდის, ერთხელ არჩეულ გზას ჰკარგავს, თუმცა ახლა არც ისე მოუმატებია, შინ ხელმოცარულნი რომ დავბრუნდეთ.

როდესაც ძია ლადომ პირველად ბადე გაშალა, ცამ ფერი იცვალა, გაბაცდა. უკვე თენდებოდა. პირველ ნასროლს სამი საჭანრე და ერთი მურწა ამოჰყვა. ბადის სროლისას ძველი მენავე ლუკას ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყო და ლუკაც დიდი მონდომებით ასრულებდა თავის მოვალეობას: თოკს მიუშვებდა, ნავი მტკვრის დინებას დაჰყვებოდა და, როცა ძია ლადო ეტყოდა, — კმარაო, — ლუკა თოკს ლითონის რგოლში ამოუყრიდა და ორივე ხელით დაეჭიდებოდა. სანაპიროს ჯებირზე გამობმული თოკი დაიჭიმებოდა და ნავი ჩერდებოდა.

ძველი მეთევზე მარცხენა ხელში ისევ აკეცავდა ბადის ჭერს, ჯიბეებს ზემოთ გაყრილ ტყვიის ბურთულებიან თოკს კბილებით დაიჭერდა და ღონის მესამედს მარჯვენა ხელით აკრეფდა. მერმე ერთი წამით შეყოვნდებოდა, თვალით მოზომავდა მდინარის იმ მონაკვეთს, რომელზედაც ბადე უნდა დაეფარებინა. მარჯვენა მკლავს მოიქნევდა, გაშლილი ბადე გაიბრწყინებდა და შხუილით დაეფარებოდა მდინარეს.

მკრთალად განათებულ ცის კიდეზე თანდათან გამოიკვეთა ერთმანეთს მიჯრილი ძველი სახლების საკვამურებიანი სახურავები. სივრცეში აისვეტა გაუქმებული ეკლესიის მაღალი ყელი და გუმბათი. მდინარეც შეუმჩნეველად იცვლიდა ფერს, ნელ-ნელა უბრუნდებოდა ოდნავ შემღვრეული მომწვანო ფერი.

ნავში დროდადრო გროვდებოდა ბადეს ამოყოლილი წყალი. ლუკა ამ წყალს უკანვე უბრუნებდა მდინარეს. ნიჩბით

წყლის ამოხაპვა განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრიდა ლუკას.

თევზაობისას ხშირად გახედავდა ხოლმე თავის ეზოსა და აივანს. აივანზე, კარგა ხანს არავინ გამოჩენილა. მალე ანდუყაფარი მოადგა თავისი სავარძლით მოაჯირს, თვალს ადევნებდა თევზაობას. ლუკას ხელითაც კი ანიშნა, — რა ჰქენითო? ბლომად დავიჭირეთო! — ხელის ქნევითვე დაამშვიდა ლუკამ. მერმე ანდუყაფარი ისევ გაქრა. ახლა უკვე სხვები გამოჩნდნენ. ელექტროშუქით გაჩახჩახებულ აივანზე დაბორიალობდნენ, დაფუსფუსებდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ, რაღაც-რაღაცეები გაჰქონდ-გამოჰქონდათ. ერთი სიტყვით, აივანმა საქმიანად გაიღვიძა.

— კარგი ფეხისა ყოფილხარ! — უთხრა ლუკას ძველმა მეთევზემ, როდესაც უკ ნვე გადმოსჭრეს მტკვარი და ნავი ძველ ადგილზე დააბეს. — მეც კარგ ხელზე გავშალე ბადე, რას იტყვი?

ლუკას რა ჰქონდა სათქმელი, თევზი მართლაც ბლომად დაიჭირეს და ახლა მინ ისე ბრუნდებოდა, როგორც ნაჯაფარი და დიდი მოვალეობის წინაშე ვალმოხდილი კაცი. თევზი ძია ლადომ შინ წაიღო მოსახარშად. თავიდან შეხებამდე გაწუწული ლუკა კი სირბილით აუყვა კიბეს, ფეხსაცმელები წყლით გავსებოდა და ჭყაპა-ჭყუპი გაუდიოდა. აივანზე ასულს პირველად ბატონი პოლიკარპე შეეფეთა, თითებში პაპიროსგაჩრილი ასანთს დაეძებდა. ასე გაწუწული ლუკა რომ დაინახა, ჯერ შეიცხადა. — რას გავს ეს უპატრონოო! მერე კი ლუკას მიუბრუნდა და დაყვავებით უთხრა — სად მოასწარი, ბიძია, ამ დილაადრიან... წადი, გამოიცვალე ტანსაცმელი, მალე ხალხი მოვა და სირცხვილიაო... საგარეო ჩაიცვიო! — ესეც დასძინა.

ლუკამ ანდუყაფართან შეაბოტა ჭყაპა-ჭყუპით. სველი ტანსაცმელი გაიხადა და „საგარეოდ“ გამოწყობას შეუდგა. ანდუყაფარს ფანჯარასთან მიეგორებინა თავისი სავარძელი და წიგნს კითხულობდა. ლუკას შესვლისთანავე წიგნი ლოგინზე მოისროლა.

— შენი ადგომა ვერ გავიგე, ეტყობა, მაგრად მეძინა.

— კი, კარგად გეძინა.

— დაიჭირეთ რამე?

— ბევრი, ძია ლადომ თქვა, მტკვარი ცოტათი რომ არ იყოს მოდიდებული, უფრო მეტს დავიუერდითო.

— ძია ლადომ თავისი საქმე იცის.

— ერთი ეგრე ვიცოდე ბადის გაშლა და მეტი არაფერი მინდა.

— ხომ არ შეგცივდა?

— არა, სულ არ ციოდა.

— ისე კი კარგად გაწუწულხარ.

— ამ ფეხსაცმელებს რა ვუყო, არ ვიცი.

— რა დაემართა?

— დამისველდა. როგორმე უნდა გავაშრო.

— სხვა არა გაქვს?

— არა.

— რაც გქონდა სხვას გაატანე და რა შეგრჩებოდა. — ანდუყაფარმა ხელების მოძრაობით მოაბრუნა სავარძელი და ტანსაცმლის კარადას მიადგა. მერმე ასევე სწრაფად გადაიხარა, გამოაღო ქვედა უჯრა, რომელიც ჩვრებითა თუ გაცვეთილი ტანსაცმლით იყო გამოტენილი. ანდუყაფარი დიდხანს უთავბოლოდ იქექებოდა. მერმე სიღრმიდან ცალი ფეხსაცმელი გამოაძვრინა და ლუკას ესროლა. — აბა, ნახე, იქნებ ჩაგეტიოს ფეხიო.

ლუკამ ფეხსაცმელი გადაატრიალ-გადმოატრიალა და ფეხზე მიიზომა. ანდუყაფარი მხარს უკან მისჩერებოდა.

— უნდა ჩამეტიოს. — თქვა ლუკამ.

ანდუყაფარმა მეორე ცალიც გამოაძვრინა უჯრის სიღრმიდან და თავის სავარძლიანად მისრიალდა ლუკასთან.

— ჩემი ბავშვობის ფეხსაცმელებია. მე უფრო გაცვეთილი მეგონა, თუმცა რა გაცვეთდა, მე ხომ მაგით არც მივლია, უბრალოდ დამიპატარავდა.

ლუკა „საგარეოდ" გამოეწყო. თუმცა რა „საგარეო" ეთქმოდა, შარშან ზაფხულში ნაყიდ, უკვე საკმაოდ გაცვეთილს, დამოკლებულსა და დავიწროებულ შარვალსა და პერანგს. მიუხედავად ამისა, ეს ძონძები საგულდაგულოდ დაეუთოვებინათ (ემამ დაუუთოვა, ჯუჯა რუბენა ნალბანდიშვილის დამ), ეტყობოდა, მთელი წლის მანძილზე ერთსაც და მეორესაც მრავალი მძიმე წუთი ჰქონდა გადატანილი, განსაკუთრებით შარვალს. ნაცრისფერი მაუდის შარვალი მუხლებსა და საჯ-

დომზე საკმაოდ შეცრეცილ-შელახულიყო და მელნის გარდა ბევრგან დამჩნეოდა გაურკვეველი წარმოშობის ლაქა. რას იზამდა. ახლები ჭორფლიან ალბერტს საკუთარი ხელით ჩააბარა — კოხტად და სათუთად დაკეცილი. ყველაზე უკეთ ანდუყაფარის ნახმარი ფეხსაცმელები გამოიყურებოდა. თუ არაფრად ჩავაგდებდით იმას, რომ ფეხსაცმელებიცა და ლუკაც ამქვეყნად ერთ წელს იყვნენ მოვლენილნი.

აივანზე უამრავი ხალხი ირეოდა. მაგრამ ყველასგან დაუცხრომელი საქმიანობით მაინც ბატონი პოლიკარპე გამოირჩეოდა. განკარგულებებსა და რჩევა-დარიგებებს უხვად იძლეოდა. გამწარებული არბოდა და ჩამორბოდა კიბეებზე. ეზოში უკვე ცეცხლი დაენთოთ. უზარმაზარ ქვაბებში ქორვაჭრებისაგან მამასისხლად ნაყიდი ლობიო და ბრინჯი იხარშებოდა. იქვე ონკანთან ირეცხებოდა და ხარისხდებოდა ათასნაირი მწვანილი.

ნათესავების ერთმა ნაწილმა, აღმოსავლურმა შტომ, წინადადება შემოიტანა, ცხვარი დავკლათო, მეორემ — დასავლურმა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — რას ჰქვია, ცხვარი დავკლათო! ორმოცამდე ხორცის ჭამა ვის გაუგიაო. ამ უკანასკნელთ ბატონი პოლიკარპე სარდლობდა და ბრძოლა რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველომ მოიგო, რადგან თავად დეიდა ნუცა იქაური გახლდათ. როგორც ჩანს, წარმომავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა.

ბატონი პოლიკარპე ხმამაღლა, აღმოსავლეთ საქართველოს გასაგონად წუხდა: ეი მაგ თქვენი ცხვრის ფულით თევზი რომ გვაშოვნინა, სუფრას ის დახატავდაო. ლუკას უნდოდა ეთქვა,— თევზი იქნებაო, — მაგრამ თავი შეიკავა. ბატონი პოლიკარპე ისე იყო საქმით გართული, მაინც არ მოუსმენდა და გინდაც მოესმინა, ძალზე ეჭვიანი კაცი ჩანდა, არ დაუჯერებდა. ამ ფაცა-ფუცში გადიოდა დრო. ბოლოს ლუკას უთხრეს. პანაშვიდი იწყება და შენს ადგილზე დადექიო. ლუკამ, ვიდრე თავის ადგილზე დასადგომად წავიდოდა, ეზოში მომავალ მაიკოს მოჰკრა თვალი და რაღაცნაირად გუშინდელზე და გუშინწინდელზე უფრო მეტად გაუხარდა მისი დანახვა.

ლუკა კუბოს თავთან დააყენეს სხვა მახლობელ ჭირისუფალთა გვერდით. ბატონი პოლიკარპეც იქვე იდგა. გუშინ ანდუყაფარმა იკითხა: — ვინ არის ეგ პოლიკარპე, რა ამაზრზე-

ნი ტიპიაო. ლუკამ არ იცოდა, რა ნათესავად ერგებოდა და ვერაფერი უპასუხა. თვითონვე უკვირდა, — თუ ასეთი ახლო ნათესავი და ჭირისუფალი გვყავდა, ნეტავი აქამდე რატომ არ ჩანდაო?

ოთახში შეგუბებული, სულის შემხუთავი სუნი იდგა, ნელსაცხებლების, წამლებისა და მიცვალებულის ყვავილთა მოტკბო სურნელით გაზავებული.

პანაშვიდზე მხოლოდ დეიდა ნატო ტიროდა მიცვალებულსაც და ლუკას დედასაც, თითქოს ერთის ნაცვლად ორი კუბო მდგარიყო. ერთმწკრივად დაწყობილ მოსამძიმრეთა შორის მაიკოც გამოჩნდა. დაღვრემილი მოდიოდა, პატარა, ერთი ციცქნა. ლუკას ხელი ჩამოართვა, მერე თითის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა. მაიკო წავიდა და გულისამრევად შეხუთულ ოთახში მოულოდნელი სიგრილე და ახალდაბანილი, ჩვილი ბავშვის სუნი დატოვა.

ბოლოს და ბოლოს პანაშვიდი დამთავრდა და შინიდან ყველა გარეთ გამოისტუმრეს. ოთახში დარჩენილი მაამაკაცები კუბოს სამჯერ შემოატრიალებდნენ და მერმე სამჯერ მიაჯახუნებდნენ დაგმანულ კარს. ეს წესი, როგორც ჩანს, მიცვალებულს იოლად აუგეს. მთავარი სიძნელე ჯერ გადაულახავი იყო და წინ ელოდებოდათ.

მართლაც კიბის სივიწროვის გამო ძალზე გაჭირდა კუბოს ჩატანა. ბატონი პოლიკარპეს მოხერხებულობა და სიმარჯვე რომ არა, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. კუბოსა და მოაჯირს შორის რამდენიმე კაცი გაიჭედა და კუბოს ძვრა ვერ უყვეს. ხალხი აყაყანდა და ატყდა ჩოჩქოლი. კიდევ კარგი, ეს ჩოჩქოლი და ყაყანი უცებ დაახშო ცაცხვის ჩრდილში შეყუჟულმა სასულე ორკესტრმა, რომელმაც გაშმაგებით დასცხო შოპენის სამგლოვიარო მარში.

ბატონი პოლიკარპე გადაირია. ოფლად გახვითქულმა რამდენიმე კაცის დახმარებით კიბეზე გაჭედილთა მხრები მშვიდობიანად გადაიარა და კუბოს ქვემოდან მოექცა. ახლა იქიდან შეუტია, — რამსიმძიმეა ეს შობელძაღლიო, — და კუბო რაღაც მანქანებითა თუ სასწაულით დასძრა კიდეც.

ქუჩაში ბალდახინი იდგა. საწყალი დეიდა ნუცა ბალდახინზე დაასვენეს და პროცესია ფეხით გაუდგა გზას სასაფლაოსკენ. ჰაერი არ იძვროდა, ცხელოდა. წინ მიმავალი ბალდა-

ხინის ცხენები საშინელ მტვრის ბუღში ხვევდნენ ქუჩასაც და ჭირისუფლებსაც. ლუკა ჯერ მარტო მიდიოდა, მერმე მაიკო და მიტო ამოუდგნენ აქეთ-იქიდან. ამან თუ ახლა მკლავი გამიყარა, ხვალ მიტოს დაცინვას რა გაუძლებსო, — გაიფიქრა ლუკამ, მაგრამ მაიკოს, როგორც ჩანს, მკლავის გაყრა არც კი გაუვლია გუნებაში.

ლუკას ცუდი სიზმარივით ახსოვს ეს გაუთავებელი, ცხელი და მტვრიანი გზა: სვანეთის უბანი, კუკიის სასაფლაომდე მიმავალი, ვიწრო, მზით გახურებული ქუჩები. აივნებსა და ფანჯრებზე გადამდგარი ხალხის ცნობისმოყვარე სახეები და სასულე ორკესტრი, რომელიც გარშემო ყველაფერს აყრუებდა.

მიტო და მაიკო გვერდიდან არ მოშორებიან, უხმოდ მიჰყვებოდნენ. ასევე უხმოდ მიაცილეს იგი სასაფლაომდე. სასაფლაოზე ხალხი სწრაფად გაიშალა და გაიფანტა. დაღლილებმა და სიცხისგან გასავათებულებმა კიპარისების ჩრდილებს შეაფარეს თავი. ლუკას ყოველთვის გული უღონდებოდა, როდესაც კუბოს მიწა ეყრებოდა ხოლმე, ამჯერად ამ ხმის გაგონებას მოერიდა, გაიპარა და უცხო საფლავებს შორის კარგა ხანს იარა. ბოლოს, როცა გადაწყვიტა, — ის ხმა აქამდე ვეღარ მოაღწევსო, — შეჩერდა და ბუჩქებს მოეფარა.

უძილო ღამისა, თეეზაობისა, პანაშვიდისა და გაუთავებელი და ცხელი გზისაგან უკვე ისე იყო დაქანცული და დარეტიანებული, რომ ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, დაუმთავრებელი თუ მიტოვებული საფლავის ცოკოლზე ჩამოჯდა. ჭირისუფლებს ახლა უკვე ვეღარ ხედავდა, სასულე ორკესტრის ხმაც საკმაოდ შორიდან ისმოდა. ლუკა, ეტყობა, დიდხანს იჯდა განმარტოებული, რადგან აქ ჯდომა მოსწყინდა კიდეც. ადგომის თავი აღარ ჰქონდა, ახლა უკვე თვლემა მოერია...

ლუკამ წინდაწინვე იცოდა, რომ ალაყაფის კარი ღია დახვდებოდა და, როცა საავადმყოფოს მიუახლოვდა, კარი, მართლაც, ღია აღმოჩნდა. დაუბრკოლებლად შეეიდა მთვარის შუქით განათებულ ეზოში. ნაცნობ ფანჯარას ჩაუარა და აუზთან შეჩერდა. აუზსაც ეღვრებოდა მთვარის ნათელი და ოქროსფრად ლივლივებდა. ლუკა უცებ შეკრთა. სხეულით იგრძნო, რომ გისოსებიან ფანჯარას მთვარისა მოადგა. სწრაფად მიბრუნდა და გარკვევით დაინახა წყვდიადიდან გამოსული ფიშველი, ოქროსფერი სხეული. მიძინებული ლუკა გრძნობდა

და არა მარტო გრძნობდა, დანამდვილებით იცოდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო, რომ ახლა მთვარისას სიზმარში ხედავდა და გაკვირვებული ფიქრობდა: ნეტავი, რატომ მესიზმრება ახლა მთვარისა, მე ხომ ანდუყაფარს პირობა მივეცი, არ ვიფიქრებდი მთვარისაზე და მთელი დღე ისე გავიდა, მართლაც, არ გამხსენებიაო. ვიდრე ძილში ამას ფიქრობდა, მთვარისა გისოსებიანი ფანჯრიდან გადმოვიდა და ლუკასკენ გამოეშურა. მშვიდი და ნეტარი ღიმილი ეფინა სახეზე. ამ ნეტარებას ალბათ ლუკას ხილვა ანიჭებდა. ლუკა აღელდა. ათრთოლებულ გულს უცნობი გრძნობის თბილი ტალღა მიეხეთქა და მთელ სხეულში ჟრუანტელის მომგვრელ შხეფებად განიბანა. მთვარისა მივიდა, ორივე ხელი მოხვია ლუკას...

— ლუკა!

ლუკამ ძილშივე იცნო მაიკოს ხმა და ისეთ გუნებაზე გაეღვიძა, თითქოს დანაშაულზე წაასწრეს.

— სად დაიკარგე, ლუკა!

— რა ვიცი, არ შემეძლო იქ დგომა.

— რამდენი გეძებე, დავიღალე.

— მოდი, ჩამოჯექი.

— რა დროს ჩამოჯდომაა, ნახევარზე მეტი ხალხი წავიდა.

— წავლენ, მაშ რას იზამენ, აქ ხომ არ დარჩებიან?.. მე არ მომიკითხეს?

— კი. განსაკუთრებით ერთი მელოტი გეძებდა. ძალიან გაბრაზდა: ეგეთი უზნეო და უხეირო ბავშვი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. საკუთარ დეიდას არ უნდა დამშვიდობებოდაო, ხვალაც ნახავს, თუ რაო!

— პოლიკარპე იქნებოდა.

— ვინ არის ეს პოლიკარპე.

— რა ვიცი... პირველად ვხედავ. მოდი, დაჯექი. — ისევ შესთავაზა ლუკამ.

მაიკოც იქვე ჩამოჯდა ცოკოლზე. ლუკას გვერდით.

— სწავლა მაინც დაიწყოს მალე, მომწყინდა სულ სახლში ყოფნა. — თქვა მაიკომ.

— მეც მომწყინდა. — ლუკა ისე აკვირდებოდა ამ პატარა, შავგვრემან გოგონას, თითქოს პირველად ხედავდა. ნეტავი გაიზრდება, თუ სულ ასეთი პატარა დარჩებაო. — ფიქრობდა თან.

მზე დასავლეთისკენ წასულიყო და საფლავებზე კიპაროსების წაგრძელებული ჩრდილები ესვენა. ლუკას ახლახან გაახსენდა, რომ წეღან ისევ დაესიზმრა მთვარისა და გუნება შეეცვალა. ეჩვენებოდა, თითქოს ყველასაგან დაფარულად დანაშაულს ჩადიოდა. მის ცნობიერებაში ახლა ერთი სიტყვა ამოტივტივდა, რომლის მნიშვნელობა მან კარგად არ იცოდა, მაგრამ ალღომ და იმ ღამით ანდუყაფართან შექმნილმა მდგომარეობამ აგრძნობინა, თუ მიახვედრა, „მკრეხელობა" აძას და ამას უნდა ნიშნავდესო. შესაძლოა, ამის გამოც მოატყუა ანდუყაფარი, როცა უთხრა, ვიცი, რასაც ნიშნავს ეგ სიტყვაო. ასე იყო, თუ ისე, მის არსს კარგად ვერ ჩაწვდა და ეს ბოლომდე ვერგაგებული სიტყვა შიშის ზარს სცემდა.

— ძალიან შემეცოდა დეიდაშენი, — დაარღვია დუმილი მაიკომ, — სულ მარტო დარჩა...

— მეც ძალიან მეცოდება.

— აბბობენ, ტყუპებს განსაკუთრებით უყვართო ერთმანეთი.

— ეტყობა, ეგრეა.

— ძალიან შემეცოდა. — მაიკოს დიდ თვალებში ცრემლი დაუგუბდა და თავი გვერდზე მიაბრუნა, ალბათ ლუკამ არ დამინახოსო.

ლუკა ახლოს მიუჩოჩდა მაიკოს. ისე ახლოს, რომ მკლავზე მისი მხარის შეხება იგრძნო. გადაიხარა და ფრთხილად, თითქოს მტვერს სულს უბერავსო, ლოყაზე აკოცა. ლუკამ გარკვევით დაინახა, ჩითის კაბის საყელოდან როგორ ამოცურდა სიწითლე. ეს მუხთალი სიწითლე ჯერ ყელს მოეკიდა და მერმე მთელ სახეს უცებ შემოენთო. მაიკოს ხმა არ ამოუღია, არც განძრეულა, იჯდა გაბუსუნებული.

ლუკამ მეორედაც აკოცა მაიკოს. მაიკო ამჯერად წამოდგა და მკაცრად მოხედა ლუკას. თვალებში ისევ ცრემლი ჰქონდა დაგუბებული, ჯერ არ შეშრობოდა. ლუკაც წამოდგა, რაღაც უნდოდა ეთქვა და ენა დაება. მაიკომ ამდენი არ აცალა. გატრიალდა და წავიდა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა საფლავებს შორის, თავდახრილი და დაფიქრებული ლუკა მორჩილად მისდევდა უკან.

შეთანხმებულებივით შეჩერდნენ დეიდა ნუცას საფლავთან. ახალ საფლავზე ცოცხალი და ხელოვნური ყვავილების

გვირგვინები ეწყო. გარშემო კაციშვილი არ ჩანდა. ეტყობა, დიდიხნის წასულები იყვნენ. მერმე მაიკომ და ლუკამ ეს საფლავიც უსიტყვოდ დატოვეს და გასასვლელისაკენ გაემართნენ. მაგრამ სასაფლაოს ლაბირინთიდან თავის დაღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა; მათ კარგახანს იბოდიალეს და ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევდათ იქ ბოდიალი, შემთხვევით სასაფლაოს დარაჯს რომ არ წასწყდომოდნენ.

იმავე ქუჩით დაეშვნენ, რომლითაც ამოვიდნენ კუკიაზე. რკინიგზის ლიანდაგი გადასჭრეს და სვანეთის უბანში გავიდნენ. არც ერთს და არც მეორეს ხმა არ ამოუღია. დამდურებულებივით მიდიოდნენ. „ტყუილად ვაწყენინე. — ფიქრობდა ლუკა. — ბოდიში უნდა მოვუხადო. თუ მაპატია, ხომ კარგი, თუ არადა ხვალ ან ზეგ შევეცდები, შევირიგო“.

— მაიკო!

მაიკომ ისე უცებ ახედა ლუკას, თითქოს მთელი გზა მხოლოდდამხოლოდ იმას ელოდებოდა, როდის დამიძახებსო, თანაც სულ სხვანაირი შუქი შეანათა სახეში. ეს მზერა სულაც არ ჰგავდა წეღანდელ მკაცრსა და საყვედურიან გამოხედვას. მაიკო არც გაბრაზებული და არც ნაწყენი არ ჩანდა. პირიქით, ლუკას გამხიარულებულიც კი ეჩვენა. ლუკას უნდოდა ეთქვა, — ხომ არ გეწყინაო, მაგრამ ამის თქმას აზრი არ ჰქონდა, ეს მაშინვე იგრძნო, როცა მაიკოს მოლოდინით სავსე თვალებს ისევ წააწყდა. მიუხედავად ამისა, მაინც იგივე ჰკითხა:

— ხომ არ გეწყინა, მაიკო?

მაიკო ჯერ გაყუჩდა, მერმე ისევ მოიღუშა, თითქოს ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა და ამ გახსენებამ ისევ გული ატკინა.

— არ გეწყინოს, რა! — ლუკამ ხელი ხელზე წაავლო.

პატარა, ჟრუანტელის მომგვრელი ხელიც გაყუჩდა ლუკას ხელში მომწყვდეული. არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია, თითქოს საკუთარი ნება-სურვილით ჩაბარდა ტყვედ. მაგრამ როგორც კი ტრამვაის ხაზზე გავიდნენ, მაიკომ მოულოდნელად გამოსტაცა ხელი და გაიქცა. სწრაფად გაირბინა ქუჩა და მოსახვევში გაქრა.

მოსახვევიდან უკვე მოჩანდა ეკლესიის გუმბათი. მოჩანდა ისიც, როგორ გარბოდა მაიკო ფეხით მოსიარულეთა შორის, სწრაფად უვლიდა გამვლელებს გვერდს და უკან მოუხედავად

ისევე მიჰქროდა, როგორც იმ ღამეს. ლუკას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ხელიდან ძვირფასი რაღაც გამოჰგლიჯეს, თანაც შეეძლო დასდევნებოდა, უკანვე წაერთმია ის, რაც ეს-ესაა გამოსტაცეს, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდა და არ მისდევდა.

თავისი ეზოს ჭიშკარს ბინდ-ბუნდში მიაღწია. ცაცხვს რომ ჩაუარა, გარკვევით გაიგონა ბატონი პოლიკარპეს ხმა. მთვრალი პოლიკარპე ძია ლადოს ეხვეოდა და ჰკოცნიდა. მოზღვავებულ მადლობის გრძნობას ვეღარ იოკებდა.

— კაცი ხარ ქვეყანაზე, ლადო! შენ წარმოიდგინე, თეზი ყველას ეყო. მე პოლიკარპე გირკელიძე ვარ და ამას არასოდეს დაგივიწყებ, ჩემო ლადო!

თავი მეშვიდე

დაკრძალვის შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული, დათიკო ბერიშვილმა, იმ დღეს რომ ვერაფრით დააზუსტა, ტყუპი დებიდან რომელი გარდაიცვალა, დეიდა ნატოს კაცი მიუგზავნა და ბინების გაცვლა შესთავაზა. ბერიშვილის ოჯახი პირველ სართულზე ერთ ოთახში ცხოვრობდა. ოთახი საკმაოდ მოზრდილი იყო. ორი სული, დათიკო თავისი ცოლით თავისუფლად ეტეოდა, მაგრამ ოთახს, როგორც ამბობდნენ, სინათლე აკლდა და არც ნიავდებოდა. ერთადერთი ფანჯარაც და კარიც ეზოს მხარეს ჰქონდა მოქცეული.

ორ ოთახში ერთ ოთახს თავაზობდა. უფრო ზუსტად, მეორე ოთახისა და შუშაბანდის საფასურს იხდიდა. შუამავალმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: მეტს ვერაფერს გეტყვით. ფულზე ალბათ თქვენ თვითონ მორიგდებითო.

უცებ აღელდა და გაბრაზდა დეიდა ნატო, ერთიანად ცახცახმა აიტანა, გაფითრდა და კარგა ხანს ხმის ამოღებაც კი ვერ მოახერხა. შუამავალი ძველი დაბაღი გახლდათ, ჩუმი და წესიერი კაცი, რომელიც დარაბაში ცხოვრობდა. ლუკამაც კი შეიტყო, რომ დაბაღი კარგად ვერ შეერჩია ბერიშვილს საშუამავლოდ, რადგან დეიდა ნატოს დასამშვიდებლად ასეთი რამ უთხრა:

— ნუ ღელავთ, ქალბატონო, განა ღირს ამ უბრალო რამე-

ზე ასე აღელვება? მე ერთი პატარა კაცი ვარ, დამაბარეს და ამბავი მოგიტანეთ. თქვენი ნებაა, ნუ გაუცვლით. ჩემი რჩევაც ეგ იქნება... ეს ოხერი ომი ერთხელ ხომ უნდა გათავდეს. თქვენებიც დაბრუნდებიან, ეს ბიჭიც, ღმერთმა მიხედოს, თვალდათვალ იზრდება, მალე ოჯახსაც მოეკიდება. იმ ბნელ ოთახში ამდენი სული ვერ იცხოვრებთ. კაცი გაჭირვებისთვის არის დაბადებული და ცოტა უნდა გავიჭირვოთ.

ძველი დაბალი დინჯად, აუღელვებლად ლაპარაკობდა, მის ხმაში სიმშვიდესთან ერთად რაღაცნაირად ნაღველმა, გულისტკივილმა გამოჟონა. მაგრამ ამას სულაც არ დაუმშვიდებია დეიდა ნატო, — როგორ, როგორ გამიბედესო! —ამბობდა და ნერვიულად იმტვრევდა თითებს. მერმე ძველ დაბალს მიუბრუნდა:

— მაგას უპატრონო ხომ არ ვგონივარ! ჩემი სიძე ომშია, გერმანელ ფაშისტებს ებრძვის. ყოველ წუთს სიკვდილს უყურებს თვალებში, ეგ კი აქ თბილად მოკალათებულა და ჩემს ბიწაზე ოცნებობს!

დეიდა ნატოს პოზიცია უკვე გარკვეული იყო და ძველი დაბალი წამოდგა, დამშვიდობებისას დიდი მოწიწებით გაუწოდა ხელი, კართან მისულმა მადლობაც კი გადაუხადა და წავიდა. ლუკას ბინების გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელობისა ბევრი არ გაეგებოდა. მისთვის თითქმის სულ ერთი იყო, სად იცხოვრებდნენ, რამდენი ოთახი ექნებოდა— ერთი თუ ხუთი. იგი სულ სხვა რამემ შესძრა. დეიდამისის ნათქვამიდან იგრძნო, რომ მათ ოჯახს ერთი მფარველი ჰყავდა, ძლიერი, შეუვალი. მისი სახელის ხსენებაც კი საკმარისი აღმოჩნდებოდა ბევრისთვის უკან დასახევად. ეს მფარველი მამამისი იყო და, რაც მთავარია, ამას თვით დეიდა ნატოც აღიარებდა.

ლუკას უცებ გული აუჩუყდა და ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში, აღელვებული დეიდა უფრო რომ არ გაეღიზიანებინა. ფანჯრის რაფაზე ქუჩისკენ ზურგით ჩამოჯდა. ღია კარიდან ხედავდა, დეიდა ნატო აკანკალებული ხელით პატარა ჭიქაში როგორ ისხამდა რაღაც წვეთებს. ლუკა ახლა ნანობდა გუშინდელ სიჯიუტეს. დეიდამ სამჯერ მაინც სთხოვა, — სასაფლაოზე წამყევიო და არ წაჰყვა. — გაკვეთილები მაქვს დასამზადებელიო. ლუკას კი სახელმძღვანელოებისაკენ არც მი-

უხედავს. კვირა დღე აივანსა და ეზოში, ცაცხვის ქვეშ მჯდარ-მა გაატარა უსაქმურად.

წინა საღამოს ანდუყაფარისაგან შეიტყო ძია ლადოსთან ვიღაც გაურკვეველი ეროვნების, ასაკისა და პროფესიის ქალი მისულა და თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონა მოუყვანია. თქვენი შვილიშვილიაო, — უთქვამს ძია ლადოსთვის. — მე ამის რჩენა კი არა, თავი ძლივს გამაქვსო. დაუტოვებია და წასულა. — რა ვქნა, თქვენს შვილიშვილს როგორმე თქვენ მოუარეთო. ძია ლადო საგონებელში ჩავარდნილა, — რატომ აქამდე არ ვიცოდი, თუ კოტიკოს ცოლი და თანაც ამოდენა შვილი ჰყავდაო. კოტიკო გერად ერგებოდა, მეორე ცოლს უკვე საკმაოდ მოზრდილი ჭაბუკი მოჰყვა, შესაძლებელია, ძია ლადოს მართლაც არაფერი სცოდნოდა, რადგან ის ვაჟი ერთი გულჩახვეული და პირქუში ვინმე იყო. უთქმელი, სიტყვაძუნწი. ძია ლადოს ქორწინების ქაღალდი მოუთხოვია, მაგრამ გაურკვეველი ეროვნების ქალს უთქვამს — რა ქაღალდი, რის ქაღალდი, მე კოტიკოს საყვარელი ვიყავი და ეს გოგო რომ ნამდვილად მისია, თუ გინდათ, წერილობით შეეკითხეთ და გიპასუხებთო.

ამ ამბავმა, როგორც ჩანს, მეზობლები ძალზე დააინტერესა, ასე ერთსულოვნად გამოფენილები ლუკას დიდი ხანია არ ენახა. არც თვითონ დარჩენილა გულგრილი. ჯუჯა მემტრედესთან ერთად იჯდა ცაცხვის ქვეშ და ცალი თვალი ძია ლადოს აივნისაკენ ეჭირა. რუბენამ სხვაზე მეტი არაფერი იცოდა იმ გოგოს შესახებ და მაინცდამაინც არ ცდილობდა დამატებით რაიმე ახალი ამბავი გაეგო. იგი უფრო თავისი მტრედების გამო წუხდა: — რა მეშველება, საჭმელს ვეღარ ვშოულობ და ალბათ ყველას გაყიდვა მომიწევსო.

მეზობლები და მათ შორის ლუკაც ამაოდ დაშვრნენ ლოდინით. კოტიკოს ქალიშვილი გარეთ გამოსვლას, ეტყობა, არ აპირებდა. მხოლოდ ძია ლადო სახლის აივანს მოადგა და მტკვარს გადახედა, თან ზედიზედ მოქაჩა გაზეთის ქაღალდში გახვეული თამბაქო.

მეორე დილით სკოლაში მიმავალი ლუკა ცაცხვის ქვეშ მჯდარ რუბენას მიესალმა. ძალზე გაუკვირდა და შეეჭვდა თანაც, თავაზიანმა ჯუჯამ სალამი რომ არ დაუბრუნა. დაეჭვებული ლუკა ერთი წუთით შეყოვნდა და ახლა უფრო მეტი გაო-

ცება გამოეხატა სახეზე. რუბენა ტიროდა, ქოსა, დამჭკნარ სახეზე ცრემლი წურწურით ჩამოსდიოდა. ლუკა მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რა მოხდა, რუბენ, რა გატირებს?

— მტრედები მომპარეს! — როდის, როდის უპასუხა ჯუჯამ, თან მუჭით მოიწმინდა ცრემლი.

მწვანე სამტრედეს კარი ღია იყო. წუხელ ღამით გამიტეხესო, — ამბობდა მემტრედე და ლუკასთან ერთად ამოწმებდა გატეხილ კარს, დაცარიელებული სამტრედე დამბალი და დაობებული პურითა და ნაედომით ყარდა.

ასეთ დროს ძნელია კაცი ანუგეშო. მით უმეტეს, ძნელი იყო ლუკასთვის, რომელმაც ძლივს მოახერხა ეთქვა, — გული დამწყდაო. ლუკას მართლა შეეცოდა რუბენა და გულიც ნამდვილად დაწყდა. ჯუჯა თუმცა თავზე დაჰკანკალებდა თავის მარჩენალ მტრედებს, მაგრამ სტადიონზე ასაფრენად მაინც ემეტებოდა. ლუკასაც ერთხელ წაუყვანია უბეში ჩამალული მტრედები და პირველი გოლის გატანისთანავე აუფრენია. მერმე უღელვია კიდეც, ვაითუ სახლს ვეღარ მიაგნონ და დაიკარგონო. ღელვა ამაო გამომდგარა, ეზოში შესვლისას ამაყად მომღიმარი რუბენას ქოსა სახე დაუნახავს და მიმხვდარა, რომ მტრედებს გზა არ შეშლიათ და თავისი სახლის კრამიტიან სახურავზე უკლებლივ დაფრენილან.

— სულ რამდენი იყო? — ჰკითხა ლუკამ.

— ოცი წყვილი. — დაუფიქრებლად უპასუხა ჯუჯამ.

ლუკამ სინანულით გააქნია თავი და ჭიშკრისკენ გასწია ზლაზვნით, გულმოკლული მემტრედე ლაპარაკ-ლაპარაკით მიაცილებდა, ჯუჯას ბოლომდე არ ჰქონდა იმედი გადაწურული.— თუ თვეობით არ დაამწყვდიეს ან არ შემიჭამეს, ნახევარზე მეტი მაინც დამიბრუნდებაო. მართლაც, ოთხი მტრედი ერთი კვირის შემდეგ მოფრინდა. საწყლები ძალზე დაუუჭყიანებულები და დამშეულ-დაღლილები იყვნენ. ეტყობოდათ, შორი და ძნელი გზა გამოევლოთ, ვიდრე თავის ძველ ბუდეს მიაგნებდნენ. მერმე კიდევ სამი მტრედი დაბრუნდა, ესენიც ადრე-მოფრენილებს ჰგავდნენ. ჯუჯა სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა, მაგრამ ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა: ეს იყო და ეს, ორმოციდან მხოლოდ შვიდმა მოაგნო თავის ძველ სამყოფელს.

ლუკა იმ დღეს მემტრედე რუბენამ ლაპარაკით შეიყოლია

და პირველ გაკეეთილზე დააგვიანდა. იგი გზაშივე მიხვდა, პირველ ზარს, გინდაც სირბილით გამსკდარიყო, მაინც ვეღარ მიუსწრებდა და ამიტომ სულაც არ აჩქარებულა.

მათი სკოლა ბელგიის ქუჩაზე გადაიტანეს. შენობა არც ისე ურიგო გამოდგა. მაგრამ თავისი ვიწრო დერეფნებითა და პატარ-პატარა საკლასო ოთახებით, ძველს მაინც ვერ შეედრებოდა. ერთი მტკავალი ეზოც შესვენებებზე უწყალოდ ზღუდავდა მოსწავლეთა ცელქობისა თუ გართობის შესაძლებლობებს. ამ სკოლას ერთი სიკეთე მაინც აღმოაჩნდა. იგი ,ძველ სკოლასთან შედარებით ახლოს იყო და ლუკა შინიდან უკვე ათი წუთით გვიან გამოდიოდა.

თუ აგვიანდებოდა, ერთი პატარა, სწორი ქუჩით მოჭრიდა გზას. ეს ქუჩა მეტად მოსახერხებელი იქნებოდა, ვიღაც დაბალ-დაბალი, შავტუხა ბიჭი რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე. იგი საულვაშეზე წამოზრდილი შავი ღინღლით, მოსწრებული ცხვირითა და დაფანჩული წარბებით შიშის ზარსა სცემდა ლუკას. ქუჩის თავშივე შეაჩერებდა და მაშინვე გაუჩითავდა ჩანთას. საშლელს, ფანქარს, კალმისტარს ან სუფთა რვეულს, ერთი სიტყვით, რაც მოეწონებოდა, წაართმევდა, მერმე ერთს გემრიელად დააპანღურებდა და სკოლაში გაისტუმრებდა.

ლუკა არც ისე მხდალი და უძლური ბიჭი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უბანს — გეოგრაფიულ გარემოს— ეძლეოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ფიქრებში ხშირად გაუტყუებია ეს წარბებდაფანჩული, მრისხანე ბიჭი თავის უბნისკენ და გვარიანადაც მიუბეგვავს, მაგრამ ეს მხოლოდ წარმოსახვა, შეურაცხყოფილი და დამცირებული კაცის ფიქრები და სურვილები იყო.

ლუკას, რა თქმა უნდა, ისიც შეეძლო მეგობრები მიეყვანა და საერთო ძალით გასწორებოდა შარაგზის ყაჩაღსა თუ არამკითხე მებაღეს მისსავე უბანში. ასეთი რამ არ უკისრია, რადგან ერთზე რამდენიმე ბიჭის თავდასხმას არაკეთილსინდისიერ საქციელად თვლიდა. თანაც პირველსავე დღეს ნაჭამი შიშისა და სიმხდალის გამჟღავნების რცხვენოდა. რცხვენოდა იმდენად, რომ გახსენებისას წითლდებოდა კიდეც. ამ სირცხვილს არავის უმხელდა, თვით ანდუყაფარსაც კი. გულშივე იკლავდა და იბოღმებოდა. მეორე დღეს შურისძიებით აღჭურვილი გაემართებოდა საბედისწერო ქუჩისაკენ, რათა მარტოდმარტო

გასწორებოდა მოწინააღმდეგეს. მაგრამ დაინახავდა თუ არა მებაჟეს, კარგად მოფიქრებული და ყოველმხრივ აწონ-დაწონილი შურისძიება თავისთავად გადაიდებოდა მეორე დღისათვის, ხოლო ლუკას კვლავ დაეუფლებოდა ამაზრზენი, დაუძლეველი სიმხდალე, რომლის გამოც მერმე საკუთარი თავი სძულდა.

ამ სამი დღის წინათ, ლუკამ ისევ მოჰკრა ქუჩის კუთხეში მდგარ შავტუხას თვალი და, — იქნებ ამჯერად მომეშვასო, — არც გაუხედავს მისკენ, ჩქარი, საქმიანი ნაბიჯითვე განაგრძო გზა სკოლისკენ. თავი გადარჩენილი რომ ეგონა, სწორედ იმ დროს დაუძახა მებაჟემ:

— ეი, ჩვენი ძმა!

ლუკას შიშისაგან გული გადაუქანდა და შეჩერდა.

— მოდი აქ! — უბრძანა ქუჩის გადაღმა კედელზე მიყუდებულმა, თან თითით ანიშნა, — გადმოდიო.

„არ გადავალ!“ — ჯიუტად გაივლო გუნებაში ლუკამ.

— მოდი აქ-მეთქი!

— რა გინდა?

— გადმოდი!

— არ გადმოვალ! — უპასუხა ლუკამ, მაგრამ ტროტუარიდან ქვაფენილზე მაინც გადავიდა.

მან ცალი თვალით დაინახა, რომ იქვე სადარბაზოდან გამოსული ბიჭი იდგა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მათ მისჩერებოდა. შესაძლოა, ამ ბიჭის გამოც გაჯიუტდა ასე; წინათ ლუკას დამცირებასა და დაცემას არავინ დასწრებია, ახლა კი ვიღაც უფროსი ვაჟი უნებურად ხდებოდა მისი ლაჩრობისა და სიმხდალის მოწმე. საკუთარ ძალაში დარწმუნებულ მებაჟეს სახეზე გესლიანი ღიმილი გაუკრთა, კედელს მოშორდა და ზლაზვნით გადმოდგა სამიოდე ნაბიჯი.

— მაშ, არ მოდიხარ, არა?!

— არა!

უცნობი ვაჟი მათკენ გამოეშურა, ისიც ზლაზვნით წამოვიდა, მიახლოვებას არა ჩქარობდა, ალბათ აინტერესებდა მის ჩაურევლად როგორ განვითარდებოდა მოვლენები. შავტუხა ბიჭი ტროტუარის კიდესთან იდგა, წარბებდაფანჩულ სახეს წელანდელი ღიმილი გასცლოდა და ლუკასთვის მეტად ნაცნობი იერი დაბრუნებოდა. ეს ის მზერა იყო, რომელიც შიშის ზარსა სცემდა. ახლა უკვე ლუკას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვე-

ტილი არ დაეთმო, თუნდაც ეს წინააღმდეგობა სიკვდილის ფასად დასჯდომოდა.

ლუკამ უცებ აღმოაჩინა, ძველი შიში და სიმხდალე გაჭრობოდა. საოცარი კია, მაგრამ ასე იყო, მას ახლა ამ ორი მეტოქისა უფრო არ ეშინოდა, ვიდრე იმ ერთისა, რომელიც თითქმის ყოველდღე ხვდებოდა ამ ქუჩაზე.

— გამარჯობა, ნაკეცა! — მიესალმა შავტუხა უცნობ ვაჟს და ერთგვარი ღირსების გრძნობითაც კი გაუღიმა.

— რა შენი ნაკეცა ვარ, შე ლაწირაკო!

— ჰო... — უცბად დაიბნა შავტუხა მებაჟე, — გამარჯობა, ირაკლი!

ირაკლი ლუკას მიუბრუნდა:

— მოდი აქ, ნუ გეშინია!

— არ მეშინია! — უპასუხა ლუკამ და ქუჩა გადმოსჭრა.

— ამასთან რა ანგარიში გაქვს?

ლუკამ მხრები აიჩეჩა.

— საქმე რომ იყოს, გახვალ?

ლუკა შეყოვნდა.

— ქართველი ხარ?

— კი... — უპასუხა ლუკამ.

— რა გქვია?

— ლუკა.

— აბა, ცოტა ზევით წამოდით. — ორივეს მიმართა ირაკლიმ.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯი გაიარეს. ირაკლი ერთ ჭიშკართან შეჩერდა და შეიხედა. ლუკამაც თვალი გააპარა იქითკენ, ეზოში შესასვლელი გვირაბიც და ეზოც ცარიელი იყო, არავინ ჩანდა.

— შედით და დაარტყით... — უთხრა ირაკლიმ ერთსაც და მეორესაც, მერმე ლუკას მიუბრუნდა, — ეგ ჩანთა, მე მომეცი. დაგიჭერ.

— ვისა, ამას უნდა ვეჩხუბო?! — გაიცინა გაკვირვებულმა შავტუხა მებაჟემ, — ერთი რომ დავარტყა, მოვკლავ! — მერმე მარჯვენა მუშტი შეკრა და დაჭიმული მკლავი ნელ-ნელა ჭოლუნა, — შენ მუსკულები ნახე!

ლუკას გამალებით დაუწყო გულმა ცემა, ასეთი ძლიერი და გამალებული გულისცემა არასდროს ეგრძნო. გაფითრდა,

მკლავები მოუდუნდა და უღონოდ ჩამოუცვივდა. როცა მეტოქემ გამომწვევი გაბედულებით გადააბიჯა ჭიშკარს და გვირაბში შევიდა, ლუკამ უნდობლად გაუწოდა ირაკლის ჩანთა, მანამდე კი გაიფიქრა, — მოდი, ერთს აქედან მოვუსვამ და მერმე ამ ქუჩაზე ჩემს სიცოცხლეში ფეხს აღარ დავდგამო,— მაგრამ არც ისეთი ლაჩარი იყო, რომ ეს დამამცირებელი ფიქრი განეხორციელებინა.

შეჰყვა და მუშტაბიც მოიმარჯვა, საჩხუბრად განეწყო როგორც კი შეხედა საბრძოლველად გამზადებულ მეტოქეს, გაიფიქრა, — ამ თავხედს, ეტყობა, ჯერ არავისთან, არასღროს არ უჩხუბიაო. ისე სასაცილოდ იგრიხებოდა და ისე უშნოდ იტრიალებდა ცხვირწინ მუშტებს, ერთი წამით შეეცოდა კიდეც. ლუკას დიდხანს აღარ დაუყოვნებია, გაუქანა და სახეში ლეწა მუშტი. ვაი, მამაჯანო! — იღრიალა შავტუხა მებაყემ და ქუჩაში გავარდა, ლუკამ პანღურის ამოკვრა დააპირა და ფეხსაცმლის ჭვინტი ძლივს მიაწვდინა გაქცეულს.

ღღეს კი სკოლაში დაგვიანებით მისულმა, ირაკლი, იგივე ნაკეცა, თავის კლასში აღმოაჩინა, უკანა მერხზე მორცხვად მჯდარი. საკლასო ოთახიდან თითქმის არც ერთი არ გასულიყო გარეთ, რადგან ახალი მოსწავლე აინტერესებდათ და ყველანი ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდნენ და ამოწმებდნენ.

როგორც კი ლუკა დაინახა, წამოდგა, სახეგაბადრული გამოემართა და ხელი ჩამოართვა.

— გამარჯობა, ლუკა.

— გაგიმარჯოს.

— როგორა ხარ?

— რა ვიცი, არა მიშავს.

— ის ხომ აღარ დაგხვედრია?

— არა.

— რას დაგხვდებოდა. ეგეთი მშიშარა მეორე არ ცხოვრობს ჩვენს უბანში.

თანაკლასელები სულ დაიბნენ და ტყემლად გადაიქცნენ, ასეთი მეგობარი რომ აღმოაჩნდა მოულოდნელად ლუკას. ლუკაც და ირაკლიც უმალვე მიხვდნენ ამას და თავიანთი ძველი ურთიერთობა წინასწარ შეუთანხმებლად, უფრო მეტად გაუმჭვირვალე ნისლით შებურეს.

— შენ ხომ არ გინახავს? — ახლა თავის მხრით ჰკითხა ლუკამ.

— არა, არ მინახავს. — გაეღიმა ორაზროვნად ირაკლის.

— ძალიან კი მინდა შემხვდეს.

— ყურებზე ხახვი არ დაგაჭრას.

მთელი კლასი გაყუჩებული და გაბრუებული მისჩერებოდა მოსაუბრეებს.

— წამო, თითო გავაბოლოთ ეზოში. — შესთავაზა ირაკლიმ.

— მე არ ვეწევი.

— არა?

— არა.

— ხო, მართლა, არ ეწევი. მერმე რა, მაინც წამომყევი.

— სიამოვნებით, მაგრამ ვერ მოვასწრებთ, საცაა ზარი დაირეკება.

— მართლა?

— კი.

— მაშინ დიდ დასვენებაზე იყოს. — ირაკლიმ ჯიბისკენ წაღებულ ხელს მიმართულება შეუცვალა და მხარზე დაუტყაპუნა ლუკას.

მალე ზარი დაირეკა და საკლასო ოთახში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ზაქარია ინწკირველი შემოვიდა, დაბალი, ჭაღარა ბერიკაცი, რომელსაც დიდსა და კეხიან ცხვირზე ოქროს პენსნე ეკეთა. ზაქარია ინწკირველი ძველი პედაგოგი იყო, თბილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში კლასიკურ ენებს — ბერძნულსა და ლათინურს ასწავლიდა, მაგრამ სკოლებში ამ ენების გაუქმების შემდეგ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას შეუდგა. წელს ბავშვებს დამრიგებლად მოევლინა და ცდილობდა ყოველთვის მკაცრი და სამართლიანი ყოფილიყო. კლასის დამრიგებელი სამართლიანი აღმოჩნდა, ოღონდ, რაც შეეხება, სიმკაცრეს, მაშინვე აუღეს ალღო და გაუგეს, რომ ეს სიმკაცრე მოჩვენებითია და ერთგვარად გაუთამამდნენ კიდეც. თუმცა სამართლიანობის გამო მისი პატივისცემა არ დაუკარგავთ.

ზაქარია ინწკირველმა სიის ამოკითხვამდე შენიშნა ახალი მოსწავლე. — რა გვარი ხარო, — ჰკითხა და თავის მაგიდას მიუჯდა. ირაკლი მაშინვე წამოდგა და თავაზიანად მიუგო:

— დევდარიანი, პატივცემულო მასწავლებელო.

— რა გქვია.

— ირაკლი.

— შალვა დევდარიანის რა ხართ?

— არაფერი.

— კარგი კაცი იყო შალვა... რომელ სკოლიდან გადმოხ-ვედი?

— მეოცდახუთედან.

— მეოცდახუთედან კი არა ოცდამეხუთედან. — შეუსწორა ინწკირველმა.

— დიახ, ოცდამეხუთედან.

მთელი კლასი სულგანაბული უსმენდა მასწავლებლისა და მოსწავლის საუბარს, ყველას ერთნაირად აინტერესებდა ახალი თანაკლასელის ბიოგრაფია.

— გეტყობა, ჩარჩენილი ხარ კლასში.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო. — დაუყოვნებლივ უპასუხა ირაკლიმ.

— თანაც, თუ არ ვცდები, ორჯერ უნდა იყო ჩარჩენილი.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო!

კლასის ცნობისმოყვარეობა დაიძაბა, რადგან ბავშვებს ერთხელ დარჩენილი მოსწავლე რამდენიც გნებავთ, იმდენი ენახათ, ხოლო ორჯერ დარჩენილს პირველად ხედავდნენ.

— ისე, ზრდილობიანი ბიჭი ჩანხარ... მაგრამ, როგორც ჩანს, კლასიდან კლასში გადასვლისათვის მხოლოდ ზრდილობა არ კმარა. — ჩაილაპარაკა თავისთვის ინწკირველმა.

ირაკლი გაწითლდა. ეტყობა, გაბრაზდა კიდეც, რადგან გესლიანად გაიღიმა.

— დაჯექი.

ირაკლი დაჯდა.

დამრიგებელმა საკლასო ჟურნალი გადაშალა, სიას გადახედა და ვიღაცას თვალით დაუწყო ძებნა, მალე მზერა ლუკაზე შეაჩერა.

— რატომ გააცდინე პირველი გაკვეთილი?

— დამაგვიანდა, მასწ. — წამოდგა ლუკა.

— ხვალვე მოვიდეს დედაშენი.

— დედაჩემი ვერ მოვა.

— რატომ?

ლუკამ არაფერი უპასუხა.

— რატომ ვერ მოვა, გეკითხები!

— პატივცემულო მასწავლებელო, — მეზობელი მერხიდან მაიკო წამოდგა.

— ლუკას დედა ომის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე გაემგზავრა უკრაინაში თავისი მეუღლის სანახავად და დღემდე არ დაბრუნებულა, წერილიც კი არ მიუღიათ... უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— ეს რა უბედურებაა!.. აქამდე რატომ არ მითხარი ბიჭო?!

— რა ვიცი... რატომ უნდა მეთქვა,

— კარგი, დაჯექი.

— დეიდა კი ამ ერთი თვის წინ დაასაფლავეს. — ეს ცნობაც მაიკომ მიაწოდა ზაქარია ინწკირველს.

— დასხედით. დასხედით.

მაიკო და ლუკა დასხდნენ.

ლუკას გუნება შეეცვალა, თითქოს პირველად ახლა შეიტყო, რომ დედა უგზო-უკვლოდ დაჰკარგოდა. უცებ როგორღაც თავბრუ დაესხა და სახეზე ოფლმა გამოჟონა, მოეჩვენა თითქოს შიმშილისაგან გული ერეოდა. გაფითრებული იდაყვით მერხს დაეყრდნო და თვალები დახუჭა.

— რა მოგვიდა, ლუკა? ცუდად ხომ არა ხარ? — წასჩურჩულა გვერდით მჯდარმა მიტომ.

— არაფერი. არაფერი... ცოტა დამაცადე... — უპასუხა ლუკამ.

თავი მერვე

ბოლო გაკვეთილი რომ დამთავრდა, ზაქარია ინწკირველი დერეფანში დახვდა ლუკას და სამასწავლებლოში შეიყვანა. იქ დაწვრილებით გამოჰკითხა დედის ამბავი, მერმე კიბემდე მიაცილა და გაამხნევა კიდეც, — ნუ გეშინია, უსათუოდ დაბრუნდებაო.

გარეთ გამოსულს მაიკო დახვდა სკოლის ეზოსთან ატუზული. სხვა ამხანაგები შინ წასულიყვნენ. ირაკლი, რომელმაც ლუკას შესთავაზა, დიდ დასვენებაზე გავაბოლოთო, უკვე ზა-

ქარია ინწკირველის გაკვეთილის შემდეგ გაიპარა და სკოლაში ბარე ხუთი დღე აღარ გამოჩენილა.

მაიკო და ლუკა ერთად წამოვიდნენ, ლუკა ატყობდა, მაიკოს ერთი სული ჰქონდა გაეგო, გაკვეთილების შემდეგ რატომ დატოვა კლასის დამრიგებელმა, მაგრამ თავს იკავებდა და შეკითხვას ვერ უბედავდა. ლუკაც არ იყო ლაპარაკის გუნებაზე და ისე უსიტყვოდ მიდიოდნენ ერთხანს. ქუჩა თითქმის ცარიელი იყო. ორჯერ სამხედრო პატრულები შეხვდნენ. პატრულები ქუჩა-ქუჩა აუჩქარებლად დადიოდნენ, ზოგჯერ მოქალაქეებს აჩერებდნენ და საბუთებს უსინჯავდნენ.

ასე ხმისამოუღებლად გამოიარეს რამდენიმე ქუჩა და საპარიკმახეროსთან მივიდნენ. ეს საპარიკმახერო იქვე, მაიკოს ეზოსთან იყო მიდგმული, მაიკო თითქოს მიუხვდა, ლუკას შინ მისვლა რომ არ უნდოდა და შესთავაზა — ცოტა ხანს ჩვენთან შევიდეთო. ლუკამ ჯერ იუარა, მაგრამ მალევე დაეთანხმა—კარგი, ცოტა ხანს შემოვალო.

ეკლესიას ირგვლივ ერთსართულიანი და ორსართულიანი პატარ-პატარა ხის აივნებიანი სახლები შემორტყმოდა. რიყის ქვით მოკირწყლული ეზო სუფთად იყო დაგვილი. ლუკამ და მაიკომ ეზო გადასჭრეს და ეკლესიის უკან ცისფერად შეღებილ შუშაბანდს მიადგნენ. მაიკომ ჩანთიდან გასაღები ამოიღო. შუშაბანდის კარი გააღო და ლუკას შეუძღვა.

როგორც კი შევიდა ნახევრადბნელ შუშაბანდში, საიდანაც უფრო ბნელი ოთახი მოჩანდა, ლუკას უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა და მაშინვე ინანა, აქ შესვლას რომ დაეთანხმა. თვითონაც არ იცოდა, რატომ დაეუფლა ასეთი გრძნობა, ფეხი ძლივს ჰქონდა შემოდგმული და უკვე შინ გაბრუნებაზე ფიქრობდა. გაახსენდა, ანდუყაფარს რომ შეჰპირდა, სკოლიდან მალე დაებრუნდებიო. ჯერ ერთი, პური უნდა მიეტანა და ეზოში შემოსვლამდე შენიშნა, რამხელა რიგი იდგა პურის მაღაზიასთან. მეორეც, პარკების კეთებაში უნდა მოხმარებოდა. ეს საქმე დათიკო ბერიშვილმა გაუჩინა, მასვე მოჰქონდა ანდუყაფარისათვის დაჭრილი ქაღალდი და ყოველ დამზადებულ პარკში რვა თუ ათ კაპიკს აძლევდა.

მაიკომ ჩანთა ფარდაგგადაფარებულ ტახტზე მიაგდო. მერმე ლურჯი ჟაკეტი გაიხადა და კედელზე მიჭედილ ხის საკიდ-

ზე ჩამოჰკიდა. ლუკასაც გამოართვა ჩანთა და ისიც ტახტზე მოისროლა.

— იცი რა, მაიკო, მოდი, მე წავალ.

— მოიცადე, რა.

— არა. ანდუყაფარს შევპირდი, პურს მოგიტან-მეთქი.

— დიდხანს არც მე გაგაჩერებ.

— არა... არა...

— ანდუყაფარი ცოტა ხანს მოიცდის, არაფერი უშავს.

შუშაბანდში ტახტი, კარადა და მუშამბაგადაფარებული მაგიდა იდგა. მაგიდაზე გაურეცხავი ჭურჭელი იყო დახვავებული.

— არც გუშინ და არც დღეს დილით წყალი არ მოდიოდა.— მოუბოდიშა მაიკომ ლუკას, მერმე ოთახში შევიდა და სინათლე აანთო.

განათებული ოთახი გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე შუშაბანდიდან ჩანდა. აქაც იდგა მაგიდა და ერთი ტახტი. ამას გარდა ოთახს ავსებდა ორი ნიკელის საწოლი, ტანსაცმლისა და ჭურჭლის კარადები, ვენური სკამები. ჭერიდან კედელზე ჩამოშვებული იყო ჭრელი, სპარსული ნოხი, რომელიც ტახტს მთლიანად ეფინებოდა. ნოხზე შავ ჩარჩოში ჩასმული ქალისა და მამაკაცის ძველი, გახუნებული სურათი ეკიდა.

— ეს ჩემი საყვარელი ტახტია. — თქვა მაიკომ, სწრაფად შემოუარა მაგიდას და ტახტზე მუთაქებსა და ყურთბალიშებს შორის რბილად დასკუპდა. მერმე ერთ-ერთი მუთაქა გაისწორა, მკლავსა და ზურგს მოარგო. ფეხები ზევით აიტანა და ნებიერად მიწვა.

ლუკა შუა ოთახში შტერივით იდგა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, დამჯდარიყო თუ ასევე ფეხზე მდგარს ეცქირა მაიკოს ნებივრობისათვის. მაიკო აღტაცებული შეჰყურებდა ლუკას. იგი კმაყოფილი ჩანდა. ეტყობა, ძალზე მოსწონდა თავისი ტახტი, რომელიც მყუდროების ელფერს ანიჭებდა ოთახს და მართლაც მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო წამოსაწოლად.

— მე აქ წამოვწვები და ვოცნებობ ხოლმე. — თქვა მაიკომ,—ჩვენები საღამომდე არ ბრუნდებიან შინ და მე სულ მარტო ვარ ხოლმე. მე ისე მიყვარს მარტო ყოფნა. — ახლა

ტახტის მარცხენა მხარეს გადაინაცვლა. იქაც მოირგო მუთაქები და მიწვა, თითქოს ლუკას უმტკიცებდა: ეს ტახტი მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არის შექმნილი, რომ ზედ ჩემისთანა ციცქნა არსებას, როგორც მოესურვება, ისე წამოწვეს და იოცნებოსო.

— კარგი ტახტია.— როგორც იქნა, აღიარა ტახტის ღირსება ლუკამ.

— მოდი, დაჯექი.

— მე აქ დავჯდები. — ლუკამ სკამი გამოაჩოჩა და დაჯდა.

— იცი რა, ლუკა, ამ ერთ წელიწადში ძალიან გაიზარდე.

— რა ვიცი, მე ვერ ვატყობ.

— კი, ძალიან... მე სულ არ გავზრდილვარ... დედაჩემი მეუბნება — ტანს უცებ აიყრიო... ბავშვობაში მეც შენსავით ვიყავიო...

— რა თქმა უნდა, აიყრი.

— გინდა, კარტი ვითამაშოთ!

— მე არ ვიცი კარტის თამაში.

— არც ერთი!

— არც ერთი.

— რა სასაცილოა!

მერმე დუმილი ჩამოვარდა. ეს დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. ყოველ შემთხვევაში ლუკას მოეჩვენა, რომ ორივენი ძალიან დიდხანს დუმდნენ. ლუკა წამოდგა და კედელზე გაკრულ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჩარჩოში ჩასმულ სურათებს დაუწყო თვალიერება. თითქმის ყველა სურათზე მაიკო იყო აღბეჭდილი. ყველა ასაკის მაიკო — აკვნიდან დღემდე. მშობლებთან ერთად გადაღებული, ხან — ცალკე. „ლამაზი გოგოა, — გაიფიქრა, — ანდა ეტყობა, სურათში გამოდის ლამაზად". ლუკა უცებ მობრუნდა, თითქოს თავისი ფიქრის შემოწმება უნდოდა, მართლა ლამაზი იყო მაიკო, თუ ფოტოსურათზე აღბეჭდილი ჩანდა ლამაზად.

მაიკო ახლა გულაღმა იწვა ტახტზე. დიდრონი შავი თვალები ჭერისათვის მიეპყრო, ლუკამ საკუთარი გულისცემა გაიგონა და გაინაბა. მერმე, თითქოს გამაბრუებელი სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი შეისუნთქა, ძარღვები სასიამოვნოდ მოუდუნდა და შეუმჩნეველად აიტანა თრთოლვამ. ნელ-

ნელა მიუახლოვდა მაიკოს და სახეზე დახედა. მაიკოს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— რა გატირებს, მაიკო?

— წადი!

— კარგი, წავალ.

— არა. ჯერ ნუ წახვალ! ცოტახანს მოიცადე!

— კარგი, მოვიცდი.

თვალებში დაგუბებულმა ცრემლმა ჯებირი გადალახა, უცებ გაიელვა და ნოხზე დაცემისთანავე ჩაქრა, სახეზე სველი ზოლები დატოვა.

— რა გატირებს?

მაიკო ტახტზე წამოჯდა და საყვედურით შეაშტერდა ლუკას, მერმე დამშვიდებული ხმით უთხრა:

— ახლა წადი!

— წავიდე?

— ხო, წადი!

— არ მეტყვი, რატომ იტირე?

— არა!

— როგორც გინდა!

ლუკა გატრიალდა, შუშაბანდში ტახტზე მიგდებულ ჩანთას დაავლო ხელი, კარი გააღო და ეზოში გავიდა. ეზოში ისევე, როგორც შემოსვლისას, არავინ შეხვედრია. ჩქარი ნაბიჯით გაიარა ქვაფენილი და ქუჩაში გასულმა უკან მოიხედა. თუმცა წინდაწინვე იცოდა, რომ მაიკოს პატარა სახლს ეკლესია ეფარებოდა და ვერ დაინახავდა.

შინისკენ მიმავალმა ნაბიჯი შეანელა. გრძნობდა, რაღაც ძალა თანდათან როგორ ექაჩებოდა უკან, სადაც დიდი ბბაჟური იასამნისფერ შუქში ხვევდა ოთახს, სადაც სპარსულ ნოხზე მაიკო იჯდა და ტიროდა. ოღონდ ასე ფეხმორთხმულად მჯდარის ნახვა აღარ ეწადა. მას უნდოდა, კიდევ ერთხელ ენახა გულღიმა მწოლი, დიდრონი თვალებით ჭერს მიშტერებული მაიკო.

ლუკა ფეხს ითრევდა. მაგრამ, როგორც არ უნდა აეთრია ფეხი, გზა მაინც დაილია და იგი თავის ჭიშკართან აღმოჩნდა. ეზოდან გამომავალი ძველი დაბალი ძლივს მობაჯბაჯებდა. ლუკასთან ისე შეჩერდა, თითქოს შეისვენაო, და ჰკითხა:

— როგორ ხარ, ლუკა?

— გმადლობთ. თქვენ თვითონ როგორ ბრძანდებით, ძია გრიგოლ?

— ღმერთი რომ კაცს დაივიწყებს, ისე ვარ... იმ დღეს დეიდაშენს ვაწყენინე, არა?

— სულაც არ სწყენია, ძია გრიგოლ.

— ეგეთ მურდალ საქმეზე შუაკაცობა არ უნდა იკისრო ხოლმე... მაგრამ რა მექნა, არ მომეშვა ის მამაცხონებული.— ძველი დაბალი უცნაურად შეირხა, თითქოს იჯდა და წამოდგომა სცადაო. მერმე მძიმედ წააჩოჩიალა დახუთული ფეხები თავის დარაბისაკენ.

ლუკამ ეზოდანვე დაინახა მეორე სართულის აივანზე მოსეირნე ანდუყაფარი და გაიფიქრა: მე მელოდება, ეტყობა ძალიან დავაგვიანეო. ორივე სართულის კიბეები აირბინა, ჩანთა შუშაბანდის წინ მდგარ მაგიდაზე დატოვა და ანდუყაფარს დარცხვენილი მიეახლა.

— დავიკარგე, არა?

— არც ისე.

— წიგნაკი მომე, პურს მოგიტან.

— დედაჩემმა მომიტანა... ეს-ესაა წავიდა.

— ხომ არ იცი, შინ არის დეიდაჩემი?

— მგონი, არ უნდა იყოს. გშია?

— არა.

— თუ გშია, წამოდი ცოტას გაჭმევ.

— არა, სულ არ მშია. გინდაც მშიოდეს, შევალ და ჩვენთან შევჭამ. დეიდა ნატო საჭმელს დატოვებდა.

— კი.

— გაიგე მტრედების ამბავი?

— მტრედების მოპარვა აღარ გამიგია.

— შარშანაც ხომ მოპარეს?

— ის სხვა იყო, შარშან ერთი წაიყვანეს... რომ იცოდე იმ მტრედს მთელი თბილისის მემტრედეები ემტერებოდნენ. ეხლა კი მთლიანად გაძარცვეს. საწყალი ჩემთან ამოვიდა და იტირა.

— დილითაც ტიროდა.

— ისეთი დრო დადგა, მტრედებით თავს მაინც ვერ გაიტანდა. პარკების კეთება უნდა დავიწყოო. — მოვიდა და სამი ოთხი საათი მეხმარებოდა. ბერიშვილი მაგასაც შეჰპირებია.

თანაც უთქვამს, შენი სარდაფი მომაქირავე, ქალალდის საწყობად მჭირდებაო.

ძვეგით ეზოში ქერათმიანი ქალიშვილი გამოჩნდა. ანდუყაფარმა ლუკას გადახედა და უთხრა:

— ეგ არის.

ლუკა უცებ ვერ მიხვდა, ვინ იყო და ანდუყაფარმა დაუზუსტა:

— კოტიკოს ქალიშვილია, გუშინ რომ მოუყვანეს ძია ლადოს.

— მართლა?

— კარგი გოგოა!

ქერათმიანი ქალიშვილი ცაცხვის ქვეშ მერხზე დაჯდა და მიუხედავად იმისა, რომ ცაცხვს ფოთლები შემჭკნარი და სანახევროდ დაცვენილი ჰქონდა, მეორე სართულზე მოსაუბრენი მაინც ვერ ხედავდნენ.

— თურმე იზა ჰქვია.

— იზა?

— რა გაგიკვირდა!

— რა ვიცი...

— გაიგე, კოტიკო რომ დაღუპულა?

— როგორ თუ დაღუპულა?

— ცნობა მიუღია ძია ლადოს, ფოსტალიონს ასე უთქვამს რუბენასთვის. გუშინ იმ ქალს გოგო რომ მოუყვანია, ძია ლადოს უკვე სცოდნია დაღუპვის ამბავი, მაგრამ არ გაუმხელია, კოტიკოს დედას უმალავს თურმე.

ლუკას უცებ აეწეწა და აემღვრა გუნება, ის ბედნიერი წინაგრძნობა, რომელიც აქამდე ასულდგმულებდა, მოულოდნელად ჩაეღვეელფა. ნელ-ნელა ინავლებოდა იმედი, რომ ოდესმე მაინც იხილავდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ მშობლებს. კოტიკო ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ წავიდა, ლუკას მშობლები კი პირველივე დღიდან იქ იყვნენ. მათ თავზე გადაიარა პირველმა ქარიშხალმა. ახლაც ისევე გაფითრდა, როგორც სკოლაში და სახეზე ცივმა ოფლმა გამოჟონა. ისევ დაეხვა თავბრუ და გული აერია.

— უკვე მოვიდნენ! — თქვა ანდუყაფარმა.

ლუკამ გაიგონა ანდუყაფარის სიტყვები, მაგრამ მისი მნიშვნელობით არ დაინტერესებულა, მისთვის სულერთი იყო

ახლა, ვინ მოვიდა ან რატომ მოვიდა. თავბრუ ეხვეოდა და მისი გონება ამღვრეული ბურუსით იყო მოცული... ლუკას რაღაც გაურკვეველის, უსახოსი და უფორმოს დანახვა თვალნათლივ, გარკვეულად უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან თვითონ არ იცოდა, რისი წარმოსახვა სურდა.

— რუბენას სარდაფს ათვალიერებენ, — თქვა ანდუყაფარმა. — ეტყობა, ბერიშვილს საქმის გადადება არ უყვარს.

ლუკა უჩუმრად გაეცალა იქაურობას, თითქოს ვიღაცას გაეპარა, ფეხაკრეფით წავიდა შუშაბანდისკენ. კარი დაკეტილი აღმოჩნდა. მაგიდაზე ხელი მოაფათურა და გასაღები მონახა, მერმე მუშამბის ქვეშ ხელი შეჰყო და გასაღები გამოიღო.

— ლუკა! — გაიგონა ანდუყაფარის ხმა, — ლუკა, მოდი აქ.

— რა იყო?

— შენი მეგობარი გოგონა მოდის.

ლუკა სირბილით მიიჭრა მოაჯირთან და ეზოში გადაიხედა. პირველი სართულის კიბეზე მაიკო ამორბოდა. ლუკა გატრიალდა და მაიკოს კიბისთავთან დაელოდა. მაიკომ პირველი სართულის კიბე ამოირბინა და ზედა სართულს ამოხედა, ლუკა დაინახა, გაუღიმა. ლუკამ ახლახან შენიშნა, რომ მაიკოს ჩანთა მოჰქონდა და უნებურად შუშაბანდთან მიდგმულ მაგიდას გადახედა.

— ჩემი ჩანთა წამოგიღია! — ამოსძახა მაიკომ შუა კიბიდან.

— ახლაღა მივხვდი, — უთხრა ლუკამ, — შენს ჩანთას რომ შევხედე.

ლუკამ აივნიდან კიბეზე ამომავალ მაიკოს რომ მოჰკრა პირველად თვალი, რატომღაც ეგონა, გაღიზიანდებოდა, ამისათვის შეამზადა კიდევაც საკუთარი თავი. მოიღუშა და სახე შეჭმუხნა. მერმე კიბისთავთან მისულმა უეცრად იგრძნო, რომ სრულებითაც არ იყო გაღიზიანებული, პირიქით, მოულოდნელი ნეტარი სიმშვიდე დაუფლებოდა. ეს გარეგნულადაც გამოეხატა სახეზე. ღიმილს ვეღარ იკავებდა. ამასობაში მაიკოც ამოვიდა. ეტყობოდა, სულ სირბილით გამოევლო მანძილი თავისი სახლიდან აქამდე, გული ამომჯდარი ჰქონდა.

— როგორ შეგეშალა, ლუკა. — თქვა და სული მოიბრუნა.

— რა ვიცი, შემეშალა. — ლუკამ დამნაშავესავით გაიღიმა.

მაიკომ ანდუყაფარი დაინახა და თავაზიანად მიესალმა:

— გამარჯობათ, ბატონო ანდუყაფარ!

— გაგიმარჯოს, მაიკო!.. ჩანთები აგერიათ?

— ლუკას შეშლია, ბატონო ანდუყაფარ.

— როგორ შემეშალა! ჩემი შავია, შენი — კი ყავისფერი!

ლუკამ შავი ჩანთა გამოართვა მაიკოს და ყავისფერი დაუბრუნა.

— წავედი,—თქვა მაიკომ.

— რას მორბოდი. ბოლოს და ბოლოს შევამჩნევდი, ჩემი რომ არ იყო და მოგიტანდი.

— მაგას შენ კარგა ხანს ვერ შეამჩნევდი, ჩემო ლუკა. — უთხრა ანდუყაფარმა.

— ნახვამდის, ბატონო ანდუყაფარ!

— ნახვამდის.

მაიკო კიბეზე დაეშვა. ლუკა ჩაჰყვა და ორივემ ერთად ჩაათავეს კიბეები. ეზოში ჯუჯა რუბენა, დათიკო ბერიშვილი და ვიღაც მსუქანი კაცი იდგნენ მწვანე სამტრედესთან. იზა თავისთვის იჯდა ცაცხვის ქვეშ მოწყენილი და დაფიქრებული.

— ღმერთო, რა ლამაზი გოგოა, ვინ არის? — იკითხა მაიკომ ეზოდან გასვლისთანავე.

ლუკამ უთხრა, ვინც იყო.

— ეგეთი ლამაზი გოგო ჯერ არ მინახავს! — გაოცებასა და აღტაცებას ვერ ფარავდა მაიკო.

— მართლა ეგეთი ლამაზია?!

— ვითომ არ იცი?!

— საიდან მეცოდინება, წესიერად არც კი მინახავს. — ლუკას გაახსენდა, კვირას მთელი დღე რომ ელოდა უცნობი გოგონას გამოჩენას, მისი გულისთვის სასაფლაოზეც კი არ წაჰყვა დეიდამისს. ახლა კი როგორღაც სრულებით დაჰკარგვოდა მაშინდელი ცნობისწადილი, გვერდით ისე ჩაუარა, რომ კარგად არც კი შეუხედავს ცაცხვის ქვეშ მარტოდმარტო მჯდარი ქალიშვილისათვის.

— ჩემი ჩანთა ხომ არ გაგიხსნია? — ჰკითხა მაიკომ ფოუთმენლად.

— არა!.. რა იყო?!

— არაფერი.

— რატომ გავხსნიდი? შენს ჩანთაში რა მესაქმებოდა?

— ისე გითხარი, არ გეწყინოს!

ქუჩაში ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვიდნენ ის მსუქანი კაცი და ბერიშვილი. მსუქანმა ცარიელი ეტლი გააჩერა, ჩაჯდა და წავიდა, ბერიშვილი უკანვე შებრუნდა ეზოში.

— კარგი, წავედი, — თქვა მაიკომ.

— გინდა, შენთან წამოვიდე?

— არა. დარჩენა რომ გდომოდა, დარჩებოდი და აქ არ მომარბენინებდი.

— რა ვიცი... შენ არ მითხარი წადიო... თუმცა ახლა მაინც ვერ წამოვალ. სახლის გასაღები წამომყოლია.

— ნახვამდის.

— ნახვამდის. ხვალ ხომ მოხვალ სკოლაში?

— რა თქმა უნდა.

ლუკამ თვითონაც კარგად იცოდა, მაიკო უსათუოდ მოვიდოდა ხვალ სკოლაში და მხოლოდ იმიტომ ჰკითხა, რომ ცოტახნით მაინც შეეყოვნებინა. მაგრამ მაიკომ არ მოიცადა და წავიდა. პატარა, ერთი ციცქნა სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი, როგორც ჩანს ჩანთა ამძიმებდა. ძია გრიგოლს — ძველ დაბაღს სკამი ქუჩაში გამოეტანა, თავისი დარაბის წინ იჯდა და ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა. მაიკომ ჩაუქროლა და უკან მოუხედავად განაგრძო გზა. ლუკას გაუკვირდა, რომ ბერიკაცმა თვალი არ გააყოლა, იგი ხომ იმისთვის იჯდა ქუჩაში, ყველაფრისათვის თვალი ედევნებინა. ახლა კი რატომღაც გამორჩა მაიკო, ვერ შეამჩნია. წინ წახრილი ორივე მკლავით მუხლებს დაყრდნობოდა, ფილაქანს ჩასჩერებოდა და დინჯად მარცვლავდა ქარვის კრიალოსანს. რატომღაც გული დაწყდა ლუკას, მაიკო რომ ვერ შენიშნა ძველმა დაბაღმა.

ეზოში შემობრუნებულმა დაინახა, ჯუჯა რუბენა და იზა ცაცხვის ქვეშ ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და საუბრობდნენ. გაჩერებას არ აპირებდა, მაგრამ რუბენამ დაუძახა, —ცოტახანს აქ მოდიო. ლუკა მოვიდა.

— გაიცანი, — უთხრა ჯუჯამ, — ეს იზაა, ჩვენი კოტიკოს შვილი.

იზამ ხელი ჩამოართვა, თბილი და რბილი ხელი. ვიდრე ლუკა სახეში შეხედავდა, გაიფიქრა, — ნეტავი მართლა თუ ისეთი ლამაზია, როგორც მაიკოს მოეჩვენაო. ყველაზე მეტად

მხრებზე ჩამოშლილმა თმამ გააოცა. არასოდეს ენახა ასე ოქროსფრად ბოელვარე, მბზინავი თმა. ისე ბრწყინავდა, თითქოს საიდანღაც მზის სხივი ეცემოდა.

იზა ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ლუკას სახეში. დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა, პაწაწინა ცხვირი და წითელი, თითქმის სისხლისფერი ტუჩები, ლუკა უცებ გაწითლდა, მოეჩვენა, თითქოს იზა მიუხვდა, ასე გულისყურით რომ ამოწმებდა მის გარეგნობას. წასვლა დააპირა.

— დაჯექი. — შესთავაზა ჯუჯა რუბენამ, რომელიც სულ ერთთავად იღიმებოდა და მაგიდაზე დამჭკნარი თითებით რატომღაც „ბაღდადურს“ უკაკუნებდა.

— გაკვეთილები უნდა დავამზადო — თქვა ლუკამ.

— დაჯექი რა! — ისევ სთხოვა ჯუჯამ.

„ნეტავი თვითონ თუ იცის, ასეთი ლამაზი რომ არის?“ — ფიქრობდა კიბისკენ მიმავალი ლუკა. კიბეები სირბილით აიარა, კიბისთავთან ანდუყაფარი დახვდა უცნაურად აღელვებული.

— რას გელაპარაკებოდა? — შეაგება ლუკას ასვლისთანავე შეკითხვა.

— რა ვიცი, არაფერს...

— ღვთაებრივი გოგოა! — ანდუყაფარმა უცებ მოაბრუნა სავარძელი და თავის ოთახში გაუჩინარდა.

თავი მეცხრე

— თბილად ჩაიცვი! — გამოსძახა შუშაბანდიდან დეიდა ნატომ.

— მეტი რა ვქნა, რაც მაქვს ზედ მაცვია, — უპასუხა ლუკამ და ძველ, საკმაოდ დამოკლებულსა და დავიწროებულ პალტოში გამოკრული შუშაბანდში გამოვიდა.

დეიდა ნატომ ორი ძველებური თითბრის შანდალი ჩააწყო ხელჩანთაში, მერმე სკამზე გადაფარებული კაბა აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, ფრთხილად დაკეცა და შანდლებს დააფარა. მერმე ოთახში გავიდა და ზეწარი გამოიტანა, შეამოწმა ყოველი მხრიდან, სინათლეზეც კი გახედა და დაკეცილი, ისიც ჩანთაში ჩადო.

დეკემბრის უკანასკნელი კვირა დილა იყო, ნოტიო, სუსხიანი, სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. დეიდა და დისშვილი საბურთალოს ბაზრისკენ გაემართნენ.

ლუკას ბევრი რამ ჰქონდა საბურთალოს ბაზრის შესახებ გაგონილი. ბევრჯერაც უნატრია იქ მოხვედრა, მაგრამ ახლა, როცა ამ მძიმე ხელჩანთას მიათრევდა, როცა ორი შანდალი, დეიდამისის კაბა და ზეწარი მიჰქონდა გასაყიდად, ფეხები უკან რჩებოდა. ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა დაეკავებინა ხელში შანდლები და მუშტარს დალოდებოდა. თანაც გულუბრყვილოდ უკვირდა: ის, რაც მათ აღარ სჭირდებოდათ და გასაყიდადაც კი ემეტებოდათ, სხვა რად შეიძენსო? ამიტომ საბურთალოს ბაზარი მისი წარმოდგენით, ერთი დიდი მოედანი იყო, სადაც უამრავი ხალხი მხოლოდ იმიტომ მიდიოდა, რომ ყველა მათგანს უნდოდა რაღაც გაეყიდა.

ლუკამ არც ის იცოდა, როდის გადაწყვიტა დეიდა ნატომ ამ ნივთების გაყიდვა დღეს დილით, გუშინ, თუ გუშინ წინ. დღეს ადრე ადგა და ლუკაც ადრიანად გააღვიძა. — პურის ფული არა გვაქვს და რაღაც-რაღაცეები უნდა გავყიდოთო. რა თქმა უნდა, უარი ვერ უთხრა, ანდა როგორ ეტყოდა უარს. ეს ოხერი, პურის ფული დეიდა ნატოს მარტო თავისთვის ხომ არ უნდოდა? იმ პურს, რასაც წიგნაკებით იღებდნენ, გროშები სჭირდებოდა, ეს გროშები დეიდას არასოდეს შემოელეოდა, მაგრამ ხანდახან, ლუკა არ დამემშესო, სანოვაგისათვის ბაზარშიც დადიოდა, სადაც ყველაფერი ოცმაგად ძვირი ღირდა.

დეიდა ნატომ წერილების წერა შეწყვიტა. ალბათ იმათ, ვისაც ამ წერილებს წერდა, თავი მოაბეზრა და პასუხებს აღარ უგზავნიდნენ. ეტყობა, ბედს დამორჩილდა. არც ლუკას დედას, არც ლუკას მამას აღარ ახსენებდა, თითქოს ამქვეყნად არასოდეს არ ყოფილიყნენ. აღარც სასაფლაოზე დადიოდა, სრულიად მიივიწყა დის საფლავი. ორმოციც აღარ გადაუხდიათ, როგორც დასაფლავების შემდეგ შეთანხმდნენ ნათესავები და დღეც კი დათქვეს, როდის უნდა გადაეხადათ.

ყველა ძველი საზრუნავი დაივიწყა დეიდა ნატომ და დარჩა მხოლოდ ერთი: ლუკა! ლუკა ყველაფერს ამას გრძნობდა და ზოგჯერ ასეთი გადაგებული ზრუნვის გამო უსიამოვნო გრძნობაც კი ეუფლებოდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ უმადური

იყო, ანდა ძველი ბოღმა ჰქონდა გულში შემორჩენილი. არა, ჯერ ერთი, მას არასოდეს არ ანებივრებდნენ და ამგვარ ზრუნვას ვერ ეგუებოდა, მეორეც, დედაბერი ძალზე ეცოდებოდა. სულ დაილია და დადნა. მხრებში მოიხარა და დაუძლურდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ ისვენებდა, უთენია დგებოდა და გვიან ღამით იძინებდა. ცდილობდა, როგორც ქარში ანთებულ სანთელს, ლუკას ყოველი მხრიდან მოფარებოდა.

ერთხელ, როცა ზრუნვით თავგაბეზრებულმა ლუკამ დეიდა ნატოს სრულიად გაუაზრებლად უთხრა: დეიდა, შენს თავზეც იზრუნე, შენ რომ რაიმე დაგემართოს, მე რა მეშველება, სულ მარტო ვრჩები ამ ქვეყანაზეო, დედაბერს მუხლები მოეკვეთა, ტახტზე დაემხო და თითქმის მთელი დღე ტიროდა გულაჩუყებული.

— ღმერთო, მაპატიე, ღმერთო, ისე ნუ წამიყვან, ეს ბავშვი ფეხზე დამდგარი არ მაჩვენოო!

საბურთალოს ბაზარში (იქ, სადაც ახლა სპორტის სასახლეა) შესვლისთანავე ვიღაც წვერგაუპარსავმა კაცმა დეიდა ნატოს ქვითრების შეძენა მოსთხოვა. დეიდა ნატო ცოტა არ იყოს დაიბნა და ძლივს მოახერხა ეთქვა: ჯერჯერობით ფული არა მაქვს, თუ რამე გავყიდე ქვითარს მაშინვე შევიძენო. წვერგაუპარსავი კაცი გაბრაზდა, — ყველა ეგრე მეუბნებით,— გადააპურჭყა და წავიდა.

ბაზარი უკვე ხალხით იყო გაჭედილი. ასავალ-დასავალს ვერ გაუგებდი, ისე ირეოდნენ ერთმანეთში. დეიდამ ხელი მოჰკიდა ლუკას, — არ დამეკარგოო, და ბაზრის სიღრმისკენ წაიყვანა, ძლივს მიიკვლევდა გზას და ამ ჩუმად მოფუსფუსე ხალხში, მერმე გაჭირვებით მიაღწიეს ფარდულების რიგს და ერთ-ერთი ფარდულის უკან შეჩერდნენ.

დეიდა ნატომ ხელჩანთიდან კაბა და ზეწარი ამოიღო, ჩანთა უკან დაუბრუნა, ხოლო გასაყიდი საქონელი მკლავებზე გადაიკიდა.

— მე რა ვქნა? — ჰკითხა ლუკამ და ჩანთას ჩახედა, რადგან დარწმუნებული იყო, შანდლების გაყიდვა მას ევალებოდა.

— რა უნდა ჰქნა, არაფერი.

მართლაც, რა უნდა ექნა, იდგა პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი თავისი საკვოიაჟით. ერთხანს არ სციოდა, რადგან ქუჩაში სიარულით საკმაოდ იყო შეხურებული. მერმე ამ

სითბოს მარაგი შემოელია. გაყინული ყურები პალტოს საყელოში ჩამალა და ადგილზეც კი დაიწყო ხტუნვა. ერთი საათის შემდეგ ყოველგვარი იმედი გადაეწურა, — ჩვენ აქ ვერაფერს გავყიდითო; თითქოს წეღანდელი ფიქრები გაუმართლდა: არავინ არაფერს ყიდულობდა, ყველა რაღაცას ყიდდა. რაღაცას კი არა, ყიდდნენ ყველაფერს: ნახმარ, დაჟანგულ ლურსმნებს, ეტლის გატეხილ ბორბლებს, მანქანის საბურავებს, მანქანის საბურავებისაგან შეკერილ ფეხსაცმელებს. ცალ-ცალ წინდას, სამხედრო გიმნასტურებს, მეზღვაურის ბუშლატებს, ჩექმებს, კარაკულის ქუდებს, ქოლგის ტარს, წიგნებს, საჯდომსა და მუხლისთავებზე დაკერებულ მამაკაცის ნიფხვებს, აგრეთვე ქალებისასაც, ძველ სურათებს ანდა ჩარჩოებს, საათებს, აღვირებს, ყანწებს, ნავთქურებს, ქვაბებს, ტომრებს, დანა-ჩანგალს, ბოთლებს... ჭაღებს... ამას ყველაფერს ყიდდნენ. მყიდველი კი არ ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, ლუკა მათ ვერ ხედავდა. ხედავდა მხოლოდ დაღლილ, პირქუშ სახეებს, ყველა ასაკის ქალებსა და მამაკაცებს. უმეტესად კი მათ ზურგებს, მხრებს, კისრებს. და მათ შემხედვარეს ზოგჯერ უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს მთელმა ქვეყანამ შეაქცია მათ ზურგი და აღარავის არ აინტერესებდა, რისთვის დგანან აქ ამ ფიცრებისაგან შეკოწიწებულ ფარდულის უკან ატუზულები. ხანდახან თვალს გააპარებდა დედაბრისკენ და გული ტკივილისაგან ეკუმშებოდა, როცა ხედავდა სიცივისაგან გალურჯებულ საცოდავ არსებას, რომელსაც უმწეოდ გაშვერილ ხელებზე გადაფენილი ჰქონდა გასაყიდად გამოტანილი ზეწარი და კაბა.

მერმე თავისთვის მოხტუნავემ უამრავ ზურგს შორის ერთი გამოარჩია, ძალზე ნაცნობი ზურგი, ამ ზურგებში ძნელი კი იყო მისი გამორჩევა, მაგრამ მაინც გამოარჩია და, როცა ეს ზურგი მობრუნდა, იგი ზაქარია ინწკირველი აღმოჩნდა — ლუკას კლასის დამრიგებელი. ზურგი მობრუნდა და მათი გაოცებული თვალები ერთმანეთს შეეფეთა. ეტყობა, არც ერთი და არც მეორე არ მოელოდა ასეთ უადგილო ადგილზე შეხვედრას.

— შენ აქ რას აკეთებ, ლუკა? — ჰკითხა გაოცებულმა ზაქარია მასწავლებელმა.

— რა ვიცი... ვდგავარ. — აიწურა ლუკა და გაწითლდა.

ზაქარია ინწკირველი, რომელსაც მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული საზაფხულო შარვალ-ხალათი, ლუკასთან მივიდა.

— მარტო ხარ?

ლუკამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, ინწკირველმა დეიდა ნატო დაინახა და დიდი მოწიწებითაც მიესალმა.

— გამარჯობათ, ქალბატონო ნატო.

— ოჰ, ბატონო ზაქარია! — ვითომ ახლაღა შენიშნა დეიდა ნატომ, ეტყობა, წელან, იმის იმედით, იქნებ ვერ დამინახოსო, თვალი აარიდა, — როგორ ბრძანდებით, ბატონო ზაქარია?

— ყველანი ერთ დღეში ვბრძანდებით, ქალბატონო! — ამოიოხრა ზაქარია მასწავლებელმა, — ხედავთ? — დასძინა მერმე და მკლავზე გადაკიდებული თავისი საზაფხულო შარვალ-ხალათი უჩვენა.

— ვხედავ... ვხედავ, ჩემო ბატონო!

— ისე გამოვიტანე გასაყიდად, თითქოს ზაფხული აღარ დადგება.

— გაჭირდა ცხოვრება.

— ნამეტანი, ქალბატონო, ნამეტანი. გამეყიდა მაინც, რომ ვერცა ვყიდი.

— როგორც ჩანს, ვაჭრობა ჩვენი საქმე არ არის.

— ნამდვილად ეგრეა, ქალბატონო!

— ცოტა ხანს კიდევ მოვიცდი და თუ არ გაიყიდა, წავალ შინ... ბავშვი გამეყინა.

— ნამეტანი სიცივეა, ქალბატონო. მაგრამ სიცივეს ვინ დაეძებს?!

— არც ისაა კარგი, ბავშვი რომ ამ სისაძაგლეს მისჩერებია.

— მაგის ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ბავშვმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს. კარგია, ნახოს, როგორც ცხოვრობს ხალხი... გაიგებს, მარტო თვითონ რომ არ არის ამ შავ დღეში ჩავარდნილი.

უცებ ბრბოდან, როგორც სცენის ფარდიდან ტაკი-მასხარამ, თავი გამოჰყო ჭორ-ფლიანმა ალბერტმა. ლუკამ მაშინვე იცნო ჭორფლიანი ალბერტი და მისი დანახვა ისე გაუხარდა, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი ყოფილიყო.

— ალბერტ! — დაუძახა ლუკამ.

ალბერტმა ვერ იცნო ლუკა და დაეჭვებით შეხედა. მერმე რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა და კარგად დააკვირდა. მაინც ვერ იცნო.

— ვერ მიცანი?

— ვერა.

— მე ლუკა ვარ!

— აბა, ლუკა?

— არ გახსოვს მტკვრის პირას რომ გავიცანით?! ლუკა!

— ვახ, გამარჯობა, ლუკა! ისა ხარ, არა, კარგად რომ ბანაობ?

— კი, ისა ვარ.

— მერმე სად დაიკარგე, ბიჭო, განა ეგრე იქნება?!

— მე დავიკარგე?

— შენ არაფერი არ იფიქრო, ლუკაჯან, შენი ხარახურა ეგრეევე შენახული მაქვს. მთელი დღე ვიარე „პესკაზე" და ვერ გიპოვნე.

— ბევრი მეძებე?

— ძალიან ბევრი, მაშ!

— ვერ მომაგენი?

— ეს ვინა ყოფილა, ვა!

— არ გაბრაზდე, ალბერტ, ვიცი, რომ მეძებდი.

— გეძებდი და ეგრე?! შენი ხარახურა ჩემთან არის. ნუ გეშინია! გინდა, ხვალ მოდი, დილით, ცხრა საათზე, ყველაფერს მოგიტან.

— სად მოვიდე?

— იქ, რა, საგიჟეესთან.

— დილით გაკვეთილზე მივდივარ.

— ერთი გაკვეთილი შატალო დაარტყი!..

— ჩუმად! — გააფრთხილა ლუკამ ჭორფლიანი ალბერტი. მერმე კი ჩურჩულით აცნობა, — ეს ჩემი კლასის დამრიგებელია!

გაკვირვებულმა თანაც შეშინებულმა ჭორფლიანმა ალბერტმა ირიბად გახედა ზაქარია ინწკირველს და დეიდა ნატოს. იგი ერთხანს აკვირდებოდა გულისყურით ორივეს, თითქოს სწავლობდა, ანდა იმახსოვრებდა მათ გარეგნობასა თუ ჩაცმულობას, მერმე ლუკას მოუბრუნდა და ჰკითხა:

— ის ქალი ვინ არის?

— დეიდაჩემია.

— გაყიდეთ რამე?

— ვერა.

— რა მაზალო ხალხია! ეგრე როგორ გაყიდით, ეხლა მუშტარი თვითონ უნდა ეძებოთ.

— მე რა ვიცი, სად უნდა ვეძებოთ?

— აქ იყავით მუშტარს მოვიყვან. — თქვა საქმიანად ჭორფლიანმა ალბერტმა და მაშინვე გაუჩინარდა. სადღაც გაძვრა და დაიკარგა.

ლუკა ძალზე კმაყოფილი ჩანდა ალბერტთან შეხვედრით. მას თავისი დაკარგული ტანსაცმლის დაბრუნება არ ახარებდა იმდენად, რამდენადაც ის, რომ მოტყუებული და მოღორებული არ აღმოჩნდა. უცებ შეუყვარდა ეს ბიჭი და უკვე ნანობდა, სინდისის ქენჯნასაც კი განიცდიდა იმის გამო, რომ ოდესღაც გუნებაში თაღლითი და გარეწარი უწოდა.

დეიდა ნატო და ზაქარია ინწკირველი იქვე იდგნენ და საუბრობდნენ. ზაქარია მასწავლებელმა საქმის ცოდნით დაახასიათა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა და დაასკვნა, — ცხოვრება უფრო გაძნელდება და გაძვირდებაო. ასე იყო, თუ ისე, ამ ხნის განმავლობაში არავინ გაჰკარებია, არავინ დაინტერესებულა, ეგ კი არადა, ფასიც არ უკითხავთ ყასიდად, რა ღირს თქვენი საქონელიო. შემცივნებულები და მოწყენილები უიმედოდ იდგნენ. ალბათ ასევე იდგებოდნენ ბოლომდე, ხსნასავით რომ არ გამოჩენილიყო ჭორფლიანი ალბერტი.

ალბერტი მობრუნდა და ვიღაც ჭილყვავივით კაცი მოიყვანა. ჭილყვავი რატომღაც დიდგულზე ჩანდა, გრძელსა და გალურჯებულ ცხვირამდე ჩამოფხატულ კეპის ქვემოდან ათვალისწუნებით შეხედა ერთსაც და მეორესაც.

— სულ ეს არის? — იკითხა ბოლოს და, მგონი, წასვლაც კი დააპირა.

— არა, ბატონო. — შეაჩერა დეიდა ნატომ, — კიდევ შაწდლები გვაქვს. ლუკა, აჩვენე შანდლები.

ლუკამ საკვოიაჟიდან შანდლები ამოიღო.

— ახ, რა მშვენიერი შანდლებია! — აღტაცება ვერ დაფარა ზაქარია ინწკირველმა.

— მშვენიერი! — თქვა ზიზღით ჭილყვავმა.

— ბებიაჩემის მზითევია! — მიაწოდა ცნობა დეიდა ნატომ.

— ჩემთვის სულერთია! — თქვა ჭილყვავმა. — შანდლები, ზეწარი, კაბა — სამასი მანეთი.

— ეგ სამი კილოგრამი პურის ფულიც არ არის! — შეეკამა ზაქარია ინწკირველი.

— შე დალოცვილო, ცოტაა სამი კილო პური! — გაბრაზდა ჭილყვავი.

— არა, ბატონო, მე არაფერს ვამბობ. — უთხრა შეშინებულმა დეიდა ნატომ.

— საკვოიაჟისაც ხომ არ ჰყიდი?

— არა.

— ალბერტ, გამოართვი! — გასცა ბრძანება ჭილყვავმა. ჭორფლიანმა ჯერ ლუკას გამოართვა შანდლები, მერმე დეიდა ნატოს — ზეწარი და კაბა.

— ამ შარვალ-ხალათსაც ხომ არ ინებებთ? — მოწიწებით შეჰბედა ზაქარია მასწავლებელმა ჭილყვავს.

— ორასი მანეთი.

— კი, ბატონო, თანახმა ვარ!

— ალბერტ, გამოართვი!

ალბერტმა ზაქარია მასწავლებელსაც გამოართვა შარვალ-ხალათი, ხოლო ჭილყვავმა პალტოს ერთი, ზედა ღილი შეიხსნა და უბიდან ფული დააძრო. ერთსაც და მეორესაც თავისი მიუთვალა და უსიტყვოდ, დაუმშვიდობებლად წავიდა. ჭორფლიანი ალბერტი უკან გაჰყვა მორჩილად.

— ალბერტ! — დაუძახა ლუკამ.

— ჰო, როგორცა ვთქვით, რა! — გაეპასუხა ჭორფლიანი.

დეიდა ნატო და ზაქარია ინწკირველი იქვე დაემშვიდობნენ ერთმანეთს და გაშორდნენ. თითქოს ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ ლუკამ განშორებისას მაინც შენიშნა, როგორ შეეცვალა მასწავლებელს სახე. იგი რაღაცწაირად დარცხვენილი და შეშფოთებული ჩანდა; თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, უცებ დაპატარავდა და მოიკუნტა. მერმე თითქოს ამ დანაშაულის აღიარება და ბოდიშის მოხდაც კი დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა, სახე დაემანჭა და თავისი სულიერი დაძაბულობის შესანიღბად საწყალობლად გაიღიმა. ცხვირის კეხზე ჩამოცმული რქის სათვალე საჩვენებელი თი-

თით შუბლს მიაჭყლიტა და ბრბოში გაერია. ამ სათვალეს უკვე ორი თვეა, რაც ატარებს ზაქარია მასწავლებელი, ოქროს პენსნე, როგორც ჩანს, გაყიდა.

გათოშილი და ხელფეხდამზრალი ლუკა შინ დაბრუნებისთანავე ჩააწვინა და ჩაათბუნა ლოგინში დეიდა ნატომ. ლოგინშივე დაალევინა ცხელი, უშაქრო ჩაი, რომელსაც სასურსათო წიგნაკებით ნაყიდი ჯემი და პურის ნაჭერი მიატანა. დაღლილს მალე ჩაეძინა.

მერმე მთელი საღამო ანდუყაფართან გაატარა. ჯერ გაკვეთილები დაამზადეს, შემდეგ კი პარკების კეთებას შეუდგნენ. ანდუყაფარმა საუბრის დროს ეჭვი კი გამოთქვა, — არა მგონია იმ შენმა ჭორფლიანმა ხვალ ტანსაცმელი მოგიტანოსო, მაგრამ რჩევით მაინც ურჩია — წადი, ვინ იცის, იქნებ მართლაც კარგი ბიჭია და მე ვცდებიო.

დილით, რაც უფრო უახლოვდებოდა დათქმულ ადგილს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ჭორფლიანი ალბერტი არ მოვიდოდა. მთელი არსებით უნდოდა ასე არ ეფიქრა, მაგრამ სუსხიანი ქარი, ძვალსა და რბილში გამჭოლავი სიცივე სულ სხვანაირ გუნებაზე აყენებდა. ვინ დაიჯერებდა, რომ ასეთ ყინვაში, ამ დილაადრიანად გარეთ გამოვიდოდა, რათა კარგა ხნის წინათ დაკარგული და თითქმის დავიწყებული ნივთები დაებრუნებინა? ლუკა შინაგანად ამართლებდა ჭორფლიანი ალბერტის არმოსვლას და წინდაწინვე ემზადებოდა მოსალოდნელი იმედგაცრუებისათვის. მაგრამ ლუკამ დათქმულ ადგილს ვერ მიაღწია, ნაცნობი ქუჩის ჩავლისას უცებ მოეჩვენა: საავადმყოფოს ალაყაფის კარი ღია იყო. კარის წინ ერთი წამით შეყოვნდა. იმიტომ კი არა, რომ გადაეწყვიტა, — რა ვქნა, შევიდე ეზოში თუ არ შევიდეო? ასეთი რამ არც გაუვლია გუნებაში, იგი ეჭვმა შეაჩერა, ეს კარი ნამდვილად ღიაა, თუ თვალი მატყუებსო?

კარი ნამდვილად ღია აღმოჩნდა.

ლუკა კარს მხრით მიაწვა და ეზო ფრთხილად მოათვალიერა. მერმე ასევე ფრთხილად გააპარა მზერა იმ ფანჯრისაკენ, სადაც მთვარისა ეგულებოდა. არა მარტო მთვარისასი, ყველა ფანჯარა დახურული აღმოჩნდა.

ეზოში არავინ ჩანდა და გათამამებულმა ლუკამ შენობებს ჩამოუარა, პირველი სართულის ფანჯრები შეათვალიერა. ყვე-

ლა ფანჯრიდან მხოლოდ ცარიელი სიბნელე იხედებოდა...

ლუკამ უცებ ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაიგონა, შეშინებული შემობრუნდა და მისკენ მომავალი ორი თმაგადახოტრილი მამაკაცი დაინახა; ნელი ნაბიჯით მოსეირნეებმა სულ ახლოს ჩაუარეს, მაგრამ, ეტყობა, საუბრით იყვნენ გართულნი და ლუკა ვერ შეამჩნიეს. ორთავეს ნაცრისფერი, ფართხუნა ხალათები ეცვათ. ხალათებს ქვემოთ თეთრი ნიფხვები მოუჩანდათ.

ალბათ სიცივეს ვერ გრძნობდნენ, რადგან წინდები არ ეცვათ, შიშველი ფეხები ფლოსტებში ჰქონდათ წაყოფილი. ერთი, ოდნავ დაბალი, წინ მიდიოდა გულხედაკრეფილი. ლუკას ჯერ ეგონა, ეს კაცი იმიტომ დადიოდა გულხელდაკრეფილი, რომ ხელებს იღლიებში ითბობდა, მაგრამ მერმე, როცა ხალათზე დაკერებული დიდი ჯიბეები შენიშნა, გაიფიქრა — როგორც ჩანს, ასეა შეჩვეული სიარულსო. მეორე მამაკაცი— მაღალ-მაღალი ნახევარი ნაბიჯით უკან მისდევდა და გამომეტყველებითა და მთელი არსებით უდიდეს მოკრძალებასა და მოწიწებას გამოხატავდა დაბლის მიმართ.

ისინი შორს არსად წასულან, იქვე ტრიალებდნენ უზარმაზარ ხეებს შორის. ლუკასაც აუარ-ჩაუარეს რამდენჯერმე, მაგრამ იგი ამჯერადაც არ შეუმჩნევიათ, თითქოს ამქვეყანად არ არსებობდა. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ლუკას უცდია თვალებში შეჩხირებოდა, მაინც შეშინებული იყო და ერიდებოდა, შეძლებისდაგვარად ხეებს ეფარებოდა.

ლუკა მიხვდა, გიჟები რომ იყვნენ. თუმცა გიჟებზე მას სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა და ძალზე უკვირდა, როცა ეზოში ასე თავისუფლად მოსეირნეებს ხედავდა, თანაც ასე სერიოზულად დაფიქრებულებს. თუ გიჟები არიან, გარეთ რა უნდათ, თუ გარეთ არიან რატომ არ ყვირიან, ან ერთმანეთს რატომ არ ურტყამენო, —ფიქრობდა ლუკა, — ყოველ შემთხვევაში ქვას მაინც უნდა ისროდნენო.

ლუკას მათი საუბარიც ესმოდა. ამ საუბარმა ხომ სულ მთლად შეუცვალა გიჟებზე წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნალაპარაკევიდან ბევრი რამ ვერ გაიგო.

— თუ შეიძლება, ერთი შეკითხვა მოგცეთ? — მიმართა მაღალმა დაბალს და მოწიწებით გაუღიმა. — რა არის ბედნიერება?

— ჩვენის აზრით, თქვენ არასწორად დასვით საკითხი, — უპასუხა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაბალმა. — ჯერ უნდა გავარკვიოთ, არსებობს თუ არ არსებობს ბედნიერება და მერმე უნდა ვიკითხოთ, რაში მდგომარეობს მისი არსი.

— სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ თქვენ მის არსებობაში ოდნავ მაინც შეგეპარებოდათ ეჭვი, ნუთუ თქვენ არასოდეს ყოფილხართ ბედნიერი, ნუთუ თქვენ არასოდეს არ განგიცდიათ ბედნიერება?!

— არასოდეს!

— არც იტალიაში ყოფნისას?

— არა!

— არც ეგვიპტეში?

— არა!

— თვრამეტი ბრიუმერი?

— არა!

— ნუთუ აუსტერლიცის მზემაც არ გაგათბოთ ბედნიერებით?

— არა და არა!

— იქნებ... — აქ ცოტათი შეყოყმანდა მაღალი და ბოლოს შეჰბედა, — იქნებ ვატერლოო?.. თუმცა... მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ!..

— ვატერლოოს ნუ გამახსენებთ! თუმცა რატომ?.. — ისევ ჩაფიქრდა დაბალი და ფიქრის შემდეგ უპასუხა. — მე მაშინ მივხვდი, რომ შესაძლებელია, მართლაც არსებობდეს ბედნიერება!

— მაშინ მიხვდით პირველად?

— დიახ, ჩემო კეთილო! ახლა კი სრულ ბედნიერებას განვიცდი, მე ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ!

— მადლობა ღმერთს!

— მე ხშირად მიფიქრია, რატომ ვარ-მეთქი ასე ბედნიერი და ამიხსნია კიდეც. რატომ? იმიტომ, რომ ცოცხალი აღარა ვარ! იმიტომ, რომ გარდაცვლილი ვარ!

— როგორ? განა თქვენ ცოცხალი აღარა ხართ?

— რა თქმა უნდა! არც მე და არც თქვენ! ჩვენ უკვე დიდი ხნის გარდაცვლილები ვართ!

— გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ!

— ნუთუ თქვენ ისურვებდით სხვა გარსში ყოფნას? —აწ-ლა თავის მხრივ ჰკითხა დაბალმა.

— რასაკვირველია, არა!

— ჩვენ ღმერთმა დაგვიფარა წარმავალი უმადურებისაგან. ჩვენ უკვე აღარ შეგვეხება ქვეშევრდომთა და მეგობართა ღალატი, რომელსაც იქ... — დაბალმა იღლიიდან მარჯვენა ხელი დაიძრო და საჩვენებელი თითი ალაყაფისკენ გაიშვირა,— კიდევ დიდხანს ექნება აფარებული ნიღბად მოჩვენებითი ერთგულება.

— ოჰ! რა საშინელებაა უმადურება!

— არ არსებობს უფრო შემზარავი გრძნობა! განა უმადურების მსახვრალი ხელით არ განიგმირა დიდი კეისარი? განა უმადურების ძლიერმა ყბებმა არ გამოხრეს სამშობლოდან გადახვეწილი სახელოვანი სციპიონის ძვლები, ეს მე დავაწერე მის საფლავს ეპიტაფიად: „უმადურო სამშობლოვ, შენ ვერ ეღირსები ჩემს ძვლებს“.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ!

დაბალმა დამცინავად ჩაიღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე შევაჩვიე ისინი დიდ გამარჯვებებს და მათ ერთი პატარა მარცხი აღარ მაპატიეს!..

მაღალს უცებ აღელვება დაეტყო:

— თქვენო აღმატებულებავ, უკან ხომ არ შევბრუნდეთ?

— უკან?

— დიახ! შინ შევბრუნდეთ, თორემ ცერბერი გვიახლოვდება.

— აჰა! რა თქმა უნდა!

ისინი ფაცხაფუცხით გაიჭრნენ შენობისაკენ, წინ დაბალი მიაფრატუნებდა ფლოსტებს, უკან — მაღალი. მერმე ქვის ხუთიოდე საფეხური აირბინეს, კარი შეაღეს და უკან მოუხედავად შეცვივდნენ შენობაში.

ლუკასკენ ხელცოცხიანი მეეზოვე მოდიოდა. ლუკას ახლაც შიშისაგან გული გადაუქანდა, დაიბნა, აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო. დაბნეულმა სწრაფად გაირბინა მანძილი ქვის კიბეებამდე. ანგარიშმიუცემლად აათავა საფეხურები და შენობას შეაფარა თავი. შიშით გახედა გრძელ დერეფანს. ნახევრად დაბნელებულ დერეფანში წელანდელი მოსაუბრენი ისე დინჯად დასეირნობდნენ, როგორც მასწავლებლები დიდ შესვენებაზე.

შესვლისთანავე გაყუჩდა და კარს მიაყურა: გარედან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ასე გაყუჩებული იდგა კარგახანს. მერმე კარი გააღო და ეზოში გამოიხედა. ეზოში არავინ ჩანდა. გამოვიდა და იქაურობას ისევ შიშით მოავლო თვალი.

— მოდი აქ, მოდი! დაგიჭირე თუ არა, შე ყურუმსაღო, შენა!

ლუკამ ჯერ ცოცხი დაინახა, მერმე — ფარაჯიანი მეეზოვე. როგორც ჩანს, ლუკას ხის უკან ჩაუსაფრდა და ელოდებოდა, შენობიდან როდის გამოვიდოდა.

ლუკამ გაქცევა სცადა, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ გაქცევას ვერ შესძლებდა, შიშისგან მუხლებში ძალა გამოსცლოდა და ძლივს იდგა ფეხზე. ბედს დამორჩილდა. მოხუცმა მეეზოვემ მხარში მძიმე ხელი ჩაავლო და ეზოს სიღრმისკენ წაიყვანა.

— მაპატიე, ძია! — უთხრა ლუკამ მთრთოლვარე ხმით.— მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ!

ფარაჯიან მოხუცს ლუკას ვედრებისათვის ყური არ უთხოვებია, არც ხელი შეუშლია, ასე დაჭერილი მიჰყავდა სადღაც.

— გამიშვი რა, ძია, — ისევ სთხოვა ლუკამ, — სკოლაში მაგვიანდება!

— აქ რომ შემოდიოდი, მაშინ არ გაგვიანდებოდა სკოლაში?!

— მე ხომ არაფერი დამიშავებია!

მოხუცმა მეეზოვემ ლუკა ერთ მერხთან მიიყვანა და უთხრა: აქ დაჯექი, ცოტა წავისაუბროთო. ლუკა დაჯდა. მოხუცი მეეზოვე გვერდით მიუჯდა, ცოცხი მერხზე მიაყუდა. ლუკას, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი არ ჰქონდა, როგორ წარიმართებოდა მათი საუბარი და არც აინტერესებდა. ერთთავად იმაზე ფიქრობდა, იქნებ რაღაც მანქანებით დავუსხლტე ამ შემზარავ მოხუცს და აქაურობას გავეცალოო.

— ამ დილაადრიან რა გინდოდა, რისთვის შემოეხეტე? — ჰკითხა მოხუცმა.

— რა ვიცი... კარი ღია იყო და შემოვედი.

— ბიჭოს! სადაც ღია კარს ნახავ, ყველგან კი არ უნდა შეხვიდე!

— მაპატიეთ, არ ვიცოდი...

— რა არ იცოდი?

— თუ არ შეიძლებოდა აქ შემოსვლა.

— იმათთან რა საქმე გქონდა?

— ვისთან?

— აქ რომ დაეთრეოდნენ.

— არაფერი. პირველად ვნახე. არც კი შეუხედავთ ჩემთვის, ხმაც კი არ გაუციათ.

— არც გაგცემდნენ. ის დაბალი მაინც ძალზე ამპარტავანი ვინმეა, დიდი რაღაც ჰგონია თავისი თავი. მაგრამ სადაც წავასწრებ ერთ ლაზათიანად გავცოცხამ და, იცოცხლე, კუდს ამოიძუებს ხოლმე. არ მიყვარს ამპარტავანი ხალხი, თუ კაცი ხარ, კაცი იყავი, რას იბერები, შე ოხერო! — მოხუცმა მრისხანედ გახედა შენობის კარს, სადაც წელან ის ორნი შეიძურწნენ.

ლუკა ამ საუბარმა ცოტათი დაამშვიდა. — არც ისე ცუდი მოხუცი ყოფილაო. მაგრამ მაინც წუხდა, დრო გადიოდა, ეს კი აქ უაზროდ იჯდა და მეეზოვეს ელაპარაკებოდა. ალბათ მეორე გაკვეთილიც საცაა დამთავრდებაო, — გაიფიქრა.

ამასობაში მოხუცმა მეეზოვემ ფარაჯის უბიდან ფანდური დააძრო. ხმა გაუსინჯა, გამართა და თითებიც ჩამოჰკრა. ჯერ „ახ, ტრაქტორო...“ იმღერა, მერმე — „შირაქში ერთმა მეცხვარემ“. „აუ, ამ სიმღერას როდის გაათავებს!“ — შეწუხდა ლუკა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ბოლომდე უნდა ესმინა. იჯდა თავისთვის და ქუჩაში გასასვლელ კარს მოწყენილი გასცქეროდა. უცებ სასაცილო ფიქრმა გაუელვა თავში: ნეტავი, რას იფიქრებს ანდუყაფარი, შემთხვევით აქ რომ შემოიხედოს და ასე მჯდარი დამინახოსაო. ამ ფიქრმა, ცოტა არ იყოს, გაამხიარულა ლუკა და გუნება შეუცვალა.

მოხუცმა მეეზოვემ „შირაქში ერთმა მეცხვარემ“ ბოლომდე იმღერა, მერმე წამოდგა და ლუკას უთხრა: ახლა წავიდეთ, შენთვის არა მცალიაო!

ორივენი ქუჩაში გასასვლელი კარისკენ გაემართნენ საქმიანი ნაბიჯით. მთვარისას ფანჯარას რომ გაუსწორდნენ, ლუკამ უცებ ჰკითხა:

— ძია, აქ რომ ქალი ცხოვრობდა, ახლა სად არის?

— სადა?

— აი აქ, — თითი გაიშვირა ლუკამ ნაცნობი ფანჯრისკენ.

— მანდ არავინ არ ცხოვრობდა, ეგ სამრეცხაოა.

— როგორ არა, ძია, მე ვიცნობდი... მთვარისა ჰქვია. —არ მოეშვა ლუკა.

— შენ მე აქაურობას ნუ მასწავლი, ოცდაათი წელია აქ ვმუშაობ და ყველას ვიცნობ. რა მთვარისა, რის მთვარისა? ეგ ფანჯარა სამრეცხაოსია! — მოხუცმა მეეზოვემ ლუკა ქუჩაში გამოისტუმრა და დამშვიდობებისას უთხრა, — თუ დრო გექნეს, გამოიარეო, — მერმე კარი შიგნიდან ჩაკეტა.

ლუკა ერთხანს გაოგნებული იდგა. ფიქრში სცადა, ცხადად წარმოედგინა ის დღე, როცა პირველად აქ შემოვიდა და ფანჯარას მომდგარი მთვარისა ნახა. ლუკას ყველაფერი ზედმიწევნით კარგად ახსოვდა. მთვარისას ხმაც კი გაიგონა. მაინც დაეჭვდა: „იქნებ მომეჩვენა, იქნებ მართლაც არ არსებობს ქვეყანაზე მთვარისა?“

როცა გამოტრიალდა, გაახსენდა, რისთვისაც იყო მოსული. ქუჩას ქვევით, მტკვრისკენ დაჰყვა, კიდემდე მივიდა და ნაპირს გახედა. ნაპირზე ჭორფლიანი ალბერტი არ დახვედრია, გინდაც მოსულიყო, ამდენ ხანს ალბათ არ მოიცდიდა.

ცივი დღე იყო, ნაცრისფერი, მტკვრიდან მსუსხავი ქარი უბერავდა.

თავი მეათე

დათიკო ბერიშვილმა კიდევ ერთხელ შესთავაზა დეიდა ნატოს ბინის გაცვლა. ამჯერად ემა გამოუგზავნა შუამავლად, ჯუჯა რუბენას და. ემა შავგვრემანი, ეშხიანი ქალი იყო, პირმრგვალი და ტანსრული. თავის დროზე უბნის ბიჭებს თვალი ზედ რჩებოდათ, მიუხედავად ასეთი დაკინებული ყურადღებისა, მაინც გაუთხოვარი დარჩა და ახლა თავის ჯუჯა ძმასთან ერთად ცხოვრობდა, დათიკო ბერიშვილის ოთახის გვერდით, პირველ სართულზე.

დეიდა ნატომ, რა თქმა უნდა, ემაც უარით გაისტუმრა, თან დააბარა: სანამ პირში სული მიდგას, ამ ბინას არ დავტოვებ და ეგ უსინდისო მეტს ნულარ შემაწუხებსო. ემა, ძველი დაბაღისაგან განსხვავებით, მაინც ცდილობდა დედაბრის დაყოლიებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და პირში ჩალაგამოვლებული გაბრუნდა უკან. ემას წასვლის შემდეგ დეიდა ნატოს

ნერვები დაეწეწა. მთელი დღე ჭირვეულობდა, წყევლიდა დათიკო ბერიშვილსა და იმათ, ვინც ქვეყნად ომი მოიგონა და ასეთი უსაშველო ტანჯვა-წამება მოუტანა ადამიანებს.

— ფრთხილად უნდა ვიყოთ, ლუკა, ფრთხილად! იმის ნაცვლად, გაჭირვებულებს ხელი გამოგვიწოდონ, ხედავ, რა დღეში გვაგდებენ?! — მიმართა დეიდა ნატომ დისშვილს, თვალები ჭერს მიაპყრო და პირჯვარი გადაიწერა, — ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე ჩემი და და სიძე, მერმე მე ვიცი, არავის არ ვაპატიებთ ჩვენი ოჯახის აბუჩად აგდებას!

ლუკა მეორე ოთახში გაიპარა, დედაბრის ხმა რომ აღარ გაეგონა და გულაჩუყებულმა ფარულად მოიწმინდა ცრემლი. მარტოდ დარჩენილი დიდხანს ფიქრობდა და ოცნებობდა მშობლების დაბრუნებაზე. ცხადადაც კი წარმოიდგინა ის დღე, როცა ფრონტიდან დაბრუნებული მამა სამაგიეროს ღირსეულად მიუზღავდა დათიკო ბერიშვილს, თუმცა ბოლომდე ვერ გაეგო, რაში გამთიხატებოდა მათი ოჯახური ღირსების აბუჩად აგდება.

იმავე საღამოს, ანდუყაფარმა ლუკასგან რომ შეიტყო, დათიკო ბერიშვილმა ბინების გაცვლის თაობაზე ისევ მოგვიგზავნა კაციო, ნაღვლიანად გაიღიმა და პარკების კეთება განაგრძო. ლუკა ორივე მკლავით დაყრდნობოდა მაგიდას და თვალს ადევნებდა ანდუყაფარის თხელი თითების მოძრაობას. თითები გასაოცარი სისწრაფით და სიმარჯვით კეცავდნენ და აწებებდნენ ქაღალდის კიდეებს. ასეთივე სისწრაფით იზრდებოდა ანდუყაფარის ხელმარჯვნივ მაგიდის კუთხეში დაწყობილი პარკების დასტა.

მაგიდაზე ნავთის პატარა ლამპა ბუუტავდა.

— ადამიანები საჭიროების მძიმე ბორკილებითა ვართ ერთმანეთს გადაბმულნი, — თქვა ანდუყაფარმა, — საჭიროების მძიმე ბორკილებით... სამწუხაროდ ასეა... ადამიანთა დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ხარისხი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ვჭირდებით ერთმანეთს. ხედავ, რა ხდება? მე შენ მეგობრად მიმაჩნიხარ და ამავე დროს კეთილი ურთიერთდამოკიდებულება მაქვს იმ კაცთან, ვისაც თქვენი ოჯახისათვის ცუდი რამ განუზრახავს. წესით, მე უნდა მივაფურთხო და ეს ქაღალდებიც სახეში უნდა მივაყარო დათიკო ბერიშვილს. ეს კი არადა, ახლა აქ რომ შემოვიდეს, გავუ-

ღიმებ კიდეც და ხელსაც ჩამოვართმევ. თანაც კმაყოფილი დავრჩები, რადგან კეთილინება და მესტუმრა. რატომ? იმიტომ რომ ჩემი არსებობა იმ კაცზეა დამოკიდებული. ასეა... დათიკო ბერიშვილიც ვიღაცაზეა დამოკიდებული და მიჯაჭვული, ის ვიღაცა კიდევ სხვა ვიღაცაზე და ასე გრძელდება ეს მძიმე ბორკილები.

ანდუყაფარი ცოტა ხანს გაჩუმდა, ხელები დაასვენა. მერმე თქვა:

— თუმცა ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას არავითარი ღირებულება არა აქვს: ქრება საჭიროება, უმტკივნეულოდ წყდება ურთიერთობის ჯაჭვიც. ფასეულია მხოლოდ ნაღდი სიყვარული და მეგობრობა, ნაღდი, უანგარო, აი ისეთი, როგორი სიყვარულითაც მე შენ მიყვარხარ, ანდა როგორი მეგობრობითაც შენ მე მმეგობრობ. შენ ხომ ჩემგან არაფერს გამოელი? ანდა რას უნდა ელოდე ჩემგან — ნახევარი კაცისაგან?!

ლუკას ახლაც აუჩუყდა გული და წასვლა დააპირა. მაგრამ როგორღაც შეიკავა თავი და არ აცრემლდა. ძალზე შეეცოდა მეგობარი, ამაზე არასოდეს არ უფიქრია, მხოლოდ ახლა უთხრეს და მიახვედრეს, რომ ანდუყაფარი ნახევარი კაცია. რატომღაც დარცხვენილი შესცქეროდა ველოსიპედის ბორბლებიან სავარძელში უღონოდ მიწოლილს, რომელიც თავის მხრივ ნაღვლიანი ღიმილით დაჰყურებდა საპარკე ქაღალდებზე უმოძრაოდ დაფენილ საკუთარ ხელებს.

— გაიგე, რაც გითხარი?

— რა ვიცი...

— თუ გინდა, უფრო გასაგებად გეტყვი.

— არა, არ მინდა, გავიგე. — რა თქმა უნდა, ლუკამ კარგად ვერ გაიგო, რაც ანდუყაფარმა უთხრა.

— საჭიროება მძიმე ბორკილებით აკავშირებს ადამიანებს, მეგობრობა — უხილავი ძაფებით. მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს ამ უხილავ ძაფებს: ეს უხილავი ძაფი შეიძლება, ისე გაწყდეს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ შენიშნო.— ანდუყაფარი ერთხანს გაჩუმდა, მერმე თქვა: — ოო, ეს შემზარავია!

ისევ ჩამოვარდა დუმილი. დუმილი ახლა ლუკამ დაარღვია:

— ანდუყაფარ, არსებობს თუ არ არსებობს ბედნიერება?!

— რატომ მეკითხები?.. საიდან დაგებადა ასეთი აზრი? — გაიცინა ანდუყაფარმა.

— რა ვიცი...

— მაინც?

— ისე, მაინტერესებს.

— ეგ შეკითხვა ისე ძველია, ცოტა არ იყოს, ბანალურობის სუნიც ასდის. ამ შეკითხვას ყოველთვის შეკითხვით პასუხობენ: ჯერ უნდა გავარკვიოთ, — რა არის ბედნიერებაო? ის რაც შენთვის ბედნიერებაა, შეიძლება სხვისთვის უბედურება აღმოჩნდესო. ბედნიერება სხვანაირი ცნებაა და ამიტომ გვაწვალებს საუკუნეების მანძილზეო...

ამ დროს ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა კარზე და ანდუყაფარს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— შემოდი! — დაუძახა ანდუყაფარმა.

კარი გაიღო და ოთახში ჯუჯა რუბენა შემოვიდა, ქოსა, დამჭკნარი სახე სიცივისაგან მთლად გალურჯებოდა.

— გამარჯობათ!.. — მიესალმა ოთახში მყოფთ, უზარმაზარი კეპი მოიხადა და ისევ დაიხურა. — უნდა წავიღო... იმუშავე?

— კი. — უპასუხა ანდუყაფარმა.

— სულ ეს არის? — იკითხა ჯუჯამ და მაგიდაზე დაწყობილ პარკების დასტას შეხედა.

— არა, მაგიდის ქვეშაა.

ლუკა მაგიდის ქვეშ შეძვრა და პარკების ორი დიდი შეკრულა გამოათრია.

— კარგად გიმუშავია!—შეაქო ჯუჯამ.

— ისე, რა.

— რამდენია?

— არ ვიცი, არ დამითვლია.

— მე დავთვლი, ხომ მენდობი?

ანდუყაფარმა გაიღიმა და ხელები გაშალა, ვითომ ეგ რა სათქმელიაო.

— გაიგეთ ახალი ამბავი? — ცბიერი ღიმილით იკითხა ჯუჯამ.

— არა. რა მოხდა? — უცბად დაინტერესდა ანდუყაფარი.

— იზა დაიკარგა.

— იზა?

— ჰო! წუხელ არ მოსულა და დღესაც არ გამოჩენილა.

ანდუყაფარმა რატომღაც ლუკას შეხედა და მერმე ისევ ჯუჯა რუბენას მიაშტერდა.

— ძია ლადო გაგიყვებულია. წუხელ არ სძინებია, დღესაც მთელი დღე ქუჩაში დაძრწის. — განაგრძო ჯუჯამ.

— იქნებ დედასთან წავიდა? — ეჭვი გამოთქვა ანდუყაფარმა.

— ეგ ძია ლადომაც თქვა. მაგრამ არავინ არ იცის, სად ცხოვრობს დედამისი.

— მილიციისათვის უნდა შეეტყობინებინა.

— შეატყობინა. ისინიც ეძებენ.

— რამე ხიფათი არ შეემთხვეს. ცოდვაა. კარგი გოგოა.

— კარგია, მაგრამ... ძნელი მოსავლელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თვალი სულ გაქცევაზე უჭირავს.

— სად გარბის ეგ დალოცვილი?!

— ლუკა აქ არ იყოს, გეტყოდი...

— ლუკა შენ პატარა ხომ არ გგონია, მაგან ჩვენზე მეტი იცის.

— ეგ გოგო, გინდაც დააბა, არ გაჩერდება, — თქვა გამოცდილი კაცივით ჯუჯამ, — მე რას მომატყუებ, ტანზე ცეცხლი ეკიდება.

— ეგ მართალია! — დაუდასტურა ანდუყაფარმა.

— ვიცი და იმიტომ ვამბობ. მაგას ჩვენი ბიჭები მოუვლიდნენ, მაგრამ სად არიან? — ცოტახნით შეყოვნდა ჯუჯა და მერმე თქვა, — პეტოს დაღუპვის ამბავი მოვიდა.

— რას მეუბნები!

— პეტოც დაღუპულა და ჩოლახას ჯიბოც.

— პეტოცა და ჯიბოც?!

— ჰო!

— ამის დედა ვატირე! ნახე, რა ბიჭები წავიდნენ?!

— ეჰ! — ამოიოხრა ჯუჯამ. ორივე შეკრულას დაავლო ხელები და კარისკენ წაათრია.

— მოგეხმარები, — უთხრა ლუკამ.

— არ მინდა, მარტოც მოვერევი.

ჯუჯა წავიდა. ლუკამ კარი მიიხურა და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა. ანდუყაფარი თავის სავარძელში მისვენებულიყო,

თვალებდახუჭული, გამხდარი და ფერმკრთალი ლამპის შუქზე მიცვალებულს ჰგავდა. ლუკამ ვეღარ გაუძლო სიჩუმეს და ფეხაკრეფით გავიდა გარეთ.

აივანზე ბნელოდა და ციოდა. სწრაფად შევარდა შუშაბანდში.

— რომელი ხარ? — იკითხა ოთახიდან დეიდა ნატომ.

— მე ვარ, ლუკა!

შუშაბანდშიც და ოთახშიც ისევე ბნელოდა და ციოდა, როგორც გარეთ. დეიდა ნატო უკვე ლოგინში იწვა, თუმცა ჯერ რვა საათიც კი არ იყო.

— ცივა, არა?

— კი, ძალიან.

— შენც დაწექი და ჩათბები.

— ლოგინში რა გამაჩერებს.

— გაიყინები.

— ანდუყაფართან უფრო თბილა.

— ყოფილიყავი იქ, რა გეჩქარებოდა?

— რა ვიცი. — ლუკამ ხელის ფათურით მიაგნო საკიდს და პალტო ჩამოიღო.

— რას ბუჯურობ?

— არაფერს. ისევ გავალ ანდუყაფართან.

— კარგი. ოღონდ ნუ დაიგვიანებ.

ლუკამ პალტოში გაუყარა ხელები და აივანზე გავიდა. ანდუყაფართან დაბრუნება არც უფიქრია, მოაჯირთან მისულმა ეზოს გადახედა. ეზო, ისევე, როგორც მთელი ქალაქი, ცივსა და მდუმარე წყვდიადს მოეცვა. ეს სიბნელე ძალიან ახლო იყო ლუკასთანაც, იმდენად ახლოს, რომ სხეულზე ცივი ბეწვითაც ეხებოდა და თვალებზე თავის ფაფუკ, მაგრამ გაყინულ თათებს აფარებდა. ლუკას მოუსვენრობის გაურკვეველი გრძნობა აფორიაქებდა, აწრიალებული ადგილს ვერ პოულობდა. ხელის ფათურით ჩაათავა კიბეები და ეზოში ჩავიდა. სიბნელე და უკაცრიელი სიჩუმე აშინებდა და ამავე დროს თავისკენ ექაჩებოდა და იზიდავდა, როგორც ჭაობი. სიბნელე თითქოს რაღაცას ჰპირდებოდა, გაურკვეველის გარკვევას, შეუცნობელის შეცნობას. მაგრამ გული მაინც შიშით უფართხალებდა და სიბნელეში ნაცრისფერხალათიანი მამაკაცები ელანდებოდა. ისინი წყვილ-წყვილად დადიოდნენ ეზოში. დინჯად

საუბრობდნენ და საოცრად ჰგვანდნენ ერთმანეთს სიარულითაც, ხელების ქნევითაც და ნიფხვების თეთრი ტოტებითაც, რომლებიც ხალათის კალთებს ქვემოთ მოუჩანდათ.

ხელის ფათურით მიაღწია რუბენას სამტრედემდე. სამტრედესთვის ხელი არ გაუშვია, ისე გახედა ძია ლადოს შუშაბანდს. ფანჯრები ძალზე მკრთალად იყო განათებული, ეტყობა ოთახში ლამპა ბჟუტავდა და მისი სუსტი შუქი შუშაბანდშიც ჟონავდა. დაძაბული ცნობისმოყვარეობისაგან გული გამალებით უცემდა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო რა ხდებოდა იქ, ძია ლადოს ოთახში. თუმცა ამ გაყინული, მკრთალი შუქის მიხედვით, ეტყობა, მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. ალბათ იზა ვერ მონახეს, ანდა ძია ლადო ჯერ არ იყო დაბრუნებული.

— პატარა ბიჭო, ერთი წუთით მოდი აქ. — დაუძახა ვიღაცამ სულ ახლოდან ლუკას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები წყნარად, თითქმის ჩურჩულით იყო ნათქვამი, ლუკას შიშისგან გული გადაუქანდა და მუხლები მოეკვეთა. უცებ ცახცახმა აიტანა და ძლივ-ძლივობით შეიკავა თავი, კიხლამ იქვე ჩაიკეცა. მართალია, ლუკას ამჟამად რუსულად მიმართა ვიღაც ქალმა, მაგრამ რატომღაც მოეჩვენა, თითქოს მთვარისა ეძახდა.

— ნუ გეშინია, პატარა ბიჭო...

— ვინა ხარ? — ჰკითხა შეშინებულმა ლუკამ, თან გაიფიქრა: ამ სიბნელეში რას ხედავს, რა იცის ახლა ამან, პატარა ვარ თუ დიდიო.

— გეტყვი ვინცა ვარ... ოღონდ ნუ ყვირი. — როგორც ჩანს, უცნობი ქალი ცაცხვის ქვეშ, სკამზე იჯდა, ანდა შესაძლებელია იდგა კიდეც. ხმამაღლა ლაპარაკს აშკარად ერიდებოდა, ჩურჩულით მიმართავდა ლუკას.

სიბნელეში ფოსფორისფრად ორი წერტილი აინთო კატის თვალებივით და მაშინვე ჩაქრა. ლუკას ეგონა, რომ იქვე მაგიდაზე კატაც მოკალათებულიყო და ლუკას მისჩერებოდა თავის მრგვალი თვალებით.

— კარგი, — თქვა ქალმა. — თუ გეშინია ნუ მოხვალ. ჩემთვის სულერთია, მანდ იდგები, თუ აქ მოხვალ, ეს ერთი სიკეთე მომანიჭა ღმერთმა, მე დღეცა და ღამეც ერთნაირად ვხედავ, ერთნაირად ვარჩევ საგნებს. მე ახლა ვხედავ, რა შეში-

ნებული შემომცქერი. შენ გეშინია ჩემი, მაგრამ მე გეუბნები, ნუ გეშინია-მეთქი. მე კეთილი ადამიანი ვარ, შეიძლება ყველაზე კეთილიც მთელს ქვეყანაზე, ჩემს გულში ნამცეციც არ არის სიავისა და ბოროტებისა. მე ეს-ესაა მოვიყვანე თქვენი მეზობელი იზა, რომელსაც ორი მთვრალი მამაკაცი ჯანდაბაში მიათრევდა. თვითონაც მთვრალი იყო და არაფრის თავი აღარა ჰქონდა. მთვრალ კაცებს გამოვგლიჯე ხელიდან იზა და შინ მივიყვანე. იმდენად იყო გონებადაკარგული, ძლივს მიაგნო საკუთარ სახლს. მაგრამ სიკეთე ვის დაუფასეს, ჩემთვის რომ დაეფასებინათ. მათ ქალიშვილს მოვუარე და შინ ხელუხლებელი მოვგვარე. მაგრამ მადლობის ნაცვლად მოხუცებმა გამომაძევეს, როგორც ქუჩის მაწანწალა, ისე გამომაგდეს. სიტყვა არ მათქმევინეს. ალბათ იზას მეგობრად მიმიღეს და ეგონათ ეს დღეები მასთან ერთად გავატარე. მე სულაც არ ვიცნობ იზას, დღეს სრულიად შემთხვევით წავაწყდი... — ქალი გაჩუმდა და სიბნელეში კიდევ ერთხელ გაიელვა კატის თვალებმა.

ლუკა ოდნავ დაამშვიდა ქალის საუბარმა, მაგრამ ახლოს მისვლას მაინც ვერ ბედავდა.

— ერთი რამ უნდა გთხოვო, პატარა ბიჭო. მე ღამის გასათევი არა მაქვს და იქნებ ვინმემ გამათევინოს ერთი ღამე. ძალიან ცივა და გარეთ რომ დავრჩე, გავიყინები. ხვალ დილით კი ჩემს გზას მოვნახავ და წავალ. მეგონა, ისინი მადლობის სანაცვლოდ ერთი ღამით შემიფარებდნენ მაინც, მაგრამ ცხვირწინ მომიხურეს კარი. არც ვამტყუნებ, იმდენად იყვნენ აღელვებულები და გაბრაზებულები, ზედაც არ შემომხედეს... ნუთუ ამხელა სახლში ჩემთვის არავის არ ექნება პატარა კუთხე? მე ლტოლვილი ვარ, მთელი უკრაინა თითქმის ფეხით გამოვიარე... — ქალი ისე გაჩუმდა, თითქოს უცებ ხმა დაკარგა.

— კარგი. — უთხრა ლუკამ, — ახლავე წავალ და ვეტყვი დეიდაჩემს, თუ დამთანხმდა, დაგიძახებ. ცოტახანს მომიცადე.

— მოგიცდი, აბა, რას ვიზამ?! მე აქედან ფეხის გამდგმელი არა ვარ. ქუჩაში გასვლა უკვე აღარ შეიძლება.

— თუმცა, თუ დეიდამ არა ქნა, ჩემს მეგობარს ვეტყვი. წამომყვები?

— რატომაც არა?! სხვა რა გზა მაქვს?!

— წამოდი.

ლუკამ ფეხის ხმით იგრძნო ქალის მოახლოვება.

— მომეცი ხელი, — უთხრა ქალმა, — შენ ალბათ სიბნელეში სიარული გიჭირს.

ლუკამ პალტოს ჯიბიდან ხელი ამოიღო და გაუწოდა.

— აქეთ წავიდეთ.

— საით, კიბისკენ?

— ხო, კიბისკენ.

ლუკას რატომღაც ეგონა ქალს ცივი, გაყინული ხელი ექნებოდა. იგი ბრმასავით მიენდო ქალის დიდსა და თბილ ხელს. კიბესთან მისულმა ხელი გაითავისუფლა და სირბილით აჰყვა კიბეს. პირველ სართულზე ოდნავ შეყოვნდა. უკან მიხედა სიბნელეს და მეორე სართულის კიბეც აირბინა. ანდუყაფარის ოთახში ისევ ბუუტავდა ლამპა. კარის წინ შეჩერდა და უცნობ ქალს დაელოდა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, სულ მალე კიბიდან აივანზე ამოიზარდა ქალის მაღალი სილუეტი. ლუკა გაოცდა, ვერც კი წარმოედგინა, თუ ის ქალი ამსიმაღლე იყო, ანდა ამსიმაღლე ქალს თუ ასეთი წყნარი და დამშვიდებული ხმა ექნებოდა.

ქალი კიბესთან გაჩერდა და სვეტს მიეყუდა.

— ახლავე გამოვალ. — უთხრა ლუკამ და ოთახის კარი ფრთხილად შეაღო.

ანდუყაფარმა ირიბად გამოხედა და გაუღიმა. მაგიდა მიელაგებინა, ლამპის შუქზე წიგნს კითხულობდა.

— შენა ხარ, ლუკა, მე მეგონა, დასაძინებლად წახვედი.

— არა. ეზოში ვიყავი.

— ეზოში? რა გინდოდა ეზოში?

— რა ვიცი...

— ო, რა ტურა ხარ! რას დაეხეტები ამ ღამით?

— ანდუყაფარ, გარეთ ერთი ქალია, ღამისგათევას ითხოვს.

— ქალი? — გაუკვირდა ანდუყაფარს. მარჯვენა ბორბალს ხელი წაავლო და საკარძელი კარისკენ შეაბრუნა.

— რა ვიცი, იზა მოუყვანია თურმე, შემთხვევით შეხვედრია ქუჩაში. ვიღაც კაცებს მთვრალი მიჰყავდათ თურმე და არ გაუყოლებია.

— ეს კაცი გამაგიჟებს! ეგეც მთვრალია?!

— არა. თუ შენ არ შეგიძლია, დეიდა ნატოს გავაღვიძებ.

— აბა, შემოიყვანე, ერთი ვნახო ვინ არის?

ლუკამ კარი გამოაღო, ქალი იქვე იდგა მოაჯირის სვეტს მიყრდნობილი.

— შემოდით! — დაუძახა ლუკამ და თვითონ განზე გადგა. უცნობი ქალი შემოვიდა.

— გამარჯობათ! — შემოსვლისთანავე მიესალმა ანდუყაფარს და კარი მიიხურა.

მას ძველი, გაცვეთილი ჩექმები ეცვა და ასევე ძველი, დაბამბული ხაკის მოკლე ქურთუკი, თეთრი ხილაბანდით თავი ისე ჰქონდა წაკრული, კაცს თმაგადაკრეჭილი ეგონებოდა. ახლადშემოსულმა ოთახი მიმოათვალიერა, მერმე ლუკას გადახედა და გაიღიმა.

— სამწუხაროდ მამაკაცების საზოგადოებაში მოვხედი. ალბათ უხერხული იქნება თქვენთვისაც და ჩემთვისაც, აქ რომ გავათიო ღამე.

— დაბრძანდით. თუ თქვენ მართლა არა გაქვთ ღამის გასათევი, რაღაცას მოვიფიქრებთ.

— გმადლობთ.

— ქურთუკი გაიხადეთ. მე მგონი ამ ოთახში არც ისე ცივა.

— რა თქმა უნდა... ოღონდ...

— ნუ გერიდებათ, გაიხადეთ... მოშინაურდით...

— გმადლობთ.

— ლუკა, გამოართვი.

ლუკამ ქურთუკი გამოართვა და იქვე კართან, ლითონის საკიდზე დაკიდა. როდესაც მობრუნდა, დაინახა: უცნობი ქალი ოთახის კუთხეში მარმარილოს პირსაბანის ოვალურ სარკეში იხედებოდა. თეთრი ხილაბანდი თავიდან გადაიძრო და ხშირი, კუპრივით შავი თმა მხრებზე ჩამოაწვა. მერმე მაგიდისაკენ უხერხულად გაემართა, სკამი გამოაჩოჩა და დაჯდა. ხილაბანდი მუხლებზე დაიფინა და ზედ ხელები დააწყო. ლუკამ ისიც შენიშნა, ანდუყაფარი გაოცებულ მზერას არ აშორებდა, ერთთავად სტუმარს მისჩერებოდა და ენაჩავარდნილივით ხმას ვეღარ იღებდა.

— მე წავალ. — თქვა ლუკამ.

— სად წახვალ? — მიუბრუნდა ანდუყაფარი. —ნავთქუ-

რაზე ჩაიდანი დადგი. რაღაცით ხომ უნდა გავუმასპინძლდეთ სტუმარს? შენც გაიხადე პალტო!

ლუკამ პალტო გაიხადა და დაფაცურდა. ნავთქურა აანთო და ზედ ჩაიდანი შედგა.

ანდუყაფარმა, როგორც იქნა, თვალი მოსწყვიტა სტუმარს. ჩაფიქრდა, მერმე თავისი სავარძლით რატომღაც გაისეირნ-გამოისეირნა ოთახში და ისევ მაგიდასთან მოაგორა.

— მართლა, უხერხული ხომ არ არის, ჩემი აქ ყოფნა? — იკითხა სტუმარმა.

— არა... არა... — უპასუხა ანდუყაფარმა.

— იცით, რა... თუ...

— მე მგონია, დროა, გავიცნოთ ერთმანეთი. ეს ლუკაა, მე — ანდუყაფარი. თქვენ რა გქვიათ?

— ბოგდანა... ბოგდანა. ვაიდა.

— სახელისა და გვარის მიხედვით უკრაინელი უნდა იყოთ?

— დიახ! ბორისლავში დავიბადე და გავიზარდე.

— ლტოლვილი ხართ, ალბათ?

— დიახ!

— თბილისში დასახლდით?

— არა, მცხეთაში.

— ალბათ მცხეთაშივე მუშაობთ სადმე?

— როგორ გითხრათ... ჩვენს დროში ამის თქმა ცოტა უხერხულად მოეჩვენება კაცს... რას იზამ... მე მოლოზანი ვარ.

— მოლოზანი?

— დიახ.

— განა მცხეთაში არსებობს მოქმედი მონასტერი?

— რა თქმა უნდა.

— ეგ კი არ ვიცოდი. სად არის, რომელ ადგილას?

— ზედ სადგურის თავზე. რკინიგზის გადაღმა. აქედან რომ მიდიხართ, ხელმარცხნივ. მთების უბეშია მიმალული და ქვემოდან არა ჩანს.

— ბორისლავშიც მოლოზანი იყავით?

— არა. ტექნიკუმი დავამთავრე და მოანგარიშედ ვმუშაობდი, საფეიქრო არტელში.

— მერე აქ რამ გაიძულათ მოლოზანი გამხდარიყავით?

— იცით რა, მამიდაჩემს წამოვყევი ზურგში, მამიდაჩემსა და მის მეგობრებს... ისინი ყველანი მოლოზნები არიან. ტან-

ჯვითა და წვალებით მოვაღწიეთ საქართველოს... საშინელი დღეები გადავიტანეთ. დავრდომილები ჩამოვედით. ცოტა რომ მოვჯობინდი, მაშინვე მოლოზნად აღმკვეცეს.

— რატომ დათანხმდით?

— იმიტომ, რომ ქვეყნად სხვა საშველს ვერ ვხედავდი. თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, მე რა გადავიტანე. ერთადერთ გზად სულის ხსნისთვის ღმერთი მიმაჩნდა...

— რა თქმა უნდა, ვერ გავიგებ, მაგრამ წარმოდგენით მაინც შემიძლია წარმოვიდგინო.

— ძნელია.

— ძნელია, ვიცი.

— ხვალ დილამდე რომ არ დაბრუნდებით, თქვენები ალბათ იდარდებენ?

— ალბათ... მაგრამ საქმე ისაა, რომ მე არც ხვალ და არც ზეგ არ ვაპირებ დაბრუნებას.

— მაშ როდის დაბრუნდებით?

— არასოდეს!

— არასოდეს?

— არასოდეს!

— რატომ?

— აღარ შემიძლია იქ ცხოვრება...

— აკი სულის ერთადერთ ხსნად ღმერთი მიგაჩნდათ?

— ახლაც მიმაჩნია, მაგრამ ამისათვის სრულებით არ არის საჭირო მონასტერში გაატარო შენი დღე და მოსწრება. გარდა ამისა, მე ვერ ვეგუები ზოგიერთ ქრისტიანულ დოგმას. მე ისინი არ შემიმოწმებია ცხოვრებაში, შეუმოწმებლად ვცადე მათი მიღება, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ მათდამი შინაგან წინააღმდეგობას, რაც სულს მიბზარავს.

— მაშ, რას აპირებთ?

— ალბათ ვიშოვი სადმე სამუშაოს. ოღონდ მცხეთაში არა. იქ ჩვენები მომნახავენ და უკან დამაბრუნებენ.

— წყალი ადუღდა! — განაცხადა ხმადაბლა ლუკამ.

— აბა, კარგად ყოფილა საქმე! გავაწყოთ სუფრა და დავპატიჟოთ ღვთით მოვლენილი ჩვენი სტუმარი. — გაიღიმა ანდუყაფარმა და თავის სავარძელი სწრაფად მიაგორა კარადასთან.

— მეც მოგეხმარებით. — წამოდგა ბოგდანა.

— იმდენი არაფერი გვაქვს, თქვენი დახმარება რომ დაგვჭირდეს.

— მაშინ ხელებს მაინც დავიბან, დილიდან არ დამიბანია.

— ლუკა, არის წყალი პირსაბანში?

— კი, წეღან ჩავასხი.

ბოგდანა მარმარილოს პირსაბანისკენ გაემართა. ვიდრე ხელებს დაიბანდა, სარკეში ჩაიხედა და თმა შეისწორა. მერმე ნალეევი სარეცხი საპონი აიღო და ხელების ბანას შეუდგა. ანდუყაფარმა და ლუკამ ამასობაში სუფრა გააწყვეს, მაგიდაზე სამი თეფში, სამი ფინჯანი, სამი კოვზი და ერთი საშაქრე დაალაგეს. ბოგდანამ ხელები პირსახოცზე შეიმშრალა და მაგიდას დაუბრუნდა.

— ჩაი დაგვიწყებია. — თქვა ანდუყაფარმა, როცა მაგიდას გადახედა.

ლუკამ ფაიფურის ჩაიდანი მოიტანა და ჩაის ნაყენი ჩამოასხა ფინჯნებში.

— აბა, საშაქრეში ჩაიხედე, ლუკა, დაგვრჩა რამე.

ლუკამ საშაქრეს ხუფი მოხადა და ჩაიხედა:

— სამი „ბალიშიღაა“.

— ხედავ რა სამართლიანია ღმერთი. — გაიღიმა ანდუყაფარმა და ბოგდანას გადახედა, მერმე ლუკას მოუბრუნდა, — მე და შენ ხომ ვერაფრით ვერ გავიყოფდით სამ „ბალიშს“. შეიძლება, ჩხუბიც მოგვსვლოდა. ახლა კი უმტკივნეულოდ შეგვიძლია გავინაწილოთ.

ლუკამ ჩაიდანი გადმოდგა და ნავთქურას სული შეუბერა, ჩააქრო. ნავთქურიდან კვამლი ამოვარდა და ოთახი იმ წამსვე გაიჟღინთა ნავთის მძაფრი სუნით.

— რა საზიზღარი ნავთია! — თქვა ანდუყაფარმა.

სამივენი ჩაის სმას შეუდგნენ. სამივენი ფრთხილად კვნეტდნენ კანფეტს და ცხელ, სურნელოვან სითხეს აყოლებდნენ.

თავი მეთერთმეტე

ის ღამე ანდუყაფარძა ლუკასთან გაათია.

როდესაც ანდუყაფარი ლუკას ოთახში შესრიალდა თავისი სავარძლიანად, დეიდა ნატოს გაეღვიძა და დაფეთებულმა წამოიძახა: რა ამბავია, რა ხდებაო?! ლუკამ და ანდუყაფარ-

ზა დაამშვიდეს. — ისეთი არაფერიო და უთხრეს, რაც მოხდა. დედაბერი სწრაფად წამოიჭრა ლოგინიდან და ლამპის ანთება მოითხოვა.

ლამპა ლუკამ აანთო.

— იცით, რა ჩაიდინეთ ახლა, თქვე სულელებო?! — მიმართა დეიდა ნატომ ორივეს. — როგორ შეიძლება უცხო ადამიანის ოჯახში მარტო დატოვება?! ვითომ არ იცით, რა უკუღმართი დროა, არათუ უცხოსი, ძმა ძმას აღარ ენდობა ახლა...

დეიდა ნატომ დიდხანს ილაპარაკა უკუღმართ დროსა და გულუბრყვილო ადამიანთა ნდობაზე. რამდენიმე დამაჯერებელი მაგალითიც გაიხსენა, თუ რა ბოროტად გამოიყენეს ვიღაც გარეწრებმა კეთილი და გულუბრყვილო ადამიანთა ნდობა, მაგრამ ანდუყაფარს მაინც ვერ ააღებინა განზრახვაზე ხელი. მირჩევნია გამქურდოს, ვიდრე ახლა სახლიდან გავაძევოო, თქვა ანდუყაფარმა. აღდგომა და ხვალეო! — მიუგო დეიდა ნატომ.

ლუკას ეგონა, ანდუყაფარი შუშაბანდში დაწვებოდა ტახტზე, მაგრამ ანდუყაფარმა თავის სავარძლიდან გადმოსვლა არ მოინდომა. — ასევე დავიძინებ, ოღონდ ჩემი საბანი დამაფარე და კარგად შემომიკეცეო.

ლამპა კამოდის თავზე შემოდგა ლუკამ. წინა ოთახში დეიდა ნატო ისევ ბუზღუნებდა უკმაყოფილოდ. ბუზღუნი კარის მიხურვისთანავე შეწყვიტა, ყოველ შემთხვევაში არც ლუკას და არც ანდუყაფარს აღარ გაუგონიათ.

— დავიძინოთ. — თქვა ანდუყაფარმა.

— ახლავე ჩავაქრობ ლამპას. — ლუკა კარადისკენ წავიდა ლამპის ჩასაქრობად.

— ჯერ საბანი შემომიკეცე. აი აქ, ბეჭებთან ცოტას მიბერავს.

ლუკამ საბანში კარგად შეფუთნა ანდუყაფარი და ლამპა ჩააქრო. სიბნელეში თავის საწოლს მიაგნო და ტანსაცმლის გახდა დაიწყო. მერმე შეწვა გაყინულ ლოგინში და კარგა ხანს იწრიალა, სანამ ბალიში და საბანი მოირგო. იგი გახარებული და აღგზნებული იყო. თავდაპირველად თვითონაც არ იცოდა, რატომ იყო ასერიგად გახარებული და აგზნებული. შემდეგ კი ფიქრებში თანდათან გამოიკვეთა ამ სიხარულისა და აგზნების მიზეზი. ძილი არ ეკარებოდა, თანაც ერთი სული

ჰქონდა ანდუყაფარს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ სავარძლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა და ახლადმიძინებულს გაღვიძება ვერ გაუბედა.

ლუკას უკვე იმედის ნაპერწკალი უღვივოდა გულში. თუკი ბოგდანამ მთელი უკრაინა გამოიარა და გადარჩა, რატომ არ შეიძლებოდა დედამისიც ასევე გადარჩენილიყო? მას ანდუყაფარისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ ლტოლვილთა უმრავლესობა ყველა სახის ტრანსპორტით სხვადასხვა მხარეს დაიძრა ეშელონებად წინა ხაზიდან ზურგისაკენ. ამ იმედიანი აზრის შემოწმება უნდოდა ანდუყაფართან საუბრით, მაგრამ ანდუყაფარს, სამწუხაროდ, ეძინა.

კარგა ხანს იწრიალა და იბორგა ლოგინში, ეტყობა, რამდენიმე სიტყვაც წამოსცდა ხმამაღლა, რადგან ანდუყაფარი შეიშმუშნა და გამოელაპარაკა:

— რა მოგვიდა, ლუკა, რატომ არ გძინავს?

— რა ვიცი, არ მეძინება, ხომ არ გაგაღვიძე?

— არა, არც მე მეძინება. ამ ბოლო დროს რაღაც მემართება. ლუკა, შენს წინაშე დამნაშავესავით ვგრძნობ თავს. მაშინ ხომ გახსოვს, მთვარისაზე ფიქრი რომ აგიკრძალე? მერმე მე თვითონ ვფიქრობდი ჩუმ-ჩუმად. ახლა ისე მეჩვენება, თითქოს შენს სამყაროში შემოვიჭერი დაუკითხავად და რაღაც წაგართვი.

ლუკამ არაფერი უპასუხა. რადგან ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „შენს სამყაროში შემოვიჭერი დაუკითხავად და რაღაც წაგართვიო“.

— ასე გითხრა, არა, სხეული თოთხმეტ ნაწილად მერღვევა და თვითეული ნაწილი განსხვავებული ტკივილით მტკივაო?

ლუკა ჯერ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა ანდუყაფარი. მერმე უცებ მთვარისა გაახსენდა.

— კი, ასე მითხრა;

— ეს ტკივილები მერმე მთვარეს დაუკავშირა — მთვარეც თოთხმეტ ნაწილად ირღვევაო?

— კი, ეგრე თქვა. თუმცა ეგ არ მახსოვს, თქვა თუ არა.

— რა საოცარია? შენ იცი, რომ ეს მართლაც არის დაკავშირებული მთვარის კლება-მატებასთან. მთვარე ხომ ზუსტად თოთხმეტ დღეს ანდომებს დამშლევებას და თოთხმეტ დღეს გავსებას?!

ანდუყაფარი გაჩუმდა. კარგახანს სდუმდა, თითქოს მოელოდა, რას ეტყოდა ლუკა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ნათქვამმაო. მაგრამ ლუკას ხმა არ გაუღია, რადგან შინაგანად არ დაუჯერა ანდუყაფარს. მისმა გონებამ ვერ გააზრა, ადამიანის ტკივილები როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული მთვარესთან.

— ხშირად ვფიქრობდი მთვარისაზე, ისე ხშირად, რომ... ზოგჯერ ცოცხლადაც კი წარმოვიდგენდი ხოლმე... დარწმუნებული ვარ, მთვარისა მისი ნამდვილი სახელი არ არის. ეგ სახელი თვითონვე დაირქვა. იცი...

— არ არსებობს მთვარისა! — შეაწყვეტინა ლუკამ თითქოსდა ხმამაღალი ფიქრი ანდუყაფარს. იგი მოულოდნელად გაღიზიანდა.

— როგორ თუ არ არსებობს?! — გაოცდა ანდუყაფარი.

— ამასწინათაც ვიყავი იქ.

— სად?

— სადა და საგიჟეში.

— მერმე?

— არ არსებობს მთვარისა!

— იქნებ იმ დღეს ვერ ნახე?..

— არა! მოხუცმა დარაჯმა მითხრა, — აქ არავითარი მთვარისა არ ცხოვრობსო.

— იქნებ შეცდა?! აჩვენე ის ფანჯარა?

— კი. ეს სამრეცხაო ფანჯარაა, ასე თქვა.

— ალბათ დაგიმალა?

— ასე მითხრა: აქ ყველას ვიცნობო, აქ ოცდაათი წელი ვმუშაობ და არავითარი მთვარისა არ გამიგონიაო.

— შენ ხომ ნამდვილად ნახე მთვარისა?

— რა ვიცი.

— ეს ბიჭი გამაგიჟებს! შენ ხომ მთვარისას ვერ მოიგონებდი?! ნამდვილად ვერ მოიგონებდი!

— რა ვიცი.

— რას ჰქვია, რა ვიცი! შენ ხომ ნამდვილად ნახე მთვარისა?!

— მე მგონია, ვნახე.

— ლუკა, იქნებ ფანჯარა შეგეშალა?

— შეიძლება, შემეშალა.

— აბა, კარგად დაფიქრდი!

— არა, არ შემშლია.

— კარგად დაფიქრდი-მეთქი!

ლუკა დაფიქრდა, მაგრამ მთვარისას ნაცვლად თვალწინ ის ორი ნაცრისფერხალათიანი მამაკაცი დაუდგა, ნახევრადბნელ დერეფანში დინჯად რომ დასეირნობდნენ. მოდი, ამათ შესახებ ვუამბობ ანდუყაფარსო, — გადაწყვიტა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, — არ ღირსო. ლუკა არ მოელოდა, თუ ანდუყაფარს ეს ახალი ცნობა მთვარისაზე ასეთნაირად შეაშფოთებდა. ანდუყაფარის შეშფოთება მისთვის აუხსნელი რჩებოდა და გრძნობდა, ამის გამო უფრო მეტად ღიზიანდებოდა.

— არ არსებობს მთვარისა!

ანდუყაფარი ხმას აღარ იღებდა. შესაძლებელია, ძილს თავი ვეღარ წაართვა და ჩასთვლიმა.

ლუკა დარწმუნებული იყო, მთელი ღამე ბოგდანაზე ილაპარაკებდნენ, რადგან მისმა გამოჩენამ ძალზე უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. მაშინ ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ ახლაღა აღნუსხა მეხსიერებაში, ბოგდანას გამოჩენისთანავე როგორ გადასხვაფერდა ანდუყაფარი, შეეცვალა ხმაც, სახეც, ღიმილიც. ხელები უთრთოდა, რამდენჯერმე ჩაიც კი დაღვარა. ცდილობდა, მხიარული ყოფილიყო და როგორღაც არ გამოუდიოდა...

მერმე უცებ სინდისის ქენჯნაც იგრძნო: მაიკო უკვე მეორე კვირაა, ავად არის და ერთხელაც არ მივედი სანახავადაო. ისიც კი არ იცოდა, რა სჭირდა, რითი იყო ავად. ხვალვე წავალ და ვინახულებო, — გაიღიმა კმაყოფილმა იმით, მაიკო რომ მოაგონდა. მერმე გაიხსენა, როგორ აკოცა სასაფლაოზე და როგორ მოდიოდნენ სვანეთის უბანში ხელიხელჩაკიდებულები. როცა გავიზრდები, უსათუოდ ცოლად მოვიყვანო, ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ იმდენად გააოცა, რომ კინაღამ დაუსტვინა კიდეც. მერმა თვალნათლივ დაინახა: მაიკო თავის საყვარელ ტახტზე გულაღმა იწვა ჭერს მიშტერებული. ამ ხილვამ ისევ ნეტარი ღიმილი მოჰგვარა და სასიამოვნო ჟრუანტელად დაუარა მთელს სხეულს. ის დღე ხშირად აგონდებოდა ლუკას და ყოველთვის სხვადასხვა გუნებაზე აყენებდა, ზოგჯერ აღელვებდა, ზოგჯერ ამშვიდებდა, ზოგჯერ თრგუნავდა. ამჯერად გამაბრუებელი ნეტარება იგრძნო.

დილით დეიდა ნატოს კივილმა გამოაღვიძა. დაფეთებულმა გაახილა თვალები და ირგვლივ მიმოიხედა: ანდუყაფარი ოთახში აღარ დახვდა, უჩუმრად წასულიყო. დეიდა ნატო გულშემზარავად კიოდა. ვაითუ, ბოგდანამ გაძარცვა ანდუყაფარიო. — გაიფიქრა ლუკამ და მაშინვე წამოხტა, საბანი მოიხურა და ოთახში გამოვარდა.

დეიდა ნატო ტახტზე იჯდა, ხელებს თავში იცემდა და სახეს იკაწრავდა: ანდუყაფარი და ბოგდანა თავზე ადგნენ, ლუკა უცებ მიხვდა, ბოგდანა არაფერ შუაში იყო. რაღაც ახალი უბედურება დასტყდომოდათ თავს.

ანდუყაფარი და ბოგდანა დეიდა ნატოს ამაოდ ამშვიდებდნენ. დეიდა ნატო ტახტზე დაემხო. ხმამაღლა ტიროდა და სუსტი, გამხდარი მხრები საცოდავად უცანცარებდა.

— რა მოხდა?! — იკითხა შეძრწუნებულმა ლუკამ.

ლუკას არც ერთმა არ მიაქცია ყურადღება. არც ანდუყაფარმა, არც ბოგდანამ, ისინი დეიდა ნატოს დამშვიდებას ცდილობდნენ და, შესაძლოა, ლუკას ხმა არც გაუგონიათ. მაგრამ ლუკა ისეთი ბიჭი არ გახლდათ, რომ მათი წაყრუება დაეჯერებინა. აშკარა იყო, ერთმაც და მეორემაც პასუხს თავი აარიდა. ლუკას გულში წეღან შეპარულმა პატარა ეჭვმა ახლა უკვე მთელი ძალით იფეთქა და სულითხორცამდე შეარყია, ერთხანს სმენაც, ხმაცა და მხედველობაც დაუკარგა. მერმე გონს მოეგო, თავის ოთახში შებრუნდა და ასევე საბანმოხურული საკუთარ საწოლზე ჩამოჯდა. „ეტყობა, ცუდი ამბავი გაიგო.— ფიქრობდა ლუკა, — ალბათ დედა... დეიდა ნატო მამაზე ასე არ მოიკლავდა თავს... თუმცა არა... დეიდა ნატო ახლა“.. ფიქრის დასრულება არ დასცალდა, ოთახში ბოგდანა შემოვიდა. იგი ლუკას მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა და მის წინ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— ლუკა, ცუდი ამბავი მოვიდა... ძალზე სამწუხარო... ჯერ ვიფიქრეთ, არ გავუმხილოთ-თქო, მაგრამ შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ... — დაიწყო ბოგდანამ.

— დედა? — შეაწყვეტინა ლუკამ.

— არა! — მოკლე შეკითხვას მოკლედვე უპასუხა ბოგდანამ და გაჩუმდა. მერმე, წამოდგა, გულხელდაკრეფილი ერთხანს ბოლთას სცემდა.

წინა ოთახში მიწყდა დეიდა ნატოს ხმა, ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა.

— ლუკა, ძალზე ცუდი ცნობაა, მაგრამ გონიერმა კაცმა ასეთ ქადალდებს ბოლომდე არ უნდა დაუჯეროს... იცი, რას გეტყვი ლუკა, მე ჩემი თვალით ვნახე, რაც იქ ხდება და ბირდაპირ გეტყვი: არ არსებობს ქვეყანაზე ძალა თუ საშუალება, რომელსაც ჯერჯერობით ზუსტად შეეძლოს იმ ჯოჯოხეთში დატრიალებულ უბედურებათა აღნუსხვა. მიდი და გაიგე, ვინ გადარჩა, ვინ დაიღუპა და ვინ ტყვედ ჩავარდა...

კარი შეშფოთებულმა ანდუყაფარმა შემოაღო.

— ბოგდანა, მოდით, მომეხმარეთ! ლუკა, სარაფანა ჩაიცვი და მეზობლებს დაუძახე, დეიდაშენი ცუდად გახდა.

ბოგდანა სწრაფად გავიდა. ლუკამ ხელდახელ ჩაიცვა და ისიც სირბილით გაიჭრა წინა ოთახში. დეიდა ნატო ტახტზე გულაღმა იწვა, მძიმედ სუნთქავდა, სახეზე აღარ ედო სააქაო ფერი.

ლუკამ ორიოდ წუთში შეჰყარა მეზობლები. ტახტზე უღონოდ მისვენებულს ნიშადურის სპირტი აყნოსეს, საფეთქლები დაუზილეს. ემა, ჯუჯა რუბენას და, მალი-მალ უცვლიდა ციკ ტილოს და შუბლზე აფენდა.

„რა მეშველება?“ ფიქრობდა თავგზადაბნეული ლუკა. იგი მეორე ოთახში გამოსულიყო და მარტო დაბოდიალობდა.

ფანჯარას მიადგა და ქუჩაში გაიხედა.

ვეტერინარული კლინიკის რკინის ჭიშკართან ფორანში შებმული ჯაგლაგა ცხენი მოწყენილი იდგა. გამოიარა მოხუცმა კაცმა. ცხენს მოხედა, ერთხანს უყურა და წავიდა. ფორანზე ორი ბეღურა დაფრინდა. ბეღურებმა რაღაც აკენკეს და ისევ აფრინდნენ, იქვე ორსართულიანი სახლის პარაპეტზე შემოსხდნენ. მეორე სართულის ფანჯრები შიგნიდან დარაბებით იყო დაგმანული. ჯაგლაგა ცხენთან ახლა ორი სამხედრო პატრული შეჩერდა, ორივემ კარგახანს ათვალიერა ცხენი, ერთმა გავაზეც კი დაჰკრა ხელი. ცხენი არ განძრეულა. მერმე პატრულებიც წავიდნენ. ვეტერინარული კლინიკის ეზოდან გამოვიდა ქალი, წყლით სავსე ვედრო გამოიტანა. ქალი ორსართულიანი სახლის ხის ჭიშკარში შეიმალა. ხმაურით ჩაიქროლეს ტრამვაის ცარიელმა ვაგონებმა...

„რა მეშველება?!“

ორსართულიანი სახლის ეზოდან პატარა გოგონა გამოვიდა. გოგონას ხელში ბოთლი ეჭირა. გოგონაც შეჩერდა ცხენ-

თან და დააკვირდა. მერმე ისევ გაიქცა. რაღაცას წამოჰკრა ფეხი, შეტორტმანდა, ბოთლი ხელიდან გაუვარდა და ნამსხვ-რევები ქვაფენილზე გაიფანტა. ბოთლი ცარიელი იყო. გოგო-ნა უკანვე გაბრუნდა და ორსართულიანი სახლის ჭიშკარში გაუჩინარდა. დაბალ-დაბალმა, მსუქანმა ქალმა ბოთლის ნამ-სხვრევები ტროტუარიდან ქვაფენილზე ფეხით გადაყარა. ფორანთან ახლა სასწრაფო დახმარება გაჩერდა. შოფერმა რა-ღაც ჰკითხა მსუქანსა და დაბალ ქალს. ქალმა მხრები აიჩეჩა და თავისი გზა განაგრძო...

„რა მეშველება?!" — გაიფიქრა ისევ ლუკამ და ფანჯარას მოშორდა. მერმე უცებ გაახსენდა, წელან მეზობლებმა სასწრა-ფო დახმარება რომ გამოიძახეს. იქნებ ეს ის მანქანაა, რომელ-საც ელოდებიან? ლუკა ისევ მიიჭრა ფანჯარასთან და ქუჩა-ში გადაიხედა. მანქანა უკვე იქ აღარ იდგა.

ლუკამ თითქმის სირბილით გაიარა წინა ოთახი. შუშაბან-დში ემამ შეაჩერა და ჰკითხა:

— სად მიდიხარ?

— სასწრაფო დახმარება მოვიდა! — მიუგო ლუკამ.

ქუჩაში გასულს სასწრაფო დახმარება ჭიშკართან დახვ-და. მანქანის ფანჯრიდან შოფერმა გადმოჰყო თავი.

— ავადმყოფი აქ ცხოვრობს? —იკითხა.

— დიახ! — უპასუხა ლუკამ და მანქანას მიაჩერდა, რო-გორც მხსნელს. მანქანიდან ორი თეთრხალათიანი ქალი გად-მოვიდა. მეორემ მანქანის კარში ძლივს გამოატია ხის მძიმე ყუთი.

— სად ცხოვრობს? — იკითხა პირველმა თეთრხალათიანმა.

— იქ... მესამე სართულზე... მარჯენივ უნდა წახვიდეთ.

თეთრხალათიანები ეზოში შევიდნენ. შოფერი მაშინვე მი-წვა გვერდზე და თვალები მილულა, დასაძინებლად მოემზადა. ლუკამ ერთი კი გაიფიქრა, ექიმებს შევყვებიო, მაგრამ ფე-ხები არ დაემორჩილა. არ დაემორჩილა მის ფიქრებს, რაღაც შინაგანი ძალა უწევდა წინააღმდეგობას.

ხელები და ყურები გაეყინა. ხელები ჩაიწყო ჯიბეში, ყუ-რებს კი ვერაფერი მოუხერხა. სიცივისაგან აბუზული ქუჩას გაჰყვა. ვეტერინარული კლინიკის წინ ფორანი აღარ იდგა. ჯაგლაგა ცხენი ან სამკურნალო აღრიცხვაზე აიყვანეს ანდა ხელი ჩაიქნიეს, — არაფერი ეშველებაო.

ქვაფენილი გადმოჭრა ძველმა დაბალმა, თან აქეთ-იქით იხედებოდა შეშინებული, რამე არ დამეჯახოსო. მაგრამ ქუჩაზე არც აღმა და არც დაღმა არაფერი ჩანდა ისეთი, რაც შეიძლებოდა ძველ დაბალს დასჯახებოდა. მოხუცს თავისი წილი ოთხასი გრამი პური მოჰქონდა. ტროტუარზე ამოსული ისე ათვალიერებდა პურს თითქოს ძვირფასი ნივთი ეჭირა ხელში და საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, — ვიყიდო თუ არ ვიყიდოო.

ქუჩის გადაღმა პურის მაღაზიასთან უზარმაზარი რიგი იდგა, ვიღაც-ვიღაცეებს ურიგოდ უნდოდათ მაღაზიაში შესვლა და იყო ერთი ყაყანი და აურზაური. სხვა დროს ლუკა სიამოვნებით შეჩერდებოდა სეირის საცქერლად, მაგრამ ამჯერად სულაც არ დაინტერესებულა პურის რიგით, თანაც უპალტოოდ და უქუდოდ გამოსულს ძალზე სციოდა.

წყალსაწევის ქუჩის კუთხიდან გაუქმებული ეკლესიის გუმბათი გამოჩნდა, მოშავო-მონაცრისფრო, დაძენძილ ღრუბელს ცა დაედაბლებინა და ეს ცივი და ნოტიო სიმძიმე ქალაქს დამთრგუნველად დასწოლოდა ზემოდან. ლუკამ წყალსაწევის ქუჩა გადაირბინა, პატარ-პატარა ფარდულების რიგი გაიარა და ეკლესიის ეზოსთან შეჩერდა. რიყის ქვით მოკირწყლული ეზო ახლად დაგვილსა ჰგავდა.

ლუკა ჭიშკარში შევიდა. ეკლესიას შემოუარა და ნაცნობი შუშაბანდის წინ შეჩერდა. ფრთხილად დააკაკუნა ფანჯრის მინაზე. ხმა არავის გაუცია. კიდევ ერთხელ დააკაკუნა, ახლა უფრო გაბედულად.

— ვინ არის? — ეს მაიკოს ხმაა.

— მე ვარ, ლუკა!

— ვინა?

— ლუკა!

— შემოდი, შემოდი! კარი ღიაა! — შეიპატიჟა მაიკომ.

ლუკა კარს მიაწვა. შეაღო და შევიდა.

შუშაბანდი გაიარა და შინდისფერი ფარდა გადასწია, ნახევრადბნელ ოთახში შეიხედა. მაიკოს საყვარელ ტახტზე ლოგინი იყო გაშლილი. რბილ ლოგინსა და ბალიშებში ჩაფლული მაიკო ძლივს ჩანდა.

ლუკამ ოთახში შეაბიჯა და შეჩერდა.

— გამარჯობა, მაიკო!.. როგორა ხარ?

— ახლა არა მიშავს.

— გაცივდი?
— ხო, გავცივდი. გრიპი დამემართა.
ლუკამ კიდევ ორიოდე ნაბიჯი გადადგა.
— ახლოს არ მოხვიდე, — უთხრა მაიკომ, — ჯერ მთლად არ ვარ მორჩენილი.
— სიცხე გაქვს?
— კი. დაჯექი.
— მარტო ხარ?
— კი, დედაჩემი პურზე წავიდა. დაჯექი.
— რა თბილა თქვენთან.
— კი, თბილია, რატომ არ ჯდები?
— რა ვიცი... უნდა წავიდე.
— დღეს არ ყოფილხარ სკოლაში?
— არა.
— რატომ?
— ისე... არ მინდოდა.
— მე კი მომენატრა... თითქმის ორი კვირაა ასე ვწევარ.
— ათი დღეა!
— ხო, ათი დღეა.
— რა ვიცი... მე ოცი დღეც რომ არ მივიდე სკოლაში, არ მომენატრება.
— დაჯექი, რა!
— ძლივს გავთბი... ყურები გამიხურდა.
— ქუდი არ გახურავს?
— არა.
— გაცივდები.
— გავცივდე, თუ გავცივდები!
— ცუდ გუნებაზე ხარ?
ლუკამ მხრები აიჩეჩა.
— გაწყენინა ვინმემ?
ლუკამ ისევ აიჩეჩა მხრები.
— აბა, რატომ მოხვედი, თუ არ დაჯდები?
— იცი, რა, მაიკო?
— რა?
ოთახში დუმილი ჩამოდგა. როდის-როდის ლუკამ თქვა:
— მამაჩემი დაიღუპა!
— დაიღუპა?! — მაიკო ლოგინზე წამოჯდა.

— დღეს მივიღეთ ცნობა... — ლუკას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა და თვალები ცრემლით აევსო. სივრცე აიმღვრა, კედელზე ჩამოკიდებულმა ჭრელმა სპარსულმა ნოხმა ფერები დაჰკარგა და ნაცრისფერ სივრცეში განზავდა.

ლუკამ გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი და მუჭით თვალები მოიწმინდა. ლოგინზე წამომჯდარ მაიკოს ღაპა-ღუბით ცვიოდა ცრემლი. შეძრწუნებული გამოსცქეროდა ლუკას.

— წავალ! — თქვა ლუკამ.

— გინდა, ავდგები? — მტირალა ხმით ჰკითხა მაიკომ.

— არა, არა!

— შენ შუშაბანდში გადი, მე ახლავე ჩავიცვამ! — მაიკომაც მუჭით მოიწმინდა ცრემლი.

— იცი, რა, მაიკო?

— რა?

— კიდევ რაღაც უნდა მეთქვა... სხვა დროს გეტყვი, კარგი? — ლუკა შუშაბანდში გავიდა, — ნახვამდის!

— ლუკა!

— რა გინდა? — შუშაბანდიდან გამოსძახა ლუკამ.

— ახლა მითხარი, რა!

— სხვა დროს გეტყვი.

— არა, ახლა მითხარი, გეხვეწები!

— იცი, რა, მაიკო?.. მე შენს მეტი მეგობარი არა მყავს!— ლუკამ შუშაბანდის კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და, ვიდრე გამოაღებდა, ერთი წუთით ჩაფიქრდა. მერმე ხმამაღლა, მაიკოს გასაგონად თქვა, — ანდუყაფარი და შენ!..

რაღაცნაირად უფრო მეტად გულდამძიმებული გამოვიდა მაიკოსაგან. რა დროს მაიკოსთან მისვლა იყო, — ფიქრობდა გზადაგზა, თან ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც მოატყუა, მოატყუა არა მარტო ვიღაც სხვა, საკუთარი თავიც...

გარეთ გამოსულს ისევ შესცივდა და ხელები შარვლის ჯიბეებისკენ გააქანა. ცუდ გუნებაზე აყენებდა ისიც, მაიკოსთან თავი რომ ვერ შეიკავა და იტირა. „მივედი, ვიტირე და წამოვედი“.. წყალსაწევის ქუჩაზე ჩაუხვია, სამლებრო ფარდულებს წინ ჩაუარა და მდინარის კბოდესთან გავიდა. იქ დიდხანს არ გაჩერებულა, რადგან მტკვარმა სუსხიანი ქარი შეაგება და ნოტიო სიცივემ ძვალსა და რბილში გაატანა.

რიყის ქუჩაზე ამოსულმა ავტოსკოლის გარაჟის გასწვრივ ქვაფენილს გახედა, — სასწრაფო დახმარება იქვე თუ დგასო. სასწრაფო დახმარება მისი სახლის წინ აღარ იდგა. „წავალ,— თქვა გუნებაში, — დეიდა ნატო ალბათ გამოკეთდა და გაგიჟდება, შინ რომ ვერ დამინახავს“.

პურის მაღაზიასთან ისევ გრძელი რიგი იდგა, ოღონდ რიგი ახლა უკვე დამშვიდებულიყო და წყნარად მიდიოდა. ლუკამ თბილი ხელებით ყურები დაისრისა და შინისკენ გასწია. გვერდით ვიღაცამ ჩაუქროლა სტვენა-სტვენით. მაშინვე იცნო ჭორფლიანი ალბერტი.

— ეი, ალბერტ!

ბიჭი შეჩერდა და ლუკას მოხედა. ჭორფლიანმა ალბერტმაც, ეტყობა, იცნო ლუკა, უნებურად სახე დაემანჭა, ალბათ გაღიმება უნდოდა.

— მოდი აქ! — უთხრა ლუკამ.

— რა გინდა? — ჭორფლიანის მზერას ოდნავი შიში შეეპარა.

— გეუბნები, მოდი აქ-მეთქი!

— რა გინდა, ვა?!

— რაც მინდა!

— აჰა, მოვედი!

— უფრო ახლოს!

— შენ გგონია, მე არ ვიყავი?! მე ისეთი ბიჭი არა ვარ, ლუკაჯან, სხვისი ხარახურა წავიღო.

— მე არაფერი არა მგონია! — ლუკამ უცბად ხელი წაავლო პალტოს საყელოში, ჭორფლიანი ალბერტი კედელზე მიაყუდა, ჯერ ერთი მუშტი მოუქნია, მერე — მეორე.

ალბერტმა ორივე ხელი სახეზე აიფარა და ჩაიჩოქა. ლუკამ მთელი ძალით ჰკრა ხელი და ჭორფლიანი ფილაქანზე გაიშხლართა. არც ახლა მოეშვა ლუკა, ზემოდან დააჯდა და გამეტებით დასცხო სახეში მუშტები.

ჭორფლიანი ალბერტი ყვიროდა და მშველელს უხმობდა. ლუკა არ ცხრებოდა.

— დახოცეს ერთმანეთი!

— მოკლა მაგ საძაგელმა!

— გააშველეთ!..

ესმოდა ლუკას შეძახილები. მერმე ვიღაცამ ღონიერი ხე-

ლი წაავლო ქეჩოში და ჭორფლიან ალბერტს ააგლიჯა. როდესაც აიხედა, თავზე ორი მამაკაცი ადგა. ერთ-ერთმა ლაზათიანად წამოჰკრა კისერში.

— მოერიე, არა, შე მაიმუნო?!

ლუკას კიდევ ერთხელ უთავაზეს.

— დაიკარგე აქედან, შე ხულიგანო, შენა! — ეს კაცი მერმე დაიხარა და ფილაქანზე გაშხლართული ჭორფლიანი ალბერტი წამოაყენა, — ადექი, ადექი, ნუ გეშინია!

ქუჩის გადაღმა პურის რიგი აღელდა, აყაყანდა. ლუკამ შიშით გახედა განრისხებულ ხალხს, ისინი მუშტებს იქნევდნენ, ყვიროდნენ, იმუქრებოდნენ... პურის რიგის დაკარგვისა რომ არ შინებოდათ, ალბათ ქუჩაზეც გადმოცვივდებოდნენ და, ვინ იცის, რა დღეს დააყენებდნენ ლუკას.

— ერთი ამას უყურეთ, რომ არც მიდის?! — თქვა იმან, ვინც ჭორფლიანი ალბერტი წამოაყენა და დაუყვავა, თან პურის რიგს გახედა აღშფოთებულმა.

პურის რიგი სულ გადაირია:

— დაიჭირეთ, არ გაუშვათ!

— მილიციას დაუძახეთ!,

— სად არის მილიცია?

— აქ არ იყო ახლა ის ახმახი?!

ლუკა გატრიალდა და შინისაკენ გაემართა, მიდიოდა ნაცემი და დათრგუნული, დამცირებული და შეურაცხყოფილი. მიმავალმა ერთხელ კიდევ გახედა მალვით პურის რიგს, გული ამოუჯდა, გაბოროტებული ბრბო რომ დაინახა, იქვე ავტოსკოლის კედელს მიეყუდა, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა.

თავი მეთორმეტე

დეიდა ნატოს იმავე საღამოს მარცხენა მხარის დამბლა დაეცა და ლოგინად ჩავარდა. „ვინ მოუვლის ახლა ამ დედაბერსო“, — თავი სინანულით გაიქნიეს მეზობლებმა, ერთი ამოიოხრეს და წავიდ-წამოვიდნენ. სასწრაფო დახმარებამ კიდევ ერთხელ მოაკითხა ავადმყოფს. ანდუყაფარმა ექიმს ფრთხილად უთხრა, — აქ მომვლელი არავინა ჰყავს და იქნებ სჯობდეს საავადმყოფოში გადავიყვანოთო. ექიმმა უარის ნიშნად

საწყალობლად გაიღიმა. — ჩვენ საერთოდ ეგეთი ავადმყოფები არ მიგვყავს, მით უმეტეს ახლა, როცა თითქმის ყველა საავადმყოფო ჰოსპიტლად არის გადაკეთებული და გასამხედროებულია.

— მაშ, რა ვქნათ? — იკითხა ანდუყაფარმა.

— არ ვიცი. — უპასუხა ექიმმა, ბოდიში მოიხადა და ოთახიდან გავიდა.

ანდუყაფარმა და ლუკამ კიბემდე მიაცილეს.

— თქვენ უნდა გაგვიგოთ, ქალბატონო, — ანდუყაფარმა ლუკას მკლავზე შეავლო ხელი, — მოხუცს ამ ბავშვის მეტი არავინ არა ჰყავს. განა ეს ბავშვი შესძლებს ასეთი მძიმე ავადმყოფის მოვლას?

— როგორ არ გესმით, ბატონო! რა აზრი აქვს ახლა მაგ ქალის საავადმყოფოში გადაყვანას? გინდაც ჰქონდეს აზრი, დამიჯერეთ, უკანვე დაგვაბრუნებენ. დასაწოლი ადგილი არა გვაქვს. — ექიმი წავიდა.

ანდუყაფარი და ლუკა ოთახში შებრუნდნენ. ბოგდანა დეიდა ნატოს ადგა თავზე. დეიდა ნატო საცოდავად იწვა თავის საწოლში სახემოქცეული, ყბაჩამოვარდნილი, თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და ერთთავად ლუკას უმზერდა, თითქოს რაღაცის თქმაც უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. დროდადრო თვალები ცრემლით ევსებოდა და ისევ ეშრიტებოდა. დამჭკნარ, სველ ლოყებს ბოგდანა უმშრალებდა ცხვირსახოცით.

— ახლა ხომ ცოტა უკეთა ხართ, დეიდა ნატო? — ჰკითხა ანდუყაფარმა.

დეიდა ნატო ხმას არ იღებდა. ფართოდ გახელილი თვალები, რომელშიც შიში და ძრწოლა ჩასდგომოდა, მხოლოდ ლუკასთვის მიეპყრო. თვალები დროდადრო ცრემლებით ევსებოდა და ეშრიტებოდა.

ლუკამ დეიდა ნატოს დაჟინებულ მზერას ვეღარ გაუძლო და საწოლს მოშორდა.

— დეიდა ნატო, დამიგდეთ ყური, — ეუბნებოდა ანდუყაფარი, — ნუ გეშინიათ, დეიდა ნატო... ბოგდანა ამბობს, ლუკასაც და დეიდა ნატოსაც მე მოვუვლიო... აქ, შუშაბანდში დაწვება და იცხოვრებს, რა თქმა უნდა, თუ თქვენ თანახმა იქ-

ნებით. თუმცა სხვა რა გზა გაქვთ, ვინ მოუვლის ლუკას, თქვენც ხომ გჭირდებათ მოვლა...

ლუკა ისევ მივიდა საწოლთან და ავადმყოფ დეიდას დახედა, აინტერესებდა, რას იტყოდა, ბოგდანას დარჩენაზე დათანხმდებოდა თუ არა. დეიდა ნატოს არც ახლა ამოუღია ხმა. გაშტერებული მისჩერებოდა ლუკას.

უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა დეიდა ნატოს თანხმობას და იმავე საღამოს გადაწყდა, ბოგდანა ლუკასთან რჩებოდა.

დარჩა კიდეც.

ერთი კვირაც არ იყო გასული, ბოგდანა სამკერვალო ფაბრიკაში მიიყვანა მეზობლის ქალმა. იქ ერთ-ერთ საამქროში მოეწყო ოსტატის შეგირდად და პურისა და სურსათის ბარათებიც მიიღო. კერვა სულ მალე ისწავლა და საკერავი — ჯარისკაცული გიმნასტურები და შარვლები — შინაც მოჰქონდა. შინაურ საქმეს რომ მოათავებდა, შუშაბანდში დეიდა ნატოს საკერავ მანქანას მიუჯდებოდა და გვიან ღამემდე მუშაობდა.

ძალიან ძნელი იყო ავადმყოფი დედაბრისა და ლუკას მოვლა, თანაც ფაბრიკაში სიარული, მაგრამ ბოგდანა ყველაფერს ასწრებდა და ახერხებდა. ეს კი არა და თავისუფალი დროც კი რჩებოდა. ამ თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ ლუკა, ბოგდანა და ანდუყაფარი. შეიყრებოდნენ და საუბრობდნენ ან ლოტოს თამაშობდნენ.

მაგრამ ლუკა ზოგჯერ ალღოთი გრძნობდა, ზოგჯერ კი ატყობდა კიდეც, რომ ანდუყაფარსა და ბოგდანას მარტო უნდოდათ ყოფნა. ასეთ დროს ტოვებდა მათ და ან სამეცადინოდ მიდიოდა ანდა სკოლის ამხანაგებთან — გასართობად.

ერთ კვირა დილას ანდუყაფარმა უთხრა — თუ ძმა ხარ, ბოგდანას წაჰყევი საბურთალოს ბაზარში თავისთვის რაღაც-რაღაცეები უნდა იყიდოსო. დეიდაშენს თუ რამე დასჭირდა, მე მივხედავო. ლუკა სიამოვნებით წაჰყვა ბოგდანას ბაზარში.

ბოგდანამ პალტო, კაბა და ფეხსაცმელები იყიდა.

ბოლოს და ბოლოს გაიხადა თავისი დაბამბული ქურთუკი და ძველი ჩექმები და ახლადნაყიდი ტანსაცმელით გამოეწყო. ლუკამ თვალებს არ დაუჯერა, არაფრით არ ეგონა, თუ ტანსაცმელს ასე შეეძლო ადამიანის გამოცვლა. ანდუყაფარი და ლუკა მაგიდას უსხდნენ და აღტაცებულები შესცქეროდნენ ბოგდანას. იგი ეს-ეს არის შემოვიდა ოთახში, ახლადნაყიდი, თუმ-

ცა საკმაოდ ნახმარი მაუდის პალტო აცვია, საყელოზე კურდღლის ბეწვმოვლებული, და კმაყოფილი წინ და უკან დადის, ბიჭებს თავს აწონებს, ცოტას იპრანჭება კიდეც. მერმე პალტოს იხდის და ფრთხილად ჰკიდებს საკიდზე. ბოგდანა ახლა უკვე უხეში შალის სადად შეკერილი ნაცრისფერი კაბით წარსდგა ბიჭების წინაშე. სახეგაბადრული, ბედნიერი, ხელებგაშლილი დგას და უღიმის, — შემომხედეთ, როგორი გოგო ვარო...

ანდუყაფარმა და ლუკამ ტაში დასცხეს, ბოგდანამ მოწიწებით დაუკრა თავი ორივეს, მერმე ისევ გაიარ-გამოიარა, მაღალ თეძოებს განგებ გაზვიადებულად მიარხევდა, თან უკან იხედებოდა — კაბა როგორ მადგასო...

შაბათ საღამოს მმაჩის ბიუროს წარმომადგენელი მოვიდა თავისი დავთრით და ანდუყაფარისა და ბოგდანას ქორწინება გააფორმა. მოწმეებად ჯუჯა რუბენა და იზა დაისწრეს. ლუკაც, რა თქმა უნდა, იქვე იყო, მაგრამ მოწმედ არ გადიოდა.

ქორწილი იმავე საღამოს „გადაიხადეს". მაგიდას ხუთნი უსხდნენ: ბოგდანა, ანდუყაფარი, რუბენა, იზა და ლუკა. პირველი სადღეგრძელო რუბენ ნალბანდიშვილმა შესვა. ახლადდაქორწინებულები ადღეგრძელა. უსურვა ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერება. მერმე, არ დამჯდარა, ზოდიში მოიხადა, — არა მცალიაო, — თავისი უზარმაზარი კეპი დაიხურა და ყველას დაემშვიდობა. ბოგდანამ და ანდუყაფარმა დიდი მადლობა გადაუხადეს — მმაჩის ბიუროს წარმომადგენლის შინ მოყვანა ჯუჯა რუბენას შნო და მარიფათი იყო.

ბოგდანა და ანდუყაფარი სუფრის თავში ისხდნენ. ერთიცა და მეორეც ძალზე კმაყოფილნი და გახარებულნი ჩანდნენ. ანდუყაფარს თეთრი გაქათქათებული პერანგი და თავისი ძველი კოსტიუმი ეცვა. პირი გაეპარსა, თმა კოხტად გადაევარცხნა. ბოგდანა ისევ ლამაზი იყო. ოღონდ იზას გვერდით მისი სილამაზე ცოტათი მკრთალდებოდა და ხუნდებოდა. ლუკა იზას პირისპირ იჯდა და პირდაღებული მისჩერებოდა, თვალს ვერ აშორებდა, როგორც ბუხარში დანთებულ ცეცხლს. იზა გამუდმებით მოძრაობდა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, თანაც ბეგრს ლაპარაკობდა და ერთთავად ისწორებდა ჩამოშლილ ოქროს თმას, რომელიც თითქმის ნახევარ სახეს უფარავდა.

„შეღებილი აქვს, — ფიქრობდა ლუკა, — ასეთი ფერის თმა არ არსებობს“. მაგრამ იზას ნამდვილად ჰქონდა ასეთი ფერის თმა, მბზინავი ჰაეროვანი და ამავე დროს მძიმე, როგორც თვით ოქრო. წაბლისფერ წამწამებიდან მიბნედილ იისფერ შუქს ღვრიდა.

— თამადად ლუკას ვნიშნავ! — თქვა ანდუყაფარმა და ეს წინადადება ბოგდანამაც და იზამაც სიხარულით აიტაცეს.

ლუკა უხერხულად აიწურა. იუარა.

— ასეც უნდა ყოფილიყო, ჩემო ლუკა, ჩემს ქორწილში სხვა ვინ იქნება თამადა, თუ არა შენ. შენა ხარ ჩემი ერთადერთი მეგობარი და, თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი. — უთხრა სიცილით ანდუყაფარმა.

— მე არ ვიცი თამადობა!

— როგორც იცი, როგორც გინახავს, როგორც გაგიგონია, ისე ითამადე!

მაგიდაზე ორი ბოთლი ღვინო იდგა. სალდათის ბაზარში გლეხისაგან ნაყიდი. სუფრას თუშური ყველი, კარტოფილისა და ჭარხლის ვინეგრეტი და ანდუყაფარის შეკმაზული ლობიო ამშვენებდა. ვინეგრეტი ბოგდანას ნახელავი იყო.

— ბოგდანას გაუმარჯოს! — თქვა ლუკამ და ჭიქა ასწია.

— ოო! — წამოიძახა იზამ და ჭიქა იმწამსვე დაცალა.

— გახსოვს, ლუკა, — უთხრა ანდუყაფარმა, — შენ მკითხე, არსებობს თუ არ არსებობს ბედნიერებაო? მაშინ ვერაფერი გიპასუხე და ახლა გეუბნები: ღმერთმა ჩემთვისაც გაიმეტა ბედნიერება და ამ ბედნიერებას სახელად ბოგდანა ჰქვია!

ანდუყაფარი საკუთარ თავს არ ჰგავდა. ეს ეხლაღა შენიშნა ლუკამ, მაგრამ ამაზე ყურადღება ვერ გაამახვილა, რადგან ანდუყაფარის ნათქვამმა უცებ გაახსენა ორი ნაცრისფერხალათიანი კაცი, საგიჟის ეზოში რომ დასეირნობდნენ და საუბრობდნენ.

იზამ ჭიქაში დაისხა ღვინო და უსიტყვოდ დალია. მერმე თეფშზე ლობიო გადმოიღო და პურს მისწვდა.

ბოგდანამ ჭიქა ასწია და სუფრას მიმართა.

— მე რა უნდა ვქნა?

— შენ სამადლობელო უნდა შესვა! — უთხრა ანდუყაფარმა.

— გმადლობთ! — გაიღიმა ბოგდანამ და ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

— მე არ დამიმთავრებია სადღეგრძელო! — თქვა ლუკამ, — ბოგდანასთან ერთად ანდუყაფარსაც გაუმარჯოს!

— ოო! — კიდევ წამოიძახა იზამ, გაივსო ჭიქა და ისიც გამოწრუპა.

ლუკამაც შესვა, უსიამოვნოდ დაიმანჭა და ანდუყაფარს შეხედა. — მეგობრის გულისათვის, თორემ ამას რა დამალევინებდაო. ანდუყაფარი აღტაცებით უმზერდა ბოგდანას. ახლაც და მთელი ეს დღე მისთვის არ არსებობდა სხვა ვინმე ბოგდანას გარდა. დილიდან მთელი არსებით ბოგდანათი იყო დაკავებული. ყოველთვის გულისხმიერი, გულისყურიანი დღეს შენს ლაპარაკს აღარ უსმენდა; არ აინტერესებდი. ზოგჯერ გაყუჩდებოდა, თითქოს ყური მოგიგდოო, მაგრამ უაზრო, ან გულსგარე პასუხიდან ჩანდა, რომ მისი ფიქრი და გონება სულ სხვაგან ქროდა.

— ახლა სიამოვნებით ვიცეკვებდი! — თქვა იზამ, — არც მუსიკა... არც კავალერი...

ლუკას სასიამოვნო სითბომ დაურბინა სხეულში ერუანტელივით და ძარღვები მოუდუნა. ოდნავ თავბრუც დაესხა. სულელივით უმიზეზოდ გაიღიმა და კეფა მოიფხანა. მერმე ბოთლი აიღო და ყველას შეუვსო ჭიქა.

— რუბენა რომ არ წასულიყო, იმას ვეცეკვებოდი... უმუსიკოდ... სულაც არ სჭირდება მუსიკა ცეკვას. არა, რა თქმა უნდა, სჯობია, თუ მუსიკაც უკრავს... გინდა, ლუკა, ვიცეკვოთ?

— მე არ ვიცი ცეკვა.

— სკოლა რომ დავამთავრეთ, ერთი ჩემი მეგობრის ოჯახში ვიქეიფეთ. გამოსაშვები საღამო იყო. მთელი ღამე ვიცეკვეთ... იმდენი, იმდენი, იმდენი... ფეხზე ვეღარ ვდგებოდი... თანაც დავთვერი... — იზამ გაიცინა... — შემდეგ გამომაგდეს.

— რატომ? — შეშფოთდა ბოგდანა.

— ჩემი მეგობრის მამა არ მომეშვა. ჯერ ერთი-ორჯერ მაცეკვა, მერმე გვერდით მომიჯდა და ხელებს მიფათურებდა. ბოლოს შემეხვეწა, აივანზე გამოდიო, — აქ იზამ ისევ გაიცინა, ოღონდ ახლა უფრო ხმამაღლა, — მე ავიღე და მთელი

ჭიქა ღვინო დავასხი თავზე. ძალიან გაბრაზდა მისი მსუქანი მეუღლე და მიბრძანა, — ახლავე დასტოვე აქაურობაო! მე, რა თქმა უნდა, დავტოვე იქაურობა, მაგრამ ქეიფიც ჩაიშალა. ისე კი ლამაზი მამაკაცი იყო საწყალი... ამბობენ, ომში დაიღუპაო.

— ომში დაღუპულთა ხსოვნა იყოს! — თქვა ანდუყაფარმა. — ლუკა, იცოდე, მამაშენს დაღუპულთა შორის არ ვგულისხმობ. გოგი ცოცხალია! დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები! დაღუპულთა ხსოვნისა იყოს!

— ოო! — ეს ისევ იზაა.

სხვებთან ერთად ლუკამაც გამოცალა ჭიქა. მან კარგად იცოდა, რომ ანდუყაფარი ახლა ნუგეშსა სცემდა. იმიტომ უთხრა, — მამაშენს არა ვგულისხმობო და ცოტა არ იყოს, ეწყინა, — რატომ ცდილობს მანუგეშოსო, როცა მამაჩემი ნამდვილად ცოცხალიაო. საქმე ისაა, რომ ლუკამ შინაგანად არ დაიჯერა მამის სიკვდილი, გულთან არ გაიკარა. შესაძლოა, ეს რწმენა ბოგდანამაც გამოუმუშავა. ისინი ხშირად ღამ-ღამობით მარტო რჩებოდნენ შუშაბანდში, საკერავ მანქანასთან და ბოგდანა უყვებოდა ათასნაირ ამბებს იმ მეომრებზე, რომლებიც თურმე დაღუპული ეგონათ, მაგრამ მერმე ქვეყანასაც და ოჯახსაც მკვდრეთით აღმდგრებივით მოევლინენ.

— ცეკვა მინდა, ცეკვა! — წამოიძახა იზამ.

— ერთი რუსული ანდაზაა: „ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკს არ ახსენებენო", — უთხრა ანდუყაფარმა ღიმილით, — მაგრამ შენ ისეთი ჩამოხრჩობილის ოჯახში ხარ, სადაც თოკზე ლაპარაკი არ სწყინთ.

— რა ვქნა, თუკი მინდა?!

— ეგ უკვე აღარ ვიცი! ისე კი ვწუხვარ, რუბენა რომ წავიდა.

— მეც! — იზამ ისე დაისხა ღვინო, — ეტყობა, ამ ეზოში ერთადერთი მამაკაცი ეგ არის, ვისთანაც შეიძლება ცეკვა!

— იზა! — ხელი მოჰკიდა მკლავზე ბოგდანამ, — როგორ არა გრცხვენია, იზა!

იზამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ბოგდანას.

— ვისაც ცეკვა შეეძლო, ახლა ფრონტზეა, სამშობლოსათვის იბრძვის!

— ეგ რა სათქმელია, იზა?!

— მე არ მინდა ომი! მე ცხოვრება მინდა! მე ცხოვრებისათვის ვარ გაჩენილი, ფუფუნებისა და ნებივრობისათვის. შენა გგონია, ბოგდანა, მე არ ვიცი ჩემი ფასი. ვისა აქვს ასეთი თმა, ასეთი თვალები, ასეთი ტუჩები, — იზა წამოდგა,— ანდა ასეთი მკერდი, ასეთი წელი, ასეთი ფეხები, — მარჯვენა ფეხი გვერდზე გადგა და კაბის კალთა თეძომდე აიწია.

— დამშვიდდი, — უთხრა ბოგდანამ, — იშვიათი ფეხები გაქვს.

— ვიცი!.. მერმე რად მინდა?!

— ყველაფერი იქნება... ყველაფერს მოესწრებით...

— როდის?

— მალე.

იზას სახეზე უკვე ღვინისმიერი ცეცხლი წაჰკიდებოდა, ერთთავად გაწითლებულიყო.

— მოდი, ლუკა, ვიცეკვოთ!

ლუკამ რატომღაც გაიცინა.

— რას იცინი?

— რა ვიცი, მეცინება. — ლუკა ღვინოს გააბრუა და მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

— მართლა!.. — რაღაც გაახსენდა იზას და ჩაფიქრდა, მერმე იკითხა, — რა კაცია დათიკო ბერიშვილი?

— ვინა? — ანდუყაფარმა, რომელიც ბოგდანას ხელზე ჰკოცნიდა, უცებ თავი წამოსწია.

— დათიკო ბერიშვილი.

— რატომ იკითხე?

— ისე.

— მაინც?

სუფრა დაიძაბა.

— ბედნიერ ცხოვრებას მპირდება.

— იმას ხომ ცოლი ჰყავს?

— მიუხედავად ამისა, მპირდება!

— შენ თვითონ რას ფიქრობ, როგორი კაცი უნდა იყოს ეგ დათიკო ბერიშვილი?

— მე არაფერს არ ვფიქრობ.

— იზა! — ბოგდანაც წამოდგა და მხარზე მოხვია ხელი, ოთახის სიღრმეში წაიყვანა. — ბავშვს მაინც მოერიდე, სირცხვილია!

— მე განა ბავშვი არ ვიყავი?! ვინ მომერიდა?!

— მერმე კარგია, ეგრე რომ მოხდა?!

— თავი დამანებე, მე უნდა ვიცეკვო! — იზა გაუსხლტა ბოგდანას და შუა ოთახში დაიწყო ცეკვა. — გაუმარჯოს მხიარულებას!.. მცხელა! კაბა უნდა გავიხადო!

— იზა!

კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის?

— მე ვარ, ძია ლადო!

— შემობრძანდით, ძია ლადო! — შემოიპატიჟა ანდუყაფარმა.

— ბაბუაშენი მოვიდა, — შეაჩერა თავისთვის მოცეკვავე იზა ბოგდანამ.

კარი გაიღო და ოთახში ძია ლადო შემოვიდა, გაიღიმა და ქუდი მოიხადა. მოუხეშავ, დიდ ხელში კორჩიოტების რამდენიმე კონა ეჭირა. მძიმე, ცოტა უხერხული ნაბიჯით გაემართა ბოგდანასაკენ და ყვავილები მიართვა. აკოცა. ანდუყაფარსაც გადაეხვია.

— მოგილოცავთ, შვილებო, გაბედნიერებას, — თქვა ძია ლადომ, — აი გაზაფხულის ყვავილებიც მოგიტანეთ!

— ლუკა, ღვინო დაუსხი ძია ლადოს!

ლუკა უკვე ფეხზე იდგა. კარადიდან ჩაის ჭიქა გადმოიღო და შიგ ბოთლი ჩაწრიტა. ძია ლადოს, ის იყო, ჭიქისთვის ხელი უნდა წაევლო, მაგრამ იზა ყველასათვის მოულოდნელად მივარდა, მოეხვია და ხვეწნა დაუწყო:

— წავიდეთ რა, პაპა, წავიდეთ!.. აღარ შემიძლია!

— დამაცა, შვილო... ეს ბედნიერი ხალხი დამალოცვინე!

— არა, წავიდეთ! ახლავე!.. — იზამ უცნაური მოუთმენლობა გაამჟღავნა. ტიროდა, იატაკზე ფეხებს აბაკუნებდა, ძია ლადოს აჩქარებდა, თითქოს ყოველ წამს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

— კარგი, — მიუგო მშვიდად ძია ლადომ, — რახან ეგრეა, წავიდეთ.

წავიდნენ კიდეც.

ოთახში დარჩენილებმა ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს. მერმე ანდუყაფარმა ბოგდანას გაუღიმა და ანიშნა, — მოდი, ჩემს გვერდით დაჯექიო. ოთახში სხვანაირი დუმილი ჩამოდ-

გა—დამთრგუნველი, გამთიშველი და ლუკა მიხვდა, რომ მისი წასვლის ჟამიც დამდგარიყო.

— მე წავალ. — თქვა ლუკამ.

— ჯერ ვისხდეთ... ხვალ ხომ კვირაა. — ბოგდანამ მხარზე მოხვია ხელი, რომელშიც ისევ ძია ლადოს კორჩიოტები ეჭირა.

— არა, წავალ, დავიძინებ.

შუშაბანდს წინა ოთახიდან გამონაჟონი მკრთალი შუქი ანათებდა. მაგიდაზე დეიდა ნატოს საკერავი მანქანა იდგა. იქვე უწესრიგოდ ეყარა ჯარისკაცური გიმნასტურები. ჯერ კიდევ წუხელ ბოგდანა აქ იჯდა და შუალამემდე კერავდა. ლუკა გულისტკივილით მიხვდა: ხვალ ამ მანქანასაც ისევე გაიტანდა ბოგდანა ანდუყაფარის ოთახში, როგორც დღეს ლოგინი გაიტანა.

სიცარიელის სევდა შემოაწვა. ფრთხილად გავიდა წინა ოთახში, სადაც დეიდა ნატოს ეძინა. მერმე ლამპა აიღო და თავისი ოთახის კარი შეაღო. თავბრუ ეხვეოდა და გული ერეოდა. ლამპა კომოდზე შემოდგა და თვითონ იქვე სკამზე ჩამოჯდა.

ბოგდანა იმედივით ცხოვრობდა შუშაბანდში და ლუკას მოეჩვენა, რომ ეს იმედი ისევე დაკარგა, როგორც იმ დღეს მტკვრის ნაპირზე უკანასკნელი ხელი ტანსაცმელი. გაძარცულივით იჯდა თავის ოთახში, შიშით შეპყრობილი. ეს შიში მარტოობისა იყო, სიცარიელისა და უკაცრიელობისა... უდაბურებისაც.

ლუკა ტანსაცმელს არ იხდიდა და არ წვებოდა დასაძინებლად, რადგან ეშინოდა... რისი? თვითონაც არ იცოდა.

თავი მეცამეტე

— ვერ მიდეპეშე, ბიჭო?! გამიგია, კაცის ასე აბუჩად აგდება, — ეს ბატონი პოლიკარპე გახლავთ. საიდანღაც შეუტყვია დეიდა ნატოს ავადმყოფობის ამბავი და სასწრაფოდ ჩამობრძანებულა, რათა მახლობელ ნათესავს გაჭირვების ჟამს მხარში ამოუდგეს, ხელი გაუმართოს. — მამიდაჩემი თუ ამ დღეში იყო, ვერ გამაგებინე, შე თავგასიებულო?

დატუქსული ლუკა კუთხეში აიტუზა. არაფერი ქვეყანაზე ისე არ სწყენია, როგორც ბატონი პოლიკარპეს დამტუქსველი სიტყვები. ლუკას მთელი დღე ეჩვენებოდა, რომ მართლაც უზარმაზარი, გასიებული თავი ჰქონდა და ვერ იმაგრებდა, მხარზე უვარდებოდა. ყველა გამვლელი და გამომვლელი გაოცებული აშტერდებოდა, — ამას რას ვხედავო!

ლუკას ბატონი პოლიკარპე არ გახსენებია, არ დასჭირვებია მისი თავი. გინდაც გახსენებოდა, სად უნდა გაეგზავნა დეპეშა, ვისთან? მისი არც ასავალი იცოდა და არც დასავალი. დეიდა ნატოს, რომელიც ერთმანეთზე ორ სიტყვას ვეღარ აბამდა, ხომ ვერ შეეკითხებოდა, — როგორ მოვიძიო ბატონი პოლიკარპეო!..

ბატონმა პოლიკარპემ ორ დღეში აიწყო და მოიგვარა საქმეები: ლუკა შუშაბანდში გამოისტუმრა და თვითონ მეორე ოთახში ჩასახლდა. როგორც ჩანს, სამუდამოდ. იმ ოთახში დაუკითხავად შესვლა ახლა უკვე აღარავის შეეძლო.

დეიდა ნატო თავის საწოლზე გაუნძრევლად იწვა. მეტყველებაწართმეული უაზროდ მისჩერებოდა სივრცეში ამოჩემებულ წერტილს. დრო და დრო თვალები ცრემლით ევსებოდა და მერმე ისევ ეშრიტებოდა დიდი ხნით.

ბოგდანა ჩვეულებისამებრ უვლიდა, არც ერთი წუთით არ დაუკლია ზრუნვა.

— ვინაა ეს ქალი? — იკითხა ბატონმა პოლიკარპემ, როდესაც ბოგდანა დაინახა პირველად.

— ანდუყაფარის ცოლია, — უპასუხა ლუკამ.

— აუჰ, რა ღონიერ ფეხებზე დგას. — აღტაცება ვერ დამალა ბატონმა პოლიკარპემ. თან შემაზრზენი, გულისამრევი ღიმილი გაუკრთა ტუჩებზე, — ბიჭო, ანდუყაფარი მოუვლის მაგ ქალს? აუჰ! აუჰ!

კვირაობით რაღაც-რაღაცეები გაჰქონდა სახლიდან საბურთალოს ბაზარში გასაყიდად, ლუკა ვერაფერს ეუბნებოდა, თქმას ვერ უბედავდა. ისე კი ანდუყაფარსა და ბოგდანას გაუმხილა, ბატონი პოლიკარპე ასე იქცევაო, მაგრამ იმათ რა შეეძლოთ? ბატონი პოლიკარპე მახლობელი ნათესავი და ჭირისუფალი იყო ამ ოჯახისა და ახლაც მფარველად და შემწედ მოვლენოდა. ვინ შეჰბედავდა სიტყვას?

ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა დათიკო ბერიშვილს და

ყოველდღე ჯუჯა რუბენას სამტრედესთან ჩალიჩობდა, იქ იყო ქალალდის პარკების საწყობი.

ერთ დღეს ლუკას უთხრა.

— სხვა გზა არა გვაქვს, უნდა გავუცვალოთ დათიკო ბერიშვილს ბინა, დიდ ფულს იძლევა.

— დეიდა ნატო არ იზამს მაგას.

— ვინ კითხავს დეიდა ნატოს? რა იცის დეიდა ნატომ?! დღეს თუ არა, ხვალ წაიღებს წერილს ნუცასთან... იცი, რა ჯდება ახლა კაცის დამარხვა? ნამეტანი ძვირია, ჩემო ლუკა, და დაუმარხავი არ დაგვრჩეს დეიდაშენი.

— ჯერ ხომ ცოცხალია?

— ეგ სიცოცხლეა, ჩემო ლუკა?! ოთხმოცდაათი პროცენტით სამარეში აქვს ფეხი ჩადგმული, თუ მეტი არა! კარგი, ვთქვათ, ცოცხალია, პირში სული უდგას. რომ მოკვდება, რას შვრები მერე? სად შოულობ ფულს?

— რა ვიცი?

— ოო! არც მე ვიცი! ამიტომ ახლავე უნდა დავიჭიროთ თადარიგი.

— ეგ საქმე არ გამოვა.

— უყურე ახლა ამას!

— დეიდა ნატო არ იზამს.

— ბიჭოს! არ ვეკითხები დეიდაშენს.

— მე არ გადავალ.

— არ გადახვალ?!

— არა!

— აბა, წავალ მე ჩემი გზით და შენ დამარხე ეს მიხრწნილი დედაბერი!

— ჯერ ცოცხალია და არ უნდა დამარხვა.

— ვაი, შენს პატრონს!

ლუკა მოშხამული წავიდა სკოლაში. ნეტავი რა უნდა ჩვენგან, რას გადაგვეკიდა ეს კაციო, — ფიქრობდა გზადაგზა. — ასეთი ნათესაობაც არ გამიგიაო! გუნებაში მკაცრად გადაწყვიტა, არაფერი არ დაეთმო ბატონი პოლიკარპესთვის. თანაც წარმოდგენილი არ ჰქონდა, როგორ უნდა გადაბარგებულიყვნენ დათიკო ბერიშვილის ბინაში, როგორ უნდა გადაეყვანათ დეიდა ნატო. დარწმუნებული იყო, პირველ სართულამდე ვერც ჩაალწევდა ავადმყოფი, სული არ ჩაჰყვებოდა.

სკოლასთან ირაკლი დახვდა, შენობის კედელს ზურგით მიჰყუდებოდა და პაპიროსს აბოლებდა. დღეს სკოლის გუნებაზე არა ვარ, წამო, გავიაროთო, თუ ხეტიალი მოგვწყინდა, მეორე ან მესამე გაკვეთილზე მოვბრუნდეთო. ეტყობა, არც ლუკა იყოს სკოლის გუნებაზე, მაშინვე დათანხმდა და ტაატით დაჰყვნენ ქუჩას და პროსპექტზე გავიდნენ. ერთხანს უმიზნოდ იხეტიალეს, კინოს შესასვლელთანაც იწრიალეს, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს ჯიბეში ფული არ აღმოაჩნდათ და უკანვე დაბრუნდნენ.

სკოლაში დიდ დასვენებაზე მივიდნენ.

დერეფანში ლუკა ზაქარია ინწკირველმა შეაჩერა, კლასის დამრიგებელმა.

— დღესაც დაიგვიანე, არა?

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო.

— როგორ არის დეიდაშენი?

— ცუდად.

— ერთი ვერ მოვიცალე, ვერ მოვინახულე.

— ძალიან ცუდადაა.

— არ ღირს ნახვა?

— რა ვიცი.

— ლუკა, მოდი აქ, ბიჭო, ერთი ეს მითხარი... — ზაქარია ინწკირველმა მკლავში ხელი მოჰკიდა და დერეფნის კუთხეში მიამწყვდია ლუკა, — გავიგე, თითქოს რამდენიმე ბიჭი მთელი კლასის პურს იყოფთ თურმე... რა, დანარჩენებმა უარი თქვეს, არ უნდათ პური, თუ როგორ ხდება?

— არ ვიცი, პატივცემულო მასწავლებელო.

— არა, შენ ნურაფრის გერიდება, მითხარი.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო.

— რამდენი იყოფთ?

— სამნი. ირაკლი დევდარიანი, მე და მიტო ჩანტლაძე.

— სამნი?

— დიახ!

— ერთ პურს?

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო.

— მერე მთელი კლასი რას ამბობს?

— არაფერს... რა ვიცი... მე ირაკლი დევდარიანმა მითხრა, ასე და ასეო. ჩვენ გავიყოთო... მთელი კლასი თანახმაა.

— იქნებ დააშინა?

— არ ვიცი, პატივცემულო მასწავლებელო.

— არა, იქნებ შეაშინა კლასი?.. გამიგე, თუ ღმერთი გწამს.

— რა ვიცი...

— მე, რა თქმა უნდა, მორალური უფლება არა მაქვს, მაგრამ ახლა ისეთი ცუდი დროა... თუ კლასი წინააღმდეგი არ არის, თუ ეს ყველას თანხმობით ხდება. მაშინ იქნებ... ჰა? ოთხად გავყოთ... მაგრამ თუ კლასი წინააღმდეგია, იმ შემთხვევაში ჩვენ უსინდისო, სამარცხვინო საქმეს ჩავიდენთ.

— იცით რა, პატივცემულო მასწავლებელო, მე ის პური სულაც არ მჭირდება. — ლუკას უცებ გაახსენდა, რომ შინ მიტანილ პურს მთლიანად ბატონი პოლიკარპე ნთქავდა.—ჩემ წილს თქვენ დაგითმობთ.

— არა, არა, როგორ გეკადრება! რას ჰქვია, პური არ გჭირდება. შენ მხოლოდ ის დამიზუსტე, კლასი რას ამბობს, უკმაყოფილოა, თუ არა, ამ ვითარებით.

ლუკამ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ თავისი წილი პური მიუტანა ზაქარია ინწკირველს. ზაქარია ინწკირველმა პური გამოართვა და დიდი მადლობაც გადაუხადა, მერმე ჩუმად ჩატენა თავის უზარმაზარ ჩანთაში და შინისაკენ კმაყოფილმა გასწია.

ლუკაც გახარებული და კმაყოფილი გამობრუნდა. ჯერ ერთი დიდად ასიამოვნა კლასის დამრიგებელს, რომელსაც ოჯახში ოთხი დამშეული შვილიშვილი ელოდებოდა და მეორეც — ამ პურს დღეს ვეღარ მიირთმევდა ბატონი პოლიკარპე.

სკოლის სადარბაზოდან გამოსულს მაიკო დახვდა და უთხრა, შენობის კუთხესთან ირაკლი და მიტო გელოდებიანო. ირაკლი და მიტო მართლაც ელოდებოდნენ ლუკას. ირაკლი პაპიროსს ქაჩავდა ზედიზედ. ეტყობოდა, გაბრაზებული იყო. მიტო ოდნავ განზე იდგა, დამნაშავესავით აცეცებდა თვალებს.

— სად არის შენი პური, რა უყავი? — მისელისთანავე ჰკითხა ირაკლიმ.

ლუკა ასეთ შეკითხვას არ ელოდა და უცებ ვერაფერი უპასუხა დაბნეულმა.

— რა უყავი-მეთქი, გეკითხები?

— ზაქარია მასწავლებელს მივეცი.

— რატომ?

— რა ვიცი... მთხოვა და...

— გთხოვა, არა?! საიდან გაიგო, რომ ჩვენ სამნი ვიყოფდით პურს?

— რა ვიცი.

— არ იცი, არა? ახლავე გაგაგებინებ ყველაფერს! ირაკლიმ მთელი ძალით მოუქნია ხელი და სახეში სილა გააწნა.

ლუკას თვალები დაუბნელდა, დაბარბაცდა, ჩანთა ხელიდან გაუვარდა. როდესაც მეორეჯერ მოხვდა ძლიერი ხელი, მიწაზე გულაღმა დაეცა და უცებ თავის ტკივილი იგრძნო... ალბათ ძლიერად დაჰკრა კეფა გაყინულ მიწას, თვალები გაახილა. თავზე განრისხებული ირაკლი დასდგომოდა, უშვერად აგინებდა. მერმე ირაკლი დაიხარა, პალტოს საყელოში წააკლო ხელი და წამოდგომა დაუპირა. ლუკამ უნებურად გაუაზრებლად მოხარა მარჯვენა ფეხი და ფეხსაცმლის ჭვინტი ნიკაპში ამოჰკრა. ირაკლიმ ერთი შეჰყვირა და იქვე ჩაიკეცა. ვიდრე ლუკა წამოდგებოდა, მაიკო გიჟივით მივარდა ირაკლის და ჩანთა დასცხო თავში.

ლუკამ იგრძნო, რომ მეტის გაკეთება აღარ შეეძლო, ისე იყო დამტვრეული და დალეწილი, ფეხზე ძლივს იდგა. ამასობაში ირაკლი წამოიმართა, მაიკოს წაატანა ხელი, მოიქნია და ლუკას მიახეთქა. ორივენი შუბლით მიასკდნენ ერთმანეთს და იქვე ჩაიკეცნენ. ირაკლიმ ეს არ აკმარა არც მაიკოსა და არც ლუკას, ორივენი წამოაყენა და ლაზათიანად მიბეგვა. მერმე გინებ-გინებით გაჰყვა, ქუჩას, უფრო სწორად გაიქცა.

ნაცემები შენობის კუთხესთან მიყუჟულიყვნენ და ტიროდნენ. როდესაც ტირილით გული იჯერეს, ერთმანეთს ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოაბერტყეს და ნელი, დაღლილი ნაბიჯით გაეშურნენ შინისაკენ. ლუკას ეგონა, მიტო იქვე დახვდებოდა ატუზული, მაგრამ მიტო არსად არ ჩანდა. ეტყობოდა, გაპარულიყო, ანდა ირაკლის გაჰყოლოდა.

ლუკა ხედავდა, მაიკოს შუბლზე კოპი აჯდა და მარჯვენა თვალის უპეც ჩალურჯებოდა. ალბათ მე უარესი დღე მადგასო. — გაიფიქრა, მაგრამ ახლა თვითონ რომ ნაცემი იყო, სულაც არ აწუხებდა, —ამაზე მეტიც მომხვედრიაო. მართალია, მაიკომ ჩანთა დასცხო ირაკლის, მაგრამ მაინც ირაფრით არ ეგონა, თუ ირაკლი ასეთ უმწეო გოგოზე ხელს აღმართავდა და გაარტყამდა. გარტყმა იქით იყოს, ლაზათიანად მიბეგვა კი-

დეც. ლუკას ისევე მოაწვა თვალებზე ცრემლი და ნებისყოფა რომ არ დაეძაბა, ალბათ ერთხელაც ატირდებოდა.

ისინი ჩუმად, უსიტყვოდ მიდიოდნენ, მოწყენილები და ჩაფიქრებულები. ლუკას მიტო გაახსენდა და, — ეგეც კარგი ვინმე ყოფილაო, — გაივლო გუნებაში, — ეგ რომ წამოგვშველებოდა, იქნებ სამივე როგორმე მოვრეოდითო.

ლუკა სამაგიეროს მიზღვაზე, შურისძიებაზე არა ფიქრობდა, რადგან იცოდა, ვერასოდეს ვერ გადაუხდიდა სამაგიეროს, უნდა, თუ ოდესმე დადგებოდა ისეთი დღე, როცა შესძლებდა შურისძიებას, დარწმუნებული იყო, ამას უკვე ფასი აღარ ექნებოდა, მანამდე ბევრი წყალი ჩაივლიდა. ამიტომ ასკდებოდა საკუთარ გულს, დაბოღმილი, გულგასიებული მიდიოდა, კი არ მიდიოდა, ჩვარივით მიათრევდა უღონო ფეხებს.

მაიკო და ლუკა თავიანთ ქუჩაზე გავიდნენ. იქ, სადაც ომამდე საკონდიტრო მაღაზია იყო, მაიკო შეჩერდა და ლუკას უთხრა:

— იცი, რა, ლუკა?.. მიკადო მომენატრა.

— მიკადო?

— გახსოვს, აქ რომ ერთი ქალი მიკადოს ჰყიდდა?

— კი.

— გემრიელი იყო, არა?

— კი.

— შენც გიყვარდა?

— ძალიან.

— მე ყოველთვის ვინახავდი ფულს, სკოლიდან დაბრუნებისას ერთი ცალი მიკადო მაინც რომ მეყიდა. ყველა ნამცხვარზე უფრო მიყვარდა... გახსოვს, ისეთი მსუბუქი იყო... სამკუთხედი...

— კი, მახსოვს.

— ომი რომ დამთავრდება, ალბათ ისევ გაჰყიდიან?

— არა... თუმცა, როგორ არა... ნუგაც ძალიან მენატრება. მაიკო.

— ნუგა?

— არა... თუმცა, როგორ არა... ნუგაც ძალიან მენატრება.

— მაშ, რა? ნაყინი?

— ნაყინიც... მაგრამ ყველაზე უფრო ფეხბურთი მომენატრა... იცი, ყველაზე მეტად ახლა რა მახსენდება? შარშან მამაჩემმა ჩამოგვაკითხა უკრაინაში ჩვენს წასაყვანად და ერთ

ღღეს ფეხბურთზე წავედით. რუბენამ მტრედიც კი გამატანა. პაიჭაძემ ბურთი შეაგდო და მთელი სტადიონი ფეხზე ადგა. მე მტრედი გავაფრინე... ისეთი კარგი იყო! მერმე მამაჩემმა მიკადოც მიყიდა, ნუგაც, ნაყინიც...

მაიკო და ლუკა ეკლესიის ეზოსთან შეჩერდნენ, დიდხანს იდგნენ ხმისამოუღებლად.

— რას ეტყვი სახლში?

მაიკო ჩაფიქრდა. მერმე თქვა.

— რაღაცას მოვიგონებ.

— ეჰ, რაც იყო, იყო! — ლუკამ ხელი ჩაიქნია, უცებ გატრიალდა და გაიქცა.

ჭიშკარში შესვლამდე ეზოში შეიხედა და იქაურობა გულისყურით მიმოათვალიერა, მერმე ეურდივით შეიპარა, —არავინ დამინახოსო და კიბე სირბილით აიარა. ჩანთა შუშაბანდში მიაგდო და თვითონ ტახტზე ჩამოჯდა. წეღან, როგორც კი მაიკოს გაშორდა, ჯერგანუცდელმა სინდისის ქენჯნამ შეაწუხა. პატარა მაიკო, ეს ერთი ციცქნა გოგო ჩემი გულისთვის როგორ სცემაო. ლუკა ბევრჯერ უცემიათ და თვითონაც ბევრი გაულახავს. ასე ვთქვათ, ბრძოლა ზოგჯერ წაუგია და ზოგჯერ მოუგია კიდეც, მაგრამ ასეთი უსამართლობა პირველად ნახა საკუთარი თვალით: ეს აყლაყუდა დაუზოგავად ურტყამდა პატარასა და სუსტ გოგონას, რომლისთვის სულის შებერვაც კი საკმარისი აღმოჩნდებოდა, რომ წაქცეულიყო.

„არა, ამის პატიება არ შეიძლება, უსათუოდ სამაგიერო უნდა გადავუხადო“, — ფიქრობდა ლუკა, მაგრამ საქმეც ეს იყო, როგორ უნდა გადაეხადა სამაგიერო? ათასნაირი გეგმა მოიფიქრა და დააწყო; ეს კი არადა, მოკვლაც კი გადაწყვიტა, მაგრამ ფიქრში წასულს შემზარავი გადაწყვეტილებანი ბოგდანამ არ დაასრულებინა. შუშაბანდის კარი შემოაღო და თავზარდაცემულმა სახეზე შემოირტყა ხელი:

— რას ჰგავხარ, ლუკა, რა დაგემართა?! — შეიცხადა.

— რა ვიცი. მცემეს.

— ვინა?

— სკოლის ამხანაგმა.

— რატომ?

— არ ვიცი.

— წამოდი ახლავე, პირი მოგბანო. დეიდაშენმა ასე და-

სისხლიანებული რომ დაგინახოს, მაშინვე ამოხდება სული.— ბოგდანამ ხელი მოჰკიდა ლუკას, ნაცემი და ნაბეგვი ანდუ-ყაფარს წარუდგინა.

ლუკამ დაწვრილებით უამბო ანდუყაფარს, რაც მოხდა. ანდუყაფარმა თავისი ველოსიპედისთვლებიანი სავარძელი ოთ-ახში უხმოდ გაატარ-გამოატარა. მერმე მოაგორა პირსაბან-თან, სადაც ბოგდანა ლუკას პირსა ბანდა.

— ვინ არის ეგ ირაკლი დევდარიანი, რატომ აქამდე არ გამიგია?

— წელს გადმოიყვანეს ჩვენს კლასში, ორჯერ არის, თუ სამჯერ დარჩენილი.

— დიდი მატრაბაზი ყოფილა!

ლუკამ პირველად გაიგონა ანდუყაფარისაგან უხამსი სი-ტყვა და ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რამ ათქმევინა. ანდუყაფარი იმდენად იყო გაბრაზებული, რომ გაფითრებულს ხელები უკანკალებდა.

ყველასთვის მოულოდნელად ოთახის კარი ბატონმა პო-ლიკარპემ შემოაღო. უაზრო ღიმილით მიმოათვალიერა იქაუ-რობა და დამხვდურებს ისე მიესალმა, თითქოს ამ ოთახში სრუ-ლიად შემთხვევით წააწყდა მათ.

— ჰო, გამარჯობა თქვენი!

ბატონ პოლიკარპეს არავინ მისალმებია, მიუხედავად ამისა, ოთახში მაინც შემოვიდა და კარი ზურგსუკან ხელის ფათურით მიხურა. შეეინეღილებულ სახესა და დაელმებულ თვალებზე ეტყობოდა, კარგად იყო შეზარხოშებული, თუმცა ცდილობ-და საკუთარი ღირსების გრძნობა თავდაჭერილობით შეენარ-ჩუნებინა—არ ებარბაცა.

— როგორ ხართ, მეზობლებო! ესაა, ბიჭო, მეზობლობა?! ამდენი ხანია, ერთად ვცხოვრობთ და ერთმანეთს წესიერად არ მივსალმებივართ... ბატონმა პოლიკარპემ ისევ გაიღიმა და აუუეუნებული თვალებით ბოგდანას მიაჩერდა. — ამ მშვე-ნიერი ქალბატონისათვის მაინც სულ არ ვარსებობ ქვეყანაზე, გინდაც მე ვყოფილვარ და გინდაც... ვიღაც... ვიგინდარა.

— რა გნებავთ, ბატონო პოლიკარპე? — მშვიდად ჰკითხა ანდუყაფარმა.

— თქვენი სიკეთე, ბატონო! — ბატონმა პოლიკარპემ უცებ ლუკას მიაქცია ყურადღება და შეიცხადა, — აუჰ! დედა! დე-

და! დედა! გაზიარეს, ბიჭო?! რას გავხარ, შე უპატრონო?! ცოცხლად მარხავ ხომ დეიდაშენს?! შემობრძანდი სახლში და, რაც იმათ დაგაკლეს, მე მოგითავებ ახლავე. წამოეთრიე სახლში, შე უბედურო!

ბატონმა პოლიკარპემ ისევე გაუღიმა ბოგდანას და თვალები აუეუჭუნდა.

ლუკამ უცებ შენიშნა, როგორ წამოენთო სახე ანდუყაფარს, მთლად აილეწა. ბატონი პოლიკარპე კი არავის არ აქცევდა ყურადღებას, მხოლოდ ბოგდანას მისჩერებოდა მთვრალის უაზრო ღიმილით. ბოგდანა უხერხულად შეიშმუშნა, შებრუნდა პირსაბანისკენ და რატომღაც ხელები დაიბანა.

— ბატონო პოლიკარპე, თქვენ შეგიძლიათ ახლავე მიბრძანდეთ და გამოიძინოთ! — უთხრა ანდუყაფარმა ოდნავ შეცვლილი, ათრთოლებული ხმით.

— რა მიჭირს ახლა მე გამოსაძინებელი?! — გაოცდა ბატონი პოლიკარპე.

— ის გჭირთ, რომ გალეწილი მთვრალი ხართ!

— მე ვარ მთვრალი?! — აღშფოთდა ბატონი პოლიკარპე.

— კი.

— უყურე ამას შენ! ბიჭო, სტუმარს ვინ ხვდება ასე საქართველოში?! მტერიც რომ ვიყო, ასე არ უნდა მომმართო მე — პოლიკარპე გირკელიძეს! — დააწვა პატრიოტულ გრძნობას ბატონი პოლიკარპე.

ანდუყაფარმა ოთახის სიღრმისკენ გააგორა თავისი სავარძელი.

— წამოეთრიე, ბიჭო, სახლში! — ახლა ლუკას მიუბრუნდა ბატონი პოლიკარპე, — შენი ფეხი არ ვნახო აქ!

— მაგას თქვენ არავინ გეკითხებათ, ბატონო, ლუკა შემოადგამს, თუ არ შემოადგამს ფეხს ჩემს ოჯახში.

— რას ჰქვია, არავინ მეკითხება?!

— კიდევ ერთხელ გთხოვთ, მიბრძანდით აქედან!

— პოლიკარპე გირკელიძეს ეუბნები მაგას, ბიჭო?!

— არა, ბატონო, უინსტონ ჩერჩილს!

— უყურე ახლა! ხედავ, ვის შემადარა?! ამას კი ვერ გაპატიებ! — გადაირია პოლიკარპე გირკელიძე.

თავისი სავარძლით ანდუყაფარი ელვის უსწრაფესად გამოქანდა ბატონი პოლიკარპესკენ, უცებ წაავლო მაჯაზე ხელი

და თავისკენ მოქაჩა. როგორც ჩანს, საშინელი ძალით მოუჭირა, რადგან ბატონ პოლიკარპეს სახე მოეღრიცა, დაემანჭა, გამწარებული ჯერ ცალ ფეხზე აიწია, უკან გადაიხარა, თითქოს გულაღმა ვარდებაო, მერმე დაიგრიხა და სავარძლის წინ მუხლებზე დაეცა, თან გამწარებული ბღავილი აღმოხდა ყელიდან:

— მკლავ, შე უღმერთო!

— გაეთრევი, თუ არა, აქედან?!

— მივდივარ, ბატონო... ვინ ოხერი!.. ოღონდ გამიშვი ხელი!

ანდუყაფარი შეეშვა. სწრაფად მოატრიალა თავისი სავარძელი და ფანჯარას მიაყენა. ბატონი პოლიკარპე ერთხანს იდგა ასე მუხლებზე დაცემული. გამწარებული იმანჭებოდა და ნატკენ მაჯას მეორე ხელით ისრესდა. მერმე ზლაზვნით წამოიმართა და კარისკენ გალასლასდა. კარი გამოაღო. არ მობრუნებულა, ისე ჩაილაპარაკა. — ასეთ მასპინძლობას პირველად ვხედავო — და გაიძურწა.

— არც მე მინახავს ასეთი აბუჩი, უხამსი კაცი! — თქვა ანდუყაფარმა.

ბოგდანა ანდუყაფართან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, დაიხარა და აკოცა.

— განა ღირდა ამ ვიგინდარას გამო ასე აღელვება? — ბოგდანა დაიხარა, ორივე ხელი შემოხვია ანდუყაფარს, ლოყით სახეზე მიეკრო. ორივენი გაყუჩდნენ და გაიტრუნენ.

ლუკა აივანზე გამოვიდა.

გამოვიდა კმაყოფილი და ბედნიერი, აივნის მოაჯირს ორივე მკლავით დაეყრდნო და მარტის მზით აელვარებულ მტკვარს დახედა. რიყეზე ორი თეთრი ლეკვი ებღლარძუნებოდა ერთმანეთს, ერთმანეთს ახტებოდნენ, უწვებოდნენ, ყურებზე კბენდნენ. ნაპირზე დაბმული ბრტყელძირიანი ცარიელი ნავი ტორტმანებდა. ნავის აშიაზე ბოლოქანქარა იჯდა და ცქმუტავდა.

ლუკას უხაროდა, ლუკას არ ეგონა, თუ ანდუყაფარი ასეთი ღონიერი იყო, თუ ანდუყაფარს ამდენი ძალა ჰქონდა ხელებში. სულ მუდამ ახსენდებოდა პოლიკარპე გირკელიძის სიტყვები: „ბიჭო, ანდუყაფარი მოუვლის მაგ ქალს?! აუჰ! აუჰ!“ მას ბოლომდე არ ჰქონდა გააზრებული ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ მაინც აწვალებდა და არ ასვენებდა ბა-

ტონი პოლიკარპეს ნათქვამი. განსაკუთრებით კი მისი სახის შემაზრზენი გამომეტყველება, როცა ამ სიტყვებს წარმოსთქვამდა.

ახლა კი საკუთარი თვალით ნახა, როგორ დააჩოქა ანდუყაფარმა პოლიკარპე გირკელიძე, ეს აბუჩი, უხამსი კაცი, რომელიც ალბათ იმისთვის შემოვიდა ანდუყაფარის ოჯახში, რომ დაენახა, ანდა დარწმუნებულიყო, უვლიდა, თუ ვერ უვლიდა ხეიბარი ღონიერ ფეხებზე შემდგარ თავის მეუღლეს.

ლუკას უცებ თვითონაც მოუნდა ასეთივე ხეიბარი ყოფილიყო, ოღონდ მაიკო ზურგიდან მოსდგომოდა, ბოგდანასავით დახრილიყო, ხელები ყელზე შემოეჭდო და ლოყით სახეზე მოჰკრობოდა...

თავი მეთოთხმეტე

მაიკო მხოლოდ მესამე დღეს მოვიდა სკოლაში. ჩალურჯებული თვალი დასცხრომოდა. თვალის უპეზე ოდნავ ემჩნეოდა სიყვითლეში განზავებული იისფერი ზოლი.

მიტო გაურბოდა, თვალს არიდებდა ლუკას. ირაკლი დევდარიანს აეტორღიალა, შესვენებაზე ერთად დაძრწოდნენ დერეფნებში. ლუკამ თავისი წილი პური დაჰკარგა. აღარ იცოდა, უკვე ორად ჰყოფდნენ პურს, თუ სამად. შესაძლებელია სამადაც ჰყოფდნენ. მესამედს თვითონვე აძლევდნენ ზაქარია ინწკირველს.

ლუკას ჩალურჯებულმა თვალებმა დიდად დააინტერესა მთელი კლასი, მაგრამ მათი ცნობისმოყვარეობა გულგრილად დააცხრო ლუკამ, ცივად უთხრა, — მცემესო, — და თავიდან მოიშორა აბეზარი თანაკლასელები.

მაიკოს გამოჩენა გაუხარდა, მაგრამ მისვლა ვერ გაბედა, რატომღაც თავს დამნაშავედ თვლიდა, მით უმეტეს მას შემდეგ, როცა საკუთარი თვალით იხილა, როგორ გაუსწორდა ავადმყოფი კაცი ჯან-ღონით სავსე მამაკაცს.

მაგრამ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მაიკო და ლუკა მაინც შეხვდნენ ერთმანეთს დერეფანში. მხარდამხარ, უსიტყვოდ გაჰყვნენ დერეფანს და კიბეზე დაეშვნენ. გარეთ გამოსულებმა სადარბაზოსთან მდგარი ბოგდანა დაინახეს. ლუკას

გაუკვირდა და შეშფოთდა კიდეც, — რამე ცუდი ამბავი ხომ არ შეგვემთხვაო. მაგრამ ბოგდანამ კეთილად გაუღიმა, სახეზე ხელი მოუსვა და მკერდზე მიიკრა. მერმე ჰკითხა:

— ერთი მაჩვენე, რომელია ის ირაკლი დევდარიანი?

ირაკლი და მიტო სკოლის შენობის კუთხესთან იდგნენ. ირაკლი კედელს მიჰყრდნობოდა და პაპიროსს აბოლებდა.

ლუკას გული შეეკუმშა, ტანმა ცუდი უაზრა. ამიტომაც დააყოვნა პასუხი, მაგრამ მაიკომ დაასწრო:

— აი ეგ არის, პაპიროსს რომ აბოლებს.

ბოგდანა მაშინვე გაემართა ირაკლი დევდარიანისკენ. მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაარტყა და ანიშნა წამომყევიო. ირაკლი კედელს მოსცილდა და ოდნავ დაბნეული გაჰყვა ბოგდანს. ისინი თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ჩიხის სიღრმეში შეჩერდნენ. მიტო ადგილზევე დარჩა, ხოლო მაიკომ და ლუკამ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი წადგეს.

ირაკლი დევდარიანი, ეტყობა, უცებ მოეგო გონს, უკვე გამომწვევად იდგა ბოგდანას წინ, პაპიროსის ბოლიც კი შეაფუტა სახეში.

— შენ სცემე ამათ? — ჰკითხა ირაკლის ბოგდანამ და მაიკოსა და ლუკას მოხედა!

— რა შენი საქმეა, მე ვცემე თუ სხვამ?! თუ დამჭირდა, კიდევ ვაქოთაქებ ერთსაც და მეორესაც!

ლუკამ თვალი ვერ მოჰკრა, როდის მოუქნია ხელი ბოგდანამ. მხოლოდ ლაწანი გაიგონა და მიწაზე გაშხლართული ირაკლი დაინახა. ირაკლი გიჟივით წამოხტა და ისევ ბოგდანასაკენ გამოქანდა. ლუკამ მეორედაც გაიგონა ლაწანი, ირაკლი ახლა შენობის კედელს მიაწყდა, თავი ვეღარ შეიმაგრა და იქვე ჩაიკეცა.

— მეორედ არ ახლო ამ ბავშვებს ხელი, თორემ უარეს დღეს დაგაყრი! — ბოგდანა ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა, მაიკოსა და ლუკას შუაში ჩაუდგა, ორივეს მხრებზე მოხვია ხელები და წამოიყვანა.

ყველაფერი ისე უცებ დატრიალდა, რომ ლუკამ ვერც კი გაიაზრა, რა მოხდა. ეს კი იყო, გულში თანდათან ქონავდა შიში, ეშინოდა, ირაკლი ჩუმად არ წამოჰპარვოდა უკნიდან და ბოგდანასთვის რამე არ დაერტყა, ქვა ან ჯოხი, ირაკლისაგან ახლა უკვე ყველაფერს მოელოდა. თან უკან მიხედვასაც ვე-

ღარ ბედავდა, რაღაც საშინელის მოლოდინით შეპყრობილი, დაძაბული მიჰყვებოდა ბოგდანას.

— სანამ მე თქვენთან ვარ, ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ. ხვალ მშვიდად მიდით სკოლაში, დარწმუნებული ვარ, თითსაც ვერ დაგაკარებთ.

სამივენი პროსპექტზე გავიდნენ და მარცხნივ გაუხვიეს. ვიდრე გაუხვევდნენ, ლუკამ მოასწრო და თვალი გააპარა სკოლის შენობისაკენ, სადაც ირაკლი და მიტო ეგულებოდა. არც ირაკლი და არც მიტო იქ აღარ იდგნენ, ქუჩა ცარიელი იყო.

ბოგდანამ ეტლი გააჩერა. ჯერ ლუკა და მაიკო ჩასხა, მერმე თვითონ ავიდა და მათ შორის მოთავსდა.

— საით? — იკითხა მეეტლემ.

— ჩუღურეთში. — უპასუხა ბოგდანამ.

ეტლი დაიძრა.

ასეთ ფუფუნებას ლუკა არ ელოდა. იმ შიშისა და დაძაბულობის შემდეგ, უეცარმა სიამოვნებამ მოთენთა და მოადუნა. სიამოვნებას გვრიდა ეტლის ნელი რწევა, ცხენების ფლოქვთა თანაბრადზომიერი თქარათქური, მეეტლის ვეებერთელა ტანი, წელზე მოჭერილი წითელი ნაჭრის ქამარი...

სახლები სწრაფად გარბოდნენ უკან, სახლები და ტროტუარზე მოსიარულე ადამიანები.

— ეი, ლუკა! — დაუძახა უცებ ვიღაცამ.

ლუკა გადაიხარა და თანაკლასელი დაინახა, უჩა შავდია. უჩა გამწარებული მოსდევდა ეტლს, თან ჩანთას მოიქნევდა. საოცრად გახარებული იყო, ლუკას ეძახდა, ხელს უქნევდა. ლუკამაც დაუქნია ხელი...

ეტლი კიდევ ერთ ლუკას თანაკლასელს დაეწია, მერმე — მეორეს. ახლა უკვე სამნი მოსდევდნენ ეტლს — გახარებულები, სახეგაბრწყინებულები... გზაზე მათ კიდევ რამდენიმე შინ მიმავალი ბიჭი შეუერთდა, ისინიც ლუკას ამხანაგები იყვნენ. ეტლს ადევნებულთა ჯგუფი გაიზარდა. ყიჟინით მორბოდნენ, ეხეთქებოდნენ ერთმანეთსაც და გამვლელებსაც, მაინც მოიწევდნენ წინ, ცდილობდნენ ეტლთან ახლოს ერბინათ. რაღაც გაურკვეველს ეუბნებოდნენ ლუკას, თვალებანთებულები და აგზნებულები შესცქეროდნენ სახეში. ლუკასაც უხაროდა... რა უხაროდა? უცებ მოეჩვენა, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო. გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ და სხვა რითი უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა ეტლით?!

ბავშვებმა მოედნამდე სდიეს. მერმე ეტლმა მოედანს შემოუარა და ვიწრო ქუჩაზე გავიდა. აქედან ქვაფენილი იწყებოდა და მეეტლემ აღვირი მოზიდა, ოდნავ შეანელა სვლა. ლუკას ახლაღა გაახსენდა მაიკო, — ნეტავი რა გუნებაზეაო.

მაიკოს ორივე ხელი შემოეხვია ბოგდანას მკლავისათვის და ზედ მთელი ტანით მიჰკვროდა ტკიპასავით. მკლავზე მისვენებულს თვალები დაეხუჭა — ვითომ მძინავსო, თითქოს ყურადღება იგრძნო, მაიკომ ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა და ბოგდანას ისე ახედა, როგორც იმედს. მერმე ჰკითხა:

— ხომ არ გაწუხებთ, ქალბატონო?

ბოგდანამ გაიღიმა, სახეზე მოუთათუნა და თმა გაუსწორა. მაიკო ნებივრად შეიშმუშნა, ისევ მიასვენა თავი ბოგდანას მკლავზე და თვალები მილულა. კაცი იფიქრებდა — საცაა კატასავით კრუტუნს დაიწყებსო.

ლუკას მთელი გზა ეგონა ან უფრო ზუსტად, შინაგანად შეუმოწმებლად დარწმუნებული იყო, რომ მაიკო იმასვე განიცდიდა, რასაც თვითონ, რატომღაც უსიამოვნოდ გაუკვირდა, როდესაც ასე საეჭვოდ გალურსული დაინახა. მისთვის უცხო ადამიანს რომ მიტმასნოდა. იგი ალღოთი მიხვდა რაღაცას, მაგრამ ეს რაღაც ბოლომდე არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი. გაახსენდა, იმ დღეს რა უწყალოდ სცემა ერთიცა და მეორეც ირაკლი დევდარიანმა. რა თავგანწირვით ეკვეთა ლუკას გულისთვის მაიკო იმ ახმახს, თვითონ კი თითიც არ გაუნძრევია, როცა ირაკლი მაიკოს ურტყამდა. შეშინებული იდგა და უკანასკნელი ლაჩარივით უყურებდა, როგორ სცემდა გოგოს... რაღაც ეტკინა, რაღაც გაებზარა გულის სიღრმეში ლუკას...

რა თქმა უნდა, მაიკო დღეს დარწმუნდა, ლუკამ ის არ გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო, მით უმეტეს არც ისეთი ვაჟკაცი ყოფილა ის შენი ირაკლი დევდარიანი, არა, ირაკლის რომ ვერ მოერევა ეს ნაღდია, მაგრამ მორევაც არის და მორევაც... შეიძლება, კაცი ღირსეულად დამარცხდეს...

ეტლი ეკლესიის ეზოს წინ გაჩერდა. მაიკომ ბოგდანას აკოცა, დაემშვიდობა და ფრთხილად ჩავიდა. მერმე ფეხარეული ნაბიჯით გაემართა ჭიშკრისკენ. ლუკამ თვალი გააყოლა ეზოს სიღრმეში მიმავალს, დარწმუნებული იყო, მაიკო, ვიდრე ეკლესიას მიეფარებოდა, ერთხელ მაინც მოიხედავდა. მაგრამ

შეცდა, მაიკოს არ მოუხედავს, უხერხული ნაბიჯებით მიდიოდა ეკლესიის გასწვრივ.

მეეტლემ ცხენებს შეუძახა და ეტლი ისე დაიძრა...

როდესაც ბოგდანა და ლუკა ანდუყაფარს გამოეცხადნენ, ბოგდანამ თავის მეუღლეს როგორღაც დამნაშავესავით გაუღიმა:

— აკი ერთხელ გითხარი, ვერ ვეგუები-მეთქი ზოგიერთ ქრისტიანულ დოგმას. დღეს შევამოწმე ჩემი თავი და მართალი აღმოვჩნდი.

— რა ჩაიდინე, ბოგდანა? — დაიბნა ანდუყაფარი.

— ისეთი არაფერი... ის ბიჭი შემომელახა.

— რას ჰქვია, შემოგელახა?

— კი, ნამდვილად.

— მაგას ვერ დავიჯერებ.

— ეგეთი თავხედი ბავშვი მეორე არ შემხვედრია.

— ხელი გაარტყი?

— ორჯერ.

— ბოგდანა!

— რას იზამ, ხდება ხოლმე... ნუ გეშინია, მე ვილოცებ ჩვენი სულის ხსნისათვის!

მეორე დღეს ლუკა გულის ფანცქალით მიდიოდა სკოლისკენ. ჯერ ერთი ირაკლი დევდარიანისა მაინც ეშინოდა. ღრმადა სჯეროდა, რომ ირაკლი ასე ადვილად არ დაშოშმინდებოდა და ამ შეურაცხყოფას არც ლუკას და არც მაიკოს არ აპატიებდა. თანაც უკვე თვითონვე რცხვენოდა, დამცველად ქალი რომ მოიყვანა. ბოგდანა ვაჟი ყოფილიყო, მაშინ სხვა იქნებოდა. ახლა კი რა გამოვიდა, შეიძლებოდა, მთელ კლასს მასხარადაც აეგდო. ლუკას მაიკოსთან შეხვედრაც აფიქრებდა. მისთვის გაუგებარი იყო მაიკოს გუშინდელი უეცარი გადასხვაფერება, მოულოდნელი ცვლილება, რომელიც ეტლში ჯდომისას შენიშნა.

მაგრამ მაიკოს ქუჩაშივე შეეფეთა სკოლისაკენ მიმავალი. მაიკო ძალზე კმაყოფილი ჩანდა გუშინდელი დღის გამო. განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებდა ეტლით გამოსეირნებას.

— კარგი იყო, არა?

— კი, ძალიან.

— კარგი ქალი ყოფილა ბოგდანა.

— კი, ძალიან... შენ კიდევ არ იცი. მაიკო, როგორ უვლის დეიდაჩემს. ბოგდანა რომ არ გამოჩენილიყო, ალბათ დავიღუპებოდით.

— ანდუყაფარს უყვარს?

— კი, ძალიან...

— მე პირველად ვიჯექი ეტლში.

— მართლა? — გაუკვირდა ლუკას.

— დაინახე, როგორ მოგვდევდნენ ბავშვები!

— როგორ არა! მე კი მეგონა, მაიკო ვერ ხედავს-მეთქი... მთელი გზა გეძინა.

— მე მეძინა?! ისე მსიამოვნებდა ეტლში ჯდომა, თანაც ისეთი თბილი იყო ბოგდანა...

— დღეს ნახე, როგორ შეგხვდებიან ბავშვები!

— ვიცი! რომ იცოდე, ცოტას გავიპრანჭები კიდეც, მაგრამ...

— რა მაგრამ? — ჰკითხა ლუკამ.

— ცოტათი ირაკლის მეშინია.

— ნუ გეშინია! — დაამშვიდა ლუკამ. — ბოლოს და ბოლოს თავს შევაკლავ!

— თუ კიდევ გაგვლახა?

— ნუ გეშინია, მაიკო!

ირაკლი დევდარიანი მეორე დღეს სკოლაში არ გამოცხადებულა. არათუ მეორე დღეს, საერთოდ, აღარ გამოჩენილა.

რაც შეეხება თანაკლასელებს, რომლებიც წინა დღეს ყიჟინითა და აურზაურით მისდევდნენ ეტლს, არავითარი განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ გუშინდელი ტრიუმფატორებისათვის. პირიქით, არც კი უკითხავთ, რა მიზეზის გამო ისხდნენ ეტლში.

ეს კი იყო, პური იმ დღეს მთელმა კლასმა თანაბრად გაინაწილა.

გაზაფხული მეტად ავბედითი აღმოჩნდა ანდუყაფარისათვის, მოულოდნელად, უცებ დაიწყო გასუქება, უფრო სწორედ, იგი თვალდათვალ სივდებოდა. ექიმებმა ვერაფერი თქვეს სწ-ნუგეშო. მედიცინა უძლური აღმოჩნდა, თუნდაც რამდენიმე ხნით შეეჩერებინა ეს თავზარდამცემი პროცესი.

ბოგდანა შეძრწუნებული იყო.

აი, რა ილაპარაკეს მან და ლუკამ ერთ მაისის დილას, ნავთის რიგში:

ლ უ კ ა — როგორ ეძინა წუხელ?

ბ ო გ დ ა ნ ა — ცუდად.

ლ უ კ ა — არაფერი ეშველება?

ბ ო გ დ ა ნ ა — ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის.

ლ უ კ ა — ექიმმა რა თქვა? გუშინ ხომ იყო ექიმი?

ბ ო გ დ ა ნ ა — არც კი გაუსინჯავს, მხოლოდ დახედა და მხრები აიჩეჩა. მე ვკითხე მიზეზი, — რატომ სივდება-მეთქი? ეგ რომ ვიცოდეთ, ქალბატონო, მაშინ ხომ მოვარჩენდით კიდეცო,—მიპასუხა.

ლ უ კ ა — იქნებ გაუაროს.

ბ ო გ დ ა ნ ა — სხვათაშორის, ეგეც ვკითხე —იქნებ გაუაროს-მეთქი? იქნებ გაზაფხულის ბრალია-მეთქი. შეიძლება გაუაროსო, — თქვა, — თუმცა ამის გარანტიას ვერავინ მოგცემთო. მაგრამ, იცი, რა ლუკა, მე არ მგონია, რომ ეს დროებითი მოვლენა იყოს. ცუდად არის საქმე, ძალიან ცუდად!.. ანდუყაფარს რომ რაიმე შეემთხვეს, ალბათ თავს მოვიკლავ... შენ ხომ იცი, რა კაციც არის ანდუყაფარი?!

ლ უ კ ა — ვიცი.

ბ ო გ დ ა ნ ა — გუშინ ქაშუეთში წავედი და ვილოცე.

ლ უ კ ა — არაფერი ეშველება?

ბ ო გ დ ა ნ ა — ძალიან დაუძლურდა, ლუკა, სულმთლად გამოეცალა ღონე, შენ ხომ გახსოვს, ლუკა, რა ღონიერი იყო, როგორი ძალა ჰქონდა? ახლა კი ფინჯანის აწევაც უჭირს, ჩაის ძლივსა სვამს. მაინც რა უცებ მოხდა, ღმერთო, ყველაფერი... თვენახევარში... ლამის გული გამისკდეს.

ლ უ კ ა — (ბოგდანას თვალს არიდებს, გული ყელში ებჯინება, ცოტაც და იტირებს).

ბ ო გ დ ა ნ ა — ანდუყაფარს რას გამოაპარებ, ანდუყაფარს სხვაზე უკეთ ესმის, რაც სჭირს. იცის, ჯანმრთელობა საბოლოოდ შეერყა და, რაც დაჰკარგა, იმის აღდგენა უკვე შეუძლებელია. (დუმილის შემდეგ). შენ ძალიან უყვარხარ, ლუკა, შენ ერთადერთი მეგობარი ხარ ანდუყაფარისა. ამასწინათ თქვა: ღმერთო, ისე მომკალი, ღმერთო, ისე წამიყვანე ამქვეყნიდან, ლუკას ჩემს სიკვდილს ნუ დაანახვებო.

ლ უ კ ა — (ბოგდანასკენ ზურგშექცევითა დგას. ფრთხილად გააპარებს ხელს შარვლის ჯიბისაკენ და ცხვირსახოცს ამოიღებს. ვითომ ცხვირის მოხოცვა უნდა. ჩუმად, ბოგდანასაგან დამალულად იწმენდს ცრემლს).

ბ ო გ დ ა ნ ა — რა უსამართლოა ცხოვრება! რატომ უნდა დაიღუპოს ეს სიკეთით სავსე კაცი, როცა ამდენი ბოროტი დათარეშობს ქვეყანაზე?! მას ხომ არაფერი დაუშავებია გარდა იმისა, რომ გარშემო შადრევანივით აფრქვევდა სიყვარულს, ნდომას, კეთილშობილებას! შენ არ გაგიგონია, ლუკა, როგორ დამტუქსა იმ დღეს, შენთან სკოლაში რომ მოვედი იმ ბიჭის საცემად. მართალი გითხრა, ახლა მეც ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი... მით უმეტეს იმ ბიჭს სწავლისთვის სულაც მიუნებებია თავი... (ისევ დუმილი. დუმილის შემდეგ) ლუკა, გეთაყვა, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ვინაა მთვარისა?

ლ უ კ ა — (დაიბნა) მთვარისა?

ბ ო გ დ ა ნ ა — შენ ხომ იცი, ვინ არის მთვარისა?

ლ უ კ ა — რატომ მეკითხები?

ბ ო გ დ ა ნ ა — იცი, თუ არა?

ლ უ კ ა — ვიცი.

ბ ო გ დ ა ნ ა — მერე?

ლ უ კ ა — რატომ მეკითხები?

ბ ო გ დ ა ნ ა — ცუდად არ გამიგო, ლუკა. ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებს ხოლმე მთვარისას და მე ანდუყაფარის ნალაპარაკევიდან მივხვდი, იგი რაღაცით შენ გიკავშირდება.

ლ უ კ ა — მე ერთხელ ვნახე მთვარისა საგიჟეში, მაგრამ მეორედ რომ მივედი იქ, მითხრეს, არავითარი მთვარისა არ არსებობსო.

ბ ო გ დ ა ნ ა — ვინ გითხრა?

ლ უ კ ა — დარაჯმა... ამიტომ ნამდვილად არ ვიცი, არსებობს თუ არ არსებობს...

ბ ო გ დ ა ნ ა — მართლაც, ხომ არ შეიძლება, შენ თვითონ მოგეგონა მთვარისა ანდა მოგჩვენებოდა... ანდა... იქნებ სიზმარში ნახე და მერმე ისე ნათლად წარმოიდგინე, რომ ცხადი გეგონა.

ლ უ კ ა — არა, არა!.. მე ნამდვილად ვნახე... მერმე მეხსიერებოდა კიდეც...

ბ ო გ დ ა ნ ა — მაშ რატომ ამბობ, მთვარისა არ არსებობსო?

ლ უ კ ა! — რა ვიცი... ასე მითხრეს, აქ არავითარი მთვარისა არ ცხოვრობსო, არც არასოდეს უცხოვრიაო! ეს საავადმყოფოს სამრეცხაოა და სხვა არაფერიო!

ბ ო გ დ ა ნ ა — იქნებ შეცდა დარაჯი?!

ლ უ კ ა — (მხრებს იჩეჩავს).

ბ ო გ დ ა ნ ა — გინდა ერთად წავიდეთ?

ლ უ კ ა — ჩემთვის სულერთია. თუ ასეა, ახლავე წავალ, ნავთი მაინც არ მოაქვთ.

ბ ო გ დ ა ნ ა — მეც მინდა, მთვარისა არსებობდეს, რადგან ასე სურს ანდუყაფარს.

ლ უ კ ა — კარგი, წავალ!

ლუკა წავიდა.

იგი მიხვდა, რომ ბოგდანამ უფრო მეტი იცოდა მთვარისას შესახებ, ვიდრე აქ გაამჟღავნა. როგორც ჩანს, ანდუყაფარმა მას ყველაფერი უთხრა, უთხრა ისიც, თუ რატომ წუხდა ანდა რატომ აწუხებდა ასე რიგად მთვარისა. მაგრამ ლუკასთვის გაუგებარი და გაურკვეველი რჩებოდა მიზეზი ამ წუხილისა, რატომ უნდა მიეყენებინა ანდუყაფარისათვის მთვარისას არსებობა-არარსებობას ასეთნაირი ტკივილი?

ლუკას გაახსენდა ის ღამე, როდესაც პირველად უთხრა,— მთვარისა არ არსებობსო. მაშინ საშინლად აღელდა ანდუყაფარი, ხოლო ლუკა გაოცებული და გაოგნებული დარჩა ამ აღელვების გამო. მას შემდეგ, მართლაც, აღარ უფიქრია მთვარისაზე, არც დასიზმრებია. ახლა კი უკვე ნანობდა, ოდესღაც რომ ნახა გალიაში გამომწყვდეული შიშველი ქალიშვილი, რომელმაც თავისი ტკივილები გაუმხილა; ნანობდა იმასაც,—ნანახი და განცდილი ანდუყაფარს რად გავანდეო.

მექოთნეთა ქუჩით რიყის ქუჩაზე დაეშვა და მერმე მოედნიდან ტროლეიბუსს გაჰყვა ძველ კირხემდე. ლუკას იმედი არ

ჰქონდა, რომ საგიჟის კარი ღია იქნებოდა. ასეც მოხდა, ალაყაფის რკინის კარი უნუგეშოდ ჩაკეტილი დახვდა. ამაოდ იბოდიალა წინ და უკან გალავნის გასწვრივ, მერმე იმედგაცრუებული და გულგატეხილი უკან დაბრუნდა, ღრმად დარწმუნებული, რომ ვერასოდეს, ვერავინ ვერ დაადგენდა; არსებობდა, თუ არ არსებობდა მთვარისა.

მექოთნეთა ქუჩა აათავა და დაინახა: ნავთის წერტთან არავითარი რიგი აღარ იდგა. ნავთის წერტიც დაკეტილი იყო. შინ მისულს ანდუყაფარი და ბოგდანა აივანზე დახვდნენ. ბოგდანას ბორბლებიანი სავარძლის საზურგესთვის ორივე ხელი ჩაევლო და ანდუყაფარს სუფთა ჰაერზე დაასეირნებდა. ლუკა დაინახა თუ არა, თვალით ანიშნა, — ახლა არაფერი მითხრაო. სახედასიებული, ფერგამკრთალი ანდუყაფარი უღონოდ ესვენა სავარძელში. უმწეო, დაბერილი ხელები მუცელზე დაეკრიფა. ლუკას ძლივს შესამჩნევად გაუღიმა. მერმე თვალები დახუჭა და მის ფერფლისფერ სახეს ისევ ცივი სიმშვიდე დაეუფლა.

— ნავთი არ მოუტანიათ. — თქვა ბოგდანამ.

— მივხვდი.

— ხვალ იქნებაო.

— ხვალ რომ სკოლაში მივდივარ?

— თქვენსასაც და ჩვენსასაც მე მოვიტან. ხვალ საღამოს ცვლაში ვმუშაობ.

ლუკა მოაჯირს გადაეყუდა და მტკვარს ჩახედა. მტკვარი უკვე იმდენად მოდიდებულიყო, რიყე გადმოელახა და ეზოს კიდეს მოსდგომოდა. მიდიოდა გახელებული, ამღვრეული, აქაფებული, მდინარეში შეჭრილ აგურის კედელს აწყდებოდა და ხმაურით აბრუნებდა წყალს, ტალღას ტალღაში აწნავდა, უზარმაზარ ძაბრულებს აჩენდა ურჩხულის ხახასავით.

ლუკამ ბოგდანას მოხედა და ანიშნა, — კარი დაკეტილი დამხვდაო. ბოგდანამ თავი დაუქნია, — მივხვდიო. მერმე უთხრა:

— დეიდა ნატოს ჩაი დავალევინე. წადი, შენც დალიე საანამ ცხელია.

— ჯერ არ მინდა.

— მერმე ვერ გააცხელებ, ნავთი აღარ არის.

— სულაც არ დავლევ, არ მინდა.

ანდუყაფარმა თვალები გაახილა და ლუკას მიაჩერდა. ლუკა მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს გამოხედვა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— წადი, ისაუზმე... ბოგდანას დაუჯერე ხოლმე, ლუკა.

ლუკა უსიტყვოდ მოშორდა ხის მოაჯირს, აივანი გაიარა და შუშაბანდის კარი შეაღო. დეიდა ნატომ, ეტყობა, კარის ხმაური გაიგონა, ოთახიდან გამოხედა ლუკას შუშაბანდში და ჯანსაღი ხელით, რომელიც საბანზე ესვენა, ანიშნა, — მომიახლოვდიო.

ლუკა საწოლთან მივიდა, დაიჩოქა.

— როგორ ხარ, დეიდა ნატო?

დეიდა ნატომ ტუჩები შეარხია და სახეზე საწყალობელი ღიმილი გამოეხატა. მერმე ჯანსაღი ხელი ლუკას ხელს დააფარა და მოესიყვარულა.

— ჩაი დალიე? — ჰკითხა ლუკამ.

დეიდა ნატოს ორივე ლოყაზე ცრემლი დაუგორდა, ლუკამ საბნიდან ცხვირსახოცი აიღო და შეუმშრალა.

უცებ მეორე ოთახის კარი ხმაურით გაიღო და პოლიკარპე გირკელიძე გამობრძანდა. კარი ისევ ჩაკეტა გასაღებით და ავადმყოფს მიესალმა:

— გამარჯობა, დეიდაჩემო! დღეს რაღაც უკეთესად გამოიყურები! — არც დაუხედავს დეიდა ნატოსთვის, ისე გაიარა ოთახი; არც ლუკას მისალმებია.

— ჩაის მეც დავლევ. — უთხრა ლუკამ დეიდა ნატოს და წამოდგა.

ჩაიდანში წყალი, რა თქმა უნდა, უკვე საკმაოდ შეგრილებულიყო. ამიტომ მხოლოდ თავისი წილი ხმელა პური შეჭამა და ისევ აივანზე გამოვიდა.

— ლუკა, მოდი აქ! — დაუძახა ბოგდანამ, — ბერიშვილებთან რაღაცა ხდება...

ლუკამ მოაჯირთან მიირბინა და ეზოს გადახედა. პირველ სართულზე შართლაც რაღაც ხდებოდა, უამრავი ხალხი ირეოდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ ამ ხალხში ბატონი პოლიკარპეც ერია. ბერიშვილების კარი ღია იყო, ვიღაცეებს ოთახიდან ბარგი აივანზე გამოჰქონდა და რასაკვირველია, ამ მოძრაობას პოლიკარპე გირკელიძე სარდლობდა. თვითონ ოათიკო ბერიშვილი არსად ჩანდა

— ეტყობა, ლუკა, გასახლებენ. — თქვა ანდუყაფარმა.

— გვასახლებენ?! — გაოცდა ლუკა.

— კი, ეგ უკვე ცაშია გადაწყვეტილი.

— ვინ გადაწყვიტა?

— პოლიკარპე გირკელიძემ, შენმა საყვარელმა ნათესავმა. ვიცოდი, ასე მოხდებოდა... ვაი, რომ დავუძლურდი და ჯანი აღარა მაქვს, თორემ მაგ შენს ნათესავს კუდით ქვას ვასროლინებდი.

— მე არ დავუშვებ ასეთ უსამართლობას! — აღშფოთდა ბოგდანა.

— შენ არავინ არაფერს დაგეკითხება, ჩემო ბოგდანა... ვინა ხარ შენ, ბოგდანა ვაიდა, ჩემო ცოლო, ჩემო კეთილო მეგობარო?! შენც ისეთივე უძლური ხარ, როგორც მე, როგორც ლუკა, როგორც დეიდა ნატო! ამ ბოროტებას ახლა კეთილი გულით ვერ შეაჩერებ, იგი გაგთელავს, გაგათახსირებს, მიწასთან გაგასწორებს! ამ ბოროტებას ახლა მხოლოდ ძალა თუ უშველის, დიდი, დამთრგუნველი ძალა, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია.

— შენ მეუბნები მაგას, ანდუყაფარ?! შენ?! მაშ სიკეთე რისთვისაა გაჩენილი, თუ ბოროტებას წინ არ აღუდგება?!

— ამჯერად სხვანაირად არის საქმე.

— განა ქვეყნად არ არსებობს სამართალი, კანონი?! კანონი ხომ სიკეთის ერთგვარი გამოხატულებაა?!

— ბოგდანა, ეგენი ახლა კანონის სახელით მოქმედებენ, უფრო ზუსტად, მოქმედებენ ვითომცდა კანონიერების ფარგლებში. დათიკო ბერიშვილმა ყველა საკითხი, დარწმუნებული ვარ, უკვე შეათანხმა სადაც ჯერ არს. ამასთანავე მას ხელზე აქვს ყველა საბუთი, რომელიც ბინების გაცვლის უფლებას ანიჭებს. შენ იცი, რას ნიშნავს, როცა ბოროტება კანონის სახელით მოქმედებს?!

ფუსფუსი და ორომტრიალი პირველ სართულზე არ შენელებულა. ვიღაც მამაკაცები ოთახიდან ეზიდებოდნენ ავეჯს, ჭურჭლეულს; ლეიბები და საბნები აივნის მოაჯირზე იყო უხვად გადმოფენილი. ლუკა დაბნეული დასჩერებოდა პირველ სართულს, ღონიერ მამაკაცებს, ჯანღონის დაუზოგავად აივანზე რომ მოათრევდნენ მძიმე კარადებს. აივნებზე სხვა მეზობლებიც გამოსულიყვნენ, ოღონდ ისინი არავითარ მონა-

წილეობას არ იღებდნენ ამ ფუსფუსში. გულხელდაკრეფილნი მკაცრი მდუმარებით გამოხატავდნენ გულის წყრომასა, თუ აღშფოთებას, ხანდახან ლუკას გამოხედავდნენ ხოლმე და თავს სინანულით გააქნევდნენ: ეს რა ხდება, რა უსამართლობას შეესწარითო. ერთი-ორჯერ ძია ლადომაც ამოხედა ლუკას ეხლა მკერდზე მუშტი დაიბაგუნა. იგი იზასთან ერთად ახლად შეფოთლილ ცაცხვის ქვეშ იდგა.

ბატონმა პოლიკარპემ ოთხი კაცი შეარჩია და წინ გამოუძღვა. ხუთივენი სწრაფი ნაბიჯით მოდიოდნენ პირველი სარსართულის აივანზე.

— ახლა ეგენი აქ ამოვლენ და დეიდაშენს წაიყვანენ... თავის საწოლიანად, — თქვა ანდუყაფარმა.

ლუკა უცებ მოსწყდა მოაჯირს და შუშაბანდში შევარდა, კარი შიგნიდან ჩაკეტა. იგი ფანჯრიდან ხედავდა კიბისთავს და რაღაც გაურკვეველისა და შემაძრწუნებელი ამბის მოლოდინში გული გასკდომამდე უცემდა. არაფერზე არ ფიქრობდა. ერთადერთი მიზნით იყო აღტურვილი, არავისთვის არ გაეღო კარი, თუნდაც ეს სიკვდილის ფასად დასჯდომოდა. შიშით გააპარა თვალი დეიდა ნატოსკენ. დეიდა ნატოს თავის საწოლში მშვიდად ეძინა.

მალე კიბიდან ამოიზარდა ბატონი პოლიკარპეს მელოტი თავი. კიბე ამოათავა და საქმიანი ნაბიჯით გამოეშურა შუშაბანდისკენ. უკან ოთხი ახმახი მოსდევდა.

ბატონი პოლიკარპე შუშაბანდს მოადგა, კარის სახელური გადასწია და კარს მოაწვა. ფრიად გაოცდა, კარი რომ არ დაემორჩილა. კიდევ ერთხელ მოაწვა. და გაოცებულმა ფანჯარაში შემოიხედა. შუშაბანდში ლუკას თვალებს წააწყდა; მაშინ კი აღშფოთდა ბატონი პოლიკარპე, — რას ჰგავსო ეს! მერმე თავი დაიცხრო, აივანს მშვიდად გადახედა და თითქოს ვიღაცას მიმართავდა, ისე თქვა:

— უყურე ამ ციგანს. — გაიცინა ნაძალადევად, — შიგნიდან არ ჩაუკეტია კარი?! გააღე, ბიჭო, ეს ოხერი კარი!

— არ გავაღებ!

— რას ჰქვია, არ გააღებ?

— იმას ჰქვია, რომ არ გავაღებ!

ბატონმა პოლიკარპემ ისევ გაიცინა და კარის სახელურს დაეჯაჯგურა.

— როდემდე იქნები მანდ ჩაკეტილი, იმასაც ვნახავ!

ლუკა შუშაბანდის ფანჯრიდან ხედავდა ბატონი პოლიკარპეს სიმწრისაგან ალეწილ სახეს. დანარჩენები მშვიდად იდგნენ მის ზურგს უკან და მოთმინებით ელოდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას. მერმე აიღნის იმ მონაკვეთში, რომელსაც ლუკას თვალი წვდებოდა, ნელა შემოსრიალდა ანდუყაფარის სავარძელი, იქვე გამოჩნდა ბოგდანაც, ორივე ხელით სავარძლის საზურგეს დაყრდნობილი.

— ცოტა ნაადრევად ხომ არ მოგვიდათ, ბატონო პოლიკარპე, ბინების გაცვლა? — ჰკითხა ანდუყაფარმა.

— მაგას არავინ არ გეკითხება შენ, ჩემო ანდუყაფარ! — უპასუხა ბატონმა პოლიკარპემ, მერმე ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა, — მაინც რა უზნეობაა ეს სხვის საქმეში ჩარევა!

— მე მგონი, თქვენს მეტი აქ არავინ ერევა სხვის საქმეში! ისე კი, რაც შეეხება უზნეობას, თქვენზე უზნეო და უხამსი კაცი ჯერ არ შემხვედრია.

ბატონ პოლიკარპეს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ანდუყაფარის ნათქვამისათვის, თითქოს არც გაუგონია. ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნელად ადუღდა, კარს დაეჯაჯგურა და ლუკას უღრიალა:

— კარი გააღე, შე უპატრონო, თორემ ახლავე შემოვამტვრევ!

— არ გავაღებ! — მშვიდად უპასუხა ლუკამ. იგი მართლაც დამშვიდდა ცოტათი, ანდუყაფარი და ბოგდანა რომ დაინახა.

— მილიციას გამოვუძახოთ! — თქვა ბოგდანამ.

— მილიცია კი არა, პოლიცია მომთხოვე ახლა! აგერ მაქვს ქალბატონ ნატოს მიერ ხელმოწერილი საბუთი! — შეუღრინა ბატონმა პოლიკარპემ ბოგდანას და ისევ ლუკას მიუბრუნდა. — მე შენ გეუბნები, ახლავე გამიღე კარი!

ლუკამ, რა თქმა უნდა, კარი არ გაუღო. მაშინ პოლიკარპე გირკელიძემ ანიშნა იქვე მოწმეებივით მდგარ მამაკაცებს,— მომეშველეთო. ისინიც მიეშველნენ და ახლა უკვე ხუთივე ერთად დაეჯაჯგურა კარს. მოაწვნენ მთელი ძალით, კარი შუშაბანდში შემოიზნიქა. ლუკა იქაურობას გაეცალა, რადგან ხედავდა, რომ ხუთი მამაკაცის ძალა დიდად აღემატებოდა კარის მდგომარეობას.

კარი ხმაურით შემოანგრიეს და ხუთივენი კისრისტეხით შემოცვივდნენ შუშაბანდში.

მერმე ხუთივე ერთად დეიდა ნატოს საწოლს მიადგნენ.

— ფრთხილად! ახლა კი ფრთხილად! — თქვა ბატონმა პოლიკარპემ.

მათ დიდი სიფრთხილით გამოაჩოჩეს საწოლი, მერმე ასევე სიფრთხილით ასწიეს მაღლა. ლუკას უცებ გაახსენდა, როგორ გამოასვენეს ამ ოთახიდან დეიდა ნუცა და ერთი წუთით თვალთ დაუბნელდა. გონს მოსულმა საწოლის ფეხს ხელი ჩაავლო და იყვირა, — არ გაგატანთო, — მაგრამ ვერაფერს გახდა.

დეიდა ნატოც გაასვენეს შუშაბანდიდან, ოღონდ დეიდა ნუცასავით კუბოთი კი არა, თავისი რკინის საწოლით. ლუკა უკან გაჰყვა. კიბისთავთან მისულებმა საწოლი უცებ დაუშვეს დაბლა, იატაკზე დადგეს. ბატონი პოლიკარპე აილეწა, აწრიალდა, მოულოდნელი მოუთმენლობა და შიში დაეუფლა, გეგონებოდა გაქცევა უნდოდა და ვერ ახერხებდა. ლუკას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ვიღაც ამოდიოდა კიბეზე, ვიღაც შიშისმგვრელი, თუ თავზარდამცემი.

სიჩუმე ჩამოვარდა და ლუკამ გაიგონა მძიმე ნაბიჯების ხმა.

მალე აივანზე შემოჩნდა ხელჯოხიანი მაღალი მამაკაცი, მას ოფიცრის ფორმა ეცვა და მეორე ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

— გამაგებინეთ რა ხდება?! სად მიგყავს ეს ქალი?! —იკითხა ოფიცერმა.

ეს იყო გოგი ჯორჯაძე — ლუკას მამა.

ლუკას ხმა არ გაუღია, გონება დაჰკარგა და იქვე ჩაიკეცა.

თავი მეთექვსმეტე

ლუკა ორიოდე წუთში გონს მოიყვანეს, მამას პატარა ბავშვივით ატატებული დაჰყავდა აივანზე.

მღელვარება და დაძაბულობა ჩაინავლა, ეზო დაშოშმინდა. მეზობლები, რომლებიც ფეხდაფეხ ამოჰყვნენ გოგი ჯორჯაძეს მეორე სართულის აივანზე, აღშფოთებასა და გულისწყრომას

ველარ იოკებდნენ, ფრიად კმაყოფილნი გაბრუნდნენ უკან. იმ ალიაქოთში ბატონი პოლიკარპე გირკელიძე უცებ აორთქლდა, სადღაც გაძვრა თვალსა და ხელს შუა, მის ასავალ-დასავალს მერმეც ვეღარავინ მიაკვლია.

დეიდა ნატო თავის საწოლიანად ისევ შეაბრუნეს საკუთარ ოთახში. მეორე ოთახი, საიდანაც ლუკა ამ რამდენიმე თვის წინათ გამოასახლა პოლიკარპე გირკელიძემ, დიდი წვალების შემდეგ გააღეს. მაგიდაზე, გარდა ერთი მთლიანი ძეხვისა და პურისა, გოგი ჯორჯაძის მიერ ჰოსპიტლიდან გამოგზავნილი ოთხი წერილი აღმოჩნდა. ფოსტალიონი ამ წერილებს პირადად პოლიკარპე გირკელიძეს აბარებდა. თურმე სამაგიეროდ ბატონი პოლიკარპე ყოველი წერილის მიღებისას ხუთი მანეთით ასაჩუქრებდა ფოსტალიონს. ფოსტალიონს ეს ამბავი არც დაუმალავს, გულწრფელად თქვა ყველაფერი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ წერილს დანიშნულებისამებრ აძლევდა ადრესატს, ოჯახის ერთ-ერთ წევრს.

ბატონმა პოლიკარპემ, რაღა თქმა უნდა, იცოდა, გოგი ჯორჯაძე რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში რომ გამოცხადდებოდა. ამიტომაც ცდილობდა, დეიდა ნატო, რაც შეიძლება, მალე გადაეყვანა. მაგრამ ვარაუდმა მაინც არ გაუმართლა, გოგი ჯორჯაძე აჩქარდა და ნავარაუდევზე ადრე ჩამოვიდა. იგი აჩქარდა, რადგან თავის ოთხ გამოგზავნილ წერილზე ერთხელაც ვერ მიიღო პასუხი.

დეიდა ნატო მთელი დღე ტიროდა და იცინოდა, მთელი დღე ცდილობდა რაღაც ეთქვა თავისი სიძისათვის. წვალობდა და იტანჯებოდა, თქმას მაინც ვერ ახერხებდა. ამას კი აგებინებდა, ჩემთან ახლოს იყავი, ნუ მომშორდებიო. გოგი ჯორჯაძე სასთუმალთან ეჯდა და ამშვიდებდა. პირობა მისცა, რომ მთელ ქვეყანას გადააბრუნებდა და მაინც მონახავდა თავის მეუღლეს, ლუკას დედას. გოგი ჯორჯაძე შეძრწუნებული იყო მეუღლის ასე უაზროდ დაკარგვის გამო, — რატომ, რატომ წამოვიდა, მე ხომ შემოვუთვალე თბილისიდან ფეხი არ მოიცვალოო?!

ეგოი ჯორჯაძემ ფული მისცა ბოგდანას. ბოგდანა და ლუკა ერთად წავიდნენ ბაზარში სანოვაგის საყიდლად. ლუკამ თვითონვე მოითხოვა, — ბაზარში მეც წავალო. უცნაური გრძნობა დაეუფლა, შინ, მამასთან ახლო ყოფნა უჭირდა, ალბათ ნამე-

ტანი სიხარულისა და მღელვარებისაგან, ამიტომ თუ ამჯობინა, ცოტა ხნით გასცლოდა აქაურობას, ბაზრის ღრიანცელსა და აურზაურში იქნებ ოდნავ მაინც მოებრუნებინა სული.

მაგიდა მეორე ოთახიდან გამოიტანეს და დეიდა ნატოს საწოლთან დადგეს. ყველამ ერთად ისადილა: მამამ, ლუკამ, დეიდა ნატომ, ანდუყაფარმა და ბოგდანამ. კაცმა რომ თქვას, დეიდა ნატოს არაფერი არ უჭამია, ბოგდანამ შეახვრეპინა სამიოდე კოვზი უკრაინული ბორში, რომელიც თვითონ დაამზადა.

მერმე ანდუყაფარმა და გოგი ჯორჯაძემ დიდხანს ისაუბრეს, ლუკამ ამ საუბრიდან გაიგო, რომ ფრონტზე მდგომარეობა ოდნავ შეიცვალა, თუმცა არც იმდენად, კაცი დამშვიდებულიყო და გული საგულეში ჰქონოდა.

პოლიკარპე გირკელიძის ვინაობა და პიროვნება მაინც ვერ დაადგინეს. დეიდა ნატო ვერაფერს ამბობდა, ხოლო ლუკას მამას შორეული წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ იყო, სადაური ან რა ნათესაობა აკავშირებდა ამ ოჯახთან. როცა დეიდა ნატოს ჰკითხეს, — მოაწერე თუ არა რაიმე ქაღალდზე ხელიო? დეიდა ნატომ ანიშნა,—კი, მოვაწერეო. მაგრამ მან არ იცოდა, რაზე მოაწერინა ხელი ბატონმა პოლიკარპე გირკელიძემ.

ლუკას მთელი დღის მანძილზე ხმა არ ამოუღია. ჩუმად შესცქეროდა მამამისს ფარული სიამაყის გრძნობით. იგი უკვე დარწმუნებული იყო, დღეიდან ყველაფერი კარგად აეწყობოდა. დედაც მოინახებოდა და დაბრუნდებოდა ისევე, როგორც მამა დაბრუნდა. მაგრამ მერმე შეშფოთდა, როცა გაიგო, მამამისი ორ თვეში უკანვე უნდა წასულიყო ფრონტზე. ამ ორი თვის განმავლობაში როგორმე მოიშუშებდა ნატყვიარებს ბეჭსა და მარჯვენა ფეხზე.

მშვიდი საუბარი გოგი ჯორჯაძესა და ანდუყაფარს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა, საღამოს დეიდა ნატოს ხრიალი დააწყებინა და სულ მალე, სულ რაღაც ორმოცსა თუ ორმოცდაათ წუთში გათავდა. ექიმის მოყვანაც კი ვერ მოასწრეს. საწყალი დეიდა ნატო! სიძის ჩამოსვლის დღესვე გარდაიცვალა.

დეიდა ნატო დეიდა ნუცას გვერდით დაასაფლავეს კუკიაზე. პანაშვიდებზე მთელი კლასი დადიოდა. ერთხელ მიტოც მოვიდა და ლუკას პატიება სთხოვა. ლუკამ უთხრა, — შენ რა

შუაში ხარ, მე და მაიკო ირაკლი დეედარიანმა გვცემეთ. მერე ამაზე არაფერი უსასუხია, სისანულით ხელი ჩაიქნია და გაშორდა.

მაიკო ყოველ საღამოს მოდიოდა, ოღონდ მოდიოდა ძალიან ცოტა ხანით. თითქოს სადღაც აგვიანდებოდა. ლუკა უკვე გრძნობდა, მაიკო რომ გადასხვაფერდა. თუმცა ცდილობდა, გარეგნულად ძველი იერი შეენარჩუნებინა. უკვე ისე ალარ ხვდებოდნენ, როგორც წინათ, თვითონ ლუკაც რაღაცნაირად მოკრძალებული იყო მაიკოს მიმართ. შეხვედრისას ძველებურად ვეღარ გამოხატავდა სიხარულს, რაღაცის რცხვენოდა, რაღაცის ეშიდებოდა.

დეედა ნატოს დაკრძალვიდან მესამე დღეს დათიკო ბერიშვილი ამოვიდა გოგი ჯორჯაძესთან.

— გამარჯობა, გოგი! — მიესალმა თავაზიანად.

— გაგიმარჯოს!

— კარგია, უვნებელი რომ დაბრუნდი!

— არც ისე უვნებელი, შენ რომ გგონია.

— რას ამბობ, ცოტას ნიშნავს, ცოცხალი ხარ კაცი!

— ეცი რას გეტყვი, დათიკო, მე მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ მიყვარს და, თუ ღმერთი გწამს, პირდაპირ მითხარი, რა გინდა?

— შენი სიკეთე და კარგად ყოფნა!

— მაინც?

— ჩვენ უნდა გავუგოთ ერთმანეთს.

— მითხარი, რა გინდა და თუ გასაგები იქნება, გაგიგებ კიდეც!

— სხვანაირად არ გამოვა.

— რა არ გამოვა სხვანაირად?

— ჩვენი ბინები უკვე გაცვლილია, მხოლოდ ფორმალური მხარეა შესასრულებელი.

— რომელია ეგ ფორმალური მხარე?

— შენ უნდა გადახვიდე ჩემს ბინაში, მე კი აქ გადმოვალ.

— ვითომ რადაო?

— ეკრეა გადაწყვეტილი.

— ვინ გადაწყვიტა?

— ამ ბინის ძირითადი დამქირავებელი დეიდა ნატოა და მისი თანხმობა რომ იცოდე, ჯიბეში მიდევს.

— აბა, მაჩვენე.

დათიკო ბერიშვილმა პიჯაკის უბის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და ლუკას მამას გაუწოდა. ლუკას მამას ქაღალდი არც გაუხსნია, დახია დაჭმუჭნა და გვერდზე ისროლა.

— ახლავე მომწყდი თავიდან! — უთხრა გოგი ჯორჯაძემ,— ახლა შენი თაღლითობისთვის სადა მცხელა, დრო არა მაქვს.

— მაშ, ეგრე ხომ?!

— იქნებ მემუქრები, ბიჭო, კიდეც?! ჰა?!

— ვითომ რომ დაგემუქრო, რა იქნება?

— შენი ნებაა, დამემუქრე! ისე კი, უნდა მოგახსენო, შენი კი არა, ტანკის არ შემშინებია.

— მე სხვა ვარ, ჩემო გოგი! დაიმახსოვრე სხვა ვარ-მეთქი!

— ვინც გინდა ის იყავი, ახლა კი თავიდან მომწყდი!

— იფ, რა იოლად მიშორებ თავიდან?!

— რა გინდა. ბიჭო, რას გადამეკიდე?!

— დაფიქრდი, ჩემო გოგი, კარგად დაფიქრდი! ორი დღის ვადას გაძლევ!

— მე დასაფიქრებელი არაფერი მაქვს. თუ ეგ ოხერი თავი რამედ გიღირს, ახლავე გამშორდი და ნუღარასოდეს მოხვალ ჩემთან.

დათიკო ბერიშვილს აღარაფერი უთქვამს, გესლიანად გაიღიმა, იატაკიდან დაჭმუჭვნული ქაღალდი აიღო და მაშინვე დატოვა ოთახი.

არც გოგი ჯორჯაძეს ამოუღია ხმა, დაფიქრებული იჯდა ერთხანს. ლუკა ამ დროს შუშაბანდში იყო და გაკვეთილებს ამზადებდა. მან ყველაფერი ნახა და მოისმინა. რატომღაც ეგონა, მამამისი გამოვიდოდა და რაღაცას ეტყოდა დათიკო ბერიშვილზე, მაგრამ მოტყუვდა, მამა არა თუ გამოვიდა, შუშაბანდისკენ არც გამოუხედავს, როგორც იჯდა, ორივე ხელით მაგიდას დაყრდნობილი, ისე დარჩა.

მამა მარტო დღეს კი არა, ჩამოსვლის დღიდანვე დაფიქრებული და შეწუხებული ჩანდა. ლუკა ამას გრძნობდა, მით უმეტეს, როცა ეს დაფიქრება და წუხილი, ტკივილი თუ დარდი წამდაწამ შესამჩნევი ხდებოდა. ლუკა იმასაც გრძნობდა, რომ მათ შორის მოულოდნელად აღიმართა გადაულახავი, თუ დაუძლეველი ზღუდე. შეიძლება ითქვას, ლუკას პირველად

მიეცა მამასთან ასე ახლოს ყოფნის შესაძლებლობა და მაინც ვერ მიუახლოვდა, როგორც მას ფიქრებში წარმოედგინა. იქნებ ყველაფერი ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მამამისმა ერთგვარად დაჰკარგა ძველი სილაღე და სიმხიარულე. და თუ დაჰკარგა, რა მიზეზის გამო? მიზეზი ბევრი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ლუკას ერთი მათგანი უკარგავდა მოსვენებას: ვაითუ, მამამ იცოდა დედის ამბავი და არ ამხელდა...

— ლუკა, მოდი აქ! — უცებ დაუძახა მამამ.

ლუკა სწრაფად წამოდგა და ოთახში შევიდა.

— როგორა ხარ, ლუკა?

— კარგად.

— შენ ხომ არ გეშინია დათიკო ბერიშვილისა?

— არა!.

— შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ლუკა... შენ არაფრის აღარ უნდა გეშინოდეს! ამ ორ თვეში მე ალბათ ისევ დავბრუნდები ფრონტზე. ორი თვე დიდი დროა, ყველაფერს მოვაგვარებ და მოვაწესრიგებ. შეიძლება, ეს ბინა დავკეტო და თელავში წაგიყვანო ბიძაჩემთან. შეიძლება სხვანაირადაც მოვიქცე. არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია. ასე თუ ისე, რაღაცას მოვახერხებ. შენ ნურაფრის შეგეშინდება... მით უმეტეს დათიკო ბერიშვილის, მაგ ლაჩარი თაღლითისა.

დათიკო ბერიშვილს დათქმული ვადისათვის არ გადაუცილებია, ორი დღის შემდეგ ისევ მოვიდა გოგი ჯორჯაძესთან.

— გამარჯობა, გოგი!

— გაგიმარჯოს.

— როგორა ხარ?

— კარგად, თავად როგორ გიკითხო?

— მეც კარგადა ვარ, არა მიშავს რა.

— მადლობა ღმერთს!

— თუ ეს საქმე არ გამოვა...

— აკი გითხარი, არ გამოვა-მეთქი! — შეაწყვეტინა გოგი ჯორჯაძემ.

— ისე კი შენთვის აჯობებდა, გამოსულიყო.

— რატომ აჯობებდა?

— როგორც გავიგე, ორ თვეში უკანვე ბრუნდები, ფრონტზე.

— მერე რა, რომ ვბრუნდები?!

— ამ ბიჭის მოვლა-მეურვეობას მე ვიკისრებდი... ვის უტოვებ ამ პატარა ბავშვს?

— ეგ შენ არ გეკითხება.

— შენ ხომ იცი, რომ მე სიტყვის პატრონი კაცი ვარ.

— მე არაფერი არ ვიცი.

— გოგი, რატომ მალიზიანებ?

— მე გაღიზიანებ?!

— კარგი, მაშინ იმ გაიძვერა გირკელიძე მონახე და ჩემი ფული დამიბრუნე.

— აბა, გირკელიძე?

— თქვენი ნათესავი, ბატონო!

— ეგეთი ნათესავი მე არა მყავს.

— ჩემთვის, ხომ იცი, სულერთია, ეგ ნათესავი შენია თუ შენი ცოლისა.

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი... დამიბრუნეთ ჩემი ფული.

— მაინც რამდენი გვმართებს?

— ასი ათასი მანეთი.

— ამდენი ფული როგორ ანდე, შე კაი კაცო, იმ გირკელიძესა, თუკი იცოდი, გაიძვერა იყო.

— გეუბნები, მონახე ის კაცი და ჩემი ფული დამიბრუნეთ.

— ერთხელ კიდევ გაფრთხილებ, დათიკო, ნუ მემუქრები!

— მე ჩემი გითხარი, გოგი... ახლა შენ იცი!..

— კარგი, ჰო, დამანებე თავი!

— გეტყობა, ისე არ მიცნობ, როგორც საჭიროა.

— გაგიცნობ, დრო კიდევ მაქვს დარჩენილი.

— არ ინანო-მეთქი, იმას გეუბნები.

— რაღა უნდა ვინანო, — ლუკას მამა წამოდგა და ოთახში კოჭლობით გაიარ-გამოიარა. —ამ ქალის სიკვდილი ხომ გაპატიე?! მეტი რაღა გინდა, შე ოხერო?! გამშორდი, რაღა!

— ეგ ქალი შენს ჩამოსვლამდე ცოცხალი იყო... მერმე რა მოხდა, მე რა ვიცი! — დათიკო ბერიშვილი სწრაფად გამოტრიალდა და წავიდა.

ლუკას დეიდა ნატო გაახსენდა. გაახსენდა, რა საოცრად ჰგავდა კუბოში მწოლიარე თავის ადრეგარდაცვლილ დას — დეიდა ნუცას, ლუკას გულის სიღრმეში რაღაც შესჯდომოდა და დაუნდობლად ღრღნიდა, აწვალებდა. მერმე მიხვდა, რომ

დეიდამისის ცარიელი საწოლი ტანჯავდა, რკინის საწოლი, რომელშიც უკვე აღარავინ იწვა, რომელშიც აღარავინ ჩაწვებოდა...

— ლუკა! — დაუძახა მამამ.

ლუკა შუშაბანდიდან ოთახში შევიდა.

— როგორა ხარ, ლუკა?! — ჰკითხა მამამ და გაუღიმა.

— კარგად!

— შენ ხომ არაფრის გეშინია, შვილო?

— რისი უნდა მეშინოდეს.

— ჰო, შვილო, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ!

ეტყობა, არც ისე დიდი ბიჭი ვარ, რადგან ყოველთვის მარწმუნებენ, დიდი ხარო, — დაეჭვდა ლუკა. მერე გაიფიქრა, — მაინც რის უნდა მეშინოდესო? მართლაც, რისი უნდა შეშინებოდა ლუკას? იგი გარშემო ვერ ამჩნევდა ისეთ რამეს, რისიც შეიძლებოდა შეშინებოდა, მით უმეტეს, როცა მამა გვერდით ედგა. არცა გრძნობდა, არც გული ეუბნებოდა, თუ საშიშროება მის შორიახლო ბოგინობდა.

მაგრამ ერთ ღამეს შუშაბანდის კარს უცნობი მამაკაცი მოადგა და გოგი ჯორჯაძე იკითხა. მე ვარო, — უთხრა ლუკას მამამ. თუ შეიძლება, ერთი წუთით ეზოში ჩამობრძანდითო, თავაზიანად მიმართა უცნობმა მამაკაცმა. რადაო? — გაოცდა ლუკას მამა. თქვენი ძველი მეგობრები გთხოვენო. — უცნობ მამაკაცს ამის მეტი არაფერი უთქვამს, წავიდა და ღამის სიბნელეში ჩაინთქა.

ლუკამ დაინახა, როგორ შეფიქრიანდა მამამისი. მერმე დაფიქრებულ სახეზე ეჭვმა გამოჟონა. ლუკას გული შეუქანდა, საკუთარი გულის ცემამ თუ ბაგა-ბუგმა ერთი წამით თითქმის დააყრუა კიდეც.

გოგი ჯორჯაძემ სწრაფად ჩაიცვა კიტელი და წელზე ბრტყელი ქამარი შემოიჭირა, თითქოს საბრძოლო განგაში გამოცხადებულიყოს. მერმე მეორე ოთახიდან რევოლვერი გამოიტანა. შეამოწმა და ჯიბეში ჩაიდო. ხელჯოხზე დაყრდნობილი შუშაბანდში გამოვიდა. მამა ძალზე აღელვებული ეჩვენა ლუკას.

— ნუ ჩახვალ! — შეეხვეწა ლუკა.

— რატომ? — ლუკასთვის მოულოდნელად იკითხა მამამ.

— ნუ ჩახვალ, რა!.. მეშინია!..

— ნუ გეშინია, არაფერი არ მოხდება!

შუშაბანდის კარი ღია იყო. გარეთ ბნელოდა, ისე ბნელოდა, თითს თვალთან ვერ მიიტანდი. ლუკას მამამ გასვლა დაპირა, სიბნელეს გახედა და რატომღაც შეჩერდა.

— შენ არ გამოხვიდე, აქ დარჩი! გესმის?

— ბატონო გოგი, ქვევით გელოდებიან. — კიბის მხრიდან მოისმა უცნობის ხმა.

— ვინ მელოდება? — იკითხა გოგი ჯორჯაძემ.

— არ ვიცი, ალბათ თქვენი მეგობრები. მე მხოლოდ თქვენს დასაძახებლად გამომგზავნეს.

— უთხარი, ახლავე ჩამოვალ.

ლუკას მამა გარეთ გასვლას აყოვნებდა. პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. ლუკას მიხედა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოასწრო. ამ დროს შუშაბანდის ღია კარს ბოგდანა მოადგა.

— არ ჩახვიდეთ, გოგი... — თქვა ბოგდანამ. — მე წეღან გამოვიარე ეზო. — სამტრედესთან ხუთი კაცია — დათიკო ბერიშვილი, რუბენა, დანარჩენი სამი ვერ ვიცანი. მე მგონი, ისინი უნდა იყვნენ, დეიდა ნატოს წასაყვანად რომ მოვიდნენ. ნუ ჩახვალთ, ძალიან ბნელა და თქვენ ვერაფერს დაინახავთ...

— გოგი, დაუჯერე ბოგდანას. ახლა ჩასვლის დრო არ არის... — ეს ანდუყაფარის ხმაა, ეს სიბნელიდან ესმის ლუკას.

— თქვენ ლუკას მიხედეთ, მე ახლავე ამოვალ! — გოგი ჯორჯაძე სიბნელეში გავიდა. გასვლამდე ანთებული პაპიროსი დააგდო იატაკზე და ჩექმით მოსრისა.

ბოგდანა უკან გაჰყვა, ლუკაც.

ბოგდანამ ლუკა აივანზე გაიყვანა, ორივენი მოაჯირს გადაეყუდნენ. ანდუყაფარი უკვე მოაჯირთან იყო თავის სავარძლიანად.

ეზოში ბნელოდა, არაფერი არ ჩანდა. არა მარტო ეზო, მთელი ქალაქი იყო გახვეული ღამის წყვდიადში.

— გოგი უკვე პირველი სართულის კიბეზეა. — თქვა ბოგდანამ.

— არ უნდა ჩასულიყო. — გაეპასუხა ანდუყაფარი.

— ჩვენი ბრალია, არ უნდა გაგვეშვა! — ეს ისევ ბოგდანაა.

სამტრედესთან სამჯერ იფეთქა ცეცხლმა და გამაყრუებელმა ჭექამ შესძრა იქაურობა. შეარყია ღამის მყუდროება. ახლა

კიბის მხრიდანაც გაისმა სროლის ხმა. ეს შემაზრზენი ჭექა რაბ-დენჯერმე განმეორდა აქედანაც და იქედანაც.

— მე მგონი, გოგი დაჭრეს! — წამოიძახა ბოგდანამ და მოაჯირს მოწყდა.

— მამა! — წამოიყვირა ლუკამ და ისიც მოწყდა მოაჯირს.

ბოგდანა და ლუკა სირბილით დაეშვნენ კიბეზე... ჩაათავეს მეორე სართული... ლუკა ბრმად მიდიოდა, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა.

— ხომ არ დაიჭერით, გოგი?! — გაიგონა ლუკამ ბოგდანას შეძახილი.

— კი, მომარტყეს მაგ ოხრებმა.

ლუკამ სიბნელეში მამა მონახა. ფეხებზე შემოეჭდო და ატირდა:

— მამა!.. მამა!..

— ნუ გეშინია, შვილო, ცოტათი გამკაწრეს... ეგ არაფერია.

— იცით, ვინ გესროლათ? — ჰკითხა ბოგდანამ.

— ვინა?

— რუბენამ.

— შეხედე მაგ ჯუჯასა?! სროლა სცოდნია...

თავი მეჩვიდმეტე

ბოგდანამ მხარი შეუდგა ლუკას მამას, დაჭრილის კიბეზე აყვანა სცადა. წუთიც არ იქნებოდა გასული, ეზოში ყვირილით შემოცვივდნენ პატრულები. პატრულებმა ჯიბის ფარნები მოაშუქეს და კიბესთან მოიჭრნენ. ორნი იყვნენ, ორივეს მოკლე კარაბინები ეჭირათ ხელში. ფარნების შუქზე კარგად შეათვალიერეს ლუკას მამაც და ბოგდანაც.

— რა მოხდა, ამხანაგო მაიორო? —ჰკითხა ერთ-ერთმა პატრულმა გოგი ჯორჯაძეს.

— მესროლეს. — მოკლედ მიუგო მან.

— დაჭრილი ხართ?

— კი, მომარტყეს მხარში... მსუბუქად უნდა ვიყო დაჭრილი.

— ვინ იყვნენ?

— არ ვიცი.

— ბიჭები დაედევნენ... ალბათ დაიჭერენ.

თითქოს ამის დასტურად შორიდან ისევ მოისმა სროლის ხმა. ერთხელ... ორჯერ... სამჯერ...

— ჰოსპიტალში ხომ არ წაგიყვანოთ? მანქანა გვყავს, ამ-ხანაგო მაიორო.

— ეგრე აჯობებს.

— მამა! — წამოიყვირა ლუკამ.

— ჭრილობა მაინც ჭრილობაა, შვილო, უნდა შევიხვიო... ბოგდანა, ლუკას მოუარე... მე ალბათ ხვალ ან ზეგ დავბრუნ-დები.

პატრულები ორივე მხრიდან ამოუდგნენ გოგი ჯორჯაძეს და ფრთხილად წაიყვანეს. ბოგდანამ მხარზე მოხვია ხელი ლუკას, მოაბრუნა. მერმე ნელი ნაბიჯით აჰყვნენ კიბეს. კიბის-თავთან მათ ანდუყაფარი ელოდებოდათ.

ყველანი ანდუყაფართან შევიდნენ, დარაბები დახურეს და ანთეს ლამპა. ლუკა ტახტზე მიიკუჭა. მუშტები ერთმანეთს მიატყუპა და ცერათითებს ზედა კბილები ტკივილამდე დააჭი-რა. ლუკას გული ეუბნებოდა, მამა იმაზე უფრო მძიმედ იყო დაჭრილი, ვიდრე თვითონ იმჩნევდა, თანაც დაინახა, როცა პა-ტრულებმა ფარნები მიანათეს, სახეზე წურწურით როგორ ჩა-მოსდიოდა ოფლი.

— რუბენამ ესროლა. — თქვა ბოგდანამ მთრთოლვარე ხმით. ძალზე აღელვებული ჩანდა, გაფითრებული დადიოდა ოთახში და თითებს იმტვრევდა. — ჩემი თვალითა ვნახე.

— ყველაფერი დღესავით ნათელია.

— დავიჯერო, ასეთი სულელია დათიკო ბერიშვილი? ხვალ ხომ ყველაფერი გაირკვევა?

— არც ისეთი, შენ რომ გგონია... არც ხვალ და არც ზეგ... — ანდუყაფარს, ეტყობა; უჭირდა ლაპარაკი, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა.

— რა დაემართათ? რა უნდა ამ ხალხს?

— ჩვენ ყველას რაღაცა გვჭირს... და ვერ გაგვიგია. — თქვა ანდუყაფარმა. ლუკა ცალი ყურით უსმენდა ანდუყაფა-რისა და ბოგდანას საუბარს. მას ისევ თვალწინ ედგა მამის დაძაბული სახე, რომელსაც სიმწრის ოფლი ასკდებოდა. არა სჯეროდა და არც უნდოდა დაეჯერებინა, რომ ჯუჯა რუბენამ

ასეთი ტკივილი მიაყენა და ასეთი სიმწრის ოფლი მოჰგვარა მამამისს. მართლაც, რისთვის?! ლუკას მამას ხომ არაფერი დაუშავებია რუბენასათვის?

ლუკამ ანდუყაფარს გადახედა და უნებურად წამოდგა ფეხზე. ანდუყაფარი უღონოდ ესვენა თავის სავარძელში. თითქოს თვალებზე ლიბრი გადაჰკვროდა ანდა დასძინებოდა და თვალები ღიად დარჩენოდა. ორივე ხელი სავარძლიდან გადმოვარდნოდა და უმწეოდ ქანაობდა ჰაერში. თანაც სუნთქვა გახშირებოდა, გეგონებოდა, სულს ღაფავდა.

ლუკა ბოგდანასთან მივიდა და ჩურჩულით ჰკითხა:

— დაიძინა?

— დაიძინა. — ჩურჩულითვე უპასუხა ბოგდანამ. — ცოტა ხანს ასე ეძინოს, მერმე გადავიყვან საწოლში.

— ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

— ვინ არის?

— სამხედრო პატრული... მაიორის ამბავი მოვიტანეთ.

ბოგდანამ დარაბა გახსნა და კარი გამოაღო. ოთახში პირტიტველა ჯარისკაცი შემოვიდა და დამხვდურთ ზრდილობიანად მიესალმა. მერმე მოახსენა, — ყველაფერი რიგზეა. მაიორი ამა და ამ ჰოსპიტალში მივიყვანეთ და თავს კარგად გრძნობსო.

— შენს ყოფილ სკოლაში მიუყვანიათ. — თქვა ანდუყაფარმა და თავის სავარძელში შეიშმუშნა.

თავაზიანი პატრული ყველას დაემშვიდობა და, ვიდრე წავიდოდა, ბოგდანას უთხრა, — დარაბის ღრიჭოებში შუქი იპარება და როგორმე დაგმანეთ, თორემ დაგაჯარიმებენო.

ბოგდანამ მადლობა გადაუხადა და პატრული წავიდა.

— სულაც ჩააქრეთ ლამპა და კარი გააღეთ! — წამოიყვირა ანდუყაფარმა, — სული მეხუთება!

მეორე დილას ანდუყაფარი აივანზე დახვდა ლუკას. ბოგდანა ადრიანად წასულიყო სამკერვალო ფაბრიკაში. ანდუყაფარი ახლა მძიმედ სუნთქავდა. სახეზე მეტად უსიამოვნო, სხვა რიგის ფერი დასდებოდა. ლუკას გული შეეკუმშა და თვალი ვეღარ გაუსწორა, ალბათ ამას ჰქვია მიწისფერიო, — გაიფიქრა. ცხვირის ნესტოები, საულვაშე და ნიკაპი დამუწუკებოდა. ეს მუწუკები გუშინ არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ლუკას არ შეუმჩნევია.

— როგორ გეძინა, ლუკა?

— რა ვიცი...

— ჰოსპიტალში წადი... — მამაშენი ინახულე.

— შემიშვებენ?

— ალბათ... თუ არ შეგიშვებენ, გეტყვიან, მაინც, რიგორ არის.

— უსათუოდ წავალ... გაკვეთილების შემდეგ.

— წავალ... წავალ... — გაიმეორა რატომღაც ანდუყაფარმა, შერე თავი მარცხნივ გადააგდო და ლუკას გაღიმებული მიაშტერდა. ასე უყურა ერთხანს, ღიმილი შეუმჩნევლად გაქრა და სახეს ახლა ასევე ძლივს შესამჩნევი ტკივილი დაეუფლა. — იზა გაქცეულა სახლიდან.

— იზა?

— ბარათი დაუტოვებია... ძებნას ნუ დამიწყებთო...

— ძია ლადო რას ამბობს?

— ჰკითხე... მანდა დგას ეზოში...

ლუკამ ეზოში გადაიხედა. ძია ლადო, მართლაც, ეზოში იდგა ცაცხვის ქვეშ. ლუკას უცებ თვალი პირველი სართულის აივნისკენ გაექცა. ჯუჯა რუბენა აივნის მოაჯირს დაყრდნობოდა და პაპიროსს აბოლებდა, თავზე თავის განუყრელი უზარმაზარი კეპი ეხურა. დაფიქრებული ჯუჯა ძალზე მშვიდად აბოლებდა პაპიროსს. წუხანდელს აქეთ ლუკა დარწმუნებული იყო, რომ რუბენა გაექცა მართლმსაჯულების მსახვრალ ხელს, გაექცა სამუდამოდ და სადღაც ჯურღმულებში იმალებოდა. ახლა კი მისი დანახვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თვალებს არ დაუჯერა, შეკრთა და შემკრთალმა მოხედა ანდუყაფარს. იქნებ ბოგდანა შეცდა, იქნებ ჯუჯა რუბენას არ უსვრია რევოლვერი ლუკას მამისთვის?

— რა იყო, ლუკა, ჯუჯა დაინახე?

— ხო... ჯუჯა რუბენა აივანზე დგას.

— შენ რა გეგონა?..

— რა ვიცი...

— რაღაცა გვჭირს, ლუკა, და ვერ გამიგია, რა?!

— წავალ. — თქვა ლუკამ, — სკოლაში წავალ.

მაგრამ მაშინვე მიხვდა, ძალიან გაუჭირდებოდა ეზოში გავლა, როცა ჯუჯა რუბენა იყო აივანზე გადმომდგარი. თან აქ ყოფნაც უკვე აღარ შეეძლო, ანდუყაფარის მდგომარეობა აწ-

ვალებდა, თრგუნავდა და ცდილობდა, როგორმე გასცლოდა იმ კაცს, ვისი სიახლოვეც გუშინ თუ გუშინწინ ქვეყნად ყველაფერს ერჩია.

— წადი, ლუკა, არ დაიგვიანო... წადი...

ლუკა წელმოწყვეტილი წავიდა შუშაბანდისაკენ. ჩანთა გამოიტანა და კიბისთავთან შეყოვნდა.

— ადამიანი ბუნებით უმადურია... — გაიგონა ანდუყაფარის ხმა, — უმადური მოდის ამქვეყნად... უმადურივე უბრუნდება წიაღს...

ლუკას მეხსიერების სიმი დაეჭიმა. რატომღაც გაიფიქრა, ეს სიტყვა მეტად ნაცნობი და მნიშვნელოვანი იყო მისთვის და სცადა, გაეხსენებინა, საიდან იცოდა იგი ანდა სად გაეგონა პირველად. სულ ამაოდ იწვალა, ვერაფრით ვერ გაიხსენა. იღლიაში ჩანთაამოჩრილი სირბილით დაეშვა კიბეზე, სირბილითვე გაიარა ეზო თავჩაღუნულმა, რათა ჯუჯა რუბენა კიდევ ერთხელ არ დაენახა, მაგრამ ცაცხვთან მისული ძია ლადომ შეაჩერა, მამაშენი როგორ არისო, — ჰკითხა.

— არ ვიცი, ძია ლადო, დღეს მივალ და ყველაფერს გავიგებ.

— ეს რა ხდება, კაცო, ლამის ჭკუა დავკარგო! — ძია ლადო როგორღაც მოტეხილი და დაჩაჩანაკებული ჩანდა.

მტკვარი ამ ორი დღის მანძილზე იმდენად მოდიდებულიყო, თითქმის ეზოს უწვდენდა ტალღებს. ეს მხოლოდ ახლა შენიშნა ლუკამ. მტკვარი ამღვრეული მოდიოდა, დიდი და ღონიერი პირთამდე ავსებდა თავის კალაპოტს. ხიდიდან ხიდამდე შეტორტმანებული, თიხისფერი წყლის ვეება სივრცე იყო გადაშლილი. ძია ლადოს თავისი ბრტყელძირიანი ნავი ჯაჭვით გამოება ცაცხვზე. ნავში ერთი ნიჩაბი და რკინისკაპიანი ჭოკი ეგდო. ნავი ადი-ჩამოდიოდა ტალღებზე, ქანაობდა, ირწეოდა, ეზოს კიდეს ფერდით ეხეთქებოდა.

ლუკამ ახლაღა შენიშნა ისიც, ცაცხვის ქვეშ რომ აღარ იდგა არც მერხები და არც მაგიდა. ძია ლადომ უთხრა, — ამ ზამთარს, ეტყობა, ვიღაცას შეშა შემოაკლდა და მოიპარაო. ლუკას ერთი სული ჰქონდა, იზას ამბავიც გაეგო. მაგრამ ძია ლადოს შეკითხვა ვერ გაუბედა.

— საღამოს შემოდი ჩემთან. მამაშენის ამბავი შემატყობინე.

— უსათუოდ შეგატყობინებ, ძია ლადო.

— ეს ქვეყანა მართლა ჩალით დახურული ხომ არ ჰგონია!

— რა ვიცი...

— წადი, ლუკა, წადი... დაგაგვიანდება...

ლუკამ თვითონაც კარგად იცოდა, რომ აგვიანდებოდა, მაგრამ მიბრუნებისა ეშინოდა: მის ზურგს უკან ჯუჯა რუბენა იყო, პირველი სართულის აივანზე გადმომდგარი. ყოყმანის შემდეგ მაინც მობრუნდა, თავჩაღუნულმა გაიარა რამდენიმე ნაბიჯი. პირველი სართულის აივნისკენ არ გაუხედავს, რაღაცნაირად იგრძნო, რუბენა რომ იქ აღარ იდგა. მაგრამ აივანზე ჯუჯას არყოფნას ლუკასათვის შვება არ მოუნიჭებია. პირიქით, გაღიზიანდა და ერთთავად ცახცახმა აიტანა, გულიც სხვანაირად უფრიალებდა. თითქოს საგულედან ამოვარდნას ლამობდა.

„რა უცნაური თვალები აქვს ბოგდანას, — ფიქრობდა გზადაგზა. — ღამითაც ისევე ხედავს, როგორც დღისით. ბოგდანა რომ არა, ალბათ ვერავინ გაიგებდა, ვინ ესროლა მამას... იქნებ სჯობდა, რახან მამა ცოცხალი გადარჩა, სულაც არ ეთქვა, არ გაემჟღავნებინა ბოგდანას ეს საიდუმლო?“ ლუკას ერთი წუთითაც არ უნდოდა წარმოედგინა, მამამისის ჰოსპიტლიდან გამოწერის დღესვე, რა ამბავი დატრიალდებოდა მათ ეზოში... მაგრამ, ვაითუ, ბოგდანა ღამით ისე ვერ ხედავს, როგორც დღისით?! ვაითუ, შეეშალა, სიბნელეში ვერ გაარჩია?! მითუმეტეს, რომ ეზოს იმ ღამის წყვდიადში მეორე სართულიდან გადმოსცქეროდა.

ეჭვგაჟონილმა ფიქრებმა ლუკას გუნება შეუცვალა. ახლა წეღანდელივით აღარ ცახცახებდა, აღარც ისე უფრიალებდა გული. იგი სევდამ შეიპყრო, ყველაფრისადმი განურჩეველმა მოწყენილობამ. თითქოს ბურანში იყო, თითქოს ნისლში მიდიოდა, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა და არც აინტერესებდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

სკოლის შენობაში შესულს გეოგრაფიის მასწავლებელი შეეფეთა, იგივე სასწავლო ნაწილის გამგე.

— ჯორჯაძე, — დაუძახა სასწავლო ნაწილის გამგემ და მკაცრად უთხრა, — წამოდი ჩემთან!

ლუკა მორჩილად გაჰყვა მასწავლებელს. სხვა დროს ალ-

ბათ გულს გადაუტრიალებდა ასეთი მკაცრი კილო, მაგრამ ახლა შინაგანად გათიშული იყო გარესამყაროსგან და შიში გულთან ახლოსაც არ გაჰკარებია.

— ჯორჯაძე, რასა ჰგავს შენი საქციელი? როდემდე უნდა მოვითმინოთ შენი აღვირახსნილობა?! — უთხრა სასწავლო ნაწილის გამგემ კაბინეტში შესვლისთანავე.

ლუკა მუნჯივით იდგა, უაზროდ მიშტერებოდა მასწავლებელს თვალებში.

— რატომ გააცდინე გაკვეთილი?!

ლუკას არც ახლა ამოუღია ხმა.

— ახლავე შინ წადი და მშობელი მოიყვანე!

— მე ვერავის მოვიყვან, პატივცემულო მასწავლებელო! — როგორც იქნა, დასძრა სიტყვა ლუკამ.

— რას ჰგავს ეს, როგორ თუ ვერ მოიყვან?!

— მამაჩემი ჰოსპიტალში წევს.

— დედა მოიყვანე, ბატონო!

— დედა... დედა, არ ვიცი, სად არის... ომში დაიკარგა.

— ვის ატყუებ, ჯორჯაძე?! ახლავე წადი შინ და მშობელი მოიყვანე. მთელ კლასში ყველაზე მეტი გაცდენა შენა გაქვს! იცოდე, თუ მშობელს არ მოიყვან, ჩაგტოვებ მეხუთე კლასში! ახლა წადი!.. უსირცხვილო!.. წადი!

ნაცნობი ზარიც დაირეკა.

ლუკამ დატოვა სასწავლო ნაწილის გამგის კაბინეტი და გრძელი დერეფანი გაიარა. დერეფანში უკვე გამოცვენილიყვნენ ბავშვები, ერთი ერიამული ჰქონდათ ატეხილი, ლუკამ მაიკოს მოჰკრა თვალი და ისიც შენიშნა, მაიკომ რომ დაინახა ლუკა. შეჩერდა. ეგონა, მაიკო მოვიდოდა მასთან, მაგრამ მაიკო გატრიალდა, გაიქცა და სირბილით აჰყვა კიბეს.

იღლიაში ჩანთაამოჩრილი მარტო მიდიოდა ქუჩაში და ფიქრობდა — რა კარგია, დღეს სკოლიდან რომ გამომაგდეს, გაკვეთილებზე მაინც ვერ გავძლებდიო. ეგეც კარგი ვინმე ყოფილა, ერთის გაცდენისათვის ოთხი გაკვეთილი გამაცდენინაო.

ყოფილი სკოლის წინ, სადარბაზო შესასვლელთან შეჩერდა. ჯარისკაცს უთხრა, — აქ მამაჩემი წევს და ძალიან მინდა მისი ნახვაო. ჯარისკაცმა მამის სახელი და გვარი ჰკითხა ლუკას და შენობაში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა. — მორიგეს დავურეკე და ამ ჰოსპიტალში არავითარი გოგი ჯორჯა-

ძე არ წევსო. როგორ არა, —არწმუნებდა ლუკა, — წუხელ ღამით მოიყვანესო. ჯარისკაცს არ დაზარებია, ისევ შებრუნდა ჰოსპიტალში და რამდენიმე წუთის შემდეგ გამობრუნებულმა იგივე მოახსენა ლუკას. ლუკა დაიბნა, უკვე აღარ იცოდა, რა ექნა ან როგორ მოქცეულიყო? განა შეეძლო სამხედრო პატრულს ტყუილი ეთქვა? რად დასჭირდებოდა ასეთი ტყუილის თქმა? იქნებ შეცდა? მაგრამ ლუკას კარგად ახსოვდა, წუხელ რაც თქვა სამხედრო პატრულმა, ახსოვდა ანდუყაფარის ნათქვამიც. — შენს ყოფილ სკოლაში მიუყვანიათო. ლუკას ყოფილი სკოლა კი ეს არის.

შეფიქრიანებული გამოტრიალდა და წამოვიდა, რკინის მესერს გამოჰყვა. საღამოს ბოგდანასთან ერთად წამოვალ და ყველაფერს ის გაარკვევსო, — დაიმშვიდა თავი.

ქუჩის კუთხესთან მისულს გაახსენდა, ამასწინათ რომ სთხოვა ბოგდანამ, — თუ ღმერთი გწამს, გამიგე, მთვარისა ნამდვილად არსებობს, თუ არ არსებობსო. ლუკას იმედი არ ჰქონდა, დარწმუნებული იყო, საგიჟის კარი ღია არ დახვდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც გაუხვია, — ცდა ბედის მონახევრეაო.

სულაც არ მიუწევდა გული იქითკენ. მიდიოდა ისე — სასხვათაშორისოდ, ბოგდანასა და ანდუყაფარის წინაშე ვალის მოსახდელად. ოღრო-ჩოღრო ქუჩით მიმავალი ახლა ისევ მამაზე ფიქრობდა. მოაგონდა წუხანდელი შიშიანი ღამე, შემზარავი სროლის ხმა, პატრულთა ფარნებით განათებული, გაოფლიანებული სახე, რომელსაც მწარე ტკივილი მანჭავდა. იქნებ ცუდად არის მამა და მიმალავენო, — შიშმა გაუკაწრა გული, შეჩერდა და უკან მოიხედა.

წელანდელი უგუნებობა მიეძალა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ აღარც შინ დაბრუნება უნდოდა, ბოგდანა საღამომდე არ მოვიდოდა, ანდუყაფართან ყოფნა კი დღეს ძალზე უჭირდა, ვეღარ უძლებდა მის გატანჯულ სახეს. ისევ დაჰყვა ნაცნობ, ოღრო-ჩოღრო ქუჩას და ალაყაფის კარს მიადგა. კარი, რა თქმა უნდა, დაკეტილი აღმოჩნდა. ახლაც უიმედოდ ჰკრა ხელი და გაოცდა: კარი ჭრიალით გაიღო.

აღარ დაუყოვნებია, მაშინვე შევიდა საავადმყოფოს ეზოში და იმ ფანჯარას შეხედა, სადაც ოდესღაც მთვარისა ნახა. ბნელი, გისოსებიანი ფანჯარა ღია იყო. მერმე ეზოს მოავლო

თვალი, ეზო ამჟამად დაცარიელებული დახვდა. არც მოხუცი მეეზოვე, არც თმაგადაკრეჭილი, ნაცრისფერხალათიანი მამაკაცები არ გამოჩენილან. აუზი უკვე წყლით აევსოთ და შიგ უღრუბლო ცადა მწვანედ შეფოთლილი ხეები არეკლილიყო. ლუკამ ეზო მიიარ-მოიარა, ერთ მერხზე ჩამოჯდა კიდეც, მერმე ისევ ამოიჩარა თავისი ჩანთა იღლიაში და კარისკენ გაეშურა იმედგადაწურული.

კართან მისულმა მოულოდნელად ნაცნობი ხმა გაიგონა და კინაღამ გული გაუსკდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ შეაკრთო იმ ხმამ, რომლის გაგონებასაც ასე ესწრაფოდა.

— ბიჭო, ერთი წუთით მომისმინე! — ეს ნამდვილად მთვარისა იყო.

ლუკამ თავი მოაბრუნა. ღია ფანჯარას შიშველი მთვარისა მოსდგომოდა ისევე, როგორც მაშინ, პირველად რომ ნახა. თავზეკით რკინის გისოსებისათვის ხელები ჩაეკრა და ლუკას მისჩერებოდა დიდი და ნაღვლიანი თვალებით. მაგრამ ლუკას მაშინდელივით სირცხვილისაგან სახე არ ალეწვია, არც თვალი მოურიდებია, არც აღელვებულა მაშინდელივით. ოღონდ ეს კი იყო, წეღანდელი უეცარი შიშისა თუ ელდის გამო გული ისევ გამალებით უცემდა.

— რატომ დაიგვიანე, ბიჭო? განა შეიძლება ამდენი ხანი ალოდინო ადამიანი?

ლუკამ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა ფანჯრისაკენ.

— იგი დასჭრეს და მისი სხეული მოჰფინეს მთელ ქვეყანას... მისი სხეულის ყოველი ნაწილი იყო ნაწილი ჩემი სხეულისა და იგი იყო ძმა ჩემი და ქმარი ჩემი... თოთხმეტ ნაწილად დასჭრეს და გაჰფანტეს მთელ ქვეყანაზე, ამიტომ მტკიოდა სხეული თოთხმეტი ტკივილით, როგორც მთვარეს. მაგრამ მე მოვაგროვე გაფანტული მისი სხეული და აღვადგინე მკვდრეთით ძმა ჩემი და მეუღლე ჩემი. აღვადგინე მკვდრეთით და ტკივილები დამიყუჩდა, თოთხმეტივე ტკივილი. ახლა იგი — ძმა ჩემი და მეუღლე ჩემი ყოველ გაზაფხულს მოეახლება ქვეყანას და ყოველ შემოდგომას კვლავ განშორდება. იგი სიკვდილიც არის და სიცოცხლეც. სიცოცხლეცა და სიკვდილიც!.. — ესა თქვა მთვარისამ, ნაღვლიანად გაიღიმა. მერმე თავზეკით გისოსებს ხელები გაუშვა და ასევე ხელებაწეული შებრუნდა, წასვლა დააპირა.

— მთვარისა! — უნებურად წამოსცდა ლუკას.

ლუკამ დაინახა, უცებ როგორ შეუტოკდა მთვარისას მხრები და რძისფერი სხეული თანდათან როგორ გაუვარდისფრდა. მთვარისა სწრაფად მოტრიალდა. მას ისევ ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ოღონდ უხერხულად იღიმებოდა, დამნაშავესავით.

მერმე ხელები ჩამოჰყარა და რაფას დაეყრდნო.

— მე მთვარისა არა ვარ, ბიჭო.

შიშველ სხეულს ძველი ფერი დაუბრუნდა, სახიდან უხერხული ღიმილიც აიკრიფა და გაჰქრა. ოღონდ ეს კი იყო, შუბლზე ოფლის წინწკლები უბრჭყვიალებდნენ ალმასის თვლებივით.

— გითხარი, მთვარისა არა ვარ-მეთქი!

ლუკას გაახსენდა ანდუყაფარის ნათქვამი. — შესაძლებელია, მთვარისა სულაც არა ჰქვია, ეს სახელი თვითონვე დაირქვაო.

— მე აღვადგინე ძმა ჩემი და მეუღლე ჩემი. მერმე დამიცხრა თოთხმეტივე ტკივილი და იგი — ძმა ჩემი და მეუღლე ჩემი მივუვლინე მეუფედ მკვდართა ქვეყანას. ტანჯვითა ჩემითა მე მოვიპოვე სული ჩემი და იგი ანათებს მზესავით. მე ვარ შემწე ყოველთა ტანჯულთა, ღატაკთა და უპოვართა, ნუგეშისმცემი ყოველთა დაცემულთა...

ლუკამ ახლაც იგრძნო, ქალიშვილი, რომელსაც მისთვის მიეპყრო ნაღვლიანი თვალები, მას არ უმზერდა. უფრო სწორედ, ქალიშვილის მზერა მას არ წვდებოდა. იქვე მის წინ ჰაერშივე წყდებოდა ან იფანტებოდა. ლუკას უკვე აღარ უნდოდა აქ დგომა და ამ გაუგებარი სიტყვების მოსმენა. აღარც ის აინტერესებდა, რა ახალ სახელს მოიგონებდა, რას დაირქმევდა. ლუკასთვის იგი მთვარისა იყო. ლუკამ სამიოდე ნაბიჯი გადადგა უკან, თითქოს გაპარვას აპირებდა.

— სად მიდიხარ, ბიჭო?

ლუკა შეჩერდა:

— წადი და ჩვენებს შეატყობინე, რომ მე აქა ვარ! მათ, რა თქმა უნდა, იციან, სადაც ვარ მე, მაგრამ მაინც შეატყობინე... იქნებ დაავიწყდათ, იქნებ შეხსენებაა საჭირო... ჩვენ ხომ ყველანი უმადურები ვართ და ბევრი რამ, რაც სიკვდილამდე უნდა გვახსოვდეს, გვავიწყდება ხოლმე.

ლუკას გაახსენდა ანდუყაფარის დილანდელი ნათქვამი სი-

ტყვა, რომელმაც მაშინ მეხსიერების სიმი დაუჭიმა. სწორედ ამ ეზოში საუბრობდნენ ნაცრისფერხალათიანი მამაკაცები უმადურებზე. ლუკამ ეზოს გახედა, — იქნებ ის ნაცრისფერხალათიანებიც ისევ აქ არიანო. ეზოში არავინ ჩანდა.

— ნუღარ იგვიანებ, ბიჭო!.. წადი... წადი, ბიჭო!.. — მთვარისამ, თითქოს ცეკვას აპირებსო, ხელები მაღლა შეისროლა და ღიღინით გატრიალდა.

მთვარისას გაუჩინარებისთანავე ლუკამ შინისკენ მოჰკურცხლა. მას სულაც არ ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ანდუყაფარისათვის მთვარისას არსებობა-არარსებობას. რატომ აწვალებდა მისი ყოფნა-არყოფნა... გახარებული გარბოდა შინ, დარწმუნებული იყო, რომ ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა ტკივილს, როცა ეტყოდა: მთვარისა ნამდვილად არსებობსო... მთვარისა არსებობს... მთვარისა არსებობს... მთვარისა არსებობს... მთელი გზა თითქმის სირბილით მოიტოვა უკან. დაღლილი მიადგა ჭიშკარს. ჭიშკართან შეჩერდა და სული მოითქვა, იმდენად დაქანცულიყო, რომ თავბრუ ეხვეოდა და გულიც ერეოდა. „რას მოვრბოდი, სულერთი არ იყო, ათი წუთით ადრე თუ გვიან მოვიდოდი?“ შესასვლელი გვირაბი და ეზოს ნაწილი სვენებ-სვენებით გაიარა. ცაცხვთან მისულმა ისევ გაიფიქრა, — რა უცნაურია, დღეს ყველა მაჩქარებდა... მე არსად არ მეჩქარებოდა და მაინც ვჩქარობდიო... მერმე ეზოდან მეორე სართულს ახედა, ეგონა, ანდუყაფარს დაინახავდა.

პირველი სართულის კიბე აათავა...

თავზარდაცემული შეჩერდა.

უცებ დაინახა, მეორე სართულიდან კიბეზე როგორ დაეშვა ველოსიპედისთვლებიანი სავარძელი, რომელშიც ანდუყაფარი ესვენა. საშინელი სისწრაფით მიგორავდა სავარძელი, ხტუნვა-ხტუნვითა და გრიალით, როგორც ღარში მიშვებული ვეება ტალღა. ანდუყაფარს ორივე ხელი მკლავთა საყრდენებისათვის ჩაევლო, შიშჩამდგარი თვალები დაეჭყიტა და წინ იხედებოდა. ერთ ნაბიჯზე ელვასავით ჩაუქროლა ლუკას, ლუკა უნებურად გადაქანდა და შემაძრწუნებელი ბღავილი გაიგონა.

— ლუუ-კაა!..

განწირული ბღავილი ჯახანმა და ლაწანმა დაახშო. დაქანებული სავარძელი ზვავით შეასკდა პირველი სართულის მოა-

ჯირს, გადალეწა და გადაანგრია. ამავე ძალამ ჰაერში ცალ-ცალკე აისროლა ანდუყაფარიცა და სავარძელიც. ანდუყაფარ-მა ხელები გაშალა, თითქოს გაფრენას აპირებდა, კიდევ ერთხელ იბღავლა „ლუუ-კაა!“.. და უზარმაზარ მძიმე ჯვარივით ჩაეშვა მდინარეში.

ლუკა იმწამსვე დაეშვა პირველი სართულის კიბეზე, მაგ-რამ ფეხი წამოჰკრა ჩანთას, რომელიც წეღან გავარდნოდა ხე-ლიდან, დაგორდა და თავპირდალეწილმა ჩაათავა კიბე. ეზო-ში სწრაფად წამოხტა და მიირბინა ცაცხვთან, სადაც დაბმული ნავი ეგულებოდა. ნავი ძველ ადგილზე აღარ აღმოჩნდა. გინ-დაც იქვე ყოფილიყო, მარტო ლუკა რას უშველიდა?!

ანდუყაფარი აღარ გამოჩენილა, იგი მტკვრის მღვრიე ტალ-ღებმა სამუდამოდ შთანთქა.

— ანდუყაფარი დაიხრჩო! — შესძახა ლუკამ დაცარიელე-ბულ აივნებს, — ანდუყაფარი დაიხრჩო!..

ლუკას ძახილი არავის გაუგონია, ანდა ვინ გაიგონებდა, როცა თვითონაც ძლივს ესმოდა საკუთარი ხმა.

— ანდუყაფარი, ანდუყაფარი დაიხრჩო!.. — ყვიროდა ლუ-კა.

მაგრამ ლუკა მიხვდა, მის ძახილს ახლა ვერავინ გაიგონებ-და, რადგან ხმას მტკვრის ძლიერი ხმაური ნთქავდა... თითქოს დიდი ხნის წინათ დაკარგული სმენა დაუბრუნდა და ახლაღა გაიგონა, რა საზარლად ხმაურობდა მტკვარი.

უცებ იგრძნო, მუხლებში ძალა ელეოდა, მაინც გაემართა ძია ლადოს სახლისკენ, ძლივს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს. რამდენიმე საფეხური გაჭირვებით აიარა და კარს მიადგა. და-აკაკუნა...

— ძია ლადო, მიშველე, ძია ლადო! — კარი არავინ გაუღო.

— ძია ლადო, მიშველე!..

ეტყობა, ძია ლადო შინ არ იყო. ლუკა ისევ დაეშვა კიბე-ზე, დაბარბაცდა და კიბის მოაჯირს ხელი წაატანა, — არ წა-ვიქცეო. მაგრამ ათიოდე ნაბიჯით წალასლასდა და ახლა მეორე კიბეს მიადგა. შინ ესენი მაინც იქნებიანო, — გაიფიქრა. იცო-და, აქ პატარა ბავშვი იყო ავად და ავადმყოფ ბავშვს არავინ მიატოვებდა. კიბეზე ფეხი შედგა. მუხლებმა უმტყუნა და იქ-ვე ჩაიკეცა. ახლა ფორთხვით აპყვა კიბეს... ჯერ კარს, მერმე ფანჯარას შეავლო თვალი. ორივეს, კარსაც და ფანჯარასაც

წითელი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. ლუკა კიდევ ორ საფეხურზე აფოფხდა. მეტი ვეღარ შესძლო, მოწყდა, მოეშვა და თავი საკუთარ მკლავზე მიასვენა. ოთახის სიღრმიდან სიმღერა მოესმა, ალბათ დედა მღეროდა:

მოუოხეთ, ბატონებო,
ბატონებო, მოუოხეთ...
ლამაზი ბატონებია,
ია და ვარდი ჰფენია...

ლუკამ დიდი მწვანე მინდორი დაინახა, ყვავილებით მოფენილი. მინდორზე თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი გამოჩნდა. თხის ჯოგში ერთი ლამაზი თეთრი თიკანი შეკუნტრუშდა და შეხტა...

მოუოხეთ, ბატონებო,
ბატონებო, მოუოხეთ...

თეთრი ცხენი

1

დავბრუნდი...

ომის დამთავრებისთანავე დავუბრუნდი ჩემს ქალაქს, ჩემს უბანს, სახლს, სადაც დავიბადე და გავიზარდე... თითქოს არაფერი დაჰკლებია და არც მომატებია, ისეთივეა, როგორიც დავტოვე: მყუდრო, ნაცრისფერი, ძველი და გაცვეთილი, მაგრამ ეს ალბათ პირველი შთაბეჭდილებაა, ამდენი ხნის განშორების შემდეგ პირველი შეხვედრის მსუბუქი ანარეკლი, ზედაპირული, მოტივტივე. ასეა თუ ისე, ოგი სასიამოვნოდ დაემთხვა იმ მოლოდინის სევდას, რომელიც წლების მანძილზე გულს მიღრღნიდა იქ, გამოყრუებულსა და ღვთისაგან მივიწყებულ სოფელში.

ალბათ, მინდოდა კიდეც, ყველაფერი ხელუხლებელი დამხვედროდა, როგორიც მახსოვდა, ისეთივე მენახა, რადგან გადასხვაფერებულისა თუ შეცვლილის, ანდა უცნობის შესახვედრად შინაგანად მზად არ ვიყავი. ოთხი წელი მასულდგმულებდა მეხსიერებაში მკაფიოდ აღბეჭდილი სამყარო... ეს იყო ჩემი ბავშვობის მთლიანი, შეუვალი ქვეყანა, რომელსაც ფიქრებსა და სიზმრებში ვაცოცხლებდი და სხვებისთვის შეუმჩნევლად ვცხოვრობდი მასშივე დანთქმული.

სოფელში ერთხანს გამიჭირდა... განსაკუთრებით მაღიზიანებდა „ქალაქელი ბალღის“ დაუმსახურებელი უპირატესობა. უფროსებისა და თანატოლების მიერ აღიარებულ ამ უპირატესობას თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი, უმცროსებზე აღარაფერს ვამბობ. ზედმეტი ყურადღება და გამორჩეულო-

ბის გრძნობა ერთგვარად მაწუხებდა და მბოჭავდა, რადგან ოგი ცხოვრების სხვანაირ, შეუჩვეველ წესრიგს მოითხოვდა ჩემგან და მეც მაშინვე უნდა მიმეცა ის, რასაც ჩვეულებრივ, ყოველ-დღიურ ყოფით გარემოში არ მივცემდი.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, ყველაფერი ხდებოდა იმის გამოც, რომ ხალხს ვეცოდებოდი, ერთნაირად ვებრალებოდი ყველას — დიდსაც და პატარასაც. ჩემდამი სიბრალულის გრძნობა შეურაცხმყოფლად მოქმედებდა და ჩემსავე თვალში მამცირებდა. შესაბრალი თუ შესაცოდი არა მჭირდა რა, ობლობა, რომელიც დამაბრალეს, არა მჯეროდა და გინდაც დამეჯერებინა, მას გარეშეთათვის საწყალობლად არ უნდა გავეხადე, ამის საბაბი მე არავისთვის მიმიცია.

მხოლოდ ანანო (მამიდაჩემი) არ მთვლიდა ობლად და არც „ქალაქელი ბალღის“ უპირატესობას აღიარებდა, ჩემთვის მაშინ გაურკვეველსა და აბსტრაქტულს. ამ სამაგალითოდ დაუზარელმა და გამრჯე ქალმა, თუმცა საშუალო სკოლა კი დაამთავრა, მაგრამ ოცდაათ წელს ისე მიატანა, სოფლიდან ფეხი თითქმის არ გაუდგამს. ერთს იმიზეზებდა — მოცლა არა მქონდაო. პირველ ხანებში ეჭვის თვალითაც კი ვუცქეროდი მის საქმიანობას, რომელიც სხვებისთვის მოსაჩვენებელი ამაო ფუსფუსი მეგონა. მართლაც, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ქვეყნად ამდენი საქმე იყო გასაკეთებელი.

მეზობლებისაგან ხშირად გამიგონია: აქ ქალს თავისი კალო გალეწილი აქვს და ჩამუხლულს მაინც ვერა ნახავო. ოგი თითქოს ცხოველური ყნოსვით აგნებდა საქმეს, რის გამოც არაერთხელ გამიფიქრია: ეს მოუცლელობა ცოტა ავადმყოფური ხომ არ არის-მეთქი. ანდა, შესაძლებელია, ანანოს ნამდვილად გააჩნდა იშვიათი ნიჭი, საქმე აღმოეჩინა. იქ, სადაც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ამის საჭიროება არ არსებობდა.

ერთხელ სოფლის შარაზე ვიღაც ბერიკაცს წამოვეწიე, ბერიკაცმა გზაში ლაპარაკი გამიბა, ვისი ხარო? — მკითხა. წინასწარ ვიცოდი, რასაც მიპასუხებდა და მაინც ვუთხარი, ვისიც ვიყავი. ჰოო! — გაიქნია სინანულით თავი, — საწყალი მამაშენი ჩემს ხელში გაიზარდა და დავაქაცდაო... დიდი მამაძაღლი ვინმე იყოო... აქო და ადიდა, ცამდე აიყვანა. მე უკვე სათვალავი დავკარგე მამაჩემის გამზრდელებისა, ვინც კი სოფელში ხანმოყრილი შემხვდა, ყველა მისი აღმზრდელი აღ-

მოჩნდა. ჯერ ვიბნეოდი, ასეთი რა გაჩნდა ქვეყანაზე, რომ ერთი ბავშვის გაზრდამ მთელი სოფელი მოაცდინა-მეთქი, მაგრამ ყური თანდათან გამეხედნა და მერმე მათ ნათქვამზე უხერხულად აღარ ვიშმუშნებოდი. თანაც ვიცოდი, შვიდი თუ რვა წლისა ბიძამ ქალაქში წაიყვანა სასწავლებლად, ქალაქში გაიზარდა და დავაჟკაცდა, იქვე დაქორწინდა, რის შედეგადაც მე მოვეევლინე ქვეყნიერებას.

დაღუპვის ცნობა არ გვქონდა მიღებული, მაგრამ სოფელში ყველანი რატომღაც დაღუპულად თვლიდნენ: ფათერაკიანი ბალღი იყოო, ხიფათს გეშით ეძებდა და თავის დროზეც რამდენიმეჯერ ბეწვზეა გადარჩენილიო. ბერიკაცმაც „საწყალიო“ რომ თქვა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა, მის დაბინდულ წარმოდგენაში მამაჩემი სადღაც ბრძოლის ველზე ხიფათს იყო გადაყრილი.

სულ მიკვირდა, გულში მწყინდა კიდეც, ასე უმტკივნეულოდ რატომ იმეტებდნენ ან ასე გულგრილად რატომ იშორებდნენ თავიდან მამაჩემს. შემდეგაც ბევრი მიფიქრია ამაზე, მაშინ კი მეჩვენებოდა, რომ სოფლელებს სოფლიდან წასულების მიმართ, იმათდამი, ვინც სოფელი სამუდამოდ მიატოვა და ქალაქში დასახლდა, სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ. ხანდახან მათ პატივითაც იხსენიებდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში ეს პატივისცემა დიდი ხნის განელებული იყო, ანდა მის ადგილს უკვე სხვა გრძნობა დაპატრონებოდა. თუ სოფლის მიტოვებაზეა საქმე, განა ჩვენ კი ვერ მივატოვებდითო?! — ზოგს შური უკორტნიდა გულს, ზოგს — ბოღმა, ზოგს კი სოფლისა თუ მიწის ჭეშმარიტი სიყვარული ალაპარაკებდა. ჩემდამი დამოკიდებულებასაც უნებურად ამ გზით ვხსნიდი. რახან მამაჩემს ომში დაღუპულად თვლიდნენ, ალბათ ეგონათ, სამუდამოდ სოფელში დავმკვიდრდებოდი, ანდა უნდოდათ ასე მომხდარიყო, ეტყობა, ქალაქელის სოფლად დამკვიდრებასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ...

მერმე ბერიკაცმა ანანო მოიკითხა.

ეგ დედაკაცი გულთმისანია, სხვა წყალი აქვს გადასხმულიო... ყური უგდე ხოლმე, ხომ იცი, ძირს დასაშვებ სიტყვას არ გეტყვისო... მართალი გითხრათ, კარგად ვერც გავიგე, რას ნიშნავდა „ძირს დასაშვები სიტყვა“, მიუხედავად ამისა, ბერიკაცთან საუბრის შემდეგ ანანოს უფრო მეტი გულისყურით

ვუსმენდი, მაგრამ სიტყვაძვირი და გულჩათხრობილი ქალი ისეთს არაფერს მეუბნებოდა, რომ „ძირს დასაშვები“ არ ყოფილიყო.

განსაკუთრებით მაინც „გულთმისანმა“ ჩამაფიქრა; ეს სიტყვა მანამდეც ბევრჯერ მქონდა გაგონილი და წიგნებში წაკითხული, მაგრამ მისი შინაარსით არასოდეს დავინტერესებულვარ, შეიძლება იმის გამოც, რომ იგი ბუნებაში არარსებული, ზღაპრული გმირების გაზვიადებულ ეპითეტად მიმაჩნდა. ბერიკაცის ნათქვამი კი უცებ თვალწინ უჩვეულოდ აელვარდა. ეს უცნაური სიტყვა ეხებოდა რეალურად არსებულ ადამიანს, რომლის გვერდითაც ვცხოვრობდი, რომლის სიახლოვესა და ზრუნვას ყოველდღიურად განვიცდიდი. თუმცა, რა თქმა უნდა, „გულთმისანი“ ამ შემთხვევაშიც გაზვიადებულად მომეჩვენა.

ოთხი წელი ანანოს ფრთებქვეშ შეყუჟულმა გავატარე, არც საჭმელს მაკლებდა და არც სასმელს. თანდათან შემაჩვია, მომაწონა და შემაყვარა პაპაჩემის ძველი, ქვითკირის ორსართულიანი სახლი, რიკულებიანი აივანი, გრილი მარანი, თეთრი თხა, წითელი მამალი თავის ჰარამხანიანად და ღობის გასწვრივ ჩარიგებული თერთმეტი თუთის ხე. ამ თუთის ხეებს თითქმის ყოველდღე ვთვლიდი, თუმცა ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ერთიც არ დააკლდებოდა. ისიც ვიცოდი, ომამდე მეორე სართულის ყველაზე ნათელი და დიდი ოთახი დათმობილი ჰქონდათ აბრეშუმის ჭიებს, რომლებიც მთელი ზაფხული სულმოუთქმელად ნთქავდნენ ჩვენი თუთის მწვანე ფოთლებს.

მოხუცმა ბოლოს ვიღაც მამაკაცზე ჩამომიგდო საუბარი — მაგარი იყოო, კაცთსაკითხავიო... მე მოულოდნელად გავწითლდი და თავი გვერდზე მივაბრუნე. ამ კაცის არსებობა იმ დღეს პირველად არ გამიგია, მაგრამ მაინც ისე ავილეწე, თითქოს ქურდობაზე წამასწრეს. საქმე ის არის, არ ვიცოდი, ვინ იყო ეს მამაკაცი, რა ურთიერთობა ჰქონდა ანანოსთან: ქმრად ერგებოდა, საქმროდ თუ საყვარლად. ანანოს ერთხელაც არ უხსენებია, თითქოს არ არსებობდა, ან თუ არსებობდა, თითქოს სამუდამოდ ჰყავდა მოშორებული და დავიწყებული.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, რად უნდა მცოდნოდა მათი ურთიერთდამოკიდებულება, მე რა მეკითხებოდა, გინდაც საყვა-

რელი ყოფილიყო? რა მაწითლებდა, რისი მრცხვენოდა? ქალი უკვე იმ ასაკს იყო მიღწეული, შეეძლო, როგორც ინებებდა, როგორც მოისურვებდა, ისე, თავის შეხედულებისამებრ ეცხოვრა....

მაგრამ სოფელი სხვანაირია...

მე მაინც მაწუხებდა გაურკვევლობა, ანდა მეგონა, გაურკვევლობა მაწუხებს-მეთქი. ეტყობა, ქვეცნობიერად ვგრძნობდი, აქ ყველაფერი რიგზე რომ არ იყო და იქნება ამიტომაც ჩემს წარმოდგენაში იბზარებოდა და ირღვეოდა ანანოს ერთიანი სახე, რაღაცნაირად იბღალებოდა კიდეც. მისი დუმილიც ნიშანდობლივად მეჩვენებოდა.

ერთხელ...

კარგად მახსოვს შემოდგომის ცივი, მაგრამ ნათელი და გამჭვირვალე დილა: ანანოს ჩვეულებისამებრ არ გავუღვიძებივარ და არც ჩვენი თხის რძე შემოუტანია. ახალგამოღვიძებულს ჯერ გამიკვირდა, მერმე კი გავიფიქრე, — ალბათ საქმე გამოუჩნდა და ასე ადრიანად კოლმეურნეობაში იმიტომ წავიდა-მეთქი. ამავე დროს მთელი არსებით ვგრძნობდი — შინ იყო... თუმცა მისი ჩამიჩუმი არ ისმოდა.

არ ავმდგარვარ. არავის უთქვამს, ადექიო და რატომ ავდგებოდი? ვიწექი და ვნებივრობდი მატყლის საბანში გამოხვეული თუ შეფუთნული. სკოლაში წასვლის დრომ რომ მოაღწია, ცოტა არ იყოს, ავფორიაქდი, — ეს რა ხდება-მეთქი! მაგრამ ასადგომად თავი მაინც არ შემიწუხებია. კედლისკენ გადავბრუნდი და დილის ნანატრი ძილის გამოცხობა ვცადე. მერმე კარის გაწელილი ჭრიალი გავიგონე. არ გავნძრეულვარ, თავი მოვიმძინარე: გავყუჩდი და გავიტრუნე. ფეხის ხმით მივხვდი, ანანო ჩემს ოთახში არ შემოსულა, ღია კარიდან მომჩერებოდა. დაძაბულობას დიდხანს ვეღარ გავუძელი, უცებ წამოვიწიე და ღია კარისკენ შევბრუნდი: იქ მართლა ანანო იდგა, უჩვეულოდ შავი და ბირქუში. არც ხმას იღებდა და არც ინძრეოდა, გაშტერებული მომჩერებოდა. ნამტირალევი თვალები ჰქონდა, დასიებული... ცხვირპირიც შეშუპებოდა.

— რა მოხდა? — ვკითხე შეშინებულმა.

— ადექი! — მითხრა თუ მიბრძანა სხვა, უცხო ხმით.

— რა მოხდა?

— მოსახდენი მოხდა! — მიპასუხა და გატრიალდა.

არ ავჩქარებულვარ, ნელ-ნელა ვიცმევდი და კარგახანს ვწრიალებდი ოთახში, ფეხს ვითრევდი, იქით გასვლას ვაჭიანურებდი, რადგან სინამდვილის გაგების აშკარად მეშინოდა: თვალებდაჭყეტილი შიში დაჟინებით ჩამცქეროდა სულში და მაფორიაქებდა. ფანჯარაში უმიზეზოდ გავიხედე, თუთის ხეებიც უმიზეზოდ სამჯერ დავთვალე და სამჯერვე თერთმეტი აღმოჩნდა. ისიც დავადგინე, რომ სამჯერ თერთმეტი ოცდაცამეტია, მაგრამ ვერც ამან მომგვარა შვება.

რამდენიც უნდა ამეთრია ფეხი, დიდ ოთახში ბოლოს და ბოლოს მაინც მომიწევდა გასვლა. რა მექნ, გავედი. ანანო გრძელ მაგიდას უჯდა, როგორც ჩანს, მე მელოდებოდა. ორივე ხელი უღონოდ დაეყარა მაგიდაზე და გაქვავებული მიშტერებოდა კარს, რომლის იქითაც მე ვეგულებოდი.

— გათავდა! — თქვა და ახლა უკვე ცივი და მშრალი თვალები მომაპყრო, — ოზო, შენ დიდი ბიჭი ხარ და მინდა იცოდე... გათავდა... ყველაფერი გათავდა. ძალზე მიმძიმს, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, გეტყვი...

კედელთან ავიტუზე და უცებ ვიგრძენი, როგორღაც დავმშვიდებულვარ, წეღანდელი შიში, შიშისმიერი მღელვარება თუ დაძაბულობა სადღაც ჩაწრეტილა ან სულაც გამქრალა.

აშკარად უბედურება დაგვტყდომოდა თავს, მაგრამ რაღაცნაირი, ჩემთვის აუხსნელი ალღოთი მივხვდი, ეს უბედურება მამაჩემის დაღუპვის გამო არ უნდა ყოფილიყო ჩვენს თავს დამტყდარი. აქ სხვა რაღაც დატრიალდა და მისი წარმოდგენა ასე ნაუცბათევად მე არ შემეძლო. ალბათ. ამიტომაც დავმშვიდდი და დამეუფლა განურჩევლობის უსიამო გრძნობა, თუმცა ეს დამშვიდებაცა და განურჩევლობაც მერმე მოჩვენებითი აღმოჩნდა.

— საბა დაიღუპა! — თქვა მამიდამ ბოლოს და ბოლოს.— გათავდა! ახლა ყველაფერი დაღმა დაეშვება.

— რომელი საბა?! — წამომცდა უცაბედად, მაგრამ იმწამსვე მივხვდი, რას მეუბნებოდა ანანო. — ჰოო, საბა...

პირველად გავიგონე სახელი იმ კაცისა, რომელიც აქამდე ჩემთვის იდუმალებით იყო მოცული და რომლის არსებობას ხანდახან გამონაგონისა თუ ლეგენდის სფეროში მოვისროდი.

დუმილი საკმაო ხანს გაგრძელდა.

— ცნობა მოვიდა? — ვიკითხე გაუბედავად.

— არა! — მიპასუხა მოკლედ.

— თუ ასეა... იქნებ...

— მე ვიცი, რასაც ვამბობ! — გამაწყვეტინა სიტყვა ანანომ და რატომღაც გაბრაზებულმა შემომიტია, — რა არის ცნობა, ეს ჭუჭყიანი, ფარატინა ქაღალდი, ამდენი ხალხი მონად რომ უქცევია?! რომელი ცნობა შეედრება ჩემს გულსა და გრძნობას?! — წამოდგა და მაგიდის გარშემო დაიწყო სიარული ფრთხილად, თითქოს რაღაცას ეპარებოდა. ათიოდე წუთის შემდეგ მომიბრუნდა და თვალებში ჩამხედა:

— რატომ არ მეკითხები, ვინ იყო საბა-თქო?!

ველარ გავუძელი, თვალი ავარიდე. სოფელში გატარებული ოთხი წლის მანძილზე ასეთი მძიმე წუთები არ განმეცადა. ვიდექი კედელთან ატუზული, ყოვლად უმაქნისი და არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი. ვინ იყო ეს საბა? მართლაც, ვინ იყო?! წარმოდგენა არ მქონდა... ამავე დროს შეკითხვასაც ვერ ვუბედავდი. თვალებში ჩამხედა თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, ანანო მიხვდა, ამ კაცის არსებობა ადრევე რომ მქონდა გაგებული.

— არ მჯეროდა... არც მინდოდა დამეჯერებინა. — თქვა ანანომ.

მერმე ჩემთვის თვალებში აღარ ჩაუხედავს, გულხელდაკრეფილი დადიოდა, მაგიდას გარშემო უვლიდა მწუხარედ დაფიქრებული. ნათლად დავინახე, ერთხანს როგორ დამკარგა. შემდეგ ისევ მომნახა.

— ოზო, — უკვე ნაცნობი ხმა გავიგონე, — წელან რომ გითხარი, გათავდა-მეთქი ყველაფერი, უეცარი ტკივილის გამო არ მითქვამს... — ისევ გაჩუმდა და ჩაფიქრდა. მერმე ხმადაბლა განაგრძო, თითქოს ეშინოდა, მისი ნათქვამი ვისმე არ გაეგონა, — საბა დაიღუპა... მე ეს ვიგრძენი და გამეღვიძა... არა, ცხადად დავინახე, როგორ დაეცა, როგორ გატეხა ტყვიამ... ფუი! ეტყობა, ვერ შევაბრუნე ბედის ბორბალი, ჩემი ბედისწერა ეგა ყოფილა!.. რა კაცი წაიქცა, ღმერთო!.. როგორ გაიმეტე, როგორ გაიმეტე?!

სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, ღრმად სუნთქავდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. მე გულისყურიანი დაძაბულობით ვუსმენდი, თან თვალს არ ვაშორებდი. იქვე აღმოვაჩინე, რომ ანანო ძალიან ლამაზი ქალია, ეშხიანი. ლამაზიცა და ეშხია-

ნიც. შავგვრემანი, ტანადი... სახის ნაკვთები სწორი აქვს და დახვეწილი, თმა ხშირი, შავი და მბზინავი, თითქოს ძლივს შესამჩნევი მუქი სილურჯე რომ დაჰკრავს ხოლმე. ჩემთან ამდენ ხანს არასოდეს უსაუბრია და მეტყველებითაც გამაოცა. რომ არ მცოდნოდა, ვერაფრით დავიჯერებდი, თუ ამ ქალს სოფლის გარეთ ფეხი არა ჰქონდა გადგმული... ყოველგვარი კილოკავის გარეშე მეტყველებდა.

საბა ომის დაწყებამდე ორიოდე წლით ადრე გამოჩენილა სოფელში, პირდაპირ თავმჯდომარესთან მისულა და უთქვამს: მუშახელი ხომ არ გჭირდებათ, რასაც დამავალებთ, იმას გაგიკეთებთო. სოფელს მუშახელი რახან სულ მუდამ სჭირდება, თავმჯდომარესაც ეგრევე აუყვანია, — ერთი ვნახოთ. რისი შემძლეცა ხარო... სამ-ოთხ თვეში საბა უკვე ყველასთვის საჭირო კაცი გამხდარა, სადაც კაცი აკლდათ, იქ აგზავნიდნენ. ეგეც მუყაითად შრომობდა და ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდა. უამკაცოდ აქამდე ანკი როგორა ვძლებდითო. — ამბობდნენ თურმე სოფლელები და საბას ერთიანად ემადლიერებოდნენ.

ჩვენს ორღობეში, მეზობელს მდგმურად ერთი დიდო ეყენა თურმე, მაღალი, ხმელ-ხმელი. ჯანიანი. მაგარი კალატოზი ყოფილა და მოცლა არა ჰქონია. ისე გაუთქვამს სახელი, სხვა, შორეულ სოფლებიდანაც აკითხავდნენ ხშირად. დიდოც აიკიდებდა თავის გუდა-ნაბადს და თვეობით იკარგებოდა. ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს ძლივს მოლასლასებულა, გულის კოვზზე ხელს იჭერდა — აქა მტკივაო... ვკვდებიო, — ბოლოს უთქვამს და ტახტზე მკვდარივით დაგდებულა. უმწეონი და სასოწარკვეთილნი დასცქეროდნენ უღონოდ დავარდნილს. დიდო თვალდათვალ სანთელივით ადნებოდათ ხელში. სოფლის ექიმმა რომ ვერაფერი მოუხერხა, მეზობლებს ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსული პროფესორი მოუყვანიათ, მაგრამ არც იმ განათლებული ქალაქელი ექიმისაგან გამომდნარა რამე სახეირო... ეს კი წუთიწუთ ილეოდა და ილეოდა, სულს თანდათან ღაფავდა. ყველას ებრალებოდა, ასე უსაშველოდ რომ იღუპებოდა საწყალი დიდო, — ეგრე კაცის დაკარგვა როგორ იქნება, ნათესავებს მაინც შევატყობინოთო, მაგრამ რა ექნათ, არავინ იცოდა, საიდან იყო აქ გადმოხვეწილი.

— მახსოვს, შაბათი დღე იწურებოდა, — განაგრძობდა ანა-

ნო, — ქათმებს ვაპურებდი. ღობეს ვიღაც კაცი მოადგა და მკითხა: ოხერი დიდო სადა ცხოვრობსო? მე ვუთხარი, სადაც ცხოვრობდა. ჯერ ხომ არ მომკვდარაო? — გაიღიმა. არა-მეთქი, — მეც გამეღიმა. ქალო, ის რჯულძაღლი დღენიადაგ შენ თუ შემოგცქერის, დასნეულდებოდა, მა, რა ოხრობა მოუვიდოდაო! — გაიცინა გულიანად და ღობეს გაეცალა. მიმავალი სულ უკან იხედებოდა და მიღიმოდა. უცებ გული გადამიქანდა, თან ისეთი ბაგა-ბუგი დამიწყო, ვიფიქრე, სადაც არის, გამისკდება-მეთქი. ეს კაცი მანამდე არ მენახა, არსად შემხვედროდა და მაინც მიეხვდი, საბა იყო, სწორედ ის, ამას წინათ სოფელს რომ შემოეხიზნა.

დიდოსთვის რომ დაუხედავს, ამ დღეში როდის ჩავარდიო,— უკითხავს. გუშინწინ არყით გამტყვრალი ტბორს დავეწაფე და ასე მომაქციაო. ან არაყმა მომკლა, ან ტბორის წყალმაო. — უპასუხია დიდოს. არაყი ამას არ გიზამდა, არაყმა სხვაგვარად იცის მოთავებაო. — გაუცინია საბას და ჩაფიქრებულა...

მერმე ისევ ანანო მოუკითხავს, ისევ მოსდგომია ღობეს.

— ქალო, იმ შენს ბებერ მამალს დიდოსათვის ვერ გაიმეტებ? — შეჰკითხვია.

— რამ დააბერა, შარშანწინდელია! — ცოტა არ იყოს, სწყენია ანანოს.

— შარშანწინდელი რომ არის, იმიტომ გეუბნები, ღონიერი მამალია და გული სისხლით ექნება სავსე.

— მარტო მამალი გნებავს, თუ დედალიც გამოვაყოლო?

— დედალი — სხვა დროს, ახლა ეგ მამალი გაიმეტე, ვერა ხედავ, კვდება ეგ რჯულძაღლი. — უთქვამს საბას და გაბრუნებულა.

ანანოს ჯერ ჰგონებია — ეს კაცი მეხუმრებაო, მერმე, როცა დარწმუნებულა, მამალი ნამდვილად სჭირდებოდა, უარს როგორ ეტყოდა.

მეზობლებს დაუწიოკებიათ ჩვენი ეზო, ძლივს დაუჭერიათ მამალი და მერმე საბასთვის მიუგვრიათ. საბას ამასობაში ნემსი და ძაფი მოუთადარიგებია, გულგახეთქილი მამალი ხელში აუყვანია, ცოტა სული მოუთქმევინებია და ზურგზე ხელი გადაუსვამს, — ამ ურჯულოს უნდა შეეწიროო, კარგი კაციაო, მაგარი ოსტატიო... მერმე ჯიბიდან სამართებელივით მკრელი

დანა ამოუღია, მამალი მიწაზე გულაღმა დაუწვენია, ფრთები და დეზებიანი ფეხები სხვებისთვის დაუჭერინებია.

ცოცხალი მამლისთვის სწრაფად გადაუსხეპია მკერდი და გული ამოუკვეთია. სწრაფადვე გაუყრია ძაფი და ჯერ კიდევ მფეთქავი, სისხლსავსე გული დიდოსთვის გადაუყლაპინებია.

ჩაუშვი, ჩაუშვიო, — აძალებდა დიდოს, თან ძაფს ხელს არ უშვებდა თურმე. აბა, ეგენი არ იყოს, რჯულძაღლო, გაუძელიო!— უყვიროდა თავზე მდგარი საბა და ახლა უკვე ნერვულად იცინოდა. მერმე რამდენიმე წუთი დაუყოვნებია და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად დაუწყია ძაფის ამოწევა. ისე დაძაბული ყოფილა, ოფლი ათასწვერად ჩამოსდიოდა თურმე.

ბოლოს დიდოს ხორხიდან ამოუღია ძაფზე გამობმული მამლის გული. ყველანი სახტად დარჩენილან: მამლის სისხლიან გულზე კარგა მოზრდილი, მოშავო-მოწითალო წურბელა ეკიდა თურმე...

ეგეც ეგრეო! — უთქვამს საბას, წურბელა მიწაზე დაუნარცხებია და ოფლიანი შუბლი მკლავით მოუწმენდია.

— ახლა ემაგ მამლის ჩიხირთმა მოუხარშეთ ამ უბედურს, ზედაც თუ ერთ ჭიქა საფერავს დააყოლებინებთ, ამას მეტი არა უნდა რა! — საბას მხარზე ხელი დაუტყაპუნებია დიდოსთვის და წასულა.

— კაცო, ეგ რა გამოვიდა, დაიცა, შე მამაცხონებულო, ცოტა წავიხემსოთ, პური ვჭამოთ! — შეხვეწნია მასპინძელი.

საბას არ მოუცდია:

— მაგ მამლის მოხარშვას თუ ვუცადე, დილამდე აქ მომიწევს ყოფნა.

— ხელი მაინც დაიბანე, კაცო! — შინ იტყუებდნენ საბას.

— ხელები სუფთა მაქვს! — ორივე ხელი მაღლა აუწევია და ყველასათვის დაუნახვებია. მერმე კვლავ მოსდგომია ჩვენს ღობეს და ანანოსთვის ღიმილით უთქვამს, — ხვალ დილით წითელსავე მამალს ამოგიყვან... ისეთი იქნება რომ... უსათუოდ!

ანანო ისევ გულხელდაკრეფილი დადიოდა ოთახში. ეტყობა, სათქმელი ბევრი ჰქონდა, მაგრამ ფრთხილობდა, თითქოს სიტყვებს საგანგებოდ მირჩევდა. მე შევამჩნიე, რომ ჩემს ასაკს უწევდა ანგარიშს: ცდილობდა, გასაგებად ეამბნა, თანაც საზღვარი არ გადაელახა, ისეთი რამ არ დასცდენოდა, რის გაგო-

ნებაც ჩემთვის ჯერ კიდევ ნაადრევი იქნებოდა. მე კი თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი, უფრო ზუსტად: რამდენიმე თვის წინ მეჩვიდმეტეში გადავდექი და დამეჯითებით შემეძლო მეთქვა: თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისამ (გაცილებით უმცროსმაც) უფრო მეტი იცის, ვიდრე უფროსებს ჰგონიათ. მათ ხშირად ავიწყდებათ თავიანთი ბავშვობაცა და ყმაწვილკაცობაც. მიამიტურად არიან დარწმუნებულნი, — მთავარი ცოდნა და გამოცდილება შემდეგ შევიძინეთ, ბავშვობა და სიჭაბუკე უკან რომ მოვიტოვეთო.

ასე ვფიქრობდი, თან გულისყურით ვუსმენდი ანანოს.

მეორე დღეს მართლა მოსულა საბა. ხმამაღლა გაუცინია და დიდი, წითელი მამალი ღობეზე გადმოუფრენია... ჩემი გუმანი გამართლდა: იმ მამლს თვითონაც შემოჰყოლია. ალბათ, მარტო დღისით კი არა, სხვა დროსაც მოდიოდა ხოლმე. ჯვრისწერა, როგორც ანანო ამბობდა, ვერ მოუსწრიათ, რადგან ომი დაწყებულა... ბოლოს სიტყვები თავის მართლებას მივამსგავსე და იქნებ ამიტომაც გავიფიქრე, მხოლოდ ჩემს გასაგონად არის-მეთქი ნათქვამი და არა სინანულისმიერი ტკივილის გასამხელად...

ფეხზე დგომით ჩამოვწყდი. იქვე ვიდექი კედელთან ატუზული და საბას მიერ უცნაურად გადარჩენილ დიდოზე ვფიქრობდი: ეს ამბავი სინამდვილეს ჰგავდა კიდეც და არცა ჰგავდა, მჯეროდა და არცა მჯეროდა. დამაფიქრა თვით საბამაც, რომელიც თითქოს მომწონდა და არც მომწონდა, თავისი ხმამაღალი სიცილით როგორღაც მაღიზიანებდა. ყველაზე მეტად მაინც ანანომ შემაფიქრიანა. უხმოდ ვადევნებდი თვალს მის ყოველ მოძრაობას, გაფაციცებით ყურს ვუგდებდი ლაპარაკს, მინდოდა, როგორმე გამეგო ან ამომეცნო: რა მოხდა? რატომ ირწმუნა ასე მტკიცედ რალაც აბსურდული სიზმარი და მოკლა საყვარელი ადამიანი? რატომ გადაწურა ბოლომდე წყალი და გამორიცხა საბას გადარჩენის თუნდაც პაწაწინა შესაძლებლობა? და, რაც მთავარია, რატომ გათავდა ყველაფერი? და კიდევ ათიათასი: რატომ?.. რატომ?.. რატომ?..

ანანო რომ ამდენს მესაუბრებოდა საბაზე, მე მაინც ვერ ვხედავდი საბას, ვერ წარმოვიდგინე, როგორი იყო თუნდაც გარეგნულად. ეს კი თითქოს ხელს მიშლიდა, რომ დამეჯერებინა ამ კაცის რეალურად არსებობა...

— როგორი იყო საბა? — ვკითხე უცებ, ჩემთვისაც თითქოს მოულოდნელად.

ანანომ გაკვირვებით შემომხედა, მერმე თავისთვის გაიღიმა. ხმა არ ამოუღია.

— გარეგნულად. — დავაზუსტე. ანანო მომიახლოვდა, მხარზე ხელი მომხვია და ფანჯარასთან მიმიყვანა.

ფანჯრიდან ეზოს უკანა, საბძლიანი ნაწილი მოჩანდა. წნელი ღობის იქით ბოსტანი იყო, ბოსტნის იქით კი — ვენახი. საბძლის წინ ნაკელში ქათმები იქექებოდნენ, ხოლო წნელის ღობეზე შეფრენილი მამალი ზემოდან დასცქეროდა თავის სამფლობელოს.

მამალს კარგად დავაკვირდი, რადგან წეღანვე მიეხვდი, სწორედ ის წითელი მამალი გახლდათ, საბამ დიდოსთვის შეწირული მამლის სანაცვლოდ რომ მოიყვანა. უცებ მომეჩვენა, მამალი მოუსვენრად წრიალებდა, რაღაცნაირ შეშფოთებულ ხმებს გამოსცემდა, თან თვალი სულ ცისკენ გაურბოდა, თითქოს ქორი დაინახა და ახლა „მრევლს“ აფრთხილებდა, — არიქა, თავს უშველეთ, ციდან საფრთხე გემუქრებათო.

ანანომ რატომღაც ფანჯარა გამოაღო. მამალს ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია, ფრთა ფრთას შემოჰკრა და საკმაოდ მაღალ საბძელზე ისე იოლად, ძალდაუტანებლად აფრინდა, გუნებაში კინაღამ გამეცინა, — ეს რა მფრინავი მამალი გვყოლია და არ ვიცოდი-მეთქი. მამალმა ახლა საბძლიდან გადმოხედა სამყაროს. მერმე „ყელი მოიღერა“, დასაყივლებლად წაიგრძელა კისერი, მაგრამ ყივილის ნაცვლად უცნაური ხმა ამოუშვა, გაბზარული, ხრიალისა თუ ხროტინის მსგავსი, თითქოს უეცრად სული აღმოხდა არა მარტო მამალს, არამედ იქაურობასაც...

უცებ თვალნათლივ დავინახე, წითელმა მამალმა როგორ იცვალა ფერი და გაოცებულმა ანანოს მივხედე: ნაღვლიანად დაფიქრებული ანანო მიწას დასცქეროდა. მე ისევ მამალს მივაპყარი მზერა, თვალებს არ დავუჯერე: საბძლის სახურავზე წითლის ნაცვლად ყორანივით შავი მამალი შემართულიყო... და ვიდრე მე გაოცების სიტყვა წამომცდებოდა, მამალმა კიდევ ერთხელ შემოჰკრა ტკაცანით ფრთა ფრთას და... გაფრინდა. სწრაფად გადაევლო ბოსტანს, ვენახს, ვენახს ქვემოთ ალვის ხეებს და გაუჩინარდა.

— ასეც ვიცოდი! — თქვა ანანომ.

მე ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ანანოს სიტყვები, არც მიცდია გაგება, გაოცებული მივჩერებოდი ალვის ხეთა შორეულ წვეროკინებს, რომლის მიღმაც გადაიკარგა თუ დაინთქა შავი ფრინველი.

გარედან მონაბერმა სუსხმა თავი მაგრძნობინა და ფანჯარა მიმახურინა.

— ომი უკვე მალე დამთავრდება და მამაშენიც დაგვიბრუნდება. შეიძლება, ცოტა დააგვიანდეს, დაბრუნებით კი უსათუოდ დაბრუნდება. — ანანო უცნაურად დამშვიდებული მესაუბრებოდა, თითქოს მისთვის ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვეტილი ან სულერთი იყო. ჩვენ ისევ ფანჯარასთან ვიდექით, მხარზე ისევ ვგრძნობდი მის ფრთხილსა და ცივ ხელს და უხმოდ ვუსმენდი. —დაბრუნდება და წაგიყვანს. რა თქმა უნდა, წაგიყვანს, აბა, აქ ხომ არ დაგტოვებს? შენ იმ დროისთვის სკოლა გექნება დამთავრებული და სწავლის გაგრძელებასაც მოინდომებ... ეს კარგია, ოზო, სხვაგვარად როგორ იქნება, უნდა ისწავლო!.. მე კი აქ მარტო დავრჩები... შენ არ გეგონოს, მარტო დარჩენისა მეშინოდეს, არა, მე და ჩემმა ღმერთმა! არც მშინებია არასოდეს... ოღონდ... დაიხსომე... დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, დიდხანს აღარ ვიცოცხლებ! აღარ თუ ვეღარ... ეგეც არ ვიცი, როგორ ვთქვა, თუმცა რა, სულერთი არ არის, როგორ ვიტყვი?! ოზო, კარგად დაიხსომე: მე რომ მოვკვდები, სწორედ წლისთავზე ჩემი ძმა სანდრო, მამაშენი გაყიდის ამ სახლს, კარმიდამოს, ყველაფერს, რაც ჩვენს გვარსა და ჯილაგს, ჩვენს მამა-პაპათ უშენებიათ, უშენებიათ წმინდა ოფლითა და მართალი ხელით. წინ ვერავინ აღუდგება, ვერავინ დაარწმუნებს, რომ ამ სახლის გაყიდვა, ამ ბუდის მოშლა არ შეიძლება... არ შეიძლება... არ შეიძლება, აქ სხვები მოვლენ, აქაურობას სხვები დაეპატრონებიან!.. თუმცა შენ ერთხელ კიდევ ჩამოხვალ, ჩამოხვალ მამაშენთან ერთად, როცა მე ამქვეყნიდან აბარგებული ვიქნები... ჩემს დასამარხად ჩამობრძანდები, ოზო, ეგეც საქმეა... მაგისთვისაც მადლობელს დაგრჩები...

ანანოს გრძელ, ამავე დროს შემაზრზენ მონოლოგს ისეთივე სიმშვიდით ვუსმენდი, როგორითაც ის წარმოსთქვამდა. თუმცა მისი ცივი და მთრთოლვარე ხელი, რომელიც ისევ მხარ-

ზე მქონდა მოხვეული, უნებურად მაგრძნობინებდა, რომ ამ სიმშვიდით დიდ ტკივილსა და მღელვარებას ნიღბავდა. მიუხედავად ამისა, მე ანანოს შინაგანად ერთგვარ წინააღმდეგობას ვუწევდი, არ ვუჯერებდი, მამაჩემი ომიდან რომ დაბრუნდებოდა, რატომღაც არც მე მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ანანოს თავის თავისადმი გამოტანილი განაჩენი ნაადრევი სიკვდილისა ვერ ვირწმუნე. რას უნდა მოესწრაფა ასე უცებ სიცოცხლე, რა უნდა შეყოროდა თუ დამართოდა ასეთი?! ბოლოს და ბოლოს, თავს ხომ არ მოიკლავდა?! რახან ანანოს სიკვდილი ღრმა სიბერემდე გადავუვადე, ამ სახლის გაყიდვა და ფუძის მოშლა თავისთავად უკვე გულისამაჩუყებელ სისულელედ მომეჩვენა.

2

როდესაც ანანო ოთახიდან გავიდა, მივხვდი, არც ისეთი მშვიდი და უზრუნველი დამტოვა, როგორც მეგონა. შემომიჩნდა მოულოდნელი, თანაც უცნაური გრძნობა, რომლის გახსენებაზე მერმეც უხერხულად ვიშმუშნებოდი და ვცდილობდი, მისთვის სხვაგვარი ახსნა მომენახა. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ანანოს მხოლოდ ერთი სადარდებელი და ერთი საზრუნავი ჰქონდა. ის, ვისი დარდიც აწუხებდა და დღენიადაგ მოსვენებას უკარგავდა, ვფიქრობდი, — მამაჩემია-მეთქი, ხოლო უმთავრეს ზრუნვის საგნად, რა თქმა უნდა, ჩემ თავსა ვთვლიდი. მაგრამ უცებ სრულიად გაუთვალისწინებელი „მეტოქე“ აღმოვაჩინე — საბა, ანანოს უპირველესი სატკივარი, მისი წუხილისა და დარდის მიზეზთა მიზეზი, რომლის იქით ყველაფერი თავდებოდა, მზე თავდაღმა ეშვებოდა. ამ აღმოჩენის შემდეგ მე და მამაჩემმა ჩვეულებრივად უკანა რიგში ამოვყავით თავი, რამაც ერთგვარად შემაკრთო და შემაცბუნა, თითქოს ვიღაც წლების მანძილზე მატყუებდა, თითქოს ჩემ წილსა და კუთვნილ, ღვთისაგან ნაბოძებ ულუფას ჩემგან დაფარულად სხვას უნაწილებდა. გუმანით ყოველთვის ვგრძნობდი უცხო და უცნობი მესამე სულდგმულის არსებობას, მაგრამ მას თუ ასეთი ფასი ედო და ასეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი.

ზოგი რამ, რაც მანამდე ცნობიერების ბურუსში მყუდროდ

განისვენებდა და ამიტომ არც მაწუხებდა, ახლა თანდათან გამოიკვეთა.

ომის წლებში სოფელმა კვლავ გაიხსენა მივიწყებული თუ გაუქმებული საეკლესიო-საკულტო დღესასწაულები: გაჭირვებაში ჩავარდნილი ცხოველი, გარეული იქნება თუ შინაური, საშველად ადამიანს აკითხავს ხოლმე, გაჭირვებული ადამიანი კი — ღმერთს.

ამ ზაფხულის მიწურულს, მარიამობაზე, ჩვენი სოფლის ეკლესიის გალავანშიც და გალავნის გარეთაც ტევა აღარ იყო — ათასი ჯურის ხალხი ირეოდა, უმეტესად — ქალები და ბავშვები. მაინც დედაკაცები ჭარბობდნენ საგრძნობლად. შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, მამაკაცებიც ერივნენ: მოხუცებულები, ხანდაზმულები, იშვიათად — ომგადახდილები. ზოგს ბრძოლის ველზე ფეხი დაეტოვებინა, ზოგს კი — ხელი, ზოგს გარეგნულად ვერაფერს შეატყობდი, მაგრამ საომრად, როგორც ჩანს, აღარ გამოდგებოდა, და მაინც სამხედრო ტანსაცმელს ვერა და ვერ შელეოდა. ერთად თავშეყრილ ამდენ ხალხს პირველად ვხედავდი და ძალაუნებურად ყველაფერს ხარბად ვაკვირდებოდი. იმ დღეს პირველად შევნიშნე, რომ ქალები მამაკაცებზე უფრო მხნედ, იმედიანად გამოიყურებოდნენ, მათი საქმიანობაც უფრო ენერგიული იყო, მიზანსწრაფული. მამაკაცები კი, ისეთი უმწეონი ჩანდნენ, თითქოს ქვეყნად საშველს ვერ ხედავდნენ და თუ ხედავდნენ, ხსნად და იმედად ისევ ქალები მიაჩნდათ. თვალებში შესციცინებდნენ და ყოველ მათ სიტყვას უხმოდ ემორჩილებოდნენ, აკეთებდნენ იმას, რასაც ისინი ავალებდნენ.

ხალხი მეზობელ სოფლებიდანაც მოზღვავებულიყო, მაგრამ ეკლესიის ეზოში ერთიანი თუ საერთო სუფრა იშლებოდა. ხალხი ემატებოდა და სუფრაც იზრდებოდა, სულ ცოტაც და ეკლესია პურ-მარილის ალყაში მოექცეოდა. პურ-მარილს სიღარიბის ელფერი დაჰკრავდა (პური, ლობიო, მწვანილი, შიგადაშიგ მწნილიც), თუმცა ამ ნაკლს ღვინის სიუხვე აბათილებდა. ანანომაც დადგა თავისი წილი ხელადა და ჭად-პურებიც დაყარა.

დიდიან-პატარიანად სვამდნენ ომში წასულების სადღეგრძელოებს, სანთლებს ანთებდნენ და ღმერთს მტრის დამარცხებასა და თავისიანების შინ მშვიდობით, გამარჯვებით დაბრუ-

ნებას ეველრებოდნენ. ეს იყო მწუხარე ზეიმი, სადაც ეკლესიის ყრუ და შებოლილ კედელზე მისრესილ სანთელივით ბეუტავდა ომში წასულთა შინდაბრუნების იმედი.

— წავალ, მამეშენს დავუნთებ სანთელს, — მითხრა ანანომ და წავიდა.

თვალი გავაყოლე. ანანო ხალხს შეერია და დამეკარგა. ცხელოდა. მზის მცხუნვარება და ხალხის გაბმული, გაუთავებელი ზუზუნი თავბრუს მახვევდა, ოფლის სუნი და მტვრის ბუღი კი გულს მირევდა. ოფლიანი ტანსაცმელი სხეულზე მეკრობოდა და სიგიჟემდე მინდოდა, სველი პერანგიდან როგორმე ამოვმძვრალიყავი.

ანანოს ისევ მოვკარი თვალი: ეკლესიიდან გამოვიდა და ხალხის დინებას გაჰყვა. მერმე შეჩერდა ეკლესიის ნიშთან, სადაც უამრავი სანთელი ენთო და კედელი ალისაგან მთლიანად იყო შეპვარტლული. გარკვეეით დავინახე, როგორ მოუკიდა ალი და ცერათითით როგორ მიამაგრა კედელს სანთელი. მომეჩვენა, რაღაცას ბუტბუტებდა კიდეც. რატომღაც მეგონა, სანთლის დანთების ცერემონიალი ამით დამთავრდებოდა, მაგრამ ანანომ მეორე სანთელიც აანთო და ისიც ბოლოთი მიაგლისა კედელს. მერმე ორივე მუხლზე დაიჩოქა, ხელისგულები ერთმანეთს მკერდთან შეაწება და თავი დახარა. ასე დაჩოქილი იდგა კარგა ხანს. მაშინ ეჭვმა გამკრა გულში, ახლა კი ეჭვიც არ მეპარება: ის სანთელი, რომლის წინაშეც ანანომ დაიჩოქა, მამაჩემისთვის არ იყო განკუთვნილი, ჩემთვის — მით უმეტეს, მე რა მჭირდა სანთლის დასანთები და მუხლჩოქვით სავედრებელი?!

ოთახში მარტო დარჩენილს ეს ყველაფერი უნებურად გამახსენდა. უბრალო გახსენებაც დამთრგუნველად მაწვებოდა გულზე. იქნებ სჯობდა, ამ უსარგებლო ფიქრებისა და ვარაუდებისათვის ხელი ამექნია და იქაურობას დროებით მაინც გავცლოდი? რა მინდოდა, რას ვეძებდი, რას ვჩხრეკდი? რას ვფათურობდი სხვის გულში, რატომ ვიჭრებოდი სხვის ცხოვრებაში, რომლისაც არაფერი გამეგებოდა?

— ანანო! — დავუძახე ხმამაღლა.

პასუხს დაველოდე. სათქმელი მზად მქონდა, — დაგვიანებას რა უშავს, სკოლაში წავალ-მეთქი... ანანოს ხმა რომ ვერ გავიგონე, ჩავიცვი ჩემი ძველი, დაპატარავებული პალტო და

კარი გავიხურე. თავიდანვე სკოლაში წასვლა არც მიფიქრია, მაგრამ ეზოში გასული მივხვდი, რომ არც ორღობეებში უმიზნოდ ხეტიალს ჰქონდა აზრი. შემოდგომის სუსხიანი დილა იყო და გარეთ გვარიანად ციოდა. რა მექნა, ისევ სკოლისკენ გავეშურე, — მივალ, ამხანაგებს შევხვდები, გულს გადავაყოლებ-მეთქი.

ასეც მოვიქეცი.

მეორე გაკვეთილის დამთავრებას რაღაც წუთები აკლდა. შენობაში შევედი და საკლასო ოთახის წინ, დერეფანში ვცემდი ბოლთას. აქაც ციოდა, ეს სიცივე უფრო უსიამოვნო იყო, ვიდრე გარეთ. ჩამსხვრეულ მინებიდან შემოპრილი ორპირი ქარი ყოველი მხრიდან გიტევდა, ძვალსა და რბილში დაუკითხავად გადი-გამოდიოდა. უცებ სასწავლო ნაწილის გამგის ხმა გავიგონე:

— სანდროს ბიჭო, ერთი წუთით მოდი აქ! — მომიხმო.

ვიფიქრე, დაგვიანებას მისაყვედურებს-მეთქი, ან იმას მაინც მეტყვის, — აქ რას აყუდებულხარ, რატომ კლასში არ შედიხარო. მივეახლე, მორცხვად ავიწურე, ვითომ, ვიცი, რომ დამნაშავე ვარ და სინდისიც მქენჯნის-მეთქი. სულაც არ მჭირდებოდა თავის მოკატუნება, რადგან მარო მასწავლებელი (ასე მივმართავდით სასწავლო ნაწილის გამგეს) ყოველთვის მმფარველობდა, როგორც მეზობელი და მამაჩემის ბავშვობის მეგობარი (თვითონვე ამბობდა, — ბავშვობის მეგობრები ვიყავითო).

— ოზო, — მითხრა მასწავლებელმა, — კარიაულის ქვრივთან გადადი და უთხარი: ახლავე წამოდი, დირექტორი გიბარებს-თქო. შინ თუ არ დაგხვდა, კარიაულებთან ახვალ, იქ იქნება.

— სად ცხოვრობენ, რომ არ ვიცი, კარიაულები.

— ეკლესიის მარჯვნივ, ფერდობს რომ გადაივლი, გალავნიანი აგურის სახლი ხომ გინახავს?.. იქა.

ვერ გავიხსენე ეკლესიის მარჯვნივ, ფერდობს გადაღმა ზდგარი გალავნიანი აგურის სახლი. კარგად არც ის ვიცოდი, ვინ იყვნენ კარიაულები, თუმცა მათ შესახებ ბევრი რამ მსმენოდა.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მორჩილად წავედი დავალების შესასრულებლად. გულში ვიმედოვნებდი, შეიძლება, კარიაუ-

ლების სახლის ძებნა არც დამჭირდეს-მეთქი, რადგან მეგონა, ქვრივი შინ დამხვდებოდა, მაგრამ მოეტყუვდი, და ახლა ეკლესიისკენ ავუყევი მოსაწყენ აღმართს...

ოღრო-ჩოღრო გზით მივდივარ, აქეთ უფრო მძაფრად უბერავს სუსხიანი ქარი. კაცის ჭაჭანება არ არის. ყველა შინ შეყუჟულა, შემალულა და ჩათბუნებულა.

მობუზული მივყევები აღმართს და კარიაულის ქვრივზე ვფიქრობ. ვფიქრობ იმიტომ, რომ თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა... უცნაურმა, მაგრამ შესაძლო პარალელმა. კარიაულის ქვრივი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ გეოგრაფიას მასწავლიდა, ერთი კრუხივით დალეული ქალია, შავი, უშნო და კაპასი, თითქოს იმთავითვე შინაბერად განწირული, მით უმეტეს, ამ უმამაკაცობის ჟამს, როცა სოფლის უმშვენიერესი და უტურფესი მადონებიც კი ვერ ბედავდნენ გათხოვებაზე ოცნებას.

ერთ დღეს, მიხო კარიაულის დაღუპვის ამბავი რომ მოვიდა, ამ ქალმა ყოველდღიური ტანსაცმელი გაიხადა, ძაძები ჩაიცვა და ისე იგლოვა, ვითომ საქმრო თუ ქმარი დამეღუპაო. სოფელმა კი იცოდა, მიხო კარიაულს ვიღაც სხვა გოგო უყვარდა, სხვა სოფლის მკვიდრი. ამბობდნენ, — ომი რომ არა, შემოდგომით ქორწილსაც აპირებდაო. ღიმილით იმასაც დასძენდნენ ხოლმე, — გეოგრაფიის მასწავლებელი თავის დროზე რომ გათხოვილიყო, ალბათ მიხოს ტოლი შვილი ეყოლებოდაო. სოფელი, რა თქმა უნდა, აჭარბებდა, სოფელმა იცის გადაჭარბებაცა და ხუმრობაც, ზოგჯერ — ავი, ზოგჯერ — კეთილი.

გეოგრაფიის მასწავლებელი კი მთელი არსებით, ჯიუტი სიწრფელით გლოვობდა ქმრისა თუ საქმროს დაღუპვას. როგორც ჩანს, თავისი თავი ღრმად დაარწმუნა, — მიხო კარიაულის ცოლი თუ საცოლე ვარო და არა მარტო თავისი თავი, ბოლოს და ბოლოს, სხვებიც დააჯერა. ახლა მთელი სოფელი ისე ეპყრობოდა, როგორც ადრე თუ უდროოდ დაქვრივებულს, თანაც ყველა განსაკუთრებულ პატივსა სცემდა ერთგულებისა და პატიოსნებისათვის იმდენად, რომ მისი ნამდვილი სახელი დაივიწყეს და „კარიაულის ქვრივად“ მონათლეს.

მიხოს მშობლებსაც დაუჯერებიათ მისი ერთგულება და თავდადება, სახლის კარი ფართოდ გაუღიათ და გეოგრაფიის

მასწავლებელიც ალბათ უკვე მათთან დასახლდა, ალბათ მათი ოჯახის განუყოფელ ნაწილად, ჭირისა და ლხინის მოზიარედ ითვლება. თურმე მიხოს მშობლებს ისიც კი უთქვამთ, — ჩვენს ვაჟს მხოლოდ ასეთი განათლებული, ჭკვიანი და თვინიერი ქალი შეეფერებოდა, ბედის უკუღმართობას რა ვუთხრათ, თორემ ჩვენი მიხო უკეთესს ვერც ინატრებდაო. რა თქმა უნდა, არ ღირს ახლა იმაზე ლაპარაკი, მიხო მშვიდობით რომ დაბრუნებულიყო, რას ინატრებდა და რას — არა..

ვაითუ, ანანოსაც კარიაულის ქვრივობა დაუპირებია და ის საბა თვითონვე გამოიგონა-მეთქი, — გავივლე გუნებაში, მაგრამ მაშინვე მოვიშორე უსიამოვნო ფიქრი, რადგან ქვეშეცნეულად არ მომწონდა და მაღიზიანებდა ჩემი მასწავლებლის მიერ არჩეული ბედი, ცხოვრების გასავლელი გზა — სიცოცხლის დასასრულამდე თვითგვემით აღბეჭდილი. ასეთი ცხოვრებისათვის ანანო არ მემეტებოდა... თუმცა არა ვარ მართალი, მე მიმაჩნდა, რომ მას არ ჰქონდა ისეთი ცხოვრების უფლება, რადგან ქვეყანაზე ჯერ კიდევ არსებობდა მისი ძმა, ანუ მამაჩემი და, რაც მთავარია, ვარსებობდი მე, რომელიც... უკვე მეჩვიდმეტე წელში ვიყავი გადამდგარი და ჩემი ქარაფშუტული ეგოისტობის გამო გაფიქრებაც კი არ მინდოდა, რომ ანანოს ჩემს გარდა სხვა საზრუნავი და საწუხარი გააჩნდა.

ბოლოს და ბოლოს, ავათავე აღმართი და ეკლესიის მახლობლად აღმოვჩნდი. იქვე, ჩამონგრეული გალავნის ოდნავ ზევით ძველი, გაუქმებული სასაფლაოა, უწესრიგოდ გაფანტულა ცივი და ნაცრისფერი საფლავის ქვები. ტიტველი ფერდობი ტყიანი გორაკებით მთავრდება. ახლა მარჯვნივ უნდა გავუხვიო, ჩემი ვარაუდით, იმ პატარა ბორცვსაც გადავივლი და კარიაულების გალავნიან სახლსაც მივადგები... ბორცვზე ეული ხე გატოტილა, მე მგონი, მუხაა.

ბორცვიდან მართლაც დავინახე სოფელს მოშორებული სახლი და გამიკვირდა, აქამდე რომ არ მქონდა შენიშნული. ჩქარი ნაბიჯით დავეშვი და კიდევ კარგა ხანს ვიარე, ვიდრე გალავანს მივადგებოდი. გალავანი რიყის დიდი ლოდებით იყო ნაგები, შიგადაშიგ გათლილი ქვებიც ჩაეყოლებინათ. ზოგიერთ მათგანს საფლავის გაცრეცილი წარწერა შემოენახა, ცალკეული სიტყვებიც კი იკითხებოდა.

გალავანი მაღალი და მნიშვნელოვანი მეჩვენა, გინდოდა,

თუ არ გინდოდა, ყურადღებას მიგაქცევინებდა. ციხე-სიმაგრეს ჰგავდა, იდუმალებით მოცულის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ერთგვარი რიდით გმსჭვალავდა. მიუხედავად იმისა, რომ გალავნის კარი ღია დამხვდა, მაინც შევყოვნდი, მერმე მცირე ყოყმანის შემდეგ, ეს უნებური კრძალულება გადავლახე, — რისი მერიდება, ჩემით ხომ არ მოვსულვარ, დამავალეს და ამიტომ მოვედი-მეთქი. სახლიც გალავნის შესაფერი აღმოჩნდა — ორსართულიანი, მაგრამ უზარმაზარი. ჩვენც ორსართულიანი სახლი გვედგა ვითომ! ამასთან ქოხად მოგეჩვენებოდათ.

ეზოში მივიხედ-მოვიხედე, ძაღლი არ მეცეს-მეთქი. ასეთი სახლი უნაგაზოდ ძნელი წარმოსადგენი იყო, თუმცა სოფლად მაშინ ძაღლს იშვიათად შეეფეთებოდი, რადგან ხალხს თავიც ძლივს გაჰქონდა. ეზო სწრაფად გადავჭერი, კიბეც ავირბინე (ნაგაზის მაინც მეშინოდა) და კარზე დავაკაკუნე. მივაყურე. მერმე ისევ ვურტყი მოკაკვული საჩვენებელი თითი კარს.

— რომელი ხარ?! — გავიგონე მამაკაცის მკაცრი ხმა. შეკითხვა ისეთი კატეგორიული იყო, თუ არ ავუხსნიდი, ვინ ვიყავი და რისთვის ვაკაკუნებდი, ალბათ კარს არც გამიღებდნენ.

მასწავლებელი მინდა-მეთქი, — წავილუღლუღე.

— ვინა?!

— სკოლიდან გამომგზავნეს... პატივცემული მასწავლებელი მინდა...

მაინცდამაინც დიდხანს არ დამჭირვებია ლოდინი, კარიაულის ქვრივმა გამიღო კარი: ტანსაცმლიანად შავი იყო და დალეული. არაფერი უკითხავს, სევდიანი თვალებით შემომხედა და ძლივსშესამჩნევი ღიმილით თითქოს გაკვირვება გამოხატა. რაკი კარი გამიღეს, მეგონა, შინაც მეპატიჟებიან-მეთქი და შევედი, უფრო კი სითბომ შემიტყუა. გაოცებისაგან პირი დავაღე: კარიაულები... არა წითური დევები საუზმობდნენ, ყოველ შემთხვევაში — დევების პირდაპირი შთამომავლები მაინც. შუა დარბაზში, დიდ, ოთხკუთხედ მაგიდას უსხდნენ: მამა, დედა, ორი გასათხოვარი ქალიშვილი. ქალიშვილები ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, შესაძლებელია, ტყუპებიც იყვნენ. ოთხივენი ღაღადებდნენ, ჯანმრთელად ჰყვაოდნენ, ჩემი ყოფილი მასწავლებელი მათ ფონზე დამჭკნარ ფოთოლივით გამოიყურებოდა. შუა მაგიდაზე ლანგრით მორთმეული

მოხარშული ტახის ეშვებიანი თავი იდო. ღორს გრძელი დინგი ორლულიანი თოფივით მიეშვირა ჭერისთვის. ეტყობა, ესეს არის ქვაბიდან ამოეღოთ, ოხშივარი ასდიოდა. ასევე ოხშივრიანი სპილენძის ქვაბი ჯერ კიდევ იდგა აბრიალებულ ბუხრის წინ...

ცოლ-ქმარი კარიაულები ისე მტრულად თუ უნდობლად შემომყურებდნენ, მივხვდი, დირეზე ფეხი არ უნდა გადმომედგა.

— ვინ არის? — იკითხა მამა კარიაულმა და ბანჯგვლიან წითურ პირისახეზე მოისვა ხელი.

— ჩემი მოწაფეა. — უპასუხა ქვრივმა უაღრესი მოკრძალებით.

— აქ როგორ შემოვიდა?

— არ ვიცი...

— ეე, კუანავ, აქ როგორ შემოხვედი? — ახლა მე მომიბრუნდა მამა კარიაული, —გალავანზე გადმოფრინდი? ფრთებს რო ვერა ვხედავ?!

წითურმა დევის ქალებმა დაურიდებლად ჩაიხითხითეს. მე უცებ მომედო სახეზე ალმური და ერთიანად ავილეწე.

— დაჩუმდით, თქვე მამაძაღლებო! — შეუტია მამამ ქალიშვილებს, — თქვენც კარგები მყევხართ, მე და ჩემმა ღმერთმა!

დევის ქალებმა ბედით კმაყოფილ ანგელოსებივით დაიმორცხვეს, თავებიც კი დახარეს, თუმცა ქვეშ-ქვეშ თითონ ორსამჯერ მაინც გამომხედა.

— ქალო, აკი გითხარ, გალავნის კარს ღიად ნუ ტოვებმეთქი!

— მაპატიეთ, ბატონო მამა! — კარიაულის ქვრივი სულ დაპატარავდა და გაიცრიცა.

უკვე ნათელი გახდა დევების გულისწყრომა, მე მაინცდამაინც არ მერჩოდნენ, რომელი შარაგზის ყაჩაღი მე მნახეს! მთავარი იყო: ვინ დატოვა გალავნის კარი ღია...

— დირექტორი გიბარებთ, პატივცემულო მასწავლებელო! — სხაპასხუპით მივაყარე, ქვრივის საცოდაობასა და ჩემს უმწეობას ვეღარ გავუძელი და გიჟივით გავვარდი გარეთ. ორი ნახტომით ჩავთავე კიბე, მთელი ძალით მოვკურცხლე ჭიშკრისაკენ.

მხოლოდ ბორცვიდან მოვხედე კარიაულების სახლს. ერთ-ხანს ასე დავცქეროდი, მერმე თავი პალტოს საყელოში ჩავრგე და მუხის ძირას, ჯერ კიდევ მწვანე ბალახზე დავჯექი. ორივე მკლავი მუხლებზე დავასვენე. სიმართლე რომ ვთქვა, ახლა გაოცებული უფრო ვიყავი, ვიდრე შეურაცხყოფილი, თუმცა იმ წუთს ძალიან მეწყინა და დამცირებული ავილეწე კიდეც, ასე უხამსად და უდიერად რომ მომმართა. მაგრამ გალავანს გამოვცდი და წყენამ გამიარა. ერთი-ორჯერ კინაღამ სიცილიც წამსკდა. ეგ კაცი ალბათ თავის ქალიშვილებსაც ასევე ტუქსავს-მეთქი და უფრო ამაზე მეცინებოდა.

ისევ ციოდა, ოღონდ ქარი ჩამდგარიყო და სუსხი ძვალსა და რბილში აღარ ატანდა. მობუზული ვიჯექი და თვალს ვეღარ ვწყვეტდი კარიაულების გალავნიან სახლს... დევების მაგიდას მხოლოდ ოთხი სკამი ედგა და ოთხივეზე მხოლოდ კარიაულები ისხდნენ, სუფრაც მხოლოდ ოთხისთვის იყო გაწყობილი. კარიაულის ქვრივი?.. ვითომ ადრევე ისაუზმა და მოხარშულ ღორის თავზე უარი თქვა? იქნებ უარი არც უთქვამს... ასეა თუ ისე, ჩემი ყოფილი მასწავლებელი რატომღაც შემებრალა, მომეჩვენა, თითქოს კარიაულის ქვრივობა ვიღაცამ განგებ მიუსაჯა, თორემ ამგვარი ყოფა-ცხოვრების სურვილი თვითონ არ ექნებოდა-მეთქი.

იქ შესვლამდე მაინც მეგონა, კარიაულთაგან რომელიმე უსათუოდ მეცნობა-მეთქი. საკვირველია, ერთ სოფელში ამდენი ხანი ცხოვრობ და თანასოფლელებს პირველად ხედავ, ისიც მაშინ, როცა სოფელი თითქმის დაცლილია, თითქმის მესამედი, თუ მეტი არა, ომშია გაკრეფილი... ნუთუ დღედაღამ ამ გალავანში არიან გამოკეტილნი და გარეთ არ გამოდიან? შეიძლება მშობლებს გაუგოს კაცმა, მაგრამ ქალიშვილები როგორ ძლებენ, როგორ ცხოვრობენ ქვეყანას მოწყვეტილები?

ისე კი პირბადრები სულ წითლად ღვიოდნენ. ჩახვეულ-ჩახუჭუჭებულ კულულებზე ცეცხლი ეკიდებოდათ. შავად შეღებილ, საზაფხულო შილიფ კაბებში გამოწყობილებს პირდაპირ მაგიდაზე ეწყოთ მსხვილ, ქათქათა და დაჭორფლილ მკლავებშორის ვერდატეული ძუძუები. ოთახში შესული პირველად მაგათ მზერას წავაწყდი და გარკვევით დავინახე, როგორ გაუფართოვდათ ჭროღა თვალები, თითქოს უცხო კაცს პირველად ხედავდნენ და მარტო რომ მოეხელთებინათ, ეგ-

რევე შეახრამუნებდნენ. მართლა მოულოდნელი იყო იმ დროს ასეთი ნაპატიები არსებების ხილვა. ისინიც კი, ომამდე რომ სიმსუქნისაგან ძლივს მოძრაობდნენ, თავისივე სხეულებრივი წარსულის აჩრდილებად ქცეულიყვნენ და მუცლებში ლანდი გასდიოდათ.

მაინც რა დროს შეეედი იმ დასაქცევში, ის-ის იყო საუზმეს უნდა შესდგომოდნენ და მეც გამოვეცხადე. სულ სამიოდე წუთით შევაყოვნე, სულ სამიოდე წუთით... ეს ალბათ დიდი დროა საუზმის შეყოვნებისა თუ გადადებისათვის, როცა დანაჩანგალი უკვე მომარჯვებული აქვთ... ნეტავი დარჩა რამე მოხარშული ღორის თავისაგან?

უცებ თავბრუ დამეხვა, ეს უკვე შიმშილის ბრალი იყო. დილით ისე გამოვედი შინიდან, პირში ლუკმაც არ ჩამიდვია.

გალავნიდან გამოსული შავი წერტილი ჩემ მიერ დროებით დაპყრობილ ბორცვისაკენ გამოეშურა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა: კარიაულის ქვრივი გახლდათ. გასაგები მიზეზის გამო არ ესიამოვნებოდა ჩემი დანახვა, თანაც ამ მუხის ძირას ჩასაფრებულივით მომლოდინესი. არც მე მსიამოვნებდა მასთან შეხვედრა, წეღან ისეთ სურათს წავაწყდი, თვითონვე შევძრწუნდი, ნეტავი რამ აიძულა, რატომ მოიგონა ეს შემზარავი ქვრივობა? ამის ახსნა მე არ შემეძლო... მერმე გამახსენდა დედა-კარიაულის — ჩიხტიკოპიანი ქალბატონის გამჭოლი გამოხედვა, მოჭუტული ჭროღა თვალებით გამომცდელად რომ მიმზერდა. ამ გამოხედვის პატრონი ეგრე ადვილად არ მოტყუვდებოდა. ვითომ თვალები დახუჭა და დაიჯერა ის ყველაფერი, რაც გეოგრაფიის მასწავლებელმა დაიბრალა?!

კარიაულის ქვრივი ისევ შავი წერტილივით მოჩანდა, მაგრამ მე აშკარად ვხედავდი, ეს შავი წერტილი როგორ მიახლოვდებოდა. სწრაფად გავტრიალდი, ოღონდ, ქვევით კი არ დავეშვი, რატომღაც ჩამონგრეულ გალავანს გადავახტი და ეკლესიის ეზოს შევაფარე თავი. ეკლესიის კარი ღია იყო და მეც უმიზნოდ იქით გავწიე. ღია კარი რომ ჩემთვის ცთუნებაა, იმ დღეს დავრწმუნდი. ყოველ შემთხვევაში, ერთხელ უკვე მაცთუნა და ახლაც თავისკენ მეზიდებოდა. შესასვლელშივე შევჩერდი, რადგან სანახევროდ ბნელ ეკლესიის სიღრმეში ნაცნობი სილუეტი დავინახე, უფრო სწორად, მივხვდი: საკურთხევლის წინ დანთებულ სანთლებთან ანანო იდგა და ლოცუ-

ლობდა. წამიც არ დამიყოვნებია, უმალ გამოვბრუნდი, მეგონა, ეს უნებური შეხვედრა თუ მოწმეობა ანანოს შეაწუხებდა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. იგი საიდუმლოდ იყო აქ მოსული და ღვთის წინაშე მდგარი, ალბათ, სხვებისგან დაფარულად ცდილობდა ტკივილის გამხელას. მწარედ ვინანე, წეღან სულელურ ფიქრებს აყოლილმა თუნდაც ერთი წუთით „კარიაულის ქვრივობა" რომ დავწამე.

სირბილით დავეშვი თავქვე, სულ რამდენიმე წუთი ვირბინე და ახლა ისევ სკოლის ეზოში ამოვყავი თავი. მარო მასწავლებელს მოვახსენე, თქვენი დავალება პირნათლად შევასრულე და კარიაულის ქვრივი საცაა ეზოში გამოჩნდება-მეთქი. ზარიც დაირეკა და გოგო-ბიჭები გარეთ ხმაურით გამოიშალნენ. მე თანაკლასელებს შევერიე...

— კარიაულის ქვრივი მობრძანდება!.. კარიაულის ქვრივი მობრძანდება!.. — გავიგონე მორიდებული ჩურჩული.

ყველა განსაკუთრებული მოკრძალებით ესალმებოდა და უთმობდა გზას პატარა, კაფანდარა, შავ ქალბატონს, რომელიც თავდახრილი, ნაღვლიანი და დაფიქრებული მიდიოდა სკოლის შენობისაკენ. უცებ შევკრთი, თითქოს ჩემ თავს დანაშაულზე წავასწარი: მეც, პატივისცემით ავსებული თუ გამსჭვალული, მოკრძალებული ღიმილით ვესალმებოდი კარიაულის ქვრივს ისევე, როგორც სხვები, თან მორიდებით ვჩურჩულებდი:

— კარიაულის ქვრივი მობრძანდება!..

3

შინ მიმავალს ზიზი დამემგზავრა, მარო მასწავლებლის ქალიშვილი; როგორც ჩანს, ბოლო გაკვეთილზე დარჩენა არც მან მოინდომა. ზეინაბი ერქვა, მაგრამ დედა მოფერებით ზიზის ეძახდა და სოფელმაც მის ნამდვილ სახელს ტაბუ დაადო. სკოლიდან ხშირად ვბრუნდებოდით ერთად, რადგან ერთ კლასში ვსწავლობდით და თანაც მეზობლად ვცხოვრობდით. მე მომწონდა ზიზი: მართლა კარგი გოგო იყო, გულღია, უშურველი, არავისთვის არაფერი ენანებოდა. საკმაოდ მოხდენილი ტანი ჰქონდა, სახე — ლამაზი, მიმზიდველი. ამავე დროს მღეროდა და ცეკვავდა, ხალხური ლექსებიც იცოდა ზეპირად და, როცა

საშუალება მიეცემოდა, ხმამაღლა, გამოთქმით კითხულობდა. ერთი სიტყვით, სოფელში პირველ გოგოდ ითვლებოდა და, ბუნებრივია, ყველა ბიჭს მასზე ეჭირა თვალი. სკოლაში სხვებიც იყვნენ ეგრეთ წოდებული კარგი გოგოები, მაგრამ ზიზის კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა: იგი ადრე დასრულდა, ქალური ნაკვთები ადრევე გამოეკვეთა, ჩამოუყალიბდა და დაეხვეწა. ამ ნაკვთების გამოსავლენად ისიც უწყობდა ხელს, კაბას თვითონ რომ იკერავდა. ძველ, ნახმარ კაბებს დაჭრიდა და მერმე ისე მოირგებდა, გაოცდებოდი. ეტყობა, ხელსაქმის ცოდნის გარდა თავის აღნაგობასაც ზედმიწევნით კარგად გრძნობდა.

ზიზი როცა ცეკვავდა და მღეროდა, ან ლექსებს კითხულობდა, მე მეჩვენებოდა, თითქოს ამ ხელოვნებას მხოლოდ იმისთვის დაუფლებოდა, რომ სხვისი ყურადღება მიექცია: თავს გაწონებდა, გხიბლავდა, თორემ თვითონ არავითარი შინაგანი მოთხოვნილება არ ჰქონდა არც ცეკვის, არც სიმღერისა და არც ლექსების თქმის. ეს ყველაფერი, ისევე, როგორც გარეგნობა, თითქოს შენს მოსანუსხად და დასაპყრობად სჭირდებოდა, სხეულის მოქნილობასა და მოძრაობას, ხმის ვნებიან ჟღერადობას, სატრფიალო ლექსების ინტონაციას სხვა ფუნქციას არ აკისრებდა.

ჩემი დაკვირვებით ზიზი დედასა ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, მე მეჩვენებოდა, რომ მარო მასწავლებელი სწორედ ასეთი იქნებოდა ქალიშვილობისას, ანდა, პირიქით, ზიზი ძალიან დაემგვანებოდა დედას, როცა მის ასაკს მიატანდა. ჩემი აღმოჩენილი მსგავსება მევე მბორკავდა და მბოჭავდა, როგორღაც ხელს მიშლიდა, რომ მარტო დარჩენილს ზიზიზე მეფიქრა, ანდა ზიზისთან სიახლოვის წარმოდგენით ჭაბუკური ვნება დამეცხრო. ეს მსგავსება რომ არა, შეიძლება შემყვარებოდა კიდეც. სხვათა შორის, მე მისგანაც ვგრძნობდი ჩემდამი გარკვეულ ლტოლვას: ამხანაგებთან ლაპარაკით გართულს უეცრად შემინიშნავს უჩუმრად მოსული ზიზი — გაუუჩებული, მოყურადებული, თითქოს უაზროდ მოშტერებული. ამას სხვებიც ამჩნევდნენ და დაუფარავად მეუბნებოდნენ კიდეც: რამ დაგაბრმავა, შე ოხერო, ვერა ხედავ, თვალებით გეჭამსო! ასეთ დროს ვწითლდებოდი და ოფლად ვიწურებოდი, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი.

თავის მხრივ ზიზის დედაც მამსგავსებდა მამაჩემს — პირ-

წავარდნილი სანდრო ხარო. მე, რა თქმა უნდა, სხვა აზრისა ვიყავი. მამა კარგად მახსოვდა. საშუალო ტანისა იყო, შავგვრემანი, მკვრივი, ჩასხმული. მე — თხელი, აყლაყუდა, მხრებში ოდნავ მოხრილი, ქერა თმა მქონდა, სწორი და მოუხეშავი და არა მამაჩემივით ხვეული. მახსოვს, ბავშვობაში დედას უფრო მამსგავსებდნენ, მამა შემტევ, აგრესიულ კაცად მესახებოდა, მე კი შინაგანად მტანჯავდა ჩემი ზედმეტად მორიდებულობა თუ გაუბედაობა, მაწუხებდა ისიც, ხშირად უადგილოდ რომ ვწითლდებოდი.

ადრე, მასწავლებელი თუ შინ იყო, ვერიდებოდი იქ მისვლას. მომაშტერდებოდა დიდი ცისფერი თვალებით, წაბლისფერ ხშირ თმაზე ორივე ხელს გადაისვამდა და გაღიმებული მეტყოდა — ოზო, ოზო, მამაშენს როგორ გავხარო. — მომეხვეოდა და გულში ჩამიხუტებდა, თავს მიკრავდა ფუმფულა მკერდში და სულს მიხუთავდა. მერმე ნელ-ნელა სიმაღლეში წავედი, თანდათან ავცდი მის გაფუებულ მკერდს და ახლა ძალაუნებურად ვიყნოსავდი ყელიდან თუ სახის კანიდან მონაბერ მკვეთრ, სპეციფიკურ სურნელს, რაც შინ დამზადებული ფერუმარულისა ან ნელსაცხებლისა უნდა ყოფილიყო. ეს სურნელი გულისრევამდე მაღიზიანებდა, მაგრამ მერიდებოდა და მასწავლებლის ღონიერი მკლავებიდან თავის დაღწევას არცა ვცდილობდი. მძაფრი სურნელი თან მიმყვებოდა და უკვე არც კი მცემდა, თითქოს ხმასავით მესმოდა, ხანდახან ღამლამობით მაღვიძებდა კიდეც. რამდენიმე თვეა ამ სუნს აღარ შევუწუხებივარ, ზაფხულში ტანი ერთბაშად ავიყარე, ყველა და ყველაფერი თითქმის ერთი თავით დაბლა დავტოვე. შესაძლებელია, ამის გამო დავკარგე ის იერი, რითაც მარო მასწავლებელი მამაჩემს მამსგავსებდა.

მარო მასწავლებლის სამოთახიანი სახლის არცთუ იშვიათი სტუმარი ვიყავი. თავდაპირველად მიხაროდა კიდეც იქ მისვლა, რადგან თბილისიდან ჩამოსული და უცხო გარემოში მოხვედრილი, ასე თუ ისე, ამ ოჯახს გავუშინაურდი, ზიზი ჩემი ტოლი იყო და დედამისიც ჩემდამი სასურველად კეთილისმყოფელი აღმოჩნდა. თანაც სოფლური სახლი სწორედ ამგვარი წარმომედგინა და იქნებ ამიტომაც ამათი ყველაფერი მომწონდა: შარას გადევნებული ჯაგის დამტვრეული ღობეც, მორყეული ჭიშკარიც, ძველებური კრამიტით დახურული და

რიყის ქვით ნაგები შენობაც, რომლის ოთხივე კუთხე ქარ-თული აგურით იყო ამოყვანილი. ხის აივანს საღებავი არას-დროს მიჰკარებოდა და მზის, ქარისა და წვიმისაგან დამუშა-ვებული მუქ ნაცრისფრად გამოიყურებოდა... ეზოს წინა მხა-რე ყვავილებს ჰქონდა დათმობილი, ძირითადად ვარდებს, რომლებსაც თვით მარო მასწავლებელი უვლიდა და სეზო-ნურად ახარებდა. თუ არა ვცდები, მთელ სოფელში ეს ერ-თადერთი ეზო იყო, სადაც ომიანობის ოთხი წლის მანძილზე ყვავილებისთვისაც იცლიდნენ.

მარო მასწავლებელს მეუღლე ხასანის ტბასთან ბრძოლაში დაღუპოდა და, რადგან ხასანის ბრძოლები ქვეყანაზე არავის ახსოვდა, სოფელში მას ნამდვილ, ანუ შინმოუსვლელის ქვრი-ვად არცა თვლიდნენ. ერთხელ ისიც კი გავიგონე, ვიღაცამ სევდიანად რომ იხუმრა: იმ მირონცხებულს თუ ომში დაღუპ-ვა ეწერა, ახლა მაინც დაღუპულიყო, მაროს მეტი შეღავათი ექნებოდაო. რას გაუგებ ადამიანს, ხანდახან მკრეხელური ხუმრობაც კი გაუელვებს ხოლმე!

მთავარი მაინც ის არის, რომ მარო მასწავლებელი თავს რაფიელ ერისთავის შთამომავლად თვლიდა და დიდადაც ამა-ყობდა თავისი შორეული და სახელოვანი წინაპრით. ბარბარე ჯორჯაძეზე რომ ჩამოაგდებდა სიტყვას, კნეინა ბარბარე მისი გამზრდელი მამიდა გეგონებოდათ და კულინარული ხელოვ-ნებაც, იფიქრებდით, მისგან ჰქონდა შეთვისებული. შუა ოთა-ხის კედლებზე სიმეტრიულად ეკიდა ათასნაირ ჩარჩოში ჩას-მული, შიგადაშიგ პირდაპირ ჭიკარტით მიმაგრებული ანდა ლურსმნით მიჭედებული, დროისაგან გაყვითლებული და გა-ხუნებული ფოტოები თუ დაგეროტიპები. მაგრამ ძირითადი კედლის ფარდაგი, რომელიც ძველებურ, რიკულებიან ტახტ-საც ეფინებოდა, განკუთვნილი იყო მხოლოდ და მხოლოდ საკმაოდ მოზრდილ შავ ჩარჩოსთვის, საიდანაც დიდი რაფი-ელი ნაღვლიანად გამოსცქეროდა წარმავალ ქვეყნიერებას.

სოფელს შავ ჩარჩოში ჩასმული სურათით, რა ზომისაც უნდა იყოს იგი, რას გადაარწმუნებ, მაინც თავისას ფქვავდა: „ეაცო, პაპაჩემისაგან გამიგონია, — ძველად ეგენი იმათი ყმე-ბი იყვნენო... იყვნენ და იყვნენ, მით უკეთესიო... იქნებ ვიღა-ცამ ვიღაცა სამადლოდ აცდუნა კიდეცაო...

ეს ცნობები სხვათა შორის იმიტომ მოგაწოდეთ, რომ გეგრძნოთ, ამ ოჯახთან როგორ ვიყავი გაშინაურებული, თორე მათი წარმომავლობა არც მაეჭვებდა და არც მაღელვებდა.

ზიზი, როგორც ვთქვი, გზაში დამეწია და ერთად გამოვყევით სოფლის შარას. დილით შინიდან უზმოდ გამოსული, თან აღმა-დაღმა ამდენი ნასიარულევ-ნარბენი ფეხებს ძლივს მივათრევდი. ის კი გვერდით მომყვებოდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა. მე ხან ყურს ვუგდებდი, ხან — არა, ზოვჯერ თითქოს სმენა მეთიშებოდა, როცა დღევანდელი დღის შთაბეჭდილებები ძალდაუტანებლად, თავისთავად ამოტივტივდებოდა ცნობიერების ზედაპირზე, ამის მიხედვით, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც კარიაულების ქალიშვილებს მოეხდინათ. სულ ისინი მედგნენ თუ მიტრიალებდნენ თვალწინ — პირმრგვალები, წითური დევის ქალები, უზარმაზარი ძუძუები პირდაპირ მაგიდაზე რომ ეწყოთ.

მინდოდა ზიზისთვის ამ კარიაულებზე რაღაც მეკითხა, მაგრამ გარეკა და გარეკა! წუთით არ შეყოვნებულა, რომ სიტყვა ჩამერთო, ერთხელ არ ამოუსუნთქავს.

ომის ქარცეცხლი გზადაგზა ლაპარაკით თებერვლის მიწურულისთვის სამუდამოდ ჩააქრო და მთელ დედამიწის ზურგზე მშვიდობა დაამკვიდრა. ათას ცხრაას ორმოცდაოთხის ზამთარი კარს მოგვდგომოდა და ომის ბედი აღარავის აეჭვებდა, მაგრამ ზიზი ისე გადაჭრით ამბობდა ამას, თითქოს ყველა სადავე ხელთ ეპყრა და, როცა მოისურვებდა, ომს მაშინ დაამთავრებდა. მერმე სულ დეტალურად, წვრილად მიამბო, როგორ იზეიმა სოფელმა გამარჯვება. შემდეგ კი ამ ზეიმიდან პირდაპირ მეორე ზეიმზე ამომაყოფინა თავი — ახლა სკოლის დამთავრების აღსანიშნავად გამიმართა საღამო, ხოლო იქიდან, რა თქმა უნდა, სულმოუთქმელად, უკანმოუხედავად გავემგზავრეთ თბილისს... ზიზი უკვე მისაღებ გამოცდებს აბარებს თეატრალურ ინსტიტუტში... ჩააბარა და მოხვდა კიდეც — იგი სამსახიობო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია, არც მეტი, არც ნაკლები. მისი წარმატებით ყველა აღტაცებულია, გარდა მარო მასწავლებლისა — დედა წინააღმდეგია, მსახიობობას ვერ უხსენებ, ამისთვის გავზარდე შვილიო! — თავს იკლავს. მაგრამ დედამ რა იცის?.. რაღა დროს ეგ არის!.. ზიზიმ ათასი გზიდან ერთი აირჩია, რადგან ეს გზა მისია, მხო-

ლოდ მისი! ერთადერთია! მსახობის ყველა მონაცემი აქვს და არ ესმის, რატომ უნდა დაადგეს სხვა გზას. მართალია, ოდნავ დაბალია, თუმცა არც ისე, სამაგიეროდ კოხტა ტანი აქვს, აღნაგობა — პროპორციული, ლამაზია, ამავე დროს მღერის, ცეკვავს, ლექსებსაც კითხულობს... სხვა რა უნდა მსახიობობას?

სხვა რა უნდა მსახიობობას?!

მართლაც, რა უნდა?

მე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო და გაჩუმება ვარჩიე. ჩემი თეატრალური განათლება თუ ცოდნა მოზარდ მაყურებელთა თეატრში ომამდე ნანახი ათიოდე სპექტაკლით ამოიწურებოდა, თუმცა ერთიორჯერ უფროსებს რუსთაველშიც წავუყვანივარ, რასაკვირველია, დილის წარმოდგენებზე. მაგრამ მე მაინც მოზარდ მაყურებელთა თეატრი ჩამრჩენია მეხსიერებაში... გულში სხეულის მომთენთავმა სევდამ გაჟონა, სასიამოვნო ტკივილის მსგავსმა, თუკი შეიძლება ტკივილი სასიამოვნო იყოს. სპექტაკლებზე მთელი კლასი ერთად მივდივართ, აქვეა ისიც, ვისი სიახლოვეცა და ქვეშ-ქვეშ გამოხედვა უცნაური, წარმოუდგენელი თრთოლვითა და ჟრუანტელით გავსებს... ღმერთო, როგორ მიყვარდა, როგორ მიხაროდა თეატრში წასვლა! ყველაზე საოცარი მაინც ფარდის ახდის წინ ჩაბნელებულ დარბაზში გატრუნული ყოფნა იყო. ფარდის მიღმა იმალებოდა უცნობი სამყარო და იმ უცნობთან შეხვედრას სულ მუდამ რატომღაც შემკრთალი ველოდებოდი... მე ვიცოდი, ზიზის ეს მთრთოლვარე მოლოდინი არ ჰქონდა განცდილი, არათუ სცენა, თეატრისათვის თვალიც არ მოეკრა, შენობის ფასადიც არ ენახა.

დაუსრულებელი ლაპარაკით თავგაბეზრებულს ლოლიავი არ დამიწყია, პირდაპირ მივახალე:

— რატომ ამოიჩემე მაინცდამაინც ეს მსახიობობა, შენ ხომ თეატრი შორიდანაც არ დაგინახავს?!

— მინდა! — მიპასუხა მოკლედ და მკაცრად.

მივხვდი, ნამეტანი მომივიდა და ცოტა შევარბილე:

— იცი, რა, ზიზი, თბილისში რომ ჩავალთ... იქ რამდენიმე თეატრია...

— ვიცი! — გამაწყვეტინა სიტყვა და გულნატკენი გაჩუმდა.

— თეატრში ერთად ვიაროთ, სპექტაკლები ვნახოთ... იქნებ არც მოგეწონოს!

— მომეწონება! მე დიდი ხანია მომწონს თეატრი და... თუ ღმერთი გწამს დედაჩემივით ნუ მელაპარაკები!

ამასობაში, როგორც იქნა, ჩვენს სახლს მივაღწიეთ. გადავწყვიტე, უცებ დავემშვიდობები, შინ შევალ, თან ისეთ არგუმენტებს მოვიშველიებ, როგორიც შიმშილი და დაღლილობაა-მეთქი, მაგრამ ზიზი წინ გადამიდგა და ჩურჩულით, თითქოს საიდუმლოს მანდობსო, მითხრა: ერთად ვისადილოთ, ჩვენ ხომ ერთად არასოდეს გვისადილიაო. მერმე ხმაში მომნუსხველი ჯადო გაურია: ცეცხლი დავანთოთ, გავთბეთ, რა მოხდება, ცოტა ხანს ერთად ვიყოთო. მე ჩვენს სახლს გავხედე, როგორღაც ცივი და მიუკარებელი მომეჩვენა, ამავე დროს ვიგრძენი, ანანოს ნახვას მაინცდამაინც არ ვესწრაფოდი, თუმცა ანანო შინ რომ არ იყო, ეს ჩვენს სახლს გარედანვე, ერთი შეხედვით ეტყობოდა.

— დედა გვიან დაბრუნდება, დღეს პედსაბჭოა. — ესეც ჩურჩულით მითხრა, ოღონდ — ხაზგასმულად, მნიშვნელოვნად.

ამ ჩურჩულმა უნებურად შემაკრთო და რაღაცნაირი, გამოუცნობი მოლოდინით გამმსჭვალა. ჩურჩული თითქოს რაღაცას მპირდებოდა, ანდა ორივესთვის რაღაცას ნიშნავდა და ის რაღაც, მე კი არა, შესაძლებელია, თვით მოჩურჩულემაც არ იცოდა. ზიზისთვისაც გაურკვეველი და ბუნდოვანი უნდა ყოფილიყო ჩურჩულით გამხელილი „საიდუმლო“ და იქნებ ამიტომაც ორივენი მორჩილად, დატყვევებულებივით მივყვებოდით ამ მოცახცახე თუ მთრთოლვარე ხმას. ზიზი პირაკრულივით მიმიძღოდა, ისე გავიარეთ გზა და შევაღეთ ჭიშკარი, შინაც ისე შევედით, სიტყვა არ წასცდენია.

ოთახშიც საგრძნობლად ცივოდა, პალტოები მაინც გავიხადეთ და მე დაუყოვნებლივ შევასრულე ზიზის ბრძანება: „ცეცხლი დაანთე!“ (ერთადერთი, რაც სოფელში კარგად ავითვისე და შემდეგ დავოსტატდი კიდეც, ცეცხლის დანთებაა. თუმცა თოხნაშიც საკმაოდ გავიწაფე: ზაფხულობით კოლმეურნეობის სიმინდსა და ჰერანს ვთოხნიდით მოსწავლეები). თუნუქის ღუმელი სულ მალე აგუგუნდა და სასიამოვნო სითბო დაღვარა. ამასობაში ზიზიც დატრიალდა — ყველა საგანსა თუ

ნივთს სწრაფად მოუნახა თავთავიანთი ადგილი. მერმე ღუმელზე თუჯის მძიმე, გაშვარტლული ქვაბი შემოდგა და მაგიდის ერთი კუთხე, რომელიც ცეცხლთან უფრო ახლოს იყო, ორი კაცისთვის გააწყო, საკუჭნაოდან პური და კომბოსტოს მწნილი შემოარბენინა.

ცეცხლის დანთების შემდეგ საქმე აღარა მქონდა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა კედლებზე გაკრულ სურათებს ჩამოვუარე, ბოლოს მარო მასწავლებლის დიდ წინაპარს მივაჩერდი უაზროდ. გამახსენდა, რომ ზიზი ძალზე ამაღელვებლად კითხულობდა „სამშობლო ხევსურისა“-ს...

— ღვინოს დალევ? — მოულოდნელად მკითხა ზიზიმ უჩვეულო კილოთი, ეს კილო სხვისაგან ნასესხებს ჰგავდა, რადგან ასე მხოლოდ უფროსები მიმართავენ ხოლმე ერთმანეთს.

ღვინოს რომ არ ვსვამდი, თვითონაც კარგად იცოდა. არაერთხელ შესწრებია, ამის გამო ბიჭები როგორ მამასხარავებდნენ და ზოგჯერ აბუჩადაც კი მიგდებდნენ. ამიტომ პასუხის გაცემა საჭიროდ არ ჩავთვალე, ყველაფერი ისედაც ნათელია-მეთქი. მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ზიზი თითქოს სახლობანას თამაშობდა და მეც მაიძულებდა, იგივე მეთამაშა. ეს თამაში აშკარად გარეგნულ იერს ეფარებოდა ანდა ინიღბებოდა მოჩვენებითი ფუსფუსით, რომლის იქით სხვა რაღაც იმალებოდა— ჩემთვისაც და მისთვისაც გაცილებით მნიშვნელოვანი. მართლაც, რატომ თქვა,— დედა გვიან დაბრუნდებაო, იმიტომ ხომ არა, ერთი მათლაფა ლობიოთი რომ გვარიანად დავნაყრებულიყავით და ზედაც თითო ჭიქა ღვინო დაგვეყოლებინა? დასამალი და საჩურჩულო რა გვქონდა, მე და ზიზის თუკი ამ სახლში ოდესმე ერთად გვისადილია, იმ ტრაპეზს ყოველთვის მარო მასწავლებელი წარმართავდა და საკმაოდ გულუხვადაც გვიმასპინძლდებოდა ხოლმე...

ზიზიმ ხელადა დადგა მაგიდაზე. მე ცეცხლს განელება აღარ ვაცალე, შეშა ბლომად შევუკეთე.

— შენ აქ დაჯდები! — განმისაზღვრა ადგილი დიასახლისმა.

უსიტყვოდ დავმორჩილდი, დავჯექი მისჯილ სკამზე. დავჯექი მყარად, საფუძვლიანად, ორივე იდაყვით მაგიდას დავეყრდენი... პირდაპირ, ოდნავ შეღებულ კარიდან ზიზის ოთახის ნაწილი დავინახე. ლოგინი აშლილი იყო, ეტყობა, დილით

რომ ადგა, საწოლისათვის არც მოუხედავს, ეგრევე ხელუხ-ლებელი დატოვა. იქვე, ვენურ სკამზე დაუდევრად მოესროლა ღამის პერანგი... საწოლს თვალი ავარიდე და ზიზისკენ გავა-პარე მზერა, ხომ არ შემამჩნია, ლოგინს რომ ვუთვალიერებ-მეთქი, თითქოს აკრძალული მქონდა იმ ოთახში შეხედვა. ზი-ზი ღუმელთან იდგა, ქვაბისთვის ხუფი მოეხადა და დიდი ხის კოვზით მუყაითად ურევდა, ლობიო ძირზე არ მიმეწვასო. ახ-ლაც საქმიანი და მზრუნველი ჩანდა.

— ცოტაც და დაგანაყრებ. — მითხრა.

— შენ არა გშია? — ვკითხე სხვათა შორის, სადილთან დაკავშირებით რაღაც ხომ უნდა მეთქვა.

— ძალიან... დილით ცოტა წავიჭამე და იმის შემდეგ პირ-ში ლუკმა არ ჩამსვლია... ლობიოა.

— წეღანვე მივხვდი. სუნი მეცა.

— ხახვი ღორის ქონშია მოხრაკული, — იქვე დამიზუს-ტა, — დედაჩემი, საერთოდ, გემრიელ კერძებს ამზადებს.

მე, რა თქმა უნდა, ბარბარე ჯორჯაძის სურათს დავუწყე ძებნა, კედლებს თვალი მოვავლე. რატომღაც მომეჩვენა, ამ ფოტოებიდან არცერთზე არ იყო იგი აღბეჭდილი და ნაღვლი-ანად გავიფიქრე: ან ამათ ვერ იშოვეს, ანდა კნეინა ბარბარეს არ უზრუნვია, რომ მშთამომავლობისათვის ერთი პორტრეტი მაინც გამოემეტებინა-მეთქი.

— მომაწოდე შენი თეფში.

გავუწოდე, დევის ულუფა გადმომიღო.

— ამდენს ვერ მოვერევი.

— მოერევი. — დამამშვიდა. — ახლა ჩემი თეფში მომე-ცი.

ჩვენ ერთხანს უსიტყვოდ შევექცეოდით ლობიოს და კომ-ბოსტოს მწნილსაც ვაყოლებდით — ერთიც გემრიელი იყო და მეორეც. ზიზიმ გათლილ ჭიქებში ჩამოასხა ღვინო — მუქი ქარვისფერი, კრიალა. ერთ ჭიქას დავლევ, ხომ არ მომკლავს-მეთქი, — და დასხმისას წინააღმდეგობა არ გამიწევია.

— დალიე, უფრო გემრიელად შეჭამ.

— შენა?

— მეც დავლევ... ცოტას. — მითხრა და ჭიქა მომიჭახუ-წა. — გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს!

მოვსვი. მართალი რომ ვთქვა, მესიამოვნა. მესიამოვნა გემოც და სურნელიც, განსაკუთრებით სურნელი, თუმცა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ერთის მეორისაგან გამოყოფა და ცალ-ცალკე შეგრძნება ალბათ არ შეიძლებოდა. კიდევ მოვსვი, კიდევ და ჭიქა გავანახევრე.

— როგორია? — გამიღიმა ზიზიმ.

— მე მგონი, კარგია!

— ჩვენ სხვანაირ ღვინოს ვაყენებთ, ყველას მოსწონს.

— კი, მშვენიერია! — დავუდასტურე საბოლოოდ.

ღვინომ მთელ სხეულში ჟრუანტელივით დამიარა და სასიამოვნოდ, მსუბუქად გამაბრუა. რამდენიც გეამება, იმდენი დალიეო, — მითხრა ზიზიმ და ჭიქა შემივსო, მერმე თვითონაც დაისხა. ზიზი მართალი აღმოჩნდა, უფრო გემრიელად მივადექი ლობიოს; ღვინოსაც ვწრუპავდი ნელ-ნელა, მეორე ჭიქა რომ დავცალე, მესამე თვითონ დავისხი და ზიზისაც შევუვსე. მე ისევ ისე ვიყავი სასიამოვნოდ გაბრუებული, როგორც პირველი ჭიქის შემდეგ, ზიზი ხელმარჯვნივ მეჯდა, სულ ახლოს, მაგიდის კუთხე გვყოფდა მხოლოდ, ეს თვითონ ზიზიმ მოიგონა და დასაჯდომი ადგილებიც თვითონ გაანაწილა... ჭკვიანი გოგოა, მე ამას ვერ მოვიფიქრებდი: თან გვერდით მიზის, თანაც თავის მიბრუნება არ მჭირდება, პირდაპირ მივჩერებივარ: თეთრი ყელი აქვს, ქათქათა, წაბლისფერ თმიდან პატარა ბიბილო მოუჩანს, გახვრეტილი, საყურისთვის გამზადებული. თმა გადაუტკეპნია და ერთ მსხვილ ნაწნავად დაუგდია ზურგზე...

ერთი ჭიქაც რომ გამოვცალე, აშკარად დავინახე, ღია ცისფერი თვალები როგორ გაუმუქდა, როგორ ჩაუგუბდა სევდა და დაუვიწროვდა. მე კი კარგ გუნებაზე ვიყავი, რაღაცნაირად ამსუბუქებული და ამჩატებული, დაღლილობა აღარ მაწუხებდა და დღევანდელი დღის შთაბეჭდილებებით დამძიმებული და დამჭმუნვარებული გული ახლა მკერდში ლაღად მიფართქალებდა... მაგიდის ქვეშ, თუმცა არ ვეხებოდი, მაინც სულ ახლოს ვგრძნობდი ზიზის მუხლებს და არა მარტო ამ მუხლების, საერთოდ ზიზის სიახლოვე წარმოუდგენელ, ჯერგანუცდელ ბედნიერებას მანიჭებდა და გაურკვეველი მოლოდინის თრთოლვით მაღვივებდა.

— რას აპირებ, ოზო? — მკითხა მოულოდნელად.

თითქოს ვიღაცის უჩინარმა ხელმა ხალათზე მომქაჩა. უცებ ვერ გავიგე, რას გულისხმობდა ზიზი და, მგონი, გავწითლდი კიდეც, რადგან იმ წუთას ქათქათა ყელს მივჩერებოდი და ღმერთმა უწყის, რას ვფიქრობდი ან რას ვაპირებდი.

— სკოლას რომ დაამთავრებ, სად აპირებ შესვლას? — დამიზუსტა ბოლოს.

— ოო... — შვებით გავიღიმე და ანგარიშმიუცემლად ვუპასუხე, — არ ვიცი.

— რას ჰქვია, არ იცი?!

წეღან რომ მეგონა, ანგარიშმიუცემლად ვუპასუხე-მეთქი, არ იყო მართალი: მე ჯერ არ ვიცოდი, სკოლის დამთავრების შემდეგ სად გავაგრძელებდი სწავლას! მაგრამ ახლა არც ამის განსჯის უნარი და არც საამისო განწყობილება მქონდა. ორივენი, ვგრძნობდით, ვთვალთმაქცობდით, ნამდვილ სათქმელს არ ვამბობდით, ღობე-ყორეს ვედებოდით.

— შენ რა გიჭირს, თბილისში სახლი გაქვს... მე ვიკითხო...

— ჩვენთან იცხოვრე, — გულწრფელად შევთავაზე, რადგან იმ წუთებში ასეთი პერსპექტივა რეალურად მესახებოდა.

— თქვენთან? — გაოცდა ზიზი. მერმე რატომღაც სიცილი აუტყდა და ერთხანს გულიანად იცინა. — რა სულელი ხარ, ოზო!

— რატომ ვარ სულელი?

— რა ვიცი, ხარ და...

— კარგი, ვარ! — დავეთანხმე უდრტვინველად.

ღია კარს იქით ისევ დავინახე აშლილი ლოგინი და ახლაც თვალი ავარიდე. ზიზიმ სიცილი უცებ შეწყვიტა და მოიწყინა, თეფში გვერდზე გადადო და ხელები მაგიდაზე დააწყო, დაჟინებით დასცქეროდა ღვინიან ჭიქას, რომელიც თითებშორის მოემწყვდია. „რა მოხდება, რომ ვაკოცო, — გავიფიქრე,— ლოყაზე ან ყელზე?.. ფრთხილად... სულ ოდნავ შეეეხები... ანდა სულაც ხელებს დავუკოცნი". მაგრამ ზიზი ადგა, ღუმელიდან ქვაბი გადმოიღო, დაგვეწვაო, — თქვა და გარეთ გავიდა. მე კიდევ გამოვცალე ჭიქა, მაინცდამაინც მათრობელა ღვინო არ ჩანდა, ნეტარებით ვსვამდი, თანაც კარგ გუნებაზე მაყენებდა, სულ ღიღინი მინდოდა. ზიზიზე კი, როგორც ჩანს, სხვანაირად მოქმედებდა, უცნაურად მოიწყინა და სევდაც მოერია.

ზიზიმ დაჩეხილი შეშა შემოიტანა, რაც ოთახში დაგვხვდა, უკვე ცეცხლს ჩაენთქა.

ვზივარ და ვაკვირდები ზიზის მოძრაობას, ტანის მიმოხრას. ცეცხლს რომ შეუკეთა, თავი მოაბრუნა და რაღაცნაირად, მკრთალად გამიღიმა, თითქოს მიღიმის კიდეც და არც მიღიმის, მაგრამ ასე მომჯადოებლად ჯერ არავის შემოუხედავს ჩემთვის. ნამდვილად ულამაზესი გოგოა, ალბათ, არც არის ქვეყანაზე ასეთი გოგო.

წამოვდექი, ოთახში გავიარ-გამოვიარე; ღვინისა არაფერი მეტყობა, ისევ ოდნავ ვარ გაბრუებული, სულ ცოტათი... მივდივარ ღუმელთან, ხელებს წინ ვიშვერ, ვითომ გაყინული მაქვს და მინდა გავითბო.

ზიზიც ხელებს ითბობს, მეც... გახურებულ თუნუქის ღუმელისაკენ ორი წყვილი ხელია გაშვერილი, ხელები ერთმანეთს თითქმის ეხება, მათი პატრონები კი გაბრუებულები, გატრუნულები დგანან, თითქოს არაფერი ხდება, არაფერი.

ღუმელი საშინლად არის გახურებული, მცხელა, ლამის ტანსაცმელი შემოვიხიო. მიუხედავად ამისა, ხელებს მაინც ვითბობ. რაღაცა ღვინოზე მეტად მაბრუებს, ან ზიზის სიახლოვე, ან ღუმლის სიმხურვალე. თავბრუ მეხვევა, თუმცა მზად ვარ, ისე მოვიქცე, როგორც გული, გონება, სხეული, მთელი არსება მეუბნება, მკარნახობს... ამავე დროს შებორკილი ვარ, ხელზე ხელის შეხებას ვერ ვუბედავ. სხვა დროს მხარზეც კი გადამიხვევია ხელი, ახლა რა ჯანდაბა მემართება, თითსაც ვერ ვაკარებ. ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არაფერი მითქვამს, სიტყვა არ წამცდენია. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვუთხრა, — მიყვარხარ-მეთქი!.. შენს მეტი ქვეყანაზე არავინ მიყვარს-მეთქი... მართალიც ვიქნები. მე ზიზი გაგიჟებით მიყვარს და მიკვირს, სად ვიყავი აქამდე? რამ დამიჩლუნგა გრძნობა და გონება, რამ წამართვა მეტყველების უნარი?! თუმცა არც ახლაა გვიან, სათქმელს ვეტყვი, გასამჟღავნებელს გავუმჟღავნებ... მაგრამ ვიდრე სათქმელს ვეტყოდე, ცოტა ხნით გარეთ გავალ, სუფთა ჰაერზე გავივლი, გონებას მოვიკრებ...

სწრაფად გავედი გარეთ, სახლს შემოვუარე და ფიცრის წაფერდებულ „ბუტკას“ მივადექი... გამობრუნებული არ ავჩქარებულვარ, ნელ-ნელა მოვაბიჯებდი კმაყოფილი, ბედნიერი. ფეხი ოდნავ მერეოდა, მაგრამ მაინც მაგრად ვიდექი, მუხ-

ლები არ მეკეცებოდა. რაც მთავარია, წინასწარ მანიჭებდა უდიდეს სიამოვნებას იმის გრძნობას, რომ დიდი ხნის სათქმელს ბოლოს და ბოლოს ვეტყოდი. ეზოში რატომღაც შევყოვნდი. ხალათის ამარა ვიყავი გარეთ გამოსული, მაგრამ არ შემციებია, ალბათ შინიდან გამოყოლილი სითბო მყოფნიდა... უცებ კარიაულები გამახსენდა და ჩემ თავს გავუბრაზდი, ასე უხამსად რომ მომმართა, რამ გამომალენჩა, რატომ პასუხი იქვე არ გავეცი-მეთქი. საცაა გოგოს სიყვარული უნდა ავუხსნა და თურმე თავის დაცვა არ შემძლებია. მაინც როგორ ვაპატიე ასეთი შეურაცხყოფა?! ვთქვათ, ჩემს თვალწინ ასევე შეურაცხყვეს ზიზი, იმასაც გადავყლაპავ და ხმის ამოუღებლად გავიძურწები? არაფერი უშავს, იმ კარიაულებთან ახლა რომ მივიდე და ერთი-ორი მაგარი სიტყვა მივახალო; ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს!

— ოზო! — ჭიშკართან დამეწია ზიზის ხმა, — სად მიდიხარ, ოზო?

— სად მივდივარ?

ბინდბუნდში დავინახე, ზიზი ღია კარებში იდგა და ხელს მიქნევდა, — დაბრუნდიო. ეტყობა, საკმაო დრო გასულა, რაც ზიზისთან ვარ, მოსალამოვებულა. მე, რა თქმა უნდა, მაშინვე გამოვბრუნდი, ღია კარიდან მაგიურმა ხელის დაქნევამ მამა კარიაულთან ანგარიშსწორების ცეცხლი ჩამიქრო...

ზიზი ღუმელთან დამხვდა, დაფიქრებული დასცქეროდა წინ გაშვერილ ხელებს. ღიღინ-ღიღინით შესულმა ხელები მოვიფშვნიტე, ვითომ გარეთ შემცივდა-მეთქი. ზიზიმ ღიმილით გადმომხედა, ალბათ ჩემ ალიღინებას არ მოელოდა. ხელების ფშვნეტით მივაშურე ღუმელს, მაგრამ ფეხები როგორღაც უკან მრჩებოდა თუ მებლანდებოდა... შევჩერდი უფრო მყარად დადგომა ვცადე.

— შეგცივდა? — მკითხა, — მოდი, გაგითბო ხელები.

შორიდანვე საამო მორჩილებით გავუწოდე ორივე ხელი და ნაბიჯიც რომ წავდგი, უეცრად მუხლი მომეკვეთა, შევტორტმანდი. ამ დროს ზიზიმ იმარჯვა და შემაკავა, თორემ იატაკზე მოვადენდი ზღართანს... ვგრძნობდი, ზიზი მთელი სხეულით მეკვროდა, ფერუმარილის თუ ნელსაცხებლის ნაცნობი, მძაფრი სუნიც მცემდა და ერთი სული მქონდა ზიზისთვის მეთქვა, — მთელი ცხოვრება სწორედ ეს სურნელი

მტანჯავდა და მოსვენებას მიკარგავდა, დღედაღამ მიხმობდა, ერთთავად მიზიდავდა-მეთქი, მაგრამ თქმას ვერ ვახერხებდი, ენა მებმოდა და გაუგებარ სიტყვებს ვისროდი. ზიზის ორივე ხელი ჩემს წელზე ღონივრად შემოეჭდო და არ მეშვებოდა, სადღაც მიმათრევდა, მეხვეწებოდა:

— ოზო, დაჯექი, რა გენაცვალე! ამ სკამზე დაჯექი... წაიქცევი და ვეღარ აგაყენებ.. ღმერთო, რა მთვრალია!

მე კი გუნებაში მეცინებოდა, — რატომ უნდა წავიქცე ან რა წამაქცევს-მეთქი... რა სულელი გოგოა ეს ზიზი...

როგორც ჩანს, ამის შემდეგ დამებინდა გონება, აღარაფერი მახსოვს, რაც დამამახსოვრდა, ისიც საეჭვო უნდა იყოს, რადგან მთვრალის მიერ არის დანახული და განცდილი.

4

თავის ტკივილმა და გულის რევამ გამომაღვიძა, დაბნეულმა მიმოვიხედე და ჩემს ლოგინში რომ აღმოვჩნდი, გამიკვირდა, ვიფიქრე, ჯერ არ დაღამებულა-მეთქი. ოთახში კიდევ შეიძლებოდა საგნებისა და ნივთების გარჩევა. რის ვაივაგლახით წამოვწიე თავი და ისევ უღონოდ მივესვენე. მომეჩვენა, ძლიერი თავის ტკივილის გამო მაზიდებდა გულს, მაგრამ თავი რატომღა მტკიოდა?.. უცებ ზიზი გამახსენდა... სადილი, ღვინის სმა... და ორივე ხელი სახეზე ავიფარე. გავწითლდი, სიმწრის ოფლმაც დამასხა და ბალიშში წავყავი თავი. გარკვეულ წუთამდე თითქოს ყველაფერი მახსოვდა, იმ წუთის შემდეგ— არაფერი. მეხსიერების წყვდიადში შეღწევა ვცადე, იქნებ ხელის ფათურით მაინც გამერკვია რაღაც-რაღაცეები, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ დავიძაბე და გავისარჯე. რა მოხდა? როგორ დამიბნელდა ერთ წამში გონება? რატომ გამოვეთიშე გარემოს?.. სირცხვილით ვიწოდი, თუმცა კერძოდ რისი შრცხვენოდა, არ ვიცოდი. ალბათ იმისი, რაც არ მახსოვდა, რაც სიბნელეში დამრჩა და გარეთ ვერ გამოვიტანე, ჩემთვის ვერ გამოვამზეურე...

კარმა გაიჭრიალა. ისევ წამოვიწიე: ნახევრად ღია კარიდან ანანომ შემოიხედა, თანაგრძნობით სავსე მწვანე ბივრიტის თვალები შემომანათა, ალბათ შემამოწმა, ხომ არა მიჭირდა. რა. გაღვიძებული რომ დამინახა, გამიღიმა:

— როგორა ხარ, ოზო?

— თავი მტკივა... საშინლად!

— ადექი. პიტნის ჩაის დაგალევინებ, იქნებ გაგიაროს.

— ვერ ვდგები. თუ ჩამეძინა, ეს ტკივილი დილამდე, ალბათ, გამივლის.

— დილამდე? — ანანომ ისევ გაიღიმა, — აკი გათენდა!

— გათენდა?! — გაკვირვებულმა გავხედე ფანჯარას.

— მაშა, წეღანვე... პატარძალს ღრუბლიანი ამინდი დილა ეგონაო.

პატარძლის ანდაზა რატომღაც არ მეჯაშნიკა, ტანშიც კი გამცრა. ანანო ის ქალი არ იყო, სიტყვა უმიზნოდ, სხვათა შორის რომ დაეგდო. რახან „პატარძალი" ახსენა, ამ სიტყვაში რაღაც იგულისხმა კიდეც. ამიტომ ზოგ-ზოგი რამის გამორკვევა ვცადე:

— როდის დავბრუნდი? — მეც ვითომ სხვათა შორის ვიკითხე.

— ის-ის იყო დაღამდა, ლამპის ანთებას ვაპირებდი.

— მარტო მოვედი თუ ვინმემ მომიყვანა?

— ეგ შენთვის უნდა მეკითხა.

— ალბათ, მარტო მოვედი... ვინ მომიყვანდა?

— არ ვიცი, კარზე ჯოხიანით მიყუდებული განახე. მომყვანი კი არავინ ჩანდა.

ამ ცნობამ ოდნავ დამამშვიდა, ცოტა ხნით ისეთი შეგება მომგვარა, თავის ტკივილიც კი დამავიწყდა. სულაც არ მინდოდა ანანოს გაეგო, გუშინ სად და ვისთან გამოვტყვერი ასე შემზარავად. მაგრამ შვება, როგორც ვთქვი, ხანმოკლე და უდღეური აღმოჩნდა: მაგიდას რომ ეუსხედით და პიტნის ჩაის შეექცეოდით, ანანომ ისე, თითქოს საუბარს (რასაკვირველია, არარსებულს) აჯამებსო, მოულოდნელად თქვა:

— ეგენი სხვა ჯურის ხალხია... — მერმე ასევე მოულოდნელად მკითხა, — შენ როგორა ფიქრობ?

რა თქმა უნდა, ანანოს ყველაფერი ხელისგულზე ეწერა! მაინც როგორ გავიფიქრე სულელმა, რაღაცას დავუმალავ ან გამოვაპარებ-მეთქი. მაგრამ ნათქვამის მშვიდმა კილომ ანდა იმ სიმშვიდემ, რაც ნამდვილად მეგონა მისი ხასიათიდან თუ არსებიდან მოედინებოდა, მაგრძნობინა, რომ ანანოსთან საუბარი შეიძლებოდა, არა მარტო საუბარი, საიდუმლოს გამხე-

ლაც კი. გადაჭრით არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავისი ვარაუდი გამოთქვა და მეც მომცა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. მისი ვარაუდი რამდენად იყო საფუძვლიანი, არ ვიცი. მე სიტყვა არ დამიძრავს, იმიტომ კი არა, რომ მეცლია, იქნებ ანანომ სათქმელი უფრო გარკვევით მითხრას-მეთქი, არა, უბრალოდ გამოფიტული და დათრგუნული ვიყავი.

ალბათ, ანანო ფიქრობდა, საუბარში ოზოსაც ჩავითრევო, მაგრამ რახან მე გაყუჩებული ვიჯექი კარგა ხანს და შემატყო, ხმის ამოღებას არ ვაპირებდი, მომლოდინე დუმილის შემდეგ თვითონვე გამიბა ლაპარაკი... ფრთხილობდა, მომეჩვენა, მთავარ სათქმელს გარშემო უვლიდა, სიტყვებს წონიდა. ცდილობდა ჩემთვის გაეგებინებინა, რას ნიშნავდა წეღან ნათქვამი „სხვა ჯურის ხალხი". აუგად არ მიხსენებიაო, პირიქით, ჭირსა და ლხინში ღმერთმა ეგეთები მოგცესო... მაგრამ თავისი თავის კითხული ხალხია და თავისუფალი გუნებისანი, თავის ნებაზე ცხოვრობენო... თუ რამე დაიჩემეს, ათასიც რომ უთხრა, ვერ გადაათქმევინებო.

ანანოს ნათქვამი მენიშნა.

— განა ეგ ცუდია? — ვკითხე.

— არც კარგია!

მარო მასწავლებელს იმდენად არ ვიცნობდი, მასზე თუნდაც ზერელე წარმოდგენა რომ მქონოდა, მაგრამ ზიზისთან, ასე თუ ისე, ახლოს ვიყავი; ხომ ამოიჩემა მსახიობობა და ჯერჯერობით ვერავინ გადაათქმევინა, ვერავინ გადაარწმუნა, ვერც დედამ, ვერც — სხვამ. მოულოდნელმა ეჭვმა შემაჩერა: ამოიჩემა კი?! იქნებ ეს ამოჩემება კი არა, სხვა რაღაცაა, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, ვერ ვგრძნობთ, რაც მას არსებობის აზრად მიაჩნია, ასულდგმულებს, აწვალებს, მოსვენებას უკარგავს?

— ოზო, ამას იმიტომ კი არ გეუბნები, ჩემს ნათქვამს დაუჯერო და ბრმად მიჰყვე... ვიდრე ნაბიჯს გადადგამ, მინდა, კარგად დაფიქრდე, — ანანომ ალმაცერად შემომხედა და ამ შემოხედვას გარკვეული მნიშნელობაც მიანიჭა.

მე ვერ გავუძელი და თვალი ავარიდე.

— ზიზი ჩემს ხელში გაიზარდა და მისი ბედიც მაწუხებს. სხვა ბავშვებზე ნაკლებ არ მიყვარს, მაგრამ ასავალ-დასავალი ვერ გავუგე, მის ქცევას ფიქრი ვერ მივაყოლე. — ანანო ცოტა ხნით ჩაფიქრდა. — ოზო, საათი რატომ არა გვაქვს, იცი?

რამდენი საათიც არ ვიყიდეთ, მამაშენმა დაშალა და ვერ ააწყო... გუგულიანიც, ჩვეულებრივი „გირებიანი“... ქალაქიდან ჩამოვიდოდა, ნაწილ-ნაწილ დაშლიდა, და ველარ ააწყობდა, თან იმას ამბობდა, — ამის აწყობას რა უნდაო! სოფელს გიჟად რომ არ მოენათლა, მე და პაპაშენი ამ ამბავს არც ვამხელდით... ეტყობა, ასეთი რამ ჯილაგით მოგვდგამს, მეც ეგრე ვიცი, კაცის ხასიათს გუნებაში დაეშლი, და მერმე ისევ ავაწყობ ხოლმე, ზიზი კი ერთთავად მისხლტება, ჩემს ნებას არ მოჰყვება... არ მემორჩილება...

ამასობაში ორი ჭიქა პიტნის ჩაი დავლიე.

თითქოს გულდასმით, გულისყურით ვუსმენდი ანანოს, მთელი არსებით მაინც სხვაგან ვიყავი გადართული: გუშინდელი დღის დასასრული, ჩემი და ზიზის სადილობის დაბოლოება მაინტერესებდა და მაწუხებდა. ანანოს საუბრის მიზანი ჩემთვის ნათელი იყო, ყოველნაირად ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ზიზი ცოლად არ გამომადგებოდა. მაგრამ ამ დასაბუთებისას ზოგი რამ ისეთი თქვა, რაც მერმე არაერთხელ გამხსენებია და რასაც ამ საუბრის გარეშე არასოდეს დავუფიქრედებოდი.

თავის ტკივილმა, ასე თუ ისე, გამიარა, ალარც გული მერეოდა, შესაძლოა, პიტნის ჩაიმაც მიშველა. ამ შვების მიუხედავად შინაგანად მაინც გამოფიტული თუ დარბეული ვიყავი. არაფრის თავი არა მქონდა და არც მიფიქრია, რამე გავაკეთო-მეთქი, დარწმუნებული ვიყავი, ენერგია არ მეყოფოდა.

წვიები საშინლად მეწვოდა. ტკივილი ლოგინშივე ვიგრძენი და ფეხებიც იქვე დაეითვალიერე: მთლად დაკაწრული და დასისხლიანებული აღმომაჩნდა. სად დავიკაწრე, სად დავეხეტებოდი ნეტავი? ზიზი ალბათ ყველაფერს წვრილად მომიყვებოდა, მაგრამ ახლა მასთან შესახვედრად გული არ მიმიწევდა, მეგონა, ისეთ რამეს მეტყოდა, რაც ჩემსავე თვალში დამცემდა და დიდხანს სინდისის ქენჯნად გამყვებოდა. სინდისი ისედაც უკვე მქენჯნიდა, რადგან ჩემი გუშინდელი საქციელი ნამდვილად არაგულწრფელი და თვალთმაქცური იყო. მე არ მახსოვდა, რა ვუთხარი ბოლოს და ბოლოს ზიზის, მაგრამ ხომ მივისწრაფოდი, რომ არარსებული სიყვარული ისე მომეჩვენებინა, გამემეღლავნებინა და ამეხსნა, თითქოს ნაღდი

და გულწრფელი ვიყავი. ზიზიც ხომ გულისფანცქალით ელოდებოდა ჩემგან ისეთი რაღაცის თქმას, რაც მისთვის, შესაძლებელია, გადამწყვეტიც აღმოჩენილიყო?

— იქნებ მამაჩემის საათისა არ იყოს, შენც დაშალე ზიზის ხასიათი და მერმე ვეღარ ააწყვე? — ჩემთვის მოულოდნელად ვკითხე ანანოს.

— შენ არ გეწყინოს, ოზო, მამაშენმა მხოლოდ დაშლა იცოდა, ისიც საათისა... თუ გაიგე, მე სულ სხვა რამ გითხარი.

პალტო ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. სრული შთაბეჭდილება შევუქმენი ანანოს, რომ სკოლაში მივდიოდი, სინამდვილეში იქ მისვლა არც მიფიქრია, — რადგან კლასში ჯდომასა და გაკვეთილების მოსმენას ვერ გავუძლებდი.

გარეთ უქარო, ღრუბლიანი ამინდი დამხვდა. სიცივის შესახვედრად ავიბუზე და თავი პალტოს საყელოშიც კი ჩავრგე, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, სულაც არ ციოდა, პირიქით, მომეჩვენა, საკმაოდ თბილოდა კიდეც. მიწამდე ჩამოძენძილი მოშავო-მონაცრისფრო ღრუბლები თითქოს შემოდგომის გადაუღებელ წვიმებს გვპირდებოდა, თუმცა ამას ჩემს გუნება-განწყობილებაზე ოდნავადაც არ უმოქმედია. ახლა ჩემთვის სულერთი იყო ეს ამინდის ცვალებადობაც, აქაურობაც, და აქ გატარებული ერთფეროვანი, ზოგჯერ სასოწარკვეთილი, ზოგჯერ კი იმედით აღბეჭდილი და მაინც დაუნდობლად გულისშემაღონებელი დღეებიც.

გზად მიმავალმა უცებ ვიგრძენი, რომ უთბილისოდ არ შემეძლო არსებობა, თითქოს გარეთ სწორედ ამ გრძნობამ გამომაძევა, თორემ ეს რომ არა, შინიდან ფეხს ვერავინ მომაცვლევინებდა. ჯერ ვიფიქრე, ასეთი განუხორციელებელი ოცნება მე თვითონ მოვიგონე, ბავშვივით ავიჩემე და ავიკვიატეთქი, მაგრამ თანდათან ვრწმუნდებოდი, ეს არც ბავშვური აჩემება და არც სულელური აკვიატება იყო. თბილისი ცოცხალ არსებასავით მიხმობდა... ძახილი, როგორც ვთქვი, მოულოდნელად გავიგონე, უფრო ვიგრძენი და ისეთი გულისცემა თუ გულისფრიალი ამიტყდა, მეგონა, გული საცაა გამისკდებამეთქი. თბილისი ყოველთვის მახსენდებოდა და მენატრებოდა, მაგრამ დღეს ჩვეულებრივ გახსენებას არ ჰგავდა, არც ნატვრას, ეტყობა, იგი გუშინდელ ღვინოსავით ნელ-ნელა მაბრუებდა და მიპყრობდა, მერმე ერთბაშად დამკრა და დამარეტი-

ანა, თითქოს დამსკდარ ძარღვებიდან სისხლმა იფეთქა და ვეღარ ვაკავებდი.

ამ გაურკვევლობაში მაინც ვცდილობდი კონკრეტულად დამენახა ანდა წარმომედგინა ის, რაც ასეთი ძალით მიხმობდა და მიზიდავდა... რა მიხმობდა?

სახლი?..

ეზო?..

უბანი?..

სკოლა?..

ამხანაგები?..

ანდა მტკვარი?..

მტკვარი, რომლის ნაპირზეც გავიზარდე, რომელსაც გავუშინაურდი და შევეთვისე?

იქნებ ამ ძლიერი და ჩემთვის ბუნდოვანი ლტოლვით ინიღბებოდა სოფლიდან გაქცევის, თავის დაღწევის სურვილი? მაგრამ რას გავურბოდი, რას მინდოდა გავქცეოდი?!

სოფელში ჩემს სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ იყო წარმართული ცხოვრება. ამ ოთხი წლის მანძილზე თბილისში მარტო რომ დავრჩენილიყავი, კაცმა არ იცის, რა დღეში ჩავვარდებოდი, მხოლოდ უგუნურსა და უმადურს შეეძლო ეს არ დაენახა და არ ეგრძნო. ქვეყნად რა ხდებოდა, კარგად ვიცოდი და ყველაფერი მძაფრად მქონდა განცდილი. ნურავინ იფიქრებს, კავკასიონის უზარმაზარ მთებთან მიყუჟულ პატარა სოფელში თითქოს არ გამოჟონა იმ უბედურებამ, რაც ომმა კაცობრიობას მოუტანა. რა თქმა უნდა, ომის გამანადგურებელ ცეცხლს უშუალოდ ამ მიწაზე არ გადაუვლია, იგი კავკასიონს ჩრდილოეთიდან — მეორე მხრიდან მოეხეთქა, მაგრამ ეს ხათქახუთქი, გრგვინვა და ზანზარი აქეთაც გვატყდებოდა თავზე რისხვად. არც ის საშინელი წარღვნა გაბრუნებულა თავისთავად უკან, მან მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და იმ შეწირულებში ჩვენი პაწაწინა სოფლის ორასიოდე მკვიდრიც ერია. სოფელმა თავისი ჰქნა, რაც შეეძლო, იმაზე მეტი სისხლი გაიღო და ახლა ცრემლიანი იმედით, სევდიანი და მწუხარე სიხარულით ელოდებოდა ოთხწლიანი ტანჯვის დაბოლოებას.

სოფელთან ერთად მეც ველოდებოდი... და ისიც მქონდა შეგნებული, რომ სწორედ აქ, ჩვენს სოფელში უნდა შევხვედ-

როდი ამ ბედნიერ დღეს. სხვანაირად ძალიანაც რომ მდომოდა ვერ წარმოვიდგენდი, გარდა ამისა, მამაჩემმა რადაც დამტოვა ბოლომდე ალბათ იქვე ვეგულებოდი, ომში წასვლისას აკი დამიბარა: თუ დავბრუნდი, აქ დავბრუნდებიო. და იმ იშვიათი წერილებითაც, რომლებსაც ფრონტიდან გვიგზავნიდა ხოლმე, ერთს ეეედრებოდა ანანოს, — ეგ ბიჭი მანდ საღსალამათი დამახვედრე და მერმე მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო. ისე, რომ მე შეგნებული მქონდა და ვიცოდი, ჩემი წასვლა აქედან არ შეიძლებოდა. მაგრამ შეგნება ერთია და ადამიანის სულიერი ძვრების ამოხსნა და დაოკება — მეორე.

მე თბილისში მინდოდა ყოფნა. „მინდოდა“ ცოტაა. იგი ოდნავადაც ვერ გამოხატავს იმ სულიერ აფორიაქებას, რომელიც შიგნიდან მარყევდა, სულსწრაფული მოუთმენლობით მავსებდა და გარდასულ და დავიწყებულ დღეთა შესახვედრად მიბიძგებდა, თითქოს ჩემი გაქცევა გარდუვალი აუცილებლობით იყო გამოწვეული, თითქოს დღესვე თბილისში რომ არ აღმოვჩენილიყავი, ან თბილისი დაინგრეოდა, ან მე გავთავდებოდი აქვე.

სწრაფად მივაბიჯებდი, გარეშეთ რომ ეფიქრათ, ვითომ საქმეზე აგვიანდებაო. სკოლისკენ მიმავალ გზას გვერდი ავუქციე და ვიწრო, ოღრო-ჩოღრო ორღობეებით სოფელი უკან მოვიტოვე. ძნელი კია, სოფელი გაიარო და გზად არავის გადაეყარო, მაგრამ ამჯერად გამიმართლდა, მახლობელთაგან არავინ შემხვედრია, ვიღაც-ვიღაცეებს კიდეც მივესალმე, სოფლად ეს მიღებულად ითვლება, სრულიად უცნობებიც კი ესალმებიან ერთმანეთს.

მე ჯერ არ ვიცოდი, საით მივდიოდი, რას ვაპირებდი, რას მოვიმოქმედებდი, ერთს ვცდილობდი მხოლოდ: აქაურობას მალე გავცლოდი, რათა მერმე მეფიქრა, ანუ დამშვიდებულს შემემუშავებინა ისეთი გეგმა, რომლის მიხედვითაც, დღეს თუ არა, ხვალ უსიკვდილოდ ამოვყოფდი თავს თბილისში. ყველაფერი ზუსრად უნდა ამეწონა და გამეზომა, ყველა სიძნელე თუ დაბრკოლება წინასწარ უნდა გამეთვალისწინებინა.

სოფლიდან პირდაპირ ნახნავებში გავედი და მარჯვნივ გავუხვიე, გეზი გზატკეცილისაკენ ავიღე. სიარული ძალზე მიჭირდა, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ მქონდა; ჩემში უეცრად აღმოვაჩინე ჩემს შეგნებასა და ნებისყოფაზე უფრო ძლი-

ერი მუხტი, რომელიც უსიტყვოდ მიმორჩილებდა და ამობრუ-ნებულ ბელტებს შორის უგეზოდ მიმაქანებდა გარკვეული მიზ-ნისაკენ.

დაუსრულებლად მივდიოდი, ზოგჯერ ფეხი ღრმა ხნულში ჩამივარდებოდა, წავიფორხილებდი, ზოგჯერ დავეცემოდი კი-დეც. წამოდგომა მიჭირდა, ვისაც ნახნავებში უვლია, იცის, როგორია იქ სიარული. ვჩქარობდი, კახეთს საწვიმარი ღრუბ-ლები ჩამომხობოდა და უცებ რომ მოეწვიმა, აქედან ვეღარ გავაღწევდი, წელამდე ტალახში ჩავეფლობოდი.

თვალწინ ყვავების გუნდი ამიფრინდა და ყრანტალით სად-ღაც ჩემს ზურგს უკან გადაიკარგა.

ჯიუტად მივიწევდი, გადახნულ მიწას ბოლო არ უჩანდა. სწორ გზას ავცდი-მეთქი, — შევჩერდი და ირგვლივ მიმოვი-ხედე: უკვე იმდენი გამომივლია, უკან დაბრუნება ნამდვილად უაზრობაა-მეთქი, — გავიფიქრე, ნახნავებში სულელურად რომ არ შემოვხეტებულიყავი და სოფლის კიდეს ადამიანურად გავ-ყოლოდი, აქამდე ალბათ გზატკეცილზე ვიქნებოდი დამდგა-რი, დროსაც მოვიგებდი, ასე უღმერთოდ აღარ დავიღლებო-დი და არც გულ-მუცელს ამოვითქვეფდი.

იმედი რომ გადავიწურე, — ამ ბელტებს თავს ვეღარ და-ვაღწევ-მეთქი — წინ, ასიოდე მეტრის მანძილზე სოფლისკენ მიმავალი ურემი დავინახე. კოლუმბის მეზღვაურებს ალბათ ისე არ გახარებიათ ნაპირის გამოჩენა, როგორც მე ურმის დანახვა გამიხარდა... თითქოს ზღვიდან გამოვედი დაღლილი და გასავათებული, სულის მოსათქმელად იქვე, გზის პირას მივეგდე. ეტყობა, წუხანდელმა ნასმურობამაც მიწია, ისევ მერეოდა გული და თავიც მისკდებოდა. ჩემი ძველი ჯღანები წავიძრე, შიგ ჩაფშვნილი მიწა გადმოვყარე, ჩავიცვი... რო-დის-როდის წამოვდექი და ინერციით განვაგრძე გზა. ვიცო-დი, პატარა აღმართს რომ ავათავებდი, იქიდან უკვე ალაზნის ველი გამოჩნდებოდა და მერმე სულ თავქვე მომიწევდა სია-რული.

აჰა, ალაზნის ველიც გამოჩნდა!

— აღარც კი მახსოვს, აქედან რამდენჯერ გადამიხედავს ამ საოცრებისათვის, სწორედ აქედან, აი ამ წერტილიდან, რად-გან ალაზნისაკენ სხვა გზით არ მივლია და არც მიძებნია სხვა გზა.

აქედან ალაზნის ველი ორჯერ ერთწაირი არასოდეს მინახავს, სულ სხვადასხვაგვარად, ნაირფერად მაჩვენებდა თუ მიმძღავნებდა თავს, მაგრამ ყოველთვის ერთნაირ გრძნობას ბადებდა და ერთსადაიმავე ყიჟინას ამომგლეჯდა ხოლმე მკერდიდან:

— აუუჰ!

მძიმე და გულჩათხრობილი დღეა, კავკასიონის მთები არ მოჩანს... ღრუბლებს კახეთის მიწა თავიდან ბოლომდე დაუდაბლებია, მთა და ბარი ერთი სიმაღლით გაუთანაბრებია. ეჭვიც კი შეგეპარება, რომ ამ ველს მიღმა გოლიათი მთებია ცად ატყორცნილი, მთები, რომლებიც მზიან ამინდში ვარდისფერი, გამჭვირვალე ბურუსით ათრთოლებულ სივრცეს, მიწას, ირგვლივ ყველაფერს, არარეალურ, ზღაპრულსა და სიზმარეულ იერს ანიჭებს, ახლა ეს ყველაფერი დაბალი და ნაცრისფერია, ანუ ერთფეროვანი, მიწა თითქოს ცის ანარეკლია, მხოლოდ ერთგან, შორს, მარცხნივ ალავერდის თეთრი ტაძარი ანთია სანთელივით და მთელ სიგრძეზე აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაზანი თუ გაიელვებს ხოლმე.

მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ძველ უბანში, ჩუღურეთი რომ ერქვა და მტკვრის ნაპირს მიჰყვებოდა ყოფილი ვორონცოვის ხიდიდან მუხრანის ხიდამდე. ეს იყო ჩემი ბავშვობის ქვეყანა: უბანს მტკვარზე დაკიდებული აივნიანი სახლები, მდინარის წისქვილები, მყუდრო ეზოები, ვიწრო ქუჩები, შესახვევები, ჩიხები, პატარ-პატარა მაღაზიები და დუქნები, თონეები და ღვინის სარდაფები, სამჭედლოები და სამღებროები ჯერ კიდევ შემორჩენოდა და მთელი ქალაქის წინაშე თავის მოწონებასაც ცდილობდა, როგორც ძველისა და სხვაგან დავიწყებულის შემნახავი და პატივისმცემელი...

სულ მეჩვენებოდა, ამ სამყაროდან არკი წამიყვანეს, მის შუაგულს ძალით მომწყვიტეს და სხვაგან მომისროლეს. ბავშვობისას არაერთხელ მიგრძვნია, უთბილისოდ, უფრო ზუსტად, ჩემი უბნისა და განსაკუთრებით მტკვრის გარეშე ყოფნა არ შემეძლო. ამას უფრო ზაფხულობით ვგრძნობდი, როცა ჩვენებს ქალაქიდან გავყავდი დასასვენებლად. გავიდოდა მცირე დრო და შემეყრებოდა სევდა ჩემი უბნისა, ჩემი მდინარისა, რომლის ნაპირზე აღმოვცენდი და ისე შევისისხლხორცე, თუ მისი ხმა არ მესმოდა, ჩემთვის სიმშვიდე არ არსებობ-

და. მტკვრის ხმაური ჩემთვის სიჩუმე იყო და სიმყუდროვის პირველი ნიშანი.

კარგად მახსოვს, ჩვენს სახლში სტუმარი თითქმის არ ილოდა, მოდიოდნენ სადილად, ვახშმად. ანდა უბრალოდ — მურაბიანი ჩაის დასალევად, გულისგადასაყოლებლად, საჭორაოდ.

ამ დროს საღამოს სიმყუდროვეში ხშირად გამიგონია შეშფოთებული შეძახილი სტუმრისა, რომელმაც ეს-ესაა მიაყურა გარედან შემოღწეულ წვიმის თქარუნის მსგავს ხმას.

— ეს რაა, წვიმა წამოვიდა?!

— არა, მტკვარი ხმაურობს. — მშვიდად უპასუხებდა დედა და საბოდიშო ღიმილით ამშვიდებდა წვიმისათვის მოუმზადებლად, შილიფად ჩაცმულ სტუმრებს, რომელთაც შეშფოთება თუ წუხილი ამ ხმაურის პირველადმომჩენისაგან გადასდებოდათ.

ასე მეორდებოდა ყოველთვის, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სტუმარი პირველად იყო ჩვენთან, მეორედ თუ მესამედ, რადგან ძველი დავიწყებოდათ და კვლავ შეშფოთებულები კითხულობდნენ:

— ეს რაა, წვიმა დაიწყო?!

— არა, მტკვარი ხმაურობს. — ამშვიდებდა დედა და ახლაც მკრთალად იღიმებოდა.

— ახ, მტკვარი! — იტყოდა ვინმე უკვე რამდენჯერმე შემცდარი და გაცბუნებული, მერმე ნათქვამს გესლსაც გაურევდა გულმავიწყობის საკომპენსაციოდ, — მართლა, სულ მავიწყდება, თქვენ ხომ მდინარის პირას ცხოვრობთ... როგორც სოფელში.

მაშინ ყველა სოფელი ამქვეყნად მდინარის პირას მეგონა გაშენებული. სტუმრის ირონია ალბათ კარგად არ მესმოდა და არც მაინტერესებდა, საით იყო მიმართული ან ვისთვის იყო გამიზნული, მე ჩვეულებრივად მსიამოვნებდა, სტუმრებს რომ ეშლებოდათ და მტკვრის ხმაური წვიმის შხაპუნად თუ თქარუნად ეჩვენებოდათ. დავიძაბებოდი, სმენას გავამახვილებდი და ახლა უკვე მეც მესმოდა მდინარის მშვენიერი შრიალი, რომელიც ჩემთვის თითქოს იმ წუთს აღმოვაჩინე. მერმე აივანზე გავიდოდი და საღამოს ბინდბუნდში მანამდე ჩავცქე-

როდი ტალღების კრთომას, სანამ ეს საოცარი ხმები ჩემი სმენის მიღმა არ აღმოჩნდებოდა.

წლების მანძილზე-თანდათან მივიშინაურე მტკვარი, შევეჩვიე, გავითავისე, დედა მიშლიდა, თორემ შემეძლო მთელი დღე — დილიდან დაღამებამდე — მტკვრის ნაპირზე გამეტარებინა, არც საჭმელი მინდოდა და არც სასმელი, ჩემთვის რომ ეკითხათ, აღარც სკოლაში წავიდოდი. ახლაც ვერ ამიხსნია ასეთი გიჟური სწრაფვა ამ მდინარისაკენ. ქუჩიდან ეზოში შემოსული პირველად მტკვარს გადავხედავდი, თანაც ისე ვღელავდი, თითქოს იქ აღარ დამხვდებოდა.

მტკვარს ვაკვირდებოდი და ვიმახსოვრებდი მის ხასიათს, ზნეს, დინებათა მიმართულებას, ფერს, იერს, რადგან ჩემ მდინარედ ვთვლიდი. მე ერთთავად მენავეებთან, მეთევზეებთან და მეწისქვილეებთან ვტრიალებდი, ყურს ვუგდებდი მათ საუბარს. განსაკუთრებით მსიამოვნებდა, თუ მტკვარზე ლაპარაკობდნენ. მტკვარი ხშირად იცვლიდა ფერს და უკვე ბავშვმა ვიცოდი მიზეზი ამ ფერის ცვალებადობისა: თუ მოყვითალო-თიხისფრად მოედინებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბორჯომის ხეობაში ან უფრო იქით, ჩემთვის იმ დროს აბსტრაქტულ მესხეთში გაწვიმებულიყო, ხოლო თუ მდინარე შავად ამღვრეულ, ქვიშიან ტალღებს მოაგორებდა, ეს ფერი არაგვს ედებოდა ბრალად — არაგვის ხეობაში წვიმდა...

სოფლიდან გამოქცეული გზისპირა ფერდობზე ვზივარ და ალაზნის ველს გადავცქერი.

ალაზანი საკმაო მანძილით იყო ჩვენს სოფელს დაშორებული, მიუხედავად ამისა, სოფლის ბავშვებთან ერთად ხშირად დავდიოდი ალაზანზე სათევზაოდ თუ საბანაოდ, სწორედ ამ გზით მივეშურებოდი და აქედან რომ გადავხედავდი მდინარეს, გული გადამიქანდებოდა აღელვებისაგან, მაგრამ ახლოს მისულს რატომღაც აღარ მაღელვებდა მშვენიერ ჭალებად ატეხილი, დროდადრო განტოტილი ალაზნის ნაპირები. გაშინაურებასა და გათავისებას ვერ ვახერხებდი, თითქოს მეშინოდა კიდეც მისი და ვეკრძალებოდი. საჩემოდ ერთხელაც ვერ მოვიხელთე, თითქოს სხვას ეკუთვნოდა და ამიტომაც მისხლტებოდა ხელიდან... ახლა ისე დავცქერი, როგორც დაკარგულ შესაძლებლობას. გული ყელში მებჯინება და მოულოდნელად განშორების სევდა მიპყრობს...

წამოვდექი, ტანსაცმელი დავიბერტყე, პალტოს საყელო ავიწიე და საქმიანად განვაგრძე გზა. უცებ გავიგონე ნაცნობი ხმა და ადგილზევე გავშეშდი.

— ოზო!

რა თქმა უნდა, ეს ანანოა!

ანანოს ხმის გაგონებისთანავე მივხვდი: დღევანდელი გეგმა ჩამეფუშა და ჩემი თბილისს გამგზავრება კარგა ხნით გადაიდო. ერთი კი გავიფიქრე, გავიქცევი, ანანო რას დამეწევა-მეთქი, მაგრამ როგორც კი უკან მოვიხედე და დაღლილსა თუ გატანჯულ სახეს, მოშტერებულ მწვანე ბივრიტისფერ თვალებს წავაწყდი, მუხლები მომეკვეთა და ჩავიკეცე.

ათიოდე ნაბიჯზე იდგა, თავშალმოხვეული, ზემოდან დამცქეროდა და ხმას არ იღებდა, იქნებ ვერც ახერხებდა სიტყვის თქმას, არ ვიცი. ერთხანს ასე ვიდექით, მე მუხლჩაკეცილი, ის — მდუმარედ თავსწამომდგარი. ამ დუმილში მთელი არსებით ვიგრძენი, ანანო ხსნასავით მომეევლინა. რადგან ჩემი სულიერი ლტოლვანი და მისწრაფებანი საგრძნობლად აჭარბებდა ჩემს ფიზიკურ შესაძლებლობას.

— შენ რა, ფეხზე ვერა დგები? — მკითხა ანანომ.

— ახლავე! — მოკლედ ვუპასუხე და წამოვდექი.

— ამ აღმართს ამოივლი, თუ მოგეხმარო?

— ამოვივლი.

ანანო გატრიალდა და თვალს მიეფარა. ნამდვილად გამიჭირდა იმ პატარა აღმართის ავლა, ფეხის კუნთები მტკიოდა და სხეულიც დამმძიმებოდა. აღმართი რომ ავათავე, დავინახე: სოფლისკენ მიმავალ სწორსა, და, როგორც მეჩვენებოდა, დაუსრულებელ გზას ანანო მიჰყვებოდა თავდახრილი, არ ჩქარობდა, ნაბიჯს ფრთხილად ადგამდა, თითქოს ელოდებოდა, როდის დამეწევაო...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ აქამდე არ მავიწყდება დაღვრემილი გზატკეცილი, რომელსაც უჩუმრად მივყვებოდით ორნი: ანანო სამიოდე ნაბიჯით წინ მიდიოდა, მე კი თოკგამობმულ ხბოსავით მორჩილად მივდევდი უკან. არ მავიწყდება, რადგან სწორედ იმ დღეს ჩემ წინ მიმავალმა, თავშალმოხვეულმა ქალმა პირველად მაგრძნობინა, რომ მე, ხშირად სხვის საქციელთა განმკითხავ ჭაბუკს, თუნდაც მახლობელი ადამიანის თანაგრძნობა, მისი ტკივილისა და საწუ-

ხარის გაზიარება არ შემეძლო. წინასწარ ვიცოდი, ანანო არც გაქცევის მიზეზს შემეკითხებოდა და არც დამტუქსავდა უგუნური საქციელის გამო. ისე კი უსათუოდ რაღაცას მეტყოდა, თითქოს სხვათა შორის, წყნარად, ღიმილნარევად და ეს ნათქვამი, შესაძლოა, უფრო მწარე და მტკივნეული გამომდგარიყო, ვიდრე დატუქსვა.

ასეც მოხდა.

წეღანვე ვთქვი, უკან მოვიხედე და ანანოს დაღლილი და გატანჯული სახე დავინახე-მეთქი. მერმე ფეხდაფეხ მიმდევარს სინდისმა დამიწყო ქენჯნა... მართლაც, რისთვის ანდა რა უფლებით მივაყენე ამ ქალს ამდენი ტკივილი? თითქოს ის არ ეყოფა, რომ მაჭმევს, მაცმევს, მინახავს, ახალი სადარდებელი გავუჩინე, ღობე-ღობე, შარა-შარა დამდევს, რამე სისულელე არ ჩაიდინოსო. გუნებაში გადავწყვიტე, ამგვარი ქარაფშუტობითა თუ თავქარიანობით ანანოს აღარ შევაწუხებ-მეთქი, მაგრამ თვითგვემური ფიქრები ანანომ შემაწყვეტინა.

— ოზო, — მომიბრუნდა და გამიღიმა, მერმე თითქოს ხუმრობით მითხრა, — ამ ყოფაში ჩავარდნილს მტოვებდი, ბიჭო?!

კიდევ კარგი, მიტრიალდა და გზა განაგრძო, არ მინდოდა ენახა, უცებ როგორ გავწითლდი, სახე როგორ წამომენთო. რა თქმა უნდა, იმწამსვე გუშინდელი დილა გამახსენდა, მწარედ ჩაფიქრებული ანანო და ის წუხილი და ტკივილი, რომელიც ფრთხილად გამიმჟღავნა. ისიც გამახსენდა, კარიაულებისაგან მომავალი ნახევრად ბნელ ეკლესიაში რომ აღმოვჩნდი. იქ ხომ ანანო იდგა საკურთხეველთან დანთებულ სანთელს მიშტერებული. ეტყობა, ტკივილი უფრო მძაფრი იყო, ვიდრე მე ჩავთვალე ან მეგონა და მთელი დღე, შემდეგ საღამო, საკუთარ გრძნობებს აყოლილმა უზრუნველად გავატარე, არც ანანო გამხსენებია და არც საბა.

იქნებ ჯერჯერობით შინაგანად არ ვიყავი მზად სხვისი თანაგრძნობისათვის, არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი ან რით გამომეხატა ეს თანაგრძნობა, მაგრამ, როცა თავს ჩავუბრუნდი, ვიგრძენი, რომ მე არ მაწუხებდა ანანოს საწუხარი, არც ანანოს სატკივარი მტკიოდა. ვითომ ბოლომდე ვერ გავიგე, ვინ იყო საბა და რა ურთიერთობა ჰქონდა ანანოსთან? ის, რასაც მე ვფიქრობდი, რისი ეშვიც მქონდა, თანაგრძნობით კი არ მმსჭვალავდა, პირიქით, მაღიზიანებდა.

მაგრამ ანანო ხომ იტანჯებოდა?!

მთავარი მაინც სხვა იყო... ანანომ გამანდო საიდუმლო, რომელსაც ალბათ ქვეყნად არავის უმხელდა, ეტყობა, მიიჩნია, რომ მე ვარ ის ადამიანი, ვისთვისაც შეიძლებოდა დაფარული ტკივილების გამჟღავნება... ერთი სიტყვით, კაცად მცნო, მაღიარა და მენდო. ალბათ, ჩემგან დიდ ნუგეშის ცემას არც მოითხოვდა, მხოლოდ უნდოდა გვერდით ვყოლოდი, როგორც თანამდგომი, ვისაც სათქმელს ეტყოდა, ვისთანაც გულს გადაშლიდა და მოიოხებდა.

5

ანანომ თუნუქის ღუმელი ჩემს ოთახში შემოიტანა, სიპატარავის გამო ოთახს ნაკლები შეშა სჭირდებოდა გასათბობად. აქ ვსაუზმობდით, აქვე ვსადილობდით და ვვახშმობდით, ძილის დრო რომ დადგებოდა, ანანო დასაძინებლად დიდ ოთახში გადიოდა, მე მარტო ვრჩებოდი და კარგა ხანს ვკითხულობდი წიგნს ან ჟურნალს, ან გაკვეთილს ვამზადებდი. მხოლოდ ზამთრობით ვახერხებდი წიგნების კითხვას, სხვა დროს მოცლა არა მქონდა: აღრიანი გაზაფხულიდან ზაფხულის მიწურულამდე მოსწავლეები თითქმის კოლმეურნეობის მინდვრებში ვაღამებდით: ვთოხნიდით, ვმარგლავდით, ვაზს ვფურჩნიდით, დაღლილ-დაქანცულნი გვიან ვბრუნდებოდით და გაკვეთილებსაც რის ვაი-ვაგლახით ვერეოდით.

და, აჰა, ჩამორიგდა მოსაწყენი და ერთფეროვანი ზამთრის დღეები, სკოლიდან დაბრუნებული ისევ ემეცადინეობ, ისევ ათასჯერ წაკითხულ წიგნებსა და ძველ ჟურნალებს ვფურცლავ. აღარც ეს საქმე მიტაცებს, რადგან ყველა წიგნი და ჟურნალი ზეპირად ვიცი. ჩემს ოთახში თბილა და ანანოც მთელი დღე აქ ტრიალებს, ან ქსოვს, ან აუთოვებს, ან გაცვეთილ წინდებსა კემსავს. არავითარ ყურადღებასა და ნუგეშს არ მოითხოვს ჩემგან, თითქოს კმაყოფილია, რომ მე შინ ვყავარ მოყუჩებული, მივლის და ზრუნვას არ მაკლებს... თითქოს ქვეყნად სხვა არა უნდა რა, მხოლოდ ერთადერთი მიზანი ასულდგმულებს: ომიდან დაბრუნებულ ძმას საღსალამათი შვილი დაახვედროს, მაგრამ ბრმა და უგრძნობელი უნდა იყო, რომ არ შეამჩნიო ის ცვლილება, რომელიც ანანომ ასე მოკლე დროში განიცადა.

ბევრი ლაპარაკი არასოდეს ჰყვარებია, ბოლო ორი-სამი კვირის მანძილზე კი სულ მთლად დამუნჯდა, უფრო გულჩათხრობილი და პირქუში გახდა. ზოგჯერ სინანულით გავიფიქრებდი, — ასე თუ გააგრძელა, ეს ქალი გაზაფხულს ვერ მიატანსმეთქი. ერთი-ორჯერ გართობაც ვცადე, ბავშვობისდროინდელი რაღაც გავიხსენე, თბილისური, ჩემი აზრით — სასაცილო ამბავი. არ ამყვა, არ დაინტერესდა. ვერ გავიგე, მისმენდა თუ არ მისმენდა, გარეგნულად არაფერი დასტყობია. მე კი, სულელი, სიცილით ვიჭაჭებოდი. მერმე ცუდ გუნებაზე ვდგებოდი, დუმილი გამთიშველად მოქმედებდა და ჩემსავე არსებაში, როგორც უფსკრულში, მიმაქანებდა.

მაშინ, როცა აქაურობა მივატოვე და გავიქეცი, არ ვიცოდი, რას გავურბოდი, მაგრამ ახლა თუ გავიქეცი, უკვე მეცოდინება, რას გავურბივარ... ვეღარ ვუძლებ დაგუბებულ დუმილს, რომელმაც ანანოსთან ერთად მძიმე გარსში მომაქცია და ამ გარსს თავი რომ დავაღწიო, იმედიც არა მაქვს.

იქნებ ამიტომაც ჩვენს მკვდრულ მდუმარებაში ნელ-ნელა ზემოვიტყუე ზიზი, წარმოსახული სიახლოვითა და საუბრებით როგორმე მაინც რომ დამერღვია მოჩვენებითი მყუდროება, სიჩუმე, რომელიც საშინლად მძაბავდა და ჩემსა და ანანოს შორის წარმოქმნილ პატარა ბზარს თანდათან აფართოებდა და აღრმავებდა. საღამოობით ზიზიზე ფიქრი და მასთან სიახლოვის წარმოდგენა მოთხოვნილებად მექცა, ხოლო ამგვარი ფიქრისა და წარმოსახვის შემდეგ უკვე თავს ვაჯერებდი და ვარწმუნებდი, — ზიზი მიყვარს-მეთქი. ის, რაც იმ დღეს გარდამხდა, არც ისე სამარცხვინო აღმოჩნდა, როგორც მაშინ მომეჩვენა და რისთვისაც რამდენჯერმე გავწითლდი და სინდისმაც შემაწუხა. ერთადერთი, რითაც აუნაზღაურებელი ზარალი მივაყენე მარო მასწავლებლის ეზოს, ეტყობა, ის იყო, რომ მთვრალს თურმე ვარდის ბუჩქები გადამიჯეგია. თითქოს ნახირს გადაუვლიაო, — ასე თქვა ზიზიმ. სამაგიეროდ მეც გვარიანად დამეკაწრა ფეხები და ნაკაწრი კარგა ხანს მეწოდა. სამიოდე დღის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აღარავის ახსოვდა. იმას კი, რაც ჩემში მოულოდნელად აღორძინდა, ანანოს ვუმალავდი, რადგან კარგად ვიცოდი მისი აზრიც, დამოკიდებულებაც ზიზისა და, საერთოდ მათი ოჯახისადმი. ამიტომ ვითომ წიგნებში ჩაფლული ვფიქრობდი ჩემთვის, ხანდა-

ხან ფიქრშივე ახლოს მოვისვამდი ზიზის, ველაპარაკებოდი და ვეკამათებოდი, თან ათას სისულელეს ვეუბნებოდი და ვუმტკიცებდი... სწორედ ერთ-ერთ ასეთ საღამოს გავარკვიე, რომ მე არარაობა ვარ, უკვე მეათე კლასს, ანუ საშუალო სკოლას ვამთავრებ და წარმოდგენაც კი არა მაქვს, სკოლის დამთავრების შემდეგ რას ვაპირებ, რისი გაკეთება მსურს. ზიზიმ იცოდა, რა უნდოდა, სად მიდიოდა: გზა ჰქონდა არჩეული, მე — არა. მას ჰქონდა გარკვეული და ნათლად წარმოდგენილი მიზანიც, რომლისკენ ლტოლვას ვერავინ გადაეღობებოდა, თუმცა ამას ზოგიერთნი დაუფარავად ცდილობდნენ კიდეც. მე ისიც არ ვიცოდი, სად უნდა გამეგრძელებინა სწავლა, ან მინდოდა კი სწავლის გაგრძელება? ზიზიმ ერთი-ორჯერ, თითქოს სხვათა შორის, მკითხა კიდეც — რას ფიქრობ, რას აპირებო? მაგრამ მე გაჩუმება და სიტყვის ბანზე აგდება ვამჯობინე, რადგან ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო, თუნდაც იმიტომ, რომ მანამდე ასეთი კითხვები არ მაწუხებდა და არც დავფიქრებულვარ: — ამ ცხოვრებისაგან რა მინდა ან თვითონ ცხოვრება ჩემგან რას მოითხოვს-მეთქი? ამასობაში ზიზი მიდიოდა წინ, ვერაფერი აჩერებდა: ლექსებს, მოთხრობებს, მონოლოგებს იზეპირებდა, სკოლაში თეატრალიზებულ საღამოებს მართავდა, იბრძოდა, იღვწოდა... ერთი სიტყვით, თავისი დაუმცხრალი ენერგიითა და ნიჭით ყველას აცვიფრებდა.

მე კი საღამოობით ჩემს ოთახში ანანოსთან ერთად გამოკეტილი ისევ ზიზიზე ვფიქრობდი და მასთან შეხვედრის სახვალიო გეგმებს ვაწყობდი. გეგმა ძალზე მარტივი იყო: სკოლაში მიმავალი ზიზი უსათუოდ ჩვენი სახლის წინ ჩაივლიდა. დილით დავუდარაჯდებოდი და გავყვებოდი, მერმე სკოლამდე ერთად ვივლიდით და თუ გზაში შევთანხმდებოდით, სკოლიდანაც წყვილად დავბრუნდებოდით უკან... ასეთ აბსურდზე ვხარჯავდი დროს... ჩემი გეგმის განხორციელებას სრულებითაც არ სჭირდებოდა წინასწარი მზადება და საგანგებო თადარიგის დაჭერა. ჯერ ერთი, ზიზი არც მემალებოდა და არც თავს მარიდებდა, პირიქით, სულ ცდილობდა ჩემს ახლომახლო ეტრიალა. მეორეც, ჩვენთვის არავის დაუშლია და აუკრძალავს, არამც და არამც ერთმანეთს არ შეხვდეთო...

მაგრამ ჩემთვის სხვა რამ იყო გაუგებარი და აუხსნელი: როგორც კი დილით ფანჯრიდან დავინახავდი სკოლისკენ მიმა-

ვალ ზიზის, მასთან შეხვედრის ყოველგვარი სურვილი მიქრებოდა. ასევე მემართებოდა სკოლაშიც, ათასნაირად ვთვალთმაქცობდი, დასვენებაზე ზიზის რომ არ გადავყროდი და გაკვეთილების შემდეგ შინ რომ მარტო დავბრუნებულიყავი. მაგრამ საღამოხანს, როცა ანანო თავის ხელსაქმეს მიუჯდებოდა, მე კი ვითომ გაკვეთილებს ჩავკირკიტებდი, ისევ ზიზისთან შეხვედრას ვოცნებობდი: ვხედავდი მის ღიმილს, გამომეტყველებას, მოძრაობას, მესმოდა ხმა, მცემდა მისი სურნელი... ხოლო მეორე დღეს კვლავ ქრებოდა და ორთქლდებოდა ყველაფერი, რაც წინა საღამოს მაღელვებდა და მიზიდავდა; უფერულდებოდა ანდა ჩვეულებრივად ერთფეროვანი ხდებოდა, რაც უმშვენიერეს ჰარმონიულ ფერებად მქონდა წარმოსახული და განცდილი.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს ჩემი თავის შემოწმება გადავწყვიტე: გათენებას აღარ დაველოდი, ავდგები და ზიზისთან გადავალ-მეთქი. შეუძლებელი იყო ათიოდე წუთში, ვიდრე მარო მასწავლებლის სახლში მივდიოდი, გამნელებოდა ის გრძნობა, რომელსაც მთელი საღამო ვყავდი შეპყრობილი. მე ხომ ზიზის გვერდით მინდოდა ყოფნა, მისი ცქერა, მისი ხმის გაგონება, მისი სურნელით თრობა. აჰა, ბატონო, ინებე ზიზი! არც მეტი, არც ნაკლები, სულ რამდენიმე წუთი სჭირდება მის სახლამდე მისვლას!

ხვალისთვის ნუ გადასდებ საქმეს, ხვალამდე დიდი დროა!

ანანოს ვუთხარი, — ალგებრის დავალება დამავიწყდა, ერთი ზიზისთან გადავალ და დავაზუსტებ-მეთქი. პალტო მოვიხურე და ისე სწრაფად გავედი გარეთ, თითქოს მოსალოდნელ ხიფათს ერთი ფეხით გავასწარი. ეზოში გვარიანად იდო თოვლი, ფეხი მისრიალებდა. სიბნელეში ძლივს გავიკვლიე გზა ჭიშკრამდე. ჭიშკართან მისული შევყოვნდი, რადგან მივხვდი... უფრო ზუსტად, მივხვდი და, რა თქმა უნდა, იმიტომაც შევყოვნდი; მე ეზოდან ფეხის გამდგმელი არ ვიყავი. ეს არც ჩემი გაუბედაობით მომდიოდა, არც კრძალულებით. ზიზისთან მისვლა არ მინდოდა, მისი დანახვა და ხმის გაგონება ამ წუთას არ შემეძლო. მიზეზი ისევ აუხსნელი რჩებოდა. თუმცა რა, ამ მიზეზთა ფესვების მოძიებისათვის მაინცდამაინც თავი არ შემიწუხებია, უფრო სურვილის — მინდა-არმინდას —მონა-მორჩილი ვრჩებოდი.

მაშინვე დავბრუნდი. აღარ მახსოვდა, შინიდან გამოსვლისას შევხედეთ თუ არა მე და ანანომ ერთმანეთს. სახის გამომეტყველება მაინტერესებდა, ტყუილი რომ ვუთხარი, ხომ არ მიმიხვდა-მეთქი, მაგრამ გინდაც შემეხედა, ანანოს სახეზე რას შეატყობ, რას გაუგებ? აივანზე ფეხები დიდხანს ვაბაკუნე, ფეხსაცმელებს, როგორც იქნა, მოვაშორე თოვლი, მერმე საქმიანად შევედი ოთახში და პალტო ტახტზე მოვისროლე.

— უკვე დაბრუნდი, — მკითხა ანანომ, — თუ ჯერ არ წასულხარ?

— არ წავსულვარ. დავალება გზაშივე გამახსენდა და რატომ წავიდოდი! — როგორღაც დამაჯერებლად გამომივიდა ნათქვამი და კმაყოფილმა მოვიფშვნიტე ხელები.

— ჰოო, თუ გზაშივე გაგახსენდა, რატომღა წახვიდოდი?— ანანო საქმით იყო გართული და თავი არ აუღია. მეორე დღეა, წინდებს მიქსოვს.

— რთული საგანია ალგებრა, — ვთქვი და სახელმძღვანელოს დავუწყე ფურცვლა, — მაგრამ არა უშავს...

— კი, რთულია... ოღონდ, თუ თავიდანვე აუღებ ალღოს, მერმე არ უნდა გაგიჭირდეს. ისე, თუკი გიჭირს, დაგეხმარები, რაღაც-რაღაცები მე კიდევ მახსოვს.

ჩვენი ალგებრული დიალოგი აქ დამთავრდა. ამასობაში გარედან ვიღაცამ დაუძახა ანანოს.

— ეს ფოსტალიონია! — წამოიძახა ანანომ და კარისკენ გაიჭრა.

ფოსტალიონმა თავი მოიკლა, შინ ფეხი არ შემოდგა, ქვეყანაზე მარტო თქვენ ხომ არა ხართ, ვითომ ათასგანა ვარ მისასვლელიო, — გარედანვე მოგვაწოდა სამკუთხა ბარათი და ბუზღუნ-ბუზღუნით წავიდა, სიბნელეში დაინთქა. ანანო ხვეწნა-მუდარით დაედევნა, მაგრამ მალევე გაწბილებული მობრუნდა. ერთი პირქუში ბერიკაცი იყო ეს ფოსტალიონი, თუმცა სოფელში ყველას უყვარდა, პატივსა სცემდა და გულისფანცქალითაც ელოდებოდა მის გამოჩენას.

— მამაშენის წერილია! — მითხრა ანანომ, — ერთი გახსენი და წაიკითხე!

სასწრაფოდ მივუსხედით მაგიდას. მე ჩემი წიგნები მივწიმოვწიე, მბჟუტავი ლამპა ახლოს მივიდგი და სამკუთხა ბარათი ფრთხილად გავხსენი. წერილიდან პირდაპირ სანიმუშო ოპ-

ტიმიზმის ალი ამოვარდა. რა სხვანაირი კაცი იყო მამაჩემი! აქეთ გვანუგეშებდა და გვამხნევებდა, მოთმინებით, იმედითა და სიხარულით გვავსებდა. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ომს მამაჩემი იგებდა, ყოველ შემთხვევაში, მამა რომ არ წასულიყო, ძალზე გაუჭირდებოდათ ომის მოგება. გაზაფხულზე ყველაფერი მოთავებული გვექნებაო, მეც მაშინვე დავბრუნდები და მერმე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

— ხედავ, რა კაცია! — თქვა ანანომ, — შენისთანა მამა ქვეყანაზე არავისა ჰყავს!

ანანო თითქოს თვალსა და ხელს შუა გამოცვლილიყო. დიდი ხანია არ მენახა ასე გაღიმებული, შინაგანი კმაყოფილება გარეთ გამოეტანა, სახესა და თვალებზე აღბეჭდოდა. მეც თითქოს მძიმე ლოდი მომეხსნა გულზე და ბედნიერი შევცქეროდი ანანოს საქმიანობას. უცებ გააწყო ვახშამი, მაგიდაზე ერთი ჩარექა ღვინოც დადგა. სველი დოქის შემოტანისას კინაღამ გული ამერია, უფრო იმის გამო, რომ სველმა დოქმა მაშინვე მარნისა თუ ღვინის მსუყე სუნი დააგუბა ოთახში. ანანომ ღუმელზე სახელდახელოდ შეწვა ერბოკვერცხი და ტაფიანად დამიდგა წინ. ღორის ქონში შემწვარმა კვერცხმა უკვე სხვა, სასიამოვნო, მადისაღმძვრელი სურნელი, სწორედ რომ სურნელი, მოაფრქვია ირგვლივ და ჩვენც შევუდექით ვახშამს. ყველი, პური, ერბოკვერცხი — ნამდვილად მეფური ვახშამი იყო!

ანანომ პატარა, საარყე ჭიქაში ჩამოასხა ღვინო, მამაჩემი ადღეგრძელა, შინ მშვიდობითა და გამარჯვებით დაბრუნება უსურვა, დღევანდელი სიხარულისათვის მადლობა შეუთვალა და ჭიქა გამოცალა.

— ცოტა მაინც მოსვი, — ახლა მე მომიბრუნდა, — სხვა რომ არა იყოს რა, მამაშენის სადღეგრძელოა!

— არ შემიძლია, ღვინის დანახვაც კი მზარავს!

— მაშ, რა გეგონა, პირველსავე ცდაზე რომ დოქები მიიყუდე! ღვინოს თანდათან, ნება-ნება უყვარს მოშინაურება და შეჩვევა, არ უნდა გაუთამამდე და არც აბუჩად აიგდო, ღვინო, წამალივით, მტერიც არის და მოყვარეც, როგორც მოეპყრობი, ისე მოგაქცევს... ახლა ცოტა შესვი, სხვანაირად არ გამოვა. შეირგე და ამაღამ კარგად დაგეძინება.

ძალზე გამიჭირდა, მაგრამ რა მექნა, ანანოს ხათრი ვეღარ

გავუტეხე და რამდენიმე ყლუპი ისე გადავკარი, რომ სუნი არ მცემოდა. მეგონა, გული ამერეოდა, პირიქით კი მოხდა, ღვინომ მაშინდელივით საამო ჟრუანტელად დამიარა სხეულში. ანანომ ხელმეორედ შეავსო ჭიქები, მე წინდაწინვე ვიცოდი, რის თქმასაც აპირებდა.

იმ ხანებში და შემდეგაც, წლების მანძილზე შინმოუსვლელთა სადღეგრძელო სავალდებულოდ ითვლებოდა. სულ სამიოდე ჭიქაც რომ შეესვათ, ერთ-ერთი უსათუოდ შინმოუსვლელისა უნდა ყოფილიყო. ამ სადღეგრძელოს თქმა ბრძანებით არავის დაუკანონებია, თვითონ ცხოვრებამ მოიტანა და ადამიანების შინაგან მოთხოვნილებად აქცია.

ანანომ შინმოუსვლელები ახსენა და, რა თქმა უნდა, საბა იგულისხმა. უმალვე ჩაფიქრდა და მის ბივრიტის ანთებულ თვალებში ფერფლისფერი ნისლი გაწვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წელანდელი მხიარული განწყობილება დასრულდა. თანადგომისთვის თუმცა უსიტყვოდ შეესვი შინმოუსვლელთა სადღეგრძელო, გამომეტყველებით ვაგრძნობინე, — მეც შენთანა ვარ-მეთქი. ანანომ შემომხედა და მადლობის ნიშნად თავი დამიქნია, თან შემპირდა, — ერთ ძველ ამბავს გიამბობო. არაფრის მოსმენა აღარ მინდოდა, რადგან მამაჩემის წერილით გამოწვეული სიხარული უკვე განელებულიყო. ერთი სიტყვით, მე და ანანოს ზეიმი არ გამოგვივიდა. ჩვენ შორის ისევ ჩადგა საბას ლანდი, რომელმაც უცებ გაგვთიშა და სხვადასხვა ნაპირზე მოგვისროლა.

სანამ მე ჩემსას ვფიქრობდი, ანანოს შეპირებული ამბის მოყოლა დაუწყია, ჯერ ვერ ავუღე ალღო, მერმე სწრაფად გავერკვიე, ვიღაც იოთამზე ჰყვებოდა, ღონიერი მწყემსი იყოო, სამოცდაათ წელს მიტანებული ქიზიყის ერთ სოფელში ცხოვრობდაო. ნისლაურშიო... ამ იოთამის ბიოგრაფიით დიდად არ დავინტერესებულვარ, მაინც ველოდი, საბაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს, სულაც არ მეპიტნავებოდა სამოცდაათ წელს მიტანებული მწყემსი, რომელსაც თურმე ხუთიათასამდე სული ცხვარი ჰყოლია. იმთავითვე არ მომეწონა იოთამი: არ შეიძლება კაცს ამდენი ცხვარი ჰყავდეს და პატიოსანი იყოს-მეთქი, — გავიფიქრე. ანანო კი სხვას მარწმუნებდა: თურმე გონიერი, პატიოსანი და მშრომელი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილიო, ვინც მწყემსად დაუდგებოდა, ორი წლის შემდეგ ასსულიან

ნოტოს მოუსხლეტდაო... ანანოს მონაყოლი ზღაპარი მეგონა და გუნებაში მეცინებოდა, არც ეს „თურმე“ მომწონდა, რადგან ამბავს სინამდვილის ნიადაგს აცლიდა და ყველაფერს არყოფილის ბურუსში ხვევდა.

ესეც მეუცნაურა და დაუჯერებელ ამბად მომეჩვენა: თურმე იოთამი ერთი აკვიატებული იდეით, ერთი აზრით ყოფილა შეპყრობილი, — ჯერ მშობლიური ქიზიყი და მერმე მთელი კახეთი უნდა გავამდიდრო და ავაღორძინოო: გამდიდრების წყაროდ კი თუშური ცხვრის მომრავლება მიაჩნდა თურმე.

ისევ „თურმე“!

კოლექტივიზაცია რომ დაწყებულა, სოფელში ვინმე ბარნაბიშვილი მოუვლენიათ. გამოცდილი კაცი ხარ და შენ იცი და სოფელმაო! ბარნაბიშვილს კარგად სცოდნია თავისი საქმე და შესდგომია კიდეც მის აღსრულებას. მალევე ჩამოუყალიბებია კოლექტივი და თავმჯდომარეობაც თვითონვე უკისრია. მერმე ამბავი მიუკითხ-მოუკითხავს და დაკვირვებული მზერა, რა თქმა უნდა, იოთამისათვის მიუპყრია. გაგიჟებულა, ამდენი სული ცხვარი ერთ კაცს რა უფლებითა გყავსო?!

— არავის შევუზღუდივარ, — უთქვამს იოთამს, — ვფიქრობდი, ამ ცხვარს სოფლის საკეთილდღეოდ გავამრავლებ-მეთქი. თუ რამე დანაშაული ჩამიდენია, აქა ვარ, არსად გავრბივარ!

— ეგ ცხვარი დღეიდან სოფლისა და ხალხის საკუთრება იქნება! — მოკლედ მოუჭრია ბარნაბიშვილს.

— იყოს ნება თქვენი! მეც ეგ მინდა! მაშ, ამოდენა ცხვარს მარტო ხომ ვერ მოვერევი.

— ნუ თვალთმაქცობ, იოთამ, მე რას გამაცურებ! სხვა გზა არა გაქვს და თავს იმიტომ იკატუნებ, შენ კულაკი და კერძო მესაკუთრე ხარ!

— კაცო, რას მემართლები, ხომ არ გართმევთ, გაძლევთ! შირაქში რომ ცხვრის ბინები მაქვს, ისიც თქვენი იყოს, მთათუშეთის ბინებიც თქვენთვის მომირთმევია! სხვა რაღა გითხრა?! მეც თქვენთან მიგულეთ, საქმე ვიცი და გამოგადგებით, წყალს გასაყოლებელი კაცი არა ვარ, მე და ჩემმა ღმერთმა!

— ვერ მომატყუებ, იოთამ! — უყვიროდა ბარნაბიშვილი.— ვისაც მხოლოდ ასი თუ ორასი სული ცხვარი ჰყავს, ისინი ვერ შემომიყვანია კოლექტივში და რაღა შენ გამომიხვედი ან-

გელოზი? ხუთი ათას სულს ვითომ ეგრეევე ჰყრი?! დავიჯერო?!

— რატომა ვყრი, კაცო, აკი გაბარებთ? იმასაც გეუბნებით, მწყემსი კაცი ვარ, ცხვრის ავან-ჩავანი ვიცი და გამომიყენეთ-მეთქი!

— ჩვენი წისქვილი ეგრე არა ფქვავს, იოთამ, — უთქვამს ბარნაბიშვილს, — შენ წურბელა ხარ და თავიდან უნდა მოგიშორო. სანამ შენ ამ სოფელში იბოგინებ, მაგ ცხვარს მაინც შენს საკუთრებად ჩასთვლი, ამიტომ შენთვისაც და საქმისთვისაც, შენთვისაც და სოფლისთვისაც უმჯობესი იქნება, გუდა-ნაბადი აიყარო და წახვიდე, აქაურობას გაეცალო.

— სად წავიდე, კაცო?

— სადაც გინდა, ქვეყანა დიდია!

— სხვაგან რა ოხრობა მინდა!.. ჩემს მამა-პაპათ აქ უცხოვრიათ, აქვე დახოცილან... ეს არის იმათი საფლავი, იმათი მიწა... სად წავეხეტო, კაცო, ღმერთი აღარ არის?!

— აღარ არის! ვერ გაიგე?!

— ვერც გავიგებ! ეგ როგორ გავიგო?! მაძევებ, შე უღმერთო?!

— არ გაძევებ, იოთამ, გეუბნები, შენი ნებით აიყარე-მეთქი გუდა-ნაბადი. თუ არ აიყრი, მაშინ გაგაძევებ. ჯერ გაგაკულაკებ, ქვეყანაზე თავს მოგჭრი, მერმე გაგაპანღურებ კიდეც.

— ეგრე უდიერად რატომ მელაპარაკები, ბარნაბიშვილო, ჩემთან ბავშვი ხარ და არ გეკადრება! რა დავუშავე, ვის რა ბალღამი ვასვი?! მეგონა ქვეყნად სიკეთეს ვთესავ-მეთქი... ხედავ, ყველაფერი ხელუკუღმა როგორ შემომიბრუნდა?!

— ასეთია მთავრობის გადაწყვეტილება!

— მთავრობისა თუ შენი?

— მე მთავრობის წარმომადგენელი ვარ!

— შენა ხარ მთავრობა?! — აღელვებულა იოთამი, წონასწორობა დაუკარგავს, — შენისთანა თახსირი კაცი არ შეიძლება მთავრობა იყოს!

იოთამს სხვაც ბევრი უთქვამს — სულ სალანძღავი და მაგარ-მაგარი, საცემადაც გაწეულა, მაგრამ ბარნაბიშვილს თან ვიღაც-ვიღაცები ხლებია და არ მიუშვიათ, დაუჭერიათ. ბარნაბიშვილს წარბიც არ შეუხრია.

— წახვალ თუ არა შენი ნებით?

— წავა, წავა, მაშ, რას იზამს! — დაუმშვიდებიათ ბარნაბიშვილი დამქაშებს.

— იოთამ, ცოლ-შვილი მაინც შეიბრალე! — ეს იყო ბარნაბიშვილის უკანასკნელი გაფრთხილება-მუქარა, ცოლ-შვილიანად გაგაუბედურებო.

იოთამი მიმხვდარა, რომ ბარნაბიშვილი ლიტონ სიტყვებს არ ისროდა, იგი იმუქრებოდა და ძალიც შესწევდა ქადილისა. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, უფიქრია, ბარნაბიშვილი გვერდზე გაუყვანია და უთქვამს:

— ჩემს ცოლ-შვილს რაღას ერჩი, განა მე სამყოფი არა ვარო? — იოთამს თვრამეტი წლის დედისერთა ვაჟი ჰყოლია, გვიან გასჩენია და ამიტომაც ცივ ნიავს არ აკარებდა, მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა თურმე.

— თუ ჭკვიანად მოიქცევი, შენს ოჯახს თითსაც ვერავინ დააკარებსო.

— ჭკვიანად როგორღა მოვიქცეო?

— რაც გითხარ, ისა ჰქმენ... აქ მომხდარი აქვე უნდა მოკვდესო!

— რანაირადო?.. მთელი ბატალიონი ხალხი წამოგილალია და მაგათი პირის ამკვრელი ვინ არისო.

— შენ არხეინად იყავი, ეგენი ხმის ამომღებნი არ არიანო.

— სიტყვა სიტყვა იქნებაო?

— სიტყვა სიტყვაოო!

აქ შეწყვეტილა მათი საუბარი. იოთამი მაშინვე შემჯდარა ცხენზე და სოფლისკენ აუღია გეზი.

— ეს ამბავი ადრე გაზაფხულზე მომხდარა. — განაგრძობდა ანანო, — მე თავიდანვე არ მითქვამს, იმ დროს იოთამი თურმე შირაქიდან მოდენილა, ზამთრის საძოვრებიდან, იქ თადარიგი დაუჭერია: მალე ცხვარი უნდა აეყარათ, რომ მთისკენ დაძრულიყვნენ. შირაქში მწყემსებისათვის დაუბარებია, ერთ კვირაში დავბრუნდებიო. ბარნაბიშვილი კი თავის კაცებიანად დახვედრია ალაზანთან, სანამ სოფლისკენ ალმართს შეუყვებოდა, და ყველაფერი იქ გადაწყვეტილა. იოთამს შინ ვაჟი ელოდებოდა, მამა და შვილი ერთად აპირებდნენ გამგზავრებას ჯერ შირაქში, მერმე იქიდან — მთათუშეთში, იოთამს უგუნებობა ოჯახში არავისთვის უგრძნობინებია, მესამე დღეს ცხენი შეუკაზმავს, საგზალი ხურჯინში ჩაუწყვია, საქ-

მეზე მიედივარო, — სიტყვა დაუგდია და წასულა... წასულა და წასულა, იმ დღის შემდეგ იოთამი სოფელში არავის უნახავს, თითქოს მიწამ უყო პირი, დაიკარგა, გაქრა ადამიანი... მიიკითხეს, მოიკითხეს, მკვდარიც ეძებეს, ცოცხალიც, გადაქექეს ქვეყანა, სულ ტყუილად, იოთამის მნახველი კაციც ვერ იპოვნეს...

ანანო ჩაფიქრდა, ცოტა ხნით შეყოვნდა და მეც ამოვისუნთქე. სახის გამომეტყველებაზე შევატყვე, ამბავი აქ არ მთავრდებოდა, კიდევ დარჩენოდა სათქმელი. შეყოვნებისას ვცადე გამომეცნო, რისთვის მიყვებოდა ანანო ამ ამბავს, რა აწუხებდა. უცებ ეჭვი აღმეძრა, მაგრამ ამ ეჭვის შესამოწმებლად დრო აღარ მეყო. ანანომ ამბის მოყოლა განაგრძო.

იოთამის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემდეგ სამი-ოთხი, შესაძლოა — მეტიც, ყოველ შემთხვევაში იმდენი წელი გასულა, რაც ერთი ადამიანის დავიწყებას სჭირდება... იოთამი აღარავის ახსოვდა, ადრე ხანდახან გაიხსენებდნენ, ისე, კანტი-კუნტად, ხელის ჩაქნევით, — საწყალი, კარგი კაცი იყო, კეთილი... ცხვარი რომ ჩამოართვეს, ჯავრმა გადაიყოლაო, ამდენს ვეღარ გაუძლოო, ღმერთმა აცხონოსო... მხოლოდ შირაქში დარჩენილ ცხვრის ბინებს შერჩენიათ იოთამის სახელი, ისიც ვინმე მწყემსს თუ წამოსცდებოდა ხოლმე, — იოთამის ბინებში ვდგავართო, იოთამის ბინებში მივდივართო, ან იმ ბინებიდან მოვდივართო. ამასაც ისე იტყოდნენ, თითქოს იოთამი უხსოვარ დროს ცხოვრობდა და მისი სახელი მწყემსმა მხოლოდ გადმოცემით იცოდა.

იმ დღიდან, მესამე თუ მეოთხე გაზაფხული დამდგარა. მწყემსები შირაქის ველიდან იყრებიან, მთაში მიდიან. მთელი დღე ბარგსა ჰკრავენ, ცხენებიცა და ცხვარიც მოურეკიათ და ძაღლებიც დაუსვენებიათ. ხვალ დილით აპირებენ გამგზავრებას. საღამო ხანად ნაჯაფრებსა და დაღლილებს თავიანთი სადგომების წინ ცეცხლი გაუჩაღებიათ. სწორედ ეს სადგომები ქვითა და ალიზით აუშენებია ოდესღაც იოთამს მწყემსთა ღამის სათევად, წვიმა-ავდარში თავის შესაფარებლად...

მწყემსები ახლა ცეცხლის გარშემო სხედან, ცეცხლზე სახინკლე ქვაბი შემოუდგამთ და წყლის ადუღებას ელოდებიან, გამგზავრების წინ ცოტა წაქეიფება მონდომებიათ. იქვე ძაღლები დაყრილან, თავისი წილი სალაფავი მიუღიათ და ზარმაცად თვლემენ.

წინ დიდი ველია, თითქოს ქვეყნის კიდემდე ასე მოსაწყენად და ერთფეროვნად გაწვდილი. გაზაფხული ჯერ არ დასტყობია, ჟანგისფერია, ალაგ-ალაგ ჩაშავებული, გეგონება, ზედ ცეცხლის ბორბალს გადაუვლია, ხმელი ბალახი ერთიანად გადაუძოვია და, სიჩქარეში რაც მოუსწრია, აქა-იქ ფესვიანად ამოუბუგია კიდეც.

ჰორიზონტი მარცხნივ უფრო ახლოსაა, ამ მხარეს ველი ოდნავ დაფერდებულია, მწყემსთა სადგომიდან სამასიოდე ნაბიჯის იქით ნელ-ნელა თავქვე ეშვება და მერმე ისევ სწორდება... ამ მხრიდან მომავალი მგზავრი ველზე უცებ ჩნდება, მოულოდნელად, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო.

იმ საღამოს სწორედ აქედან გამოჩენილა ერთი ხელჯოხიანი მგზავრი. პირველად ძაღლებს შეუნიშნავთ, გასაფრთხილებლად შეუყეფიათ კიდეც, მაგრამ უცხო კაცი არ შეჩერებულა, არც ნაბიჯი შეუნელებია, პირდაპირ მოდიოდა სადგომებისაკენ. ძაღლები წამოცვენილან, აჯაგრულან, ახლა უკვე გაავებული ყეფით აფრთხილებდნენ თურმე მომავალს, — ნაბიჯიც და ადგილს მოვწყდებითო. მწყემსებს, რა თქმა უნდა, უმალვე უგრძვნიათ საშიშროება, წამოშლილან, შეუკივლიათ ძაღლებისთვის, დაწოლა და დაშოშმინება უბრძანებიათ. ამჯერად ქოფაკები არ დამორჩილებიან პატრონებს, ბეწვაშლილები ყეფა-ღრენით გაბაწრულან უცხო მგზავრის შესახვედრად.

მწყემსები კეტებით გამოდევნებიან გაცოფებულ ნაგაზებს, მაგრამ სად ძაღლის სისწრაფე და სად ადამიანისა! შორიდანვე შეუმჩნევიათ, რომ უცხო მგზავრი ვიღაც მოხუცი მათხოვარია. ჭაღარა, წვერმოშვებული, ძველ მაზარაში გამოხვეული. ძაღლების ყეფა-ღაღავში მწყემსები გამწარებით უყვირიან თურმე: დაჯექ, მანდვე დაჯექ, ნუ მოდიხარო! (დამჯდარ კაცს რომ ძაღლი არ ერჩის, მეც გამიგონია). მათხოვარი მაინც არ გაჩერებულა, ხელჯოხიანი ჯიუტად მოდიოდა. ალბათ მაგ ჯოხის იმედი აქვსო, — უფიქრიათ მწყემსებს, — ის კი არ იცის უბედურმა, ჯოხიანად რომ შეეჯამენ და შეახრამუნებენო. მოხუცს ჯოხის მოქნევა არ უცდია. ეგ ოხერი თუ ბრმაა, ყრუც ხომ არ იქნებაო, — ჯავრობდნენ მწყემსები, ძაღლების ყეფა მაინც ვერ გაიგონაო?!

ათი ქოფაკი ერთად დასევია ბერიკაცს, ეგრევე გადაუთელიათ, გლეჯა და ფლეთა დაუწყიათ. იქნებ მივუსწროთ და გა-

დავარჩინოთო, — უფრო აჩქარებულან მწყემსები, მერმე გულამოვარდნილები, ოფლში გაწურულები კეტებით თავს დასხმიან გააფთრებულ ძაღლებს.

ახლოს მისულნი თურმე თვალებს არ უჯერებენ: თვალი გვატყუებს თუ რა ხდებაო?! მიწაზე მართლაც საოცარი რამ ხდებოდა: ერთმანეთში არეული და ჩახლართულ-გადახლართული ძაღლები საცოდავად წკმუტუნებენ, წკავ-წკავებენ, გულაღმა გაწოლილ ბერიკაცს სახესა და ხელებს ულოკავენ, რამდენიმე ქოფაკი გვერდით მისწოლია, გატრუნულებსა და განაბულებს ბომბორა თავები ბერიკაცის ტანსაცმელზე დაუსვენებიათ, სხვები ისევ ეხვევიან, ეგლისებიან, ძაღლურად ეალერსებიან. სახეზე ნეტარებააღბეჭდილ ბერიკაცს თავი მიწაზე გადაუგდია და აკანკალებული უხეში ხელებით ძაღლებს ებღაუჭება, ეფერება, უთათუნებს...

ეს ბერიკაცი იოთამი იყო, მწყემსებმაც იცნეს და გაკვირვებულნი დასცქეროდნენ ამ უცნაურ სანახაობას. როგორც ჩანს, ნაგაზებს უფრო ადრე უცვნიათ ძველი პატრონი, მონატრებულები დასევიან, წაუქცევიათ და ამგვარად გამოუხატავთ ძაღლური სიხარული.

მწყემსებმა ყვირილითა და მუქარით ძლივს მოაშორეს ქოფაკები ძველ პატრონს, მერმე წამოაყენეს, ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოუბერტყეს, დაბლა დაგდებული ცარიელი აბგა ზურგზე გადაჰკიდეს და ბინისაკენ წაიყვანეს. მიცნესო, კაცო, მიცნესო! — გზადაგზა წამოიძახებდა თურმე იოთამი და თვალებზე მომდგარ ცრემლს ხელით იმშრალებდა.

ბინებთან მისული სახვალიოდ მორეკილ ცხენებს მიაშტერდა თურმე: ცხენებისკენ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, გაღიმებულმა უკან მოიხედა და ისევ ცხენებისაკენ გაემართა.

— საღარავ! ნისლავ! შამილავ! — ჩურჩულებდა თურმე გაოგნებული, ბერიკაცი, თან ცხენებს აკვირდებოდა და არ-ჩევდა, — შეთევ! შე ვერანავ, ისეთივე გიჟი ხარ, თუ დაჭკვიანდი?!

— გიჟია, გიჟი! მაგას რა დააჭკვიანებდა?! — პასუხობდნენ მწყემსები, თან თვალს ვერ უსწორებდნენ, ზოგი პირსაც არიდებდა.

— ეჰა, მირაბო! — გამოარჩია იოთამმა შავი ცხენი, რო-

მელსაც შუბლზე თეთრი მთვარე აღბეჭდოდა, — მირაბო, ჰაიტ, მირაბო!

მირაბომ ლამაზი შავი ყურები სცქვიტა, მერმე თავი აიღო და ჭიხვინით გაეპასუხა იოთამს.

— მირაბო!

ცხენმა ისევ დაიჭიხვინა.

— მირაბო! ცოცხალი ხარ, შე ოხერო, შენა!

მირაბოს სხვა ცხენებიც აჰყოლიან, თითქმის მთელი რემა აჭიხვინებულა: იოთამისაკენ მობრუნებულნი ტორებს სცემდნენ მიწას და ყალყზე დგებოდნენ...

იოთამს ორივე ხელი ცისკენ აუპყრია და მოწყვეტით დაშვებულა მიწაზე.

— დიდება შენს სახელს, შენი სახელის ჭირიმე! — უთქვამს ჩურჩულით და რის ვაი-ვაგლახით ისევ წამომდგარა.

ამასობაში ბევრი რამ მოუსწრიათ ბიჭებს, აქაფებულ ქვაბიდან ხინკალი ამოუყრიათ, თოხლი დაუკლავთ, გაუტყავებიათ, სამწვადე ხორცს ცალკე აწყობენ და საყაურმეს — ცალკე...

იოთამი კი ცეცხლთან ზის ცხვრისტყავგადაფარებულ უნაგირზე, ხელები მუხლზე დაუყრია და ცეცხლს ჩასცქერის. აქეთ-იქიდან ტყაპუჭსა და თექაში გამოხვეული მწყემსები მოსხდომიან. მზის ჩასვლის შემდეგ საკმაოდ აგრილებულა. მწყემსებს ლაპარაკი უნდათ, მაგრამ სათქმელისათვის თითქოს თავი ვერ მოუბამთ, ერთმანეთს შეთქმულებივით გადახედავენ ხოლმე და ხმას ვერ იღებენ, ენადაბმულებსა ჰგვანან. უჩუმრად შეექცევიან ხინკალს, სიჩუმეში ცეცხლის ტკაცუნი, ხინკლის წვენის ხვრეპა და ტუჩების ტკაპუნი ისმის.

— ჰაი, დედასა! — წამოიძახებს დროდადრო იოთამი და ისევ ხინკალს მიუბრუნდება.

უმთვარო ღამის ბინდი დასწოლია ზამთრის საძოვრებს; გაუვალი, მძიმე წყვდიადი ისე ახლოს მოჭრილა, რომ მიწაზე ალისაგან დაცემულ სინათლის რკალს თანდათან ავიწროებს და კუმშავს. მწყემსებს ნაკვერჩხალი წინ გამოუშლიათ და მწვადებს წვავენ. აშკარად უფრო მეტს მოძრაობენ, ვიდრე ეს მწვადის შეწვასა და ყაურმის მოხარშვას სჭირდება. ცრუ ფუსფუსი და მიდგომ-მოდგომა დუმილის გამო ჩამოვარდნილი უხერხულობისაა, ამას ყველა გრძნობს და მაინც დუმილის საზღვარს ვერავინ არღვევს.

— სასმელი მაინც გვქონდეს! — ამბობს იოთამის გვერდით მჯდარი თომა ბიკაშვილი, სარქალი, ხმელი და დაძარღვული, რომელსაც თუშური ქუდი წარბებზე ჩამოუფხატია. — ამათ არყითა და ღვინით ვინ დააძღობს?.. წინ სულ ჩაფებით უნდა ედგათ... როდისღა ამოსვლიპეს ამ ოხრებმა!

— მირაბო, — სადღაც შიგნით იღიმება იოთამი, — მაგარი ცხენი იყო...

— ახლაც მაგარია! — ეუბნება სარქალი.

— მიცნო, მაგანაც მიცნო! — უხარია ბერიკაცს.

— მა! — უდასტურებს სარქალი, მერმე იმის შიშით, ისევ დუმილი არ ჩამოვარდესო, ეუბნება, — ეგ სახელიც შენი შერქმეულია, იოთამ.

— რა ხნისაა ეგ ცხენი?

— თხუთმეტი წლისა...

— თხუთმეტი წლისა. — ისევ იღიმება იოთამი, — რა დრო გასულა. არკი მახსენდება, ამ ცხენს რატომ დავარქვი ეგ სახელი.

— მაგაზე აღარ გიფიქრია და როგორღა გაგახსენდება.

— ჰო, აღარ მიფიქრია, მაგის ჯავრი ვიღასა ჰქონდა?!

მერმე თუში მონამგლეები გადმოსულან და ცოტა არაყიც გადმოუტანიათ. არაყს იოთამი ახლოსაც არ გაჰკარებია, მაგრამ სასმელს თავისი საქმე მაინც გაუკეთებია, ხალხი გამხიარულებულა და ის დამთრგუნველი დუმილიც თავისთავად დარღვეულა.

ვახშამი აღარ გაუჯანჯლებიათ, რადგან დილითვე უნდა აყრილიყვნენ მთაში გასამგზავრებლად. იოთამს თომა ბიკაშვილი ცეცხლთან დაუტოვებია და, გარშემო ყველაფერი რომ მიწყნარებულა, თავისიანების ამბავი უკითხავს. შენი დედაკაციც კარგად არის და შენი ვაჟიცო, — უთქვამს სარქალს. — შენ რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგე, იმისი დარდი ჰკლავთ, სხვა არაფერი უჭირთ, ცოცხლები და ჯანმრთელები არიანო. თომა ცდილობდა, გულითადი ლაპარაკისათვის თავი აერიდებინა, რომ არ დასცდენოდა რაღაც-რაღაცეები, რასაც მთელი საღამო მუყაითად უმალავდა.

იოთამს მერმე ბარნაბიშვილი უხსენებია, — სიტყვის კაცი გამოდგა ეგ თქვენი ბარნაბიშვილი თუ არაო.

— რა სიტყვას მეუბნები, იოთამ, რომ ვერ გავიგე? — დაბნეულა ბიკაშვილი.

— მე ხომ ჩემი ვქმენ, პირი არ გამიტეხია... იმანა?!

— ვერ გავიგე-მეთქი, რას მეუბნები.

— ჩვენ ხომ პირობა დავდეთ, მე და ბარნაბიშვილმა.

— რა პირობა, რის პირობა, მე რომ არა ვიცი რა?!

— ჰო, არ გეცოდინება. — იოთამი ჩაფიქრებულა, — იქნებ მეც არ უნდა მეთქვა? მაგრამ ცხოვრება წავიდა და ვინმემ ხომ უნდა იცოდეს?!. კარგად გიცნობ, თომავ, ამიტომ იმედიცა მაქვს, ჩემს ნათქვამს გულში შეინახავ და დრომდე არავის ეტყვი. — მერმე სარქლისათვის წვრილად უამბნია ალაზნის პირას დადებული პირობის შესახებ, აუხსნია, რატომ დაკარგულა უგზო-უკვლოდ, ამ ქვეყნიდან რატომ გამქრალა... მუქარას შემისრულებდაო. ჯერ მე მომიშორებდა თავიდან, მერმე ბალღს დამიღუპავდაო.

— რას ამბობს, კაცო! — თავზარი დასცემია თომა ბიკაშვილს, — ეს რა მითხარი, კაცო! — გიჟივით იმეორებდა თურმე ერთიდაიგივეს, მაგრამ გულახდილობას მაინც არ აჰყოლია.

ბერიკაცს იქვე ხომ ვერ გავუხეთქავდი გულს, ხომ ვერ მოვკლავდიო? ბარნაბიშვილის მზაკვრობის ამბავი რომ მეთქვა, სულს ჩიტივით გავაფრთხობინებდიო, — იტყვის შემდეგ თომა ბიკაშვილი. სათქმელი, რა თქმა უნდა, ჰქონდა, იოთამი როგორც კი სოფლიდან გაიგულა ბარნაბიშვილმა, თავისი ბნელი ზრახვების აღსრულება აღარ დაუყოვნებია: ამ ხუთი ათასი სული ცხვრის ნაცვლად კოლექტივში ორი ათასი აღურიცხავს, მთავრობა, სულერთია, ვერაფერს გამიგებს, პირიქით, კმაყოფილიც კი დამრჩებაო, მთავრობამ რა იცის ან როგორ შეიტყობს, იოთამს რამდენი სული ცხვარი ჰყავდაო. ბარნაბიშვილს თავის ძმაკაცებთან ერთად იოთამის ცხვრის ორი მესამედი საქართველოს გარეთ გაურეკია და ეგრევე გაუყიდია. როგორც ამბობენ, დიდი ფული ჩაუგდია ხელში.

სარქალი ამას უმალავდა იოთამს. მთელი საღამო იმის შიში ჰქონია, ბერიკაცმა ცხვარი არ მოიკითხოსო.

— ბალღი მაფიქრებდა, თუ არა დაუშავებია რა, ეგ თქვენი ბარნაბიშვილი სიტყვის კაცი ყოფილა, — თავს ინუგეშებდა იოთამი.

— იმასთან რა ხელი ჰქონდა?! გინდაც მოენდომებინა, რას

დააკლებდა, ისეთი ვაჟკაცი დადგა, ირიბ მზერას ვერავინ აკადრებს, სხვის ბუზს თავზე არ გადაიფრენს.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ბალღი უნდა გაიზარდოს, ფეხზე დადგეს, ქვეყანა ნახოს... კაცი სოფელს უნდა გამოადგეს.

— ეგრეა, იოთამ, ეგრე!

— ჩემს ბიჭს უთხარი, ბარნაბიშვილს მაინც ერიდე-თქო, ნუ ენდობი, მზაკვარი კაცი მაინც მზაკვარია-თქო! ეს მერმე, როცა მე ამქვეყნად აღარ ვიქნები.

— როგორ თუ აღარ იქნები?!

— შენ ის უთხარი, რასაც გეუბნები.

— ვეტყვი, იოთამ, ვეტყვი შენს ნათქვამსაც და ჩემსასაც დავუმატებ.

— მე არ შეგხვედრივარ და არც გინახივარ!.. მე ამქვეყნად აღარა ვარ და ჩემსას როგორ ეტყვი?! რახან მიცანი, რახან ცეცხლთან დამსვი და გამიმასპინძლდი, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გავცოცხლდი, რომ ხელმეორედ მოვედი ამქვეყნად?! ბარნაბიშვილმა თუ შეიტყო ჩემი აქ ყოფნა, ბიჭს დამიღუპავს. ბარნაბიშვილი ღონიერია, დიდი ძალა აქვს.

— გავიგე, გავიგე...

— ესენიც გააფრთხილე, სიტყვა არ დასცდეთ... სიკეთეს სიავით ნუ გადამიხდიან.

— გავიგე, იოთამ.

— ბარნაბიშვილი სხვა კაცია, თომა, ეგრე ადვილად არ დაშოშმინდება.

— ვიცი, რაც არის.

— ეტყობა, მაგათ ცხოვრებას მარტო მე ვუშლიდი ხელს, მაგათ გზაზე ლოდივით ვეგდე... აჰა, ხომ გადავათრიე ჩემივე თავი გზის შუიდან გზის ნაპირამდე! ხომ გავერიდე?! სხვა რა შემეძლო?!. ღმერთი იყოს მაგათკენ!

გამთენიისას წამოშლილან მწყემსები, სწორედ იმ დილით უნდა დაეტოვებინათ ზამთრის საძოვრები და მთათუშეთის იალაღებისაკენ გაეწიათ. წინ გრძელი, დამქანცველი და ძნელადსავალი, ხიფათიანი გზა ედოთ. იოთამსაც არ დაუყოვნებია, თავისი ძველი მაზარა ჩაუცვამს, ზურგზე აბგა მოუკიდებია და ხელჯოხიანი გასდგომია გზას. დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ უთქვამს ბიკაშვილისთვის, — ისე ჩათვალეთ, ვითომ

აქ არ ვყოფილვარო, და წასულა, წასულა იმავე გზით, რომლითაც გუშინ საღამოს მოვიდა. მწყემსებს მხოლოდ თვალი გაუყოლებიათ, რადგან გაცილებისათვის დრო აღარავის ჰყოფნიდა. ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული, მთელი მწყემსური ავლადიდება ცხენებისათვის უნდა აეკიდათ. ეს დიდი ჯაფის გარდა დიდ დროსაც მოითხოვდა...

იოთამს მხოლოდ ძაღლები გაჰყოლიან. მიდიოდა აბგამოკიდებული ბერიკაცი და უკან მოწყენილი ქოფაკები მისდევდნენ, ჯგროდ, თავჩაკიდებულები. მწყემსებმა იცოდნენ, ძაღლები გარკვეულ მიჯნამდე მიაცილებდნენ, მერმე მობრუნდებოდნენ და თავის ჭაპანს ძაღლური ერთგულებით გასწევდნენ; ამიტომ ყურადღება არ მიუქცევიათ, ყველა ნაგაზი რომ იოთამს გაჰყოლია.

თომა ბიკაშვილს კიდევ ერთხელ რომ გაუხედავს იოთამისაკენ, ბერიკაცი უკვე თავქვე მიდიოდა. სარქალი ისევ ხედავდა ჰორიზონტზე ბერიკაცის ზურგსა და აბგას, მერმე — თავს, მერმე თავიც გამქრალა. სარქალს ჭგონებია, ძაღლები ამის იქით აღარ გაჰყვებიანო, მაგრამ მოტყუებულა. მტრედისფრად განათებულ ცის ფონზე ნაგაზები სათითაოდ ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ — დაბლა ეშვებოდნენ... როგორც ჩანს, უფრო შორ მანძილზე აცილებდნენ ძველ პატრონს.

სარქალმა მირაბო შეკაზმა და ახლა მოდარაჯე კაცის თვალით გასცქეროდა ველს და სივრცეს, რომელმაც წეღან ჩანთქა იოთამი ძაღლებიანად. ძაღლების დაბრუნებას ელოდებოდა: ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, ძაღლები მალევე ამობრუნებულან და სწორედ იმ ზღვარზე, საიდანაც დაღმართი იწყება, თომასკენ ზურგშექცეულნი თითო-თითოდ, გვერდიგვერდ გამწკრივებულან. თომა ბიკაშვილს უფიქრია, ძველ პატრონს ახლა მზერით აცილებენო, მაგრამ ჯერ ერთ ნაგაზს, მერმე მეორეს, მერმე მესამეს... დანარჩენებსაც დრუნჩები ცისკენ აუშვერიათ და ისეთი ყმუილი გაუბამთ, რომ იქაურობა შეუძრავთ. სარქალს გული შეკუმშვია და იმწამსვე ცუდი რამ უაზრია. ძაღლების გაბმულ ყმუილზე მირაბოსაც ყურები დაუცქვეტია და მოუსვენრად ცმუკვა დაუწყია...

კიდევ ერთი წამიც და შეშფოთებული ბიკაშვილი უკვე ველზე მიაჭენებდა ცხენს, ძაღლებთან მიჭრილს თურმე დაუნახავს:

მარჯვნივ, გზის პირას იოთამი ეგდო...

ზურგზე ისევ აბგა ჰქონდა მოგდებული...

ყავარჯნიანი ხელი წინ გაშვერილი დარჩენოდა...

წელანვე, ანანომ იოთამის ვაჟიშვილი რომ ახსენა, მივხვდი, რატომ მიყვებოდა ქიზიყელი მწყემსის ამბავს. რა თქმა უნდა, საბა ამ მოხუცი კაცის შვილი იყო.

6

მწყემსებს მწყემსური წესით ბერიკაცი იქვე დაუსაფლავებიათ, გზის პირას, სადაც გარდაცვლილა. ეს უბედურება ოჯახისათვის მაშინვე ვერ შეუტყობინებიათ, მაგრამ თომა ბიკაშვილი შუა ზაფხულს რაღაც საქმისათვის ორი დღით ჩასულა სოფელში, იოთამის ვაჟი უნახავს, მამის გამოჩენისა და გარდაცვალების ამბავი მიუტანია. მისი დანაბარებიც გადაუცია და თავისიც დაუმატებია, — ბარნაბიშვილს ერიდე, მზაკვარი კაცია, სადმე ჩიხში არ მიგიმწყვდიოსო. იოთამის ბიჭი შეხვეწნია, — წამომყევი, მამის საფლავი მაჩვენეო, არაო, — უთქვამს თომას, — ეგ საქმე შემოდგომამდე გადავდოთ, იქ ჩვენი მისვლა არ იქნება, ვიდრე მთიდან ცხვარს არ წამოვრეკავთო. წასვლისას დაურიგებია, — ისე მოიქეცი, იოთამისა ვითომ არაფერი გაგიგია. დედა რომ დედაა, იმასაც ნუ ეტყვიო, რატომაო? ამიტომა და იმიტომაო!

ანანო დინჯად და აუღელვებლად, თანაც ხატოვნად მიამბობდა ჩემთვის მეტად უცნაურსა და მოულოდნელ თავგადასავალს, რისი გადმოცემაც მე მხოლოდ ჩემი ღარიბული სიტყვით შევძელი. ამ ამბავმა მორევივით თანდათან ჩამითრია, დამაინტერესა და ამაგზნო. ვერც კი ვიგრძენი, როგორ გავხდი ანანოს სატკივარისა და საწუხარის მოზიარე, თითქოს თავისი თანმიმდევრული შეუპოვრობით შეთქმულების თანამზრახველად მაქცია.

ანანომ ვახშმის ნამუსრევი აალაგა და ოთახიდან გაიტანა, უკან შემობრუნებულს ვკითხე, — იოთამი ხომ საბას მამა იყო-მეთქი? — ეგ რა საკითხავიაო, — შემომხედა გაოცებულმა.

— შენ არ გითქვამს... საბა არც გიხსენებია. — ვუპასუხე.

— არა?! — ისევ გაიკვირვა ანანომ, — მაშ, თუ არ მიხსენებია, რა იცი, საბა რომ იოთამის შვილი იყო?

— მივხვდი... ჯერ ეჭვი შემეპარა, მერმე, რა მიხვედრა უნდოდა, სხვის ამბავს რატომ მომიყვებოდი?

— ჰო, ეგრეა! — დამიდასტურა და გვერდიდან ეჭვიანი ღიმილით გამომხედა, მართლა არ მიხსენებია, თუ ეს ბიჭი მატყუებსო. მერმე ღუმელის კარი გამოაღო, ნაღვერდალი გამოჩხრიკა და ღუმელში რამდენიმე შეშის ნაჭერი შეალაგა.— განგებ არ ჩამიდენია, უნებურად გამომრჩენია მისი სახელი.

ათასი კითხვა მიფორიაქებდა ისედაც ატეხილ ცნობისმოყვარეობას და ცნობისწადილს. ბოლოს და ბოლოს, საბას ვინაობითაც დავინტერესდი. აშკარა იყო, იმ ოჯახის ამბავი იოთამის სიკვდილით არ მთავრდებოდა, იქ კიდევ რაღაც მოხდა, რაღაც დატრიალდა, თორემ გაუგებარი საქციელია, როცა კაცი უბრალოდ და უმიზეზოდ მამა-პაპის სახლს ტოვებს და სხვა სოფელს შეეხიზნება, ისე კი კმაყოფილი წინასწარ ვიფშვნეტდი თითებს, რატომღაც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ საბამ სამაგიერო მიუზღა ბარნაბიშვილს, საკადრისად დასჯა და მერმე, სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ამიტომაც მიატოვა თავისი სახლ-კარი, სოფელი და, საერთოდ, იქაურობა.

ანანომ კი თავისი ხელსაქმე მოძებნა, წინდების ქსოვა განაგრძო, — მარტო ყელი დამრჩა და ამაღამვე მოვათავებო. მე ავწრიალდი და ოთახში უთავბოლოდ დავიწყე სიარული, თან გულისყური ანანოსკენ მეჭირა, ნუთუ ამბის მოყოლა ამით დაასრულა-მეთქი.

— შემოდგომაზე რა ჰქნა, აჩვენა თომა ბიკაშვილმა მამის საფლავი?

— საფლავზე მისვლა შემოდგომითაც ვერ მოუხერხებიათ. ჯერ ერთი, ცხვარი, შირაქში კი არა, ყიზლარში გაურეკიათ საზამთროდ, მეორეც, საბას დედა გარდაცვლილა და ვეღარ მოუცლიათ.

— იოთამის ამბავი თუ შეუტყობინებიათ?

— არა. მოულოდნელად გარდაიცვალა.

— მერმე?

— რა, მერმე?!

— ასე თავისუფლად დადიოდა ბარნაბიშვილი? არავინ გადაუდგა წინ?

ანანო გაჩუმდა. როგორც ჩანს, შეგნებულად არ გამცა პასუხი. მე, რა თქმა უნდა, ცხოვრების გამოცდილება არ მალა-

ზარაკებდა, უფრო წაკითხული წიგნებისა და სკოლაში ნასწავლი ლიტერატურის წყალობით ვიცნობდი ცხოვრებას და ალბათ ამიტომაც წარმოვიდგინე, პირადად როგორ გაუსწორდა საბა იმ ბარნაბიშვილს. ასე არ გვასწავლიდნენ, გმირი ჯერ შურს იძიებდა და მერმე ტყეში გავარდებოდა?..

— საბა?.. საბამ ეგრევე აპატია ყველაფერი?

— საბას რა უნდა ექნა? შური ეძია?

— თუნდაც!

— ჩასაფრებოდა და მოეკლა?

ანანომ ისე შემომიტია, განაჩენი, ცოტა არ იყოს, მკაცრი მომეჩვენა.

— კაცის მოკვლა დიდი დანაშაულია... დიდი ცოდვაა...

— სხვანაირადაც შეიძლებოდა დასჯა. — თანდათან უკან დავიხიე.

— გზაში დახვედროდა და ეცემა, გაელანძღა და დაშოშმინებულიყო?

— სიმართლე ეთქვა! — წამომცდა უცებ და მერმე ამ წამომცდარი სიტყვის გაშლა და დასაბუთება ვცადე, — ხალხის თანდასწრებით, ყველას გასაგონად უნდა ეთქვა, რასაც ფიქრობდა... მე მგონია, ნათქვამს მიაქცევდნენ ყურადღებას. —მე თვითონ არ ვიცი, როგორ დამებადა ასეთი აზრი, იგი ჩემთვისაც აღმოჩენასავით იყო.

— აკი გითხარი, ბალღი ხარ-მეთქი.

— რატომა ვარ ბალღი?!

— ხარ და რა გიყო! თუ მოწმე არ გეყოლებოდა, ცამდე მართალიც რომ ყოფილიყავი, შენს მართლად ნათქვამს მაინც ცილისწამებად ჩაგითვლიდნენ. თანაც იმ დროს, როცა ქვეყანა ჯერ არ იყო დალაგებული, შეიძლება მოწმეებიანადაც გაემტყუნებინე... ეგეთებიც ხდებოდა.

— ეგ რა გამოვიდა?!

— რაც გამოვიდა, ის გამოვიდა!

— მაშინ საშველი არ ყოფილა.

— ვინ გითხრა, საშველი არ ყოფილაო!

— რა ვიცი!

— შენ რას გამტყუნებ, ოზო, გაგიჟებული მეც ეგრე ვფიქრობდი, როცა საბამ ყველაფერი მიამბო. ისიც კი მივახალე,— ლაჩარი ყოფილხარ-მეთქი! იმ ბარნაბიშვილს ეგენი როგორ

აპატიე-მეთქი!.. მერმე, დრო რომ გავიდა, ვინანე, ახლაც ვნანობ და ალბათ, სანამ ცოცხალი ვარ, ვინანებ კიდეც! ამიტომ არ მინდა, მოუფიქრებელი საქციელი შენც სანანებლად და სატანჯველად გადაგექცეს.

მე არ მესმოდა, რას მეუბნებოდა ანანო, რა სინანულზე მელაპარაკებოდა, რატომ ქენჯნიდა სინდისი ან რას ნიშნავდა მოუფიქრებელი საქციელი. მინდოდა, რაც ვერ გავიგე, მაშინვე აეხსნა და განემარტა, მაგრამ თავი რატომღაც ისე მეჭირა, თითქოს უმნიშვნელო წვრილმანებშიც კი კარგად ვერკვეოდი, თითქოს ყველაფერი ჩემთვის ცხადზე უცხადესი იყო. თუმცა შინაგანად მაინც ვგრძნობდი, დაძრული ზვავის შეჩერება აღარაფერს შეეძლო, ანანომ რახან ამბის მოყოლა დაიწყო, ბოლომდე გავიდოდა კიდეც.

დუმილი საკმაო ხანს გაგვიგრძელდა. ანანო ისე თავაუღებლად ქსოვდა, გეგონებოდა, ვიღაცას ექიშპებოდა ან ჯიბრს უწევდა. მე ჩემს მაგიდას დავუბრუნდი, იდაყვებს დავეყრდენი და მივაჩერდი ფანჯარას, რომელსაც ღამის წყვდიადი მობჯენოდა. აფორიაქებულმა და გაღიზიანებულმა ახლა უკვე ნათლად წარმოვიდგინე, როგორ ვსჯიდი ბარნაბიშვილს. მართალია, ამ კაცის საჯაროდ მხილება მოვითხოვე, მაგრამ ამან, ეტყობა, ბოლომდე არ დამაკმაყოფილა. პერანგი გავხადე, მუხლზე დავაჩოქე და ასე დაჩოქილს გამეტებით ვურტყამდი მათრახს. როგორც იტყვიან, ზურგზე ბოლი ავადინე, ოღონდ დასჯის ეს პრიმიტიული ხერხი წინა საუკუნეებს რატომ დავესესხე, დღემდე არ ვიცი, ვერც იმას ვიფიქრებდი, შინაგანად თუ ასე მკაცრი და დაუნდობელი ვიქნებოდი.

მათრახის ტყლაშუნი ანანოს ხმამ შემაწყვეტინა:

— მაშ, არ მითქვამს, რომ საბა იოთამის შვილი იყო?

— არ გითქვამს. — ისევ გადავუჭირე მათრახი ბარნაბიშვილს.

— ჰოო!

— რა მნიშვნელობა აქვს, გითქვამს, თუ არ გითქვამს? — კიდევ ერთხელ გაიზუზუნა შოლტმა ჰაერში.

ბარნაბიშვილმა გონება დაჰკარგა. ერთი ვედრო ცივი წყალი ზურგსა და კეფაზე დავასხი, გმინვა გავიგონე და მათრახი იქვე მიწაზე მივაგდე. გული გამალებით მიცემდა. მარჯვენა ხელი დაღლილი და დაბუჟებული მქონდა...

— ახლა იმასაც გიამბობ, — მომესმა ანანოს ხმა, — მერმე რა ჩაიდინა ბარნაბიშვილმა. იოთამის ცხვრით კარგად რომ მოითბო ხელი, სულ გათამამდა და გათავხედდა, სოფელი ფეხებზე დაიკიდა. მართლაც, ვინ იცოდა, ვინ დათვალა და აღნუსხა, რამდენი ცხვარი ჰყავდა? ხუთი ათასი? იქნებ — ნაკლები? იქნებ — მეტი? ისიც არავის დაუთვლია, ბარნაბიშვილმა რამდენი სული შერეკა კოლმეურნეობის ბაკებში, მერმე იქიდანაც თანდათანობით რომ გააქრო. ნაწილი საქართველოში გაყიდა, ნაწილი — აზერბაიჯანსა და სომხეთში, დანარჩენი — კავკასიონის გადაღმა, ყიზლარში. მერმე სოფელს გამოუცხადა: ცხვარი რა ჩვენი საზრუნავია, გვიბრძანეს, ძირითადად მიწათმოქმედებას მიხედეთ, თქვენი საქმე პური და ვენახიაო...

ცხვარი ხომ მოინელა და მოინელა ბარნაბიშვილმა, თვალი ახლა იოთამის ცხენებს დაადგა.

ანანოს ნათქვამს თუ დავუჯერებთ, იოთამი უბირი ვინმე არ ჩანს, პირიქით, ახალგაზრდობაში თელავის სასწავლებელი დაუმთავრებია და ერთგვარი განათლებაც მიუღია. თელავში ვაჟა-ფშაველასთან ერთად უსწავლია, იქვე დამეგობრებია კიდეც და მეგობარს რამდენჯერმე ჩარგალშიც კი სწვევია თურმე.

ერთხელ ვაჟას გულის ტკივილით უთქვამს: საქართველოში ქართული ჯიშის ცხენი თითქმის გაწყდაო... ყარაბახულს, არაბულს, ინგლისურს მივეტანეთ და ჩვენი ფორეჯებიანი ლურჯა, რომელიც აღნაგობით, ამტანობით, ერთგულებითა და სილამაზით სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო, თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა და გადაგვიშენდაო. ჩვენ რომ ხალხი ვიყოთ, ამ ჯიშის გადარჩენა ჯერ კიდევ გვიან არ არის, შესაძლებელიაო. ლურჯა ბედაურის გადარჩენა ვაჟას ძნელ საქმედ მიაჩნდა, მაგრამ შესაძლებლობას არ გამორიცხავდა. ამ საქმისთვის კაცს უსათუოდ თავი უნდა გადაედო, გარდა ამისა, მას ფულიც ბლომად უნდა ჰქონოდა, რადგან, სადმე თუ აღმოჩნდებოდა ასეთი ფორეჯებიანი ლურჯა, საჩუქრად არავინ მიართმევდა. თანაც მოსაშენებლად ერთი და ორი ცხენი არ იკმარებდა, ღვთის წყალობით, თუ ვინმე იკისრებდა და ცხენებს მოაშენებდა, იმ რემასაც დიდი მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა, რაც ისევ ფულთან იყო დაკავშირებული...

იოთამს ვაჟასთან სიტყვაც არ დასცდენია, იქიდან წამოსულს კი გუნებაში მტკიცედ გადაუწყვეტია, ქვეყანაზე თუ

კაცი ვარ, ეს საქმე მე უნდა ვიკისრო, ვაჟას გული ამ ჯავრს არ უნდა შევაჭმევინოო. მერმე ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, რადგან ვაჟა მალე, თითქმის სამი წლის შემდეგ გარდაცვლილა. იოთამს თავისი გადაწყვეტილება მაინც არ შეუცვლია, ხუთი წლის მანძილზე მთელ კახეთში ეძებდა და არჩევდა ქართული ჯიშის ცხენს, ეგრეთ წოდებულ ლურჯას. ვისფულს აძლევდა, ვის — ცხვარს, ბოლოს და ბოლოს ათი ცხენი შეუძენია, აქედან შვიდი — აჯილლა.

ამ ამბავს რომ ვისმენდი, შეიძლება ჩემი ასაკის, შესაძლოა სხვა მიზეზის გამოც, ეჭვი შემეპარა, ვერ ვირწმუნე, ვერ დავიჯერე ვაჟასა და იოთამის შეხვედრები და საუბრები, ის უფრო საბას ფანტაზიის ნაყოფად მომეჩვენა, ვიდრე სინამდვილედ. ლურჯას ამბავსაც თითქოს ნიადაგი ჰქონდა გამოცლილი, ამგვარი ცხენი თუკი მართლა არსებობდა, უცებ რამ გადააშენა, ან ჩვენ თვითონ ასე უმტკივნეულოდ როგორ შეველიეთ-მეთქი. პირადად მე ერთი ლურჯა ვიცოდი, მაგდანასი, და ისიც სახედარი იყო. თუმცა მაშინვე სხვაც გამახსენდა: „შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენა“. ამ ცხენსაც ჩვენი თექვსმეტი წლის არსენა ისე იოლად დააჭენებდა და დაჯირითებდა, რომ ჩემს ცნობიერებაში „ლურჯა“ ერთგვარად ირონიულ ელფერს იძენდა და ვერავითარ განსაკუთრებულობას ვერ ვატყობდი.

ახლა მინდა მოვლენებს გავუსწრო და ორიოდე ცნობა მოგაწოდოთ ქართული ცხენის შესახებ. ერთ კერძო ბიბლიოთეკაში წიგნების ქექვისას შემთხვევით წავაწყდი 1608 წლით დათარიღებულ დოკუმენტს, რომელმაც უნებურად გამახსენა ზამთრის ეს ღამეც და ანანოს მონაყოლი ძველი ამბავიც: თავად მიხეილ ტატიშჩევის საჯაროდ გასაყიდი ქონების ნუსხაში სხვათა შორის მოხსენებულია: «...жеребец аргамачей сер грузинской... цена 65 рублей...»

მიაქციეთ ყურადღება, იმ დროისათვის რა ფანტასტიკური ფასი ადევს ქართულ ცხენს... აი, კიდევ მეორე, ცოტა უფრო გვიანდელი, რუსეთის მეფის მიხეილ თეოდორეს ძის დროინდელი საბუთი:

«Ведомо государю подлинно, что в грузинской земле есть аргамаки, самые добрые. И государь указал в грузинской земле купить аргамака самого лутчего. И князю

Ефиму да дьяку Ивану в грузинской земле проведывать накрепко, купить на государя аргамака самого доброво которово б аргамака нигде лутчи не было, чтоб который был в летах, молод, и во всем цел и здоров и досуж и уряден. И привести с собою к Москве с великим береженьем».

ეჭვი არაა, ქართული ცხენი თვით რუსეთის ხელმწიფისათვის უნდათ. ამ დროს რუსეთი უკვე დიდი და ძლიერი მხედრული ქვეყანაა. რჩეული ჯიშის ცხენებიც კი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე სჭირდება. და მაინც ხელმწიფისათვის ეძებენ და არჩევენ ყველა ნიშნის მიხედვით საუკეთესოს. ასეთი ცხენისთვის აკი მიუგნიათ კიდეც... საქართველოში!

რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველა ტყუილუბრალოდ არ წუხდა ფორეჯებიანი ლურჯას გადაშენების თაობაზე, ალბათ იცოდა, რა სტკენდა გულს და რასაც ამბობდა.

ამის შემდეგ ვაჟას ლექსებსა და პოემებში ნახსენებ ლურჯასაც უკვე სხვანაირი თვალით შევხედე, ვიგრძენი დიდი პოეტის სევდა, ანუ ნოსტალგია ქართული ცხენის — ლურჯას მიმართ, აგრეთვე ცდა: იქნებ თავისი გენიალური ქმნილებებით მაინც გადაერჩინა და უკვდავეყო ის ჯიში, რომელმაც მრავალი საუკუნის მანძილზე, დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლასა თუ შრომაში ასეთი დიდი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს...

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ანანოს ნაამბობს.

გასულა კიდევ თორმეტი წელი, იოთამს ცხენებისთვის ზრუნვა და ყურადღება არ მოუკლია და მისი რემა უკვე ორმოცამდე ბედაურს ითვლიდა.

ნისლაურას ზემოთ, ტყის გასწვრივ მწვანით დაფარულ პატარ-პატარა გორაკებსა და ფერდობებს სოფელი საძოვრებად იყენებდა. აქ ბალახი არ ითიბებოდა, ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე საქონელი იყო საბალახოდ მიშვებული. იოთამის ცხენებიც იქვე სძოვდნენ ბალახს, თითქოს უპატრონონი, ზამთარ-ზაფხულ თავისუფლად დანავარდობდნენ. იოთამს მხოლოდ ზამთრობით აჰქონდა თივა და ალაგ-ალაგ ბულულებად უყრიდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებდნენ. ჯერ მარტო მათი დაპერა და დანალვა რა ღირდა! მომრავლდნენ და მომძლავრდნენ, თი-

თქმის გაველურებულნი გრიგალივით დაჰქროდნენ აღმა-დაღმა. ეს კი იყო, ქვეყანაზე მხოლოდ ერთ კაცს სცნობდნენ — იოთამს.

იოთამი სოფლიდან რომ გადახვეწილა და დაკარგულა, რემა მთლად უპატრონოდ დარჩენილა, მაგრამ ცხენები უპატრონობას უკვე აღარ დაგიდევდნენ, მაინც მრავლდებოდნენ და ოთხ წელიწადში უკვე ასამდე ბედაური ნავარდობდა ტყის სანახებში. არაფერი სჯობდა თურმე იმის ნახვას. ლურჯი რემა სოფელს გრიალით რომ ჩაუქროლებდა და ფერდობებს ჭიხვინ-ჭიხვინით შეუყვებოდა ან ნისლივით გაწელილი ალაზნისკენ რომ დაქანდებოდა დასარწყულებლად.

მართალია, თვალს უხაროდა მათი ცქერა, მაგრამ ასი ცხენი, ისიც უპატრონოდ მიშვებული, თითქმის გაველურებული, სხვა საფიქრალს უჩენდა ადამიანს და სხვა საზრუნავს მოითხოვდა. ის პატარ-პატარა გორაკები და ფერდობები სოფლის საქონელს კი არა, ახლა ცხენებსაც ძლივს ჰყოფნიდა. ამიტომ სოფლის მკვიდრნი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ და ჩიოდნენ კიდეც.

რა თქმა უნდა, ყველაფერი იოთამს ბრალდებოდა. ეს იცოდა საბამ, ისიც იცოდა, ბარნაბიშვილი რომ კარგა ხანია ალმაცერად უყურებდა ცხენების თავისუფალ ჯირითს, გულისწყრომას არც მალავდა, იმუქრებოდა, — ცოტაც დამაცადეთ და მაგ ცხენებს მე მოვუვლიო! მაგრამ გადიოდა დრო და ბარნაბიშვილის მუქარა მუქარად რჩებოდა, ცხენები კი ისევ აღმა-დაღმა დაჰქროდნენ და დანავარდობდნენ. აშკარა იყო, ამ ლიტონი მუქარითა და დაყოვნებით ბარნაბიშვილი სხვათა უკმაყოფილების გაღვივებას ცდილობდა.

— ბარნაბიშვილი მაგ ცხენებს დაღუპავს, — ერთხელ საბასთვის უთქვამს თომა ბიკაშვილს, — იქნებ მიხვიდე და მოელაპარაკო.

— მივიდე? — გასცინებია საბას, — რა ვუთხრა, რომ მივიდე?

— სათქმელი რა, ცოტაა?.. კაცო, ეგ ცხენები თითო-თითოდ უნდა დავიჭიროთ და გავხედნოთ, ზოგი ჩვენი კოლმეურნეობის სამსახურში ჩავაყენოთ, ზოგი — სხვებს მივყიდოთ. ცხენი ყველას სჭირდება, მერმე ეგეთ ბედაურებს რომელი კოლმეურნეობა არ იყიდის?! ჩვენც მოგებულები დავრჩებით

და ისინიცა. თუ არადა, ფერმა გავაშენოთ, ცუდი რად იქნება ცხენების ფერმა?! ბარნაბიშვილს უთხარი, დიდ მოგებას მისცემს სოფელს-თქო... ისიც უთხარი, ფერმაში მე თვითონ ვიმუშავებ-თქო... საბავ, ცხენების პატრონობა შენ უნდა იკისრო!

— მე რა მესაქმება?

— როგორ რა გესაქმება, ეგ ცხენები იოთამის ნაყიდი და ზოშენებულია.

— იოთამისა იყო, ახლა არავისია... იქნებ ბარნაბიშვილისაც იყოს?!

— ეგ რა თქმაა, საბავ, ეგრე მსხვილად ნუ დაფქვავ, ჯერ ბალღი ხარ!

— არც მსხვილად დავფქვავ და არც წვრილადა... განა მე კი ვერა ვხედავ, მაგრამ რა ვქნა, გინდაც მომკლა, იმასთან ვერ მივალ.

— ვითომ რატომაო?!

— კაცი არ არის და იმიტომ. კაცი რომ იყოს, მივიდოდი, დაველაპარაკებოდი.

— შენ სცადე, იქნებ...

— ვერა ვცდი.

— კაცო, გეუბნები, ცხენებს დაღუპავს-მეთქი.

— ვიცი.

— ვერა ხედავ, ზოგ-ზოგები რომ გადაიბირა და საქვეყნოდ აუბედებს, საქონელი შიმშილით გვეხოცებაო.

— ეგეც ვიცი, რისთვის აუბედებს.

— თუ იცი, რას დამდგარხარ და შემომცქერი?! შიდი და უთხარი!

თომა ბიკაშვილი გაჯავრებული წასულა, ხელი ჩაუქნევია, ეგრე არაფერი გამოვაო.

ერთხელ (მაისი იწურებოდა თურმე) საბა ადრიანად ამდგარა, გარეთ გამოსულს ღობის იქით ცხენი დაუნახავს, თვალები მოუფშვნეტია, ხომ არ მელანდებაო. არ მოლანდებია, ჭიშკართან ლურჯა ულაყი მდგარა, მოწყენილი, თავჩაქინდრული... საბას კიბე სწრაფად ჩაურბენია და ჭიშკარი გამოუღია...

ბებერი, ქანცგაწყვეტილი ცხენი, ეტყობა, მგლებს გამოქცეოდა, ყელი თითქმის გამოღადრული ჰქონდა, გავა და ფეხის კუნთები — ბასრი კბილებით დასერილი.

საბას ჭრილობები რომ დაუთვალიერებია, გადარჩენა შეიძლებაო, — უფიქრია და ეზოში შემოუყვანია. სისხლი, მტვერი და ჭუჭყი ჩამოუბანია, მერმე იოთამის მალამოების დასაძებნად შესულა შინ... ჭრილობის მკურნალობაცა და მალამოს დამზადებაც საბას მამისგან ჰქონია ნასწავლი და შეთვისებული, ფრთხილად უსვამდა თურმე არაყს, ყელზე ჩამოკონწიალებულ ხორცის ნაფლეთებს ფრთხილადვე აჭრიდა, ჭრილობას მალამოთი უამებდა, ზედ ულაყისავე გაგლეჯილ ტყავს აფარებდა და ბანდით უხვევდა.

მერმე თვალი უნებურად ღობისკენ გაქცევია: სამი მხედარი თურმე შეუმჩნევლად მოსდგომოდა ღობეს; საბა მაინცადამაინც ბარნაბიშვილის მზერას წასწყდომია: უსიამოვნოდ აწურულა და დაძაბულა.

— სტუმრად თუ მოსულხართ, ბარემ შინ შემოდით. — შემოუპატიჟია.

— ეგ ცხენი ვისია? — სიტყვა ბანზე აუგდია ბარნაბიშვილს.

— თუ შემოხვალთ, სათქმელი მაქვს და მოგახსენებთ.

— სათქმელი ჩვენა გვაქვს... მაგ ცხენებმა აქაურობა მოაოხრეს, შენ კი აქ ლაზარეთი გაგიმართავს.

— მეც მანდა ვარ, იქნებ ცხენები გაგვეხედნა, ქვეყნის საქმისთვის გამოგვეყენებინა, მეც მოგეხმარებოდით... გაუჭირდებათ... აი, დღეს ერთი მგელს დაუგლეჯია...

— როდის აქეთ დაიწყეთ ქვეყნის საქმეებზე ფიქრი, ჰა?!

— ჯიბრით ნუ მელაპარაკები, ბარნაბიშვილო, ეს ცხენები მოსავლელად ღირს და მოვუაროთ.

— ჭკუა მაშინ უნდა გქონოდათ, როცა მომრავლება და მოშენება დაიწყეთ, ახლა გვიან არის. ამოდენა ჯოგის მომვლელი ვინ იქნება?!

— მე მოვუვლი!

— შენა?! მაინც იქა ხარ, ძველს არ ივიწყებ, არა?! ერთ კაცს ასი ცხენი მეტი ხომ არ მოუვა?

— თქვენთვის მოვუვლი, თქვენთვის! !

— მოსავლელი გაგიჩენია და მოუარე! — ბარნაბიშვილს ღიმილით შეუხედავს ბებერ ლურჯასთვის და წასულა. ორივე ცხენოსანი უკან გაჰყოლია.

საბასაც ღიმილით გაუცილებია მიმავალნი. ოღონდ ეს ღი-

მილი მწარე ყოფილა. გუნებაში ლანძღავდა ბიკაშვილს, რომელმაც გულწრფელი საუბარი გააბმევინა ბარნაბიშვილთან.

ერთი კვირის შემდეგ კი უჩვეულო და თავზარდამცემი სანახაობის მოწმე გამხდარა.

კეტებითა და ფიწლებით შეიარაღებული ოციოდე მხედარი ყიჟინით შესევია ტყისპირა ფერდობებს, იოთამის ცხენები დაუფეთებია და წინ გამოურეკავს იმ გზით, რომლითაც ისინი მდინარეზე ჩადიოდნენ წყლის დასალევად. ჭიხვინით დაშვებულან თავქვე, ფლოქვების თქარათქური მიწას არყევდა, მტვერი კი ცასა სწვდებოდა. გარკვეულ მანძილზე ხმაურითა და კეტების ქნევით ხვდებოდა ჩასაფრებული ხალხი, გზის აქცევის საშუალებას არ აძლევდა რემას, რომელიც ნიაღვარივით დაძრულა გუგუნითა და გრიალით მიექანებოდა ალაზნისაკენ.

ხოლო ალაზანს დიდროას ჯერი დასდგომოდა, მიდიოდა ატორტმანებული, მღვრიე, შავი, პირქუში, ვეება ტალღებს მოაგორებდა, კალაპოტი გადმოელახა და ერთიანად მოჰქონდა, რაც გზად დახვედროდა...

ეს ყველაფერი საბას თავისი თვალით უნახავს. ჯერ ხალხის ყვირილი და ყიჟინა გაუგონია, მერმე — ცხენების ჭიხვინი და ფლოქვების თქარათქური. გამოქცეულა და ბორცვზე შემდგარი კარგა ხანს დასცქეროდა ამ სანახაობას.

თითქოს ღვარცოფმა დამბა გაგლიჯა, ზედ გადაეღო და ახლა მიხვეულ-მოხვეულ ხრამებით დაქანებული გზას მიიკვლევს მდინარისაკენ.

ალაზანთან მისული რემა უცებ შემკრთალა, ერთმანეთს შემსკდარ ცხენებს უკან მობრუნება უცდიათ, მაგრამ მხედართა და ქვეითთა ალყაში მოქცეულები იქვე, ადგილზევე მორევივით დატრიალებულან, იქნებ გასარღვევ ჯებირს მივაგნოთო.

კეტმომარჯვებულთ ხმაურითა და შეძახილებით შეუტევიათ, რკალი თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ შევიწროებულა, დაფეთებული ცხენები თურმე ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, სხვა რა გზა ჰქონდათ, ისევ მდინარისკენ დაუხვევიათ. ერთ-ერთ ცხენს გაუბედავს და აქაფებულ ალაზანში გადაშვებულა, მას მეორე მიჰყოლია და... ასე მთელი რემა შერეულა მდინარეს. რამდენიმეს ნაპირისკენ მობრუნება უცდია, მაგრამ ნაპირიდან ქვები დაუშენიათ, გვარიანი შეძახილებით ისევ გაუტრიალებიათ.

ახლა რემას გეზი გალმისკენ დაუჭერია, თუმცა გალმაც მდგარან ქვა და კეტმომარჯვებული, ხმახაფიანი მომლოდინე ვაჟკაცები.

ბორცვზე მდგარი საბა გაოგნებული დაჰყურებდა მდინარეს, რომლის ატორტმანებული ზედაპირი მოჩითული იყო ცხენების თავებით. გამწარებულ ცხენებს კისრები დაეგრძელებინათ და თავაღერილნი მთელი ძალით ებრძოდნენ ღონიერ ტალღებს, მზაკვრულ დინებებს, ღრმა ძაბრულებს. ხალხო, რას სჩადითო! — საბა ბღავილით მოსწყვეტია ადგილს და თავქვე წასულა. ხან გორაკები თუ ბორცვები ეფარებოდა, ხან— ხეები, მაგრამ ბორცვებს იქით თუ ხეებს შორის მაინც გაიელვებდა კისერწაგრძელებული ცხენის თავებით მოფენილი მდინარის ზედაპირი...

ასე ურბენია ერთხანს, მერმე გულამოვარდნილი შეჩერებულა და ისევ მდინარისათვის დაუხედავს: წყლიდან ამოშვერილი თავები მოჩანდა მხოლოდ. დინებას შორს გაეტაცა ცხენები, მაგრამ მაინც გარკვევით ხედავდა წყალწაღებულებს. გალმა უკვე მაღალი კბოდე იწყებოდა. აქედან მდინარე მარჯვნივ უხვევდა და დინებას მიმართულებას უცვლიდა. ამ ადგილს თუ გადაურჩებოდნენ, მერმე შვილდივით მოზიდული ნაპირი ისევ სწორდებოდა და... საბას უცებ გახსენებია, რომ სწორედ აქ თავდებოდა საქართველოს საზღვარი, იქით უკვე აზერბაიჯანი იყო.

აღარ ახსოვდა, სად და რამდენი ირბინა ან როდის და რატომ დაეცა, რა დრო გავიდა, თავი რომ წამოუწევია და თვალი გაუხელია, ვერაფერი დაუნახავს, მხოლოდ წყლის შხუილი შემოესმა თურმე. მერმე თანდათან გამოკვეთილა საგნები, მერმე გონსმოსული ნელ-ნელა წამომდგარა, მდინარის გალმა-გამოღმა ხალხი დაუნახავს, ხალხიც და ცხენებიც, ოღონდ მდინარეში კი არა — ნაპირზე. ცხენები უცვნია, ხალხი — ვერა. უკვე მოსულიერებულს შვებით ამოუსუნთქავს— ცხენები გადარჩენილანო!.. ალბათ, ნაწილი დაიღუპა, მაგრამ უმრავლესობას გადარჩენილსა და ცოცხალს ხედავდა. ეს კი იყო, ადამიანებს სათოფედ რომ არ იკარებდნენ, ახლა მდინარის მიერ გახედნილები თვინიერად და მორჩილად იდგნენ— თავჩაქინდრულები, დაღლილები, გასავათებულები. ვიღაც-ვიღაცები გულისყურით ათვალიერებდნენ თუ ამოწმებდნენ,

მხრებსა და გავაზე ხელებს უტყაპუნებდნენ, კბილებს უსინჯავდნენ.

თელებს მოფარებული საბა გადარჩენილ ცხენებს გასცქეროდა და უხაროდა. მან ჯერ არ იცოდა, რომ ეს ასცხენიანი რემაც ისევე, როგორც ოთხი წლის წინათ ცხვარი, ბარნაბიშვილმა წინასწარვე გაჰყიდა, ადიდებულ ალაზანს გაატანა, გააშორა საქართველოს ფარგლებს. იქ კი იმ ცხენებს, რომლებსაც მდინარის ტალღა ვერ მოერეოდა, სხვა, ახალი პატრონი ელოდებოდა.

საღამო ხანს საბა ფეხით ამობრუნებულა სოფელში, მიუხედავად იმისა, რომ მშიერი და დაღლილ-დაქანცული ყოფილა, მაინც მჩატედ მოდიოდა თურმე, მსუბუქად, რადგან გულში იმედის ნაპერწკალი უღვივოდა: იოთამის ცდა ფორეჯებიანი ლურჯა ცხენის მოშენება-მომრავლებისა გამართლდა და, ადრე თუ გვიან, თავის ნაყოფს მაინც გამოიღებსო. მაგრამ ამ ნაპერწკალს გზადაგზა დაუკარგავს სითბო და ელვარება. თუმცა საბა ბოლომდე ვერ გარკვეულა, ირგვლივ რა ხდებოდა, ეჭვის ჭია მაინც შესჯდომია მკერდს შიგნით და გულისგამაწვრილებლად დაუწყია ღრღნა...

ნახევარი სოფელი ისე გაუვლია, ძეხორციელი არ შეხვედრია. ამ სიცარიელესა და მკვდრულ სიმყუდროვეს შეუკრთია, შინაგანად შეუწუხებია. ხოლო ნაბიჯაჩქარებულს როცა თავის ორღობისკენ გაუხვევია, ორღობის სიღრმიდან მომავალი ბებერი ლურჯა დაუნახავს, ამ ერთი კვირის წინ მგლების მიერ დაფლეთილი და ყელგამოღადრული.

ცხენი და ვაჟი თურმე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ერთსაცა და მეორესაც უფრო მძიმე ტვირთი ეკიდათ, ვიდრე ზიდვა და ტარება შეეძლოთ. ბარბაცით, ფეხების თრევით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს საბას, მერმე მუხლი მოჰკვეთია, ჩაკეცილა, სულ ახლოს ნაცნობი დაბრეცილი ფლოქვები დაუნახავს და უგრძვნია, როგორ უყნოსავდა ბებერი ლურჯა ულაყი თავსა და კისერს.

ღამით ცხენების ჭიხვინსა და ფლოქვების თქარათქურს გაუღვიძებია, დაფეთებული წამომჯდარა საწოლზე... სწორედ იმ ღამეს შესრულებია ოცდაორი წელი.

— დილით კი გედეონ ომანაშვილი მოსულა საბასთან, —

განაგრძობდა მოყოლას ანანო, — ამ ომანაშვილს პირველ მსოფლიო ომში, რუსეთ-გერმანიის ფრონტზე ფერშლად უმსახურია, ნისლაურაში კი ექიმად თვლიდნენ და კარგი მკურნალის სახელიც ჰქონია დავარდნილი. მამამისს თავის დროზე მამულები მიუყიდ-მოუყიდია, ქონება პარიზსა და პეტერბურგში გაუნიავებია და გაკოტრებული დაბრუნებულა უკან. ოდესაში სასწავლებლად გაგზავნილი ერთადერთი ვაჟიშვილი სასწრაფოდ სიღნაღს გამოუხმია, — დავუძლურდი, ბოლო დღეებს ვითვლი, ჩამოდი და მომხედეო. რა ექნა, ისიც ჩამოსულა, ოღონდ შინ მისვლამდე მახლობლებს მამის საფლავზე მიუყვანიათ. ერთი სიტყვით, გედეონ ომანაშვილს სწავლა ვეღარ გაუგრძელებია, მერმე პირველი მსოფლიო ომიც დაწყებულა... ომიდან დაბრუნებული გედეონი, რატომღაც ნისლაურაში დასახლებულა. როგორც საბა ამბობდა, ცოტა უცნაური კაცი ყოფილა, შინიდან პირგაუპარსავს ვერ გამოიყვანდი თურმე. ღარიბულად ცხოვრობდა, არკი იმჩნევდა, დღენიადაგ ძველსა და ერთადერთ კოსტუმს იწმენდდა და იუთოვებდა. სუფთად ჩაცმული და გამოწკეპილი, თავაზიანი და დაუზარელი სოფელს ერთგულად ემსახურებოდა... იმ დილითაც წმინდად გაპარსული, დავარცხნილ-დაუთოვებული მობრძანებულა, საბას კმაყოფილებით გაუფიქრია, — ნეტა საიდან შეიტყო, უქეიფოდ რომ ვარო. მართლაც შეუძლოდ გამხდარა. თავი უბრუოდა და სახსრებშიც ამტვრევდა თურმე...

ანანოს მონაყოლის ზუსტად გადმოცემა, რა თქმა უნდა, მიჭირს. ჩვენ შორის დარჩეს და არ შემიძლია. ამიტომ შევეცდები, მეხსიერებაში მიახლოებით მაინც აღვადგინო ის დიალოგი, რომელიც სტუმრად მისულ გედეონ ომანაშვილს გაუმართავს საბასთვის. ანანოს წარმოდგენით ბატონ გედეონს ოდნავ გაწელილად უნდა ელაპარაკა, თანაც — მაღალფარდოვნად.

— ფრიად გაოცებული ვარ, ყმაწვილო, ლოგინში რომ გხედავ, — უთქვამს საბასთვის მისალმების შემდეგ, — ზარმაც კაცად არასოდეს მიმიჩნევიხარ და არც ავადმყოფობისა გეტყობა რამე.

— ცოტა უქეიფოდ შევიქმენ, ბატონო გედეონ.

— უქეიფოდა?! მერმე აქამდე რატომ არ შემატყობინე, ვეეო?! — სწრაფად მისულა ავადმყოფთან და შუბლზე ნები

დაუფარებია, თან გამაფრთხილებელი ჩურჩულით უთქვამს, — ბატონობით ნუღარ მომმართავ, გეთაყვა, ეგ სულაც არ არის საჭირო... ჰო, მაინც რა გაწუხებს?

— თავბრუ მესხმის... მგონი, სახსრებიც მტკივა.

— მადლობა ღმერთს, სიცხე არა გქონია. თავბრუსხვევა გაგიელის... აი, სახსრების ტკივილი კი, მართალი გითხრა, რაღაცნაირად არ მომწონს. ვეჟო, იქნებ გუშინ დაიღალე და სტყუვდები, სახსრებისა კი არა, კუნთების ტკივილი გაწუხებს?

— როგორ არა, დავიღლებოდი.

— დიახ, დიახ, დაღლილს უფრო ჰგვეხარ, ვიდრე ავადმყოფსა... თუმცა დაღლილობაც მსუბუქი და ხანმოკლე ავადმყოფობაა. წუხელ ხომ კარგად გეძინა?

— რა მოგახსენოთ, მეორედ რომ გამეღვიძა, ველარ დავიძინე, ეგრევე თეთრად გავათენე.

— დაიმახსოვრე, ძილი კარგი რამ არის! ღმერთმანი, ძილი დაღლილობის უებარი წამალია და არა მარტო დაღლილობისა! ბევრი ავადმყოფი მომირჩენია ძილის საშუალებით. აი, მე რომ აქედან წავალ, ეცადე დაიძინო. — აქ ცოტა ხნით შეყოვნებულა ყოფილი ფერშალი და ჩაფიქრებულს შემდეგ სხვა გზით წარუმართავს საუბარი. — ახლა კი მიზეზს გაუწყებ იმისა, თუ აგრე ადრიანად რისთვის მოვსულვარ. მე ჩემ თავს არ ვაკუთვნებ რიცხვს იმ ადამიანებისა, რომლებსაც ქვეყანა ჩალით დახურული ჰგონიათ. როდემდე უნდა ვუცქიროთ გულხელდაკრეფილებმა ამ ვიღაც ბარნაბიშვილის თავხედურ ფარფაშსა?! სხვისა რა მოგახსენო და პირადად მე მეტის მოთმენა არ შემიძლია. ეს გახლავთ უიშვიათესი მაგალითი იმისა, თუ ერთ უგუნურს როგორ შეუძლია სოფლის დანგრევა და გაპარტახება. ჩემი პატიოსნება, მამულიშვილობა და რევოლუციონური იდეებით აღფურვილობა სიჩუმისა და ხმაგაკმენდილობის უფლებას არ მაძლევს. შენ შეგნებული გაქვს, ვეჟო, ამ ხუთიოდე წლის მანძილზე რა ყოფაში ჩააგდო ჩვენი სოფელი?! ეგ არ უქმნიათ თვით მურვან ყრუსა და ჯალალ ედდინს! ქმნით როგორ არ უქმნიათ, მაგრამ ისინი მოთრეული გადამთიელები იყვნენ, ეს კი ქართველია, ვეჟო! მე, როგორც სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელი, ეგრე არ დავტოვებ ამ საქმესა, ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, რკინის ქალამნებს ამოვისხამ, რკინის ჯოხს დავიჭერ ხელში და სიმართლის საძებნელად გავეშურები!..

გედეონ ომანაშვილი მართლა წასულა სიმართლის საძებნელად, ოღონდ უკან აღარ დაბრუნებულა. სად წავიდა, რა მიმართულებით გაეშურა, სად შეჩერდა, რატომ შეყოვნდა ან სამუდამოდ სად დარჩა, არავინ იცოდა. რაც შეეხება ბარნაბიშვილს, ის იმავე ზაფხულს დაუჭერიათ და სამართალში მიუციათ. ზოგს ახლაღა ახელია თვალი, — კაცო, ეს ვინა ყოფილა, ამ ერთმა კაცმა მთელი სოფელი როგორ მოგვაღორაო... თუმცა რატომ — მთელი სოფელი? იმ დღეს ცხენები ალაზანში რომ შეყარა, ხომ მიეჭრა თომა ბიკაშვილი? ბარნაბიშვილს ჯიქურ დახვედრა მონდომებია, მაგრამ თომას ხმელი ხელი ისე დაუთხლეშია თავ-პირში, რომ წაქცეული ძლივს აუკრეფიათ. წამომდგარს ცალყბად გაუღიმია, — თომავ, ეგ რა ხუმრობა�ო? ხუმრობასა და თამაშს მერმე გაჩვენებო, — მიუფურთხებია თომას და თავის გზით წასულა. არ აპატიებს, არ შეარჩენს, ახლავე გამოუდგებაო, — ფიქრობდნენ ამ ამბის მოწმენი, მაგრამ ბარნაბიშვილი არ განძრეულა, ფეხიც არ მოუნაცვლებია. ასე ყოფილა, თუ ისე, ბარნაბიშვილი სოფლისთვის მოუშორებიათ, ზოგი ამბობდა, — ეგ თომა ბიკაშვილის წყალობაა, ნაცემი თავმჯდომარე ვის რა ოხრობად უნდაო, ზოგი კი ხანდაზმულ ფერშალს იხსენებდა და ემადლიერებოდა თურმე.

ანანომ ამბის მოყოლა უცებ შეწყვიტა და მითხრა, — გვიან არის, დაწექი, დანარჩენი სხვა დროსო... მართლაც, შუა ღამე კარგა ხნის გადასული იყო. არ მახსოვს, სოფელში ასე გვიან დავწოლილიყავი დასაძინებლად, თითქოს კინწიც მწყდებოდა და თვალებიც მებლიტებოდა, მაგრამ დაწოლისთანავე მივხვდი, ძილის ანგელოსს იმ ღამეს ჩემს ოთახში შემოფრენა დავიწყებოდა. ანანომ ლამპა გაიტანა, მე ღამის უსიერ წყვდიადში აღმოვჩნდი და იმის ნაცვლად, თვალები რომ დამხუჭვოდა, თავისთავად მეჭყიტებოდა. ეტყობა, გაგონილმა ამბავმა ამაგზნო და ამაფორიაქა, ისე კი შინაგანად მცირე კმაყოფილება მაინც განვიცადე, რადგან ბარნაბიშვილის გაშოლტვის სურვილი აღარ გამჩენია. მერმე თანდათან ათასგვარი ეჭვი და საფიქრალი აღმეძრა. ანანოს მონაყოლიდან ზოგი რამ არ მესმოდა, ვფიქრობდი, ათასი წელიც რომ ვიცხოვრო, მაინც ვერ გავიგებ-მეთქი. ეგრეევე მინდოდა ჩავწდომოდი იმ ადამიანების ზრახვებისა და სულისკვეთების ნამდვილ არსს.

რატომ ირჩევდნენ გასავლელად იმ გზას, რომელიც ერთი თვალის გადავლებითაც კი განწირულად ჩანდა და ადამიანს დაღუპვას უქადდა? ეს ხომ არ იყო არც რისკი, არც თავდადება, არც გმირობა?! რისკსაცა და თავგანწირვასაც მაშინ აქვს მხოლოდ აზრი და მნიშვნელობა, თუ დიდი და საყოველთაო საქმით არის შთაგონებული, სიკეთისკენაა გამიზნული?.. ან ერთი უგუნურის ხელში რატომ იყრიდა თავს ისეთი ძალა, რომელსაც სოფლის გაჩანაგება და გაპარტახება შეეძლო? რა ძალები და დინებები მოქმედებდნენ? მიწისქვეშა თუ მიწისზედა? ნუთუ ბარნაბიშვილმა ის ცხვარიცა და ის რემაც იმიტომ გაანადგურა, რომ თვითონ გამდიდრებულიყო? გამდიდრების ვარიანტი ადამიანისათვის ისე წვრილმანად, დამამცირებლად მეჩვენებოდა, დაჯერებაც კი არ მიცდია. ამ საშინელი აქტის ფიქმა სხვა რაღაცის, უფრო ძლიერის, მამაკაცური ვნებების აღმოჩენას ვცდილობდი.

ერთგვარად გული მწყდებოდა, რომ ვიღაცის მონაყოლის მონაყოლს ვისმენდი, უცნაური სურვილიც კი დამებადა, მიწდოდა იმ ამბების უშუალო მონაწილე ვყოფილიყავი, იმათთან მეცხოვრა, იქ მეტრიალა, ეს ყველაფერი ჩემი თვალით მენახა, თვითონ მეგრძნო, განმეცადა: რა ამოძრავებდათ, რა უნდოდათ, საით მიდიოდნენ?

და უცებ, ჩემდა გასაკვირვებლად, მივხვდი, რომ მე მამაკაცების ახლომახლო, მათ გვერდით, მათ საზოგადოებაში არასოდეს მიცხოვრია. იმ წამსვე თვალი გადავავლე ჩემს წარსულს, იმ საცოდავ თექვსმეტ წელს, რომელიც უკვე მოტოვებული მქონდა უკან. შინ, სანამ ცოცხალი იყო, დედის კალთას ამოფარებული ვცხოვრობდი, მამაჩემი დილით ადრე გადიოდა შინიდან, სადილობისას ბრუნდებოდა, ისადილებდა, მერმე ერთი საათით წაიძინებდა და ისევ სადღაც მიდიოდა. ვცდილობდი გამეხსენებინა და ვერ გავიხსენე, დავრჩენილვარ კი მამაჩემის პირისპირ თუნდაც ერთი დღე, ერთი დღე იქით იყოს, თუნდაც ერთი საათი? არა, არასოდეს! იქნებ საერთოდ ასე ხდება ან ასე უნდა მოხდეს, ან ასეა საჭირო-მეთქი? იქნებ მამა მერმე მოგიახლოვდება და მოვა შენთან, როცა წამოიზრდები, როცა შინაგანად და გარეგნულადაც მამაკაცს დაემსგავსები, როცა მამაკაცური მიზნები და ზრახვები გაგიჩნდებამეთქი?..

სკოლა? რამდენადაც მახსოვს, თითქმის ყველა საგანს ქალი გვასწავლიდა, დამრიგებელიც ქალი გვყავდა. შემდეგ, ომის დაწყებისთანავე სოფელში მიკრეს თავი და აქაც ანანოსა და ქალების გარემოცვაში მოვხვდი, რადგან სოფელი უმამაკაცოდ დარჩენილი დამხვდა, ვისაც თოხის დაჭერა შეეძლო, თოფი ეპყრა ხელთ და ფრონტზე იბრძოდა.

გულზე რაღაც სევდისმაგვარი შემომაწვა და გუნება დამიმძიმა.

— ანანო! — წამომცდა მოულოდნელად.

— შენ რა, არ გძინავს? — არც ანანოს ეძინა.

რატომ დავუძახე? თუ დავუძახე, რამე ხომ უნდა ვუთხრა ან ვკითხო მაინც, მაგრამ, რომ არ ვიცი, რა ვკითხო? ანანომ თითქოს თავისი მოგონებებისა და განცდების ლაბირინთში შემიშვა, ოღონდ არიადნეს ძაფის მოცემა დაავიწყდა, ამიტომ იქიდან გამოსვლა, უკან დაბრუნება ალბათ ძალზე გამიჭირდებოდა...

7

ისე მალე მოვიდა გაზაფხული და მოვლენებიც ისე სწრაფად განვითარდა, რომ ნაზამთრალი, დამძიმებული ფიქრებისაგან გამორკვევა და გამომზეურება ძლივს მოვასწარით. ომი აპრილის მიწურულისთვის ფაქტიურად დამთავრებული იყო, მაგრამ ოფიციალურ გამოცხადებას, ეტყობა, მაინც სხვა მნიშვნელობა ენიჭებოდა. გაზაფხულის დადგომისთანავე წუთიწუთ ველოდებოდით ამ დღეს და რადიომ ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის ცნობა რომ გადმოსცა, თითქოს უეცარი და მოულოდნელი რამ გავიგონეთ და შევიტყეთ, ყველანი დიდიან-პატარიანად გიჟებს დავემსგავსეთ: ვყვიროდით, ვტიროდით, ვიცინოდით, ერთმანეთს ვეხვეოდით და ვკოცნიდით, ვიგინებოდით, მუშტებს ვიქნევდით — ცაში ვიღაცას ვემუქრებოდით...

მთელი სოფელი გარეთ გამოვიდა, მაგიდები პირდაპირ შარაზე და ორღობეებში გამოიტანეს. სუფრას გვერდს ვერ აუვლიდი, ერთი ჭიქა ღვინო მაინც უნდა შეგესვა, ერთი სადღეგრძელო მაინც უნდა გეთქვა, სულერთია, ვინ იყავი — ქალი თუ კაცი, შინაური თუ გარეული, ასაკოვანი თუ უასაკო. გა-

რეთ გამოტანილმა პურ-მარილმა საღამომდე გასტანა, ხალხი ერთმანეთთან დაუსრულებლად მიდი-მოდიოდა, ღვინოს აჭაშნიკებდა, სიტყვას ამბობდა, თუ შესაძლებლობა მიეცემოდა, იმღერებდა კიდეც. ერთი სიტყვით, გულჩათხრობილი, ჩაგუბებულ-ჩამდორებული ტბა შეტოკდა და შეირხა, შებარბაცდა და შეტორტმანდა, თითქოს მაცოცხლებელმა ქარმა დაუბერა... საღამოს ლხინმა უკვე ოჯახებში გადაინაცვლა, იქ უფრო საფუძვლიანად ჩაუსხდნენ საქმეს, სიმღერა, დოლ-გარმონის ცეცხლი, ცეკვა და თოფების გრიალი დილამდე არ შეწყვეტილა.

ზიზიმ შეპირებული კონცერტი გამარჯვების მეორე დღესვე გამართა სკოლის კლუბში. კონცერტს წინ პატარა მიტინგი უძღოდა. მიტინგზე სამნი გამოვიდნენ, მარო მასწავლებელი, კარიაულის ქვრივი და მერვეკლასელი ფრიადოსანი გოგონა. თავიანთ გამოსვლებში მარო მასწავლებელმაც და მერვეკლასელმა მოსწავლემაც გამარჯვებით გამოწვეული სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გამოხატეს, კარიაულის ქვრივმა კი ძირითადად შინმოუსვლელთა გმირობასა და ადამიანთა ხსოვნაში მათ უკვდავებას მიუძღვნა სიტყვა. ყველასათვის მოულოდნელად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ფიდო კვალიაშვილმა ითხოვა სიტყვა და ავსტრიიდან გამოგზავნილი წერილი წაიკითხა. წერილი მადლობისა იყო. № სატანკო შენაერთის მეთაური გვატყობინებდა, რომ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობისა და მისი წევრების დანაზოგით აგებულმა ტანკმა სახელოვნად განელო ომის მძიმე გზა, ახლა ავსტრიის მიწა-წყალზე იბრძვის და სულ მალე ვენის განთავისუფლებაში მიიღებს მონაწილეობასო. წერილი ომის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე იყო, რა თქმა უნდა, გამოგზავნილი, მაგრამ ჩვენზე მაინც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ტაშის გრიალითა და აღტაცების შეძახილებით შევხვდით ამ ცნობას.

ამის შემდეგ, შესაძლოა, წინასწარ იყო მომზადებული, სცენაზე გამოვიდა სამი მოსწავლე — ორი დაი და ერთი ძმა. გოგონებმა გარმონი და ფანდური გამოიტანეს, ბიჭმა — სალამური, რომელიც ქამარში ჰქონდა გაჩრილი და სცენის კიდესთან მოსულმა ხანჯალივით დააძრო. ალბათ, იმის გამო, რომ ჩვენი სოფლის ტანკი ავსტრიის განთავისუფლებაში იღებდა მონაწილეობას, ტრიომ „ვენის ტყის ზღაპარი“ შეასრულა. გარ-

მონს, ფანდურსა და სალამურს — ამ სამ ინსტრუმენტს თანაარსებობა თუ შეეძლო, მანამდე ვერც ვიფიქრებდი. ბავშვები ნამდვილი ვირტუოზები აღმოჩნდნენ, ახლა გამიჭირდება დასაბუთება, მაგრამ მაშინ მომეჩვენა, რომ ყოველ მათგანს აბსოლუტური სმენა ჰქონდა და სრულყოფილად ფლობდა თავის ინსტრუმენტს, დები სკამებზე ისხდნენ, ერთი მათგანი, მგონი, მეფანდურე, იატაკამდე ფეხებს ვერ აწვდენდა. თმაგაბურძგნილი ძმა შუაში ეყენათ. სამივენი ერთნაირად უფერულები იყვნენ, ოღონდ თვალები ჰქონდათ დიდრონი და დასამახსოვრებლად ნაღვლიანი. ჩემს გარშემო ვისაც ვკითხე, მათი სახელები არავინ იცოდა, სამივეს ერთად კი „ილოს ბალღებს“ ეძახდნენ. ეგრეთ წოდებულ „ილოს ბალღებს“ პირველად ვხედავდი, თუმცა ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ, დაბალ კლასებში... როგორც ჩანს, სამივეს ერთად არ შეეხვედრივარ და ცალ-ცალკე გინდაც მენახა, ალბათ ვერ დავიმახსოვრებდი.

ამასობაში ზიზიმ დაიპყრო სცენა, ლექსები წარმოთქვა, იმღერა და იცეკვა კიდეც, მაგრამ მე მთელი საღამო ისევ ილოს ბალღებზე ვფიქრობდი, იმ ჭკვიან და ნაღვლიან ბავშვებზე, რომლებსაც ნოტები ალბათ არც ცხადში ენახათ და არც სიზმრად დასიზმრებოდათ. მხოლოდ განგების მადლიან ტალღას ბგერებისა და ჰანგების ნაპირზე მოესროლა და იქ დაესახლებინა. მაშინ მათ მომავალ ბედზე არ მიფიქრია და არც შემეძლო მეფიქრა, მე რაღაცნაირად, ალბათ გაუცნობიერებლად ბედნიერი ვიყავი, რომ ისინი ვნახე და მოვუსმინე, რომ ისინი არსებობდნენ ქვეყანაზე — ღვთიური მადლით აღბეჭდილები, პატარა, ნაღვლიანი მუსიკოსები, რომლებსაც სხვებისთვის სიხარულის მონიჭება შეეძლოთ.

ილოს ბალღები კიდევ რამდენჯერმე ვნახე და სამუდამოდ დავიმახსოვრე. უცნაური ის იყო, რომ მათ ყოველთვის ერთნაირ გარემოში ვხედავდი, სოფლის ცენტრში, როცა თბილისისაკენ მიმავალ მგზავრებს ვაცილებდი.

თუ არა ვცდები, პირველი იყო ზიზი, ვინც ომის დამთავრებისთანავე დატოვა სოფელი და თბილისს გაემგზავრა. კარგად მახსოვს სოფლის ცენტრი და ორცხენიანი ოთხთვალა, რომელსაც სოფლელები „ლილეინკას“ უწოდებდნენ. ამ ოთხთვალას თელავის სადგურამდე მიჰყავდა მგზავრები, ხოლო თე-

ლავიდან კახეთის მატარებელი ჩაიყვანდა თბილისამდე. როგორც კი სკოლა დავამთავრეთ, ზიზი ატყდა, არ მოისვენა, სულ თბილისი ეკერა პირზე, დღეს დღეზე ითვლიდა, ბოლოს თავისი გაიტანა და ივლისის ერთ მშვენიერ დილას უკვე სოფლის ცენტრში იდგა თავის ჩემოდნიანად — გაბრწყინებული, კმაყოფილი, ბედნიერი. სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრებოდა, დედა თან მიჰყვებოდა, — ოთახს დავუქირავებ, დავაბინავებ და დავბრუნდებიო... იქნებ მადლიანი ხალხი შემხვდეს, პატივისცემას არ მოვაკლებო. ზიზის გასაცილებლად თითქმის მთელი სოფელი გამოსულიყო, დიდი და პატარა. „ლილეინკის“ გარშემო ირეოდნენ, ფუსფუსებდნენ, ყაყანებდნენ, წამსვლელებს ათასგვარი ლოცვითა და სურვილით ავსებდნენ. ამ ორომტრიალში, მოშორებით, გზის გადაღმა ილოს ბალღები დავინახე. სამივენი ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ და ცნობისმოყვარე, ნაღვლიანი თვალებით აკვირდებოდნენ მოფუსფუსე ხალხს. ერთხანს ვუყურე, მაგრამ მერმე მეეტლემ ცხენები დასძრა, ყველაფერი აირია და მეც გულიდან გადამვარდნენ ილოს ბალღები, თუმცა შინ მიმავალს გამახსენდა, რომ დაძრულ ოთხთვალას გაღიმებულები უქნევდნენ ხელებს.

სხვათა შორის, ბევრმა მოინდომა თბილისში სწავლის გაგრძელება. მანამდე, ზიზისგან განსხვავებით, რატომღაც არ ამჟღავნებდნენ ამ სურვილს, ქალაქში წასვლაზე კრინტიც არ დაუძრავთ, ზიზის გამგზავრების შემდეგ კი თითქმის ყოველდღე მიხდებოდა თანაკლასელების გაცილება, მათთან ერთად მიემგზავრებოდნენ ისინიც, ვინც შარშან და შარშანწინ დაამთავრა სკოლა. გაცილებისას თავიანთ ძველ, ამორჩეულ ადგილზე, როგორც საგუშაგოზე, იდგნენ ხელიხელჩაკიდებული ილოს ბალღები და ნაღვლიანი ღიმილით, გულის სიღრმეში ჩაგუბებული თუ ჩაბრუნებული, თვალისთვის შეუმჩნეველი სიხარულით ხელს უქნევდნენ თბილისში მიმავალ თანასოფლელებს. არ ვიცი, ისინი მამჩნევდნენ თუ არა, მაგრამ მე ყოველთვის ვაკვირდებოდი და ვგრძნობდი, რომ უნებური მოკრძალებით ვიყავი ამ ლამაზი ბავშვების მიმართ გამსჭვალული.

გასაცილებელი გავაცილე, გასამგზავრებელი გავამგზავრე, სოფელში თითქმის მარტო დავრჩი, მარტო დავრჩი მე, რომელიც ჯერ კიდევ შარშან შემოდგომის ერთ ღრუბლიან დღეს გიჟივით გავრბოდი აქეღან.

სკოლის დამთავრება, როგორც ჩანს, თავისთავად დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა, უცებ უნდა მოწყდე ანდა თუ არ მოწყდები, მაშინ, საოცარი სისწრაფით უნდა დაშორდე გუშინდელ დღეს, გუშინდელ ყოფას, ცხოვრების წესს. ათწლიანი, ერთგვარი თუ ერთფეროვანი, სავალდებულო ცხოვრების ციკლი მთავრდება და იწყება სხვა, ახალი, თვისობრივად განსხვავებული დღეები, რომელიც შესაბამის დამოკიდებულებას მოითხოვს შენგან. განვლილი წლების ინერციას თავი რომ დააღწიო, შინაგანად მზად უნდა იყო ახლის შესახვედრად.

შესაძლებელია, ალღო ვერ ავუღე, მაგრამ მე მეორე დღესვე ვიგრძენი ახალი ცხოვრების მონაბერი სიო. ეს არც იყო ძნელი, ამას ყველა იგრძნობდა... სკოლაში არ უნდა წავსულიყავი, არც გაკვეთილები მქონდა მოსამზადებელი, რაღაც არდადეგების დროინდელი განწყობილება დამეუფლა. უფრო ხშირად ილოს ბალღებზე ვფიქრობდი ანდა ილოზე. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო, რა კაცი იყო, მაგრამ სერიოზულად მაწუხებდა, დაბრუნდებოდა თუ არა ომიდან, თუ არ დაბრუნდებოდა, რა ეშველებოდათ მის ბალღებს.

ამ ბავშვებზე არა ნაკლებ, თუ უფრო მეტად არა, მაფიქრებდა ზიზის ბედი. ვერ გავუგე, ვერაფრით ჩავწვდი მისი გიჟური ლტოლვის საიდუმლოს, რომელიც მოჩვენებითი და რატომღაც არაგულწრფელი მეგონა. მით უმეტეს, მისი წასვლით თითქოს სოფელი დაცარიელდა, თითქოს ხმაც დაკარგა და სმენის უნარი, დაჰკარგა მომხიბვლელობა თუ მიმზიდველობა... მეჩვენებოდა, რომ სოფელი მშვენიერი იყო მანამდე, სანამ ზიზის სული იქ ტრიალებდა.

იოთამის ცხენებზეც ვფიქრობდი. ლურჯფორებიან ბედაურებზე, არ მინდოდა მათი გადაშენება დამეჯერებინა და რამდენ თეთრ ცხენსაც დავინახავდი, გული გადამიქანდებოდა, ქართული ლურჯა ხომ არ არის-მეთქი.

მას შემდეგ, რაც ანანომ ამდენი რამე მიამბო, თითქოს გამოვიცვალე, თითქოს რაღაც ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე და გავმდიდრდი: მე ვიცოდი ის, რაც ჩემს გარშემო არავინ იცოდა, არც ჩემმა თანატოლებმა და არც სხვამ. ამან ერთგვარი უპირატესობის გრძნობითაც კი გამმსჭვალა.

ფიქრისთვის ბევრი დრო მრჩებოდა, რადგან მთელი დღე მარტო ვიყავი, ანანო გაზაფხულის დადგომისთანავე კოლმე-

ურნეობის მთავარ ეკონომისტად თუ ბუღალტრად, არ მახსოვს, გადაიყვანეს და დილიდან გასული საღამოს ბრუნდებოდა. საქმე არ მქონდა და ალმა-დალმა უაზროდ დავყიალობდი ან შინ ვიჯექი და ანანოს ველოდებოდი. ხანდახან მეგონა, ანანომ დამივიწყა-მეთქი, თითქოს რაც სათქმელი ჰქონდა, მითხრა და მოისვენა, სული მოითქვა, თუმცა მისი ზრუნვა და ყურადღება არ მომკლებია. მაგრამ მე ხომ დარწმუნებულიც ვიყავი, რომ სათქმელი ბოლომდე არ ჰქონდა ნათქვამი. იმას, რაც მთავარი იყო, რაც ყველაზე მეტად სტკიოდა, არ მეუბნებოდა. ერთ დილას დავატყე, ანანო შინიდან გასვლას არ აპირებდა და ვკითხე, — შემდეგ რა მოხდა, რატომ არ მეუბნები-მეთქი. ანანომ წამიყრუა, ვითომ ვერ გაიგო, რას ვეკითხებოდი, მაგრამ აშკარად დავინახე, თუ ვიგრძენი, გუნება შეეცვალა. მერმე სადღაც წავიდა და მალევე მობრუნდა, ჩემს ოთახშიც შემოიხედა, აქა ხარო, — გამიღიმა. ჩვენ უკვე ვეღარ ვატყუებდით ერთმანეთს. მივხვდი, რისთვისაც წავიდა, იმასაც მივხვდი, რომ უკვე მზად იყო ჩემს შეკითხვაზე პასუხი გაეცა, ეთქვა, შემდეგ რა მოხდა.

აი, რა მიამბო ანანომ...

ომის დაწყებამდე თითქმის ერთი თვით ადრე ვიღაც შავგვრემანი და ხმელ-ხმელი კაცი მოსულა ანანოსთან, ცხენზევე მჯდარს უთქვამს, — ნისლაურელი ვარ, საბას მეზობელი და მისი ნახვა მინდაო. თავზე მჭიდროდ მორგებულ თუშური ქუდიდან შეჭაღარავებული საფეთქლები მოუჩანდა. ძზედაკრულ სახესა და აქერცლილ კანზე ეტყობოდა, ცხოვრების უმეტესი ნაწილი ცის ქვეშ ჰქონდა გატარებული. ანანოს შინ შემოუპატიჟებია, — სტუმარი ღვთისაა, მაგრამ საბა აქ რომ არა ცხოვრობსო. ვიცი, — უპასუხია სტუმარს და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმია,—სოფელში მითხრეს, იქნებ იქ იყოსო. ანანოს ჭიშკარი გაუღია, სტუმარს ცხენი თუთის ხეზე მიუბამს და თვითონ ეზოში შემოსულა. ცოტას კიდევ დავუცდი, თუ დროზე არ გამოჩნდა, სათქმელს დავტოვებ და მერმე ჩემს გზას გამოვუდგებიო.

ანანოს ვარაუდით სტუმარი თომა ბიკაშვილი უნდა ყოფილიყო, არც შემცდარა, ეზოში შემოსვლისას თვითონვე გასცნობია, — ესა და ესა ვარო. ანანოს სწრაფად გამოუტანია სკამი და აივანზე დაუსვამს. თომა ბიკაშვილს, ერთი შეხედვით,

მოლაპარაკე კაცის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ საკმაოდ სიტყვაუხვი გამომდგარა. სულ იმას ამბობდა, საბამ სახლ-კარი უპატრონოდ რომ დატოვა, ინგრევა და ოხრდებაო, თუ დროზე არ მოხედა, ჭინკების სათარეშო გახდებაო. რაღა გახდება, ახლაც გრიალი გააქვთ, ჭარივით გადიან და -გამო-დიანო.

ამასობაში ანანოს ხემსი მოუმზადებია, მაგრამ თომა ბიკაშვილი სამხრად არ დარჩენილა. — გზაში დამიღამდებაო. ერთი ჭიქა ღვინით ანანო უდღეგრძელებია, ოჯახი დაულოცია და წასულა. ანანოს გული დასწყვეტია. — ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა რა არისო.

თომა ბიკაშვილი სოფელს გაცილებული რომ ეგონა ანანოს, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩენილა. — იმ ბალღს ესეც უთხარი, ბარნაბიშვილი სოფელშია, სულ ერთი კვირაა, რაც დაბრუნდა-თქო, მერმე გულმავიწყობისთვის ბოდიში მოუხდია.

ვითომ ბარნაბიშვილის დაბრუნება გზაში გაახსენდა თომა ბიკაშვილს თუ სოფელი კიდევ ერთხელ რომ შემოიარა და საბა ვერ ნახა, მხოლოდ შემდეგ გადაწყვიტა ანანოსთვის ეთქვა, რაც წელან არ გაუმხილა?

— ოზო, გინდა დამიჯერე, გინდა არა, როგორც კი დავინახე, ხომ ვიცანი თომა ბიკაშვილი, ეგრევე, თვალებში შევხედე და ვიგრძენი, რის სათქმელადაც იყო მოსული, თუნდაც არ მობრუნებულიყო, მაინც მეცოდინებოდა, რისთვისაც დაეძებდა ასე გამწარებული საბას. ეგ კი არადა, თითქოს წლების მანძილზე ვიღაცას ველოდებოდი კიდეც. სულ მეგონა, დღეს არა, ხვალ მოვიდოდა და იტყოდა: ბარნაბიშვილი დაბრუნდაო. მართლაც, მოვიდა და თქვა, რომ იცოდე, ოზო, როგორ გამიხარდა, სხვანაირმა სიხარულმა ამიძგერა გული, ამანთო, თივის ზვინივით ამაბრიალა და თავგზა დამაკარგვინა. არ ვიცი, რა ეშმაკები შემიჯდა, რამ გამაგიჟა, რამ დამაკარგვინა გონება და აზრი, ჩემს თავს ველარა ვცნობდი, ვითომ სხვა რატომ ვიქნებოდი? ჩემს ნაცვლად ვითომ სხვა ფიქრობდა. მეგონა, სხვა ვიღაც ჩამძახოდა, მაიძულებდა, ეგრე ჰქმენ, ეგრე იფიქრეო. ის სიხარულიც ჩემი არ იყო, ჩემსას არ ჰგავდა, იმიტომ რომ უნიადაგოდ მიხაროდა რაღაც, მიხაროდა, რაკი უნდა გამხარებოდა... მარტო მე ვიცოდი, რატომ დაბრუნდა ბარნაბიშვილი,

მოსახდენი უნდა მომხდარიყო! ბედისწერამ ჩამოახეტა და დაა-ბრუნა-მეთქი, ვფიქრობდი გუნებაში, მჯეროდა კიდეც, მოსახ-დენი რომ მოხდებოდა, ოღონდ არ ვიცოდი, ბედისწერა რო-გორ გადაუვლიდა... ახლა უკვე ის მაფიქრებდა, საბა როგორ წამეყვანა ნისლაურაში, რადგან მანამდე ბევრჯერ მითქვამს — წადი, მიხედე იმ სახლს, შენი მამა-პაპის ბუდე ეგ არის და ნუ მოშლი-მეთქი. ყურიც არ გაუპარტყუნებია. რაც მოხდა, მოხ-დაო, — ამბობდა, — არც ის სახლი მინდა, არც ის ქონებაო, ფრინველივით ლაღად, დღიური გარჯით უნდა ვიცხოვროო, სხვის ბოღმას ჩემი გული უნდა გავაჯიბროო. ერთი კი გავი-ფიქრე, საბა თომა ბიკაშვილს იქნება მაშინვე შეუთანხმდა, ბარ-ნაბიშვილი თუ გამოჩნდა, შემატყობინეო. ოუმცა შეთანხმე-ბულიც რომ ყოფილიყვნენ, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაია-რა... საბა უკვე სხვანაირად ჭრიდა და კერავდა, სხვა ჭკუაზე-დაც იყო დამდგარი. შვიდი-რვა წელი ცოტა ხომ არ არის?! შვიდი ან რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბარნაბიშვილი დაიკარგა, რაც საბამ მიატოვა სოფელი, მამის სახლი. ეგრე ხიზანივით დადიოდა სოფელ-სოფელ, კარდაკარ, ხან ვის შე-ეკედლებოდა, ხან — ვის, დღიური გარჯით ცხოვრობდა და სჯეროდა კიდეც, კეთილ გზაზე ვადგავარო. ზოგს კედელს ამო-უყვანდა, ზოგს სახლს გადაუხურავდა, ზოგს მიწას დაუბარავ-და... სულ უსასყიდლოდ. ოღონდ გეთქვა, ოღონდ სიტყვა წა-მოგცდენოდა. უმალ შენს გვერდით დადგებოდა. ეს კი იყო, მოუკრეფავში არ გადაგიშვებდა, თავის კაცობას არ შეგაბღალ-ვინებდა და არც შენს შებღალვას გაივლებდა გუნებაში. — ანანომ სული მოითქვა: დიდხანს იფიქრა და მერმე განაგრძო— საბა იმ დღეს არ გამოჩენილა, მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა და მოსვლისთანავე მივაგებე, თომა ბიკაშვილი გეძებდა-მეთქი. რას ამბობო, — წამოიძახა გახარებულმა, — აფსუს, შინ რომ არ დავხვდიო. დაგიბარა, სახლ-კარი გენგრევა და ერთი-ორი დღით მაინც ჩამოდიო, — ვუთხარი. ინგრევა და დაინგრესო,— მიპასუხა, — მე იქ მიმსვლელი არა ვარო. მაშინვე მივხვდი, თომა ბიკაშვილი თავისი ნება-სურვილით იყო მოსული. ჩემს ვალს მოვიხდი, საბას მაინც შევატყობინებ, ბარნაბიშვილი რომ დაბრუნდაო. იმ წუთიდან შევუჩნდი საბას, არ მოვასვე-ნე, — მამა-პაპის სახლი კაცმა რატომ უნდა გაწიროს-მეთქი. ვირზე რომ შეჯდა, იქიდან ჩამოსვლა აღარ ინდომა. მეც კარ-

გი ვინმე შევხვდი, აღარ მოვეშვი, ეული ამოეხადე. ბარნაბი-შვილი არ მიხსენებია. დავუმალე.

ხაბა — გზიდან ნუ გადამახვევინებ, რახან ვთქვი, ვთქვი! მორჩა და გათავდა!

ანანო — მე თუ მკითხავ, იქიდან ფეხი არც უნდა მთგუცვალა, იქ უნდა დამკვიდრებულიყავი... ის არის შენი მაშული!

ხაბა — იქ რომ დავმკვიდრებულიყავი, შენი ჭირი როგორღა შემეყრებოდა?

ანანო — სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.

ხაბა — ტყუილს ვამბობ? ეგრე არ არის? ქვეყანაზე აგორებულს შენ გადამიდექი წინ, შენ შემაჩერე, თორემ ახლა წიფის გვირაბი კარგა ხნის წინათ მექნებოდა გავლილი.

ანანო — შენ თუ არ გინდა იქ მისვლა, მე წამიყვანე, მე მაჩვენე. ხომ უნდა ვიცოდე, სად დაბადებულხარ, სად გაზრდილხარ, სადაური მოსულხარ.

ხაბა — წაგიყვან, ოღონდ ჯერ საბჭოში შევიაროთ.

ანანო — (ვითომ ვერ მიხვდა). საბჭოში რა ოხრობა გვინდა.

ხაბა — კარგად იცი, რაც მინდა!

ანანო — აკი შემოდგომაზეო.

ხაბა — შემოდგომას რაღად ვუცადოთ.

ანანო — (სიცილით) სანამ შენს სახლს არ მაჩვენებ, სანამ არ გავიგებ, ვინა ხარ და სადაური ხარ, ცოლად არ წამოგყვები...

არ ვიცი, ანანომ კიდევ რა ქალურ ეშმაკობას მიმართა, რა ჯადო-თილისმა იხმარა, ამის მეტი არაფერი უთქვამს. საბა, რა თქმა უნდა, დაუყაბულებია და ერთად გამგზავრებაც გადაუწყვეტიათ. მთელი კვირა საგანგებოდ ემზადებოდნენ თურმე. მეზობლის ბავშვებისთვის სოფლის მაღაზიაში კამფეტებიც კი უყიდიათ. ჩემს იქ არყოფნაში მეზობლად ბალღები გაჩნდებოდნენო, — გაუცინია საბას. მერმე დაქირავებულ ცხენებზე ამხედრებულნი გზას გასდგომიან ნისლაურისაკენ.

თითქმის საღამომდე უვლიათ. ორჯერ შეუსვენებიათ. ანანო კი მაინც დაღლილა. არ ჰგონებია, თუ ასეთი შორი გზა იდო ნისლაურამდე. ბოლოს ალაზანს დიდ მანძილზე გაჰყოლიან ნაპირ-ნაპირ და ანანოს რომ უფიქრია, ქვეყანას გავცდით ან ქვეყნის კიდემდე მივედითო, საბას უთქვამს, — აჰანდე, ნისლაურაცო! ანანოს ალაზნის პირიდან კარგა მოშორებით,

მაღლა მწვანე ფერდობებზე შეფენილი, ხეებში ჩაფლული სოფელი დაუნახავს, სოფელი კი არა, წითელი კრამიტით დახურული რამდენიმე სახლი (ქვეყრდან მთელი სოფელი არ ჩანდა თურმე). ალაზნის პირი, თელები, ბორცვები და გორაკები, სოფლის თავზე ტყეფოთლოვანი... ეს ყველაფერი საბას მონაყოლიდან ისე ცოცხლად აღდგენია მეხსიერებაში, თითქოს ადრე, ერთხელ უკვე ჰქონდა ნანახი.

— ის კი აღარ მეგონა, თუ ქვეყანას ასე მოწყვეტილი იყო საბას სოფელი, — მეუბნებოდა ანანო, — ცხენდაცხენ ავყევით ბილიკს, ავედით, მერმე სოფელში საურმე გზამ შეგვიყვანა. მანამდე არა მიშავდა რა, მერმე უცებ უგუნებობა შემეყარა, ახლოვდებოდა ის დრო, როცა მთავარი სათქმელი უნდა გამემჟღავნებინა საბასთვის, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მეთქვა — აქ იმიტომ წამოგიყვანე, რომ ბარნაბიშვილი დაბრუნდა, უნდა შეგახვედრო-მეთქი. ვღელავდი. მაგრამ საბას არ შეუმჩნევია, გვერდით მომყვებოდა და გაკვირვებული რაღაცას მეუბნებოდა. ჯერ ვერ მივხვდი, რა აწუხებდა, მერმე ერთიდაიგივე რამდენჯერმე გაიმეორა: — ხალხი რა იქნა, სოფელი სად გაკრეფილაო?! სოფელს მე ვერაფერი შევატყე, აქაიქ ვიღაც-ვიღაცები გამოჩნდნენ, ცნობისმოყვრულად გვაკვირდებოდნენ და წესისამებრ გვესალმებოდნენ კიდეც. გადაფერდებულ-გადაბრეცილ ღობის წინ ერთ დაბალსა და ძველ სახლთან რომ შევჩერდით, ეს არის ჩვენი სახლიო, — თქვა საბამ, ცხენიდან ჩამოხტა, მეც ჩამომახტუნა და ღიმილიანი მზერით მიაშტერდა თავის ძველ ბუდეს. მე კი ვიცოდი, ერთსართულიანი სახლი რომ ედგათ, მაგრამ ის სახლი უფრო დიდი და სხვანაირი წარმომედგინა. ქვით იყო ნაგები. აივანი აღარ ჰქონდა, სამიოდე ქვისსავე საფეხურს აივლიდი და პირდაპირ მძიმე მუხის კარს მიადგებოდი. ეზოში ვაშლის ბებერი ხეები ახლაღა ჰყვაოდა. ყვავილებს იმდენი ფუტკარი დახვეოდა, გეგონებოდა, მუქით მიუყრიათო. შინ შესვლამდე შავკაბიანი სამი დედაკაცი გამოგვეცხადა, თავზეც შავი ხილაბანდები ჰქონდათ მოხვეული...

მეზობლის ქალებს, რომელთაგან ერთი საკმაოდ მოხუცებული ყოფილა, საბა ვერ უცვნიათ, საუბარი კი სიამოვნებით გაუბამთ. საბას ამ საუბრით ზოგი რამ შეუტყვია და გაურკვევია. შვიდი წლის მანძილზე სოფელი მართლაც გაკრეფილა. აქე-

დან წასული ხალხი სხვა სოფლებს შეხიზნებია. განსაკუთრებით ახალგაზრდებს აღარ უდგებოდათ გული, — ცხოვრება განზე გვრჩებაო. როდემდე უნდა გავძლოთ ქვეყანას მოწყვეტილებმაო.

— ერთი რამ არ მესიამოვნა, — ამბობდა ანანო, — საბამ თომა ბიკაშვილი რომ მოიკითხა, დედაკაცებმა იმაზეც ჩაიქნიეს ხელი, — პირველი ეგ წავიდაო. აიკრა თავის გუდანაბადი და ცოლ-შვილიანად მირზაანში დასახლდაო. ამას უკვე აღარ მოველოდი, კინაღამ მუხლები მომეკვეთა და უნებურად უნაგირის კეხს წავავლე ხელი. აქეთ რომ მოვეშურებოდი, სულ იმის იმედი მქონდა, თომა ბიკაშვილი სოფელში დაგვხვდებამეთქი.

შინ შესვლამდე საბა გამოცნაურებია მეზობლებს. ესა და ეს ვარო. დედაკაცებს ქოთქოთითა და ვიშვიშით თითქმის მთელი სოფელი შეუყრიათ. მერმე ეს ხალხი სახლს შესევია, სწრაფად მიულაგებიათ იქაურობა, დაუგვიათ, დაუწმენდიათ, დაუსუფთავებიათ. ზოგი ღვინოს მოარბენინებდა თურმე, ზოგი — პურს, ზოგი — ხორცს, საბასაც დაუპირქვავებია საგზლიანი ხურჯინი და დიდი პურ-მარილი გაშლილა. ამ სახლს სიმღერით ჭერი უნდა ავხადოთო. — ამბობდნენ ქეიფის გუნებაზე დამდგარი ნისლაურელები. ანანო ყველა შინ შემოსულ მამაკაცში ბარნაბიშვილს ხედავდა თურმე. მაგრამ ეჭვსა თუ ვარაუდს არ გაუმართლებია, ბარნაბიშვილი იმ საღამოს არ გამოჩენილა, წესით და რიგით, არც უნდა გამოჩენილიყოო.

ანანოს ახლა ის უფიქრია, — ბარნაბიშვილი თუ აქ არის, ვინმე მაინც ახსენებსო. როგორ იქნება ამოდენა ხალხში ერთს მაინც არ მოაგონდესო, მაგრამ პირველ მამალს ისე უყივლია და ბოლო სტუმარიც ისე წაბარბაცებულა, რომ ბარნაბიშვილი არავის მოჰგონებია, თითქოს ქვეყანაზე არც უარსებია. მარტო რომ დარჩენილან, საბას უთქვამს, — ეგ თომა ბიკაშვილი რამ გააგიჟა, აკი სახლი ინგრევაო? კრამიტი რა არის, ერთი კრამიტი არ დაცურებული, როგორიც დავტოვე, ისეთივე დამიხვდაო! ბოლოს და ბოლოს უნდა ეთქვა ანანოს, რისთვის მოვიდა თომა ბიკაშვილი და რა დაუბარა. უთხრა კიდეც.

საბა — თუ ბარნაბიშვილი დაბრუნდა, სად არის, რატომ არ გამოჩნდა?

ანანო — არ ვიცი. ის კაცი ტყუილს არ იტყოდა, ასე თქვა,— ბარნაბიშვილი დაბრუნდაო.

საბა — კარგი, ეგრე იყოს... დაბრუნდა... მერმე მე რა ვქნა?

ანანო — არ გინდა შეხვდე, დაელაპარაკო?

საბა — რატომ შეეხვდე?.. რატომ დაველაპარაკო?

ანანო — კაცი ხარ და იმიტომ! რა, არაფერი დაგრჩა სათქმელი?

საბა — კარგი, დავიძინოთ... ხვალეც ამ თვისაა...

ანანოს ის ღამე თეთრად გაუთენებია... თითქოს სატანა სულში ჩაჰბუდებია და გათენებას დაძაბული მოუთმენლობით ჩასაფრებია, ღრმად დარწმუნებული, რომ ბარნაბიშვილთან შეხვედრა უსათუო და გარდუვალია.

ადრიანად ამდგარი საბა რიყრაჟზევე შესდგომია საქმეს, ანანოს ფანჯრიდან დაუნახავს. ცხენებს ჰკაზმავდა თურმე. მერმე ცხენით წასულა და მალევე მობრუნებულს ანანოსთვის გარედან მიუწვდენია ხმა, — წასვლის დროაო. ეგრეევე ზეზეურად წაუხემსებიათ და კარი გამოუხურავთ. სოფელს ჯერ კიდევ სძინებია. გამოუმშვიდობებლად დაუტოვებიათ იქაურობა.

— მაისის ბოლო დღე იყო, კარგად მახსოვს. — ამბობდა ანანო.

მოსული გზით გაბრუნებულან უკან. საბა ჩქარობდა თურმე და ანანოც იძულებული ყოფილა, სწრაფად ეტარებინა ცხენი. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, საბა იმიტომ ჩქარობდა, რომ ბარნაბიშვილს გარიდებოდა. ასე უფიქრია ანანოს, — ბარნაბიშვილთან შეხვედრას გაურბისო. ადრინდელი ვნებები თითქოს განელებია კიდეც, — საბას კაცობაზე ვფიქრობდი, მამის ჯავრი რატომ უნდა ეჭამაო. მაგას თუ სანაღვლო არა აქვს რა, აქ რაღა მომარბენინებდაო. მაგრამ ეს გულგრილობა მოჩვენებითი ყოფილა, ანანო თავის თავსაც აღარ უმხელდა, რომ სულში ისევ ეშმა-ქაჯები ესხდნენ, ჯერ ხომ იქიდან ერთიც არ გაუძევებია.

დაღმართი ფეხით ჩაუთავებიათ და ალაზანთან ისევ შემსხდარან ცხენებზე. ანანოს ახლაღა შეუმჩნევია, მდინარე ადიდებული და ამღვრეული რომ მოედინებოდა. აქედან თითქოს მარცხნივ უნდა გაეხვიათ. საბას მარჯვნივ აუღია გეზი, თელები სწრაფად გაუელია, მერმე აღმა აჰყოლია ბილიკს და

პატარა, ყვავილებით მოფენილ ბორცვზე შეუყენებია ცხენი, ანანოს ბორცვიდან ასიოდე ნაბიჯზე, ქვევით, მდინარის მახლობლად მათკენ ზურგშექცევით მდგარი კაცი დაუნახავს, ბარით ორმოს თხრიდა თურმე.

— აგე, ბარნაბიშვილი! — უთქვამს საბას და ხელი გაუშვერია.

ანანო უცებ აღელვებულა. მაგრამ ძველი ცეცხლით ანთებულს გარეგნულად სიმშვიდე შეუნარჩუნებია და წყნარად უთქვამს:

— მივიდეთ, ვნახოთ.

ცხენები ბორცვზე დაუტოვებიათ და ფეხით ჩასულან. მუყაითად და გულისყურით თხრიდა ორმოს ბარნაბიშვილი და მათი მისვლა არც გაუგია.

— აკი გითხარი, ბარნაბიშვილია-მეთქი! — გაუცინია საბას.

ბარნაბიშვილი შემკრთალა, სხარტად შემობრუნებულს ბარი მოუმარჯვებია...

დაბალი, თითქმის ოთხკუთხედი. პირმრგვალი და მელოტი. ულვაშივით აპრეხილი ხშირი წარბები. წვრილი, ერთმანეთთან ახლოს ჩამსხდარი, მოძრავი თვალები. სწორი და თხელი, დიდნესტოებიანი ცხვირი, უტუჩო, პატარა ფოსოსავით პირი. ხაკისფერი, ძველი და გაცვეთილი ხალათი. თეთრ, გაჭუჭყიანებულ სოფლურ წინდებში ჩატანებული ხაკისფერივე გალიფე. ფეხები წვეტიან კალოშებში წაყოფილი...

ასეთი დამახსოვრებია ანანოს ბარნაბიშვილი.

— ვინა ხართ, რა გინდათ? — შემკრთალსავე უკითხავს გაბზარული ბოხი ხმით, ბარი ისევ მომარჯვებულად სჭერია. თავის დაცვას თუ აპირებდა.

— აქაურები ვართ, ნისლაურელები. — დაუმშვიდებია საბას.

— აქაურებს რომ არა ჰგავხართ? — მაინც დაეჭვებულა ბარნაბიშვილი.

— შენც არა ჰგავხარ აქაურს, მაგრამ აქა ხარ... დაწყნარდი, ბარნაბიშვილო, ეგ ბარი ცოტა ხნით მანდვე მიაყუდე. — საბა იქვე ჩამომჯდარა და სახეში მისჩერებია ბარნაბიშვილს, ანანოსთვისაც უთქვამს, — შენც დაჯექიო, მაგრამ ანანო არ დამჯდარა.

— აჰა, ეს ბარიც მივაყუდე. — ბარნაბიშვილი ორმოს ეკერდით ხელებჩამოშვებული გაჯიმული.

— ხეების ჩარგვას თუ აპირებ, მოგეხმარები.

— ეგ მე ვიცი, რასაც ვაპირებ. — ისევ ბარისთვის წაუტანებია ხელი.

— რას მეჩხუბები, კაცო, სამტროდ კი არ მოვსულვარ.

— არც სამოყვროდ უნდა იყო მოსული. — ბარნაბიშვილს რატომღაც ხითხითი ასტეხია და ჩაბჟირებული.

— არაყს ხომ არ გადაჰკრავდი, დილის მადლისას?

— მეე?.. არც არასდროს გადამიკრავს, არც არასდროს გადამიკრავს!.. — წაულიღინებია.

— მაშ, რაც ჩაგიდენია, სულ ფხიზელს ჩაგიდენია!

— სულ! — დაუდასტურებია კმაყოფილს.

— ამ გამთენიისას ბარით ხელში რომ დაგინახე, გამიკვირდა.

— რა გაგიკვირდა, სულ გარჯაში არა ვარ?

— გარჯაში კი ხარ, მაგრამა... ბარს ძველად ვინ გაკადრებდა?

— ჰოო... ბარს ძველად ვინ გაკადრებდა, ბარს ძველად ვინ გაკადრებდა...

— შენისთანა თავმჯდომარე მეორე არც იყო ქვეყანაზე.

— შენ მართლა აქაური ჩანხარ... აქაური ხარ?

— ვიყავი, მერე ავიბარგე და მოვშორდი აქაურობას... მაგრამ შენი კაიკაცობა არ დამვიწყებია.

— ეგეც ხეირია!.. ქვეყანა უმადური ყოფილა. — აქ ხმა დაუდაბლებია, ჩურჩულით უთქვამს, თითქოს საიდუმლოს ანდობს ან უმჟღავნებსო, — რაც მე ამათ საქმე ვუკეთე, ვემსახურე... დღე და ღამე, დღე და ღამე სულ ამათ საქმეში ვიდექი ყელამდე... მერე აიღეს და ყველაფერი წყალში ჩამიყარეს.

— კაცო, შენც ემდური ამ ქვეყანას?

— ამ გაოხრებულ სოფელში კოლექტივი ჩამოვუყალიბე, მეტი რა უნდოდათ?! ამ დასაქცევში ჩემს გარდა სხვა ვინ წამოვიდოდა?! მაგათ კი ყველაფერი წყალს გაატანეს.

— იმ ცხენებივითა, არა?

— შენ საიდან იცი? — ბარნაბიშვილს ეს შეკითხვა ჯერ

თითქოს წამოსცდენია, მერმე კი ყალყზე შემდგარს უკითხავს,— ეგ შენ საიდან იცი?!

— კიცი.

საბას ხუსტად აღუწერია, როგორ გამორეკეს ტყის პირიდან ასი ბედაური და ძერძე აქ, სწორედ ამ ადგილას როგორ შერეკეს ალაზანში ყიჟინითა და კეტების ქნევით.

ბარნაბიშვილი უცებ მოშვებულა, მოდუნებულა, თითქოს ~~დაპატარავებული, ბორჩილად დამჯდარა~~ და თავისივე ამოთხრილ ორმოში ფეხები ჩაუყრია, ათრთოლებული თუ აკანკალებული ხელები ბარძაყებშორის ძლივს ჩაუტენია.

— აკი ვაღიარე, შეცდომა მომივიდა-მეთქი, — დამნაშავესავით ჩაუკიდია თავი, — ოქროზე არ უნდა გამეყიდა...

— ოქროზე?

— ვიღაც ოხრები შემომიჩნდნენ და შემაცდინეს... ერთი შეცდომა ვის არ მოსვლია... მაპატიეთ.

— რამდენი გაჰყიდე?

— თითო ცხენში ოცდახუთი მანეთი მომცეს... ოქროთი... მე რა ვიცოდი, თუ კონტრაბანდისტები იყვნენ, თუ ცხენებს ირანში გაიყვანდნენ?.. საიდან უნდა მცოდნოდა, ჰა? ადამიანურად მელაპარაკებოდნენ, ხალხი მეგონა, ისინი კი კონტრაბანდისტები ყოფილან.

— ალაზანს რამდენი ცხენი გადაურჩა?

— არ ვიცი... მახსოვს, სამასი ოქროს ხუთმანეთიანი დამითვალეს, სულ კრიალი გაჰქონდა.

— ეგ კარგად დაგიმახსოვრებია.

— სამოცი ცხენი გადარჩენილა. — სწრაფად დაუთვლია ანანოს.

— ჰო, ეგრე იქნებოდა... — დასთანხმებია ბარნაბიშვილი.— სამასი ოქროს ხუთმანეთიანი... ოღონდ არ მაგონდება, სად ჩავუვალი... მაგასაც გეტყვით, გავიხსენებ და გეტყვით...

— ერთი ისიცა თქვი, — ახლა უკვე ანანო შეჰკითხეია,— იოთამის ცხვარიც ოქროზე გაჰყიდე?

— იოთამის ცხვარი? — მორცხვად გაუღიმია და თვალები დაუხრია ბარნაბიშვილს, — არა, ჩვენი ფული ავიღე. არა, არა, ცხვარში ოქროს ვინ მოგცემდა? ოქრო სხვა რამეა! ოქრო... ოქრო... რომ არ მაგონდება, სად ჩავფალი...

— ხომ მიხვდი, რატომა თხრის ორმოებს? — საბა წამომდგარა და ანანოსთან მისულა.

— ოქროს ეძებს. — უთქვამს ანანოს.

ბარნაბიშვილს უცებ თვალები ამღვრევია და ყბა მოქცევია. ორმოდან მოულოდნელად, თან უცნაურად ამომხტარს ნერვიულად დაუწყია წინ და უკან, გარდიგარდმო სიარული, გარკვეულ მიჯნამდე მივიდოდა და უკან გამობრუნდებოდა თურმე, ასე დიდხანს უვლია, ოღონდ განსაზღვრულ მიჯნისთვის არ გადაუბიჯებია, თითქოს კედელს აწყდებოდა.

— ხედავ, რა დღეშია ჩავარდნილი? — საბა ბარნაბიშვილისკენ ზურგით მიბრუნებულა. — წავიდეთ.

— მოიცადე! — ანანო, პირიქით, თვალს არ აშორებდა თურმე ბარნაბიშვილს, — ეს გარეწარი მოერია მთელ სოფელს?!

— ახლა იოლია ეგრე თქმა... წამო, წავიდეთ! ხომ ხედავ, კაცი აღარ არის.

— მოიცადე-მეთქი! — ანანოს რამდენიმე ნაბიჯი წინ გადაუდგამს, — ბარნაბიშვილო!

ბარნაბიშვილი ოდნავ გვერდზე შებრუნებულა, მერმე პირქვე დამხობილი გახოხებულა, თითქოს გასაძვრომი იპოვა და გაძვრაო. ასე მუცელზე ხოხვით მისულა და ბარისათვის ხელი ჩაუვლია. გამახსენდა, გამახსენდაო, — წამოუყვირია და უცებ წამომხტარი ბარიანად გაქცეულა, ანანო შორიახლო გაჰყოლია. ბარნაბიშვილს ერთი-ორჯერ თვალის ცეცებით მოუხედავს, ალბათ, უკან ხომ არ მომდევენ ან ხომ არ მითვალთვალებენო და ჩქარი ნაბიჯით გზა გაუგრძელებია...

— ისე მიდიოდა, თითქოს მიიპარებოდა, თითქოს ვიღაცას ემალებოდა, — მიამბობდა ანანო, — მე უკან მივდევდი, ფეხდაფეხ მივყვებოდი. თანაც ზურგზე საბას თვალს ვგრძნობდი. ერთხელ დამიძახა კიდეც, ჩემი შეჩერება უნდოდა, მაგრამ ვერ შემაჩერა. ტოტებშორის დავინახე, ბარნაბიშვილი ერთ დიდ თელასთან იდგა, გულმოდგინედ ათვალიერებდა, ხეს ორჯერ შემოუარა, მერმე ისევ შეჩერდა და მიაშტერდა. მერმე სულ ახლოს მივიდა, ხეს ზურგით მიეყრდნო და ჩემსკენ გადმოთვალა შვიდი ნაბიჯი. ჰო, კარგად მახსოვს, შვიდი ნაბიჯი... მეშვიდე ნაბიჯი რომ გადმოდგა, თითქოს მიწა გაუსკდა და თან ჩაიტანა... მივხვდი, მეშვიდე ფეხი ორმოში ჩავარდნოდა და იმიტომ წაქცეულიყო... ჩემი ვარაუდით, ეს ის ორმო იყო, რომელსაც ეძებდა; მაგრამ ორმო უკვე ამოთხრილი დახვდა. ეგრე

წაქცეული გაირინდა, მერმე მუცელზე დაწოლილი ორმოსკენ შეტრიალდა და შიგ წაჰყო თავიცა და ხელებიცა. ორმო ძველი ამოთხრილი ჩანდა, შიგ ბალახი ამოზრდილიყო და მანამდე ვერ შეამჩნევდი, სანამ ფეხი არ ჩაგიცდებოდა. ბარნაბიშვილი აღარ მოძრაობდა, იმ ორმოში ხომ არ ჩაკვდა-მეთქი, გავიფიქრე. მერმე გამეტებით დავუძახე:

— ბარნაბიშვილო!..

ბარნაბიშვილს შემკრთალი თავი ორმოდან ამოუყვია, მაგრამ არ წამომდგარა.

საბას ერთხელ კიდევ უთქვამს ანანოსთვის, აქედან წავიდეთო.

— ბარნაბიშვილო, გახსოვს იოთამი?! — არ ეშვებოდა თურმე ანანო.

— იოთამი?!

— გახსოვს თუ არა?!

ბარნაბიშვილს ხმა არ გაუცია.

— ეს კაცი საბაა — იოთამის შვილი!

— იოთამი მე არ მომიკლავს.

— ეს კაცი იოთამის შვილია! — კიდევ ერთხელ უთქვამს ანანოს და საბასკენ გაუშვერია ხელი.

ბარნაბიშვილს წამოდგომა არც უცდია, მხოლოდ თავი წამოუწევია. იქაურობა მიმოუთვალიერებია და ხოხვა-ხოხვით დაძრულა ალაზნისაკენ, უკან აღარ მოუხედავს, ოღონდ დროდადრო სკუპსკუპით იმოკლებდა გზას მდინარემდე. ალაზნის ნაპირთან მისული სულ ერთ წამში, თვალის ერთ დახამხამებაში გადამხტარა, გადაშვებულა... თითქოს ბაყაყი იყო და ბავშვმა ჯოხი მოუქნია, იმანაც, თავს ვუშველოო, წყალში ისკუპა... თითქოს თავის სტიქიას შეერია, თითქოს ის იყო ერთადერთი ხსნა, ერთადერთი თავშესაფარი.

გაოგნებული ანანო მდინარის ზედაპირს დასცქეროდა თურმე, ან ახლა ამოჰყოფს ბარნაბიშვილი თავს, ან ახლაო.

ამაოდ!

უცებ საბას ხმა გაუგონია:

— ეგ გინდოდა?!

როგორ იფიქრებდა ანანო, რომ უკანასკნელად ესმოდა საბას ხმა. შინ დაუბრებულებივით დაბრუნებულან, მთელი გზა სიტყვის უთქმელად გამოუვლიათ.

— სახლამდე მომაცილა, — მეუბნებოდა ანანო, — არც დამემშვიდობა, არც შემომხედა, ცხენები წაიყვანა და წავიდა. უხმოდ წავიდა, უსიტყვოდ... შემდეგ აღარ მინახავს, აღარ მოხულა... სულ მალე, როგორც იცი, ომი დაიწყო.

ანანოს გაშტერებული, ბივრიტისფერი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ერთი კურცხალიც არ გადმოვარდნია, თვალებში ასევე ამოუშრა ცრემლი, თითქოს ბოლმამ და ნაღველმა უკანვე შეისრუტა და შეიწოვა.

მე დიდ ოთახში გამოვედი, ერთხანს უაზროდ ვიწრიალე, მერმე ფანჯარას მივადექი, უკანა ეზოში გადავიხედე: საბძლის წინ ქათმები იქექებოდნენ, მხოლოდ ახლაღა გამახსენდა ჩვენი წითელი მამალი, საბძელზე შეფრენილმა ფერი რომ იცვალა და გაფრინდა.

8

თბილისში ივლისის თხუთმეტს ჩამოვედით და რამდენიმე დღე ვალაგებდით ანგრეულსა და მტვრიან ბინას. საქმეს თავი ვერ დავადგით და ჩვენი უმწეობითა და უგერგილობით შეწუხებულმა მეზობლებმა დახმარება შემოგვთავაზეს. მამას უარი არ უთქვამს.

ცხელოდა, ქალაქს ბუღი ასდიოდა. ოთხი წლის მანძილზე სოფლის ჰაერით გალაღებულსა და განებივრებულს სუნთქვა მიჭირდა. სიცხისაგან გასავათებული მტკვარზე ჩავირბენდი, გავგრილდებოდი და სველი, წყალი წურწურით რომ დამდიოდა, ისევ ჩვენს აივანზე ამოვირბენდი. დაუსრულებლად ჩამქონდა და ჩამქონდა ეზოში ნაგავი. როდის დაგროვდა ამდენი? ჩვენს აქ არ ყოფნისას ვერ დაგროვდებოდა და ნუთუ მანამდე ამ ნაგავში ვცხოვრობდით? რამდენი გამოუსადეგარი ძველმანი იყო შეჩურთული განჯინებსა და კარადებში, ტახტსა და ზანდუკში, საწოლების ქვეშ, ბნელ კუნჭულებში! საკვირველია, რატომ ვერ ელევა ამ ნაგავს ადამიანი? შინიდან რაც გაგვქონდა, ნახევარი არ იყო იმ ძველმანებისა, რასაც ვიტოვებდით. ეს შეიძლება გამოგადგეთო, — საქმის კარგ მცოდნესავით იტყოდა ვინმე მეზობელთაგანი და რაღაც ძველ ჯღანს, — თაგვების დაღრღნილ ფეხსაცმელს ან ჩვრადქცეულ შარვალს დაბერტყავდა და გვერდზე გადასდებდა. მამაჩემი რატომღაც

ყველას ესიტყვოდ ეთანხმებოდა და ემორჩილებოდა, მე გუნებაში წინააღმდეგობას ვუწევდი მეზობლებს, ერთგვარი პროტესტის გრძნობა მეუფლებოდა, ზოგჯერ მეცინებოდა, — კიდევ ერთი მსოფლიო ომი ხომ არ არის საჭირო, რომ ამ ძველმანების ვამოუსადეგრობაში დავრწმუნდეთ-მეოქი.

მამაჩემისთვის, მგონი, უკვე სულერთი იყო, რას დატოვებდნენ და რას გადაყრიდნენ, ყველაფერზე თავს იქნევდა განურჩევლად, რაღაცნაირად შეფიქრიანებული მეჩვენებოდა. თავის თავს არ ჰგავდა, ხმას აღარ იღებდა და მთელ ამ საქმიანობას, რასაც სახლის დალაგება და დასუფთავება ერქვა, აღარ ხელმძღვანელობდა. რამდენი კაცი გვეხმარებოდა, სათვალავი ამერია, ვინ შედიოდა, ვინ გადიოდა, ვის რა გაჰქონდა, ვის რა შეჰქონდა, ველარ ვარჩევდი. მამაჩემი ოთახიდან ოთახში უაზროდ გადი-გამოდიოდა და პაპიროსს აბოლებდა.

მერმე უცებ უანგარო დახმარებისათვის ყველა მეზობელს მადლობა გამოუცხადა, — მაღარიჩი ჩემზე იყოსო, ამ პატივისცემას, სანამ ცოცხალი ვარ, არ დაგივიწყებთო და კიდევ რაღაც-რაღაცები უთხრა, სიტყვა არ დაუშურებია. მე მგონი, დროულად თქვა მადლობა, რადგან მეზობლების (ძირითადად ქალების) მოჩვენებითი საქმიანობა უკვე ცნობისმოყვარეობაში გადაზრდილიყო. უდიდესი ინტერესით ათვალიერებდნენ შინ რა მოგვეძევებოდა. ნივთებს ყოველი მხრივ ამოწმებდნენ, აფასებდნენ კიდეც, — საბურთალოს ბაზარზე ამდენად და ამდენად გაიყიდებაო. ერთმა მეზობლის ქალმა კარადიდან დედაჩემის კაბაც კი გადმოიღო, ზურგზე მოაზომა მეორეს, რომელიც ამ დროს ფაიფურის ძოგრძო ჭურჭლით, როგორც ჭოგრიტით, ღია ფანჯრიდან ცას უჭვრეტდა.

— იცი, რამდენი საქმეა გასაკეთებელი, — მითხრა მამაჩემმა, როცა მარტონი დავრჩით, — მაგრამ არა უშავს, ყველაფერს მოველება.

სარბენი და საზრუნავი, მართლაც, არ გამოლევია. სამხედრო კომისარიატში უკვე გამოცხადდა, რაღაც საბუთი წარადგინა, რითაც ომში მონაწილეობა და დემობილიზაცია დაუდასტურა. იქიდან გახალისებული დაბრუნდა, დიდი პატივით მიუღია თვით კომისარს, მთელი საათი მელაპარაკაო, — მითხრა, — ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხაო, სად იბრძო-

დი, რომელ ფრონტზეო. რვა მაისმა სად მოგისწროო... მერმე ორი დღე პურისა და სასურსათო ბარათებისათვის ირბინა, არც იმ ბარათების აღება უნდა გასჭირვებოდა, რადგან ჯერ კიდევ სამხედრო ფორმა ეცვა და ყველგან თავისუფლად შედიოდა. მთავარი მაინც ბარათების მოპოვება იყო. ამის შემდეგ უკვე შეგვეძლო თბილისში ცხოვრება, არსებობის საშუალება ხელთა გვქონდა.

— აუჰ, ეს რა შემოსევა ვნახე, ეს რა იყო, კაცო!.. ასე ჩვენ არ შევსევივართ ბერლინს! — ხელები უმწეოდ გაშალა მამაჩემმა, — ამას რა დაალაგებს... თუმცა უმადური არ უნდა იყო, ბევრი ნაგავი გაგვატანინეს... ვერ დავემდურებით, კარგი ხალხია...

ორივენი უმწეოდ დავდიოდით ანგრეულ, აყრილ-დაყრილ ბინაში და არ ვიცოდით, ლაგება საიდან დაგვეწყო, მაგრამ ნელნელა, თანდათან ყველა ნივთს თავისი ადგილი მივუჩინეთ და ჩვენმა ორმა ოთახმა და შუშაბანდმა თავისი ძველი, დედა-ჩემისდროინდელი იერი დაიბრუნა. მამა დროდადრო თითო-ოროლა სიტყვას იმეტებდა ჩემთვის, შემპირდა, — კვირას საბურთალოს ბაზარში წაგიყვან და წესიერ ტანსაცმელს გიყიდიო. აბა, ინსტიტუტში ამ დამოკლებული შარვლით და ძირგავარდნილი ფეხსაცმელებით ხომ ვერ ივლიო. ამას ბუნებრივად მოჰყვა საუბარი სწავლის გაგრძელებაზე, — სად აპირებ შესვლას და რა გინდა გამოხვიდეო. ჩემგან გარკვეული პასუხი რომ ვერ მიიღო, თვითონვე შემომთავაზა, — ინდუსტრიულ (ახლანდელ პოლიტექნიკურ) ინსტიტუტში შედიო, რამე კარგ სპეციალობას დაეუფლე, ხომ იცი, ტექნიკის საუკუნეა და ჩვენც საუკუნეს ფეხდაფეხ უნდა მივყვეთო. პირადად მე ომში ძალზე გამომადგა ტექნიკური განათლებაო.

ხმა არ ამომიღია, გაჩუმებული ვუგდებდი ყურს, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, რა მეპასუხა, რა მეთქვა. გულწრფელად რომ ვაღიარო, ტექნიკური განათლების დაუფლებისაკენ გული მაინცდამაინც არ მიმიწევდა. თუმცა სკოლაში მათემატიკურ საგნებს ადვილად ვითვისებდი და ჩემი პედაგოგებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ სწორედ ამ განხრით გავაგრძელებდი უმაღლესში სწავლას. მამაჩემის რჩევა-დარიგებას გულისყურით მოვუსმინე და მისი ნათქვამი ერთგვარად ჭკუაში დამიჯდა.

იმ საღამოსაც ანანოს სანოვაგით კივახშმეთ, ნახევარი ტომარა სიმინდის ფქვილი, ლობიო და კვერცხები გამოგვატანა. მოხარშულ დედალს მატარებელშივე მოვუღეთ ბოლო, ძალიან ცხელა, გაგვიფუჭდებაო, — თქვა მამამ და წუთით არ დაგვიყოვნებია, მრგვლად მოხარშული დედალი უმალვე გადავარჩინეთ გაფუჭებას.

მამაჩემის დაბრუნებამდე ძალიან ბევრს ვფიქრობდი და ფიქრში საკმაოდ ნორმალურ ურთიერთობასაც ვამყარებდი მამასთან. ამას სულ ადვილად ვახერხებდი, რადგან მეხსიერებაში ჩაბეჭდილ სახეს ჩემი ფანტაზიის წყალობით, როგორც მსურდა ყოფილიყო, სწორედ ისეთად წარმოვიდგენდი ხოლმე.

სოფელში ათ ივლისს ჩამოვიდა, ოფიცრის ფორმა ეცვა, უკვე დემობილიზებული იყო, მაგრამ კაპიტნის სამხრეებს მაინც ატარებდა. დაბრუნდა სიცოცხლით სავსე, მხნე, ჯანიანი, ლაპარაკსა და მხიარულებას მონატრებული და დახარბებული. მამა პირველი მერცხალი არ ყოფილა, მანამდე სამნი ჩამოვიდნენ, სხვადასხვა ფრონტიდან წამოსულები თელავის სადგურში შემთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს და სოფელსაც ამიტომ ერთ დღეს გამოეცხადნენ. სოფელიც, რა თქმა უნდა, ზერ-ზეიმით შეეგება გამარჯვებით დაბრუნებულებს. დაბრუნებულთაგან ერთს კონტუზია ჰქონდა მიღებული, მეორეს — მარცხენა ხელი მაჯაში წაწყვეტილი, მესამე კი, როგორც სოფელში ამბობდნენ, საღსალამათი იყო. ისინი ორჯერ ვნახე და ორჯერვე ჩაფიქრებულები და გულჩათხრობილები მომეჩვენენ, ცოტას ლაპარაკობდნენ და შეკითხვებზე ძუნწად იძლეოდნენ პასუხს.

მამა ჭახჭახის მაგვარი სიცილით შემოვიდა ეზოში, ჩემოდანი გვერდზე მოისროლა, ანანოს ორივე ხელი წელზე შემოხვია, აიტაცა და ციბრუტივით დატრიალდა. მერმე მე შემომხედა და ერთხანს დაჟინებით მიცქერდა, მიცნო და ახლა მე დამეძგერა, ანანოზე უარესი დღე დამაყენა: ამიტაცა, დამაბზრიალა, დამგრიხა, დამჭმუჭნა, მერმე ისევ გამასწორა და გამაუთოვა. თან სულ იმას ამბობდა, — რამოდენა ხარ, ბიჭო, გზაზე რომ შემხვედროდი, ვერ გიცნობდიო.

დალაპარაკება ვერ მოვასწარით, ერთმანეთს სიტყვა ვერ ვუთხარით, ეზო ხალხით გაიჭედა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ, თან მოსაკითხი მოჰქონდათ, — ვის ქათამი, ვის — ყვე-

ლი, ვის — დედას პური თუ ღვინო... ანანომ ყველას განუცხადა, — სანდროს ჩამოსვლისათვის ცხვარი უნდა დავკლაო. ეს ცხვარი გაზაფხულზეევე იყიდა თუში მწყემსებისგან. დღეს— ნუო! — უთხრეს მეზობლებმა, — დღეს რაცა გვაქვს, იმით გაუმდეთ იოლადო, ცხვარი ხვალ იყოსო... იოლად კი არა, ეზოში ისეთი სუფრა გაიშალა, ავ თვალს არ დაენახვებოდა.

სულ ვცდილობდი მამაჩემის ახლომახლო მეტრიალა, მაგრამ ვინ მიგიშვა, ვინ მიგაკარა?! შეესივნენ დედაკაცები და ამოსუნთქვის საშუალება აღარ მისცეს, ვინ ქმარს კითხულობდა, ვინ — შვილს, ვინ — ძმას... მამა კარგ გუნებაზე დამდგარი ჩანდა და ყველას იმედიან სიტყვას უბრუნებდა, — ეგენიც ჩამოვლენო, დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ აქ იქნებიანო. იმათაც სხვა რა უნდოდათ, ბედნიერები ლოცავდნენ და ადიდებდნენ მამაჩემს.

მერმე ამ ლოცვა-დიდებამ სუფრაზე გადაინაცვლა.

სუფრას ათიოდე ხანდაზმული მამაკაცი უჯდა, დანარჩენი ქალები იყვნენ, ოცდახუთზე მეტი დავთვალე, რა თქმა უნდა, ყველას დედაბრები ჭარბობდნენ. მამაჩემს ქალთა სიმრავლე თვალთახედვიდან არ გამოპარვია, ხმამაღლა განუცხადა სტუმრებს, — სოფელი ქალებს აგიღიათ და ეგ არისო, ბოლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფიდო კვალიაშვილი მოვიდა და თამადობაც იმას ებოძა. ეს კაცი რაღაცნაირად მესიმპათიურებოდა, სულ გარჯილს ვხედავდი. ერთთავად საქმით გართულს, ომში წასულთა ოჯახების ქომაგობასაც და შეძლებისდაგვარად ზრუნვასაც ახერხებდა. ერთხელ მეც გამომიგზავნა ახალი ფეხსაცმელები, რომლებსაც ძალზე პრაქტიკული და ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანი თვისება აღმოაჩნდა: ფეხის გაზრდასთან ერთად რაღაც მანქანებით თვითონაც იწელებოდნენ და იზრდებოდნენ ისე, რომ სკოლაც კი დამამთავრებინეს.

ფიდო კვალიაშვილი დინჯად, მამაპაპურად გაუძღვა სუფრას, კარგი ოქროპირიც აღმოჩნდა.

მე ჩემი საფიქრალი მქონდა, მამას ერთი წუთითაც არ ვაშორებდი თვალს, მის ყოველ მოძრაობას, სახის გამომეტყველებას, წარმოთქმულ სიტყვას ვაკვირდებოდი, ვწონიდი, გუნებაში ვადარებდი იმ კაცს, რომელსაც ადრე, ბავშვობისას ვიცნობდი და ოთხი წლის წინათ ფრონტზე გაეაცილე. ჭარბად აღტაცებული და აღტკინებული მომეჩვენა, თუმცა რატომ არ

უნდა ყოფილიყო აღტაცებული, რა უშლიდა ხელს?! კიდევ კარგი, ეგრეა, თორემ სხვებივით გულჩათხრობილი და დამძიმებული რომ დაბრუნებულიყო, ის უკვე სხვა კაცი იქნებოდა-მეთქი.

სუფრა საღამო ხანს აიშალა. ხალხო, სირცხვილია, ეს ნომარი კაცი ცოტა მაინც მოვასვენოთ, ხვალაც ამ თვისაო!— სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ ეზოდან, ლაპარაკ-ლაპარაკით, ღიღინ-ღიღინით, სიმღერა-სიმღერით. მაგიდას მეზობლის ქალები დაუტრიალდნენ. ხელად აალაგეს, დაასუფთაეს იქაურობა, ხორაგი ცალკე გადააწყვეს, ჯამ-ჭურჭელი დარეცხეს და დააკრიალეს.

მამაჩემს ღვინო მოჰკიდებოდა, უკეთეს გუნებაზე დამდგარიყო და ქალებს ეხმარებოდა. ჯამ-ჭურჭლის რეცხვა რა მამაკაცის საქმეაო, — ეხუმრებოდნენ აქეთ-იქიდან, ის კი თავისას არ იშლიდა, ჯარში შემაჩვიეს, — იცინოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც თავისი ძველი მეგობრის, მარო მასწავლებლისადმი იჩენდა. სულ კუდში დასდევდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა, აცინებდა და თვითონაც მხიარულად ჭახჭახებდა.

მამაჩემისა და ზიზის დედის ეს ჩურჩული, კისკისი და ჭახჭახი რაღაცნაირად არ მომწონდა და დადარაჯებული ვადევნებდი თვალყურს. შეიძლება იმან უფრო გამაღიზიანა, რომ პირველი შეხვედრისა და სიხარულის შემდეგ მამამ ყურადღება აღარ მომაქცია, თითქოს დამკარგა და დაკარგვისთანავე მიმატოვა და დამივიწყა. მაგრამ მალე ყველაფერი ჩაწყნარდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, ბოლოს და ბოლოს მარტონი დავრჩით ანანო, მამა და მე.

მე და ანანო პირველ სართულზე, ლამპის შუქით მკრთალად განათებულ დიდ ოთახში მაგიდას ვუსხედით, მამა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბოლთას სცემდა, ფეხი თუ შეეშლებოდა, მაშინვე აღიდგენდა წონასწორობას. ორივეს, ანანოსაც და მეც, წინ გვეწყო საჩუქრები. იმას — ჭრელი, ყვავილებით მოჩითული თავშალი, მე — პატარა, არაჩვეულებრივად ლამაზი ნიკელის ჰარმონიკა, რომელსაც სულს ჩაბერავდი და მშვენიერ ხმებს გამოსცემდა, ოღონდ უსათუოდ დაკვრა უნდა გცოდნოდა. ასე მდუმარედ ვისხედით და გაურკვეველი, უცნობის მომლოდინე დუმილით შევცქეროდით მამას.

დუმილი ანანომ დაარღვია, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ძლივს შეჰბედა ძმას:

— სანდრო, რაღაც გვითხარი... რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე...

— დაწექით, დაწექით, — გვიბრძანა მამამ, — ხვალ ვილაპარაკოთ.

— შენ თვითონ რატომ არ წვები?

— მეც დავწვები, ძალიან დავიღალე.

— ზემოთ გაგიშალე ლოგინი, შენს ოთახში.

— კარგი გიქნია, ავალ და დავიძინებ.

დაწოლით მაინც არავინ დაწოლილა. მამა ისევ ბოლთას სცემდა, ჩვენ კი უაზროდ ვისხედით და ასევე უაზროდ შევცქეროდით ნაბახუსევ კაცს, რომელიც თავის მთვრალ ფიქრებში დაძირულიყო და ჩვენთვის ვერ იცლიდა. მერმე ანანომ თვალით მანიშნა, — წადი და დაიძინეო. დავუჯერე, უსიტყვოდ წამოვდექი და ჩემს ოთახში გავედი, კარი მივხურე. სიბნელეში ხელის ფათურით მივაგენი ჩემს საწოლს და ფრთხილად ჩამოვჯექი. ერთხანს ასე მჯდარი ყურს ვუგდებდი მამაჩემის არეულ ნაბიჯებს ხმას. მერმე გავიგონე, აივნის კარი გაიღო და მიიხურა. ფეხის ხმა ახლა გარედან მომესმა. ისიც გავიგონე, მამამ ჭრიალით აიარა ხის კიბეები და ოთახში შეიკეტა.

მერმე სიჩუმე ღამის წყვდიადში გაზავდა. სიბნელეს თვალი შევაჩვიე და ღია ფანჯრიდან გავცქეროდი ჩაღამებულ სოფელს, რომლის ზემოთ და მიღმა ვარსკვლავებით დაცხრილული ცა გამოიკვეთა. მერმე მომესმა შორეული, ჩემთვის ყოველთვის იდუმალებით მოცული ხმა, რომელზედაც ბევრჯერ უთქვამთ, ტურები კივიანო. მიუხედავად ამისა, ეს ხმები ჩემში ყოველთვის სხვა, არარეალურ, უცნაურ შეგრძნებას იწვევდა, უსიამოვნოსა და არასასურველს. როდის-როდის პირველმა მამლებმა იყივლეს. მე საწოლზე ვიჯექი საკანში გამომწყვდეული კაცივით, რომელმაც არ იცის, რატომ და რისთვის მიუსაჯეს საკანში ჯდომა. მერმე ტანსაცმელი გავიხადე და ლოგინში შევწექი, თან ვცდილობდი გამერკვია, რამ დამიმძიმა ასე გული, რა მაწვალებდა, რა მიფრთხობდა ძილს, როცა ჩემზე ბედნიერი კაცი მთელ ქვეყანაზე არ მეგულებოდა, რამდენი შენატროდა ჩემს ბედს... როგორც ჩანს, მე თვი-

თონა ვარ უემური და უხასიათო, არ შემიძლია ბედნიერება და სიხარული სიხარულითვე გამოვიატო-მეთქი, — ვფიქრობდი საწოლზე გაშოტილი...

უეცარმა კივილმა დამიფრთხო ძილი, გაოგნებული საწოლზე წამოვჯექი, მეგონა, კოშმარმა გამომაღვიძა-მეთქი. ჯერ ისევ ბნელოდა. გარედან ვიღაც-ვიღაცების ჩოჩქოლი და ყაყანი მესმოდა. ამ ყაყანიდან უცებ მძაფრი კივილი მაშხალასავით ამოვარდებოდა და ყველა ხმას ფარავდა. მერმე ისიც ვიფიქრე, ვიღაცამ ალბათ ნაგვიანევად მიიღო დაღუპვის ცნობა-მეთქი. ღია ფანჯრიდან ეზოს გადაღმა გაეხედე ორღობეს, საიდანაც ხმაური მოდიოდა. არაფერი ჩანდა და არც სიტყვები ისმოდა გასაგებად.

ანანოს უკვე კაბის ჩაცმა და ლამპის ანთება მოესწრო, ოთახში დაბნეული ფუსფუსებდა, თითქოს უსაგნოდ და უმიზეზოდ. მე რომ იქვე მდგარი დამინახა, შემკრთალმა რაღაც ჩაილაპარაკა და უფრო მეტად დაიბნა, მაგრამ მალევე მოთოკა და მოჭიმა ეს დაბნეულობა, ორივე ხელით თმა გაისწორა და სწრაფად გაიქრა გარეთ. ღია კარიდან გავხედე სიბნელეს და აივანზე გავედი. ანანო უკვე სიბნელეში გაუჩინარებულიყო:

ყაყანსა და გნიასში ნაცნობი ხმაც (ანანოსი) ამოტივტივდა და ისევ დაინთქა. კიბე ჩავირბინე, ფრთხილად გავეშურე ეზოს შორეულ კუთხისაკენ, რომლის იქითაც ორღობეში გამოფენილი ხალხი მეგულებოდა. ღობესთან მისული გავყუჩდი და გავილურსე, ყველანი მარო მასწავლებლის სახლის წინ შექუჩებულიყვნენ, რაც ცუდად მენიშნა. ყაყანს ყური მივუგდე, ზოგი რამ გავარკვიე კიდეც: ცოტა ხნის წინ ვიღაც მამაკაცს მაროს ფანჯარაში გადაძრომა დაუპირებია, მაგრამ მაროსთან ღამის გასათევად დარჩენილ ქალებს განგაში აუტეხიათ. ქალები ერთხმად ადასტურებდნენ, რომ იმ კაცს სამხედრო ფორმა ეცვაო...

მე ღობის უკან ვიმალებოდი, მრცხვენოდა, თანაც მეშინოდა, არავინ დამინახოს-მეთქი.

ღმერთო, რა ქალია ანანო!

რა გააფთრებით იბრძოდა და უტევდა, ედავებოდა და აშოშმინებდა აღელვებულ ქალებს, —ეგ ყველაფერი მოგეჩვენათო, სწორედ რომ იმ ასაკისანი ხართ, მოჩვენებები რომ ეწყებათო. სანდროსთან რა ხელი გაქვთ, მთვრალი და დაღლილი,

როგორც დაეგდო, ეგრეევე გულის ძილით სძინავს, თავისთვის გდია და ხვრინავსო. არც თქვენი ყაყანი და ჩოჩქოლი გაუგია და არც თქვენი წივილ-კივილი. ფეხიც არ გაუტოკებიაო. წამოდით და ნახეთ, მაგის ხვრინვისაგან ფანჯრებს ზრიალი გაქვსო... მეტი დამაჯერებლობისათვის რამდენჯერმე გაიმეორა, — ხვრინავსო.

ისევე ჩუმად გავეცალე იქაურობას, როგორც მივუახლოვდი. უკნიდან კვლავ მესმოდა მოჩოჩქოლე ხმები, ოღონდ უკვე დამცხრალი და დაშოშმინებული. ანანომ, ეტყობა, თავისი გაიტანა, ეჭვის მარცვალი ჩააგდო ხნულში, ამ მარცვალს მაინცდამაინც პოხიერი ნიადაგი არ დახვედრია, მაგრამ მარცვალი მაინც მარცვალია და, როგორც ჩანს, ბოლოს გაღივდა.

ქვეყნად არავის დავუჯერებდი, მათ შორის ჩემს თავსაც, გინდაც დამენახა, რომ მამაჩემი შუალამით შინიდან გაიპარა, მაროს ფანჯარას ქურდულად მიადგა და გადაძრომა დააპირა. ჯერ ერთი, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მამა ამას არ ჩაიდენდა, მეორეც, მისი ასაკის ადამიანები ასეთი ვნებებისათვის უკვე ხანდაზმულად მეჩვენებოდნენ...

ამასობაში გათენდა კიდეც, ჯერ ცა გაბაცდა, გაფერმკრთალდა, მერმე კი სინათლემ იმძლავრა. მე კიბეზე ვიჯექი და ანანოს დაბრუნებას ველოდებოდი.

უცებ ზემოდან მამამ დამიძახა:

— ოზო!

წამოვხტი, მეორე სართულის აივანს ავხედე. მამა დოინჯშემორტყმული იდგა და ღიმილით ჩამომცქეროდა.

— ერთი გამაგებინე, რა ჟრიამულია მანდ?!

შემკრთალმა ხელები უმწეოდ გავშალე, ვითომ არ ვიცი-მეთქი.

ჩემგან რომ ვერაფერი შეიტყო, ეზოს გადასჭექა და იქით, ორღობეში გააგონა მეზობლებს:

— რა ყოფაში ხართ მანდა, რა იყო, რა დაგესიზმრათ?! ხალხს თქვენგან ძილი და მოსვენება აღარა აქვს!

ხალხი მამაჩემის ხმის გაგონებისთანავე უხმოდ დაიშალა, თავისი გზით წავიდ-წამოვიდა. მე ისევ კიბეზე ჩამოვჯექი. ყველაფერი თითქოს ნათელი და გასაგები იყო, ქალებს რაღაც მოეჩვენათ და წიოკობაც ამიტომ ატეხეს, თუ არ მოეჩვენათ, მაშინ მისამართი შეშლიათ, არევ-დარეეიათ-მეთქი. ძალზე ად-

ვილად დავიმშვიდე თავი, თითქმის დაეწყნარდი კიდეც. მალე ანანომ შემოაღო ჭიშკარი, გაბრაზებული ჩანდა, სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო. სწრაფად გამოიარა ეზო და კიბეები აირბინა, მერმე მამაჩემთან ერთად შეიკეტა ოთახში და ორივენი კარგახანს აღარ გამოჩენილან.

საუზმემ მშვიდად ჩაიარა, მამა მშვენიერ გუნებაზე დადგა, განსაკუთრებით სამი სახარების შემდეგ. იქვე გადაწყდა: ცხვარსაც დაჰკლავდნენ და ხალხსაც დაჰპატიჟებდნენ, რათა საზეიმოდ აღენიშნათ სანდრო ბოდაველის მშვიდობიანად დაბრუნება. მართალია, ვიღაც-ვიღაცებმა მოინდომეს, გამარჯვებით დაბრუნებულისათვის სახელი გაეტეხათ, მაგრამ არ გამოუვიდათ, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ცხვარი დაიკლა და გატყავდა, ცხვარს ქათმებიც მიაყოლეს და ქვევრსაც მოხადეს თავი. პირველად ერთმა ნაფრონტალმა შემოაღო ჭიშკარი, აი იმან, საღსალამათი რომ ჩამოვიდა. პირქუში და დაღვრემილი გამოცხადდა, მოსვლისთანავე მაგიდას მიუჯდა და ჯიბიდან თუნუქის კოლოფი ამოიღო, თამბაქო გაზეთის ქაღალდში გაახვია და ცეცხლი მოუკიდა. სანდრო, ომი რომელ ქვეყანაში დაამთავრეო, — პირველადვე ეს იკითხა და პასუხსაც დაელოდა. ფირან, რა დროს ეგ არის, მერმე ვილაპარაკოთო, — დიალოგი განუსაზღვრელი დროით გადაუვადა მამამ და ფირანაც უდრტვინველად დაეთანხმა, — კარგი, ეგრე იყოსო. ფირანას შემდეგ ორნი მოვიდნენ პურ-ღვინოზე დაგეშილები, საქვეყნოდ აღიარებული მსმელ-მჭამელები, სულ იმაზე წუხდნენ, გუშინდელი დღე როგორ გამოგვატოვებინეთო. ერთი სიტყვით, დიდი სუფრა გაიშალა ჩვენს ეზოში და სოფელმა გვარიანადაც მოილხინა, მხოლოდ მარო მასწავლებელი არ მოსულა, იმ დღეს საერთოდ არ გამოჩენილა.

ზიზი სოფელში არ იყო, წუხანდელ აყალმაყალსა და აურზაურს ასცდა... ალბათ ძალზე უხერხული იქნებოდა ქალიშვილისათვის, ასეთ უსიამოვნო შემთხვევას რომ დასწრებოდა. უცებ წარმოვიდგინე, რა დღეში ჩავარდებოდა და ცუდ გუნებაზე დავდექი, თუმცა მანამდეც უკმაყოფილო და აფორიაქებული ვიყავი, მთელი დღე მაწუხებდა უკმარისობის გრძნობა, თითქოს რაღაც საგნები ისე არ უნდა აგვეწყო და დაგველაგებინა, როგორც ავაწყეთ და დავალაგეთ; შინაგანად ვერ მოვწესრიგდი და ისიც მეჩვენებოდა, ყველანი თავს თი-

თქოს ვიტყუებდით მხოლოდ იმის გამო, რომ სულიერი წონასწორობა აღგვედგინა. ამ მოსაჩვენებელ სიმშვიდესა და გუნებიერებას ანანოსაც ვატყობდი. თუმცა შენიღბვას ყოველნაირად ცდილობდა... უთუოდ ჯობდა, მარო მასწავლებელი, სამი-ოთხი დღით კიდევ დარჩენილიყო თბილისში, მით უმეტეს, რომ კმაყოფილი ჩამოვიდა ქალაქიდან, ზიზი კარგად მოვაწყე და დავაბინავეო.

მოცლა არა მქონდა, მერიქიფეობა დამაკისრეს, დაცლილი ხელადები მომქონდა, ღვინით ვავსებდი და ისევ მაგიდაზე ვდგამდი.

ცხელოდა, დილა თითქოს ღრუბლიან ამინდს გვპირდებოდა, მერმე ღრუბელი უკვალოდ გაქრა და ივლისის მზემ ლამის თავის ქალა აგვხადა. მზის მცხუნვარებას მესუფრენი მაინცდამაინც არ შეუწუხებია, კაცს არ მოუნაცვლებია ადგილი, მყარად ისხდნენ. გაოფლილებსა და ღვინით გაჟღენთილებს ოხშივარი ასდიოდათ. მზე რომ გადაიხარა და ჩვენს სახლს მიეფარა, ასე მეგონა, ეზომ შვებით ამოისუნთქა-მეთქი.

ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა — კარიაულები მოდიანო!

მე ჭიშკართან ვიდექი და უნებურად ორღობეს გავხედე: ოციოდე ნაბიჯზე მართლაც დავინახე კარიაულები, მოულოდნელი კი იყო მათი გამოჩენა, მაგრამ მე არ გამკვირვებია, რატომღაც გამეღიმა და თითქოს გამიხარდა კიდეც. წინ უფროსი თაობა მოდიოდა: მამა-კარიაულს თუშური ქუდი ეხურა და შავი შარვალ-ხალათი ეცვა — სრული, ფართხუნა; დიდ მუცელზე ბალთიანი წვრილი ქამარი ჰქონდა მოჭერილი. დედა-კარიაული ჩიხტი-კოპით იყო გამოწყობილი, ფართო, ყვრიმალიან სახეზე აქეთ-იქიდან წაბლისფერი კულულები ნაზად ერხეოდა, ხელში გაშლილი, ძველებური შავი ქოლგა ეჭირა, გეგონებოდა, არკი მოდიოდა, რწევა-რწევით, სხეულის თანთალით ნელ-ნელა მოსრიალებდა. მამა-კარიაული მძიმედ მოაბიჯებდა, ეტყობოდა, მყარად, მაგრად იდგა ნიადაგზე.

მათ ზურგს უკან პირგაბადრული ქალიშვილები გამოჩნდნენ, წითურები, მზის მხურვალებისაგან სახეალეწილები, ჭრელ და შილიფკაბიანები, თეთრ ყელსა და მკლავებს მოაელვარებდნენ. კაბაში ვერდატეული დიდი ძუძუები წინ მოუძღოდათ, დევის ქალები ფეხზე მდგარნი არასოდეს მენახა, მაშინ მაგიდას უსხდნენ, არ წამომდგარან და რატომღაც უფრო ჩა-

გოდრებულები, უფორმოები წარმომედგინა. თურმე სიდიდისა და ხორცმრავლობის მიუხედავად, ალნაგები იყვნენ, ტანადები. კარიაულის ქვრივს თვალი ვერ მოეკარი და ამათ არ წამოჰყოლია-მეთქი, — გავიფიქრე, -მაგრამ ეზოს რომ მოუახლოვდნენ, დევებშორის მოქცეული თუ მომწყვდეული მოდიოდა, თავდახრილი და ხელებჩამოყრილი სულ დაპატარავებული, დალეული ჩანდა.

ეზოს კარი გავუღე, ანანო შეეგება, მობრძანდით, მობრძანდითო, — შემოიპატიჟა, მერმე მამაჩემს გასძახა — სანდრო, სტუმრები გვეწვივნენო. ეზოში ჯერ უფროსი კარიაულები შემობრძანდნენ, შემდეგ — კარიაულის ქვრივი, ბოლოს დევის ქალები შემომზეედნენ და იქაურობა გაანათეს. ორივენი დამორცხვებულები და ოდნავ დაბნეულებიც კი მომეჩვენნენ, ვერ მივხვდი, ბუნებით იყვნენ მორცხვები, თუ თავს იკატუნებდნენ.

ანანომ მისალმება და ხელის ჩამორთმევა რომ მოათავა, ძმა წარუდგინა კარიაულებს და გააცნო. მამა ღიმილით მიეახლა სტუმრებს. დედა-კარიაულს ხელზეც კი ეამბორა. მე იქვე, გვერდით მდგარი გავცქეროდი სტუმარ-მასპინძლობის ამ ცერემონიალს და ყველაფერს კარგად ვხედავდი. სწორედ ერთი წამის წინ გავიფიქრე, — ეს დევის ქალები მამაჩემზე ნეტა რა შთაბეჭდილებას მოახდენენ-მეთქი და უცებვე მოწმე გავხდი ამ შთაბეჭდილებისა: მამაჩემი ჯერ შეცბა, პირი ისე დააღო, თითქოს გაოცების რომელიღაც შორისდებული ამოსცდა ყელიდან, მერმე გაშეშდა და გაშტერდა, კარიაულის ქვრივს ხელი ისე გაუწოდა, ზედაც არ შეუხედავს, ეტყობა, თვალი ვერ მოსწყვიტა იელის ბუჩქებივით ოქროსფრად აბდღვრიალებულ დევის ქალებს... მერმე ღიმილად დადნა, ორივეს გადაჭარბებული მოკრძალებით ჩამოართვა ხელი და რაღაცნაირად მოიქნა, ძალზე უჩვეულოდ, არაბუნებრივად მოძრაობდა. ხუთივე მაგიდასთან მიაცილა, დასხა, მომსახურე ქალებს ხორაგი დაახვავებინა. ახალმოსულებს თავისი ხელით დაუსხა ღვინო და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა, კარიაულებს დაუჯდა წინ და გულითადი საუბარი გაუმართა. მერმე საქმით გავერთე და კარიაულები გულიდან გადამავარდნენ, მაგრამ ამ საქმიან ფუსფუსში ერთხელ შევნიშნე, ჩვენი აივნის ბოძს მოფარებული ანანო გამჭოლი თვალებით უმზერდა მამას, რომელიც დევის ქალებს აცინებდა და თვითონაც გულიანად იცინოდა...

შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წინა დღეს: გვიან საღამოს წამოიშალნენ სტუმრები, ლაპარაკ-ლაპარაკით, ღიღინ-ღიღინით სათითაოდ გაიკრიფნენ ეზოდან. ერთი-ორმა სცადა დარჩენა და ქეიფის გაგრძელება, მაგრამ თანამზრახველები ვერ იპოვეს. მეზობლებმა სუფრა სწრაფად აალაგეს და ჯამ-ჭურჭელიც დარეცხეს, ოღონდ ჭურჭლის რეცხვაში მამაჩემს მონაწილეობა აღარ მიუღია, დევის ქალების წასვლისთანავე საშინლად მოიწყინა.

ბოლოს ისევ სამნი შევიყარენით ჩვენს დიდ ოთახში. მე და ანანო მაგიდას ვუსხედით, მამა კვლავ ბოლთას სცემდა. გუშინდელთან შედარებით უფრო ფხიზლად და მხნედ გამოიყურებოდა. გუშინ ალბათ ნაგზაური იყო და იმიტომაც მოეკიდა ღვინო, დღეს ფეხი არ ეშლებოდა, არც ბარბაცებდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დადიოდა და ღიღინებდა. მერმე უცებ მე მომიბრუნდა:

— როდის გავემგზავროთ? — მკითხა.

მე მხრები ავიჩეჩე.

— რა გეჩქარებათ? თვის ბოლომდე რომ დარჩეთ, არაფერი გიშავთ, — უპასუხა ანანომ.

— არა, არა! — გადაწყვეტით თქვა მამამ, — თბილისში უამრავი საქმეა მოსაგვარებელი... აქ რომ დავრჩე, ღვინოში ჩამახრჩობენ... ხვალ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ვარ დაპატიჟებული, არ მომეშვა... რა გვარია ეგ თავმჯდომარე?

— ფიდო კვალიაშვილი.

— ჰო, ფიდო კვალიაშვილი... ზეგ კიდევ ვიღაცა გამოჩნდება, მაზეგ კიდევ — ვიღაცა... საშველი არ არის!

— შენც ნუ აჰყვები, სოფლის ქვეევრებს შენ ხომ ვერ ამოცლი?!

— ეგრე არ არის, ანანო, არა! — მამამ პირდაპირ ლამპიდან მოუკიდა პაპიროსს ცეცხლი.

ზეგ, უსათუოდ ზეგ!

ასე გადაწყდა: სოფელში ერთ დღესაც დავრჩებოდით და შემდეგ თბილისს გავემგზავრებოდით, დაყოვნებას, შეიძლება, დამღუპველად ემოქმედა ჩვენს საშურო საქმეებზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, საბუთები ხომ უნდა შეგვეტანა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში!

თბილისში დაბრუნება, რა თქმა უნდა, მიხაროდა, მაგრამ

მიხაროდა თითქოს იმიტომ, რომ ეს სიხარული რამდენიმე წლის წინ მქონდა შინაგანად დაგეგმილი. მე ანანოს მივაჩერდი, მეგონა, მხოლოდ მას შეეძლო მამაჩემის გადაწყვეტილებათა შეცვლა ან გაუქმება. თვალებში შევხედე და უმალ დავრწმუნდი, ანანო უსიტყოდ დაემორჩილებოდა ძმის ყოველგვარ ნებასურვილს.

ვერ ვიტყვი, თითქოს თბილისში დაბრუნებაზე უარს ვამბობდი და სოფელში დარჩენა მინდოდა. ეს აშკარა ტყუილი იქნება. თბილისში დაბრუნებას ვოცნებობდი, თანაც დიდი ხანი ვოცნებობდი. მაგრამ ახლა, ცოდვა გამხელილი სჯობია, იქ, თბილისში მამაჩემის პირისპირ ყოფნა გამიჭირდება-მეთქი. — ვფიქრობდი. ასე მოკლე დროში ვერ მოვახერხე შეგუება და ურთიერთობის დამყარება, იქნებ ამიტომაც მოვინდომე, კიდევ ცოტა ხანს დავრჩენილიყავით სოფელში, სადაც ანანო იყო. ანანო ჩვენს შორის ხიდივით იდგა და ერთგვარად გვიადვილებდა მამასაც და მეც ურთიერთობას.

ანანოს დატოვებაც მიმძიმდა, ჯერ ერთი, შევეჩვიე და მეორეც, მიმაჩნდა, რომ ახლა ანანოს მე ვჭირდებოდი, მხოლოდ მე ვიცოდი მისი საფიქრალი და საწუხარი, მთელ სოფელში მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვისაც ტკივილს უმჟღავნებდა, ვისთანაც გულს იოხებდა. ჩვენი გამგზავრებისთანავე სრულიად მარტო რჩებოდა და ეს მარტო დარჩენა, მარტო ყოფნა რას უქადდა, რას მოუტანდა, არავინ იცოდა. ბოლო დროს, როგორც წყალწაღებული — ხავსს, ისე მეჭიდებოდა. მისი ერთხელ ნათქვამი თანდათან ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში და მეგონა, თუ მივატოვებდი, ცოცხალს ვეღარ ვნახავდი. მაშინ რაც მითხრა, სისულელედ ჩავთვალე და გუნებაში გამეცინა კიდეც, მაგრამ მერმე, დროთა განმავლობაში, უფრო ზუსტად, დრო და დრო დენივით დამკრავდა და შემარყევდა... „თუმცა შენ ერთხელ კიდევ ჩამოხვალ, ჩამოხვალ მამაშენთან ერთად, როცა მე ამ ქვეყნიდან აბარგებული ვიქნები... ჩემს დასამარხად ჩამობრძანდები, ოზო. ეგეც საქმეა...“

მამას უკან აღარ დაუხევია, თქვა და მოათავა ამ საკითხზე ლაპარაკი. დავიძინოთ, დროაო, — მთქნარებით გვითხრა და დაგვტოვა, თავის ოთახში ავიდა, მეორე სართულზე. ანანო მთელი დღის ჯაფით დაღლილი ჩანდა და დასვენება სჭირდებოდა. უხმოდ ავდექი და დასაძინებლად გავეშურე.

სხვანაირად ალბათ არც მქონდა წარმოდგენილი მამაჩემის დაბრუნება და ჩვენი დახვედრა. ორი დღე ვზეიმობდით, ჩვენს სახლში თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი, სიმღერა არ დაგვიკლია და ცეკვა-თამაში. მაგრამ გული მაინც რაღაცნაირად მეთანაღრებოდა, თითქოს ამ ორი დღის განმავლობაში რაც აქ ხდებოდა, იმის მიმართ არაგულწრფელი ვიყავი. მე კი არ შემეძლო ეს არაგულწრფელი დამოკიდებულება ჩემ სულში სასხვათაშორისოდ მიმეფუჩეჩებინა, იგი მაწუხებდა და სინდისივით მქენჯნიდა.

დაწოლისთანავე ჩამეძინა, ეტყობა, მთელი დღე მეც გვარიანად დავიღალე. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. უცებ ცხვნის ჭიხვინმა გამაღვიძა, გვერდი ვიბრუნე და გამახსენდა, რომ უცნაური სიზმარი დამესიზმრა, თუმცა ყველა სიზმარი თავისთავად უცნაურია.

გამოღვიძებულმა სიზმრის აღდგენა და გააზრება ვერ მოვასწარი, კიბის ჭრიალი და ფრთხილი ფეხის ხმა გავიგონე. საწოლზე წამოვჯექი, მივაყურე. აშკარა იყო ჩვენს კიბეზე ვიღაც ჩამოდიოდა, ან ადიოდა. უცებ გულმა რეჩხი მიყო, რატომღაც მამაჩემი წარმოვიდგინე, სწრაფად წამოვდექი და ღია ფანჯარას მივვარდი.

მთვარე ჯერ არ იყო ჩასული და მამაჩემიც მაშინვე ვიცანი. ქვედა აივანი აღარ გაუვლია, პირდაპირ გადაეელო მოაჯირს და ეზოში უხმაუროდ ჩახტა, ერთხელ მოხედა სახლს და ჭიშკრისკენ გაემართა, მოზომილ, ფრთხილ ნაბიჯებს ადგამდა, მერმე თუთების ჩრდილში დამეკარგა. ფანჯრიდან გადავძვერი და აივნის ბოძს მოფარებული ვუთვალთვალებდი, მინდოდა გამეგო, სად მიდიოდა. ეზოში ვერ ჩავიდოდი, რადგან მთვარით იყო განათებული და მამა უსათუოდ დამინახავდა, აივნიდან კი უკვე არაფერი ჩანდა. არც ჩამიჩუმი ისმოდა, ნაბიჯების ხმით რომ მაინც მივმხვდარიყავი, საით გაეშურა, მარჯვნივ თუ მარცხნივ? თუ მარჯვნივ წავიდა, ეჭვი აღარ შემეპარებოდა, რომ მაროსთან მიდიოდა, რომ წუხანდელი აყალმაყალის მიზეზიც ეგ იყო... მაგრამ იმ აურზაურის, იმ ხმაურის შემდეგ წარმოუდგენლად მეჩვენებოდა მისვლა იმავე სახლში, საიდანაც გამოაძევეს.

მარჯვნივ, ჩვენი ღობის იქით, შესახვევში გაკრთა ნაცნობი ლანდი და ისევ გაუჩინარდა. წუხელ სწორედ იქ იდგა მოყა-

ყანე ქალების ჯგუფი და მამაჩემს უტევდა. ცოტა არ იყოს შევცბი და კარგახანს გაშტერებული ვიდექი, იმდენად აბსურდულად მომეჩვენა ეს ყველაფერი, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, უაზროდ გამეღიმა. გარედან შემოვჯექი ფანჯრის რაფაზე და გულგრილად ველოდებოდი წუხანდელზე უარეს ხმაურსა და აყალმაყალს.

ამ დროს ანანო გამოვიდა ოთახიდან, ფანჯარაზე შემომჯდარი დამინახა და ჩემთან მოვიდა. ანანოს დანახვისთანავე ისევ დავიძაბე.

— არც შენ გძინავს? — მკითხა.

— არ მეძინება.

— დაწექი და დაგეძინება... გათენებამდე ჯერ კიდევ ადრეა.

— ცოტა ხანს ვიქნები.

— სხვანაირი ღამეა, არა?

ანანომ, როგორც ჩანს, სცადა ჩემი ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, თუმცა „სხვანაირში" რა იგულისხმა, ვერ გავიგე. ფანჯრის რაფიდან ჩამოვხტი და ღამეს გავხედე. თითქოს მინდოდა დავრწმუნებულიყავი, ანდა იქვე შემემოწმებინა ღამის სხვანაირობა. ეს კი ვიგრძენი, რომ ჰაერი მთვარის სხივებით იყო გაჟღენთილი, თანაც ათასი იდუმალი ხმა გავიგონე ღამის მწერებისა: კრუალები კრუალებდნენ, ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და კიდევ სხვა ხმებიც ისმოდა. ისინი ღამის დიდ ცხოვრებას უცნაურად ამხელდნენ, მაგრამ მე ამჯერად მათთვის არ მეცალა. მთელი არსებით დადარაჯებული ვიყავი და წუთიწუთ ველოდებოდი საშინელ აფეთქებას, რომელიც ამ მშვიდობიან, მყუდრო, ნირვანის მომგვრელ ღამეულ ხმებს ერთიანად დანთქამდა.

ანანოს შევხედე, — შეშფოთებული თუ არის, მოახლოებულ საშიშროებას თუ გრძნობს-მეთქი. სახეს გარკვევით ვერ ვხედავდი, თუმცა აღელვებული ან შეშფოთებული რომ ყოფილიყო, უსათუოდ შევატყობდი.

— კიდევ ერთი დღეც და გუდა-ნაბადს აიკრავთ, წახვალთ, — მითხრა ანანომ. — თითქოს გუშინ ჩამოგიყვანა მამაშენმა პატარა, დაბნეული, შეშინებული... მამას ერთ ნაბიჯზე არ ტოვებდი. ჩემთან არ გინდოდა დარჩენა... ამ ოთახში შეხვედი და ტიროდი...

ნუთუ არაფერი გაუგია? თუ არ გაუგია, ახლა გაიგებს-მეთქი. — ვფიქრობდი, მაგრამ გადიოდა დრო და სოფელში ჩამოწოლილი სიჩუმე არ ირღვეოდა.

— ახლა მგონია, რომ სწრაფად გავიდა დრო, ისე ვარ, თითქოს არც მიწვალია, არც მიღელვია...

რაღაც ხმაური შემომესმა და შევკრთი, ალბათ სმენამ ან ნერვებმა მიღალატა, თორემ ღამეს ჩქამი არ გაუღია, მხოლოდ კრუალები გვიტევდნენ აქეთ-იქიდან.

— გახსოვს, გზიდან რომ მოგაბრუნე, — გაიცინა ანანომ, — რამდენი ვირბინე? შენც კარგად იყავი გასავათებული, ფეხზე ვერ დგებოდი.

— ნახნავებში ვიარე, თორემ ვერ დამეწეოდი.

— დაგეწეოდი! ეგ კი არადა, მატარებელი დაძრულიც რომ ყოფილიყო, გავაჩერებდი და ჩამოგსვამდი... ახლა მშვიდად ხარ, გაგიქებული აღარ მიიწევ იქითკენ, თუმცა რაღა დაგრჩა, ერთ დღეს კიდევ გაუძლებ...

მთვარით განათებული ეზო განახევრდა. ეტყობა, მთვარე საკმაოდ გადაიხარა, ეზოს დიდ ნაწილს ჩვენი სახლის ჩრდილი ეცემოდა და სიბნელეში ხვევდა.

— ერთი დღე რა არის, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებთ...

მე ვგრძნობდი და ვიცოდი, ანანო სხვა რაღაცას მიმანიშნებდა, სხვა რამ აწუხებდა და აწვალებდა, მაგრამ ახლა ამის გაგება არ შემეძლო. მთელი ყურადღება იქითკენ — ღამის წყვდიადისკენ მქონდა მიპყრობილი.

სადღაც მამალმა იყივლა, მას სხვა მამლებიც აჰყვნენ. წინ და უკან, აღმა-დაღმა, გარდი-გარდმო, ყოველი მხრიდან ჰკვეთდა ღამის სივრცეს ელვასავით ცივი და ბასრი ყივილი. მე მზად ვიყავი, ყოველგვარი, ყველანაირი ხმა გამეგონა, ოღონდ არა ის, რამაც წუხელ თავზარდაცემული წამომახტუნა... თითქმის ყველა ვადა გავიდა, მაგრამ კივილი, რასაც დაძაბული და წინასწარ შეძრწუნებული ველოდებოდი, აღარ გაისმა, არადა წელანვე, როგორც კი ანანომ ხმა ამოიღო და დამელაპარაკა, უნდა მივმხვდარიყავი, რომ წუხანდელი ხმაური და წივილ-კივილი ამაღამ არ განმეორდებოდა.

— გათენებამდე დიდი დროა, — თქვა ანანომ.

— ეს საქმეა, — ვუთხარი მე, — მხოლოდ ჩვენს ეზოში

არ ყივის მამალი, შენი რომ ვიყო, ერთ მამალს მეც ავაყივლებდი.

— ღამეს ტყუილად ათევ, წადი, დაიძინე. — გამიღიმა და მხარზე დამისვა ხელი.

— შენა?

— მეც დავწვები. აკი გითხარი, გათენებამდე დიდი დროა მეთქი.

ისევ ფანჯრიდან გადავძვერი და საწოლზე მივეგდე. არ დამეძინა. ყურადღება არ მიმიქცევია ან ვერ გავიგონე, რა ჰქნა ანანომ, ოთახში შევიდა და დაწვა თუ იქვე, აივანზე დარჩა. მამაჩემი რომ დაბრუნდა, თენდებოდა, ჩიტები ახალი გაღვიძებულები იყვნენ და ერთი ჟრიამული და ჟივჟივი ჰქონდათ ატეხილი.

9

ანანო დილიდანვე წავიდა კოლმეურნეობის კანტორაში, შინიდან გასვლისას მითხრა, — მამას ეძინოსო, ჩემს მოსვლამდე ალბათ არც გაეღვიძებაო. მართლაც, არ გაღვიძებია სამხრობამდე, ყოველ შემთხვევაში, ოთახიდან ფეხი არ გამოუდგამს. ჯერ ვისაუზმე, ეზოში კარგა ხანს უაზროდ ვიწრიალე, მერმე გამახსენდა, რომ ანანოს ნაჩუქარი წიგნები და ჟურნალები თაროდან უნდა გადმომეღო და შემეკრა. ბევრი არ იყო. ყველა ერთად — წიგნიცა და ჟურნალიც ოცდაათი ან ცოტა მეტი იქნებოდა: ილიასი და აკაკის ლექსები და მოთხრობები, ვაჟას ლექსები და პოემები, აგრეთვე „შვილის ნუკრის ნაამბობი“, რომელიც კარგად იყო ილუსტრირებული, ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ და „ელგუჯა“, პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“, ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“ და „ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე“, „დიკენსის „დავიდ კოპერფილდი“, სერვანტესის „დონ კიხოტი“ და ვალტერ სკოტის „აივენგო“. ჟურნალები: „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, ორიოდე ნომერი „ჩვენი თაობისა“ და ერთიც „კავკასიონი“, სულ დაფურცლულ-დაფლეთილი. ეს იყო ანანოს ბიბლიოთეკა, ოთხი წლის მანძილზე ჩემი სულიერი საზრდო. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში წაკითხულ საბავშვო წიგნებს თუ არ ჩავთვლი, მხოლოდ აქ ჩა-

მოთვლილი წიგნები და ჟურნალები მქონდა წაკითხული. რა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ მაინც ბედის კმაყოფილი და მადლობელი ვიყავი. ხომ შეიძლებოდა, ანანოს სულაც არ ჰქონოდა ასეთი წიგნები და ჟურნალები, დაემდურებოდი თუ რა?

მეგონა, სწრაფად შევკრავდი წიგნებს და საქმესაც ამით მოვათავებდი, მაგრამ ძველ ჟურნალებს რომ მივადექი, მათდამი უეცარი მოკრძალებით გავიმსჭვალე, თითო-თითოდ გადმომქონდა და დიდხანს ვფურცლავდი და ვათვალიერებდი, ალაგ-ალაგ ვკითხულობდი და უნებურად მახსენდებოდა ზამთრის გრძელი, დაუსრულებელი ღამეების სიხარული, ამ წიგნებისა და ჟურნალების ფურცვლისას, ყოველთვის ახალსა და მოულოდნელს რომ აღმოვაჩენდი ხოლმე, თითქოს პირველად შეეჭირა ხელში, თითქოს პირველად ვკითხულობდი. ახლა კი თან მიმქონდა თბილისში და ვფიქრობდი, — ამათ ალბათ ვერასოდეს შეველევი, რადგან ჩემი ყოფნის უძნელეს წუთებში მსსნელებივით მომეევლინნენ-მეთქი.

ჟურნალის ფურცვლით რომ ვიყავი გართული, მამაჩემი შემოვიდა, ხელები გაშალა და რატომღაც გაიცინა. გამოძინებული და კმაყოფილი ჩანდა, კაცო, რა დრო გასულაო,— თქვა და გატრიალდა. პირი სასწრაფოდ გაიპარსა და დაიბანა. გუშინ ფიდო კვალიაშვილმა დამპატიჟა და იქ მივდივარო, — მითხრა, თავისი საპარადო ფორმა კოხტად მოირგო, სარკის წინ ერთხელაც დაივარცხნა თმა და ორდენები და მედლები შეათვალიერა.

როგორც იქნა, დავიმარტოხელე, უკეთეს გარემოს ვერც ვინატრებდი. ბოლოსდაბოლოს გავუმხილე, რაც მაწუხებდა, ფრთხილად ვუთხარი, — თბილისში ანანოც ხომ არ წაგვეყვანა-მეთქი; დარწმუნებული ვიყავი, შემეკითხებოდა, — რატომ, რა მოსაზრებითო? მაგრამ მოსაზრების დასაბუთება არ მოუთხოვია, ეტყობა, ჩემი ნათქვამი, ბავშვის აკვიატებულ სურვილად, აჩემებად თუ კაპრიზად ჩათვალა და თვითონ სცადა დაესაბუთებინა, თუ რატომ იყო აუცილებელი ანანოს სოფელში დატოვება. რაც მითხრა, ის ანანოსაგან უკვე გაგონილი მქონდა და ვიცოდი. რა სათქმელია, სოფლად ფუძის მოშლა, კერის ჩაქრობა უგუნურება იქნებოდა, მაგრამ მე ხომ ანანოს სამუდამოდ წაყვანას არ ვთხოვდი, მინდოდა ცოტა ხნით, თუნდაც ორი-სამი თვით წამოსულიყო, — სხვა გარემოში მოხვედრი-

ლმა იქნებ გული გადააყოლოს-მეთქი. ბოლო დროს რაღაცნაირად ვიგრძენი, რომ ანანოს მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. მარტოობა რას უქადდა, ამის წინასწარ განჭვრეტა მე არ შემეძლო, ოღონდ ეს კი იყო, ნათლად ვხედავდი და ვგრძნობდი: ახლა მე ვჭირდებოდი ანანოს. ეს მინდოდა მამაჩემისათვის მეთქვა და ვერ გავუბედე, თუმცა მომაჩერდა, დამაცადა, კიდევ რაიმე სათქმელი ხომ არა აქვსო. მე იდიოტივით გავჩუმდი და ხმა ვერ ამოვიღე. მამამ მიყურა, მიყურა, მერმე ქუდი დაიხურა, გაღიმებულმა თითქოს ოდნავ მობოდიშებით მითხრა, — კვალიაშვილებთან წავედიო და წავიდა.

თვალი გავაყოლე, გამართული, მხედრული ნაბიჯით მიდიოდა, მოძრაობაში ძალა და შეუპოვრობა იგრძნობოდა...

თითქმის შუაღამემდე ველოდებოდით მე და ანანო მამაჩემის დაბრუნებას. ბარგი უკვე სახვალიოდ ჩალაგებული გვქონდა და ანანო, ეტყობა, მაინც ნერვიულობდა. ერთხელ წამოსცდა, — ეს კაცი რა გვექნა, ხომ არ დაავიწყდა, ხვალ რომ მიემგზავრებითო?! მერმე თვითონვე დაიმშვიდა თავი, — რას იზამ, ეგრე ხდებაო, მთელი სოფელი კვალიაშვილებთან იქნებოდა შეყრილი და მაგას ვინ გამოუშვებდაო.

დილით რომ გამეღვიძა, მამაჩემისა და ანანოს საუბარი შემომესმა. ჯერ, რამდენადაც მიხვდი, წუხანდელი ღამე მამას შინ არ უნდა ჰქონოდა გათეული, მერმე, ლაპარაკი გახურდა და ადვილად დავრწმუნდი ჩემი ვარაუდის სისწორეში, მამა სულ ახალი მოსული იყო.

— წუხელაც მაროსთან მიხვედი, არა? — ჰკითხა ბოლოს ანანომ.

— არა, კაცო, იქ რა ოხრობა მინდოდა? — მაშინვე იუარა მამამ და გაიცინა.

— მე რას მატყუებ, შენი ციცხვიც ვიცი და ჯამიცა.

— არა, არა-მეთქი! — იცინოდა მამა.

— ნუ იცინი, სანდრო!

— ვთქვათ, ვიყავი, მერმე რა, რა მოხდა ასეთი?!

— არ გეყო?! იმ ღამეს ქალებმა ისე გლანძღეს, იმდენი ლაფი გასხეს, პური რომ გეგეროდა, ძაღლი არ გამოგართმევდა.

— ერთი მაგათი! ვისი რა საქმეა, მე სად დავდივარ?!

— ეგრე რად ლაპარაკობ?

— მაშ როგორ ვილაპარაკო?! ძალით ხომ არ შევუვარდი,

ჰა! ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა... როცა ასე ხდება ხოლმე, ანანო, არავინ არ უნდა ჩაჰყოს იქ ცხვირი, გაიგე? ეგეც არ იყოს, მე კაცი გამამტყუნებს ახლა? იცი, საიდან დავბრუნდი, იცი, სად ვიყავი, რა ჯოჯოხეთი გავიარე? მე რომ მომაყოლა, რა ცეცხლს გავუძელი და რა გადავიტანე, მაგათ თმა ყალყზე დაუდგებოდათ და თვალები ბუდიდან გადმოუცვივდებოდათ. ვაი, დედასა, არ მაპატიეს, არა? ომიდან ჩამოსვლა ვერ მოასწრო, დედაკაცის შეურაცხყოფა მოინდომაო... ვითომ დაავიწყდათ, ომამდეც რომ მანდ დავდიოდი?! ორ ადამიანს უნდა ერთმანეთის შეხვედრა და ხვდებიან... არც იმასა ჰყავს ქმარი და არც მე მყავს ცოლი!

— ეგ რა გამართლებაა, სანდრო?!

— მთავარი რა არის, იცი, ანანო? მე და ის დედაკაცი ერთმანეთს არ ვატყუებთ, შიგნით მეც მართალი ვარ იმასთან და ისიც მართალია ჩემთან.

— ერთმანეთთან იქნებ მართალიც იყოთ, ჯანდაბას თქვენი თავი! მაგრამ ბალღთან თუ ხარ მართალი?

— აბა, ბალღი?

— დაგავიწყდა, შვილი რომ გყავს?

— ხოო.

— შენა გგონია, თვალები აკრული აქვს და ყურები კი — ბამბით გამოტენილი? არაფერს ხედავს და არაფერი ესმის? იმ ღამეს ფეხაკრეფით რომ გაიპარე, გგონია, ვერ გაიგონა? გარეთ გამოვედი და ეგეც აივანზე დამხვდა...

— რაო, რა თქვა?

— რას იტყოდა? ხმა არ ამოუღია, მაგრამ მე ხომ დავატყე...

— ოზო რაღა ბალღია, კაცია და კაცურად გამიგებს!

ანანომ როგორც კი მახსენა, მამაჩემი გატყდა, უცებ დაჰკარგა წეღანდელი აგრესიულობა. თუმცა ერთი-ორჯერ კიდეე სცადა გაბრძოლება, მაგრამ ამჯერად თავს ისე უსუსურად იმართლებდა, რომ ფარ-ხმლის დაყრა ამჯობინა და საბოლოოდ უმცროს დას დანებდა. რა კარგად ვიცნობდი ანანოს, წინასწარვე ვგრძნობდი, ამდაგვარი რაღაც უსათუოდ მოხდებოდა. ეს საუბარი გასაფრთხილებლად ჩამოუგდო ძმას, შეახსენა შვილი, რომელიც ძალაუნებურად თვალს ადევნებდა მამის ყოველ გადადგმულ ნაბიჯს, მტკივნეულად განიცდიდა ყველა-

ფერს, რასაც ხედავდა და ამჩნევდა. ანანო აჭარბებდა, რა თქმა უნდა, აჭარბებდა, მე შემაშფოთა იმ ღამით ატეხილმა აყალმაყალმა და მეშინოდა კიდევ არ განმეორებულიყო, დანარჩენი ისე მტკივნეულად არ განმიცდია, როგორც ანანო ხატავდა, თუმცა გარკვეული კვალი დამიტოვა სულის სიღრმეში.

— კარგი, კარგი! — წამოიყვირა ბოლოს მამამ, — რაც მოხდა, მოხდა, ახლა ვეღარაფერს უშველი.

მათი ლაპარაკი ალბათ ამით არ დამთავრდებოდა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ გარედან დაუძახა ანანოს. ბავშვების ხმა გარკვევით გავიგონე და ღია ფანჯრიდან ეზოსაც გავხედე და ჭიშკარსაც. ხმა ისმოდა, ხმის პატრონი კი არ ჩანდა.

— დეიდა ანანო!

ანანო აივანზე გამოვიდა და ჭიშკარს გასძახა:

— კარი ღიაა, შემოდი!

კარი ჭრიალით გაიღო და ეზოში სამნი შემოლაგდნენ — ილოს ბალღები, ჯერ გოგოები შემოვიდნენ, მერმე ბიჭმა შემოჰყო გაბურძგნილი თავი, რატომღაც მიმოიხედა, ეზო გულდასმით მიმოათვალიერა და ისიც შემოვიდა, შუაში ჩაუდგა დებს.

— შეიძლება, დეიდა ანანო? — იკითხა უფროსმა.

ხმა ვიცანი, ეზოს გადაღმიდანაც ის ეძახდა ანანოს.

— აბა, ეგ რა საკითხავია?! მოდით, მოდით! — ანანომ კიბე ჩაირბინა და ბავშვებს მიეგება; შემდეგ უკნიდან მოუარა, სამივეს მხრებზე მოხვია ხელი და სახლისკენ წამოლალა.

კიბემდე მორჩილად მოჰყვნენ, კიბესთან რომ დადგნენ, ფეხი ვერ მოაცვლევინა ანანომ, აივანზე ამოსვლა არ მოიწადინეს, რაღაცას ამბობდნენ და ფანჯრიდან გამომზირალს არ შესმოდა.

ამ ბავშვების დანახვისას გაუგებარი, ჩემთვის აუხსნელი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს მებრალებოდნენ და ამავე დროს რაღაცნაირად ვეკრძალებოდი კიდეც, მოულოდნელად ისეთი პატივისცემით ვიმსჭვალებოდი, თითქოს ჩემზე უფროსები იყვნენ.

ანანომ ბავშვებს ძვრა ვერ უყო, ახლავეო, — უთხრა, კიბე ამოირბინა და შინ შემოვიდა. მე სწრაფად ამოვიცვი შარვალი, ფანჯრიდან გადავძვერი და ბავშვებს მივეახლე. სამივენი თავდახრილები იდგნენ, ჩემთვის არ ამოუხედავთ, მე კი

ისე დავცქეროდი, როგორც ბუდიდან ჩამოცვივნულ ბარტყებს, რომელთა გადარჩენა თითქოს მხოლოდ მე შემეძლო. სამივეს თავზე და მხრებზე ფრთხილად გადავუსვი ხელი, ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც სიამოვნება მოჰგვარა-მეთქი ჩემმა მოფერებამ, უცნაურად შეიშმუშნენ და აიჯაგრნენ, იქნებ დაიმორცხვეს ან მიუცხოეს კიდეც.. შესაძლებელია, ჩემს გამომეტყველებაშიც და საქციელშიც გაჟონა აშკარა სიბრალულმა და იუკადრისეს. მე კი მთელი არსებით მინდოდა დავმახსოვრებოდი, დამახსოვრებოდათ ადამიანი, რომელიც კეთილად იყო მათდამი განწყობილი და თუ ცხოვრების გზაზე სადმე შეხვდებოდნენ, მისი იმედი უსათუოდ უნდა ჰქონოდათ, რადგან ეს ადამიანი ყოველთვის გაუწვდიდა დახმარების ხელს. ჩემი პათეტიკური თავაზი, რაც სახის გამომეტყველებითა და ხელების მოძრაობით უნდა ეგრძნოთ, ბავშვებმა არ მიიღეს, იხტიბარი მაინც არ გავიტეხე და კიდეე ერთხელ მოვუთათუნე მხრებზე ხელი.

სახლის ღია კარიდან ანანო გამოვიდა და მამაჩემი გამოიყვანა, თან ეუბნებოდა, — ილოს ბალღები არიან, შენი ნახვა უნდათო... ილო ხომ კარგად გახსოვსო?.. როგორ არა, ძალიან კარგად მახსოვსო, — ხელები გაშალა მამამ და აივნიდან გადმოხედა ბავშვებს. სამთავემ დიდრონი წყლიანი თვალები მიაპყრეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მამაკაცს, რომელსაც მკერდზე ორდენები და მედლები უბრწყინავდა. იმედითა და სასოებით, ოდნავ შესამჩნევი, გაოცებისა თუ აღტაცების ღიმილით შესცქეროდნენ, ისე იდგნენ, როგორც მხსნელის, როგორც ღმერთის, როგორც არამიწიერი არსების წინაშე.

— ძია სანდრო, — როდის-როდის გაბედა უფროსმა დამ,— დღეს მიემგზავრებით, არა?

— ჰო, შვილო, დღეს ვაპირებთ გამგზავრებას.

— ძია სანდრო... იქნებ...

— თქვი, შვილო, თქვი! ნუ გეხათრება, მითხარი! — გაამხნევა და შეაგულიანა მამამ.

— მამაჩემი ხომ არ შეგხვედრიათ... ფრონტზე... იქნებ შემთხვევით სადმე შეხვდით... ძია სანდრო...

მძიმე დუმილი ჩამოვარდა. ამ დუმილს ვეღარ გავუძელი, სწრაფად ავირბინე კიბე და შინ შევვარდი. ჯიბეებში ხელებ-

ჩაწყობილი ნერვიულად ვწრიალებდი, გული ყელში მქონდა მობჯენილი და კედლიდან კედელს ვაწყდებოდი. მამაჩემის დაბნეული ლაპარაკი მესმოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა ინსტუვებს, ბავშვებს რაღაცას უხსნიდა, განუმარტავდა... შესაძლოა, ანუგეშებდა კიდეც ისევე, როგორც სხვები დაეიმედა, — დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ ჩამოვაო. რა უნდა ეთქვა ბავშვებისათვის? ალბათ ეუბნებოდა იმას, რაც ახლა მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.

უცებ ჭურჭლის კარადაზე შემოდებული ჩასაბერი ჰარმონიკა დავინახე და, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემის ნაჩუქარი იყო, დაუფიქრებლად გადავწყვიტე ილოს ბიჭისათვის მიმეცა. ჰარმონიკას ხელი დავავლე და სასწრაფოდ გამოვედი გარეთ, — ბავშვებმა არ გამასწრონ-მეთქი, რა თქმა უნდა, იმისათვის უფრო უპრიანი იყო, ვიდრე ჩემთვის. მამაჩემს ბავშვებთან საუბარი უკვე მოეთავებინა და ახლა ანანო ტრიალებდა მათ შორის, შინ ეპატიჟებოდა, — ერთად ვისაუზმოთო, მაგრამ ბავშვები მაგარზე იდგნენ. მე ჩავირბინე კიბე და ნიკელის პრიალა ინსტრუმენტი ილოს ბიჭს გავუწოდე,— აჰა, გამომართვი-მეთქი. — ბიჭმა ხელები უკან წაიღო და ამომხედა. გამომართვი-მეთქი! — გავუმეორე. ბიჭმა თავი გააქნია, — არაო, თან დებს გადახედა.

— იცი, ეს რა არის? — ვკითხე.

— ვიცი! — მიპასუხა.

— გქონია ოდესმე?

— არა!

— მაშ, თუ არა გქონია, აიღე!

ბიჭმა კიდევ ერთხელ გადახედა დებს და გამომართვა, როგორც ჩანს, ცთუნებას ვერ გაუძლო, თანაც მე საკმაოდ კატეგორიულად ვუთხარი, — აიღე-მეთქი! სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა ჩემს ნებას. უფროსმა დამ ყველას მადლობა გადაგვიხადა და სამივენი უხმოდ გატრიალდნენ, თითო-თითოდ გაძვრნენ ოდნავ გამოღებულ ჭიშკარში.

— ამ ბავშვებს დედა არა ჰყავთ, — იკითხა მამაჩემმა, — რაღა ბავშვები გამოგზავნა ამბის გასაგებად? კინაღამ მოეკვდი კაცი!

— დავრდომილია, გარეთ არ გამოდის, — უპასუხა ანანომ.

მე ჭიშკართან მივედი და ორღობეში მიმავალ ბავშვებს გავ-ხედე. რატომღაც მეგონა, პატარა ბიჭი უკან მოიხედავდა და კმაყოფილი გაიღიმებდა, შევცდი, ბიჭს უკან მოხედვა არ უცდია. ისიც მეგონა, ეზოდან გასვლისთანავე ჰარმონიკას გამოართმევდნენ და ცნობისმოყვარეობით დაათვალიერებდნენ. აქაც მოვტყუვდი. ბავშვები თავჩაღუნულები მიაბიჯებდნენ, წინ— უფროსი, მერმე — შუათანა, სულ უკან ბიჭი მიჩანჩალებდა, თმაგაბურძგნილი, ბუილა, ჩემი ჰარმონიკა ისევ მარჯვენა ხელში ეჭირა, ხელს რომ მიიქნევდა, მზის სხივზე დროდადრო გაიელვებდა კრიალა ლითონი. გამიკვირდა და ცოტათი გულიც კი დამწყდა, ტუჩთან რომ არ მიიტანა და არ ჩაჰბერა. გაეგო მაინც, რა ხმას გამოსცემდა ეს მოელვარე, საოცრად ლამაზი საკრავი.

შუადღეს უკვე ვიდექით სოფლის ცენტრში, სადაც ჩვენს გასაცილებლად უამრავი ხალხი მოგროვდა, თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. მამა, ანანოს შენიშვნების შემდეგ, ცოტა ვერ იყო გუნებაზე, ისე კი ცდილობდა, ეს უგუნებობა არ შეემჩნია, თავი მხნედ ეჭირა, იცინოდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, ვიღაც-ვიღაცებს ეხვეოდა და მხარზე ურტყამდა ხელს, მაგრამ ჩემდამი მოქცეული განსაკუთრებული ყურადღება, მზრუნველი გამოხედვა მაინც ამხელდა. სულ მეძებდა, მკითხულობდა, იქვე ახლო მდგარს რომ დამინახავდა, თითქოს მშვიდდებოდა. მამაჩემის ასეთი დაძაბულობა არ მსიამოვნებდა, ვწუხდი, — ნეტავი ანანო სულაც გაჩუმებულიყო, არაფერი ეთქვა, უკეთესი იქნებოდა-მეთქი. ამას ანანოც გრძნობდა და ერთთავად ჩემს გარშემო ტრიალებდა, მეც მხოლოდ ანანოს ახლოს მინდოდა ყოფნა. ახალა-ღა, გამგზავრების წინ შევამჩნიე, როგორღაც არაბუნებრივად გამხდარი იყო, დალეული, თვალის უპეები და ტუჩები ჩალურჯებოდა... მოულოდნელად მკრეხელურმა ფიქრმა გამიელვა და შემაძრწუნა, — ვაითუ ანანოს უკანასკნელად ვხედავ-მეთქი და შემკრთალმა უნებურად თვალებში ჩავხედე, ანანომ გამიღიმა და თავი დამიქნია, თითქოს ნაფიქრალი გაიგონა და დასტური მომცა. უეცარმა ელდამ ოლად გამოჭონა შუბლზე, სახეზე, მთელ სხეულზე... ოფლი წურწურით დამდიოდა, ანანომ მკლავზე ხელი წამავლო და მკითხა:

— რა მოგვიდა, ოზო?

— არაფერი, — სწრაფად ვუპასუხე, — ცხელა.

— ძალიან ცხელა, — დამეთანხმა ანანო, — ჰაერიც დაიხუთა.

ოფლი რომ შემაშრა, ჩემი მკრეხელური გაფიქრების გამოსასწორებლად ანანოს გავუღიმე და მოვეხვიე.

— ნეტავი შენც მოდიოდე, — ვუთხარი.

— ნუ გეშინია... ყველაფერი რიგზე იქნება! ოღონდ თქვენ მიხედეთ ერთმანეთს, შენ და სანდრომ.

— ცოტა ხნით მაინც წამოსულიყავი.

ანანომ ორივე ხელი შემავლო სახეზე, ასე მიყურა, ერთ ხანს, მერმე თვალებში მაკოცა და „ლილეინკისაკენ" წამიყვანა.

ჩვენი გამგზავრების დრო დამდგარიყო.

ხალხის ტევრში გავიკვლიე გზა და ამ ფუსფუსსა და ორომტრიალში, გზიდან ოდნავ მოშორებით, თავიანთ ძველ ადგილზე ილოს ბალღებს მოვკარი თვალი, განმარტოებით იდგნენ და აკვირდებოდნენ ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა. ბიჭს ჩემი ნაჩუქარი ჰარმონიკა ისე, როგორც გამომართვა, მარჯვენა ხელში ეჭირა.

ჩვენ უკვე დავსხედით „ლილეინკაზე", რომელზეც ხუთი მგზავრი ეტეოდა. ყველაზე „საპატიოდ" კოფოზე, მეეტლის გვერდით ჯდომა ითვლებოდა. დანარჩენები ოთხთვალაზე წყვილ-წყვილად, ზურგშექცევით, მარჯვნივ და მარცხნივ სხდებოდნენ. მამაჩემს, რასაკვირველია, კოფო შესთავაზეს, უარი თქვა, — ჩემ შვილთან დავჯდები, ასე მირჩევნიაო. მეეტლემ ცხენებს შეუძახა, მე ანანოს გავუღიმე, ხელი დავუქნიე და ჩვენი „ეკიპაჟი" თელავის რკინიგზის სადგურისაკენ ჩაქჩაქით დაიძრა.

ასე დავტოვე სოფელი.

უკან რჩებოდა კრამიტით დახურული ქვითკირის სახლები, ორღობეები, ხილით დახუნძლული ბაღები, ლურჯი ზვრები, მწიფე ყანები, გალავანმორღვეული თეთრი, პატარა ეკლესია და, რაც მთავარია, იქ რჩებოდა ანანო, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც შემდეგ, არავინ შემხვედრია. როგორც ჩანს, ადამიანები უმადურებად გაგვაჩინა ღმერთმა, ანდა იმავე ღმერთმა მადლიერებას გარკვეულად დააკლო საფანელი... მე ოთხთვალაზე ვზივარ და მადლიერების გრძნობით გამსჭვალუ-

ლი ანანოზე ვფიქრობ, მებრალება და ვწუხვარ, რომ მარტოდ-მარტო დარჩა და ახლო-მახლო კაცი არა ჰყავს გამგები. ალბათ კარგია, მოყვასურია ეს ფიქრიც, ეს წუხილიც, მაგრამ მაინც ხომ ვერ შეედრება იგი იმ ზრუნვასა და სიყვარულის ენერგიას, რომელიც ანანომ ოთხი წლის მანძილზე ჩემთვის და ჩემს გამო დახარჯა?.. თუმცა იქნება არცაა საჭირო, ასე ციდა-ციდა და მისხალ-მისხალ გავზომოთ და ავწონოთ ჭეშმარიტი გრძნობები, რადგან ქვეყანაზე სუფთა სახითაც არსებობს უმადურება — ცივი, უგულო, მშრალი, გამოფიტული, რომელსაც მეხსიერება დაბინდული და გამოფიტული აქვს...

დამწიფებული ყანის გასწვრივ მიდიოდა ჩვენი ოთხთვალა, ეს სწორედ ის ადგილია, საიდანაც ანანომ ლტოლვილი მომაბრუნა. მაშინ აქ ნახნავები იყო, მე დაუსრულებლად მივდიოდი ნახნავებში და წინ ყვავების გუნდი ყრანტალით ამიფრინდა. უცებ შევკრთი, რადგან ყვავების ჩხავილი ცუდად მენიშნა, იმდენად ცუდად, რომ თავის თავსაც ვერ გავუმხილე. ამ გზით დაბრუნდით მე და ანანო სოფელში, ის სამიოდე ნაბიჯით მიდიოდა წინ და მე თოკგამობმულ ხბოსავით უკან მივყვებოდი, ეს გზაც დაუსრულებელი მეჩვენებოდა.

ახლა გადავივლით ბორცვს და ალაზნის ველი გამოჩნდება, ვარდისფერ, გამქვირვალე ნისლში დაძირული, ხოლო იმ მთრთოლვარე ნისლის მიღმა, როგორც სიზმარში, მოულოდნელად გამოგვეცხადება კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები. ის არაფერს ნიშნავს, რომ იცი და წინასწარ ელოდები მათ გამოჩენას, მაინც მოულოდნელად გამოგეცხადება...

— ოზო, — მხარი გამკრა მამაჩემმა. — ერთი რამ უნდა გითხრა და, თუ ღმერთი გწამს, კარგად გამიგე.

მივხედე და უსიტყვოდ ვანიშნე, — გისმენ-მეთქი.

— მაროს... მარო მასწავლებლის თხოვნა უნდა გადმოგცე. ხომ იცი, ქალაქი მაინც ქალაქია, ის გოგო პირველად არის ქალაქში, თანაც მარტოა და შეიძლება გაუჭირდეს კიდეც. შეიძლება კი არა, ნამდვილად გაუჭირდება. ყურადღება მიმიქციეო,—გთხოვა, მისამართი მომცა, კიდევ რაღაც-რაღაცეები გამომატანა... ანანოსთვის არ მითქვამს. რაღაცაზე გამიბრაზდა და... შენც იცი ქალების ამბავი...

— კი, ვიცი.

— ერთი სიტყვით მაროს... ჰო, მარო მასწავლებელს შენი

დიდი იმედი აქვს, — ოთხი წელი ერთ მერხზე ისხდნენო, მეც გობრობდნენო.

— მარო მასწავლებელს რომც არ დაებარებინა, მე მაინც მივხედავდი.

— ჰო, ეგრე, ეგრე... ისე, ამბობენ, ნიჭიერი გოგოაო.

— მე მგონი... კი, ნიჭიერია.

— ალბათ მოხვდება უმაღლესში.

— ეტყობა, მოხვდა, რახან სოფელში არ დაბრუნდა. თვითონ მითხრა, იმ ინსტიტუტში ერთი თვით ადრე იწყება გამოცდებიო. ალბათ, ჩააბარა.

— ჰო, ეგრე, ეგრე, შენი ჭირიმე!

10

ყველა გადაუდებელი საქმე მოგვარდა: ბინა დავასუფთავეთ და დავალაგეთ, პურისა და სურსათის ბარათები ავიღეთ და ინდუსტრიულ ინსტიტუში საბუთები შევიტანეთ. მანამდე, რასაკვირველია, საბურთალოს ბაზარში ჩემთვის ერთი ხელი საზაფხულო ტანსაცმელი (შარვალი, პერანგი, ფეხსაცმელები) შევიძინეთ. მამას ათას ადგილზე შესთავაზეს სამსახური, მთელი კვირა ორჭოფობდა, ყოყმანობდა, ფიქრობდა, დიდი არჩევანი ჰქონდა და ალბათ საბოლოოდ ამიტომაც ვერ გადაწყვიტა, სად დაეწყო მუშაობა.

საბურთალოს ბაზარში ნაყიდი ტანსაცმლით რომ გამომაწყო, საკუჭნაოდან საკმაოდ მოზრდილი და მძიმე, ბიაზგადაკრული კალათი გამოათრია და მითხრა, — ეს ზიზის მიუტანეო. ცოტა მეუხერხულა ამხელა კალათით ქუჩაში გასვლა და ფრთხილად შევაპარე, — ჩემოდანში ხომ არ გადაგვეწყო, სატარებლად ის უფრო მოსახერხებელია-მეთქი. თუ ღმერთი გწამს, სხვის კალათაში ფათურს ნუ დამაწყებინებო, მიპასუხა, — არა უშავს ჩინ-მედლებს არავინ ჩამოგართმევსო. ანანოს როგორ აუხვიე თვალები, ეს როგორ გამოაპარე-მეთქი? —ვკითხე. იცის ბიჭმაო, — თვალი ეშმაკურად ჩამიკრა. მეც გამეღიმა, ოღონდ მამაჩემის გულუბრყვილობაზე, დარწმუნებული იყო, — ამხელა კალათი სოფლიდან ისე წამოვიღე, ანანოს არაფერი გაუგიაო.

თბილისში დაბრუნება უფრო სხვანაირად მქონდა წარმო-

დგენილი, ვითომ ტყვეობიდან დახსნილის სიხარული უნდა განმეცადა. გამომგზავრებამდე რამდენიმე თვით ადრე უკვე სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ აქ ჩამოსულს ყოველდღიური, თითქმის უსაგნო, წვრილმანი ფუსფუსი ჩამითრევდა.

როგორ ვიფიქრებდი, ამდენი ხნის უნახავ სკოლის ამხანაგებს ვერ შევხვდებოდი. მეგონა, აღტაცებით შეეგებებოდით ერთმანეთს, თბილისის ქუჩებში აღმა-დაღმა ვივლიდით, სათქმელს ვიტყოდით, შთაბეჭდილებებს გაეუზიარებდით, დროს გავატარებდით. დრო კი ისე გავიდა, ძველ ამხანაგთაგან არავინ მომინახულებია... არცერთის ასავალ-დასავალი არ ვიცოდი, როგორ ცხოვრობდნენ, როგორ დაამთავრეს სკოლა, სად აპირებდნენ სწავლის გაგრძელებას. პირველ ხანებში სოფლიდან მოკლე-მოკლე წერილებს ვუგზავნიდი, პასუხი რომ ვერ მივიღე, მეც ხელი ჩავიქნიე, რვეულის სუფთა ფურცლებს ისევაც ვერ ვშოულობ-მეთქი. სამაგიეროდ თბილისში დაბრუნებისას მქონდა მათთან სასიხარულო შეხვედრის იმედი.

მძიმე კალათით „ხელდამშვენებული“ გავედი ეზოდან და გეზი პლატონის ქუჩისაკენ ავიღე, სადაც ზიზი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა თურმე. ეს ქუჩა კარგად მახსოვდა, ჩვენს უბანში იწყებოდა და კარლ მარქსის მოედანზე გადიოდა. ამაზე ვიწრო და მოკლე ქუჩა თბილისში ალბათ იშვიათად მოიძებნებოდა. კორიდორივით იყო და ხანდახან, როცა გზის შემოკლება გვინდოდა, უბნელი ბიქები ამ ქუჩით დავდიოდით ხოლმე.

საღამოს ჩრდილი ეფინა ჩვენი ქუჩის ორივე ტროტუარს, მზის სხივები მხოლოდ მეორე სართულის ფანჯრებს აელვარებდა, ისიც ზედა მინებს. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი წინ, ათიოდე მეტრს გავივლიდი და შეევისვენებდი, კალათმა მკლავები დამაწყვიტა, ხელისგულებზე ბებერები გამიჩინა. მაინც რას უგზავნიდა ამისთანას, მხოლოდ ტრაქტორის ნაწილები შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი მძიმე.

ქუჩის კუთხეს მივადექი, შენობის ამ კუთხიდან ქუჩა ფართოვდებოდა, პატარა მოედნის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. ომამდე აქეთ და იქით დუქნები და სახელოსნოები იყო ჩარიგებული, იმათგან მხოლოდ საპარიკმახერო დაიტოვა ცხოვრებამ. საპარიკმახეროს რომ გასცდებოდი, ქართული პური ცხეებო-

და, მოპირდაპირე მხარეს ირანული ლავაში, იქვე—სამეედლო, ცოტას გაივლიდი და — სამღებრო... პარმენას დუქანი ანუ სახარჩოე... ეკლესიის ეზოსთან, სარდაფში მოხუც მხატვარს სახელოსნო ჰქონდა გახსნილი, ამ მხატვრის გვარი გვიან შევიტყე, იგი ზაზიაშვილი აღმოჩნდა, გიგო გაბაშვილის სკოლის მხატვარი, რომელიც ჩვენს უბანში არ აჭაჭანებდა ფიროსმანს, — ხატვა არ იცი, და თვითონ ხატავდა აბრებს, ჩვენი უბნის პატარა ეკლესიაც ალაგ-ალაგ მისი მოხატული იყო...

საპარიკმახეროს წინ ჯარისკაცების ჯგუფი დავინახე, ზოგი ტროტუარის კიდეზე იჯდა, ზოგი ფეხზე მდგარი საუბრობდა. ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, მივუახლოვდი და, ცოტა არ იყოს, მათი ჩაცმულობა მეუცნაურა. ახლოს მისულმა გავარკვიე, თურმე ტყვეები ყოფილან. ტყვეებს პირველად ვხედავდი, კალათი მაშინვე ძირს დავდგი და მივაჩერდი. აქ სხვებიც დამხვდნენ ჩემსავით ცნობისმოყვარენი, იდგნენ და დიდი ყულისყურით ათვალიერებდნენ უცხო ადამიანებს, ბუზობდნენ, კამათობდნენ, ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამდნენ. გამიკვირდა, ტყვეებს სუფთად და კოხტად ეცვათ, თავიც ღირსეულად ეჭირათ, იმდენად ღირსეულად, რომ ზოგი ცნობისმოყვარე გაღიზიანებას დაუფარავად გამოხატავდა, — თუ ტყვეები არიან, ტყვეებს უნდა ჰგავდნენ, დაგავიწყდათ, ჩვენებს რა დღეს აყრიდნენო?! საწინააღმდეგო აზრს უფრო მეტი მომხრე გამოუჩნდა და საბოლოოდ დადგინდა, — ტყვეც ადამიანია და ადამიანურად უნდა მოვეპყრათო. ასე იყო თუ ისე, ტყვეებს ქართული არ ესმოდათ და ალბათ არც აინტერესებდათ, თითო-თითოდ შედიოდნენ საპარიკმახეროში და იქიდან გაკრეჭილები და გაპარსულები გამოდიოდნენ. ვიღაცამ თქვა, ესენი გერმანელები არ უნდა იყვნენ, სხვა ენაზე ლაპარაკობენო, მეც ამის შემდეგ მივაყურე და სოფლის სკოლაში ნასწავლი გერმანულით მივხვდი, სხვა ენით მეტყველებდნენ, ამას ახლავე დაგიდგენთო, — თქვა ერთმა იმათგანმა, რომელიც ტყვეებისათვის განსაკუთრებულ რეჟიმს მოითხოვდა. ეტყობა, შეხედულება აქვე შეეცვალა, რადგან ტყვეებს გაღიმებული მიეახლა და პაპიროსიც ეი შესთავაზა, რაზეც იმათ უარი არ უთქვამთ. თვითმარქვია პარლამენტიორმა ჟესტ-მიმიკის ენითა და სახელდახელოდ მოგონილი ესპერანტოთი დაადგინა, რომ ტყვეები მადიარები, ანუ

უნგრელები იყვნენ. ამ ცნობამ გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ჩანს, გუშინდელ მტრებთან — გერმანელებთან ურთიერთობას რატომღაც ერიდებოდნენ და რახან ესენი უნგრელები აღმოჩნდნენ, თითქოს ტვირთი მოეხსნათ, გამხიარულდნენ და აყაყანდნენ, ერთმანეთში აირივნენ. მე ამიტაცა საერთო განწყობილებამ, მინდოდა ჩავრეულიყავი, რაღაც მეთქვა, მაგრამ კალათზე ვიყავი გამობმული და აღარც მოვლენების შემდგომი განვითარებისათვის თვალის მიდევნება დამცალდა, რადგან ნაცნობი ხმა გავიგონე.

— ოზო! — ეს იყო გაკვირვებისა და აღტაცების შეძახილი, — მე კი შენთან მოვდიოდი!

ზიზი გადამეხვია და გადამკოცნა, გახარებული შემომციცინებდა. მეც იმდენად გამიხარდა, ენა დამება და სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე. სულ ის მელაპარაკებოდა, — შორიდანვე გიცანი, მაგრამ თვალებს არ დავუჯერეო... მამაშენის დაბრუნება დედამ შემატყობინა და დღე-დღეზე ველოდებოდი თბილისში თქვენს ჩამოსვლასო... უცებ იმდენი რამ დამაყარა, რომ მათი დამახსოვრება, თავმოყრა და დალაგება გამიჭირდებოდა, ამიტომ გაღიმებული ვუცქერდი და აღარ ვუსმენდი. ბოლოს მოვიფიქრე და ვუთხარი,—აქაურობას გავეცალოთ-მეთქი. ცნობისმოყვარეთა რიგები თანდათან შევსებულიყო და უნგრელებსა და ქართველებს შორის ხელჩართული საუბარი იყო გაჩაღებული. ზიზიმ ახლაღა შენიშნა ტყვეები და თქვა,— ესენი უნგრელები არიანო. აქამდე სად იყავი, — ვუთხარი ხუმრობანარევი გაკვირვებით, — ამათი ეროვნება ძლივს დავადგინეთ-მეთქი.

ორივემ შეთანხმებულებივით წავავლეთ კალათს აქეთ-იქიდან ხელი და პლატონის ქუჩისაკენ გავეშურეთ. ამ ორი თვის მანძილზე საკმაოდ გამოცვლილიყო. ჯერ ვერ მივხვდი ამ ცვლილების მიზეზს, მაგრამ გზაში მივაქციე ყურადღება, რომ თმა მოკლედ შეეკრიჭა და ჩალისფრად გადაეღება, წარბები ამოექნა და თვალებს ზემოთ ახალ მთვარესავით მორკალული ორი წვრილი ზოლი დაეტოვებინა. ამასთანავე, გაფერმკრთალებული და გამხდარი მეჩვენა, შესაძლოა, ამ შთაბეჭდილებას სრული, მაღალმხრებიანი კაბა და ხის სქელ ლანჩიანი ფეხსაცმელი ქმნიდა. ერთადერთი, რაც შეენარჩუნებინა, ეს იყო შინდამზადებული ნელსაცხებლის მძაფრი სურნელი.

როგორც კი ზიზი დავინახე, რაღაცნაირად მივხვდი, გამოცდები არ ჰქონდა ჩაბარებული...

ხელიხელჩაკიდებულებივით მივდიოდით, ტვირთი საგრძნობლად შემსუბუქდა, აღარც წვივებზე მეხახუნებოდა და თავისუფლად მივაბიჯებდი. ზიზისთან ლაპარაკით გართულმა წინიდან მომავალი სკოლის ამხანაგი, ვიცანი, დურმიშხან წილოსანი, გამიხარდა, ვიფიქრე, — ისიც მიცნობს და მივესალმები-მეთქი, მაგრამ ისე ჩამიარა, არც შემოუხედავს, ალბათ ვერ მიცნო, ან მიცნო და თვალი ამარიდა... თუმცა თვალი რატომ უნდა აერიდებინა?

— იცი, როგორ მომენატრე, — მეუბნებოდა ზიზი, —სხვებიც, განსაკუთრებით — ანანო.

— მეც მომენატრე, ალბათ ანანოსაც ენატრები.

— მამა როგორ არის, ხომ საღსალამათი დაბრუნდა?

— საღსალამათი! (როგორ ვერ ვიტან ამ სიტყვას!).

— ეჰ, — ამოიოხრა ზიზიმ.

— რა იყო? — ვკითხე.

— არც რა.

— რას ნიშნავს „არც რა"? — ვითომ ვერ გავიგე რას მეუბნებოდა.

— ვერ ჩავაბარე... ჩავიჭერი.

— მაინც რა გითხრეს?

— რას მეტყოდნენ, მერმის მოდიო... ჩემი ბრალია, გამოცდებზე ეგრე გასვლა იქნებოდა? ხეირიანად ისიც არ ვიცოდი, რა უნდა ჩამებარებინა და როგორ უნდა ჩამებარებინა.

— სოფელში თუ შეატყობინე?

— არა.

— რატომ?

— რა ვქნა, არ ვიცი, დედას თუ გავაგებინე წამიყვანს, თუ წამიყვანა, როგორღა მოვემზადო.

— იქვე აპირებ ჩაბარებას?

— მაშ!

— იქნებ სხვაგან გეცადა...

— ათი წელი რომ დამჭირდეს, მაინც იქ ჩავაბარებ.

— დედაშენს რა უთხარი, — ჩავირიცხეო?

— თავისუფალ მსმენელად ჩამრიცხეს-მეთქი, — ასე მივწერე... აქ გოგო-ბიჭები გავიცანი, კარგები არიან... ზოგჯერ

ლექციებსაც დავესწრები... მოგიხერხებთო, — მითხრეს. სხვანაირად არაფერი გამოვა, ოზო, სოფელში რომ დავბრუნდე, სულ გამოვყრუვდები.

— როგორ გითხრა, ალბათ უკეთესი იქნება, აქ რომ დარჩე.

— ბოლოს და ბოლოს, თუ გამიჭირდა, ვიმუშავებ! წავალ და ქარხანაში დავიწყებ მუშაობას, პურის წიგნაკსაც მომცემენ და ქალაქშიც ჩამწერენ! ეგრე კი არ არის საქმე?!

— ნება შენია, ზიზი. მე მხოლოდ ერთი მინდა... მინდა შენ იყო კარგად.

— შემოდგომაზე სეზონი გაიხსნება, თეატრებში ვივლი, ყველა სპექტაკლს ვნახავ... ცოტა გამოცდილება რომ მქონდა, ნაღდად ჩავაბარებდი. ჩემსავით ერთმაც ვერ იმღერა, ვერც იცეკვა... ჩემისთანა სმენა და რიტმის გრძნობა არცერთს არ ჰქონდა.

მოწითალო-მოყავისფროდ შეღებილ სადარბაზოსთან შემაჩერა, — აქ ვცხოვრობო, თავისუფალი ხელით მიაწვა კარს და შეაღო. აგურის ყრუ კედელში ჩასმული კარი ძალიან ჰგავდა სადარბაზო შესასვლელს და ასეც მეგონა, — შენობაში შევდივართ-მეთქი, მაგრამ ღია კარს იქით სუფთა, მოვლილი თბილისური ეზო დავინახე, რიკულებიანი აივნებითა და შუშაბანდებით შემოზღუდული. ქუჩა გაცილებით მაღლა გადიოდა, ეზოში ჩასასვლელად ხუთი-ექვსი საფეხური უნდა ჩაგეარა.

— ძალიან ცხელა, სული მეხუთება! თქვა ზიზიმ და შუბლზე ცხვირსახოცით შეიმშრალა ოფლი, მერმე თითქოს ჩურჩულით გამაფრთხილა, — ჩემი დედაბერი ცოტა უცნაური ქალია და არაფერი გაგიკვირდეს.

კალათს ორივე ხელი წავავლე, ავწიე და ეგრევე ციმციმ ჩავარბენინე ეზოში. კვირა საღამო იყო, ეზოშიც და ორივე სართულის აივნებზე მეზობლები იყვნენ გამოფენილნი. ამიტომ მათ წინაშე ჩემი კალათიანად გამოჩენა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩათვლილიყო და ჩაითვალა კიდეც, პატარა ჩოჩქოლი ატყდა, — ეს კალათი ნეტა ვის ეკუთვნისო, მაგრამ ზიზიმ სწრაფად ჩამოათავა კიბე და ყველაფერი ნათელი შეიქნა. იქვე, ხელმარჯვნივ, შუშაბანდში შემიძღვა.

შესვლისთანავე დავდე კალათი, წინასწარ დაშინებულმა,

დამშვიდობება და გამობრუნება დავაპირე, — დედაბერს არ შეეფეთო-მეთქი. ჯერ თვითონ ზიზი გადამეღობა, მერმე ოთახიდან გამოვიდა მოხუცი ქალი, რომელიც ზიზიმ წეღან აგდებულად ახსენა. ეს ქალი წიგნებში წაკითხულ ცხოვრებისაგან გაბოროტებულ, ხარბ დედაბრად წარმოვიდგინე, ოთახიდან კი სასიამოვნო შესახედაობის მოხუცი ქალბატონი გამობრძანდა, თხელი, მაღალი, ჭაღარა. სახის ნაკვთები სწორი და დახვეწილი ჰქონდა, თუმცა ღრმად დანაოჭებული. ოქროს პენსნე ეკეთა. გამოსვლისთანავე, რა ხდებაო, — იკითხა და, მე რომ დამინახა, თავაზიანად მომესალმა.

ბოლომდე მაინც არ ვენდე ჩემს პირველ, უშუალო შთაბეჭდილებას, თუმცა ოთახშიც შემიპატიჟა და დამსვა სასადილო მაგიდასთანაც, რომელსაც გუმბათივით ეხურა ჭერიდან ჩამოშვებული, მდელოსფრად განათებული დიდი აბაჟური. დადარაჯებული ვიჯექი და ველოდებოდი, ან ახლა გაამჟღავნებს და გაამხელს, ან ახლა-მეთქი თავის უცნაურობას. ზიზისი მჯეროდა და ვენდობოდი კიდეც, მაგრამ მოხუცი ქალბატონი ამ საღამოს, მგონი, არ აპირებდა თავის უცნაურობათა გამომზეურებას.

ძალა არავინ დამატანა და არც მე დავიდე თავპატიჟი, სიამოვნებით დავრჩი ერთი ფინჯანი ჩაის დასალევად. დავრჩი, რადგან იქაურობა მომეწონა, მართალი გითხრათ, ასეთი მყუდრო გარემო ჯერ არ მენახა და ზიზისი ცოტა შემშურდა კიდეც.

მაგიდაც, ნოხგადაფარებული ქართული ტახტიც, კარადებიც, წიგნის თაროებიც, საწოლიც, თეჯირიც ოთახში ისე იყო განლაგებული, რომ ავეჯის სიჭარბე არ იგრძნობოდა. განსაკუთრებით ერთი კუთხე მომეწონა; წიგნების თაროებთან დაბალი მრგვალი მაგიდა და სავარძელი.

უხმოდ შეევექცეოდით ყურძნის მურაბიან ჩაის, ყურძნის მურაბა მეცნო, ზიზის დედის ნახელავსა ჰგავდა. შაქარი რომ არ იშოვებოდა, ბადაგით ხარშავდა და მურაბის მაგვარი რაღაც გამოუდიოდა.

ოთახის ორივე ფანჯარა ღია იყო, მაგრამ გარეთ უკვე სიბნელე ჩამოწოლილიყო და არაფერი ჩანდა, არც ხმაური ისმოდა.

დიასახლისმა ჩაი რომ დალია, ერთი ღერი პაპიროსი და საფერფლე მოიტანა, პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და ბოლი

ბოლქვებად გაუშვა ღია ფანჯრებისაკენ. მერმე ნელ-ნელა შევყევით. საუბარს, დაინტერესდა, ვინ ვიყავი, სად ვსწავლობდი. როცა ვუთხარი, თბილისელი ვარ, ამ უბნელი, აქ დავიბადე-მეთქი, სოფელში ყოფნას თავისი კვალი დაუტოვა, ჯანმრთელად და მხნედ გამოიყურებიო, — მითხრა.

დიდხანს აღარ დავყოვნდი, კეთილი მასპინძლობისთვის მადლობა გადავუხადე მოხუც ქალბატონს და წამოვედი. ზიზიმ გამომაცილა.

— რას ერჩი? — გამოსვლისთანავე ვკითხე.

— არაფერს, გდია თავისთვის და ეგდოს!

— მოიცა, ეგრე როგორ იქნება?!

— მაგას შენ ვერ გაიგებ, ეგ რომ გაიგო, ქალი უნდა იყო!

— მე მგონი, შენ ცოტას ამეტებ.

— აბა, მიდი და იმ დედაბერს მთელი დღე მიუჯექი! —უკმაყოფილოდ წამოიძახა ზიზიმ, — ათ საათზე წვება და იძინებს, დილის შვიდ საათზე უკვე ფეხზეა და გადი-გამოდის.

— ეგრე არ იყო იქაც? — სოფელი ვიგულისხმე.

— იქ საქმე გვქონდა, აქ რა ამაყენებს შვიდ საათზე?!

ლაპარაკ-ლაპარაკით მივედით საპარიკმახერომდე, სადაც წელან უნგრელები ისხდნენ ტროტუარზე. ახლა მე გაგაცილებმეთქი, — ვუთხარი და უკან მოვბრუნდით. ახალი სიტყვების, გამოთქმების და მოძრაობის ათვისება მოესწრო უკვე, კი, საგრძნობლად იყო შეცვლილი, ისიც ვიფიქრე, — ასეთი მოუსვენარი ბუნების გოგოს გაუჭირდება-მეთქი იმ მოხუცი ქალის შეგუება, მის გვერდით ყოფნა. მიუხედავად ამისა, რაღაც მაწუხებდა, არ მომწონდა, თითქოს ისე არ უნდა ყოფილიყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

— მოვეშვათ იმ დედაბერს... შენი მითხარი, ოზო, —ორივე ხელით მკლავზე დამეკიდა და მხარზე მომაყრდნო თავი,— დადიხარ გოგოებში?

— სხვა რა საქმე მაქვს, — თავი გამოვიდე.

— გახსოვს, რომ დათვერი?.. რა დღეში ჩამაგდე? წაგიყვანე და ანანოს კართან მიგაყუდე. მერმე ერთი კვირა ცერად მიყურებდა ანანო.

— იმ ამბის გახსენება არ მინდოდა და სიტყვა შევაწყვეტინე, თმა შეგიჭრია-მეთქი, — ვუთხარი, შევიჭრიდი, მაშ ნაწნავიანი ხომ არ ვიელიდიო, — გაიცინა.

— აქამდეც როგორ გაუძელი, ალბათ დედაშენი არ გაჭრევინებდა.

— შევიჭერი და გავყიდე, აქ მაგის მოვლის თავი ვის ჰქონდა! ეგეც არ იყოს, ვინ დადის ახლა ნაწნავებით?!

— გაყიდე?

— კი, კინოსტუდიაში მივიტანე, ასორმოცდაათი მანეთი მომცეს და დავამღერეთ...

— ხოო...

— მაგას სხვა დროს გიამბობ, ძალიან სასაცილო ამბავია.

— სხვა დროს იყოს... უკვე შენს სახლთან მოვსულვართ.

— თუ გინდა, ცოტაც გავიაროთ და მოგიყვები.

— არა, არა...

ზიზის, როგორც ჩანს, ეწყინა ჩემი უარი, უცებ ხელი ჰკრა კარს და შევარდა, თვალი გავაყოლე, მაგრამ კარი თავისით სწრაფად მოიხურა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ზიზი სადღაც გადაეშვა ან სიბნელემ დანთქა.

გზაში ვინანე, ლაპარაკი რომ არ ვაცალე და სიტყვა გავაწყვეტინე, ახლა უკვე დამაინტერესა, ვინ გაიცნო, ვის დაუმეგობრდა, ვისთან ერთად დაამღერა თმაში აღებული ასორმოცდაათი მანეთი? თბილისს ძალზე გაშინაურებია, ცოტა შემაცბუნა თმის გაყიდვამ, მაგრამ მომეწონა ზიზის შეუპოვრობა... არაფრის ეშინია, მიდის და მიდის, მხოლოდ თავისი თავის იმედი აქვს, თუ დასჭირდა იმუშავებს კიდეც, და მაინც ეჭვის ჭია მიღრნიდა წეღანდელივით გულს, იქნებ მომაჩვენა, რომ ინსტიტუტში განცდილი მარცხით არაფერი დაუკარგავს, პირიქით, — შეიძინა გამოცდილება, რაც მომავალში საქმეს წაადგება, თანაც მაგრძნობინა, — თბილისშიც ისე ვარ, როგორც თევზი წყალშიო, — სინამდვილეში კი, რასაც გრძნობდა და განიცდიდა, დამიმალა.

მე მხოლოდ დაეჭვებული ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ უნდა გადავწყვიტო და გავბედო, — გადავდგა ეს ნაბიჯი, თუ არ გადავდგა-მეთქი, თუ გადავდგი, ეჭვი არც შემდეგ მასვენებს. სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია, არ შემიძლია, პირველი გაცნობისთანავე ადამიანს მხარზე მოვუტყაპუნო ხელი და იქვე მეგობრული ურთიერთობა დავამყარო; არ შემიძლია, პური ურიგოდ ავიღო, ქუჩა გადავჭრა იქ, სადაც გადასასვლელი არ

არის, ტრამვაიში წინა ბაქნიდან ავიდე; არ შემიძლია, კაცს ვუთხრა, — მოვალ-მეთქი და არ მივიდე... ათასი რამ არ შემიძლია და სხვებს რომ ვაკვირდები, მაწუხებს ჩემი თავი, ჩემი ხასიათი და ბუნება... ისე კი უკეთესი იქნებოდა, ისიც მცოდნოდა, რისი გაკეთება შემეძლო.

შინ დაბრუნებულს მამაჩემმა მკითხა, — როგორ არის ის გოგო, რას შვრება, შეეჩვია თუ არა აქაურობასო? დიდებულად დაბინეებულა და თავსაც მშვენივრად გრძნობს-მეთქი. ჩემს არყოფნაში მამას ნავთქურაზე მჭადი დაეცხო, ცხელ-ცხელი დამახვედრა, ყველიც გვქონდა და გემრიელად ვიეახშმეთ. ზიზიზე სხვა არაფერი უკითხავს და არც მე მომიწადინებია ჩემი შთაბეჭდილების ბოლომდე გაზიარება. ამ დღეებში კიდევ მივალ და დავხედავ, გავიგებ, რა ჭკუაზეა-მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ დღეები ისე გავიდა, ზიზისთვის ვერ მოვიცალე, ინსტიტუტში ლექციები დამეწყო და თავისუფალი დრო სულ აღარ მრჩებოდა.

კვირისათვის გადავდე ზიზის მონახულება, მაგრამ სწორედ კვირა დღეს გავედით მე და მამაჩემი კუკიის სასაფლაოზე, მამამ მითხრა, — წუხელ დედაშენი დამესიზმრაო... ხუთი წელია ნინოს საფლავზე არ ვყოფილვარ და იქნებ ვერც მივაგნოთო. მამაჩემის გადაწყვეტილებამ გული ამიჩუყა და თითქოს ზედაპირზე ამოაცურა ის გრძნობა, რომელსაც თვითონვე ვძირავდი გულის სიღრმეში. სასაფლაოზე მივდიოდი სიხარულით, რადგან სოფელში მომხდარი ამბის შემდეგ მეგონა, დედა სამუდამოდ ჰყავდა დავიწყებული.

. აღარ მახსოვდა არც ის, დედა სად დავასაფლავეთ და არც ის, როგორი იყო საფლავი. დიდხანს უგზო-უკვლოდ ვიარეთ საფლავთა ლაბირინთებში, ხან — აღმა, ხან — დაღმა, დაახლოებით აქ უნდა იყოსო, — იტყოდა მამა, მივიდოდით და, სამწუხაროდ, იქ არ აღმოჩნდებოდა. ზოგიერთ უცხო საფლავთან ჩერდებოდა, წარწერას წაიკითხავდა და სინანულის მაგვარი ღიმილი გამოეხატებოდა სახეზე, ვაჰ, ესეც აქ ყოფილაო!— წამოიძახებდა გაკვირვებული. თითქოს თავის თავს, ელაპარაკებოდა: მე მეგონა, მარტო იქ იხოცებოდნენ, ხალხს აქაც დარევია მიქელ-გაბრიელი, ხედავ, ეს სასაფლაო სადამდე წასულაო. შეიძლება თავს იმართლებდა, რახან დედის საფლავს ვერ მივაგენით.

ადრიანად წამოვედით და უკვე საკმაოდ ჩამოცხა, მზე თავზე წამოგვადგა. სასაფლაოს დარაჯი მოვნახეთ, დარაჯმა ისიც კი ვერ გაიგო, რა გვინდოდა, რას ვეკითხებოდით, ღვინით თუ არყით იყო გამობრუჟული და ისე ყარდა, კინაღამ გული ამერია. სასოწარკვეთილი შევყურებდი დაბნეულსა და დარცხვენილ მამას, რომელიც დაძაბული კი იყო, მაგრამ ისტიბარს არ იტეხდა, თუმცა ხელებს მაინც უმწეოდ შლიდა. იმედი რომ გადავიწურე, გამახსენდაო, — იყვირა გახარებულმა და მხარზე ხელი დამკრა. — წამომყევიო. ჩქარი ნაბიჯით გაეშურა სასაფლაოს სიღრმისკენ და მეც სირბილით წავყევი. ამჯერად მეხსიერებას არ უღალატია, მივადექით თუჯის გისოსებიან საფლავს, სადაც ბალახი წელამდე მოხშირებული დაგვხვდა. ჩაჟანგული კარი დიდი ჯაჯგურის შემდეგ გამოვაღეთ, შევედით და ჩაჩოქილებმა ხელით დავუწყეთ ბალახს გლეჯა. დანები მაინც წამოგვეღოო, — წუხდა მამა, მერმე წინ წაიჩოქა, ბალახი ორივე ხელით გადასწია და საფლავის ქვა და წარწერა გამოაჩინა, თან ისე ბედნიერმა შემომხედა, — ეს არისო, რომ მეორედ ამიჩუყდა გული. თეთრ მარმარილოზე ჩამუქებული ოქროს ასოებით ეწერა: „ნინო მიხეილის ასული თორია-ბოდაველისა (1906—1940)". თურმე ოცდათოთხმეტი წლის გარდაცვლილა, მე კი ხანდაზმული მეგონა. მუქი ლურჯი თვალები მახსენდება ხოლმე, ქერა, მოკლედ შეჭრილი თმა, მკრთალი, გადატკეცილი სახე. მახსენდება მამაჩემის ტრაბახი, კოლხი ცოლი მყავსო, — სტუმრებთან ხმამაღლა რომ აცხადებდა ხოლმე, მე მაშინ არ მესმოდა, რას ნიშნავდა „კოლხი ცოლი".

კარგა ხანს არ ვიცოდი, რითი გარდაიცვალა, არ მეუბნებოდნენ, ვატყობდი, მიმალავდნენ და მიზეზით რატომღაც არც მე დავინტერესებულვარ. დრო რომ გავიდა, უფრო ხშირად ვიგონებდი დედას და იმასაც ვფიქრობდი, — ნეტა რა მოუვიდა, რა დაემართა-მეთქი. მერმე, უკვე ძნელი აღარ იყო იმის მიხვედრა, რა დაემართა, ან რატომ მიმალავდნენ იმ განუკურნებელ ავადმყოფობას.

თითქმის საღამომდე ვიმუშავეთ. ოფლით გახვითქულებმა, ვგლიჯეთ და ვგლიჯეთ ბალახი, ვერაკითარი ცელი ვერ მოთიბავდა ასე თანაბრად; მართალია, დიდი დრო და ძალა შევალიეთ, მაგრამ ფრიად კმაყოფილნი დავრჩით შედეგით. გავასუფთავეთ, გავწმინდეთ საფლავი და თუჯის მესერს იდაყ-

ვებით დაყრდნობილები უხმოდ დავცქეროდით საფლავს. იმ საღამოს პირველად ვიგრძენი, თითქოს ვიღაცისა თუ რაღაცის წინაშე მცირეოდენი ვალი მოვიხადე. არ ვიცი, მაშინ რამ ჩამინერგა ან საიდან მომევლინა ასეთი მაცთუნებელი გრძნობა... თუმცა ნეტარი სიმშვიდე რომ დამეუფლა, აშკარა იყო...

ზიზის მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მივაკითხე, ოქტომბრის პირველ კვირას. კარი დიასახლისმა გამიღო, ჯერ ვერ მიცნო, მაგრამ თავი რომ შევახსენე, შინ შემიპატიჟა და ძველ ადგილას დამსვა.

ღია ფანჯრიდან მთაწმინდის ფერდობი მოჩანდა.

— თქვენ ალბათ ზეინაბს მოაკითხეთ?

— დიახ, ქალბატონო. — გამახსენდა, რომ ზიზის ნამდვილი სახელი ზეინაბი იყო.

— ზეინაბი აქ აღარ ცხოვრობს, წავიდა. — მითხრა მშვიდად.

— სად წავიდა?

— არ ვიცი... ამ ათიოდე დღის წინ პენსიის ასაღებად გავედი და შინ დაბრუნებულს მაგიდაზე ბარათი დამხვდა. — მოხუცმა ქალმა კარადის უჯრა გამოსწია, ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და გამომიწოდა.

გამოვართვი.

— თუ ნებას დამრთავთ...

— რა თქმა უნდა, იმიტომ მოგაწოდეთ, რომ მინდა წაიკითხოთ.

ბარათს დავხედე, ზიზის ხელი ვიცანი.

„ქალბატონო მარიამ!

თქვენ ძალიან კეთილი, ძალიან კარგი ქალი ხართ, მაგრამ მე თქვენთან ცხოვრება არ შემიძლია. მაპატიეთ. მე სხვა ბინა ვიქირავე და იქ გადავდივარ საცხოვრებლად. დედას ყველაფერი შევატყობინე. ვეღარ დაგელოდებით, მეჩქარება, თქვენი ზეინაბი“.

გაოცებულმა ავხედე დიასახლისს, რომელმაც ოქროს პენსნე გაისწორა და ჩემს პირდაპირ დაჯდა.

— გაგიკვირდათ? — მკითხა ღიმილით.

— ძალიან.

— მე მაინცდამაინც არ გამკვირვებია, ოღონდ როგორღაც შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. საერთოდ, მდგმურად არა-

ვის აყვანას არ ვაპირებდი, არც არასოდეს მყოლია, მაგრამ აქეთ-იქიდან შემომიჩნდნენ, — მოხუცი ხარო, მარტო რა გაძ-ლებინებსო... ამ გოგონას შენთან თუ დააყენებ, მადლი იქნე-ბაო, შვილივით გეყოლება და, როცა დაუძლურდები, გიპატ-რონებსო. ერთი სიტყვით, შემარცხვინეს და შემაცდინეს. შემ-დეგ შეეჩვიე და შემიყვარდა კიდეც. ეიფიქრე, — ნიჭიერი ბავშვია, გავზრდი, განათლებას მივცემ, გზაზე დავაყენებ-მეთქი. შემეძლო, ნამდვილად შემეძლო, ბევრი რამ მიმეცა ამ ბავშვისათვის, მაგრამ არ მოინდომა, გამაცურა და გამაბრიყვა ამხელა ქალი.

ქალბატონმა მარიამმა სახე ჩამოაყრდნო ხელისგულებს და ჩაფიქრდა. მე უხერხულად ავიწურე, საგონებელშიც ჩავვარდი, ისე გაპარული, მისამართიც კი არ დაუტოვებია... ზიზის მა-გივრად ლამის ბოდიში მომეხადა.

— პირადად მე არ მჭირდება მომვლელი, ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ ვისიმე მოსავლელი გავხდე, მაგრამ მე მაქვს ძვირფასი განძი, რომელსაც ნამდვილად სჭირდება დიდი მოვ-ლა-პატრონობა. ნაწილი იმ განძისა მემკვიდრეობით მივიღე, ნაწილი თვითონ შევიძინე... იცით რა, მე არ ვიცი, თქვენი სა-ხელი...

— ოზო, ქალბატონო.

— ჩემო ოზო, როდესაც მე გადავწყვიტე ზეინაბის მდგმუ-რად დაყენება, (ხაზგასმით ამბობდა „ზეინაბს“ და არა „ზი-ზის“), მხედველობაში, რა თქმა უნდა, ჩემი განძიც მქონდა, — თითო-თითოდ ნელ-ნელა თანდათან შევაჩვევ-მეთქი. მსახიობი სურდა გამოსულიყო, არა? კი, ბატონო! ჩემთან თვით ალექ-სი მესხიშვილი დადიოდა, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, თვით სა-რაჯიშვილი!

გრძლად და მოსაწყენად ლაპარაკობდა, თუმცა გულისყუ-რით ვუსმენდი, მაინც ვერ გავიგე, ასე ხშირად რა განძს ახსე-ნებდა ან ის ცნობილი მსახიობები რატომ დადიოდნენ მას-თან. მერმე დიდხანს მიხსნიდა, თუ რა ძნელი და რთული პრო-ფესიაა მსახიობობა და როგორ ცდილობდა ეს გაეგებინებინა ზეინაბისათვის.

— მე მინდა გაჩვენოთ ჩემი განძი და დაგარწმუნოთ, რომ მართალი ვარ, — მითხრა ბოლოს და წამოდგა. სავარძლის უკან გადასწია ფარდა (რომელიც მე დეკორაციული დეტა-

ლი მეგონა) და კარს მიადგა. კარის გაღებამდე წიგნის კარადებისკენ ხელი გაიშვირა, — ესენი მხოლოდ ენციკლოპედიებია, სხვადასხვა გამოცემები.

ქალბატონი მარიამი შევიდა „განძის ოთახში“ და მეც შევყევი. შესვლისთანავე ძველი წიგნებისა და მტვრის სუნი მეცა. ოთახში საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ სინათლე აანთო და უცებ დავინახე, რომ უზარმაზარ წიგნთსაცავში ვიმყოფები.

— ახლა თქვენ შეიძლება დაუჯერებელ ამბად მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ წიგნებით დიდი ილია სარგებლობდა... ივანე მაჩაბელიც... იაკობ გოგებაშვილიც...

— თქვენ იცნობდით ილია ჭავჭავაძეს?

— რა თქმა უნდა.

— საოცარია!

— ეს ბიბლიოთეკა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ თავის დროზე უდიდესი ადამიანები მუშაობდნენ. აი, ეს მხარე ისტორიის განყოფილებაა, ივანე ჯავახიშვილი მთელი კვირა მჯდარა აქ, დღე და ღამე უსწორებია.

თაროებშორის დავდიოდით და ქალბატონი მარიამი აღტაცებული ამბობდა:

— ეს ინგლისური ლიტერატურაა!.. ინგლისურ ენაზე, ბატონო!

— ეს რუსული კლასიკა! უიშვიათესი გამოცემები.

— ეს ბერძნული და რომაული პოეზიაა! უნიკალური წიგნები!

— ეს ქართული ლიტერატურა და ისტორია!

— ეს ფრანგული...

— ეს გერმანული!

— ეს უკვე აღმოსავლურია! სპარსეთი, არაბეთი, ინდოეთი, იაპონია!..

— ეს მხატვრობაა! საქართველოში ყველაზე დიდი კოლექცია ალბომებისა მე მაქვს.

— ეს კი თეატრია!..

აქ შეყოვნდა ქალბატონი მარიამი და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

— ამას ვთავაზობდი ზეინაბს და არ ისურვა „ქალბატონმა“. თუ მსახიობი დადგებოდა, მე მინდოდა განათლებული პროფესიონალი გამოსულიყო. ქართულ ენაზე არსებული ლი-

ტერატურა თვითონ წაეკითხა, რუსულსა და ფრანგულს მე წავუკითხავდი და ვუთარგმნიდი... ოღონდ წიგნებისთვისაც მიეხედა, მტვერი გადაეწმინდა... ამას დღეში ნახევარი საათი ეყოფოდა, მეტ დროს არ წავართმევდი. მე დავბერდი, აღარ შემიძლია... ამ ჭერის სიმაღლე თითქმის ხუთი მეტრია, როგორ მივხედო წიგნებს ამ სიმაღლეზე?!

ჩვენ გამოვედით წიგნთსაცავიდან, ქალბატონ მარიამს საუბარი არ შეუწყვეტია.

— ხუთი წელი არავინ მოსულა... მართალია, ომი იყო, მაგრამ ომის დროსაც საჭიროა წიგნი... საშინელებაა ხელუხლებელი წიგნი. ღმერთო, ვინ არ მოდიოდა, ვინ არ სარგებლობდა ამ წიგნებით, ვასილ ბარნოვიც ყოფილა აქ და მიხეილ ჯავახიშვილიც, პავლე ინგოროყვაც, დიმიტრი უსნაძეც, ევგენი მიქელაძეც... ამ შვიდიოდე წლის წინ ზედიზედ სამჯერ მოვიდა გალაკტიონი... ერთხელ გამსახურდიაც იყო და რაღაც გერმანული წიგნი მთხოვა, არ მახსოვს, რა წიგნი, — რამდენიმე დღით შინ გამატანეთო... ბატონმა კონსტანტინემ არ იცოდა, რომ წიგნებს სახლში არავის ვატანდი... მგონი, ნაწყენი წავიდა...

აღარ დავმჯდარვარ, არც ქალბატონ მარიამს შემოუთავაზებია — დაჯექიო, მოგონებებში გადართულს ბედნიერი ღიმილი ეფინა სახეზე, ასახელებდა და ასახელებდა ადამიანებს, რომელთა გვარები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გამეგონა. მე გაბრუებული ვუსმენდი, ამ წიგნებმა თავზარი დამცა და შემაშინა, ამდენი წიგნი ერთად თავმოყრილი ჯერ არ მენახა და ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, ერთ ადამიანს ასეთი ბიბლიოთეკა ჰქონოდა. ეს სახლი მთლიანად მამაჩემისა იყოო. ამბობდა, — მაგრამ მერმე მე ამ ოთახში ვარჩიე ცხოვრება, რომ ეს წიგნები გვერდით მქონოდაო... ისიც, მითხრა, — ადრე კლასიკურ ენებს ვასწავლიდი ქალთა გიმნაზიაშიო, ხოლო შემდეგ სკოლაში ფრანგული ენის მასწავლებლად მოვეწყეო... ეხლა კარგი პენსია მაქვს დანიშნული და ჩვეულებრივად ვცხოვრობო. ბოლოს მის ბედნიერ ღიმილს სევდა გაერია და გულის ტკივილით თქვა:

— ძნელია, როცა არავინ მოდის... ანდა ვინ მოვა ამ მტვერსა და სიბნელეში, როცა სუფთა და ნათელი დარბაზები არსებობს...

დიდხანს აღარ დავრჩენილვარ, დავემშვიდობე და წამოვედი. გამომაცილა, თუ დრო დაგრჩებათ, გამოიარეთო, — თავაზიანად მითხრა, — თუ წიგნები დაგჭირდათ, მით უმეტეს, ნუ მომერიდებითო...

11

მე დავტოვე მოხუცი ქალბატონის ბინა და საღამოს ბინდბუნდში შინისაკენ გავყევი ქუჩას. ზიზის თითქოს გავუგე, უკანმოუხედავად რატომ გაექცა ამ გარემოს, თანაც ისე წავიდა, რომ მისამართი არ დაუტოვებია. ზიზი ვერ გაუძლებდა ვერც ამ წიგნებს და ვერც ქალბატონ მარიამის მოგონებებს, შორეულ და ახლო წარსულის შთაბეჭდილებათა ნამსხვრევებს. მაგრამ სად წავიდა, ან როგორ გაბედა წასვლა? ერთის მხრივ მხიბლავდა და ამავე დროს მაკრთობდა კიდეც ზიზის გამბედაობა, უცნობი გარემოს სწრაფად ათვისებისა და გათავისების უნარი. მაინც სად წავიდა? ალბათ იქ, სადაც უკეთესად მოერგო, ანდა უკეთესად მოირგო გარემო. მაგრამ, როგორც ვთქვი, შინაგანად მაკრთობდა და არ ვამართლებდი ზიზის საქციელს, განა იმიტომ, რომ თვითონ სხვა ბუნებისა ვიყავი და ამ შემთხვევაში ზიზისავით არ მოვიქცეოდი, სრულებითაც არა. ზიზი სწრაფად ეგუებოდა სასურველ სიტუაციას, თითქოს მასში ერკვეოდა კიდეც და შეეძლო დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებაც. ყველაფერ ამას, არა ეშმაკობით, ღია, უშუალო გულწრფელობით აკეთებდა. ზიზი საკუთარი გულწრფელობის ტყვე იყო და ამავე დროს ეს გულწრფელობა ანებივრებდა და ათამამებდა, სხვა ქალიშვილების მიმართ უპირატესობის გრძნობით მსჭვალავდა. ამ ვნებებს დამორჩილებული მომავალიც ვარდისფრად ჰქონდა დანახული.

შინ მოსულმა მამაჩემს ვუთხარი, — ასე და ასეა-მეთქი საქმე. მამა შეფიქრიანდა, კეფა მოიფხანა, დედამისს ხვალვე წერილს გავუგზავნიო, — თქვა და მაშინვე შეუდგა წერილის წერას, წუთი არ დაუკარგავს.

ზიზიმ იცოდა ჩვენი მისამართი და მაინც მეგონა, მოვიდოდა, დღეს თუ არა, ხვალ მოგვაკითხავდა, მაგრამ შემოდგომა ისე მიიწურა, არ გამოჩენილა, არც მარო მასწავლებლის პასუხი მიგვიღია, ეტყობა, იცოდა თავისი ქალიშვილის ასავალ-

დასავალი. ბოლოს და ბოლოს, უპატრონოდ ხომ არ დააგდებდა? ვერც ზიზი იარსებებდა უდედოდ, ის ამარაგებდა ფულითაც, სურსათითაც.

ერთი სიტყვით, ზიზი დამეკარგა.

თუმცა ზიზი რომ ცოცხალი იყო და თბილისში ცხოვრობდა, ვიცოდი, ცოტა უცნაური კია, მაგრამ ჩემამდე დროდადრო ექოსავით აღწევდა ზიზის ამბავი, ზოგჯერ ისე მოულოდნელად, გაოცებასაც ვერ ვახერხებდი, ზოგჯერ იმ გზით, საიდანაც არ ველოდებოდი. პირადად მე კი ვერ ვხედებოდი, ვერ ვნახულობდი, ხოლო მისი ხმა, სუნთქვა დროგამოშვებით მესმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ზიზი არსებობდა, თბილისში ცხოვრობდა. სად? ზუსტად არ ვიცოდი. იქნებ დიდუბეში ან ნაძალადევში, ან სოლოლაკში, ან ვერაზე, ან ორთაჭალაში, ან ავლაბარში, ან... აკი ვთქვი ზუსტი მისამართი არ ვიცოდი, ვიცოდი მხოლოდ ის, რომ იყო, არსებობდა, ცხოვრობდა, ესე იგი მღეროდა, ცეკვავდა, ლექსებს კითხულობდა...

ერთხელ ინსტიტუტის დერეფანში ვიდექით, ბიჭებიც იყვნენ, გოგოებიც ვლაზღანდარობდით, ვიცინოდით. ჩვენ შორის იდგა დურმიშხან წილოსანი, ყოფილი თანაკლასელი, ახლა — თანაკურსელი. ამ დურმიშხან წილოსანმა უცებ მე მომმართა:

— ოზო, რა მაგის პასუხია, და, წუხელ სოლოლაკში ვიყავი ერთ ჩემ ძმაკაცთან, პატარა პურ-მარილი იყო გაშლილი... იქ შენი ნათესავი გოგონა გავიცანი.

— ჩემი ნათესავი, ისიც გოგონა? მე ასეთი ნათესავი არა მყავს.

— რას ცეკვავდა და მღეროდა იცი?! ხალხი გადარია... მაგარი რამე დადგება!

უსიამოვნოდ გამცრა ტანში, ზიზიზე ხომ არ ლაპარაკობს-მეთქი, — გავიფიქრე.

— შენ თუ მოგისმენია, ტარზანივით რომ ყვირის? ხელებს პირზე აიფარებს და მიდიი, შეუბერავს... სუფრაზე სამჯერ გავამეორებინეთ.

ყველას გაეცინა, მეც გამეცინა. სულელი, რა აყვირებდა ტარზანივით.

— ახლა არა თქვა, ზიზი ჩემი ნათესავი არ არისო. — არ მომეშვა დურმიშხანი.

— არ არის და, ხომ არ დავიბრალებ?

— შენ რას მალავ, თვითონ მითხრა,— ვარო.

ისევ გამეცინა.

— ბიჭო, ამასწინათ შენ და ზიზი არ მიათრევდით ქუჩაში კალათს? აქედან შენ გქონდა ხელი ჩავლებული, იქიდან —იმ-ას, თანაც ტკბილად მისაუბრობდით. ასეთი იდილია არცერთ ორღობეში არ მინახავს.

ყველანი სიცილისთვის იყვნენ განწყობილი და ისევ ფხუ-კუნი და სიცილი ატყდა.

— მაშ, ტარზანივით ყვიროდა?! — ვიღაცა სიცილისთვის ილიზიანებდა თავს.

— აბა, კაცო, ტარზანისაგან ვერ გაარჩევდი!

სხვა რა გზა მქონდა, მეც ვიცინოდი...

გავიდოდა დრო და ვიღაც მეტყოდა:

— ოზო, ამასწინათ შენი ნათესავი გოგონა გავიცანი, ბი-ჭო, რა მაგრა ცეკვავს და იგრიხება...

კიდევ:

— ოზო, ეს რა ნათესავი გყოლია, ბიჭო, ნამდვილად გასა-ხელებს!

კიდევ:

— ოზო, ამ შაბათს...

კიდევ:

— ოზო...

ერთხელაც თავი დავკარგე და ნერვებაშლილმა წამოვიძა-ხე, — ხო, ჩემი ნათესავია, ვიცი, ტარზანივით ყვირის-მეთქი! მაგრამ ეს იყო წუთიერი აფექტი, მაშინვე დავმშვიდდი და გუნებაში ზიზიზეც და ჩემს თავზეც მეცინებოდა.

ზიზისთვის აღარ მომიცლია, ჩემი სტუდენტური საქმეებით ვიყავი გართული, თუმცა რა შემეძლო, ჩემი თავის მიხედვა მიჭირდა. ზიზი უკვე გასროლილ ტყვიასავით იყო, უკან ვერ მოაბრუნებდი. ლექციებზე დავდიოდი. ზოგჯერ ვაცდენდი კიდეც, მაგრამ იმდენს არა, რომ სალაპარაკო ყოფილიყო. ვერ ვიტყვი, თითქოს ცოდნის ანდა საგნების დაუფლების წყურ-ვილი მკლავდა, უფრო ინერცია, აღებული ქანი მამოძრავებდა, რახან ინდუსტრიულ ინსტიტუტში შემოვედი, უნდა ვისწავ-ლო კიდეც-მეთქი. ლექციებზე დასწრებამ მაინც გარკვეულ ყალიბში ჩამაგდო, წესრიგს შემაჩვია და დროის გრძნობა გა-მიმახვილა. უფრო ძნელი გამოდგა სტუდენტებთან ურთიერ-

თობის დამყარება. ზოგიერთი მათგანის თვითდამკვიდრებისაკენ ვითომ შენიღბული ლტოლვა იმდენად აშკარა იყო, რომ საკუთარ ნაპუპში ჩაკეტვის სურვილს აღმიძრავდა. ხანდახან მეჩვენებოდა, ამ ხალხს სხვისი მოსმენის, ყურის გდების უნარი ჰქონდა დაკარგული, უბრალოდ არ გისმენდა, ყურს არ გიგდებდა, არ აინტერესებდა, რას ამბობდი. ზოგჯერ არ გაცლიდა ლაპარაკს. თუ დაგაცლიდა, მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ ეთქვა ისეთი რამ, რითაც შენს ნათქვამს გააბათილებდა, მიჩქმალავდა, ანდა სხვებს სასაცილოდ და აბსურდულად მოაჩვენებდა, აცინებდა, ახარხარებდა... მერმე მივხვდი, ესეც თვითდამკვიდრების ერთ-ერთი გზა იყო, საზოგადოებაში უპირატესობისა თუ იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების საშუალება. ამის შედეგი ბოლომდე გაცნობიერებული არ მქონდა, მხოლოდ მაღიზიანებდა, რადგან ვგრძნობდი, რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ჭარბ, უადგილო და გამომფიტველ სიცილ-ხარხარს გვაჩვევდა, სხვისი აზრის, ფიქრის, შთაბეჭდილების ნიველირებასა და უპატივცემულობას, ამავე დროს გაუბედაობას გვინერგავდა, გვაკარგვინებდა საკუთარი აზრის გამოთქმის, ფიქრისა და შთაბეჭდილების გაზიარების სურვილს...

ლექცია გაგვიცდა და ათიოდე სტუდენტი აუდიტორიაში დავრჩით, წასასვლელი არსად გვქონდა და ლაყბობით ვერთობოდით. თავიდანვე ქუჩაში გავლა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან დარჩენა გადაწყვიტა ერთმა ქალიშვილმა, რომელსაც პირველი დღიდანვე მივაქციე ყურადღება. ყურადღება კი არ მივაქციე, სტუდენტობის პირველი დღის ოროშტრიალში თითქოს შემთხვევით აღმოვაჩინე. იმ დროს, როცა ყველა და ყველაფერი სააშკარაოზე იყო გამოტანილი — ღიმილიც, სიცილიც, სიხარულიც, აღტაცებაც... როცა ბედნიერებით აღსავსენი თავიანთ თავს სთავაზობდნენ ერთმანეთს, ანდა ისე იქცეოდნენ, როგორც დიდი ხნის ნაცნობები, მეც შემხვდა რამდენიმე თანაკლასელი თუ შორეული ნაცნობი, რომელსაც ერთი-ორჯერ სადღაც შევხვედროდი, ზოგი ვიცანი, ზოგმა მიცნო და თვითონ შემახსენა თავი, ზოგს მე შევახსენე. ამ რიარიაში შორიდან დავინახე დიდი თვალები და უცებ გული რაღაცნაირად შემეკუმშა, ეს იყო და ეს. მერმე გამოირკვა, რომ ერთი ფაკულტეტისა და ერთი კურსის სტუდენტები ვიყავით.

ცოტა უცნაური გოგო აღმოჩნდა. განზე მდგომი და გულჩათხრობილი, ახლოს არავინ მიუშვა, არც თვითონ მიეკარა. თითქოს ამაყი და მიუკარებელი არ უნდა ყოფილიყო, მე მგონი, გაუბედაობისა და მოკრძალებულობის გამო ჩანდა ასეთი. გარეგნულად უმნიშვნელო იყო, უმწიფარი გოგონას აღნაგობა ჰქონდა და ალბათ ესეც თრგუნავდა, მაგრამ თვალები, არ ვიცი, სხვებსაც ჩემსავით ნუსხავდა თუ არა, ეს დიდი და ნისლიანი თვალები.

სწორედ ამ თვალების გამო დავრჩი-მეთქი აუდიტორიაში,— ვამბობდი, ლაყბობით გული რომ მოვიოხეთ, მოსაწყენი დუმილი ჩამოვარდა. დუმილი მე დავარღვიე, რატომღაც ილოს ბალღები გამახსენდა. საერთოდ, ხშირად მახსენდებოდა სოფელი, ანანოც, საბაც, იოთამიც... ის ცხენებიც... რახან ილოს ბალღები გამახსენდა, მომინდა კიდეც რაღაც მეთქვა იმ საოცარ ბაკშვებზე, რომლებიც მიყრუებულ სოფლის კლუბში „ვენის ტყის ზღაპარს“ უკრავდნენ. თითქოს იმ ბავშვებისათვის აქაც თანაგრძნობას ვეძებდი, მეგონა, აქედან ვანუგეშებდი, რაღაცნაირად გავამხნევებდი... მოყოლისას სტუდენტები თითქოს გულისყურით მისმენდნენ, თანაგრძნობის სხივიც კი დავინახე თვალებში, მაგრამ დურმიშხან წილოსანმა, ვითომ სხვათა შორის, მკითხა:

— ბიჭო, შენ ხალხოსანი ხომ არა ხარ?

მოულოდნელად ისეთი სიცილი და ხარხარი ატყდა, დავიბენი და იმ წუთას ვერც მივხვდი, რატომ იცინოდნენ, ან რამ გაამხიარულა ეს ხალხი. რა თქმა უნდა, ამბის მოყოლა არ გამისრულებია, არც დაინტერესებულან, — შემდეგ რა მოხდაო, ანგლობას ანგლობა მოაყოლეს, იცინეს და იცინეს, ვიღაცამ ისიც კი გაიხსენა, გამოცდაზე სწორედ „ხალხოსნების შემოქმედება“ ვწერეო. ჯერ მეც ვიცინოდი, მერმე დავიბოღმე, თანდათან უფრო შემებრალნენ ის ბავშვები, გზის პირას რომ იდგნენ და თბილისისაკენ მომავალ მგზავრებს გამოსამშვიდობებლად ნაღვლიანი ღიმილით უქნევდნენ ხელებს.

გუნებაწამხდარი თითქმის მაშინვე წამოვედი, — ერთი მაგათი, დანარჩენ ორ ლექციასაც გავაცდენ-მეთქი. აუდიტორიიდან გამოსვლის წინ დურმიშხან წილოსანმა ჩამჩურჩულა, მერმე დერეფანშიც გამომყვა, — რა მოგივიდა, ბიჭო, ხუმრობა არ იცი? მხარზეც მეგობრულად მომიტყაპუნა ხელი, — იუმო-

რის გრძნობა სოფელში ხომ არ დაგრჩაო. მე გავუღიმე და ვანიშნე, — არაფერია-მეთქი. მაგრამ საეჭვოდ კმაყოფილი-რომ გატრიალდა, უცებ ავენთე, — რატომ უნდა შევარჩინო-მეთქი! დავუძახე, არ მობრუნებულა, ირიბად მომხედა და საეჭვო ღიმილიც შეაშრა სახეზე.

— ისე, რომ იცოდე, არც ცინიზმია იუმორი და არც მასხრად აგდებაა, ხუმრობა. — ვუთხარი მეგობრული რჩევა-დარიგების კილოთი.

— ვა! — დამცინავად აუციმციმდა თვალები,—მაგას შენ თვითონ მიხვდი, თუ სადმე წაიკითხე?

— მივხვდი, თუ წავიკითხე, შენი საქმე არ არის, რაც გითხარი, ის დაიმახსოვრე! — ოდნავ ავუწიე ხმას.

— ვა!

— რა „ვა“ აგიტყდა?!

— შენ აღარ ხუმრობ, სოფელში ძალიან აგიშვია, აი!

— ახლაც ის მაიმუნი ხარ, რაც სკოლაში იყავი!

დურმიშხანი გაშტერებული მომჩერებოდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, გაბრაზებულიყო, თუ ნათქვამი ხუმრობად ჩაეთვალა. ამხედ-დამხედა, თვალით გამზომა, შემამოწმა. ვიგრძენი, უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

— ისინიც შენისთანები არიან, წადი, უთხარი! თუ გინდათ, დაგელოდებით, თუ არა და გზაში დამეწიეთ!

არც მე დავლოდებივარ და, მგონი, არც ისინი დამდევნებიან. ვერის ხიდამდე პატარ-პატარა, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებით ნელ-ნელა ვიარე, თან ვჩერდებოდი და უკან ვიხედებოდი, მე ჩხუბისთვისაც მზად ვიყავი, არავის შევეპუებოდი. არც ბავშვობისას, არც მერმე, არასოდეს, მიჩხუბია, ხელი არავისთვის გამირტყამს. ისიც არ ვიცი, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შემიძლია ჩხუბი თუ არა. სოფლიდან ჩამოსვლის შემდეგ მკლავებსა და მხრებში ძალას ვგრძნობ, ვატყობ უფრო ღონიერი ვარ, ვიდრე ვჩანვარ, ყოველ შემთხვევაში, ადვილად ვერ მომერევიან...

ვიღაცამ დამიძახა, ქალის ხმა იყო, უცნობი. მოვბრუნდი და თვალები დავინახე, სწორედ ის თვალები, აუდიტორიაში რომ დავტოვე. ამ მშვენიერ თვალებს ლამარა ერქვა. შევჩერდი და ლამარამაც გულამოვარდნილმა მოირბინა, — მაპატიეთ, ძლივს დაგეწიეთო. თვალები ანუ ლამარა იმათ ხომ არ

დამადევნეს, იქნებ შეწუხდნენ და შემორიგებაც კი მოინდომეს-მეთქი, — გავიფიქრე. მაგრამ გზაში გაირკვა, სინდისს არავინ შეუწუხებია. ლამარა თავისი ნება-სურვილით წამოსულა, მასაც ჩემსავით გადაუწყვეტია ლექციების გაცდენა.

ხიდი გავიარეთ და ვერის აღმართს ავუყევით.

— იცით, მე გავიგონე... იმ დროს დერეფანში გამოვედი და კარგად მესმოდა, რასაც დურმიშხანს ეუბნებოდით... საქმე ისაა, რომ აუდიტორიაში მეც გამეცინა, შემდეგ კი თავი ცოტა უხერხულად ვიგრძენი... მე მესმის თქვენი...

— თუ გულწრფელები ვიქნებით, თქვენ არ უნდა გესმოდეთ ჩემი.

— რატომ?

— მე მგონია, რომ თქვენ ვერ გაიგეთ, რა მეწყინა.

ლამარა ერთი წამით შეყოვნდა და ისეთი ღიმილით ამომხედა, თითქოს გაიფიქრა, — ამ ხეპრეს ვის გადავეყარეო. მართლაც, უხეშად ვპასუხობდი, ნეტავი რას ვერჩოდი. ამ მშვენიერ, ნისლიან თვალებს ხომ არაფერი დაუშავებია?

რაღაცის თქმა დააპირა და სიტყვა გავაწყვეტინე.

— მაპატიეთ, ლამარა, თქვენს ვარაუდებს ალბათ აჯობებს, ისევ მე გითხრათ, რა მეწყინა... პირდაპირ გეტყვით, აუდიტორიაში მასხრად აიგდეს ჩემი გრძნობა, ჩემი დამოკიდებულება იმ ბავშვებისადმი. არ მომისმინეს და ამიტომ არც იციან, რა ბავშვები არიან ისინი, ვისზეც საუბარი დავიწყე. არ მინდა, ახლა გული აგიჩუყოთ, მაგრამ... მე ხშირად ვფიქრობ იმ ბავშვებზე, ვწუხვარ, მებრალებიან... მე მხოლოდ ეს შემიძლია: ვიფიქრო იმათზე, გული მეტკინოს, შევწუხდე, სხვა რამის გაკეთება ჯერჯერობით ჩემს ძალას აღემატება. ის კი მეუბნება, — ხალხისანი ხომ არა ხარო?! რა არის ეს? ხუმრობა? არა მგონია... წუხილის უფლებასაც აღარ მაძლევთ?! თუ თანაგრძნობა არ შეგიძლიათ, გაჩუმდით მაინც!

ლამარა დაფიქრებული მომყვებოდა.

— ის, ვინც წამოვიდა, არ უნდა წამოსულიყო... ისინი კი, ვინც წამოსვლის ღირსნი არიან, იქვე დარჩნენ, გზის პირას დგანან და წამოსულებს ხელებს უქნევენ.

— რა თქვით?.. ვერ გავიგე...

— არაფერი... — გავიცინე.

ვერის აღმართი ავუყავეთ და რუსთაველის მოედნიღან

მარცხნივ, პროსპექტისაკენ გავუხვიეთ. ლამარამ მკლავზე ფრთხილად შემავლო ხელი და შემაჩერა.

— ოზო, მე თქვენ მომწონხართ! — მითხრა ისე უბრალოდ, თითქოს ძველ ნაცნობს ესალმებოდა.

მართალი რომ ვთქვა, ამგვარ გულახდილობას არ მოველოდი და უცებ დავიბენი. ასე პირდაპირ, შეუმზადებლად, ასე დაუფარავად და უშუალოდ თუ ეუბნებოდნენ, — მომწონხარო, — არ მეგონა. გამოცდილება არ მყოფნიდა, არ ვიცოდი, რა მეთქვა, როგორ მოექცეულიყავი, ისე კი მეტად სასიამოვნოდ დავიბენი, სადღაც სულის სიღრმეში გაღვივდა პატარა ცეცხლი, რომელიც მთელ სხეულს ჟრუანტელივით მოეკიდა.

(ასეთ დროს გამოცდილება არ უნდა ინატრო ხოლმე. თუ დაიბენი და გაწითლდი, რა სჯობია ამასl ალბათ, ასეა საჭირო, უნდა დაიბნე და გაწითლდე! თუ არ იცი, რა თქვა ან როგორ მოიქცე, გაჩუმდი და ნურაფერს გააკეთებ, ყოველ შემთხვევაში, გამოუცდელობის გამო ნუ დაგწყდება გული. ასეთი გამოცდილება გრძნობას ცვეთს და აჩლუნგებს, პირველყოფილ სიწმინდის ელვარებას უკარგავს... ამას ვამბობ თითქმის ორმოცი წლის შემდეგ).

ლამარამ დაბნეულობა შემატყო და თვალი ამარიდა. ხუთიოდე ნაბიჯი გადადგა და მომხედა, — მომყვება თუ არაო, გავყევი და დავეწიე. ჩემი წარმოდგენა იმ თვალებზე, რომელსაც ლამარა ერქვა, ისე დაიმსხვრა და ერთ წამში გაცამტვერდა, ჩემს მიერ დაბრალებული გაუბედაობის პაწაწინა კვალიც არ დარჩენილა.

— ოზო, რაც გინდათ, ის იფიქრეთ, ოღონდ ცუდად არ გამიგოთ. იცოდეთ, ჩემი ნათქვამი არაფერს გავალდებულებთ... მე ვამბობ იმას, რასაც ვგრძნობ... მე მგონი, ამაში ცუდი არაფერია...

„თქვენობით" ლაპარაკი აშკარად გვიშლიდა ხელს, სათქმელს ბუნებრიობასა და უშუალობას უკარგავდა, თითქოს ჩვენ კი არა, ვიღაც სხვები ლაპარაკობდნენ, ჩვენზე უფროსები. ჩემი აზრი უმალვე გავუზიარე ლამარას და ისიც უყოყმანოდ დამთანხმდა, — კი ეგრეაო.

— სად მივდივართ? — მკითხა, ოპერის თეატრთან რომ მივედით.

— არ ვიცი. — ვუპასუხე.

— ხეტიალი ხომ არ გეზარება?

— პირიქით, მე მოხეტიალე რაინდი ვარ!

— რაინდები რომ აღარ არიან?! სამწუხაროდ, გადაშენდნენ.

— მაშინ, მე ვარ მოხეტიალე რაინდის ცხენი!

— ცხენი? — გაიცინა ლამარამ.

— ხო, რა გაგიკვირდა?!

— იქნებ როსინანტი ხარ?

— არა, მე ვარ ლურჯფორეჯებიანი თეთრი ცხენი! — წამომცდა დაუფიქრებლად და გამეღიმა. უცებ გული შემეკუმშა და სევდა მომერია. — შენ გგონია, ვლაპარაკობ? აბა, კარგად დაუგდე ყური... შენ ახლა ჩემი ჭიხვინი გესმის...

რატომღაც საბა გამახსენდა, ალაზნიდან მობრუნებულს ორღობეში მგლის დაგლეჯილი ცხენი რომ დახვდა... ახლაც ნათლად დავინახე: მუხლებზე დაეცა საბა, ბებერმა ცხენმა ნელა წაიგრძელა კისერი და მის წინ დაჩოქილს თავი ფრთხილად დაუყნოსა... თითქოს ფრუტუნიც გავიგონე.

— კიდევ კარგი, ლექციებზე არ დავრჩი, — თქვა ლამარამ.

ასე მოულოდნელად დავუახლოვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით მე და ლამარა, რაც შეეხება დურმიშხანს და იმათ, რომლებიც მაშინ აუდიტორიაში დავტოვე, მეორე დღეს შევხვდი. შევხვდი ისე, ვითომც — არაფერი! ოდნავ მორიდებულად კი მეპყრობოდნენ, მაგრამ ორი დღის შემდეგ ცხოვრება ჩვეული კალაპოტით წავიდა. ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო.

ლამარას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, უკვე აღარ შემეძლო, ყოველდღე არ მენახა, თუ რაიმე შემთხვევის გამო ავცდებოდი, შინ ტელეფონი ედგათ და ვურეკავდი. ერთხელ მამაჩემსაც მივგვარე და გავაცანი. მამა დატრიალდა, ვახშამიც გაგვიწყო, მაგრამ ვიგრძენი, სარძლოდ არ მოეწონა. ლამარა რომ გავაცილე და დავბრუნდი, მეგონა, რალაცას მაინც იტყოდა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია. სუფრა აელაგებინა და რადიოს მისჯდომოდა — უკანასკნელ ცნობებს ისმენდა. ბევრი ვიწრიალე, აივანზე გავედი, მტკვარს გადავხედე, შემოვბრუნდი, წიგნის წაკითხვაც ვცადე, მაგრამ გული ვერ დავუდე. დუმილსაც ვეღარ გავუძელი და ისევ მე მივადექი მაპა-

ჩემს, როგორ მოგეწონა-მეთქი ჩემი საცოლე? — ვითომ ხუმრობით ვკითხე. ნუ აჩქარდებიო, — მშვიდად და სერიოზულად მიპასუხა, თან ცალი ყური რეპროდუქტორისაკენ ჰქონდა მიშვერილი. მაინც როგორია-მეთქი, — არ მოვეშვი. ხედავ, დრო როგორ გამოიცვალაო, — თქვა სინანულით, — ეგეთი გოგოები ჩვენს დროსაც იყვნენ, მაგრამ შენისთანა ბიჭებს კი არ მოსწონდათო. რატომ-მეთქი? ბიჭო, ქალს თუ თავისი ატრიბუტები არა აქვს, ის რა ქალიაო! — კეფა მოიფხანა და გაიღიმა. ადვილი მისახვედრი იყო, ქალის ატრიბუტებად რა იგულისხმა, მაგრამ მე არ მეწყინა, პირიქით, დავმშვიდდი და კარგ გუნებაზეც დავდექი, სასაცილოდ მომეჩვენა ამაზე ლაპარაკი და მეც სიცილით ვუთხარი, — ეტყობა, დრო მართლაც შეიცვალა-მეთქი. შვილო, როგორც არ უნდა შეიცვალოს დრო, ოჯახში ქალმა ჯერ ძუძუ უნდა შემოიტანოს და მერმე — ტრაკიო!.. ხელები ჩვეულებისამებრ გაშალა და აჭახჭახდა, წამოდგა, გადამეხვია, თან ჭახჭახი არ შეუწყვეტია... უცებ თვალწინ კარიაულების ქალიშვილები დამიდგნენ და რატომღაც მეგონა, როცა მამაჩემი ხმამაღლა იცინოდა, ისიც დევის ქალებს ხედავდა თვალნათლივ...

მე და ლამარა მალე დავშორდით ერთმანეთს, დავშორდით სამუდამოდ, მაგრამ არა ამ „ატრიბუტების" გამო, მოხდა ისეთი რამ, რის შემდეგ ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ლამარა რუსთაველის მოედნის მახლობლად ცხოვრობდა, პატარა ქუჩაზე, ოთხსართულიან სახლში. იმ დროს პროსპექტებიც თითქმის ჩაბნელებული იყო და რა გასაკვირია, ქალაქის კულისებში მოქცეული პატარა ქუჩები დაღამებისთანავე წყვდიადს რომ ჩაეთქა. ლამარას ქუჩა, რახან ცენტრის მახლობლად მდებარეობდა, მთლად განწირული არ იყო, ალაგ-ალაგ ყვითლად ბჟუტავდა რამდენიმე ნათურა. ჩვენ მაინც ბნელ კუნჭულებს ვაფარებდით თავს, იქ უფრო მყუდროდ ვიყავით მოყუჩებულები. ერთხელ დეკემბრის სუსხიან ღამით მივაცილე, სიბნელეში შევიყუჟეთ, მაგრამ ლამარამ ყინვას ვერ გაუძლო, ძალიან მცივა, წავალო, — მითხრა და სადარბაზომდე სულ სირბილით მივაცილე. მე, რა თქმა უნდა, შინისკენ გავწიე. ქუჩა ცარიელი იყო. ოციოდე ნაბიჯი რომ გავიარე, რუსთაველის მოედნის მხრიდან ვილაც კაცმა შემოუხ-

ვია და ჩემკენ წამოვიდა. ბარბაცით, უფრო ზიგზაგით მოდეოდა. კარგად გამტყვრალა-მეთქი, — გავიფიქრე. მე მგონი, მძინარე მოდიოდა ან მთვლემარე, ასე იყო თუ, ისე, თვალები უეჭველად დახუჭული ჰქონდა. გვერდს ავუქცევ-მეთქი, მარჯვნივ ავუარე გვერდი, ისიც მარჯვნივ წამოვიდა, ახლა მარცხნივ გავიჭერი, ისიც მარცხნივ გამოქანდა. ერთი სიტყვით, ერთმანეთს შევეფეთეთ. როგორც კი შევეჯახეთ, შემკრთალმა წამოიყვირა და მოულოდნელილი სისწრაფით გახტა გვერდზე, დაფეთებული აეკრა კედელს, პატარა, ჩია კაცი ჩანდა, ბეწვის დიდი ქუდი ეხურა.

— რა გინდა? — მკითხა მკაცრად, მეახე ხმით.

— არაფერი, ბატონო, მე ჩემი გზით მივდივარ. — მის მღელვარე წამოძახილს მშვიდი ხმა და კილო დავუპირისპირე.

— რა გინდა-მეთქი, გეკითხები!

— არაფერი არ მინდა, ბატონო! — ვითომ გაოცების ნიშნად ხელები გავშალე.

— ხელები დაუშვი, ლაწირაკო! — გამოსცრა კბილებში.

არც ისე მთვრალი ჩანდა, როგორც მომეჩვენა. ერთს მოვდებ უბაში და გაუგებრობას ამით მოვუღებ-მეთქი ბოლოს,— გავიფიქრე, მაგრამ ხელი როგორ გამერტყა მამის ტოლი კაცისთვის, თანაც მივხვდი, ვიღაც სხვა ვეგონე და ჩემი ეშინოდა.

— რომელი ხარ შენ?!

— თქვენ მე არ მიცნობთ, ბატონო, — ვცადე დამშვიდება, ზავის ნიშნად ნაბიჯიც კი გადავდგი, — მე ის არა ვარ, თქვენ რომ გგონიათ...

— არ გაინძრე! — დამიყვირა.

ისეთ უჩვეულო და სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ხელს ჩავიქნევ და გავეცლები-მეთქი, — გადავწყვიტე. მაგრამ სიბნელეში რაღაცამ გაიჩხაკუნა და უნებურად ხელებზე დავხედე, მომეჩვენა, თითქოს რეოლვერმა იელვა და ისე შემეშინდა, მუხლებიც და მკლავებიც მომეკვეთა.

— არ გაინძრე, თორემ ადგილზევე გაგათავებ!

უკვე ველარ ვაზროვნებდი, ხმაც წამერთვა — სიბნელეში ჩემკენ მოშვერილი ლულა გაკრთა.

— მიტრიალდი! — მიბრძანა.

ვერ მივტრიალდი. იმიტომ კი არა, რომ არ დავმორჩილდი, განძრევა არ შემეძლო.

— მიტრიალდი, შე ნაბიჭვარო!

როგორც იქნა, ფეხები ავამოძრავე და მივტრიალდი! ზურგი მივუშვირე.

— ახლა წადი!

მთვრალია, თან შეშინებული, — ვფიქრობდი, — წადეილად მესვრის-მეთქი.

— წადი, გაიარე! — მიყვირა და ნაბიჯის გადასადგმელად პანღური მომაშველა.

წავბორძიკდი, შემობრუნება დავაპირე, მაგრამ რევოლვერის გრიალმა გამაყრუა. გონს რომ მოვედი, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი. უკანმოუხედავად დავეშვი სკვერის ბოლოს ქვის კიბეებზე და ვერის ხიდისკენ მოვუსვი. ხიდთან შევჩერდი, მივაყურე, არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. როგორც ჩანს, გვიან იყო. გადავრჩი-მეთქი, — პირველად ეს გავიფიქრე, მაგრამ მესროლა კი? მესროლა, თუ ჰაერში დაცალა? ვითომ ორ ნაბიჯზე ამაცილა ტყვია?.. თანდათან მოვსულიერდი და შინ წასვლა დავაპირე. შუა ხიდზე ისევ შევჩერდი, მსუსხავი ქარი უბერავდა და პალტოს საყელო ავიწიე, თავი შიგ ჩავრგი. ტირილი მომინდა, საზიზღრად დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. ვინ იყო ეს გიჟი, რა დღეში ჩამაგდო? მეც რა ლაჩრულად, რა დედლურად მოვიქეცი, ლამის დავუჩოქე. შემეშინდა. რისი და ვისი შემეშინდა?.

ჩემს თავს უკვე ვეღარ ვერეოდი, გული გახეთქვაზე მქონდა, ნერვები დამაწყდა და ტვინი ამემღვრა. რატომ? რისთვის დავისაჯე ასე მკაცრად, რა უფლებით დამამცირეს, რა უფლებით მომაყენეს შეურაცხყოფა? იქნებ სჯობდა კიდეც ტყვია მომხვედროდა? სირბილით მივბრუნდი უკან, ქვის კიბეებიც ავირბინე და მივედი იმ ადგილას, საიდანაც წეღან დამფრთხალი და შეშინებული კურდღელივით გამოვრბოდი. ქუჩა ცარიელი და უკაცრიელი დამხვდა, მყუდრო და მდუმარე, თითქოს ეს სიჩუმე და მყუდროება საუკუნეების მანძილზე არ დარღვეულა.

შინ აღელვებული და აფორიაქებული დავბრუნდი. მამაჩემი იწვა, მაგრამ არ ეძინა, მე მელოდებოდა. ამ ღამ-ღამობით რას დაეთრევიო, — მითხრა და კედლისკენ გადაბრუნდა.

მეც ვუთხარი, რას დავეთრეოდი, დეტალურად მოვუყევი, რაც გადამხდა, თან ჩემი მძიმე განცდებიც მივაყოლე, გული გადავუხსენი. მამისგან თანადგომასა და თანაგრძნობას ველოდებოდი, მინდოდა, როგორმე დავმშვიდებულიყავი, მამის ნუგეშიანი სიტყვა გამეგონა. კარგად გადარჩენილხარო, — მითხრა ისე, ჩემთვის არც მოუხედავს. კიდევ საკმაო ხანს ვიდექი მისი საწოლის წინ, — იქნებ კიდევ რაღაც მითხრას-მეთქი. ეგრევე, სიტყვის უთქმელად დაიძინა.

დილით ადრე ავდექი, მამა წასული დამხვდა. ასე ადრიანად არასოდეს გადიოდა სახლიდან.

ორი დღე გულს ვასკდებოდი, გარეთ ფეხი არ გამიდგამს. გამწარებულმა არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და აყრილ-დაყრილი სახლი დავალაგე. ოთახები გამოვხვეტე, ერთი კვირის გაურეცხავი ჭურჭელი დავრეცხე და დავაკრიალე. მამაჩემს ხაზგასმულად არ ვცემდი ხმას, ბევრს ხომ არ ვთხოვდი, მხოლოდ მცირე ნუგეში მინდოდა, მინდოდა მეგრძნო, რომ გვერდით ვიღაც მიდგას და ქვეყანაზე მარტო არა ვარ. ჩემი დამდურება თუ გაბუტვა აინუნში არ ჩაუგდია, ერთხელ არ უკითხავს, — შვილო, რა დაგემართა, ხმას რატომ არ მცემო? სამსახურიდან მოვიდოდა, ისადილებდა, ცოტას წაუძინებდა და ისევ წავიდოდა, თითქოს მე მეჯინებოდა, ახლა მან დაიწყო ღამ-ღამობით გვიან-გვიან დაბრუნება.

ორი დღის შემდეგ ლამარას შევხვდი და ისევ ამ პაწაწინა არსებამ მომგვარა შვება. ჩემი დამცირებისა და სამარცხვინო გაქცევის ამბავი არ გამიმხელია, ისე, თავისთავად იყო ლამარა სიმშვიდისა და იმედის მომტანი. მის ახლოს, მის გვერდით თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი, იმედიანად... ისევ ვაცილებდი ღამ-ღამობით სახლამდე, ჭუჩა-ჭუჩა ვეძებდით და ადვილად ვპოულობდით ბნელსა და მყუდრო თავშესაფარს, სადაც დრო ჩვეულებრივი საათის მიხედვით არ აღირიცხებოდა, გაცილებით სწრაფად მიედინებოდა.

ლამარასაგან წამოსული ყოველთვის ვგრძნობდი, ვიღაც მითვალთვალებდა, უფრო სწორედ, სიბნელეში მორიალე ლანდი რამდენჯერმე შევამჩნიე და ამან მაფიქრებინა, — ვიღაც მითვალთვალებს-მეთქი. ვერ დავიტრაბახებ, ეს ჯიუტად ადევნებული ლანდი თითქოს არ მაშფოთებდა, ან არ მაშინებდა. შემკრთალი და დაძაბული ვცდილობდი, გავმაგრებულიყავი,

არ შევმკრთალიყავი, რადგან უეცარ შეხვედრასაც ვითვალის-წინებდი... ჯერ იგივე, ბეწვის ქუდიანი კაცი მეგონა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, სხვა იყო, სხვა აღნაგობა ჰქონდა, იმასთან შედარებით ეს გოლიათად მეჩვენებოდა, თუმცა რა ვიცი, ზოგჯერ გავიფიქრებდი, — შიშს დიდი თვალები აქვს-მეთქი, მით უმეტეს სიბნელეში.

დრო გადიოდა, ლანდი ახლოს არ გამკარებია, პირიქით, მემალებოდა, ალბათ ეგონა კიდეც, — ვერ მამჩნევსო. ამან უფრო დამძაბა და შემაფიქრიანა, ეტყობა, ხელსაყრელ მომენტს ეძებდა, მაგრამ ჩემთან თუ რაიმე ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი, უკეთეს დროს ვერ მოიხელთებდა. ზამთარი იყო, ციოდა, ბნელოდა, ქუჩაში კანტი-კუნტად თუ გაივლიდა ვინმე, იმასაც ალბათ თავისი უჭირდა და სხვისი დარდისა და საწუხრის გაზიარება გაუძნელდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და მეც შევეჩვიე იმ ლანდს, ჩემი ბედისწერა ეგა ყოფილა-მეთქი, — ვფიქრობდი და ერთი დღეც რომ გაეცდინა, ხეს ან შენობის კუთხეს ამოფარებული რომ არ დამელანდა, უსათუოდ ძებნას დავუწყებდი. შიშს დიდი თვალები აქვს-მეთქი, ვთქვი და მეც ცოტას ვაზვიადებ, თორემ ამ კუკუ-დამალობანამ სულ ერთი კვირა გასტანა, თუმცა ერთი კვირის მანძილზე გამუდმებული გულის კანკალი არც ი[illegible], იოლი საქმე იყო.

ომის დამთავრების შემდეგ პირველი ახალი წელი დგებოდა. ოთხი დღეც და ათასცხრაასა ორმოცდაექვს წელს ვიდღესასწაულებდით. ლამარამ მითხრა, — საღამოს ჩემთან უნდა მოხვიდეო, რამდენიმე სტუდენტი, მათ შორის დურმიშხანიც, ჩამოთვალა, — ესენიც იქნებიანო. რა ხდება-მეთქი, ვკითხე. ისეთი არაფერიო, — მიპასუხა, — არ გამაწბილო, თორემ მეწყინებაო. ლამარას დაბადების დღე ვივარაუდე, თითქოს ვიცოდი, როდის იყო დაბადებული. ერთხელ გაკვრით ახსენა და, როგორც ჩანს, გადამავიწყდა. ზოგს დაბადების დღეს ვერ გამოაპარებ, სწორედ ამ დღის მიმართ აქვთ გამახვილებული და დაგეშილი მეხსიერება. მე ვერ ვიმახსოვრებ, არც იმის თავი მაქვს, ბლოკნოტი შევიძინო, ჩავიწერო და მერმე თვალი ვადევნო, — არიქა, არ გამომრჩეს, ერთი ვნახო, დღეს ვისი დაბადების დღეა-თქო. მაგრამ ლამარას დაბადების დღე უსათუოდ უნდა გამხსენებოდა.

გულით მინდოდა, დასამახსოვრებელი რაღაც მიმეტანა, რაც უნდა იყოს, ლამარას ოჯახში პირველად მივდიოდი. საკუთარი სახსრებით ამას ვერ შევძლებდი, ისევ მამაჩემისათვის უნდა მიმემართა, მაგრამ ეს ერთი კვირა შინაგანი ბოიკოტი მქონდა გამოცხადებული, ვითომ ჩემი მძიმე და რთული სულიერი მდგომარეობა არაფრად ჩააგდო-მეთქი. ინსტიტუტიდან ცოტა ადრე წამოვედი. მეჩხერი წვერი სამართებლით ჩამოვიფხიკე, პირი და კისერი დავიბანე და სადაბადებისდღეოდ გამოვეწყე. მამა სამსახურიდან დროზე მოვიდა, ერთად ვისადილეთ. ახლა მთავარი იყო, სათქმელი მეთქვა, თანაც ისე, რომ მეგრძნობინებინა — მაშინდელი უგულო დამოკიდებულება ჯერ არ დამვიწყებია-მეთქი. გამიჭირდა. ბოლოს, სხვა რა გზა მქონდა, გავბედე და ვუთხარი. ჯერ ჩემთვის გაუგებარი ფრაზა წამოსცდა, — წაიღებ, ინანებ, არ წაიღებ, მაინც ინანებო... მერმე დაფიქრდა, — ფული რომ მოგცე, ყიდვით ახლა რას იყიდიო?.. ყვავილების მიტანა შეიძლებოდა, მაგრამ გვიან არის, ვეღარ იშოვნიო, თანაც მაინცდამაინც ყვავილების მიმრთმევ ჭაბუკს არა ჰგავხარო... დესაუში, მდინარე მულღეში გერმანელი ბავშვი იხრჩობოდა და გადავარჩინე, დედამისმა იმავე სალამოს მომნახა, სამახსოვრო საჩუქარიც დიდი მოწიწებით მომართვაო. — თქვა და ჭურჭლის კარადიდან ფაიფურის ლურჯი ფინჯანი გამოიღო თავის თეფშიანად და მაგიდაზე დადო, — შინ ამაზე ლამაზი და ძვირფასი არაფერი მოგვეძევება და, თუ გინდა, ეს წაიღეო. მეც არავინ მყავდა ლამარაზე უფრო ლამაზი და ძვირფასი და დავთანხმდი. თვითონვე გამიხვია ფრთხილად და გამატანა, შინიდან გასვლისას შემატრიალ-შემომატრიალა, ამხედ-დამხედა, — როგორ გამოიყურებიო და გამიშვა.

მაინც სხვა კაცია-მეთქი, — ვფიქრობდი გზაში, — ერთადერთი ძვირფასი ნივთი ჰქონდა და ისიც გამომატანა... თითქოს შემეცოდა კიდეც, განა ვერ ვგრძნობდი და ვერ ვატყობდი, როგორ შეიცვალა, მუდამ შეწუხებული და ჩაფიქრებული დადიოდა, გეგონებოდა, რაღაც დაჰკარგა და ვეღარ მიაგნო ან დაკარგული ვერ აინაზღაურა. ერთი სიტყვით, ის სანდრო აღარ იყო, როგორიც ომიდან დაბრუნების პირველი დღეებიდან დამამახსოვრდა. ძველებურად აღარ ბობოქრობდა, აღარ იცინოდა, აღარ ჭახჭახებდა. კარგად ისიც არ ვიცოდი, სად მსა-

ხურობდა. ვისთან დადიოდა, რა ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა. ამდენი რჩევა-რჩევის შემდეგ კმაყოფილი იყო, თუ არა სამსახურისა? იქნებ ვიღაც ქალი შეუყვარდა, ცოლის მოყვანა უნდოდა და ჩემი ერიდებოდა, მე ვუშლიდი ხელს? ქალისკენ ლტოლვა უკვე მისი ასაკისათვის შეუფერებელ საქციელად აღარ მეჩვენებოდა, ორმოცდასამი წლის კაცი იყო, ჯანღონით სავსე, ენერგიული... კაცს ალბათ ათასი რამ აწუხებდა, თავისი სატკივარი სტკიოდა და მე კი ჩემსას მივრეკავდი, ბავშვივით ვებუტებოდი.

კარი გაღიმებულმა ლამარამ გამიღო, ბედნიერი თვალები შემომანათა, ლოყა მომიშვირა, — მაკოცეო და მეც დავიხარე, კოცნით მივულოცე დაბადების დღე, საჩუქარიც გადავეცი. შემიყვანა ბროლის დიდი ჭაღით განათებულ დარბაზში, სადაც დიდი, ოთხკუთხედი მაგიდა სტუმრების მისაღებად გაწყობილი და გამზადებული დამხვდა. ახლავე დავბრუნდებიო,— თქვა და ჩემი საჩუქრიანად გაცუნცულდა.

ამოდენა სივრცეში მარტო დავრჩი და სინანულით გავიფიქრე, — ასე ადრიანად ნეტავი რა მომარბენინებდა-მეთქი. ლამარა, რა თქმა უნდა „ახლავე" არ დაბრუნებულა და რახან დროცა და საშუალებაც მქონდა, იქაურობის დათვალიერებას შევუდექი. უცნობ, ჩემთვის უჩვეულო გარემოში მოვხვდი და ჩემ თავს ხუმრობით ვაფრთხილებდი, — ახლა მთავარია, არაფერი გაგიკვირდეს-მეთქი. ნუგბარი სუფრა იყო გაშლილი. მეხსიერება დავძაბე, მინდოდა გამეხსენებინა, ასეთი საჭმელები მენახა თუ არ მენახა ომამდე, ვერ გავიხსენე, რადგან მაგიდაზე ელაგა ის, რაც კაცობრიობამ ომის დროს გადაივიწყა. სუფრის აღწერას არ შევუდგები, არც მაქვს სურვილი, რადგან მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო, ხალხი ჯერ კიდევ შიმშილობდა და, შესაძლებელია, რაღაც-რაღაცები გაზვიადებულად მომეჩვენა კიდეც.

ოთახში უამრავი ძვირფასი ნივთი იდგა: წითელი ხის სერვანტი, ინკრუსტირებული, ასევე ინკრუსტირებული ვიტრინა, წითელი ხის დაბალი, მრგვალი მაგიდა, სოფა, ტყავის ორი სავარძელი... კედლებზე სურათები ეკიდა. ერთი კედელი დათმობილი ჰქონდა უზარმაზარ ტილოს, ეს იყო აივაზოვსკის „მეცხრე ტალღა". სხვადასხვა ზომის „მეცხრე ტალღა" ბევრ ოჯახში მინახავს, მაგრამ ისე დიდს პირველად ვხედავდი, ეს სუ-

რათი ფართობით ჩაგრავდა დანარჩენებს. ვიტრინაში იმდენი და ისეთი ძვირფასი ფინჯნები გამოეფინათ, რომ შემრცხვა ჩემი მოტანილი საჩუქრისა და მგონი, გავწითლდი კიდეც სირცხვილისაგან, — ალბათ ჯობდა, ყვავილები მომეტანა-მეთქი.

ისევ ლამარა მომეგლინა მხსნელად, სახეგაბრწყინებული შემოვიდა და, საცაა სხვებიც მოვლენო, — დამაიმედა, მერმე, როგორც საიდუმლო, ჩურჩულით გამანდო — დედაჩემი გაგიჟდა, ძალიან მოეწონა შენი საჩუქარიო. ჩემი საჩუქრის ამგვარ შეფასებას არ მოველოდი და უფრო თავაზიან ქათინაურად ჩავთვალე. შემდეგ გაირკვა, ლამარას დედა ფაიფურის დიდი მოტრფიალე და მცოდნე ყოფილა თურმე. ჩემი მიტანილი ფინჯანი მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულის ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის გერმანული ფაიფური აღმოჩნდა. გულწრფელად გამიხარდა, ამაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როცა შენი საჩუქარი მოეწონებათ...

ამასობაში დურმიშხანი შემოუძღვა თანაკურსელებს. ხმაურითა და სიცილით შემოცვივდნენ, კალიებივით მოედვნენ იქაურობას, სასწრაფოდ დაიპყრეს სივრცეები, სოფა, სავარძლები, საიდანღაც ნარდი გააჩინეს და თამაშიც გაახურეს. კარტი ხომ არ გინდათო, — იკითხა ლამარამ და გავიდა, მაგრამ კარტი აღარ შემოუტანია, ალბათ დაავიწყდა. სულ ათი თანაკურსელი დავთვალე, ექვსი — გოგო და ოთხი ბიჭი, მე მეთერთმეტე ვიყავი. დურმიშხანი მოვიდა და მკითხა, — დიდი ხანია მოხვედიო? არა-მეთქი, — ვუპასუხე. პირველადა ხარო? პირველად-მეთქი! ჰოო! — დასძინა მრავალმნიშვნელოვნად, მხარზე ხელი დამკრა და ნარდისაკენ წავიდა.

შემოვიდა დაბალი, მსუქანი არსება, ეს დედაჩემიაო, — თქვა ლამარამ და ყველა ერთბაშად წამოიშალა. დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მივესალმეთ. ლამარას დედას სამი ქალბატონი შემოჰყვა. ესენი დეიდები არიანო, — განაცხადა ისევ ლამარამ. დები ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ოღონდ მეტნაკლებად მსუქნები. არა, დაბლები არ ეთქმოდათ, რა გასაკვირია, ადამიანი ზოგი დაბალია, ზოგი — მაღალი, ზოგიც საშუალო ტანისაა. ესენი კი უფრო ჯუჯებს ჰგავდნენ, რაღაცნაირად კოტიტები იყვნენ. სამივე გაუთხოვარიაო, — მამცნო დურმიშხანმა.

— თქვენ შორის ოზო რომელია? — იკითხა ლამარას დედამ.

— მე ვარ, ქალბატონო, — წინ წავდგი ფეხი და თავი დავხარე.

— ძალიან კარგი! — ღიმილით ამომხედა.

არ მოველოდი, სასიამოვნო სახე ჰქონდა, თან მომეჩვენა, რომ ლამარა თვალებით დედას ჰგავდა.

— მე ფაიფურის ტრფიალი ვარ და თითქმის ყველა მისი საიდუმლოც ვიცი, — თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და გაღიმებული მეუბნებოდა — თქვენი ფინჯანი მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულსაა გერმანიაში დამზადებული. ამას წყალი არ გაუვა. ჩემი უფროსი და კი ამბობს მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისაო, მაგრამ არ არის სწორი.

— ამოცანა გვეკითხება, რომელი დაა უფრო მართალი? — ჩურჩულით მითხრა ჩემს ზურგს უკან მდგარმა დურმიშხანმა.

— „ცისფერი ხმლები“ ევროპაში უძველესი ფირმაა და რამდენადაც ვიცი, ეს ფირმა დღემდე არსებობს. ჩემი ოცნებაა — ამ ფირმის მთლიანი სერვიზი... ოღონდ ძველი... თუნდაც მეცხრამეტე საუკუნისა.

— ქალბატონო, ამ ფირმის ერთადერთი ფინჯანი გვქონდა. — ვუპასუხე სხაპასხუპით, არ იფიქროს, თითქოს კარადები „ცისფერი ხმლების“ სერვიზით გვაქვს გამოძეძგილი.

— ისიც ლამარასთვის გაიმეტეთ, არა!

— ლამარასთვის არაფერს დავიშურებ, ქალბატონო.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ნამდვილი ქართველი ხარ! — ამას ისევ დურმიშხანი მეჩურჩულება.

— დედა, ნუ აწუხებ სტუმრებს!.. დავსხდეთ, მეგობრებო, დავსხდეთ! — ეს კი, ალბათ მიხვდით, ლამარაა.

ქალბატონები ოთახიდან რომ გაგოგმანდნენ, დურმიშხანმა ერთხელ კიდევ ჩამჩურჩულა:

— ბიჭო, ამათ, მგონი, ჯიშის გასაუმჯობესებლად უნდიხართ!

კინაღამ გამეცინა, — გამოუსწორებელი ვიღაცაა-მეთქი ეს დურმიშხანი.

ჩიტი ასაფრენად მზად იყო და ხელის აქნევას ელოდებოდაო... როგორც კი ნება დაგვრთეს, წამიც არ დაგვიყოვნებია, შევესიეთ და, ვიდრე თამადას ავირჩევდით, შემუსრული

აღმოჩნდა მთელი სუფრა. ოთხი ქალბატონი ვერ აუდიოდა ჩვენი მაგიდის სურსათ-სანოვაგით მომარაგებას. დურმიშხანი თამადად დადგა, თვითონვე თქვა — თამადობას სხვა მაინც არ იკისრებს, ვიცი ჩემი ბედის ამბავიაო. მოკლე-მოკლე სადღეგრძელოებს ამბობდა, ოღონდ ღვინოს გვაძალებდა, ძალით გვასმევდა, მომცრო ჭიქა კი იყო, მაგრამ ბოლომდე გვაცლევინებდა...

ლამარა ჩემს გვერდით იჯდა, კმაყოფილი და ბედნიერი, ვერ ითმენდა და წინასწარ მეუბნებოდა, — ახლა ამ კერძს შემოიტანენ და ახლა ამასო. მეტის ჭამა არ შემეძლო, თავიდანვე დავხარბდი და ზედმეტი მომივიდა. ხომ კარგი დეიდები მყავსო, — მეკითხებოდა, — შეხედე, რა საყვარლები არიანო... და კიდევ ერთი ცნობა მომაწოდა, — გაუთხოვრები არიანო. ეს უკვე დურმიშხანისაგან ვიცოდი, თანაც ჩემთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მე ხომ არ მომიწევდა მათი გათხოვება. მთავარია, ლამარა მიყვარდა და მსიამოვნებდა, გახარებულსა და კმაყოფილს რომ ვხედავდი. ლამარამ რამდენჯერმე მიხსენა კიდევ საყვარელი დეიდები, არ ვიცი, მეც შევეჩვიე, თუ რა მოხდა, მართლაც საყვარლად მეჩვენებოდნენ უკვე ეს კოტიტა ქალბატონები, მზრუნველები და კეთილები ჩანდნენ, ისიც კი წარმოვიდგინე, როგორ ანებივრებდნენ ერთადერთ დისშვილს.

ზარი დაირეკა.

ეს მამაჩემიაო, — წამოიძახა ლამარამ, სხარტად წამოხტა და შემოსასვლელისაკენ გაიქცა. დაბრუნებულმა დურმიშხანს უთხრა, — მამას ვთხოვე და ახლავე შემოვაო. ისევ თავის ძველ ადგილას, ჩემს გვერდით დასკუპდა. ჩვენ ყველანი მოლოდინით აღვსილნი გავიტრუნეთ, დურმიშხანი ფეხზე იდგა, სავსე ჭიქისთვის ხელი წაევლო და ისიც მოთმინებით ელოდებოდა ლამარას მამის შემობრძანებას. ჩაფიქრებულიც იყო, ეტყობა, გუნებაში ჩარხავდა და აპახრაკებდა შესაფერ სადღეგრძელოს.

ლამარას მამა შემოვიდა და ყველა ფეხზე წამოდგა.

მე არ წამოვმდგარვარ, უნებურად წამოვიწიე, მაგრამ წელი ვერ ავითრიე, რადგან მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ელდა მეცა. ჩემ წინ იდგა ის კაცი... სწორედ ის კაცი, აშასწინათ ნასვამი რომ შემეფეთა ქუჩაში... შემოსვლისთანავე

ვიცანი! მე მისი სახე არ მახსოვდა, ნამდვილად არ მახსოვდა, ის სიბნელეში არ ჩანდა, ვერ დავინახე და როგორ დავიმახსოვრებდი? მაინც ვიცანი! როგორც კი ოთახში ფეხი შემოდგა და ერთი ჰაერი ჩავისუნთქეთ, იმით ვიცანი!.. მოულოდნელი ელდით ვიცანი!

არ ვიცი, ლამარამ და სხვებმა რა იფიქრეს, ამ კაცს ფეხზე რომ არ წამოვუდექი. მე უკვე ვერაფერს ვხედავდი და არაფერი მესმოდა. მესმოდა მხოლოდ გაუთავებელი დუდუნი თუ ზუზუნი და ვგრძნობდი, დურმიშხანი სადღეგრძელოს აჯახირებდა. თანდათან აზრზე მოვდიოდი, მაგიდასთან ოდნავ მოწყვეტილი ვიჯექი. ხელები მუხლებზე მეწყო და ფეხებშორის იატაკს ჩავცქეროდი, თავის აღება მიჭირდა, ლამარას მამისკენ გახედვა არ მინდოდა, ალბათ არც შემეძლო. რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარო, — მკითხა შეწუხებული ხმით ლამარამ. პასუხი არ გამიცია, ახლა უკვე ერთს ვფიქრობდი, — აქაურობას როგორმე თავი უნდა დავაღწიო-მეთქი. ღვინო საგრძნობლად მომკიდებოდა და მეშინოდა, უხერხულად არ მოვქცეულიყავი...

მერმე წამოიშალნენ და ყველამ ერთად თუ ერთხმად ადღეგრძელეს ბატონი ვარლამი... ბატონი ვარლამი... ვარლამი... ვაარლაამ! ეს კაცი თურმე ბატონი ვაარლაამი ყოფილა... სამწუხაროა, რომ აქამდე არ ვიცოდი... ოზო, ადღეგრძელე, მამა შენ გელოდებაო, — ეს ისევ ლამარა იყო... ბიჭებო, ამ სადღეგრძელოს კარგი „მრავალჟამიერი“ მოუხდებაო, — დურმიშხანი სიმღერის შეკოწიწებას ცდილობდა, განა ვერ ვხვდებოდი, სიმღერაზე უფრო ყველასათვის გაუგებარი და უხერხული დუმილის დარღვევა უნდოდა... ოზო, მამა გელოდებაო, — არ მეშვებოდა ლამარა, მეჩურჩულებოდა.

ახლავე ქალბატონო, რახან ასეა საჭირო, აქ არა ვარ?!

უცებ წამოვდექი, სკამი გავწიე და პირდაპირ ბატონ ვარლამისკენ გავეშურე, დუმილში მხოლოდ ჩემი ნაბიჯების ხმა ისმოდა. ერთი წუთით თავი ავიღე და დავინახე: ღია კარიდან ოთხი და ღიმილით შემომყურებდა, უფრო — შემომციცინებდა, როგორც მომავალ იმედს, როგორც სიხარულისა და ბედნიერების მომავალ მომნიჭებელს. მე უკვე მტკიცე ნაბიჯით მივუახლოვდი ბატონ ვარლამს, დავიხარე და თვალებში ჩავხედე. ქვემოდან ვიღაცამ წვრილი, უფერული თვალებით შე-

მომხედა. მერმე ყურში ჩავჩურჩულე, — ბატონო ვარლამ, მე ის გახლავართ, ამასწინათ ქუჩაში რომ აგინეთ და რევოლვერი ესროლეთ-მეთქი. ახლაც უკან გადახტომა დააპირა, მაგრამ დავასწარი, ხელი მაგრა წავავლე მკლავზე და შევაჩერე.

— ნუ აღელდებით, ბატონო, ყველაფერი რიგზე იქნება,— დავამშვიდე, ისევ მტკიცე ნაბიჯით გავწიე შემოსასვლელისაკენ, ჩამოვხსენი ჩემი პალტო და... სადარბაზო კიბეზე დავქანდი.

ქუჩაში გამოსულმა სიცივე ვიგრძენი და გამხსენდა, პალტო ხელით რომ მომქონდა. პალტოს ჩაცმისას წინ ჩემი ნაცნობი ლანდი დავინახე და გამეცინა. მშვიდობით-მეთქი! — დავემშვიდობე, ამიერიდან შენთვის დამითმია ეს ქუჩაც, ეს სახლიც და ისინიც, ვინც ამ სახლში ცხოვრობენ, ამიერიდან შენ ამ ქუჩაზე გავლილს ვეღარ მიხილავ-მეთქი. ეტყობა, ჩემმა ძველმა მეგობარმა და ერთგულმა ლანდმა ვერ დამინახა, ისიც კაცია, მართლა ლანდი ხომ არ არის?! შეიძლება, ჩაფიქრდა ანდა დაეჭვდა, შეიძლება, იმასაც უჭირს, მაშ ამ ღამეში, ამ მსუსხავ ღამეში, როცა ძაღლსაც კი არ გააგდებენ გარეთ, რას დაძრწის, რატომ ეფარება ხეებსა და შენობის კედლებს?

სწორედ იმ დროს მივუახლოვდი, პაპიროსს ცეცხლს უკიდებდა. ეს იყო მეორე ელდა, თუმცა იგი არაფრით ჰგავდა წეღან განცდილს, მაგრამ მაინც ელდა იყო.

ზურგით ხეს მიყრდნობილი ლანდი, ანთებული ასანთი პირთან რომ მიეტანა, მამაჩემი აღმოჩნდა, თვით სანდრო ბოდაველი. თავი რომ ასწია და მის წინაშე მდგარი და გაღიმებული დამინახა, ოზო, შენ ხარო? — წამოიძახა. მე ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. აქ საიდან გაჩნდიო? — ისე გაიკვირვა, ვითომ არ იცოდა, აქ საიდან გავჩნდი. მაგრამ შენ აქ რა გინდა, რას უდგახარ-მეთქი. ამ შეკითხვისათვის როგორც ჩანს, მზად არ იყო, დიდხანს იფიქრა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. შინ ისე წამოვედით, თითქოს ერთად კი არ მოვდიოდით, დარცხვენილი და დაბნეული უკან მომყვებოდა და თავის გასამართლებელ სიტყვებს ეძებდა. აქ ერთი ჩემი ფრონტელი მეგობარი ცხოვრობს, შინ არ დამხვდა და იმას ველოდებიო, — აშკარად მატყუებდა, — სასწრაფო საქმე მქონდა, გადაუდებელიო... არა უშავს, ხვალ ადრიანად მივაკითხავ, დღეს სადმე გატყვრებოდაო. არავითარი ფრონტელი მეგობარი ამ ქუჩაზე არ ცხოვ-

რობდა, ეს ვერსია გზაში მოიგონა. მე ხომ ლანდი ერთი კვირის წინ შევნიშნე, ოღონდ არ ვიცოდი, რომ მამაჩემი იყო. ამ ერთი კვირის მანძილზე ქუჩის ბნელ კუნჭულებში მდარაჯობდა თურმე, თუ კვლავ გადავეყრებოდი იმ ტიპს, თვითონ გაუსწორდებოდა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მარტოც ესწრაფვოდა შეხვედრას... ოღონდ არ იცნობდა და ალბათ შემთხვევის იმედით უსაფრდებოდა, იქნებ ბედმა გამიღიმოსო.

კარგად გიცნობთ, ბოდაველებო, კარგად ვიცი თქვენი ავანჩავანი! სანდრო ბოდაველო, განა შენც ის არა ხარ, რაც ანანოა?! განა ერთი ჯილაგისანი, ერთი ბუდისანი არა ხართ?! განა ანანომ ცხრა მთა არ გადაიარა, ვიღაც გარეწარი რომ დაესაჯა?!

ჰაერზე გამოსულმა უფრო ვიგრძენი ღვინის ძალა. მამაჩემმა მკლავზე ხელი მომკიდა და მკითხა, — როგორი ღვინო იყო?

მე სულ სხვა რამ ვუპასუხე:

— შენი ფრონტელი მეგობარი იქ აღარ ცხოვრობს, ერთი კვირაა, რაც გადავიდა... იმის ძებნაში ტყუილად დროს ნუ დაჰკარგავ. აღარც ლამარა ცხოვრობს იმ ქუჩაზე, ისიც გადასახლდა. სად? არ ვიცი... სადღაც! ამიტომ იქით, — მარჯანიშვილის თეატრთან შევჩერდი და უკან მივიხედე, — არც მე ვიცი, მორჩა! იცოდე, ყველა ვალი გასტუმრებული მაქვს, შენი შვილი არავის ვალში არ დარჩება.

ალბათ, მიმიხვდა მამაჩემი, რაც ვუთხარი, უმალვე დამეთანხმა — რაკი ეგრეა, ეგრე იყოსო.

დილით ცუდ გუნებაზე ავდექი და შიგნით უსიამოვნოდ ვიშმუშნებოდი. მომეჩვენა, წუხელ ცუდად მოვიქეცი, თუმცა არც ის ვიცოდი, კარგად როგორ უნდა მოვქცეულიყავი. იმ წუთებში მე ხომ ვეღარ ვაზროვნებდი, ჩემს თავს — გულსა და ნერვებს ვერ ვერეოდი. ხომ შეიძლებოდა უარესიც ჩამედინა? თავის მართლებამ შვება ვერ მომგვარა. მამაჩემისთვის მინდოდა რაღაცეები მეთქვა და მეკითხა, წასული დამხვდა. ნავთქურაზე ჩაი ავადუღე და დავლიე. ოთახშიც ისევე ციოდა, როგორც გარეთ, ზამთარს მოუმზადებელი შეეხვდით, არც ღუმელი გვქონდა, არც შეშა მოგვიმარაგებია, ნავთქურა რას წაგვადგებოდა, თუმცა დილიდან გვენთო შუშაბანდში...

იმან ლაწირაკი და ნაბიჭვარი მიწოდა, მერმე პანღური ამ-ომკრა და ტყვია დამახალა. ამის სანაცვლოდ მე ყურში ჩავ-ჩურჩულე, — მე სწორედ ის გახლავართ, თქვენ რომ იმ ღა-მეს შეურაცხყოფა მომაყენეთ და რევოლვერიც მესროლეთ-მეთქი. მერმე მკლავზე უხეშად წავავლე ხელი და მოვქაჩე. ეს იყო და ეს. შურისძიების გრძნობის ანაფხეკი კი დავიკმაყო-ფილე, მაგრამ ეს ხომ ვერ აანაზღაურებდა დამცირებას, შე-ურაცხყოფას, შელახულ ადამიანურ ღირსებას და ამით გამო-წვეულ ტკივილის განცდას, სულიერ ტრავმას? მე მგონია, ასე-თი რამ უკვალოდ არ ქრება, იგი სამუდამო მნიშვნელოვან დაღს ასვამს ადამიანის სულს, მით უმეტეს, როცა ის ადამი-ანი ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისაა. მე მინახავს, ქუჩაში რა დღე დაუყრიათ ჯიბის ქურდისთვის, რომელსაც ვიღაცისთვის ჯიბიდან ხუთი მანეთი თუ თუმანი ამოუცლია, თითქმის იქვე ჩაუქოლავთ. ისიც მინახავს, ყველას წინაშე ერთმა როგორ და-ამცირა მეორე, ძალ-ღონით როგორ დაჩაგრა. ტრამვაის გაჩე-რებასთან კეფაში წაჰკრა, ცხვირში ხელი წაუჭირა, ყბა მოუღ-რიცა, დედა აგინა... ვითომც არაფერი... ვაგონში ავიდა თავ-ხედურად გაამაყებული. ის კი მხრებჩამოყრილი, დამცირე-ბული, შეგინებული, სეირის მოყვარულებმა ანუგეშეს, ასეც უთხრეს, — არაფერიაო, ისეთი არაფერი მომხდარაო, დაწყ-ნარდი და დამშვიდდი, რას იზამ, მჯობნის მჯობნი არ დაილე-ვაო... ბავშვობისას ვნახე და დღემდე მახსოვს იმ კაცის გამ-წარებული სახე, ცრემლჩამდგარი შეშლილი თვალები. ქურდი უსათუოდ უნდა დაისაჯოს, მაგრამ კაცის ღირსებას როცა ბღა-ლავენ...

ინსტიტუტში აღარ წავსულვარ, მეორე-მესამე დღეს უკვე საბოლოოდ მქონდა გადაწყვეტილი, ინსტიტუტისათვის თავი დამენებებინა და უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა. ეს გადაწყვეტილება დიდხანს მწიფდებოდა და ბოლოს ნა-ყოფიც მოწყდა. მამაჩემს დავუჯერე, იმან მირჩია, თუმცა მა-შინ არც მე ვიცოდი მტკიცედ, რა მინდოდა.

ლამარასთან შეხვედრას გავურბოდი, მაგრამ იმდენად არა, რომ ინსტიტუტიდან გამოვქცეულიყავი. თუ მოინდომებდა ჩემ-თან დალაპარაკებას, ვეტყოდი, რაც მოხდა, რის გამოც ჩა-ვიდინე ასეთი უსაქციელობა.

მალე დურმიშხანმა მომაკითხა, თითქოს შეშფოთებული

იყო, თვალსა და ხელს შუა უგზო-უკვლოდ რომ დავიკარგე. ბარწმუნებდა, — ჩემი სურვილით მოვედი, ლამარას არ გამოვუგზავნივარო. მაინცდამაინც არ დავინტერესებულვარ, ლამარამ დაავალა თუ საკუთარი ინიციატივით გამომეცხადა, ჩემთვის ესეც და ისიც სულერთი იყო. მირჩია, მიდი და ბოდიში მოუხადეო, შენი ხულიგნობა ღვინოს დააბრალე, იქნებ გაპატიოსო. სიამოვნებით, — ვუთხარი, — თუ კი მაპატიებენ ამას რა სჯობია-მეთქი. ცოტა გაკვირვებული დარჩა, ეტყობა, ასეთ თვინიერ თანხმობას არ მოელოდა, სასწრაფოდ მიამბო, ჩემი წამოსვლის შემდეგ ლამარას ოჯახში რა ამბავი დატრიალებულა, მერმე დამემშვიდობა და წავიდა... ბატონი ვარლამი ისე გამოშტერებულა, რომ იარაღით გამოდევნებას აპირებდა, შაგრამ, ქალები დასევიან და შეუჩერებიათ. ლამარას ტირილი ავარდნია და ვერ დაუმშვიდებიათ. რაღა გავაგრძელო, მშვენივრად დაწყებული დაბადების დღე სამარცხვინოდ ჩამიშლია.

ღმერთი და რჯული, წინასწარ არაფერი მქონდა განზრახული.

ერთი კვირა შინიდან ფეხი არ გამიდგამს, შვიდმა დღემ თითქოს შეუმჩნევლად ჩაიარა, შემდეგ კი ძალზე გამიჭირდა, უსაქმობისაგან ლამის კედლებზე გავსულიყავი. ვიფიქრე, — სოფელში წავალ-მეთქი, ანანოსთან, მაგრამ მტკიცედ ვერ გადავწყვიტე, რადგან გუნებაში მაინც ზაფხულს ვვარაუდობდი, სოფელში ჩასასვლელად ზაფხული მერჩია. სოფელი ალბათ იმიტომ გამახსენდა, რომ ანანოს წერილი მივიღეთ, იწერებოდა — კარგად ვარო.

ისე გამიჭირდა, ქალბატონ მარიამთანაც კი მივედი — იქნებ ზიზის ამბავი შეიტყო და მისამართი მაინც მითხრას-მეთქი. ქალბატონი მარიამი ჩვეულებრივად შემხვდა, ოთახში თავაზიანად შემიპატიჟა, მაგიდასთან დამსვა და თვითონაც ჩემ წინ დაჯდა. ზიზის ამბავი, რა თქმა უნდა, არ იცოდა, ისე კი წუხდა, — მისამართი რომ ვიცოდე, დღესვე მივაკითხავდიო.

— ეგ გოგო თავს ღაიღუპავს! — დაასკვნა ბოლოს ქალბატონმა მარიამმა.

მე არაფერი მითქვამს, რადგან საწინააღმდეგო აზრის ვიყავი და შინაგანად მჯეროდა, ზიზი არ დაიკარგებოდა, თავისას მიაღწევდა.

ქალბატონმა მარიამმა მერმე მე მომიკითხა, — როგორ მიდის შენი სწავლის საქმეო. არ დამიმალავს, ვუთხარი, როგორც მიდიოდა და შეძლებისდაგვარად ავუხსენი კიდეც, ინსტიტუტს რატომ დავანებე თავი. შეცდომა მომივიდა, — ვაღიარე, — თავიდანვე უნივერსიტეტში უნდა შევსულიყავი-მეთქი. მეგონა, არ მომიწონებდა საქციელს და ქარაფშუტობას დამწამებდა, მაგრამ პირიქით მოხდა.

— ეგეთი შეცდომა ბევრს მოსდის, — ამბობდა ქალბატონი მარიამი, — მაგრამ უმრავლესობა ამას ვერ ხვდება, ანდა თუ მიხვდა, გზიდან მობრუნება არ შეუძლია, ერთხელ არჩეულ გზას მიჰყვება და ბოლოს ყველაფერი სანანებლად რჩება. კაცს უნდა შეეძლოს გზიდან მობრუნება, არ უნდა დაენანოს გავლილი მანძილი და ამ გზის მონაკვეთისათვის დახარჯული დრო და ენერგია. მე იმ ჩიტირეკიებზე არას ვამბობ, ხელმოცარულებზე, თვითონაც რომ არ იციან, რას ეცნენ, დღეს ერთ საქმეს მიადგებიან, ხვალ — მეორეს.

მენიშნა. გზიდან მობრუნებაზე როცა ლაპარაკობდა, ნამდვილად ზიზის გულისხმობდა. ოღონდ წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ის ჩიტირეკია, რომელმაც არ იცოდა, რას სცემოდა, რას მიესწრაფოდა, სწორედ მე ვიყავი.

ერთი ღერი პაპიროსი და საფერფლე მოიტანა. მე მყუდროდ ვიჯექი და წასვლაზე არც მიფიქრია, აქ ყოფნა მსიამოვნებდა, თუმცა რატომ მხიბლავდა და მიზიდავდა აქაურობა, ვერ მივმხვდარიყავი, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ სხვაგან წასასვლელი არ მქონდა და თავს აქ ვაფარებდი.

— ჩემო ოზო, მნიშვნელოვანი რამ გადავწყვიტე და მინდა გაგიზიარო, — ქალბატონმა მარიამმა პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა, — რაც დრო გადის, მით უფრო მაწუხებს ჩემი წიგნების ბედი. სულაც არა მსურს, ძუნწი რაინდის მდგომარეობაში აღმოვჩნდე... განძი გაქვს და ამ განძით არავინ სარგებლობს... საშინელებაა!.. დრო მართლაც შეიცვალა: ვიღა მოვა აქ, როცა ქალაქში მრავალი ბიბლიოთეკაა, სადაც უკეთესი სამუშაო პირობებია შექმნილი. მე წიგნს არავის ვატან შინ, ასე რომ გამეტანებინა, ჩემი ბიბლიოთეკიდან აღარაფერი დარჩებოდა. სად შემეძლო დევნა და დავიდარაბა, — წიგნი დამიბრუნეთ-მეთქი! ცალკე წიგნი, რა ღირებულებისაც უნდა იყოს იგი, მხოლოდ წიგნია, ერთად თავმოყრილი კი განძია, რომელსაც

ჩვენ ბიბლიოთეკას ვუწოდებთ. მე გადავწყვიტე, ჩემი განძი თბილისის უნივერსიტეტს ვუანდერძო, იქ უფრო გამოიყენებენ, იქ უფრო საჭიროა ეს წიგნები; ციდრე აქ — უქმი, დამტვერილი და გაოხრებული... არაფერი მითხრა, ვიცი, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებაა, ოღონდ ეს საქმე ახლა როგორმე უნდა მოგვარდეს. საქმე ისაა, რომ წიგნები უნდა აღინუსხოს. უნდა არსებობდეს კატალოგი, თორემ გადაცემა-გადმოცემის დროს, რა მოხდება; კაცმა არ იცის. შეიძლება, დაიტაცონ კიდეც წიგნები, ეს არ არის გამორიცხული... წიგნი სხვა რაღაცაა, წიგნის მოპარვა თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოებაში ქურდობად არ ითვლება, ყოველ შემთხვევაში, სასირცხოდ არ მიაჩნიათ... ამიტომ ბიბლიოთეკარი მჭირდება, კარგი, გამოცდილი, პატიოსანი, ფულს მე გადავუხდი, ფული მაქვს და არც მენანება... შემეძლო უნივერსიტეტისათვის მეთხოვა, მაგრამ ჯერჯერობით ათასი მიზეზის გამო, გახმაურებას ვერიდები... მერმე მოვიყვან ნოტარიუსს და საქმეც ამით მოთავდება.

— მე რითი შემიძლია დაგეხმაროთ, ქალბატონო.

— როგორ გითხრათ... ახალგაზრდა კაცი ხართ, სტუდენტი, წარმოუდგენელია, ბიბლიოთეკაში არ დადიოდეთ... იქნებ იცნობდეთ ანდა იქნებ გაიცნოთ ისეთი პიროვნება, რომელსაც შეიძლება ვენდოთ... ჩემო ოზო, აქ ისეთი უნიკალური წიგნებია, ფასი რომ არა აქვს... ხომ გესმით ჩემი... ვისმე ხელიც რომ წაუცდეს, არც იქნება დასაძრახი.

— ქალბატონო, იქნებ მე შევძლო... ოღონდ მასწავლეთ, როგორ უნდა გაკეთდეს და მერმე მე ვიცი.

— არა, ჩემო ოზო, როგორ გეკადრებათ! — შეკრთა ქალბატონი მარიამი, — არა, გენაცვალე, ეს იოლი საქმე არ გეგონოთ. აქ ათიათასი წიგნია!

— გთხოვთ, ქალბატონო მარიამ.

— არა, ჩემო კარგო, დამიჯერეთ, ამიტომ არ მითქვამს, ღმერთმანი, თქვენ არ მიგულისხმიხართ.

— მეც დამიჯერეთ, ქალბატონო მარიამ, თუკი მენდობით, ბედნიერი ვიქნები.

— არა და არა!

— შევძლებ... ახლა მაინც არავითარი საქმე არა მაქვს... უსაქმობისაგან ლამის გავგიჟდე, ქალბატონო.

თავს გულწრფელად ვთავაზობდი, მაგრამ არაფერი გამომ-ვიდა, ჯერ ვიფიქრე, — არ მენდობა-მეთქი, მაგრამ თუკი სხვა ბიღაცის მოყვანას მენდობოდა და მავალებდა კიდეც, პირადად მე რატომ არ უნდა მნდობოდა? თანდათან ავენთე და ყოველნაირად ვუმტკიცებდი, — მხოლოდ ამ საქმისათვის ვარ დაბადებული და მოწოდებული, კატალოგების შედგენა ჩემი ბავშვობის ოცნებაა-მეთქი!

— მაშ, კატალოგების შედგენაზე ბავშვობიდანვე ოცნებობდით, არა? — გაეცინა ქალბატონ მარიამს, მიხვდა, სასაცილოდ გადავაჭარბე.

შემრცხვა და გავწითლდი, თუმცა ჩემსაზე მაინც ჯიუტად ვიდექი, — სანამ არ დავითანხმებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი. ისე ავღელდი, როგორც ბავშვი სათამაშოების მაღაზიის წინ, მოუთმენლობისა თუ სულწასულობის გრძნობა მეუფლებოდა.

— იქნებ თქვენთვის უკეთესიც იყოს, — მითხრა ბოლოს ქალბატონმა მარიამმა. — წიგნების შერჩევა, წიგნებთან კონტაქტი დიდ რამეს ნიშნავს, მით უმეტეს ახალგაზრდა კაცისთვის. ეს შეიძლება, ერთგვარი სკოლაც იყოს. ოღონდ ნაუცბათევად ნუ გადაწყვეტთ... დაფიქრდით... იფიქრეთ... მე არ მეჩქარება, ერთი კვირის, ათი დღის შემდეგ მოდით და მითხარით, რა გადაწყვიტეთ...

— დიახ, ქალბატონო!

— კიდევ ერთი პირობა: სტიპენდიას დაგინიშნავთ...

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო!

— სხვაგვარად არ გამოვა, არც იფიქროთ...

— ქალბატონო... — ვცადე შეჩერება.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ... ისიც წინასწარ უნდა იცოდეთ, ერთი წელი არ გეყოფათ... იფიქრეთ, კარგად იფიქრეთ.

— დიახ, ქალბატონო... ოღონდ ფულს არ ავიღებ.

— პირობა პირობაა! მაშინ, არც მე გაგიღებთ ბიბლიოთეკის კარს!..

მეექვსე დღეს სოფლიდან მარო მასწავლებლის დეპეშა მივიღეთ, გვატყობინებდა, — ანანო ცუდად არის და ჩამოდითო. მამაჩემი განერვიულდა და აყვირდა, — ამ შუა ზამთარში რა დროს იქ წასვლაა, საქმეებში ყელამდე ვარ ჩაფლულიო, ბრდღვინავდა და გრგვინავდა. მერმე თანდათან დაცხრა და

მითხრა, — ჯანდაბას, ხვალ წავალო. მე ვუთხარი, — უსათუოდ დღესვე უნდა წავიდეთ-მეთქი, ამაღამვე!.. ვიგრძენი, ანანო აწ ძალიან ცუდად იყო, ანდა... შეიძლება... ის, რაც ვიგრძენი, არ დამიმალავს. მამა მწარედ ჩაფიქრდა, შეუძლებელია, შეუძლებელიაო... —იმეორებდა. ისევ აფორიაქდა, აიშალა, თითქოს გამოსავალს ეძებდა და ვერ პოულობდა, ეტყობა, მართლა საქმეებში იყო ჩაფლული და მათ მოწესრიგებამდე გამგზავრება უჭირდა. ჩვენი ერთად წასვლა არ გამოვაო, — თქვა და ბარათების წერას შეუდგა. მერმე დამიბარა, ესა თუ ის ბარათი სად მიმეტანა და ვისთვის გადამეცა. ჩქარობდა, მაგრამ არ დაბნეულა, თითქოს ყველაფერი მოაწესრიგა, დაალაგა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი კარგახანს სცემდა ბოლთას. მერმე კარადასთან შეჩერდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ერთ-ერთ უჯრას ჩხაკუნით მოარგო, გამოსწია და ჩაიხედა. აქ ფულია!— მითხრა, — თუ საჭირო იქნა, ხვალვე შეგატყობინებ, წამოდი და წამოიღეო. ნაწილი ფულისა ჯიბეში ჩაიდო.

იმ ღამეს თითქმის არ მიძინია. ოთახიდან ოთახში დავწრიალებდი. იმდენი ვეცადე და ვიწვალე, ანანო ვიხსენი — გამოვაჯანმრთელე და ფეხზე დავაყენე. მამა თბილისს გამოვისტუმრე, მე კი ანანოსთან გაზაფხულამდე დავრჩი. ჩემ თვალწინ დადნა თოვლი, თანდათან შეიფოთლა ღობის გასწვრივ ჩარიგებული თუთის ხეები, დავთვალე და ისევ თერთმეტი იყო. ანანომ კი მითხრა — აბრეშუმის ჭია უნდა გავიჩინო, მაშ, ამ ხეებს ხომ არ მოვაცდენო. მერმე ცოტათი ჩამთვლიმა და საბძელზე შემომჯდარი შავი მამალი დამესიზმრა. კისერწაგრძელებული ფრთებს აფართხუნებდა, დაყივლებას ცდილობდა და ვერ ყიოდა.

მეორე დღეს მამამ მიდეპეშა — ჩამოდიო!

მივხვდი, ანანო აღარ იყო.

იმავე საღამოს გავედი რკინიგზის სადგურზე, ვისაც იმ დროს კახეთის მატარაბლით უმგზავრია, ალბათ ახსოვს, ბილეთის შეძენა პრობლემას არ წარმოადგენდა, იმდენ ბილეთს ყიდდნენ, რამდენიც გაიყიდებოდა. ბილეთი თუ გქონდა, შეგეძლო, კიბეზე ჩამოკონწიალებულიყავი, სახურავზეც შეგეძლო აცოცება, ერთი სიტყვით, სადგურზე არ დაგტოვებდნენ, ასე თუ ისე, მაინც წაგიყვანდნენ, ბილეთს არ გაგაუქმებინებდნენ.

რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ვიმგზავრე, მთავარია, დილით უკვე თელავში ვიყავი და პალტოთი შეფუთნული „ლილეინ-კაზე“ ვიჯექი. ვიცოდი, ანანო ცოცხალი არ დამხვდებოდა, მაგრამ გული სხვანაირი ყოფილა თურმე, ბოლომდე რაღაცის იმედი აქვს, ბოლომდე არ სჯერა ანდა არ უნდა დაიჯეროს უბედურება. თოვლიან გზაზე მივჩაქჩაქებდი და იმედის პატარა სხივი მაინც მითრთოდა გულში, სანამ სოფლის ცენტრში არ გაჩერდა ჩვენი ოთხთვალა. როგორც კი მიწაზე ჩამოვდგი ფეხი და ნაცნობებს თვალებში შევხედე, საბოლოოდ დავრწმუნდი, მოსახლენი მომხდარიყო. ამ დღეს თითქოს ველოდებოდი კიდეც, თვითონ ანანომ ჩამაგონა და დამაჯერა, — ასე და ასე მოხდებაო. მაგრამ საოცრად მალე ახდა, რაც ანანომ თავის თავზე იწინასწარმეტყველა, რაც დღემდე აუხსნელი და გაუგებარია ჩემთვის.

პირველად ფოსტალიონი მოვიდა და მკითხა, — ჩამოხვედიო? ჩამოვედი-მეთქი, — ვუპასუხე. მე შეგატყობინეთო, — მითხრა, მერმე თანაგრძნობის ხელი ჩამომართვა, — კარგად კი მოგიარა მაგ მადლიანმაო... ჯავრს თავი შეაჭმევინაო... ეეჰ, რა ბნელი ხარ, წუთისოფელო! — ესეც დასძინა და გამშორდა. მერმე სხვებიც მოვიდნენ, იქვე საპარიკმახეროსთან უსაქმოდ რომ იდგნენ და ლაპარაკით თავს ირთობდნენ, ყველას გული წყდებოდა, ყველა სინანულით აქნევდა თავს.

მუხლამდე თოვლში მივდიოდი, დათოვლილი იყო ყველაფერი, რასაც თვალი გასწვდებოდა: ხეები, სახლები, სახლებს იქით ტყიანი ფერდობები. თოვლს მივარღვევდი და ვფიქრობდი, — ნეტავი ზარით არ შემხვდნენ-მეთქი. შორიდანვე დავინახე, ჩვენს ეზოში ქალები ფუსფუსებდნენ, ჭიშკარი ღია იყო.

ეზოში შევედი. აივანზე კედელთან ჩამწკრივებული მამაკაცები იდგნენ. დიდი ოთახის კარიც ღია იყო. კიბე ავიარე და ყველამ მე მომაშურა, სათითაოდ ჩამომართვეს ხელი. გიმარჯვიაო, — მითხრა მამაჩემმა, — ხვალ დილით გელოდებოდითო... შედი და დახედეო... ახლა არ შემიძლია-მეთქი, — ვუთხარი. მამაკაცები მიიწ-მოიწიენენ და ჩამაყენეს. მეც მათ შორის, კედელს ავეკარი. ამ დროს ვიღაც ქალმა ეზოდან დაიძახა — ეგ ბალღი მშიერი იქნება და აქეთ გამოუშვითო...

მეორე დღეს დილიდან თოვდა. ბარდნიდა, ხელისგულისოდენა ფანტელები ცვიოდა. ფიდო კვალიაშვილმა თქვა, — მსხვი-

ლი თოვლია და მალე გადაიღებსო. მალე კი გადაიღო, მაგრამ მალევე წამოთოვა, ამჯერად წვრილი, დამდები თოვლი ჩამოყარა. მე მამაჩემის გვერდით ვიდექი, კედელს აკრული იქვე, სადაც გუშინ ჩამაყენეს. ფიდო კვალიაშვილი შინაურივით ტრიალებდა, განკარგულებებს იძლეოდა, ხალხს ასაქმებდა.

დაუსრულებლად მოდიოდნენ მოსამძიმრენი. ჩემ წინ ჩაიარა მთელმა სოფელმა, მე ყველას ვცნობდი და გულის სიღრმეში რაღაცნაირად მიხაროდა, რომ მათ ისევ ვხედავდი, ხელს ვართმევდი და წრფელ სამძიმარს ვისმენდი. ჩამომართმევდნენ ხელს და ღია კარს მიაშურებდნენ, იქ შუა ოთახში ანანო ესვენა, ირგვლივ შავად ჩაცმული დედაკაცები ისხდნენ, დროდადრო ვიღაც წამოიტირებდა, მერმე სიჩუმე კვლავ მოიცავდა იქაურობას. ყველაფერი ზედმეტი ფუსფუსის, ხმაურისა და მოძრაობის გარეშე ხდებოდა, თითქოს ყველამ იცოდა თავისი საქმე და აკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც აუცილებელი იყო.

კარიაულებიც გამოჩნდნენ, დათოვლილ მთებივით შემოვიდნენ ეზოში ოთხივენი ერთად; (კარიაულის ქვრივი ადრევე მოვიდა და ჭირისუფლებში იჯდა). მამაჩემი შეტოკდა, ფეხი მოინაცვლა და გასწორდა. ჯერ მამა-კარიაული მოვიდა და ხელი ჩამოგვართვა, მერმე — დედა. ქალიშვილებმა ხელი რომ გაუწოდეს მამაჩემს, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, ვიფიქრე — გაიცინებენ-მეთქი, მაგრამ დროზე დახარეს თავები და ოთახში შევიდნენ. მე რატომღაც გამომტოვეს, ჩემთვის ხელი არ გამოიმეტეს. დევის ქალებმა ოთახისკენ რომ გაუხვიეს, მამამ თავი ჩემკენ გადმოხარა და საქმიანად წამჩურჩულა, — ანანოს ძველ სასაფლაოზე ვმარხავთ, მშობლების გვერდითო. ეს უკვე ვიცოდი, გუშინ უფრო ბუნებრივ გარემოში მითხრა. ახლა რაღაცისთვის დასჭირდა, რომ მე მომჩვენებოდა, ვითომ საფლავზე ფიქრით იყო გართული. მე კი სწორედ ამ დროს ვფიქრობდი, — როგორც კი თბილისში ჩავალ, ქალბატონ მარიამს ვეახლები და ვეტყვი: თქვენი ბიბლიოთეკის კატალოგი მხოლოდ მე უნდა შევადგინო, გინდაც ამისთვის ორი წელი დამჭირდეს-მეთქი.

დედაკაცებმა ოთახი დატოვეთო, — გავიგონე ფიდო კვალიაშვილის ხმა და მივხვდი, დაკრძალვის დრო დამდგარიყო. ქალებს ოთახი დაატოვებინეს და ჩვენ შევედით, მამაკაცები. ოთახის კარი მივხურეთ, კუბო ავწიეთ და სამჯერ წაღმა და-

ვაბრუნეთ, მერე კარს ისევ წინა მხრით სამჯერ მივახეთქეთ, კარი ისევ გავაღეთ და ანანო გარეთ გავასვენეთ.

მთელი გზა თოვდა.

უკან დავტოვეთ ჩვენი სახლი, ჭიშკარი, ორღობე და სასაფლაოსკენ აღმართს შევუდექით. ეს აღმართი ყოველთვის ეკლესიის გზა მეგონა, არასოდეს მიფიქრია თუ სასაფლაოსიც იყო. სიარული ჭირდა, თოვლზე ფეხს ვერ ვიკიდებდით, სხლტებოდა, სრიალებდა, მაგრამ ნელ-ნელა მივიწევდით წინ, აღმა-აღმა, სულ ზევით, ზევით — ეკლესიის გალავნისაკენ...

თბილისში მარტო დავბრუნდი. მამა დარჩა, — აქაურობას უპატრონოდ ვერ დავაგდებ, სასაფლაოსაც მივხედავ და მერმე წამოვალო. პირველი ღამე მძიმე და დამთრგუნველი იყო. ჯერ მატარებელში ვერ მოვნახე დასაჯდომი ადგილი, ფეხზე მდგარმა ვიმგზავრე თბილისიდან თელავამდე, აქაც არ დავმჯდარვარ და არ დამიძინია. გამოფიტული ხან აივანზე, ხანაც ოთახიდან ოთახში დავდიოდი. ყინავდა. შუა ოთახის, სადაც ანანო ესვენა, კარიცა და ფანჯრებიც ღია იყო. ხალხის მიმოსვლა მთელი ღამე არ შეწყვეტილა, ვინ მიდიოდა და ვინ მოდიოდა, უკვე ვეღარა ვცნობდი. მომსვლელები მამაჩემსა და ფიდო კვალიაშვილს ეთათბირებოდნენ, ხვალინდელ დასაფლავების საკითხებს წყვეტდნენ, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მთელი სოფელი ჩვენთან ერთად ათევდა ღამეს.

დასაფლავებაზე, მერმე ქელეხზე მთელმა სოფელმა დასდო პატივი ანანოს, ზემო და ქვემო აივანი, ყველა ოთახი ხალხით იყო გაჭედილი. ზედმეტი სიტყვა არავის წამოსცდენია, არც ღვინო შეუსვამს ვისმე ზომაზე მეტი, ყველაფერი წესიერად და ზომიერად ჩატარდა და ამითაც იგრძნობოდა, სოფელს ანანო უყვარდა და პატივსა სცემდა. სამაგიეროდ მეც ერთი წუთით არ ჩამოვმჯდარვარ, ავრბოდი და ჩამოვრბოდი კიბეზე. ოთახებშიც ვტრიალებდი,—სუფრას რამე არ დააკლდეს-მეთქი. საღამოს უკვე მთელი სხეული დამიბუქდა და დამიმძიმდა... თავიც მიბრუოდა...

მეზობლებმა ღამის გასათევი შემოგვთავაზეს, — ჩვენთან დაისვენეთ, ამაღამ აქ რა გაგაძლებინებთო. მამამ უარით გაისტუმრა და საქმე მართლა გაძლებაზე მიდგა. სახელდახელოდ მიალაგეს იქაურობა, — დანარჩენი ხვალო, მერმე წავიდნენ, გაიკრიფნენ და უანანო სახლში მარტო დავრჩით მე და მამაჩე-

მი. ორივეს პალტოები გვეცვა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი უბრად ვაწყდებოდით კედლიდან კედელს. მამამ რამდენჯერმე ახსენა ფიდო კვალიაშვილი, — ეს ვინ ყოფილა, კაცობა მაგან თქვასო. მეც დამამახსოვრდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ეგ თავკაცობდა, ეგ მიდი-მოდიოდა, იმ მძიმე დღეებმა მაგის ზურგზე გადაიარა. მე კი ვფიქრობდი, — რახან თავმჯდომარეა, ალბათ ევალება-მეთქი, მაგრამ მთლად ეგრე არ ყოფილა საქმე.

ყველაზე მტანჯველი გრძნობა მაინც ის იყო, რომ სულ მეგონა, ანანო კი არა, სხვა ვიღაც დავასაფლავეთ. ნაბიჯების ხმა მომეყურებოდა ხოლმე და კარის შემოღებას ველოდებოდი. ხომ ვიცოდი, სმენა რომ მატყუებდა, ანანოს აკი ჩემი ხელით მივაყარე მიწა, მიუხედავად ამისა, ვიძაბებოდი, თითქოს ვცდილობდი ნაბიჯების ხმა ისევ გამეგონა, თვალიც სულ კარისკენ მეჭირა. ეს უსაგნო, გამოგონილი მოლოდინი მთრგუნავდა და გულს შიგნიდან მიღრღნიდა.

რაღაცნაირად არ მესიამოვნა, ფოსტალიონმა ჩამოსვლისთანავე რომ მითხრა, — თავი ჯავრს შეაჭმევინაო. საგანგებოდ გულში ჩამარხული და ჩაკეტილი მეგონა ანანოს ამბავი და პირველმავე შემხვედრმა მომახალა, — ჯავრს შეაჭმევინა თავიო... რა უცნაური და რამდენის მთქმელია: ჯავრს თავი შეაჭმევინა... რას გამოაპარებ სოფელს, სოფელმა ყველაფერი იცის! შენ კი თურმე საგულდაგულოდ მალავდი, არ ამხელდი და შენს განუმეორებელ სიცოცხლეს საკუთარ ჯავრს აჭმევინებდი...

მამა ბორგავდა და შფოთავდა, თუმცა გარეგნულად არ იშჩნევდა, წუხდა, რაღაც ვერ მოენელებინა და არც მეუბნებოდა. ვიცოდი მამაჩემის ხასიათი, ასე დიდხანს ვერ გაძლებდა, იტყოდა, არ დამალავდა, დააპირა კიდეც თქმა, — რატომ ვიკლავთ თავს, ვითომ ის არ კმარა სხვები რომ გვხოცავენო... მაგრამ სათქმელი ვერ დაასრულა, ოთახში ჩემი თანაკლასელები შემოვიდნენ, ორნი — თეთრი ნიკა და შავი ნიკა, ერთი ქერა იყო, მეორე — შავგვრემანი და განსასხვავებლად ასევე შეარქვეს. „თეთრი" და „შავი". გარეთ ძაღლი არ გაიგდებაო, — თქვეს შეცივებულებმა და დათოვლილებმა, თოვლი ღუმელთან ჩამოიბერტყეს, გაყინული ფეხები ააბაკუნეს. მამაჩემი თითქოს ამათ მოსვლას ელოდებოდა, ქუდი დაიხურა და

წავიდა. მეზობლებში გადავალ და მალე დავბრუნდებიო, — დაიბარა. ვისთან, რომელ მეზობელთან გადავიდა, არ ვიცი, ოღონდ ვისაც მიაკითხა, იქ ღამე გაათია, დილამდე არ გამოჩენილა.

ბიჭების მოსვლა გულით გამიხარდა. ესენი დასაფლავებაზეც იყვნენ, გუშინწინაც მომისამძიმრეს და მაინც მოვიდნენ. ექვს თვეზე მეტია, არ მენახა. ამ ექვს თვეში საკმაოდ გამოცვლილნი მეჩვენენ, თითქოს დავაკაცებულიყვნენ, ყოველ შემთხვევაში მოსწავლის იერი აღარ ჰქონდათ. შენც გამოცვლილხარო, — მითხრეს, — ისევ ქალაქის ფერი დაგდებიაო... როგორ ცხოვრობო, სად სწავლობო? ბოლოს ზიზი გაიხსენეს,— ვიცით, ისიც მოეწყო უმაღლესში და კარგადაც სწავლობსო. ერთმანეთს ალბათ ყოველდღე ხვდებითო. ხომ არ იცი, რატომ არ ჩამოვიდაო... ბედნიერი, ოდნავ დამორცხვებული ღიმილით შემომცქეროდნენ და უცებ გამახსენდა, რომ ორივე ნიკას გაუმხელელი, უიმედო სიყვარულით უყვარდა ზიზი. როცა ვუთხარი, — ზიზი მხოლოდ ერთხელ ვნახე-მეთქი, არ დამიჯერეს. ათასი ტყუილისა და მართალის თქმა დამჭირდა, რომ დამეჯერებინა, თუ რა მიზეზის გამო ვერ ვნახე ერთხელს მეტად, ამაოდ დავიხარჯე, ისეთი ღიმილით წავიდნენ, თითქოს კეთილად ვატყუებდი, თითქოს გავუფრთხილდი, რათა ჩემი და ზიზის ყოველდღიური შეხვედრებისა და დროსტარების გამო გული არ დასწყვეტოდათ. მხოლოდ ორივე ნიკას წასვლის შემდეგ დავფიქრდი და მეწყინა კიდეც, — რატომ არ ჩამოვიდა ანანოს დაკრძალვაზე, დავიჯერო, დედამისმა არ შეატყობინა-მეთქი? შეუძლებელია, უსათუოდ გაუგზავნიდა დეპეშას.

მამაჩემს სკამზე მითვლემილი დავხვდი, შეციებული და გამოფიტული, ვერც კი გავიგე, როგორ ჩაქრა ღუმელი. რატომღაც ანანო გამახსენდა, ამ ექვსი თვის წინ შუალამით აივანზე ვიდექით და მაშინ თქვა: „გათენებამდე დიდი დროაო". მამა ისევ საქმიანად შემოვიდა, როგორც გავიდა, თითქოს დრო არ იყო გასული, ერთი წუთით გადგა ფეხი გარეთ და ისევ შემობრუნდა. მაგრამ მე უკვე აღარ განვიცდიდი, აღარ მაწუხებდა მისი „მოულოდნელი გაქრობა", პირიქით, მომწონდა კიდეც ეს დაუცხრომლობა და დაუშრეტელი ენერგია. ერთი რამ ნათელი იყო ჩემთვის, სოფელში უფრო კარგად და თა-

ვისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე თბილისში. იქ შებრჭილი, შეზღუდული და თავშეკავებული მეჩვენებოდა.

— ხედავ, რა დღეში ჩაგვყარა ანანომ, — შემოსვლისთანავე მითხრა სინანულით. — გაჰყოლოდა ცოლად ამ ფიდო კვალიაშვილს, ვიღაცის გულისთვის თავი რომ მოიკლა.

— რატომ უნდა გაჰყოლოდა ფიდო კვალიაშვილს?! — უცებ გამოვფხიზლდი და გამოვცოცხლდი, ეს ამბავი ჩემთვის აღმოჩენასავით იყო.

— რატომ? — მამაჩემი ოთახიდან გავიდა, სამკუთხედი წერილების რამდენიმე შეკვრა შემოიტანა და მაგიდაზე დაყარა— აი ამიტომ! აქ ორმოცზე მეტი წერილია. სულ ფრონტიდან გამოგზავნილი... გაიგე, რა მოხდა? გაჰყოლოდა, თვითონაც ცოცხალი იქნებოდა, დაწვრილშვილებული, ბედნიერი და ჩვენც მოვისვენებდით. არაო, არ მინდაო! აჰა, თუ არ გინდა... ის კაციც უცოლშვილოდ ბერდება.

— იქნებ არ უნდოდა.

— მაშ, რა უნდოდა, ესა?

— რახან ასე მოხდა...

— შენც კარგი ვინმე ხარ!.. ის უყვარდა, არა ვიღაც, სოფელს შემოხიზნული?

მეგონა, რაც ანანოს ეხებოდა, ყველაფერი ვიცოდი, თითქოს არაფერს მიმალავდა. მაგრამ ეს ფიდო კვალიაშვილი... ეტყობა, მნიშვნელობას არ ანიჭებდა, თორემ რაღაცას უსათუოდ მეტყოდა ან მიმანიშნებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას რომ იჩენდა თავმჯდომარე ჩვენდამი, ვხედავდი, შეშით და ზოგჯერ ჭირნახულითაც გვამარაგებდა, ერთხელ ფეხსაცმელებიც მაჩუქა... ანანოს ხასიათი კარგად მახსოვდა და წესით, ეს საჩუქრები არ უნდა მიეღო, თუმცა... იქნებ არ იყო საჩუქარი... ფიდო კვალიაშვილი... მე ისიც კი არ ვიცოდი, რომ ნაფრონტალი იყო, არათუ ეს წერილები...

— რა ეშველება ახლა აქაურობას, ჩვენს სახლს, ვენახს, ვის ჭირად უნდა გახდეს?!

მამა ისევ ბობოქრობდა, მე ვხედებოდი, რისთვისაც შფოთავდა და გუნებაში გავიფიქრე, — ეს არ არის ის ლაპარაკი, რომელიც ამ სახლზე ერთხელ და საბოლოოდ უნდა გაიმართოს მეთქი. ჩვენს სახლს ანანომ დიდი ხნის წინათ გამოუტანა განაჩენი და მე უკვე დარწმუნებული ვიყავი, მისი ნათქვამი

ახდებოდა. მამაჩემი გულიანი კაცი იყო და, რა თქმა უნდა, აქაურობის ბედიც აწუხებდა, მაგრამ ამჯერად იმასაც ცდილობდა, რომ მე მეფიქრა, ვითომ საიდანაც ახლა მოვიდა, იქაც მხოლოდ ამაზე ფიქრობდა და წუხდა. იმ დღესვე გამომისტუმრა თბილისში და თვითონ გასაგები მიზეზის გამო დარჩა, ჩვენი სახლისთვისაც, ანანოს საფლავისთვისაც უნდა შიეხედა.

მატარებელში გამახსენდა, ილოს ბალღები არც პანაშვიდზე, არც დასაფლავების დღეს, არც მერმე გამოჩენილან, გული დამწყდა, რომ ვერ ვნახე.

დურმიშხანმა თბილისში ჩამოსვლა არ მაცალა, იშავე დღეს გამომეცხადა და ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე მითხრა — ინსტიტუტიდან გაგრიცხესო. კაცმა რომ თქვას, ინსტიტუტისათვის თავი კარგა ხნის დანებებული შქონდა, არცერთი საგანი არ ჩამითვლია და არც გამოცდა ჩამიბარებია, მაგრამ მაინც მეწყინა. ამ ცნობამ როგორღაც შემაკრთო და ცუდი გრძნობა დამიტოვა. ნეტავი საბუთების გამოტანა მომესწრო-მეთქი, — გავიფიქრე. დურმიშხანი გულწრფელად ღელავდა, გამოსავალს თუ საშველს ეძებდა, ინსტიტუტში აღდგენის ვარიანტი შემომთავაზა, ვიღაც გავლენიანი პირები ახსენა, — ამათთან მივიდეთო, თან ფრთხილად შემომაპარა — იცოდე, ამ საქმეში ლამარას მამის ხელი ურევიაო. მე არ დავუჯერე. კიო, — მარწმუნებდა, — ეგ რომ არა, ერთხელ მაინც დაგიბარებდნენ და გაგაფრთხილებდნენო. თავის დროზე რომ მისულიყავი და ბოდიში მოგეხადა, არაფერი მოხდებოდაო. დურმიშხანს შეწუხებისათვის მადლობა მოვახსენე და ისიც დავძინე, — ინსტიტუში დაბრუნებას არც ვაპირებდი-მეთქი. დურმიშხანი გაგიჟდა, არ დამიჯერა, ოთახში გაიარ-გამოიარა და გაშტერებული მომაჩერდა.

— როგორ, შენი შესაძლებლობის კაცი ინსტიტუტს ანებებ თავს?

— კი, უნივერსიტეტში უნდა გადავიდე.

— უნივერსიტეტში? მასწავლებელი გინდა გამოხვიდე?!

— ვნახო, რაც გამოვალ, ის გამოვალ.

— აუ, რა გიჟია!

— რაცა ვარ, ესა ვარ. — გავუცინე.

— მეგონა, ცოტას მეც მომეხმარებოდი, ხელს წამიკრავდი... ბიჭო, ეგეთი რამე არ გამიგია, იცი, რა ჭაობში მიდიხარ?!

— ვიცი.

— გეოდეზიაში შენი იმედი მქონდა, რა მეშველება?!

მეორე დღეს საბუთები გამოვიტანე და პირდაპირ ქალბატონ მარიამს მივაშურე, გულდაწყვეტილი მივდიოდი, მაინც არ მეგონა, საბუთებს ასე უმტკივნეულოდ თუ გამომტანდნენ, სიტყვა არავის დასცდენია, — რა მოხდა, ასეთი რამ როგორ დაგემართაო. ცივად, უსიტყვოდ გამომისტუმრეს, დურმიშხანის გარდა არავის დაწყვეტია გული. არა უშავს რა. ისეთი კაცია, ცხოვრებაში არ დაიკარგება, სხვას მონახავს, სხვა წაუკრავს ხელს და ჩააბარებინებს საგანს...

ქალბატონმა მარიამმა თავისი ბიბლიოთეკის კარი გამიღო და შემიშვა.

— არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ეს კარი რომ არ გაეღოთ ჩემთვის...

მაგრამ მე მაინც ზიზის მონაყოლით შექმნილი თავდაპირველი შთაბეჭდილების ძონძები მქონდა სულში ჩარჩენილი. ერთი თვე ძალზე გამიჭირდა, თუმცა სწრაფად ავითვისე ბიბლიოთეკარის პროფესია, კალმისტრით, მელნით, რვეულებით მომარაგებული ვიყავი და მონდომებითაც შევუდექი საქმეს. დაუსრულებლად მეორდებოდა ერთი და იგივე: გადმოიღე წიგნი, ჩვრით გაწმინდე, მტვერი მოაშორე, მერმე ამოიწერე ავტორის გვარი, სათაური, გამოცემის დრო და ადგილი, გამომცემელი... წიგნი ისევ დააბრუნე თავის ადგილზე... შემდეგ მეორე წიგნი გადმოიღე, შემდეგ მასამე, მეოთხე, მეხუთე და ასე გაუთავებლად...

რეგულარულად დავდიოდი, ყოველდღე, როგორც სამსახურში, ასე ბეჯითად ინსტიტუტში არ მივლია, რახან გადავწყვიტე და ვთქვი, ამ სამუშაოზე უარს აღარ ვიტყოდი, თუმცა გულში პროტესტის მაგვარი რაღაც მაინც ილექებოდა. ზიზის ამბოხებასა და გაქცევას ახლა თითქოს გავუგე და შინაგანად უფრო დავუჯერე. ერთი თვის შემდეგ ჩემი ნამოღვაწარი რომ ვუჩვენე, ქალბატონი მარიამი გაოცდა, — ამდენი როგორ შესძელითო. გუნებაში გამეღიმა, — მაქეზებს-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი.

— ოზო, — მითხრა ქალბატონმა მარიამმა, — თქვენ აქ შავ მუშად კი არ მყავხართ დაქირავებული, ასე თუ განაგრძეთ, ბიბლიოთეკას აღარ მიგაკარებთ. მე მირჩევნია, აქედან წა-

იღოთ უფრო მეტი, ვიდრე დატოვოთ. აბა, თქვით ამ ერთ თვეში რა წაიკითხეთ?

არაფერი. მე კეთილსინდისიერად ვავსებდი რვეულებს და აზრადაც არ მომსვლია, რამე თუ უნდა წამეკითხა.

— წიგნს რომ გადმოიღებთ, ავტორსა და სათაურს წაიკითხავთ, წიგნსაც ჩახედეთ, გეთაყვა, გადაფურცლეთ, იქნებ დაინტერესდეთ. თუ დაინტერესრდით... მაშინ... თქვენ რა, მარტო ყდებს ათვალიერებდით?! ღმერთო ჩემო, გაგონილა წიგნთან ასეთი დამოკიდებულება! — უცებ აღშფოთდა ქალბატონი მარიამი, მერმე ცოტა ხანს ჩაფიქრდა, — ხუთი წელია, აქ არავინ შემოსულა და წიგნი არ წაუკითხავს... მე გული მტკივა. მე არ შემიძლია ამის გაძლება... ჩემო კარგო, ბიბლიოთეკაში შეხვედით და წიგნი არ წაიკითხეთ?!

ვერაფერი ვუპასუხე, ან რა უნდა მეპასუხა?

ფანჯარასთან პატარა, ოთხკუთხედი მაგიდა იდგა, იქ მიმაქონდა წიგნები და ვმუშაობდი. მშვენიერი მყუდრო ადგილი იყო, თუ დავიღლებოდი, მთაწმინდის ფერდობებს გავყურებდი ან მტკვარს: მარცხნივ მუხრანის დაკიდული ხიდი და მდინარის ნაწილი მოჩანდა, თავი ოდნავ უნდა გადაგეხარა და დაინახავდი. ამ მაგიდასთან ჯერ მისჯილივით ვიჯექი, მერმე თანდათან გამიტკბა ბიბლიოთეკაში ყოფნა. წიგნებს შეჩვევა და მორევივით ჩათრევა სცოდნია.

მამას ეგონა, ასე მუყაითად ინსტიტუტში დავდიოდი, დაიმედებული იყო, — რახან კარგად სწავლობს, კარგი ინჟინერიც დადგებაო. ჩემი საიდუმლო მანამდე არ გამიმხელია, სანამ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები არ ჩავაბარე. ისე კი უკვირდა, მთელი გაზაფხული თბილისში რომ დავრჩი და დასასვენებლად გამგზავრება არ ვინდომე. ბოლოს ხელები გაშალა, — კარგი, თუ ეგრე გინდა, ეგრე იყოსო. შევატყე, ინსტიტუტიდან ჩემი უნივერსიტეტში გადაბარგება გულზე მოხვდა, ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა, საქმეს არაფერი ეშველებოდა და უკან ვეღარ დამაბრუნებდა. იმედგაცრუებული შემომცქეროდა, ერთადერთ შვილს ტექნიკური განათლება ვერ ჩიმაღებინა.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგაც არ შემიწყვეტია ქალბატონ მარიამის ბიბლიოთეკაში სიარული, დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ხომ ვერ მივატოვებდი. სექტემბრამდე ოთხი ათასი

წიგნი აღვნუსხე. ჩემი ვარაუდით ეს მთელი ბიბლიოთეკის ერთი მესამედი იყო. ქალბატონი მარიამის მეზობლებიც გავიცანი. უფრო იმათ მოინდომეს ჩემი გაცნობა. ცნობისწადილი აწვალებდათ, ვერ ისვენებდნენ, ერთი სული ჰქონდათ გაეგოთ რისთვის დავდიოდი, რა მესაქმებოდა ამ დედაბერთან. დაცინვით კნეინა მარიამს ეძახდნენ. ეჯავრებოდათო, — ვერ ვიტყვი, მაგრამ არც გულზე ეხატებოდათ. მაგის ხნისა რიყეზე ქვაც არ გორავსო... ეგ მამაცხონებული მალე ასს მიუკაკუნებს და ერთი შეხედეთ, ჩიტივით არ დაფრინავსო... ყველაზე მეტად მაინც ბიბლიოთეკა აღელვებდათ, — ათ-ათი სული თავგვის სოროებში ვცხოვრობთ, მაგას კი იმოდენა დარბაზი ცარიელი აქვსო... ბიბლიოთეკა ცარიელ ოთახად მიაჩნდათ. ქალბატონ მარიამს კი თითქოს მყარი, ხმაგაუმტარი გარსი ჰქონდა შემოკრული, იმ გარსში ეს ხმები არ აღწევდა. არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა და ყოველ საღამოს ნეტარი ღიმილით აღბეჭდილი გარდასულ დღეებს იგონებდა, ზუსტად ახსოვდა, ვინ როდის მოვიდა, ვინ რა წიგნი სთხოვა და რა დრო დასჭირდა იმ წიგნის წასაკითხად. ქალბატონი მარიამი იქ ცხოვრობდა, იმით სულდგმულობდა.

ზუსტად წელიწადნახევარი — თვრამეტი თვე მოვანდომე ქალბატონ მარიამის წიგნების აღნუსხვას, ანუ ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენას. ორმოცდაშვიდი წლის ივნისის დამდეგისათვის საქმე მოთავებული მქონდა. ენციკლოპედიების ჩათვლით ბიბლიოთეკაში თერთმეტიათას ას სამოცდათექვსმეტი წიგნი და ჟურნალი აღმოჩნდა. მე კი ამ დროის მანძილზე უამრავი წიგნის წაკითხვა და გადაკითხვა მოვახერხე, რაღაც-რაღაცები ამოვიწერე და ჩავინიშნე კიდეც. ბიბლიოთეკის აღწერას გაცილებით ადრე მოვათავებდი, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლას დიდი დრო მიჰქონდა, ზოგჯერ კვირა ისე გავიდოდა, ბიბლიოთეკაში ერთხელაც არ შევიხედავდი, ზოგჯერ კითხვა გამიტაცებდა და დღე თვალსა და ხელს შუა გამეპარებოდა. ამხანაგებთან ერთად ქუჩაში უსაქმოდ დგომა-ხეტიალიც, დაბადების დღეებზე, კინოსა და „დინამოს“ სტადიონზე სიარულიც თავისას მოითხოვდა. უამისოდ რა აზრი ჰქონდა ცხოვრებას?!

მე არ ვიცოდი, როგორ გაფორმდებოდა ბიბლიოთეკის გადაცემა უნივერსიტეტისათვის. ქალბატონი მარიამი ამბობდა,—

ეს ყველაფერი ნოტარიალური წესით უნდა გაფორმდესო. წარმოდგენა არ მქონდა, ჩვენს დროშიც თუ არსებობდნენ ნოტარიუსები, ისინი ფრანგული რომანების აუცილებელი პერსონაჟები მეგონა. ქალბატონი მარიამი თავიდანვე მეუბნებოდა, — არ მეჩქარება, ანდერძის გადაცემას ყოველთვის მოვასწრებო, არც ჩქარობდა... საქმის ეს მხარე უკვე მე არ მეხებოდა და ვერც ვუბედავდი მეკითხა, — ანდერძი ნოტარიული წესით გააფორმეთ თუ არ გააფორმეთ-მეთქი.

ასე იყო, თუ ისე, მე მაინც ზიზის კმაყოფილი ვიყავი, ეს მშვენიერი ქალბატონი რომ გამაცნო, ზიზის ვემადლიერებოდი და ვგრძნობდი, მენატრებოდა, სალაპარაკოც დამიგროვდა, მაგრამ ვერა და ვერ შევხვდი. სად იყო, რას საქმიანობდა, როგორ ცხოვრობდა? თუმცა ხანდახან, უფრო იშვიათად, ვიდრე მაშინ, აქეთ-იქიდან მაინც მესმოდა, — შენი ნათესავი გოგო გავიცანიო... მე საბოლოოდ შევურიგდი და შევეთვისე ზიზის ნათესაობას. ოღონდ რაღაცნაირად სინდისი მქენჯნიდა, უყურადღებოდ რომ მივატოვე, თუმცა რა, ამოდენა ქალაქში ქუჩა-ქუჩა სად მეძებნა? სექტემბრის შუა რიცხვებში თეატრალურ ინსტიტუტში მივედი, მოვიკითხე, ასეთი სტუდენტი არცა გვყოლია და არცა გვყავსო, — მიპასუხეს, ერთხელ რუსთაველის თეატრში დავესწარი პრემიერას, მეორედ — მარჯანიშვილში,— იქნებ ზიზის აქ მაინც წავაწყდე-მეთქი. არადა, ისეთი წინათგრძნობით მივდიოდი სპექტაკლებზე, ვფიქრობდი, დღეს უსათუოდ შემხვდება-მეთქი.

მამაჩემი ერთთავად მკიცხავდა და უსულგულობას მწამებდა, — სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს, რა გახდა იმ გოგოს მონახვა, თუ მოვინდომე, ხვალვე აქ მოგგვრიო! მოინდომა, ძალიანაც მოინდომა, მაგრამ ტყუილად გაისარჯა, მაინც მე მსაყვედურობდა, მე მაბრალებდა ზიზის უგზო-უკვლოდ დაკარგვასა თუ გაქრობას.

— გამოეგზავნა დედამისს მისამართი და ვიპოვიდი, ქუჩა-ქუჩა სად ვიხეტიალო, — ვთქვი გაბრაზებულმა.

— იცის, რო...

— არც იმან იცის?

— არა... საქმეც ეგ არის, რომ არ იცის და გაგიქებულიას! — პათეტიკური თანაგრძნობით წარმოსთქვა მამაჩემმა, მერმე დაეპვდა, — ბიჭო, იქნებ ის გოგო არც არის ქალაქში?!

ზიზის ხმა ამის შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ მომწვდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ზიზი ქალაქში იყო. მაგრამ თანდათან ის კანტი-კუნტი ხმებიც მიწყდა, ბოლოს სულ გაქრა და დაინთქა. მიუხედავად ამისა, ზიზის ბედი არც ახლა მაღელვებდა, მე ისევ მჯეროდა, ზიზი არ დაიკარგებოდა, თვითონვე ჩამინერგა ეს რწმენა და მიხაროდა, ვითომ შენიღბული ირონიით რომ აღარ მეუბნებოდნენ, — შენი ნათესავი გოგონა გავიცანი, ასე ცეკვავდა და ისე მღეროდა, ანდა ტარზანივით ყვიროდაო (მაინც რა აყვირებდა ტარზანივით ამ გადარეულს?!). ალბათ გონს მოეგო, დამშვიდდა, საეჭვო ოჯახურ პურ-მარილებსა და დროსტარებას თავი დააღწია. საზაფხულო სესიების შემდეგ სოფელში ვაპირებდი წასვლას და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ზიზის იქ ვნახავდი.

მე სულ სხვა რამ მაწუხებდა. მამაჩემმა თანდათან შემაჩვია იმ აზრს, რომ ჩვენი სახლი დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ უნდა გაყიდულიყო. ანანომ იცოდა, რაც მოხდებოდა და ადრევე მიწინასწარმეტყველა ყველაფერი, მაგრამ სახლის გაყიდვა, როგორც მამაჩემთან საუბრისას გავარკვიე, მართლა გარდაუვალი ყოფილა, მოკლედ და გასაგებად მითხრა, ვისაც უნდა სოფელში ედგას სახლი, იმან სოფელში უნდა იცხოროსო. ეს კანონია და ამ კანონს ვერავინ დაარღვევსო. თუ ასეა, რას იზამ, მაგრამ მე მაღიზიანებდა მამაჩემის შინაგანი კმაყოფილება იმის გამო, რომ არსებობდა ქვეყნად ისეთი კანონი, რომელიც თითქოს დაბორკილ ხელ-ფეხს უხსნიდა და რაღაც ვალდებულებებისაგან სამუდამოდ ათავისუფლებდა. მაშინ ვთხოვე, იქნებ ეს ზაფხული სოფელში გავატაროთ და მერმე გავყიდოთ-მეთქი. გაეცინა, — იმ სახლის გაყიდვა ეგრე იოლი არ არის, სოფელში არ მეგულება კაცი, რომელიც ანანოს სახლს იყიდისო. მაშ, რა უნდა ჰქნა-მეთქი. მყიდველი სხვა სოფელში უნდა ვეძებოთო. ბოლოს ხმამაღლა წამოსცდა,— ღმერთმა ჰქნას, გაიყიდოს, იქნებ ცოტა ხანს ადამიანურად ვიცხოვროთო.

ზაფხულის სესიები დროზე მოვითავე და სოფელში გასამგზავრებლად მოვემზადე. ქალბატონ მარიამთანაც წავედი, მინდოდა გამეგო, რა ჰქნა, გააფორმა, თუ არა ანდერძი, ანდა როდის აპირებდა გაფორმებასა და უნივერსიტეტისათვის გადაცემას. რა დასამალია, რახან ამ საქმისთვის მეც გავიღე პატარა

წვლილი, ისიც მინდოდა, გადაცემის აქტს დავსწრებოდი, მეწახა, და თუ საჭირო იქნებოდა, დავხმარებოდი კიდეც, ჩემზე კარგად ვინ იცოდა, სად რა წიგნი იდო.

ქუჩაში გამოსულს ლუკა შემხვდა და დამემგზავრა. ლუკა ჩვენს მახლობლად სხვა ეზოში ცხოვრობდა, თითქმის ერთი ასაკის ვიყავით და ომამდე ბავშვობა მტკვრის ნაპირზე გვქონდა გატარებული, ომის დროს მძიმე ცხოვრება გადაიტანა, მაგრამ გაჭირვებას გაუძლო და შარშან უნივერსიტეტში ჩააბარა მისაღები გამოცდები. ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა, განსაკუთრებით გოგოები იყვნენ ლუკათი აღფრთოვანებულები, ძალიან მოსწონდათ, თუმცა გარეგნობით მაინცა და მაინც არ გამოირჩეოდა, საშუალო ტანისა იყო, მოკლედ შეკრეჭილი რაღაცნაირად აჭრელებული თმა ჰქონდა. ალაგ—ქერა, ალაგ—წაბლისფერი, მუდამ დაფიქრებული იყო და გეჩვენებოდა, უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ამჟღავნებდა, ისე კი გასაოცარი მოსმენის უნარი ჰქონდა, ყურს დიდი ინტერესით გიგდებდა და სიტყვას არასოდეს გაწყვეტინებდა. ჩვენს დროში სად ნახავ ისეთ კაცს, გულისყურით გისმენდეს, თანაც წრფელად აინტერესებდეს, რას ლაპარაკობ, რას ამბობ.

გზაში ვუთხარი, სადაც მივდიოდი და გაგიჟდა, თითქოს არც დაიჯერა, რომ თბილისში ვიღაცას ასეთი მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ნეტავი მცოდნოდა, მეც მოგეხმარებოდიო,— სინანულით თავი გააქნია, გული დაწყდა, ასეთი იშვიათი შესაძლებლობა ხელიდან რომ გაუშვა. მერმე მოუსვენრად აწრიალდა, მაჩქარებდა, თითქოს ვეღარ ითმენდა, ახლავე, აქვე უნდოდა იმ წიგნების ნახვა, ხელის ხლება და დათვალიერება.

სწრაფად გავუხვიეთ პლატონის ქუჩისკენ.

ქალბატონი მარიამის ეზოს წინ პატარა ვიწრო ქუჩაზე უამრავი ხალხი საეჭვოდ ფუსფუსებდა. ახლოს რომ მივედით, დავინახეთ ვიღაცებს ეზოდან წიგნები ამოჰქონდათ, ვედროებით, ტაშტებით- სარეცხის ქვაბებით, ტომრებით, ბალიშის პირებით ეზიდებოდნენ და სადღაც მიარბენინებდნენ. ჯერ ვიფიქრე— ქალბატონ მარიამს ანდერძი გაუფორძებია და უნივერსიტეტს ნაანდერძევი მიაქვს-მეთქი, მაგრამ იქ რაც ხდებოდა, ანდერძის გადაცემა-მიღებას არ ჰგავდა. ჩქარობდნენ, შეშინებულებიც ჩანდნენ და დაფეთებულ თვალებს აცეცებდნენ, დავატყვე, საქმე მოსწრებაზე იყო. რა ხდება-მეთქი — ვკითხე მოხუც

ქალს, რომელმაც ერთხელ ეზოს ჭორებისა და ინტრიგების ხლართებში გამარკვია. კნეინა მარიამი დაიღუპაო, — მითხრ. სინანულით, — წუხელ ფაეტონი დასჯახებია და ადგილზეე გარდაცვლილაო, ჯერ არ მოუყვანიათ, მორგშია, პატრონი არა ჰყავდა მაგ უბედურსაო.

გული გამისკდა, სწრაფად მივედი კართან და ეზოს ჩავ-ხედე, ეზოში წიგნების ზვინი იდგა, ეგრევე ეყარა მიწაზე და ხალხი ესეოდა წიგნებს, ვედროებში, ტომრებში, ბალიშისპი-რებში ჩურთავდნენ განურჩევლად. ეს წიგნები ქალბატონ მა-რიამის შუშაბანდიდან კი არა, რაღომღაც მეზობლის ოთახი-დან გამოჰქონდათ და იქვე ჰყრიდნენ. ერთ წამში იმ ოთახ-თან გავჩნდი და, რას შვრებით-მეთქი, — ვიყვირე. ჩემთვის არავის მოუცლია, ბებრები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები, ბავშვები ერთმანეთში ირეოდნენ, შერბოდნენ და გამორბოდ-ნენ, დაუსრულებლად გამოჰქონდათ წიგნები.

ოთახშიც შევედი, სიღრმეში საკარედ გამონგრეულ კედ-ლიდან ქალბატონ მარიამის ბიბლიოთეკა გამოჩნდა: დალეწი-ლი თაროები, წიგნებით მოფენილი იატაკი, რომელზეც ხალხი დაურიდებლად დააბიჯებდა, გადი-გამოდიოდა. მერმე ბიბლი-ოთეკაში გადავინაცვლე, კალატოზს ქალბატონ მარიამის ოთა-ხიდან შემოსასვლელი კარი ჩამოეღო, გაეუქმებინა — აგურით ამოეგმანა და უკვე გაჯით ლესავდა. მხოლოდ მაშინ მომაქ-ციეს ყურადღება, როცა კიდევ ერთხელ ვიყვირე, — რას შვრე-ბით, ეს ხომ დანაშაულია-მეთქი! დანაშაულს გიჩვენებთო, — კინწისკვრით გამომისტუმრეს, სამმა დიდულვაშიანმა ახმახმა ერთდროულად წამავლო ქეჩოში ხელი და ჯერ ეზოდან, შემდეგ კი ქუჩიდანაც გამაძევა.

— გამაგებინე, რა ხდება?! — მკითხა შეშფოთებულმა ლუ-კამ, რომელმაც თავისი თვალით იხილა ჩემი სამარცხვინო გა-ძევება.

ვუთხარი, რაც ხდებოდა, რაც ნაწილობრივ ვიცოდი და რაშიც ახლა სახელდახელოდ გავერკვიე. ქალბატონ მარიამს წუხელ ეტლი (არც მანქანა, არც ტრამვაი, არც ტროლეიბუსი, მაინცდამაინც-ეტლი) დასჯახებია და გარდაცვლილა. ეს ამბა-ვი რომ შეუტყობინებიათ, მეზობელს, რომელიც ბიბლიოთე-კის მომიჯნავე ოთახში ცხოვრობდა, გამოუნგრევია კედელი და შესულა ბიბლიოთეკაში, ხოლო ის კარი, ბიბლიოთეკას

ქალბატონ მარიამის ოთახიდან რომ აკავშირებდა, აგურით სამუდამო ამოუშენებია. წიგნები? წიგნები ხელს უშლიდა და მოიშორა. ცხრასულიანი ოჯახია, აქედან ორი მოხუცია და ხუთი — ბავშვი, როგორც კი შეელენ გამოთავისუფლებულ ოთახში, იქიდან ვერავინ მოაცვლევინებს ფეხს, ხუთ ბავშვს ქუჩაში არავინ გამოუყრის...

ასე ვფიქრობდი მე.

წიგნები?

ვერ შეელია ქალბატონი მარიამი წიგნებს, როგორც წარსულს, როგორც გარდასულ დღეებს, ეს მისი ცხოვრება იყო. მე არ დამიბრკოლებია, არ შემიფერხებია, რაც ვიკისრე, შევუსრულე კიდეც, ნაბიჯის გადადგმაღა იყო საჭირო, ფორმალური მხარის შესრულება... იქნებ იმისიც ეშინოდა, — ანდერძის აღსრულებისთანავე მეზობლები ცარიელ ოთახს დაიკავებენო. დაეკავებინათ, სწორედ რომ უნდა დაეკავებინათ! რა მოხდებოდა, თვითონვე გამოეჭრა კედელი, ბავშვებისთვის გაეღო კარი?! მაგრამ... ეს „მაგრამ“ დიდი, მაღალი დუღაბის კედელია და ამ კედელში ნებაყოფლობით კარის გამოჭრა თითქმის შეუძლებელია.

ნოტარიული წესით უნივერსიტეტისთვის წიგნების გადაცემა ჩაიშალა.

წიგნები?

— ოზო, სად მიაქვთ ეს წიგნები?

— რა ვიცი, მიაქვთ... ალბათ — სახლებში... რატომ არ წაიღებენ, შენ გგონია, მაგათ არ იციან წიგნის ფასი? თუნდაც არ იცოდნენ, მუქთად იშოვეს და მიაქვთ, ახლა მაგათ ვინ შეაჩერებს, ვინ დააკავებს?..

— იქნებ ნაწილი მაინც გადაგვერჩინა!

— რატომ? რისთვის?

— თუ შესაძლებელია, იქნებ ჩვენც ამოგვერჩია...

— არა, ლუკა, მე მაგ წიგნებს ხელს აღარ ვახლებ.

— შენი ნებაა.

— ღმერთმა შეარგოთ! წაიღონ! ტაშტებით, ვედროებით, ტომრებით, რითაც უნდათ წაიღონ! წაიღონ! წაიღონ!

წიგნები?

უკვე აღარ მახსოვს, რა მოხდა, ხელმეორედ ეზოში როგორ

გავჩნდი, ალბათ წამით გონება დავკარგე, შევიშალე... გაგიჟებული ხალხს ვაკავებდი, ხელიდან წიგნებს ვტაცებდი, ვყვიროდი, ვბღაოდი, — სად მიგაქვთ, რა უფლებით მიგაქვთ, რას შერებით, თქვე ბარბაროსებო, ეს ხომ განძია-მეთქი! ახლა უკვე ყველა, დიდიან-პატარიანად დამესია, ყოველი მხრიდან მომცვივდნენ, დამიჭირეს, ხელები გადამიგრიხეს, მირტყეს... ამ ორომტრიალში თვალი კი მოვკარი ლუკას (კიბეზე ჩამორბოდა), მაგრამ მერმე ისევ აირია ყველაფერი, რადგან ხალხს ხელიდან დავუსხლტი და გაქცევა ვცადე. ისევ წამატანეს ხელი, დამბეგვეს, დამგრიხეს და ბურთივით ამისროლეს ეზოდან. ქუჩიდანაც გამაპანღურეს. გონს რომ მოვეგე, მე და ლუკა გაოფლილები, მტვრიანები მოედანთან სულს ვიბრუნებდით, შენობის კუთხესთან ვიდექით, იქ, სადაც პლატონის ქუჩა მოედანს უერთდება. ლუკა გალახულის ღიმილით შემომყურებდა, ისიც მაგრა იყო ნაბეგვი, ჩემთვის მარტო ცემა არ ეკმარებინათ, პერანგი მთლად შემოეფლითათ, მხრებსა და მკერდზე ძონძები მეკიდა. გულამომჯდარს ტირილი მინდოდა და ვერ ვტიროდი. შენობის კუთხეს მოფარებული ცალი თვალით გავცქეროდი ვიწრო, დაქანებულ ქუჩას, ხალხი ისევ ირეოდა, ისევ გარბოდნენ და გამორბოდნენ, გაჰქონდათ და გამოჰქონდათ... რაღაც გაუგებარი სიგიჟის მოწმე ვიყავი, არა მარტო მოწმე, დამარცხებული და გაბითურებული მონაწილეც ამ სიგიჟისა. რამოდენიმე წამით ამემღვრა მზერა, წინ ვერაფერს ვხედავდი, მერმე ჩვეულებრივად გამეწმინდებოდა... თავბრუ მეხვეოდა და ყოველი კუნთი მიცახცახებდა.

— წავიდეთ, — მითხრა ლუკამ.

— წამოვალ, ცოტა დამაცადე.

— არაფერი გამოგვივიდა, — ისევ გაიღიმა ლუკამ.

ლუკა მაწუხებდა, უცებ ვერ მივხვდი, ამ სიცხესა და ბუღში რატომ იდგა ასე ახლოს, რატომ ამეკრა და ამეტმასნა, ისედაც სული მეხუთებოდა. სულ დამავიწყდა, პერანგი რომ მთლად შემოფხრეწილი მქონდა ტანზე. თურმე მეფარებოდა,— ასეთი დახეულ-დაფლეთილი ხალხმა არ დაგინახოსო. სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას, წასვლამდე, კიდევ ერთხელ გავხედე ქუჩას, ქვაფენილზე უწესრიგოდ მიმოფანტულ წიგნებშორის ვიღაც მაღალი და გამხდარი მოხუცი იდგა, ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა და გულისყურით ჩასცქეროდა.

სირბილით გავიარეთ რამდენიმე პატარა ქუჩა და მარჯვნივ გავუხვიეთ, მტკვარზე ჩავედით, ნაპირ-ნაპირ ვამჯობინეთ შინ ჩასვლა. მანამდე ტანსაცმელი გავიხადეთ და მდინარეში შევეტოპეთ. წყალი აწეწილ სულსაც და ნერვებსაც ამშვიდებს და აწყნარებს.

ოფლი და მტვერი ჩამოვირეცხეთ. ჩემი დაფლეთილი პერანგი შორს მოვისროლე და მტკვარს გავატანე.

მართლაც, მდინარემ თითქოს დაგვამშვიდა, დაგვაწყნარა, მაგრამ მე და ლუკა რატომღაც ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით, დარცხვენილებს ვგავდით. წყალში მდგარნი დაყინებით მივჩერებოდით გალმა ნაპირს, სანაპიროს ბეტონის კედელს.

— დონ კიხოტს ჰგავდა ის მოხუცი. — თქვა ლუკამ.

— ვისა?

— ხომ გახსოვს, დონ კიხოტი რომ დგას და წიგნს კითხულობს...

თვალი უნებურად მარჯვნივ გამექცა, იქ, ხიდის ახლოს, პირდაპირ მდინარეზე აღმართული აგურის შენობის ერთ-ერთი ფანჯრიდან წყალში ცვიოდა წიგნები, ქაღალდები, ნაგავი, მტვერი... მივხვდი, ეს იყო ის ფანჯარა, საიდანაც თითქმის წელიწადნახევარი გავცქეროდი მთაწმინდის ფერდობებს, მტკვარს, მუხრანის ხიდს. ახლა ფანჯარა ღია იყო და მტკვარში იყრებოდა მორჩენილი, დაგლეჯილი და დაფურცლული წიგნები, რისი წაღებაც არავინ ინდომა. იყრებოდა მტვერთან, ნაგავთან ერთად, წიგნის ფურცლები ჰაერში იფანტებოდა, ფრიალ-ფრიალით ეშვებოდა დაბლა და ნელ-ნელა, ფრთხილად ეფინებოდა მდინარის ზედაპირს. ჩვენ მუხლამდე წყალში ვიდექით და გავცქეროდით, მტკვრის გლუვი ზედაპირი თითქმის მოფენილი იყო წიგნის სველი ფურცლებით. სწორედ ჩვენს წინ ჩქერი იწყებოდა და ჩვენამდე მოღწეული, მოტივტივე ფურცლები ჩქერში ინთქმებოდა... თავი ვეღარ შევიკავე და ცრემლი წამსკდა.

მე და ლუკა საღამომდე დავრჩით მტკვრის ნაპირზე.

მამამ სოფელში გამგზავრება განუსაზღვრელი ვადით გადამიდო. ჩემი ვარაუდით, წერილი მიიღო, თანაც ძალზე მნიშვნელოვანი. ის დღეები ცოტა აგზნებული მეჩვენებოდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა. მერმე მითხრა, — მგონი, გვეშველაო. ეს საშველი, როგორც გაირკვა, ჩვენი სახლის გაყიდვას ნიშნავდა. მე უკვე შინაგანად შევურიგდი, რადგან დამარწმუნეს და ვიცოდი, სახლი უსათუოდ უნდა გაყიდულიყო, სხვა გამოსავალი არ არსებობდა. მაინც შევახსენე ჩემი თხოვნა, — შემოდგომამდე ნუ გავყიდით-მეთქი, მაგრამ მამაჩემს მუშტრის დაკარგვა არ უნდოდა. ისე კი ვერ გაამტყუნებდი, სწორად მსჯელობდა,—იმ მამაცხონებულმა შემოდგომამდე თუ მოიცადა, არ მივეძალებიო, თუ ბრა და სხვა რა გზა მაქვს, უნდა მივცეო. როგორც კი ასეთი რამ მითხრა, მივხვდი, სახლი უკვე გაყიდული იყო და სოფელში ზაფხულის გატარება არ მეწერა. არც შევმცდარვარ, მამა გაემგზავრა და ერთ კვირაში უკან გახარებული და უზომოდ კმაყოფილი დაბრუნდა.

გული დამწყდა. უსათუოდ მეც უნდა წავყოლოდი, მით უმეტეს, წაყოლა თვითონ შემომთავაზა. არ ვქენი, რა ჭია შემიჯდა, არ ვიცი. ვითომ იმ სახლის გაყიდვას ვერ დავესწრებიმეთქი. სისულელეა. უბრალოდ დამეზარა. ვინანე, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მეკვირია არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ბევრი რამ გამკვირვებია და ბევრჯერ გავოცებულვარ კიდეც. არც მომწონს ისეთი კაცი, ვისაც ვითომ არაფერი უკვირს და აოცებს. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი დამმართნია, როცა მამაჩემმა მითხრა, — ჩვენი სახლი კარიაულებმა იყიდესო. გაკვირვებისაგან თავზარი დამეცა, გავხევდი და ყურებმა წივილი დამიწყო, ვიფიქრე, — მომესმა-მეთქი.

— ჰო, ჩვენი სახლი კარიაულებმა იყიდეს! — გაიმეორა მამამ.

ჩემთვის ნამდვილად სულერთი იყო, ვინ იყიდდა ჩვენ სახლს, კარიაული თუ სხვა ვიღაც, მაგრამ მაინც შემაძრწუნა ამ ცნობამ. რატომ იყიდეს, რად უნდოდათ? იმათ გალავანშემორტყმულ სახლთან ჩვენი სახლი ხომ საცოდავ ქოხმახად გამოიყურებოდა. რატომ?.. რისთვის... ამაო იყო თავის მტვრე-

ვა. რამდენიც უნდა მეფიქრა, ვერ მივხვდებოდი. ამ საიდუმ-ლოს ვერ ამოვხსნიდი, ამისთვის არც ჭკუა მეყოფოდა, არც გამოცდილება და არც ეშმაკობა. მამაჩემმაც არ იცოდა, მგონი, ერთ-ერთ ქალიშვილს მზითვად უყიდაო, — ივარაუდა, მაგრამ რომელი როტშილდი ეგა მყავს, ქალიშვილს მზითვად სახლი გაატანოსო, — ესეცა თქვა.

ცოტა ხნის შემდეგ რაღაცნაირი მძიმე და ჩუმი სევდა შე-მომაწვა გულზე, ოთახში ვეღარ გავძელი და აივანზე გავედი, იქაც ცხელოდა. ივლისის ღრუბლიანი დღე იყო, ჰაერი — და-გუბებული და შედედებული, სუნთქვა ჭირდა. ყველაფრისათ-ვის თითქოს მზად ვიყავი, გარდუვალობაც გავითვალისწინე, მილიონჯერ ვუთხარი ჩემს თავს, — რას იზამ-მეთქი, მაგრამ საქ-მე საქმეზე რომ მიდგა, ვერ შევეგუე, ვერ შევურიგდი იმ აზრს, რომ ანანოს სახლი აღარ არსებობდა. მე და მამაჩემი კი ვამ-ბობდით, — ჩვენი სახლიო, მაგრამ რა ჩვენი სახლი ეგ იყო, ჩვენი რომ ყოფილიყო, ალბათ, არც დამწუდებოდა გული. ის იყო ანანოს სახლი და ანანოსთან ერთად წავიდა და გაქრა. არ მეგონა, ოდესმე ეს თუ მოხდებოდა, არ ვუჯერებდი არც ანა-ნოს და არც ჩემს წინათგრძნობას, სულში ვჩქმალავდი და ვა-ფუჩეჩებდი, სხვა გრძნობებით ვცვლიდი, უფრო იმედია-ნით, დამამშვიდებელ აბებივით ვყლაპავდი გონებაში წარმოდ-გენილ თუ გამოგონილ მომავლის ვარდისფერ გრძნობებს, ყვე-ლაფერი რიგზე იქნება-მეთქი, — გავიფიქრებდი და ყოველგვა-რი იქვისა და ტკივილისაგან თავისუფალი განვაგრძობდი გზას. ყველაფერი რიგზე იქნება...

აივანზე მდგარმა მდინარეს გადავხედე და გამახსენდა, რომ ბიბლიოთეკის დარბევის შემდეგ მტკვარს პირველად ვხედავ-დი. თავისთვის მიედინებოდა უშფოთველად, უდრტვინველად. მომწვანო ტალღებს თვალი აღმა ავაყოლე და მზერა ხიდთან, ნაპირიდან აღმართულ აგურის შენობაზე შევაჩერე. უკვე ვი-ცოდი და ადვილად მოვნახე ის ფანჯარა, საიდანაც თითქმის წელიწადნახევარი გავცქეროდი თბილისის ცას, მთაწმინდის ფერდობებს, ქალაქს, და საიდანაც ამ რამდენიმე დღის წინ დაუსრულებლად ცვივოდა დაფურცლული წიგნები თუ წიგ-ნის ფურცლები, ფრიალ-ფრიალით მდინარის ზედაპირს რომ ეფინებოდა. გული ახლაც შემიქანდა. იმ დღის გახსენება აღარ მინდოდა, მაგრამ თავს ვერ ვერეოდი. რა იყო ეს? შემზარავი

კოშმარი თუ ცხადზე უცხადესი სინამდვილე, რომელმაც შინაგანად დამარბია და დამწეწა? არა მარტო შინაგანად, მხოლოდ მეორე დღეს ვიგრძენი, რა მაგრად ვიყავი ნაცემი და ნაბეგვი. ჯანდაბას ჩემი თავი!

ქალბატონი მარიამი წავიდა და გაქრა დიდებული განძიც, ბიბლიოთეკა, რომელიც ალბათ მთელი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა. თითო-თითოდ მოდიოდა წიგნები პარიზიდან, ლონდონიდან, ბერლინიდან, პეტერბურგიდან, მოსკოვიდან... რა თქმა უნდა ამ ნაკადებს ქართული გამოცემებიც ემატებოდა. გაქრა ის ისტორიაც ის უიშვიათესი შეხვედრებიც, რაც ამ ბიბლიოთეკასთან, ამ წიგნებთან იყო დაკავშირებული. ჩვენს დაუდევრობას საზღვარი არა აქვს! სხვას თუმცა რას ვემართლები? განა მე თვითონ ცალი ყურით არ ვუსმენდი ქალბატონ მარიამს, როცა ის საღამოობით გასაოცარ ამბებს მიყვებოდა იმ ადამიანებზე, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოდიოდნენ და წიგნებით სარგებლობდნენ? გულისყურით უნდა მომესმინა, დამემახსოვრებინა, ჩამეწერა... სულელს მეგონა ხვალაც ასე იქნებოდა, მეგონა ყველაფერი რიგზე იყო და ასევე გაგრძელდებოდა.

აივნიდან შინ რომ შევბრუნდი, რატომღაც იოთამის ცხენები გამახსენდა, ალაზანში შეყრილი რემა, თავაწეული, კისერდაჭიმული თეთრი ბედაურები... სადღაც გორაკებში ჩაკარგული ნისლაურა... უცებ გულმა იქითკენ გამიწია და გამიკვირდა აქამდე ასეთი სურვილი რატომ არ გამიჩნდა-მეთქი. ერთხელაც არ მომნდომებია იქით გახედვა... სხვათა შორის, ისიც ვიფიქრე, რატომ მაინცდამაინც ახლა მომინდა იმ ადგილების მონახულება? თან ბუნდოვანი წარმოდგენაც არ მქონდა, დაახლოებით სად იყო, სად მდებარეობდა ნისლაურა.

გავიდა ორი დღე და ეს სურვილი უფრო გამიმძაფრდა. შეუპოვარი სიჯიუტით მეწეოდა და მექაჩებოდა, მოუთმენლობის თრთოლვით მავსებდა.

სურვილის განხორციელება ძნელი არ იყო, მაგრამ ამ ლტოლვის მიზეზთა აღმოჩენასაც ვცდილობდი. ეს ლტოლვა ჯერ ჩვენი სოფლით დაიწყო და ყველაფერი გასაგებად მესახებოდა. მერმე მოულოდნელად ნისლაურა ამოტივტივდა, ის გორაკები, ფერდობები, ალაზანი, თეთრი ცხენების რემა...

მერმე სივრცე თანდათან გაფართოვდა და მთელი მხარე მოიცვა... დავიბენი, ვერ გავერკვიე... ჩემი „ვნებათა ღელვანი“ ლუკას გავუმხილე და გავანდე, ლუკამ ნახევრად სახუმარო კილოთი მითხრა, — რა დიდი ამბავი ეგ არის, წავიდეთ, დავაცხროთ ეს „ვნებათა ღელვანიო“, ყველაფერი იქ გაირკვევაო, მხარი ამიბა, მეორე და მესამე დღეს გამგზავრებას უკვე თვითონ მაძალებდა.

მეგონა, ლუკას სიარული გაუჭირდებოდა, ჩემსავით ვერ ივლიდა, მაგრამ ჯანიანი და გამძლე გამოდგა, მომყვებოდა და მოჰქონდა თავისი დიდი ზურგჩანთა. ცოტას ლაპარაკობდა, თუმცა ვატყობდი, გაბრუებული და გაოგნებული იყო ყოველდღიური შთაბეჭდილებით.

თელავიდან შუა მთისკენ რომ გავუხვიეთ, მარჯვნივ, შორს, ატმისფერ ნისლებიდან ამოზრდილი კავკასიონი გამოიკვეთა. როცა მთებს გავცქეროდი, ვცდილობდი, თავი ისე დამეჭირა, ვითომ შევხვდი ძველისძველ ნაცნობს, რომელმაც ყოველდღიური შეხვედრებით თავი მომაბეზრა და ახლა მხოლოდ ის მაინტერესებდა, ლუკაზე რა შთაბეჭდილებას მოახდენს-მეთქი.

— შეიძლება კაცი გაგიჟდეს, — თქვა ლუკამ, — ალბათ ვერავინ დაარქმევს ამას სახელს.

— რა დარქმევა უნდა, ამას კავკასიონი ჰქვია, თანაც ძალიან დიდი ხანია.

— არა, აი, რას დაარქმევდი იმ განცდას, რომელიც კავკასიონის პირველად ნახვისას გეუფლება? თუ არა ვცდები, ტოლსტოიმაც ვერ მოუნახა ამას სახელი. გახსოვს ოლენინი, პირველად რომ დაინახავს კავკასიონის მთებს? აბა, თქვი, რას განიცდის: სიხარულს? აღტაცებას? შეშფოთებას? თავზარდაცემას? თუ რას?

მე არ მახსოვდა და არც შეიძლებოდა მხსომებოდა, რადგან ჯერ წაკითხული არ მქონდა ხს მოთხრობა, რომელსაც ლუკა გულისხმობდა და გავყუჩდი, ვერც ვაღიარე, — არ წამიკითხავს-მეთქი.

ის ღამე შუამთაში გავათიეთ, სამი დღე იყალთოსა და ალავერდს მოვანდომეთ, მერმე უკან მოვბრუნდით და ალაზანს გაღმა, გრემთან, დავბანაკდით, აქ ორიოდე დღე დავყავით, ყველაზე მეტად მდინარის პირას მოგვწონდა ღამისთე-

ვა, ცურვით გულს რომ ვიჯერებდით, ცეცხლს გავაჩაღებდით და ჩაის მოვადუღებდით, ხანდახან ვთევზაობდით. კიდეც. ლუკას ანკესები ჰქონდა წამოღებული. მერმე კინწის მოწყვეტამდე ვყვებოდით აქეთურსა და იქეთურს. მე ჩვენი სოფლისა და ანანოს ამბებს ვუყვებოდი, გაყუჩებული მისმენდა, არკი მისმენდა, თითქოს ნაამბობს მთელი არსებით ნთქამდა.

გრემიდან ისევ თელავს დავბრუნდით და წინანდლისკენ გავუყევით გზას. სულ ფეხით სიარული და ბარგის თრევა არ გვიხდებოდა, ზოგჯერ საბარგო მანქანა გაგვიყოლებდა, ზოგჯერ — ურემი, თუ ურემზე ჩვენი ადგილი არ მოიძებნებოდა, ბარგს დავუდებდით, ესეც დიდი შეღავათი იყო. თელავიდან წამოსულებმა ბოდბისხევის ბაზრობაზეც ამოვყავით თავი, ცხელ საჭმელს დანატრებულები ხინკალსა და მწვადს მივეძალეთ. მერმე საგზლითაც (დედას პური, ყველი, კიტრი, ვაშლი) მოვმარაგდით, დამატებით შევიძინეთ მატყლის წინდები და თუშური ჭუდები, კინკრიხოზე რომ ძლივს ჩამოგვაცვა იმ ქუდივით შავმა, თანაც გაქნილმა მექუდემ. კახეთში ქუდი ყველა თავს მოვარგე და, — ამბობდა სხვების გასაგონად, — ეგრე დამწიფებულებს ჯერ არ გადავწყდომივარო. ჩვენც შეგვრცხვა მოულოდნელად, ასე დიდთავიანები რომ აღმოვჩნდით, სასწრაფოდ გადავუხადეთ ფული და იქაურობას უხერხული ნაბიჯით გავეცალეთ, თავებს კისრებზე ძლივს ვიმაგრებდით.

აღმა-დაღმა ხეტიალში კიდევ ათი დამღლელი, მაგრამ სასიამოვნო დღე გავიდა. ღამე სადღაც ალაზნის პირას, თელიანში გავათენეთ და დილიდანვე სამზადისს შევუდექით. ცეცხლის გარშემო მიმოფანტული ნივთები მოვაგროვეთ და ზურგჩანთაში ჩავტენეთ. მზის ამოსვლამდე გვინდოდა გავდგომოდით გზას.

წუხელაც, დილითაც მოუსვენრად ვგრძნობდი თავს, რაღაც მაფორიაქებდა, თითქოს ამ ადგილებში ერთხელ უკვე ვიყავით. მდინარის ეს ნაპირიც, ეს თელებიც, თელებს ზემოთ პატარა გორაკებიც უკვე ნანახსა და განცდილს ჰგავდა. ნუთუ ისე დაგვებნა თავ-გზა, რომ ერთხელ ნამყოფ ადგილებს დავუბრუნდით-მეთქი, — ვფიქრობდი. ლუკა დაბეჯითებით ამბობდა, — სხვისი არ ვიცი და მე აქ პირველადა ვარო.

თელებს რომ ავცდით, ბორცვიდან გავხედე გორაკებს

ზემოთ გაშლილ მწვანე ფერდობს, რომლის იქით ტყით დაფარული მთები იწყებოდა. დაჟინებით გავცქეროდი და უცებ შორს, იმ მწვანე ფერდობზე გარკვევით დავინახე თეთრი ცხენი... ცხენი საოცარი სისწრაფით მიჰქროდა ტყის გასწვრივ. ცხენი-მეთქი, — წამოვიყვირე.

— სადა? — მკითხა ლუკამ.

— აგერ! — გავიშვირე ხელი ფერდობისაკენ.

— სად ხედავ ცხენს?

— ზევით, ტყის გასწვრივ გარბის.

— მე ვერაფერს ვხედავ.

— როგორ ვერ ხედავ?!... აგერ... აგერ... — უკვე ველარც მე ვხედავდი ცხენს, ან ბორცვს მიეფარა ან ტყეში შევარდა.

— ალბათ მოგეჩვენა. — მითხრა ლუკამ.

— რას ქვია, მომეჩვენა? ისე ვხედავდი, როგორც შენ გიყურებ.

— შეიძლება.

— შენ გგონია, უკვე მოჩვენებები დამეწყო?

— არა... მეც მინდოდა დამენახა.

უცებ ეჭვმა გულის სიღრმეში გამკენწლა, ბორცვიდან ალაზანს გადავხედე. ქვევით, კარგა მოშორებით დავინახე კბოდე, რომელიც ხელმარჯვნივ უხვევდა და მდინარეს მიმართულებას აცვლევინებდა, მერმე თელიანს გადავავლე თვალი, ესეც მენიშნა. ისევ გორაკებს მივაშტერდი, ადგილს მოვწყდი და ახლა სხვა ბორცვზე ავირბინე. იქიდანაც გადავხედე ალაზანს, თელიანს, მერმე ნელ-ნელა ავაყოლე თვალი ბორცვებს, გორაკებს... მწვანე ფერდობს, ტყეს...

— ოზო, სად გარბიხარ?! — გავიგონე ლუკას ხმა.

მთელი სხეულით, მთელი არსებით, გულით, ფილტვებით, ყნოსვით ვიგრძენი, რომ იქ, იმ პატარა გორაკებსა და მწვანე ფერდობს შორის ჩამალული იყო ნისლაურა, საბას სოფელი. სიხარულისაგან ისე ავღელდი, თვალებზე ცრემლი მომადგა. ტირილი მინდოდა, თავბრუ დამეხვა, დავრეტიანდი, რომ არ წავქცეულიყავი, იქვე ჩავჯექი და უღონოდ მკლავები მუხლებზე გადავკიდე...

ჯერ ხალხის ყიჟინა და ყვირილი გავიგონე, მერმე — ცხენების ჭიხვინი და ფლოქვების თქარა-თქური. ნიაღვარივით დაძრული თეთრი ცხენების რემა გუგუნითა და გრიალით მი-

ექანებოდა ალაზნისაკენ... თითქოს ღვარცოფმა დამბა გაგლიჯა, ზედ გადაევლო და ახლა-მიხვეულ-მოხვეული ხრამებით გზას მიიკვლევდა დაღმა... ყოველ ნაბიჯზე ხმაურითა და ყეტების ქნევით ხვდებოდა ჩასაფრებული ხალხი, გზის აქცევის საშუალებას არ აძლევდა რემას... გარბოდნენ და გამორბოდნენ, გაჰქონდათ და გამოჰქონდათ... გაგიჟებული ხალხი ტომრებით, ვედროებით, ტაშტებით, ბალიშისპირებით ეზიდებოდა წიგნებს... მდინარის ატორტმანებული ზედაპირი მოჩითული იყო ცხენების თავებით, წიგნის ფურცლებით. გამწარებულ ცხენებს კისრები დაეგრძელებინათ და თავაღერილნი მთელი ძალით ებრძოდნენ ღონიერ ტალღებს, მზაკვრულ დინებებს, ღრმა ძაბრულებს... ეს ღრმა ძაბრულები გაშმაგებით ნთქავდნენ დაფურცლულ წიგნებს... წასვლამდე კიდევ ერთხელ გავხედე ვიწრო ქუჩას, ქვაფენილზე უწესრიგოდ იყო მიმოფანტული წიგნები...

— ოზო, — ისევ დამიძახა ლუკამ, რომელიც ქვემოდან ორ დიდ ზურგჩანთას ხვნეშა-ხვნეშით მოათრევდა. — რას მიღიმი, ვერა ხედავ, ძლივს მოვათრევ?!

ცხადად წარმოვიდგინე, მწვანე ფერდობიდან გამორეკილი ცხენების რემა გრიალით როგორ დაქანდა ალაზნისაკენ და ალაზანთან მისულები ძალით როგორ შეჰყარეს მდინარეში, მაგრამ ამ წარმოსახვას ჩემთვისაც მოულოდნელად ხელი შეუშალა ცნობიერებაში ამოტივტივებულმა სხვა სურათებმა. უნებურად მახსენდებოდა მძიმე შთაბეჭდილებათა ნაფლეთები იმ დღისა, როცა ქალბატონი მარიამის ბიბლიოთეკა დაანგრიეს, გაძარცვეს და მთელი ქუჩა დაფურცლული წიგნებით მოჰფინეს. ახლაღა მტკიოდა გული, ამ ქალის დასაფლავებას რომ აღარ დავესწარი და უკანასკნელი პატივი არ მივაგე. მინდოდა ამ სივრცეში მდინარის შორეულ ხმაურში, განთიადის ბურუსში, ცის სილურჯეში, თელების შრიალსა და გორაკების ხასხასა სიმწვანეში დავნთქმულიყავი და დავშლილიყავი, რომ ერთი წუთით მაინც იმად ვქცეულიყავი, რასაც გარშემო ვხედავდი, რაც სიხარულსა და ტკივილს ერთდროულად მანიჭებდა.

ლუკა ხვნეშა-ხვნეშით ამობობღდა ბორცვზე. ორივე ზურგჩანთა იქვე მიყარა და გვერდით მომიჯდა. ცოტას სულს მოვითქვამ და წავიდეთო, — მითხრა. მე გუნებაში დღევანდე-

ლი მარშრუტი შევცვალე, უკან გაბრუნებამდე ჯერ ნისლაურაში ავიდოდით, იქაურობას შეეხედავდით, დავათვალიერებდით და იქიდან უკვე ჩვენი სოფლისაკენ გავეშურებოდით. გულით მინდოდა, ლუკასთვისაც მენახვებინა ჩვენი სოფელი.

ლუკამ ჩემი მონაყოლით იცოდა ნისლაურას არსებობა და ზოგიერთ ყოფილ მკვიდრსაც ასევე იცნობდა, ამიტომ სიამოვნებით წამომყვა.

დიდხანს ვიარეთ, ნისლაურაში ასასვლელ გზას ვერ მივაგენით და პირდაპირ აღმართს შევუყევით, გაცვეთილი ლანჩები ნამიან ბალახზე სრიალებდა, მიწაზე ფეხს ძლივს ვიკიდებდით, ხშირად ვეცემოდით და მუხლამდე გალუმპულები ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით აღმართზე. მზის ამოსვლისას უკვე სოფელში შემავალ საურმე გზას დავადექით. ძველი გზა იყო, თითქმის გაუქმებული, შალაფამოძალებული, მაგრამ მაინც გზა ეთქმოდა და ჩვენც საკმაოდ გაგვიიოლდა სიარული.

სოფელი მთლად მიტოვებული არ ჩანდა, ბეღურები ჟივჟივებდნენ, შორიდან მამლის ყივილიც კი გავიგონეთ. სოფელში შესვლისთანავე ყეფა-ღრენით ნაგაზიც გამოგვენთო. ჯერ შეგვეშინდა, შევდრკით, მერმე ლუკამ გაიცინა და მეც დამამშვიდა, — ბებერია, კბილები არა აქვსო, ქოფაკი არ გვეშვებოდა, გაავებული, ბოხი, ხრინწიანი ხმით გვიყეფდა და გვიღრენდა, საცოდავს მართლაც, უბებზე ერთი კბილიც არ შერჩენოდა.

— ნუ გვატყუებ, ბებერო, — უთხრა ლუკამ რაღაცნაირი ალერსიანი ღიმილით.

ნაგაზმა თითქოს გაიგონა ლუკას ნათქვამი, გაჩუმდა, აჯაგრული ბეწვი დაულაგდა, მერმე მორცხვად თავდახრილი მოუქნელად დაიგრიხა და დაიკვანწა, კუდის ქნევით გამოგვყვა უკან. სამწუხაროდ, სოფელი თითქმის მიტოვებული და დაცარიელებული აღმოჩნდა. უპატრონობით გაოხრებული ეზოები, მორღვეული ღობეები, დაბზარული კედლები, აყრილი კრამიტი... ძველი პატარა ბაზილიკა წაქცევაზე იყო და ღია კარიდან თითქმის სიბნელე გვითვალთვალებდა... ასეთი ვნახე ნისლაურა. მაგრამ ბუნებას მაინც თავისი გაჰქონდა, ვაშლითა და პანტამსხლით დახუნძლულ ხეებს თითქმის მიწამდე ჰქონდათ დაშვებული ტოტები. ქვეყნის დასალიერიდან კიდევ ერთხელ იყივლა მამალმა და ჩვენც სოფლის წყაროს

მივადექით. წყაროსთან სამი შავხილაბანდიანი დედაბერი საუბრობდა, ჩვენი ფეხის ხმა შემოესმათ და მობრუნდნენ, ცნობისმოყვარეობით დაგვიწყეს თვალიერება. მივესალმეთ, ზურგჩანთები მოვიხსენით და იქვე კაკლის ჩრდილში მივყარეთ. ალმართზე სიარულით დაღლილები და გაოფლილები ბრტყელი აგურით ნაშენებ წყაროსთან მივედით, მოხუცმა ქალებმა თავიანთი სველი დოქები გვერდზე მიდგეს და წყალთან მიგვიშვეს; წყალი თითბრის მილიდან მსხვილ ნაკადად მოთქრიალებდა, ცივი და ანკარა იყო. წყურვილიც მოვიკალით და თავ-პირიც მივუშვირეთ, გამოვცოცხლდით. დედაკაცები დაინტერესდნენ, — სადაურები ხართო? ქალაქელები-მეთქი, — ვუთხარი. ასე დავიწყეთ და შემდეგ გავაბით საუბარი. იქვე გავარკვიეთ, სოფელში თურმე ოთხი კომლიღა დარჩენილიყო, ისიც მოხუცები. წავიდ-წამოვიდნენო, — თქვეს მშვიდად, თითქოს ესეც უნდა მომხდარიყო, — მა, აქ რა გააჩერებდათო, თითქოს იმას გვეუბნებოდნენ, — სიბერეს რა ვუთხრათ, თორემ ჩვენ აქ რა დაგვაყენებდაო. მერმე ერთ-ერთმა გვითხრა, — თქვენ რაღამ მოგიყვანათო? ქვეყანას ვათვალიერებთ, ვეცნობით-მეთქი, — ვუპასუხე. მერმე ამაზე უკეთესი სხვა ვერა ნახეთ რაო, — გაიცინეს. ჩვენთვის ამაზე უკეთესი ქვეყნად არც არის და არც იქნებაო, — უთხრა ლუკამ. დედაბრებმა ისევ ჩაიცინეს, ნათქვამი ალბათ ხუმრობად ჩაუთვალეს ლუკას.

საუბარი აღარ დაგვცალდა, რადგან ჩვენკენ მომავალი მამაკაცი დავინახეთ და იმას მივაქციეთ ყურადღება. ქალები აფუსფუსდნენ, აწრიალდნენ, თავიანთ კოკებს სასწრაფოდ დაავლეს ხელი და წავიდ-წამოვიდნენ. ჩვენკენ მომავალს ძველი, გახუნებული სამხედრო კიტელი, გალიფე შარვალი და ჩექმები ეცვა, ზომიერი ნაბიჯით მოდიოდა, გამართული, მოგვიახლოვდა და თავაზიანად მოგვესალმა. არ გვეგონა, საკმაოდ ხანში შესული აღმოჩნდა. სუფთად გაპარსული სახე მთლად დაღარვოდა, დანაოჭებოდა, თხელი, ჭაღარა თმა კოხტად, ყმაწვილურად გვერდზე გადაევარცხნა. დედაბრებს რატომღაც ზიზღით გააყოლა თვალი და მიაძახა, — ყვავებო, ტყუილად ნუ ყრანტალებთ, არაფერი გამოგივათ, არაო! რამდენადაც ანანოს მონაყოლიდან მახსოვდა, გედეონ ომანაშვილი აქედან წავიდა და მერმე აღარ დაბრუნებულა. არადა ახლა ნაძლევს

დავდებდი, რომ ეს გახუნებულ სამხედრო ტანსაცმელში გამოწკეპილი კაცი გედეონ ომანაშვილი იყო. ზუსტად ასეთი მყავდა წარმოდგენილი, ოღონდ ახლა სხვა ტანსაცმელი ეცვა, ასეთ ტანსაცმელს იმხანად ბევრი ატარებდა, რადგან შედარებით იოლი ხელმისაწვდომი იყო.

— ჭაბუკებო, მე გედეონ ომანაშვილი გახლავართ, ამ სოფლის მკვიდრი.

ეს ხმა და კილო თითქოს ერთხელ უკვე გაგონილი და მოსმენილი მქონდა, იმდენად მეცნო, რომ ძლივს შევიკავე თავი, თორემ ბერიკაცის მოხვევას ვაპირებდი.

— ხომ არ ინებებთ ჩემთან წამობრძანებასა და მოსვენებას? დაღლილებსა ჰგავხართ და თანაც წყლით გაწუწულხართ...

ლუკამ ისე შემომხედა, თითქოს მკითხა — ის ომანაშვილი ხომ არ არისო? სწორედ ის ომანაშვილია-მეთქი, — ვანიშნე. თავპატიჟის დადება არც გვიფიქრია, მაშინვე მოვიგდეთ ჩვენი ზურგჩანთები და გავყევით. მოგეშველებითო, — კი გვითხრა, წამოიწია კიდეც, მაგრამ ბარგი არ დავანებეთ. წინ ბატონი გედეონი მიდიოდა, ხანდახან მოგვხედავდა და გზას განაგრძობდა. ჩვენს უკან ბებერი მურა-ნაგაზი მოძუნძულებდა, თავჩაკიდული, მოწყენილი. რაღაცნაირი სოფელი იყო, უცნაური, სახლები მხოლოდ გზის ერთ, მარჯვენა მხარეს აეშენებინათ, ფერდობზე, მარცხენა მხარე ალაზანს გადაჰყურებდა, ქვემოთ ერთმანეთზე მიყრილი ბორცვები და თელიანი მოჩანდა.

უხმოდ მივყვებოდი მოხუცს, საბას სახლიც ვიცანი, ქვის სამი საფეხური, მუხის კარი... არ შევჩერებულვარ, მხოლოდ მივხედე და მოჯადოებულივით ისევ ბატონ გედეონს გავყევი. ვინ იყო ან რა იყო ეს გედეონ ომანაშვილი? მე ხომ მონაყოლის მონაყოლით ვიცოდი, რომ ქვეყანაზე არსებობდა ასეთი კაცი — გედეონ ომანაშვილი... ახლა პირველად შევხვდი, პირველად დავინახე... მაშ, რატომ ავღელდი, რატომ ამიტანა სიხარულმა, რატომ შევცქერი სასოებითა და მოწიწებით, თითქოს ეს იყოს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი?

თითქმის მთელ სოფელს წინ ჩავუარეთ, ბოლოს ერთ პატარა აივნიან სახლთან შეჩერდა, ცალი ხელი არტისტულად, მოხდენილად გაიშვირა და გვითხრა, — აი, ეს გახლავთ

ჩემი აპარტამენტიო! ეზოში შეგვიძღეა. ეზო სუფთად დაგვილი და მოვლილი მომეჩვენა. შინ არ შევუყვანივართ. ცაცხვის ჩრდილში დაგვსხა, მოგრძო მაგიდაც და მერხებიც ბატონი გედეონის ნოსტატარი უნდა ყოფილიყო. დაწვრილებით გამოგვკითხა, ვინ ვიყავით, სადაურები, სად მივდიოდით, რას ვაპირებდით? ყველაფერი ვუთხარით და განვუმარტეთ. დიდად კმაყოფილი დარჩა, გაგვამხნევა და შეგვაქო, ყოჩაღ, ყოჩაღო! საუბარში რომ ვიყავით გართულნი, ჩვენი ნაცნობი ჭოხუცი ქალები მოადგნენ ღობეს, ორნი იყვნენ, პური, მწვანილი და კიტრი მოიტანეს.

— აჰა, კეთილინებეთ და მობრძანდით, არა? უჩემოდ აღარ შეგიძლიათ ცხოვრება! — უთხრა ბატონმა გედეონმა,— შემოდექით და ეგენი მაგიდაზე დააწყეთ. ქალბატონი მაგდალინა სადღაა?

— მაგდანა ახლავე გეახლებათ, ხინკალს გახუხავს და მოვა.

— კარგია, სტუმარმასპინძლობის წმინდა წესები ჯერ რომ არ დაგვიწყნიათ.

დედაბრებმა მოტანილი სანოვაგე მაგიდაზე დაახვავეს და წავიდნენ.

— თქვენი კაცებიც გამიფრთხილეთ, არქვით, რომ სტუმრები მყავს. — მიაძახა ბატონმა გედეონმა წასულებს და ჩვენ მოგვიბრუნდა, — ვეჯო, მხოლოდ ოთხი კომლიღა შევრჩით ამ დიდებულ სოფელსა, ეს დედაბრები ატეხილან, ამათაც მონდომებიათ წასვლა, რაიონის ცენტრში გადასახლება და გადაბარგება. საქმე ის გახლავთ, რომ კაცებიც აუყოლებიათ, მაგრამ მე აქ რისთვის ვარ, ისეთ-ისეთები ვუთხარი, გაჩენის დღე ვაწყევლინე... არ გამოგივათ, არა, ბატონებო! ჩემთან ერთად დაიხოცებით აქა!

ბატონი გედეონი გარეგნულად პენსიაში გასულ პროვინციელ აქტიორსა ჰგავდა. მისი ჟესტი, მიმიკა, მოძრაობა, ხმა, კილო-ყავი ერთდროულად კომიკურიც იყო და ტრაგიკულიც, საოცარი ისაა, რომ ამ კაცში კომიკურსაც და ტრაგიკულსაც ერთი საფუძველი თუ მიზეზი ჰქონდა. მის მიხრა-მოხრას, მეტყველებას, შინაგანის გამჟღავნებას, აღელვება იქნებოდა ეს, სიხარული თუ გაბრაზება, ძველყაიდურის იერი დაჰკრავდა და ამიტომაც ღიმილსა გვგვრიდა, ამავე დროს

გრძნობდი, რომ ეს ყველაფერი ხვალ აღარ იქნებოდა, აღარ განმეორდებოდა და რაღაცნაირად წინასწარი სევდა გიპყრობდა.

სახელდახელოდ გაგვიწყო სუფრა, გამოიტანა თეფშები და დანა-ჩანგალი, პური დატეხა, ყველი დაჭრა და კიტრი დათალა, ამასობაში მესამე დედაკაციც გამოჩნდა, სპილენძის პატარა ქვაბუნათი გახუხული ხინკალი მოგვიტანა. სანამ ცხელია, ისიამოვნეთო, — გვითხრა და მაშინვე წავიდა.

— მაგდალინა, — დაიწია ხმა ბატონმა გედეონმა, — თქვენმა კაცებმაც უნდა იცოდნენ, რომ ყოველი სტუმარი ღვთის მიერაა მოვლენილი და ქართველი კაცი დასაბამითგანვე უაღრეს პატივს მიაგებდა სტუმარს.

მაგდანა, რომელსაც ბატონი გედეონი ჯიუტად მაგდალინას უწოდებდა, მობრუნდა, მერმე საწყალობლად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა. რამდენადაც მივხვდი, ბატონი გედეონი და ის სამი ბერიკაცი წაჩხუბებულები თუ წაკინკლავებულები უნდა ყოფილიყვნენ და ახლა ჩვენი ანუ სტუმრიანობის მიზეზით ცდილობდა იმათ შემორიგებას, მაგრამ ისინი, როგორც ჩანდა, თავისაზე მაგრად იდგნენ და პოზიციას არ თმობდნენ.

ხინკალს ნუ გავაციებთო, — გვითხრა ბატონმა გედეონმა და მაგალითი გვიჩვენა, პატარა ქვაბში ხინკალს მისწვდა, დიდებულიაო, — თქვა და ჩვენც ხმისამოუღებლად მივბაძეთ კეთილ მასპინძელს. ნაგაზმა დაამთქნარა და თავი შეგვახსენა.

— ძაღლი მაინც ძაღლია, — ამბობდა ბატონი გედეონი,— კბილიანი თუ უკბილო. ყეფაც საქმეა, ბატონებო, ჩვენი თოფალა რომ არა, თქვენს მობრძანებას მე ვერ შევიტყობდი. ბებერო ქოფაკო, — ახლა ძაღლს მიუბრუნდა, — ძვალს ვეღარა ხრავ და რა გიყო... ხინკალი მოგინდა, არა?!

ბებერმა თოფალამ ბატონი გედეონის ნასროლი ხინკალი მარჯვედ დაიჭირა და ყბის ერთი მოქნევით გააქრო.

— ახლა ეგ იკმარე, მერმე სალაფავს მოგიმზადებ.

ბატონ გედეონს უცებ რაღაც გაახსენდა, სწრაფად წამოდგა, შინ შევიდა და ცოტა ხანში უკან დაბრუნდა, თან პატარა ვერცხლის სურა და ვერცხლისავე, სათითეებივით პაწაწკინტელა სირჩები გამოიტანა.

— ბატონებო, თქვენ ახლა სიცოცხლის ელექსირს შე-

გასმეეთ. ეს ელექსირი აქაური ბალახების ნაყენია. ჩვენებურ არაყთან შეზავებული ამბროზიაა... ოლიმპოს ღმერთების სასმელია... მე ამით მიდგას სული, ყოველ დილას თითოს გადავკრავ ხოლმე, ოღონდ უზმოდ... ენერგიისა და სიხალისის უშრეტი წყაროა.

პაწაწინა სირჩებში ჩამოგვისხა მღვრიე, მოშავო-მოყვითალო სითხე და თვალი ჩაგვიკრა, მერმე დაილოცა და გადაჰკრა. ჩვენც დავილოცეთ და გადავკარით... შხამი... ასეთი მყრალი, ასეთი მწარე და მაგარი სასმელი ჯერ პირში არ ჩამსვლოდა, ლამის თავის ქალა ამეხადა.

— ხომ არის ნექტარი? — გვკითხა ბატონმა გედეონმა.

მე ლუკას გადავხედე და შევატყვე, ისიც ჩემს დღეში იყო ჩავარდნილი, სიმწრის ღიმილით ეთანხმებოდა, — დიახ, ბატონო, ნამდვილი ნექტარიაო. მეორე სირჩა არც მე და არც ლუკამ აღარ ვინდომეთ.

არაფერი მითქვამს იმის გამო, რომ აქაურობას, ასე თუ ისე, ვიცნობდი. არც იოთამი გამხსენებია, არც საბა, არც თომა ბიკაშვილი. რა თქმა უნდა, შემეძლო ამით ჩვენი ურთიერთობა უფრო გამეიოლებინა და გამემარტივებინა, ზოგი რამ თვით გედეონ ომანაშვილზეც მქონდა გაგონილი, რატომღაც თავი შევიკავე, თავის შეკავება ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ბოლომდე გავუძელი, ერთი ვკითხე მხოლოდ:

— ბატონო გედეონ, დილით ამ ფერდობზე თეთრი ცხენი დავინახე, გაიქროლა და უცებ გაქრა... ჩემმა მეგობარმა როგორღაც ვერ მოასწრო მისი დანახვა... ახლა ეფიქრობ ხომ არ მომეჩვენა-მეთქი.

ბატონმა გედეონმა პასუხს თითქოს თავი აარიდა, დაფიქრდა და ისევ თავის ამბროზიაზე ჩამოგვიგდო საუბარი, — ეს ელექსირი მხოლოდ ვერცხლის ჭურჭელში მზადდებაო, რა თქმა უნდა, ვერცხლის სასმისითვე უნდა შეისვას, თორემ ეფექტი მიღწეული არ იქნებაო. აშკარად ერთს ამბობდა და სხვას ფიქრობდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, რაღაცის მოფიქრებისთვის სჭირდებოდა დრო, მაგრამ არც ამის შემდეგ გამცა პასუხი, ამბის მოყოლა შორიდან დაიწყო და ის, რაც გვიამბო, მე ერთხელ უკვე ანანოსგან მქონდა გაგონილი, ლუკას კი — ჩემგან, მიუხედავად ამისა, მაინც გულისყურითა და ინტერესით ვისმენდით იოთამის ცხენების ამბავს. გვიამბო

ისიც, მერმე როგორ ჩაიცვა რკინის ქალამნები, როგორ დაიჭირა ხელში რკინის ჯოხი და გაეშურა ბარნაბიშვილის თარეშის ასალაგმავად.

— ავლაგმე კიდეც, მაგრამ თავადაც დავზარალდი. არად დაგიდევდით ჩემს დაზარალებას, ოღონდ ის ვანდალი და გარეწარი დამემარცხებინა... — ბატონმა გედეონმა კიდევ ერთხელ შემოგვთავაზა „სიცოცხლის ელექსირი". ამჯერად უარი ვერ ვკადრეთ და ვერცხლის „სათითეები" მივუშვირეთ სურას. მერმე პათეტიკურად წარმოსთქვა, — საქმე ის გახლავთ, ბატონებო, რომ ცოდნისა და ინფორმაციის მიღებას დავეწაფეთ და ამასობაში დავკარგეთ სიბრძნე.

ბატონი გედეონი ისევ ჩაფიქრდა.

— ვწვალობ და ერთი რამ აქამომდე ვერ გამიგია, თუ ბარნაბიშვილი იყო დასასჯელი, მაშინ, მე არ უნდა დავსჯილიყავი. ხოლო თუ მე ვიყავი დასჯის ღირსი, ბარნაბიშვილი აღარ უნდა დაესაჯათ. სწორედ ეს გახლავთ ცხოვრების პარადოქსი, ბატონებო, ჩვენ ორივენი დავისაჯეთ, მეც და ისიც, შესაძლოა მე უფრო მეტად... რა უნდა მექნა, ვერ შევასმინე იმ კაცთმოძულეს, რომ მე სოფლის მაოხრებლის ალაგმვა მწადდა, ვერ გავაგებინე, რისთვის ვიღვწოდი, რას ვებრძოდი, ვის ვერკინებოდი. პატივცემულო ვარლამ — ვეუბნებოდი გაძოძძიებელს, — ბარნაბიშვილმა სოფელი ასე და ამგვარად ააოხრა-მეთქი... არაო, — მეუბნებოდა ის, მხდალი და ლაჩარი, — ბარნაბიშვილი ჩემი მეგობარია და ამას არ იკადრებდაო. იკადრა-მეთქი, — ვარწმუნებდი, არა და არაო — გაჯიქდა ჯუჯა გულდედალი ვარდანაშვილი. საქმე ის გახლავთ, ბატონებო რომ მერმე თავისი მეგობარიც აღარ დაინდო. ცოდვების გამო მშიშარაც იყო და დაუნდობელიც, თითქოს ამ შიშის გამო არ ინდობდა შინაურსაცა და გარეულსაც... ასე გასრულდა ბარნაბიშვილის პარპაში.

უცებ წამოვდექი და მაგიდის გარშემო დავიწყე სიარული. ლუკამ მანიშნა — დაჯექი, უხერხულიაო. მაგრამ არაფრის გაგონება აღარ შემეძლო. გამახსენდა ის ცივი და ბნელი ღამე, შეშინებული და იარაღმომარჯვებული ვარლამი, ანუ ჯუჯა და გულდედალი ვარდანაშვილი, როგორც ბატონმა გედეონმა უწოდა. თვალწინ დამიდგა ოთხი მომღიმარი კოტიტა ქალბატო-

ნი — ფაიფურის ტრფიალნი და მცოდნენი, თვით ლამარა — დიდი ნისლიანი თვალები...

— აღელდით, ყმაწვილებო?! — ბატონი გედეონიც ადგა და ორივე ხელი მხარზე შემავლო,—ეგ კარგი ნიშანია, ვეფო რამე თუ ქვეყნად ჩემი წინააღმდეგობრივი ცხოვრებით ერთი ნერვიც კი ვერავის შევუძარი, უგულონი თუ უგულისყურონი შევიქმენით და სხვის ტკივილს არაფრად ვაგდებთ — გმადლობთ თანაგრძნობისათვის და გულისხმიერებისათვის, მეგობარო, ამას არასოდეს დაგივიწყებთ... ახლა ბარემ ისიცა ვთქვათ, მერმე რა მოხდა, ბარნაბიშვილი ღმერთმაც დასაჯა და, როგორც ამბობენ, თელის ჭალებში შეშლილი დაძრწის... სიბრძნე დავკარგეთ, ბატონებო, სიბრძნე!

— ბარნაბიშვილი ცოცხალია? — ჰკითხა ლუკამ.

— როგორც გითხარით... გამიგონია: გაგიქეცებული თელიანში დარბის და ორმოებს თხრისო. პირადად მე არსად შემხვედრია, თუმცა ერთი-ორჯერ საგანგებოდ მივაკითხე თელის ჭალებსა. ხედავთ, ბატონებო, უკვე ლეგენდაც კი შექმნილა იმ ბარბაროსზე.

აღელვებამ უცებ გამიარა, უცებ დავმშვიდდი. თითქოს რაღაც წრე შეიკრა და შინაგანი სიმშვიდე ვიგრძენი. ლუკამ ისე შემომხედა, რომ მიმახვედრა, — კიდევ ცოტა ხნით დაყოვნება ხვალ დილამდე აქ დარჩენას ნიშნავსო.

— გეთაყვა, იმ თეთრი ცხენის გამო ვერაფერს გეტყვით, თუმცა ჩვენს მშიერ დედაბრებს თუ დავუჯერებთ, თითქოს თვალი მოუკრავთ კიდეც, ისიც კი მითხრეს, — ღამ-ღამობით ზოგჯერ ჭიხვინიც გვესმისო. ბერიკაცის გვერდით მძინარე დედაბერს სხვა ხმებიც შეიძლება ჭიხვინად მოეჩვენოს. — გაიცინა ბატონმა გედეონმა, — ისე კი, საცა სამართალია, თუ ახლო-მახლო ცხენი ჭიხვინებს, ჯერ მე უნდა გამეგონა — ძველ მხედარსა და მეომარს.

— ალბათ მომეჩვენა, ბატონო გედეონ!

— იმ დედაკაცებმა გამახსენეს... ხედავთ, რა ხალხში ვცხოვრობ?! აკი შევუთვალე, — სტუმრები მყვანან და მობრძანდით-მეთქი. ერთიც არ მოვიდა! ამ საღამოს მივუვარდები და ერთს ლაზათიანად მივლანძღავ სამივეს, ეგენი აქედან ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მე კი ძალიან დიდხანს ვაპირებ ცხოვრებას... ეს ნათელჰყო ჩემმა ჰოროსკოპმა.

ბატონ გედეონს დიდი მადლობა გადავუხადე კეთილი და გულუხვი მასპინძლობისათვის და ორივეს სახელით შევპირდი, — გაისად უსათუოდ გინახულებთ, ოღონდ ასე შემთხვევით კი არა, წინასწარ, მომზადებულნი ჩამოვალთა და ათიოდე და მაინც დავრჩებით-მეთქი. რაკი ეგრეა, დავილოცოთო,— თქვა და ვერცხლის „სათითეს“ მისწვდა. ჩვენც დავილოცეთ და კიდევ ერთხელ გადავკარით ეს შემზარავი სითხე, რომელიც მხოლოდ ოლიმპოს ღმერთთა ღირსი სასმელი იყო.

ზურგზე მოვიგდეთ ჩვენი ჩანთები და ნისლაურას ერთადერთ შარას გავყევით. ბატონმა გედეონმა გამოგვაცილა, წრფელად იყო გულდაწყვეტილი, რატომღაც ეგონა, რომ ღამეს სოფელში გავათევდით და დილაადრიან გავუდგებოდით გზას. ბებერი ნაგაზიც წამოგვყვა, ძლივს აითრია წელი და გამოძუნძულდა. ნისლაურელი დედაბრები ისევ წყაროსთან იდგნენ და მასლაათობდნენ. ბატონი გედეონის დანახვისთანავე დაიშლებიან-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ შევცდი, სინანულის ღიმილით შეგვეგებნენ, რა გაჩქარებთო, — გაოცდნენ, — ჯერ ხომ არ მოსულხართ და უკვე მისდიხართო. საიდანღაც სამი ბერიკაცი გამოჩაკუნდა. სამივეს მივესალმეთ, ხელი ჩამოვართვით, მოვიკითხეთ... ეგრე როგორ იქნებაო, — შეწუხდნენ ბერიკაცები, — ამ სოფელში ჩვენც ვცხოვრობთ, სახლ-კარი ჩვენც გვაქვსო, ხალხნი ვართ და მასპინძლის ქუდი ჩვენცა გვხურავსო. უკვე აბარგებულები და გზაზე დამდგარნი ვიყავით, რა გვექნა, ძალზე უხერხულად ვგრძნობდით თავს, ვაჩერებდით, ვეხვეწებოდით, — მეტს ნუღარ გამოგვყვებით, ნუ შეწუხდებით-თქო, მაგრამ არ გვიჯერებდნენ, მაინც მოგვყვებოდნენ, მოგვაცილებდნენ. ერთმა დედაკაცმა საიდანღაც ჭრელი წინდები გამოგვიტანა, მეორემ თეთრი ბოღჩა მოგვაწოდა, — ხილია, გზაში პირი გაისველეთო... მოგვდევდნენ, ჩვენს ირგვლივ ფუსფუსებდნენ, წუხდნენ, შფოთავდნენ, რა გეჩქარებათ, დარჩითო, — ერთთავად იმეორებდნენ, დილამდე დაგესვენათ, მერმე წასულიყავითო. ასეთ ყოფაში გავცდით სოფელს, ახლა თავქვე უნდა დავშვებულიყავით. შევჩერდით, გედეონ ომანიშვილი ორივეს გადაგვეხვია და გვითხრა, — აბა, ყოჩაღად, ყოჩაღადო, მერმე უფრო ხმამაღლა, ყველას გასაგონად წარმოსთქვა:

— სიტყვა, სიტყვაა, ბატონებო, მომავალ ზაფხულს გელოდებით! მეც გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ჩვენ ყველანი ამ სოფლის მკვიდრნი აქ დაგხვდებით, აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

ბერიკაცებს შევხედე და მივხვდი, დამშვიდობებისას ამათაც უნდა მოვხვეოდი, თორემ გული დასწყდებოდათ, ისედაც ნაწყენები იყვნენ, უნებურად მხოლოდ ომანაშვილის სტუმრები რომ აღმოვჩნდით, სათითაოდ სამივეს მოვეხვიე, იმათაც ჩამიხუტეს გულში და აკანკალებულ ხელებს მითათუნებდნენ მხრებსა და თავზე. ლუკამაც მომბაძა, ისიც გადაეხვია ბერიკაცებს და დაემშვიდობა.

სწრაფად მოვწყდით ადგილს და დავეშვით. ხუთიოდე ნაბიჯის შემდეგ ისევ ავხედეთ ბებრებს. ხუთივენი (ნაგაზიანად ექვსნი) ერთ ხაზზე გამწკრივებულიყვნენ და ცრემლნარევი ღიმილით ჩამოგვცქეროდნენ. ჩამოდით, ჩამოდით, აქვე ვიქნებით, მა სად ჯანდაბაში წავალთო, — გაგვაგონეს ზემოდან. გედეონ ომანაშვილმა ხელი დაგვიქნია, — გელოდებითო. მეც მინდოდა ერთი სიტყვა მეთქვა, თუნდაც „ნახვამდის", მაგრამ ვგრძნობდი, ხმის ამოღებისთანვე, ცრემლი მომერეოდა, ამიტომ სიტყვა ვერ ვუთხარი, მდუმარედ შევცქეროდი ნისლაურელ მოხუცებს. მაინც რატომ შევიკავე თავი, მეტირა, თუკი მეტირებოდა. მე ხომ ვიცოდი, რაც იმ დღეს მოხდა, ის არასოდეს განმეორდება.

გვერდიდან ლუკას გავხედე, მოდიოდა პირქუში, გულჩათხრობილი.

ჩემო ლუკა, ჩემო ძმაო და მეგობარო, შენ ხომ ყველა გრძნობას, ყველა განცდას თავის სახელს არქმევ, ანდა ცდილობ, რომ დაარქვა. თუ ძმა ხარ, მითხარი, რა ჰქვია ან რას დაარქმევდი იმას, რასაც ჩვენ, მე და შენ, ახლა განვიცდით! ეს მინდოდა მეთქვა ლუკასთვის, მაგრამ არ მითქვამს...

მე კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი იქაურობას, ალაზნის ველს, თელებს, მერმე ბორცვებსა და გორაკებს ავაყოლე მზერა... იქ იმ გორაკებსა და მწვანე ფერდობთშორის ნისლაურაა. მაგრამ... მწვანე ფერდობზე ისევ დავინახე თეთრი ცხენი, გაქროლებული, ფაფარგაშლილი — თეთრი ცხენი!... ამჯერად ლუკასთვის არ გამიმხელია, რადგან ავღელდი, თვალები

ამიჭრელდა და თვითონ არ ვიყავი დარწმუნებული, მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ვხედავდი.

— უნდა დავრჩენილიყავით, — გავიგონე ლუკას ხმა. — რა მოხდებოდა? არაფერი. ისე გამოვცვივდით, თითქოს სოფელს ხანძარი ეკიდებოდა. თუკი შენი ყოფნით შეგიძლია ვისმე ასიამოვნო, თუნდაც პატარა სიხარული განაცდევინო, დარჩი, იყავი მათთან ერთად და გასაცემი გაეცი...

ლუკა უკმაყოფილოდ ისე ბუზღუნებდა, თითქოს წამოსვლა მე ვაიძულე. მე მესმოდა ლუკასი, უმიზეზოდ აჩქარება ვერ აპატია და ამის გამო გაუბრაზდა თავის თავს.

სულ ერთი წამით მოვხედე ლუკას და თეთრი ცხენი თვალს მიეფარა...

მართლაც, რატომ წამოვედით. რატომ არ დავრჩით თუნდაც ერთი ღამე ნისლაურაში? იმ ხალხისათვის ყური დაგვეგდო, ბოლომდე მოგვესმინა, გაგვეგო, რას ამბობდნენ, რა უნდოდათ, რაზე წუხდნენ... იქნებ სწორედ ამას გამოვექეცით, ამას ავარიდეთ თავი?.. იქნებ მართლა დავკარგეთ სიბრძნე?

ნისლაურიდან წამოსულებმა მხოლოდ მესამე დღეს მოვაღწიეთ ჩვენი სოფლის სანახებს. მანამდე ისე დავიღალე, ვიფიქრე, — ჩემი ფიზიკური შესაძლებლობის ზღვარამდე მივედი-მეთქი, ამ ზღვარის იქით თითქოს ნაბიჯის გადადგმა არ შემეძლო; ზურგჩანთამოკიდებული მივლასლასებდი და ძლივს მოვათრევდი ისედაც დამძიმებულ სხეულს. ლუკა რამდენიმე ნაბიჯით მისწრებდა. უკანიდან შევყურებდი და მიკვირდა მისი ჯანი და ამტანობა, ერთხელ არ დაუწუწუნებია, ერთხელ არ დასცდენია — დავიღალეო. ხანდახან მობრუნდებოდა, ან იოთამზე ჩამომიგდებდა სიტყვას ან საბაზე ან გედეონ ომანაშვილზე. ეტყობა, ფიქრში რაღაცას აზუსტებდა, აკონკრეტებდა. ისევ იქ იყო, იმ შთაბეჭდილებით იყო დანთქმული.

როგორც კი ჩვენი სოფლის სანახებს მოვადექით გამოვცოცხლდი, თითქოს ენერგიის გადამალული მარაგი აღმომაჩნდა, გავმხნევდი და ნაბიჯსაც მოვუმატე. სოფელში ჩვეულებრივი, სატრანსპორტო შარა-გზით არ შევსულვართ, მარცხნიდან მოვუარეთ, ტყეში აღმართ-აღმართ ვიარეთ და სამხრობისას, ტყიდან გამოსულებმა, ქვევით ჩვენი სოფლის ეკლესია დავინახეთ. აქ იყო ანანოს საფლავი.

მე და ლუკა ცოტა უცნაური სურათის მოწმენი გავხდით.

სასაფლაოს მაღლიდან რომ გადმოვხედეთ, ვიღაცის საფლავთან მდგარი მამაკაცი შევნიშნეთ. მერმე, არ ვიცი, შეგვნიშნა თუ რა მოხდა, ქუდი დაიხურა და სწრაფად გაშორდა იქაურობას, გალავნის კართან ცხენს მოახტა და თავქვე დაეშვა. ანანოს საფლავთან მისულნი, მივხვდით, ის უცნობი კაცი სწორედ აქ იდგა თავდახრილი ანანოს საფლავს დასცქეროდა. ვინ იყო? ვითომ ფიდო კვალიაშვილი, არა, კვალიაშვილს უსათუოდ ვიცნობდი, კვალიაშვილი ასე ახალგაზრდად არ გამოიყურებოდა და არც ასეთი გრუზა თმა ჰქონდა. მაინც ვინ უნდა ყოფილიყო-მეთქი, — ვფიქრობდი და ანანოს საფლავს დავყურებდი.

ეს ფიქრი, როგორც ზედმეტი ტვირთი, ზედმეტი საზრუნავი, სწრაფად მოვიშორე და მერმე თითქმის მთელი ცხოვრება ვცდილობდი არასოდეს გამხსენებოდა, არ გახსენების ეს ცდა კი თავისთავად გულში ათას ეჭვს აღმიძრავდა ხოლმე.

სასაფლაოზე კარგა ხანს დავყავით, მეგონა, ანანოს საფლავი მოუვლელი იქნებოდა, მაგრამ კარგად მოვლილი და გასუფთავებული დამხვდა, ხელი არ გამინძრევია. ეს ჯერ კიდევ დედაჩემის საფლავთან ვიგრძენი, უცნაური მიზიდულობის ძალა აქვს მახლობელი ადამიანის საფლავს, მიხვალ და ვეღარ ეშვები, ვეღარ შორდები, გინდა მოუარო, იქ იტრიალო, რაღაც მიუმატო ანდა ჩვეულებრივად იდგე და ქვას დასცქეროდე. ათასი წვრილმანი გავიხსენე, ყველაფერი ვუამბე ლუკას, თითქოს ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ ანანო სულ სხვა ქალი იყო — გულთმისანი. შინაგან, ჩუმ, გამოუთქმელ კმაყოფილებას ვგრძნობდი. ახლა მივხვდი, თბილისიდან აქეთ რომ გამოვეშურე, სწორედ ეს მინდოდა, აქ ყოფნა მინდოდა, ქვეცნობიერად ამას მოვესწრაფვოდი. როგორც ჩანს, ამის გამო ვჩქარობდი და აღარც ნისლაურში დავრჩი ღამის სათევად.

საფლავთან ცოტა წავიხემსეთ და მერმე ლუკა მოვიყვანე მუხასთან, საიდანაც კარიაულების გალავნიანი სახლი დავინახე. მუხის ძირას დავსხედით, წავთვლიმეთ კიდეც. მერმე ისევ ავიკიდეთ ჩვენი გუდა-ნაბადი და სოფლისაკენ დავუყევით დაღმართს. უკვე საღამოვდებოდა. გზაზე თითქმის არავინ შეგვხვედრია, ეტყობა, ხალხი საკოლმეურნეო ზვრებიდან და მინდვრებიდან ჯერ არ დაბრუნებულიყო. სოფელში უფრო ღრმად რომ შევედით, ვიღაცეები კანტი-კუნტად შეგვხვდნენ.

ზოგიერთი მათგანი ვიცანი კიდეც, ოღონდ იმათ ვერ მიცნეს, ვერც მიცნობდნენ, ასეთი არასოდეს ვუნახივარ, წვერმოშვებული, მზით გარუჯული, მტვრიანი, ზურგჩანთამოკიდებული...

ჩვენი ორღობისაკენ გავუხვიეთ და გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, მეგონა, არ ავღელდებოდი და მაინც ავღელდი, რაღაცნაირად მოვითენთე, მოვდუნდი და მუხლებში ძალა გამომელია, თავისთავად მეკეცებოდა, სხეულისა და ზურგჩანთის სიმძიმეს ვეღარ უძლებდა.

— ეს არის თქვენი სახლი. — დარწმუნებით მითხრა ლუკამ.

— როგორ მიხვდი? — გამეცინა.

— თერთმეტი თუთის ხე დავთვალე.

მეც დავთვალე, არც მეტი, არც ნაკლები, კვლავ თერთმეტი იყო. ხეებშორის ქურდულად გავაპარე მზერა, სახლს შევხედე. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ოთხივე კარიაული აივანზე სავახშმოდ ისხდებოდნენ. არც აივანზე, არც ეზოში, არსად კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ამან უფრო დამწყვიტა გული. ვერ შევჩერდი, უცხოსავით ჩავუარე ჩვენს სახლს, ჩვენს კარმიდამოს, მხოლოდ გარედან შევათვალიერე, თითქოს სხვისი იყო, თითქოს აქ ჩვენიანს არავის უცხოვრია, არც ანანოს, არც მე... თითქოს... თითქოს... თითქოს.

სოფელს რომ გავცდით და მეგონა, ყველაფერმა გამიარამეთქი, გულის სიღრმეში, შიგნით, ძალიან ღრმად პაწაწინა ნაღმივით რაღაც ამიფეთქდა და ახლა ტკივილი მთელ სხეულს მოედო, მთელი სხეული და გონება მოიცვა.

რაღაც დიდი და განუმეორებელი გასრულდა.

P. S. იმავე ზამთარს, ორმოცდაშვიდი წლის დეკემბერში ფულის რეფორმა მოხდა. ვერ ვიტყვი, თითქოს ეს ამბავი სრულიად მოულოდნელი იყო და ხალხმა არაფერი იცოდა, პირიქით, რეფორმას წინ უსწრებდა ათასი ჭორი, მითქმა-მოთქმა, მოსაზრება, ვარაუდი. ზოგი იმედით ელოდებოდა ფულის გამოცვლას; ზოგს თავზარი ჰქონდა დაცემული და არ იცოდა, რა მოეხერხებინა ფულით დატენილი ჩემოდნებისათვის.

ჩვენც გვაწუხებდა ეს პრობლემა. გაყიდულ სახლში აღებული ფული ოხრად გვრჩებოდა. რეფორმის ამბავმა ხალხში

მაინც გვიან გამოეთნა და, ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, იმ ფულს ასე უცებ ვერ დავხარჯავდით, თავზე არ გადაგვდიოდა, მაგრამ რაც გვქონდა, ჩვენთვის ბევრზე ბევრი იყო, ისე რომ, სახლიც დავკარგეთ და ფულიც გაგვიუქმდა.

უცნაური რამ დამემართა, ჩემთვის მოულოდნელად ვიგრძენი, რომ ფულის გაუქმება გამიხარდა, თითქოს გულში ვზეიმობდი კიდეც და ეს ზეიმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მორალურ შურისძიებას ჰგავდა იმის გამო, რომ ანანოს სახლი გაიყიდა.

მამაჩემი კი მართლა შემეცოდა, ჯერ ბდღვინავდა, კედლებს აწყდებოდა, მერმე მოიწყინა. ხმას აღარ იღებდა, ისევ დაფიქრებული და გულჩათხრობილი გახდა, მერმე გამომიცხადა — ის სახლი უნდა დავიბრუნოო. როგორ-მეთქი, — ვკითხე. სოფელში მივდივარ სამუშაოდ, იქ ვიცხოვრებ და მერმე მე ვიციო. ზამთრის მიწურულს მართლა წავიდა. სოფელში მტს-ის დირექტორად დანიშნეს და იწერებოდა, — საქმე და გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, აქეთ რომ გადავწყვიტე წამოსვლაო.

სამი თვის შემდეგ შევიტყვე: დაქორწინებულა, კარიაულის ერთ-ერთი ქალიშვილი მოუყვანია ცოლად.

ოქროს თევზი

მთაწმინდის უბანში, წყნარსა და უხმაურო ქუჩაზე იდგა გასული საუკუნის მიწურულში აგებული სამსართულიანი სახლი, სადაც სხვა მობინადრეებთან ერთად ცხოვრობდა ოჯახი, შემდგარი ხუთი სულისაგან:

პლატონ ბარამიძე.

მარიამი — პლატონის მეუღლე.

შვილები: მირიანი, დათო, თეონა.

მირიანი და დათო ნათიშვილები არიან, თეონა — ბარამიძე.

პლატონი თეონას მამაა. მირიანმა და დათომ მამა ადრე დაჰკარგეს, მაგრამ პლატონი იმდენად კეთილი ადამიანი აღმოჩნდა, რომ ბიჭებს უმამობა თითქმის არ უგრძვნიათ.

ძირითადად ოჯახს მარიამი უძღვებოდა. ეს იყო მშვიდი და აუღელვებელი ქალი, შვილების მოყვარული დედა. მისი წყალობით ოჯახში მუდამ სიმშვიდე სუფევდა.

დედა ყოველთვის ამბობდა:

— სხვამ არ უნდა იცოდეს, რა ხდება შენს ოჯახში.

ამიტომ თუ ზეიმობდნენ — უხმოდ ზეიმობდნენ, თუ წუხდნენ — უხმოდ წუხდნენ. ხოლო ჩვეულებრივ დღეებს ეს სიმყუდროვე არასოდეს დაურღვევია.

ნაწილი პირველი

დათოს ცხოვრებამ გაუმართლა.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშენებლობაზე მოეწყო სამუშაოთა მწარმოებლად, უზარმაზარ საცხოვრებელ სახლს აშენებდა საბურთალოში.

4 ახლა, სამუშაოდან დაბრუნებული, ტახტზე იწვა და მთვლემარე თვალებით მიჩერებოდა აქვარიუმს, რომელიც იქვე, შუშაბანდის კუთხეში, პატარა მაგიდაზე იდგა. სისხლისფერი, გრძელფარფლებიანი თევზი ნებივრად დასრიალებდა, ჩამავალი მზის სხივები მომწვანო წყალს აელვარებდა.

აქვარიუმი და ოქროს თევზი უფროს ძმას — მირიანს ეკუთვნოდა. ერთ დღეს ყველასთვის მოულოდნელად მოიტანა მინის ეს მრგვალი ჭურჭელი მირიანმა. ოჯახში ჰკითხეს: „რად გინდა, მირიან?“ მირიანმა უპასუხა: „მჭირდება“.

მირიანი, საერთოდ, ცოტას ლაპარაკობს.

მერმე წითელი თევზი მოიყვანა. აქვარიუმის ფსკერზე ზღვის ქვიშა და ჭრელი კენჭები დაყარა, წყალი ჩაასხა. მას შემდეგ დგას ეს ჭურჭელი შუშაბანდის კუთხეში და შიგ სისხლისფერი, გრძელფარფლიანი თევზი ცხოვრობს. თევზს მირიანი უვლის — წყალს უცვლის და აპურებს.

— დედა, სად არის მირიანი?

— არ ვიცი, — მოესმა სამზარეულოდან.

— დიდი ხანია წავიდა?

— კი, კარგა ხანია.

სამზარეულოს ღიად დარჩენილ კარიდან კატამ გამოყო თავი. ცნობისმოყვარე, მრგვალი თვალებით შეხედა დათოს და შემოვიდა, კუდაპრეხილი, ნებიერი კრუტუნით მიეგლისა კედელს, მერმე უკანა თათებზე აიწია და ტახტი მოათვალიერა.

— ოჰ! გამარჯობა შენი!

ჭრელი გაფუებული კატა ტახტზე შეხტა და დათოს ფეხებთან მოკალათდა. თვალები მილულა, კრუტუნს მოუხშირა.

კატა თითქმის ზურგით იწვა აქვარიუმისაკენ, მაგრამ საკვირველი ალღოთი გრძნობდა თევზის მოძრაობას. თევზი მზის სხივზე რომ გაიელვებდა, ხატაურა შეკრთებოდა, თავს სწრაფად მოაბრუნებდა და დიდ ყვითელ თვალებს მიანათებდა. მერმე ჩათვლემდა და ისევ მოჰყვებოდა კრუტუნს, ვიდრე მზის სხივზე კიდევ არ გაიბრწყინებდა ოქროს თევზი.

— მაინც როდის წავიდა მირიანი?

— არ მახსოვს, მგონი, სამი იყო დაწყებული.

დათო წლების მანძილზე შეეჩვია მირიანის შინ ყოფნას. და ახლა გაუკვირდა, სახლში რომ არ დახვდა.

უფროსი ძმა არსად არ მუშაობდა. ძნელი იყო ამხელა კაცისთვის უმუშევრობა, მაგრამ რას იზამ, ზოგჯერ ხდება ხოლმე. პლატონი უსაქმურობას არ აყვედრიდა, ლუკმაპურს არ ამადლიდა, მაგრამ თვითონ მირიანი მწარედ განიცდიდა უქმად ყოფნას. წუხდა, ცდილობდა რაღაც გაეკეთებინა, ემოქმედა, თუმცა არაფერი გამოუდიოდა.

სულ უქმად რომ არ მჯდარიყო, დილით ყველაზე ადრე დგებოდა, რძისა და პურის მოსატანად მიდიოდა. ორ დღეში ერთხელ სანოვაგისთვის ბაზარშიც გზავნიდნენ.

— რა თქვა, როდის დავბრუნდებიო?

— არაფერი არ უთქვამს, ვითომ არ იცი...

უნივერსიტეტი მირიანმა ომამდე დაამთავრა. სტუდენტობისას პატარ-პატარა მოთხრობებს აქვეყნებდა ახალგაზრდულსა და საღამოს გაზეთებში.

მერმე ჯარში გაიწვიეს...

ომმა ბრესტში მოუსწრო.

მერმე ცნობა მოვიდა: ბრესტის სიმაგრეში გმირულად დაიღუპაო...

დიდი უბედურება დატრიალდა: ოჯახი გლოვობდა უფროსი შვილის დაკარგვას.

ომის დამთავრებიდან თითქმის სამი წლის შემდეგ გაიგეს — მირიანი კი არ მოუკლავთ, ტყვედ ჩავარდნილა. წერილი მოვიდა მაგადანიდან, ცოცხალი ვარ და სასჯელს ვიხდიო.

— კი მაგრამ, როდის გადიოდა ამ დროს შინიდან?! — ხმამაღლა წამოსცდა დათოს.

დედას, როგორც ჩანს, შვილის სიტყვები არ გაუგონია, შეკითხვა უპასუხოდ დარჩა.

დათომ ახლაღა იგრძნო, მოუსვენრობა დაუფლებოდა. შეჩვეული იყო მირიანის შინ ყოფნას და ეუცხოვა, ძმა ამდენი ხნით სადღაც რომ წავიდა. დათო დედის დამშვიდებულმა პასუხებმაც გააღიზიანა ერთგვარად. თუმცა მიხვდა, ის სიმშვიდე მხოლოდ გარეგნულ იერს ატარებდა.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, შესაშფოთებელი არაფერი იყო. ბავშვი ხომ აღარ არის? როდესაც მოისურვებს, შეუძლია, რამდენი ხნითაც უნდა, წავიდეს. მაგრამ დათომ იცოდა, მირიანი არსად წავიდოდა. მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ არ მოუკითხავს არც ერთი მეგობარი თუ ამხანაგი და არც ახლის

შეძენა უცდია. თითქოს არაფერი აღარ აინტერესებდა, განდეგილივით ცხოვრობდა, თითქოს უარს ამბობდა ამქვეყნიურ ყველა სიამოვნებაზე.

მირიანი შეშინებულიც ჩანდა, არც მშობლისთვის, არც ძმისთვის არ გაუმხელია, რისთვის დასაჯეს, ანდა როგორ მოიხადა სასჯელი. შეკითხვებზე უმეტესად დუმილით იძლეოდა პასუხს. გაჭირვებით, ძლივსძლივობით ამოქაჩეს რამდენიმე ბუნდოვანი ფრაზა... ტყვეობიდან როგორღაც გაქცეულა... მერმე ფრანგ პარტიზანებთან უბრძოლია ომის დამთავრებამდე... შემდეგ რა მოხდა? მირიანი სდუმდა. სასოწარკვეთილი ეძებდა საშველს, როგორმე თავი რომ დაეღწია მომაბეზრებელი, თითქოსდა საშიში შეკითხვებისათვის.

მერმე შეეჩვივნენ მირიანის დუმილს და შეკითხვებით აღარ აწუხებდნენ.

მირიანიც თითქოს შეეგუა თავის მდგომარეობას, რძესა და პურზე, ანდა ბაზარში წასვლაზე არასოდეს გამოუთქვამს უკმაყოფილება, პირიქით, ამ საქმის შესრულება მოვალეობად მიაჩნდა.

სამსახურის შოვნა რამდენჯერმე სცადა. ერთი-ორჯერ უარით გამოისტუმრეს, ერთი-ორჯერ რაღაცით არ დააკმაყოფილა შეთავაზებულმა სამუშაომ და სამსახურის ძებნას თავი დაანება.

დათომ შემოსასვლელი კარის ხმაური გაიგონა და გაუხარდა, ეგონა, მირიანი დაბრუნდა.

— დედა! — შემოსასვლელიდანვე მოესმა თეონას ხმა.

დედა სამზარეულოდან გაეპასუხა. თეონამაც, როგორც ეტყობა, გეზი სამზარეულოსაკენ აიღო.

— დედა, იცი რა მოხდა?! ბუბა მასწავლებელი ქმარს გაეყარა!

— როგორ თუ გაეყარა?! — ისე იკითხა დედამ, თითქოს მისი თანხმობის გარეშე გაყრის უფლება არ ჰქონოდა.

დათოს გაეღიმა.

ბუბა თეონას მუსიკის მასწავლებელია. დათოს ხშირად გაუგონია ამ ქალის სახელი. ოჯახში არცთუ ისე იშვიათად ახსენებდნენ ხოლმე ბაბუ მასწავლებელს. ახსენებდნენ მოწიწებით, რიდით, პატივისცემით. თვით თეონაც უდიდესი მო-

კრძალებით იყო გამსჭვალული და ერთგვარად ამაყობდა კიდეც თავისი მასწავლებლით.

სამზარეულოში ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ეტყობა, ამ ცნობამ უფრო მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე თეონა მოელოდა. „ბუბა მასწავლებელი ქმარს გაეყარა“... ისე წარმოთქვა თეონამ ეს სიტყვები, თითქოს დედას რაღაც მიახარა. ღმერთო, რა სულელი გოგოა!

მშვიდად კრუტუნებდა დათოს ფეხებთან მოკალათებული ხატაურა.

შუშაბანდში დედა შემოვიდა. ხელები და ჭრელი ჩითის წინსაფარი ფქვილით ჰქონდა მოსვრილი.

— გაიგე, დათო, რა მომხდარა?

— კი.

ხატაურამ თავი წამოჰყო და ირგვლივ სიზმარეული თვალებით მიმოიხედა. დათომ არ იცოდა, რა ეპასუხა და გაჩუმება არჩია.

იგრძნო, სამზარეულოს კარს თეონა მოადგა. რატომღაც ეგონა, თეონა იღიმებოდა. თავი მიაბრუნა. თვალებში დას გაურკვეველი შეშფოთება ჩადგომოდა.

დედას მოულოდნელად დაეჭვება გამოეხატა სახეზე, თეონას მიუტრიალდა:

— შენ რა იცი, საიდან გაიგე?

— სკოლაში თქვეს... მთელი სკოლა ლაპარაკობს.

— იქნებ იხუმრეს?.. თუმცა ეს რა ხუმრობაა!

თეონამ მხრები აიჩეჩა.

დედა და თეონა სამზარეულოში გავიდნენ. კარი ისევ მიიხურა.

დედა, საერთოდ, იშვიათად იმჩნევდა აღელვებას. ყოველ შემთხვევაში, ისევე, როგორც ახლა, ცდილობდა, აღელვება არ დატყობოდა.

რა თქმა უნდა, უსიამოვნოა, როცა ოჯახი ინგრევა, მაგრამ ვინ გაიგებს, ვინ იცის?.. იქნებ ეს ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი სწორი გზაა? დათოს უნდოდა, როგორმე მოეშორებინა ბუბა მასწავლებელზე ფიქრი, წამოდგა. ერთხანს იწრიალა შუშაბანდში, მერმე მაგიდას მიუჯდა და გაზეთები გადაშალა. გაზეთებსაც მიანება თავი, გადაიწია და ხელი ჰკრა სამზარეულოს კარს.

— უკვე შვიდი სრულდებოდა, სად არის ამდენ ხანს მირიანი?

ათიოდე წუთის შემდეგ პლატონი მოვიდა.

სასადილო მაგიდას მიუსხდნენ.

ყოველთვის ასე იყო, პლატონი სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდა და სადილს ვახშმობისას შლიდნენ.

არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია პლატონზე ბუბა მასწავლებლის ამბავს. ხოლო მირიანის დაგვიანება რომ გაიგო, თქვა:

— ისა..., რა... ჰო, მოვა!

პლატონს, საერთოდ, უყვარდა ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა, ბევრი ელაპარაკა, მაგრამ აზრის გადმოსაცემად ვერ პოულობდა საჭირო სიტყვებს. ადრე უფრო ახერხებდა. ახლა კი სიტყვები ავიწყდებოდა, ვერაფრით იხსენებდა და საშინლად წვალობდა. თუ მარტივი რამე არ ჰქონდა სათქმელი, წინადადებას ვეღარ ამთავრებდა.

დათო ვერ უგებდა. დედა და თეონა, პირიქით, ნახევარ სიტყვაზე გრძნობდნენ ქმრისა და მამის სათქმელს.

პლატონს დიდი, მელოტი თავი ჰქონდა, სახე — ბუნჩულა, კეთილად მოღიმარი. ბოლო დროს ძალიან გასუქდა და მესამე სართულზე ამოსვლა უძნელდებოდა. ხარბად არ ეტანებოდა საჭმელს და ეს სიმსუქნე ალბათ წლებისა იყო. პლატონი ზომიერად ჭამდა, ოღონდ ეს კი იცოდა, რაც უნდა ეჭამა, ერთ ჭიქა ღვინოს აუცილებლად დააყოლებდა. ღვინის დალევამდე იტყოდა: „ეჰ, დავკარგეთ... დიდი ადამიანი...“

დათომ სწრაფად მოათავა თავისი ულუფა და ხელების დასაბანად წავიდა. რვა საათზე ციცინოს უნდა შეხვედროდა კიროვის პარკთან. მირიანი საეჭვოდ იგვიანებდა და ხელების ბანისას უფროსი ძმა ისევ გაახსენდა.

საღამო თბილი და გამჭვირვალე იყო.

დათომ აივანი გაიარა და ხის კიბით დაეშვა. კიბის ყოველი მოსახვევიდან მოჩანდა მოასფალტებული, ოთხკუთხედი ეზო. აივნებშორის გაკიდულ თოკებზე თეთრეული ზავის ალმებივით ფრიალებდა. ეზოში, თავისი სარდაფის წინ, ფუსფუსებდა ძია ვანო — ჩია, მოუსვენარი ბერიკაცი.

ძია ვანო თბილისის ძველი მკვიდრი იყო. ოდესღაც მხატვრად თვლიდნენ — მაღაზიის აბრებზე კოხტად გამოჰყავდა ქართული ასოები, თანაც ვიტრინების ლამაზად გაწყობა სცოდნია. მერმე დაბერდა თუ ნეონის შუქის რეკლამებმა შეავიწროვეს, ამ საქმეს თავი მიანება და ახლა პენსიით ცხოვრობს. საქმე აღარა აქვს და ეზოს მოვლა-პატრონობა ითავა. დაუზარელი კაცია, ყოველ წვრილმანზე განცხადებებს წერს, დარბის აღმასკომში, ქალაქის საბჭოში, მოჰყავს კომისია...

— საღამო მშვიდობისა, დათო!

— გაგიმარჯოს, ძია ვანო!

— საით გაგიწევია?

— რა ვიცი, მივდივარ...

— რა გენაღვლება რა, ახლა შენი ჯერია, მიდი, გაიხარე.

დათომ გაიღიმა და ჭიშკრისაკენ დააპირა წასვლა. ძია ვანომ შეაჩერა.

— მერმე რა გოგოებია!

— ძველად არ იყვნენ, ძია ვანო, ესეთი გოგოები?

— ძველად? ჰაი, გიდი!..

— ზოგი ამბობს, ძველად უკეთესები იყვნენო.

— ერთი პოლონელი ქალი მყავდა, სულ ფაეტონით ვატარებდი, ფულიც ბლომად მქონდა... — ძია ვანომ სინანულით გააქნია თავი, მერმე წაიღიღინა:

> საყვარლისა ეშხითა
> ღვინოც დამილევია...

დათო ახლა შეაჩერა ბავშვის ხმამ, რომელიც ზემოდან მოესმა:

— გამარჯობა, ძია დათო!

დათომ აიხედა. მეორე სართულის მოაჯირისთვის ნიკაპი დაებჯინა ბავშვს და ქვემოთ ჩამოხედვას ცდილობდა. ქვეშიდან სახე კარგად არ ჩანდა. ეტყობა, ვერც ბავშვი ხედავდა ეზოში მოსაუბრეთ, მოაჯირს ნიკაპი მოაშორა და ხის რიკულებში გამოიჭვრიტა.

— ვისი ბავშვია?

— სარალიძეების მდგმურები არიან, ერთი თვეა, რაც გადმოვიდნენ.

— საიდან იცის ჩემი სახელი, ვინ უთხრა?

— ეგეთი ეშმაკის ფეხი მეორე არ დაბადებულა, ყველაფერი იცის.

— ძია დათო, გლანდები უნდა ამოვიჭრა! მეტკინება?

— არ გეტკინება, ნუ გეშინია!

ერთხელ კიდევ ახედა დათომ ბავშვს და ჭიშკრისკენ წავიდა. ბერიკაცი უკან დაედევნა.

— იცი, რა დედა ჰყავს? ძალიან ლამაზია.

— ბავშვიც არ უნდა იყოს ურიგო, ლამაზად მომეჩვენა.

— ყველა ბავშვი ლამაზია. შენ დედა ნახე! თანაც ამბობენ, რომ... — ძია ვანომ არ დაამთავრა სათქმელი, სამაგიეროდ, ისე ჩაიცინა, დათო მიხვდა, რის თქმასაც აპირებდა. ბოლოს თვალი ჩაუკრა და რატომღაც რუსულად წასჩურჩულა: — Эстрадная певица.

— ძია, დათო, მე ზურიკო მქვია! — დათოს ბავშვის ხმა ჭიშკართან დაეწია. თავი მოაბრუნა, მაგრამ მეორე სართულის აივანს აგურის ყრუ კედელი ფარავდა.

ძია ვანო მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით მიცუხცუხებდა ეზოში.

თბილი, მსუბუქი ბინდი ეფინებოდა ქალაქს. გეგონებოდა, უზარმაზარი მინის ჭურჭელი გამჭვირვალე, იისფერი სითხით ივსებოდა. ბინდში საგნები თითქოს თანდათან პატარავდებოდნენ, იკუმშებოდნენ.

დათო თავქვე დაეშვა.

უსიამოვნო ნალექი დაუტოვა ძია ვანოს ნალაპარაკევმა.

უცნაური კაცი იყო ეს ძია ვანო. არ დაგზარდებოდა, რა საქმეც უნდა გეთხოვა, უსათუოდ, ერთგვარი სიამოვნებითაც კი შეგისრულებდა, ოღონდ ნუ მოსთხოვდი, კარგი ეთქვა შენზე. ავყია იყო, კაცზე ცუდისა და აუგის მთქმელი. აუგის თქმა და კარგი საქმის გაკეთება ერთნაირ სიამოვნებას ანიჭებდა.

რადგანაც სიტყვას საქმეზე მეტი ფასი აქვს, ძია ვანო მეზობლებს ეჯავრებოდათ, ლანძღავდნენ, ეჩხუბებოდნენ, მაგრამ ბერიკაცი თავისას მაინც არ იშლიდა.

— დათო მიჰყვებოდა ვიწრო, მდუმარე ქუჩას და სარალიძეების მდგმურებზე ფიქრობდა, პატარა ზურიკოზე, დღეს რომ გამოემცნაურა, და მის ლამაზ დედაზე. ზურიკოსადმი უნებუ-

რად სიბრალული იგრძნო. რატომ შეეცოდა ეს პატარა ბიჭი, რომლის ხმაში ნათელი სიხარული წკრიალებდა?

დათომ ალმართზე ამომავალი ძმა დაინახა და შეჩერდა. მირიანი ტანის რხევით იცნო. მიუხედავად იმისა, რომ უჩვეულოდ მოძრაობდა, მაინც იცნო.

დაელოდა.

მირიანი აუჩქარებლად, უდარდელად მოდიოდა. ისე უზრუნველად მოაბიჯებდა. დათოს მოეჩვენა, თითქოს მისი ძმა ღიღინებდა კიდეც.

დათო ფილაქანზე იდგა და ელოდა.

მირიანი ძმას მიუახლოვდა, ნაბიჯს უკლო და აკაციასთან მდგარი დათო აათვალიერ-ჩაათვალიერა. უაზროდ გაიღიმა.

უფროსი ძმა მთვრალი იყო.

მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ პირველად დათვრა მირიანი, გოცებულმა დათომ ბავშვივით დააღო პირი, მაგრამ ძმას ვერაფერი უთხრა.

— მეც ხომ მაქვს ღვინის დალევის უფლება?.. მაქვს თუ არა? — მირიანმა ორივე ხელი მოავლო დათოს მხრებზე და შეანჯღრია.

დათომ არაფერი უპასუხა.

— ჰოდა, დავლიე!..

— სად დალიე, ვისთან იყავი?!

— გეტყვი, ყველაფერს გეტყვი, ოღონდ... არა, რატომ არ უნდა დამელიან?.. მეც ხომ შენსავით ადამიანი ვარ?.. ანდა ისეთი, — მირიანმა ხელი გაიშვირა და თავქვე მიმავალი, ჩალის შლიაპიანი კაცი დაანახა, — თუმცა შეიძლება იმაზე უკეთესიც ვიყო... იმას ჩალის ქუდი ახურავს, მე — არა. ჩალის ქუდი რომ მქონდეს, მხოლოდ მზეში დავიხურავდი, იმას კი ღამითაც ახურავს. არა, არ მიყვარს ჩალის ქუდი, არც მზეში, არც ჩრდილში არ დავიხურავ...

— წამოდი! — დათომ მკლავში გამოსდო ხელი, — დედა გელოდება, ქალი გაგიჟებულია...

— აჰ! გაგიჟებულია... იქნებ შენცა ხარ გაგიჟებული?

— სად იყავი, ბიჭო, სად დათვერი?!

— შეკითხვებს ვერ ვიტან!.. არც დაკითხვები მიყვარს მაინცდამაინც...

— კარგი, გეყოფა ახლა, წავიდეთ!

— თუ ძმა ხარ, ხელი გამიშვი... ზე თვითონ წავალ...

— ჭიშკრამდე მიგაცილებ.

— აქამდე ხომ მოვედი მარტო? ჭიშკრამდე, მით უმეტეს, აღარ მჭირდება მიცილება, — მირიანმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ისევ ძმას მიუბრუნდა, — აღარ მინდა, გესმის?.. მინდა ჩემი ფეხით ვიარო...

— ვინ გიშლის, იარე, ოღონდ ახლა...

— არავითარი ოღონდ! — ხელი აიქნია მირიანმა და ბარბაცით შეუყვა აღმართს.

დათო ადგილიდან არ დაძრულა, თვალი გააყოლა მიმავალ ძმას. ასე იდგა მანამდე, სანამ მირიანი ჭიშკარში არ გაუჩინარდა. მერმე პატარა ქუჩები გადასჭრა და რუსთაველის მოედანზე გავიდა. დაბნეული იყო. გზადაგზა მირიანზე ფიქრობდა, მაგრამ ფიქრი ეფანტებოდა და ვერაფრით უყრიდა თავს.

თითქოს სხვა კაცი შეხვდა... ხდება ხოლმე, კაცი დათვრება და ისე შეიცვლება, ვეღარც კი იცნობ. ახლა დათოს მირიანის შეცვლა, ამეტყველება, თუ სიტყვაუხვობა იმდენად არ აოცებდა, რამდენადაც მისი დათრობა. ვინ შეხვდა ისეთი, სუფრასთან დაჯდომა და ჭიქის აწევა რომ გააბედვინა? იქნებ არავინ შეხვედრია, შევიდა სადმე და დალია?.. ამას ფული უნდოდა. ის ჯიბის ფული კი, რომელსაც ხან დედა, ხან პლატონი, ხან დათო აძლევდა, საამისოდ არ ეყოფოდა. უსათუოდ ვიღაც შეხვდა.

მაგრამ დათო ახლა ძმის გაღიზიანებულმა და ერთგვარად აგდებულმა კილომ შეაწუხა. თითქოს ამ წუთს მიხვდა, რომ მირიანი მდუმარებით და განმარტოებით დიდ ბოღმას ნიღბავდა. თითქოს ამ წუთს შენიშნა, რომ მირიანი გამწარებული და გაბოროტებული იყო. ის უსიტყვო მორჩილებაც, რომელსაც უფროსი ძმა ოჯახში იჩენდა, ახლა სხვაგვარ ელფერს იღებდა.

დათო სადღაც ღრმად, სხეულის შიგნით სინდისის ქენჯნამ გაკენწლა. იქვე უნდოდა დაეხშო აზრი, რომელიც ასე მოულოდნელად, მისდაუნებურად დაებადა... მოეჩვენა რომ მირიანის გაბოროტების მიზეზი თვითონ იყო. ეს შემაწუხებლად მტკივნეული აზრი ვეღარ მოიშორა. ალბათ ამიტომაც ინანა, ძმას ლაპარაკში რომ მხარი არ აუბა. ისეთ გუნებაზე

იყო მირიანი, ყველაფერს იტყოდა, ბოლომდე იტყოდა ყველაფერს...

კიროვის პარკთან ცირცინო ელოდა. დათომ სული მოითქვა, ეგონა ციცინო აღარ დახვდებოდა.

უსაზღვრო სიმშვიდე და მყუდროება იგრძნო, თითქოს მზესა და ხვატში მიმავალმა დიდი ჩრდილი დაინახა.

— ვიფიქრე აღარ მოვა-მეთქი... სად ხარ ამდენ ხანს, წასვლას ვაპირებდი.

— გეტყვი... წამო, გავიაროთ...

— საით წავიდეთ?

— რუსთაველზე ხომ არ გაგვეევლო?

— არა! ბევრი ხალხია...

— მაშინ ბაღში შევიდეთ ანდა კინოში.

— ჯდომა აღარ შემიძლია... მთელი დღე ვზივარ ლექციებზე.

— ქუჩებში ვიხეტიალოთ?

— ვიხეტიალოთ.

ლურჯ მონასტერს ჩაუარეს და მარჯვნივ გაუხვიეს. დათომ გზადაგზა უამბო, თუ რატომ დააგვიანდა. მერმე ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ, ვიდრე ვერის დაღმართზე არ ჩაუხვიეს.

— იცი რა, დათო, მირიანის გაცნობა მინდა.

— ეგ ადვილია, მოდი ჩვენთან და გაიცნობ.

— თქვენთან ჯერ ვერ მოვალ, მერიდება...

— რა სისულელეა!

— ოდესმე, ალბათ მოვალ... ისე ვერ გავიცნობ, თუ არ მოვედი?

— როგორ გითხრა, ხომ იცი, შინიდან არ გამოდის.

— დღეს ხომ გამოვიდა?

— დღეს კი... მე მგონი, დღეს რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა, ნამდვილად რაღაც მოხდა, ხვალ ალბათ ყველაფერს მეტყვის.

— გარეგნობით გავხართ ერთმანეთს?

— არა! მირიანი ჩემზე მაღალია, მხრებში ოდნავ მოხრილი.

— შენსავით ქერაა?

— არა. შავი, მოუხეშავი თმა აქვს, მოკლედ შეკრეჭილი. ბოლო ხანებში ჭაღარა გამოერია.

— სახეზე როგორია?

— თხელი სახე აქვს, ფერმკრთალი. მარჯვენა ლოყა უთრთის. ომამდე ეს არ შემიმჩნევია.

— წლები გადის... კარგ თვისებებს გკარგავთ და ცუდს ვიძენთ.

— შენ თვითონ მიხვედი მაგ დასკვნამდე, თუ სხვის აზრს იმეორებ? — გაიცინა დათომ.

დაღმართის ბოლოს გაჩირაღდნებული ხიდი გამოჩნდა.

ციცინომ და დათომ ხიდი უხმოდ გაიარეს და ისე გაუხვიეს მარცხნივ, თითქოს შეთანხმებულები ყოფილიყვნენ.

— მე სულ მეგონა, შენ და მირიანი ჰგავდით ერთმანეთს, რა თქმა უნდა, გარეგნობით.

— შენ კიდევ მირიანზე ფიქრობ? — დათომ მხარზე მოხვია ხელი ციცინოს და თავისკენ მიიზიდა. გადაუწია ყელზე ჩამოშლილი თმა და აკოცა, — აღარ შემიძლია სულ ქუჩაში ხეტიალი. როგორ მინდა, სადმე მარტო დავრჩეთ... ჩვენს მეტი არავინ იყოს...

— ამ ჩიხის ბოლოს უზარმაზარი ლოდი გდია. გინდა ვნახოთ?.. ძალიან მომწონს. მე რომ ბიჭი ვიყო, უსათუოდ მოვიპარავდი, წავიღებდი და ჩვენს ეზოში, ცაცხვის ქვეშ დავაგდებდი.

— ლოდი ლოდია... რა სანახავი ეგ არის!

— იცი, რა ფერისაა? მოლურჯო-მონაცრისფრო... წამოდი, ვნახოთ. ცოტა ხანს დავსხდეთ კიდეც. არავინ არ იქნება.

ხის ჭიშკართან მოგრძო ლოდი ეგდო, ჩვეულებრივი რიყის ლოდი, ოღონდ საკმაოდ მოზრდილი.

— ღამით ისეთი არ არის, კარგად არც კი ჩანს. დღისით უნდა ნახო.

— ჩემთვის ყოველგვარი ლოდი თუ ქვა სამშენებლო მასალაა.

— შენ ყველაფერს გამოყენების თვალსაზრისით უყურებ.

— ყოველ შემთხვევაში, ამ ლოდს წინათაც ასე უყურებდნენ და ახლაც ასე უყურებენ... ხალხს დასაჯდომად გამოუყენებია.

— საუკუნეზე მეტია, ალბათ, რაც აქ გდია.

— შესაძლოა.

— ხედავ, როგორ არის ჩაღრმავებული? — ციცინომ ხელი გადაუსვა ლოდს, — ჯდომისაგან გაცვეთილა.

— თუკი ასე მოგწონს, დავსხდეთ, ჩვენი წილი გავცვითოთ.

— დავსხდეთ.

ჩიხი ბნელი და მყუდრო იყო. ოციოდე ნაბიჯზე აკაციების იქით დაბალი სახლის შესასვლელთან ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა. ორიოდე წუთი ხმისამოუღებლად ისხდნენ.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა ციცინომ ხის მესერზე ზურგით მიწოლილ დათოს.

— არაფერზე. ახლა არც მინდა რამეზე ვიფიქრო.

— მე ისევ შენს ძმაზე ვფიქრობ.

— კარგი, როგორმე გაგაცნობ. მაგრამ არა მგონია, კმაყოფილი დარჩე.

— რატომ?

— რა ვიცი. სხვანაირი კაცია.

— დათო, რატომღაც მეჩვენება, თითქოს მირიანი არ გიყვარს.

— რაა?

— არა, შეიძლება, ზუსტად არ ვთქვი... მე მეჩვენება, თითქოს მირიანს ისე არ ეპყრობი, როგორც საჭიროა.

— შენ ხომ არ იცი, როგორ ვეპყრობი მირიანს?

— გითხარი, მეჩვენება-მეთქი?

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— გეწყინა?

დათომ თავი გააქნია უარის ნიშნად. ციცინოს ნათქვამი ნამდვილად არ სწყენია დათოს. ნათქვამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. უბრალოდ, ჩათვალა, რომ ციცინომ არ იცოდა და ვერც ერკვეოდა ძმების ურთიერთობაში.

— მე მინდა, ყველაფერი ვუთხრათ ერთმანეთს, გინდაც სისულელე იყოს, — ციცინო მიეკრო დათოს და თითქმის ჩურჩულით უთხრა: — მომეფერე რა, არ შემიძლია, როცა ახლოსა ხარ და არ მეფერები...

პატარა ჩიხის მყუდროება არავის დაურღვევია. თითქოს ეს იყო მიტოვებული და მივიწყებული ქვეყანა. აღარავის ახსოვდა მისი არსებობა. მხოლოდ შემთხვევით თუ შეიელიდნენ

შეყვარებულები, ვეებერთელა ლოდზე ჩამომსხდართ თავიანთი წილი ქვა რომ გაეცვითათ...

დათო გვიან დაბრუნდა შინ. ყველას ეძინა.

მირიანის საწოლთან მივიდა, მძინარე ძმას დახედა.

შუშაბანდიდან სუსტი შუქი შემოდიოდა და სახეზე ეცემოდა მირიანს. დათოს მოეჩვენა, ძმა ჩვეულებრივზე უფრო მეტად იყო გაფითრებული. მძიმედ სუნთქავდა, ალბათ ღვინო აწუხებდა.

მარჯვენა ლოყა ძილშიც უთრთოდა.

დათოს გაეღიმა, მერე მძინარე მირიანს, როგორც პატარა ბავშვს, თავზე გადაუსვა ხელი და შუშაბანდში გავიდა შუქის ჩასაქრობად.

დილით, გაიღვიძა თუ არა, მირიანის საწოლს გახედა (ძმები ერთ ოთახში იძინებდნენ), უფროსი ძმა უკვე პურისა და რძის მოსატანად წასულიყო.

დათომ ხელ-პირი დაიბანა და სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვა. მერმე სამზარეულოში შეიხედა, ფეხზე მდგარმა წაიხემსა და მშენებლობაზე წავიდა. დრო აღარ რჩებოდა, თორემ მირიანს დაუცდიდა. საშინლად უნდოდა გაეგო, სად იყო გუშინ და ვისთან ერთად დალია ღვინო.

სამუშაოდან დაბრუნებულს ძმა შინ დაუხვდა, შუშაბანდში, გულაღმა იწვა ტახტზე და ოქროს თევზს მიჩერებოდა.

დათოს შემოსვლა თითქოს არ გაუგია, არ განძრეულა, თავი არც კი მოუბრუნებია.

— როგორა ხარ, მირიან? — დათო მიუახლოვდა და ძმას თავზე დაადგა.

მირიანმა ახედა და არაფერი უპასუხა. დათომ სკამი მიიჩოჩა. წინ დაუჯდა.

— თავი ხომ არ გტკივა?

— არა.

— სად იყავი გუშინ?

— არსად.

— ეგ რა პასუხია, მირიან?

მირიანმა ცალი ხელი თავქვეშ ამოიდო და თვალი დახუჭა... დათომ შეატყო, ძმა პასუხს არ აპირებდა, მაინც ჰკითხა:

— სად იყავი?

დუმილი:

— გუშინ ხომ მითხარი, ყველაფერს გეტყვიო.

დუმილი.

— მირიან!

ისევ დუმილი.

— კარგი, როგორც გინდა, — დათო აღარ ჩააცივდა უფროს ძმას.

მირიანი წამოდგა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა იქვე იტრიალა ერთხანს, მერე თავის ოთახში გავიდა.

ოქროს თევზი დროდადრო მოადგებოდა გამჭვირვალე კედელს და გაყინულ, არაფრისმთქმელ თვალებს აცეცებდა. მერმე ისევ ნებივრად დასრიალებდა აქვარიუმში.

— გინდა, წავიდეთ, ლუდი დავლიოთ, ნამთვრალევზე კარგია.

წუხელიც, დღესაც ბევრი იფიქრა და რატომღაც დარწმუნებული იყო, ძმები მყუდროდ დასხდებოდნენ და ისაუბრებდნენ. ეგონა, ბოლოს და ბოლოს, ძმას ნახავდა ისეთს, როგორიც ოდესღაც უნახავს, ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით მაინც დაემსგავსებოდა მირიანი ომამდელ მირიანს.

დათოს გულით უნდოდა ეთქვა, თუ როგორ იღელვა გუშინ, მაგრამ ძმამ არ მისცა საშუალება, არ მოისურვა. ჩვეულებრივად თავი აარიდა ყოველგვარ საუბარს.

„შეკითხვებს ვერ ვიტან!..“

იქნებ საუბარი შეკითხვებით არ უნდა დაეწყო?

დათო მაინც დამშვიდებული ჩანდა.

სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა ეს სიმშვიდე. როცა დაინახა და დარწმუნდა, რომ მირიანი ისეთივეა, როგორც გუშინდელ სიმთვრალემდე იყო, მოისვენა.

ახლაღა მიხვდა: ის, რაც ორიოდე წუთის წინ ჰკითხა ძმას, გუშინდელი ღელვის ინერცია იყო. ჩვეულებრივი მირიანი რომ დაინახა, უკვე აღარ აწუხებდა და არც აინტერესებდა, სად იყო გუშინ საღამომდე, ვისთან სვამდა.

შუშაბანდში დათოს ესმოდა ზომიერი ნაბიჯების ხმა.

ოქროს თევზი ბედნიერი იყო...

დედა და მირიანი დილაადრიან წავიდნენ ბაზარში.

კვირა განსაკუთრებული დღე იყო. კვირაობით საგანგებო

სადილი მზადდებოდა და სანოვაგის საყიდლად ყოველთვის ორნი მიდიოდნენ.

დათო ჯერ კიდევ ლოგინში იწვა და ნებივრობდა. ფანჯარა გამოეღო, ხარბად ისუნთქავდა მთაწმინდის ჰაერს.

შუა ოთახში თეონა შემოვიდა — ფეხის ხმაზე იცნო. როიალს მიუჯდა, დაკვრა დაიწყო, თეონა დღეში ოთხ-ხუთ საათს ვარჯიშობდა. დათოს ანცვიფრებდა დის შეუპოვარი სიბეჯითე.

თეონას მეცადინეობას ოჯახი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „თეონა უკრავს!" — ეს სიტყვები ოჯახში წყვეტდა ყოველგვარ ხმაურიან ფუსფუსს და მოძრაობას.

ოთახებში „მთვარის სონატის" წყნარი ხმები დაიღვარა. დათო მოსასმენად მოემზადა, მაგრამ ამ დროს კაკუნი გაიგონა. ალბათ მეზობელი აკაკუნებდა. ოჯახის წევრები, დათოს გარდა, ყოველთვის სადარბაზოდან დადიოდნენ. ასევე დადიოდნენ გარეშე სტუმრებიც. მხოლოდ მეზობლები თუ მოადგებოდნენ იმ კარს, რომელზეც ახლა დააკაკუნეს.

თეონამ დაკვრა შეწყვიტა და კარის გასაღებად წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ დათოსთან შემოიყვანა წაბლისფერთმიანი ბიჭი.

— შენ გკითხულობს, როგორც ჩანს, შენი სტუმარია,— თეონამ დამცინავად გაიღიმა, მერმე ბიჭს ხელი გადაუსვა და გატრიალდა. რამდენიმე წამში უკან მობრუნდა და შუა ოთახის კარი მიხურა.

პატარა ბიჭი ერთხანს ხმას არ იღებდა. ბოჩოლას დიდი და ნაღვლიანი თვალებით მისჩერებოდა დათოს. დათომ ვერ იცნო, ვერაფრით გაიხსენა, ვინ იყო ეს ბავშვი, მით უმეტეს, არ იცოდა, რისთვის მოაკითხა.

პატარა ბიჭს ლურჯი, მოკლე შარვალი და ჩითის ვარდისფერზოლიანი ხალათი ეცვა.

ეტყობა, დუმილს ვერ გაუძლო, ანდა მიხვდა, რომ დათომ ვერ იცნო და თავი შეახსენა:

— მე ზურიკო ვარ, ძია დათო!

— ზურიკო?

— კი, ზურიკო.

— აჰ, ზურიკო! მაპატიე, ზურიკო, ვერ გიცანი, გამარჯობა! მოდი, ხელი ჩამომართვი!

ზურიკომ ათიოდე მოკლე ნაბიჯი გადადგა და ხელი გაუწოდა. მერმე ოთახი მოათვალიერა და ისევ დათოს შეხედა.

— შენ რაღაც გაბრაზებული ჩანხარ!

პატარა ბიჭმა არაფერი უპასუხა.

დათოს გაეღიმა. წამოიწია და ბალიშს იდაყვით დაეყრდნო.

— ვინმემ გაწყენინა?

ბიჭი დაიხარა და კოჭი მოიფხანა. თან თვალი არ მოუშორებია დათოსთვის.

— თუკი მემდური, რას მოდიოდი, — უთხრა ვითომ ნაწყენმა დათომ. მერმე დასძინა: — ეგ რა გამოვიდა, ხმას აღა მცემ!

— რატომ მომატყუეთ?!

— მე მოგატყუე? — გაიღიმა დათომ.

პატარა ბიჭმა თავი დაუქნია.

— როდის მოგატყუე? ჩვენ ხომ პირველად ვხვდებით ერთმანეთს?

— არა!

— როგორ არა!.. ერთხელ აივნიდან მომესალმე და თავი გამაცანი — ეგ იყო და ეგ!.. ძმობას გეფიცები, სალაპარაკოდ არ შევხვედრივართ.

— არა, მომატყუეთ!

დათოს ღიმილი შეაცივდა სახეზე, ჩაფიქრდა. მეხსიერებაში აღადგინა ის სალამო, ეზოში ძია ვანოსთან ერთად მიმავალს აივნიდან უცნობი ბიჭი რომ მიესალმა, რამდენადაც ახსოვს, არაფერი უთქვამს ისეთი, ბავშვს რომ სწყენოდა.

— შენ რაღაც გეშლება, ზურიკო.

— არ მეშლება! — ჯიუტად უპასუხა ბავშვმა.

— მაშ, მითხარი, რა მოგატყუე?

— გლანდები რომ ამოვიქერი, მეტკინა.

— მერმე მე რა შუაში ვარ?

— ხომ მითხარით, არ გეტკინებაო.

— კი, ეგრე გითხარი.

— რატომ მომატყუეთ? ყველამ მომატყუა, დედამაც, ბებიამაც, ექიმმაც, ყველამ.

— ძალიან გეტკინა?

— ძალიან!

ბავშვს თვალები მოუწყლიანდა. ძლივს იკავებდა ცრემლს, ერთი წუთიც და ატირდებოდა.

— იცი რა, ზურიკო, ეგეთი მოტყუება არ არის საწყენი, წინდაწინ რომ ეთქვათ — გეტკინებაო, ხომ არ ამოიჭრიდი?

— ამოვიჭრიდი!

— მერმე ექიმზეც არის დამოკიდებული, — დუმილის შემდეგ დაუმატა დათომ, — ზოგი ისე აჭრის, ოდნავ თუ ატკენს ხოლმე.

პატარა ბიჭმა უნდობლად შეხედა დათოს. მერმე ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გადაიხედა.

— ჩვენს ოთახს ფანჯარა არა აქვს.

დათოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა. აშკარა იყო, ბავშვი ვერ დაარწმუნა, რომ ზოგჯერ სიმართლის თქმას ტყუილის თქმა სჯობია. ეს სიბრძნე ბავშვს არ ესმოდა. მერმე ტკივილი ექიმს გადააბრალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. პატარა ბიჭმა, ნებით თუ უნებლიეთ, თავი აარიდა მისთვის უსიამოვნო ლაპარაკს.

ბავშვი ისევ ფანჯარაში იხედებოდა. დათო გამომცდელის თვალით მისჩერებოდა და რატომღაც უნდოდა გამოეცნო, რას ფიქრობდა, მაგრამ ბავშვის გამომეტყველება არაფერს ამჟღავნებდა. ზურიკო ბალღური ცნობისმოყვარეობით უმზერდა ყველაფერს, რაც ფანჯრიდან მოჩანდა.

დათომ სწრაფად გადაიძრო საბანი და წამოდგა, გაიზმორა, მერმე სკამზე გადაკიდებულ შარვალს მისწვდა.

— ჩვენს ოთახს ფანჯარა არა აქვს...

რა უთხრას ახლა ბავშვს ისეთი, რომ ასიამოვნოს?

ამ სურვილის მიღმა დათომ უეცრად დაინახა საკუთარი თავის გამართლების ცდა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა, იგრძნო ისიც, რომ ცოტათი დაძაბული იყო, არ იცოდა, რა მოეხერხებინა ამ პატარა არსებისათვის, რომელსაც უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეაგნებინა: ზოგჯერ აუცილებელია ტყუილის თქმა.

— ხანდახან მოვალ რა, ძია დათო, ძალიან მიყვარს ფანჯრიდან ყურება.

— მოდი, როცა გინდა, მოდი, — მაშინვე დაეთანხმა დათო, — თუნდაც შინ არ ვიყო, ჩვენებს უთხარი, დათომ დამრთო-თქო ნება.

— კარგი, მოვალ.

— შეგიძლია, რამდენ ხანსაც მოისურვებ, დარჩე ამ ოთახში.

— ძია მირიანის მეშინია.

— რატომ? შენ ხომ არ იცნობ ძია მირიანს?

ბავშვმა მხრები აიჩეჩა.

— ძია მირიანი კეთილი კაცია.

ბავშვმა ისევ აიჩეჩა მხრები.

— მე წავალ, ძია დათო, — ზურიკო შუა ოთახის კარისკენ წავიდა.

— მოიცადე, — დათო ერთ წუთს ჩაფიქრდა, — რითი გაგიმასპინძლდე?

— არაფერი არ მინდა.

— პირველად მოხვედი ჩემთან და ასე ხომ არ გაგიშვებ?!

— არ მინდა, ძია დათო, ჯერ არ მისაუზმია.

დათო მართლაც ტკბილეულით აპირებდა გამასპინძლებას, მაგრამ გადაიფიქრა. საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო. ფანქრებს, საშლელებსა და ათასგვარ სახაზავებს შორის დიდ, ორფერ ფანქარს მოჰკრა თვალი.

— ერთი მხრიდან ლურჯია, მეორე მხრიდან წითელი.

— ვიცი.

— გქონია ასეთი ფანქარი?

— არა.

— თუ გინდა, წაიღე.

— მადლობთ.

ბავშვმა ფანქარი გამოართვა და კარისკენ წავიდა.

— აქედან ნუ გავალთ, თეონა უკრავს და ხელს შეეუშლით.

დათომ შუშაბანდიდან გაიყვანა ზურიკო და გასასვლელ კარამდე მიაცილა.

— კიდევ ხარ ჩემზე ნაწყენი?

ბავშვმა მცირე ყოყმანის შემდეგ თავი დააქნია:

— კი.

ღია კარში მდგარმა თვალი გააყოლა აივანზე მიმავალ ბიჭს, რომლის გული ვერაფრით მოიგო, ვერაფრით მოინადირა. მზერაში ერთგვარი რიდიც კი გამოკრთოდა ამ პატარა არსებისადმი. ამავე დროს სწყინდა კიდეც, რომ ბავშვის წარმოდგენა მის მიმართ ხელუხლებელი და უცვლელი დარჩა.

შინ შებრუნებას აპირებდა, მაგრამ აივანზე მიმავალი ბავშვი უცებ შეჩერდა. დათოს მოეჩვენა, ზურიკო შეკრთა კიდეც.

ბავშვი მკვეთრი მოძრაობით მიიჭრა მოაჯირთან, თითის წვერებზე აიწია და გაფაციცებით დაიწყო ეზოსკენ ყურება.

დათომ ქალების ხმამაღალი ლაპარაკი და ყვირილი გაიგონა. აივანზე გავიდა, ეზოში გადაიხედა.

მარჯვნივ, მეორე სართულზე, ქალები ჩხუბობდნენ. ხმა კი აღწევდა დათომდე, მაგრამ ლაპარაკი გარკვევით არ ესმოდა. ქალები გამწარებით `იქნევდნენ ხელებს და ერთმანეთის საცემად მიიწევდნენ. დათო მოჩხუბართაგან პირველად ხედავდა წაბლისფერთმიან ახალგაზრდა ქალსა და დედაბერს, რომელიც ამ ქალს აკავებდა. მაშინვე მიხვდა, ახალგაზრდა ქალი ზურიკოს დედა იყო, ხოლო დედაბერი — ბებია.

„Эстрадная певица"...

უეცრად ზურიკო გაახსენდა და აივანს გახედა. ბავშვი აივანზე აღარ იდგა, ცოტა ხნის შემდეგ დაინახა: თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ეზოში. სწრაფად აირბინა რკინის ხრახნილი კიბე. მოჩხუბრებთან მიიჭრა, მაგრამ მისვლისთანავე განზე გადგა და შეშინებული ადევნებდა დედას თვალს.

მეზობელი კარიდან თმააბურდული მანანა გამოვიდა და დათოს მიუახლოვდა. ეტყობოდა, ახლახანს ამდგარიყო, დათომდე მოჰყვა ლოგინის სითბო და სურნელი.

მანანამ შიშველ მკლავზე ხელები ჯვარედინად აიფარა...

— გრილა... შენც ტიტველი გამოსულხარ.

დათოს თეთრი მაისური ეცვა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მეორე სართულისკენ იხედებოდა. დედაბერს კარში მიემწყვდია თავისი ქალიშვილი და მთელი ძალით აწვებოდა. თან ცდილობდა, როგორმე კარი მიეხურა. შეშინებული ბავშვი კედელთან ატუზულიყო, ბაწაწინა თითებით დათოს ნაჩუქარ ფანქარს აწვალებდა.

— უუ, რა კაპასი ქალია!

— რომელი?

— ნორა... ამ ბიჭის დედა.

— იცნობ?

— მაგას ვინ არ იცნობს?!

— არც ლოლაა ნაკლები.

დედაბერმა, როგორც იყო, ქალიშვილი ოთახში შეათრია და კარი მიხურა.

ასპარეზი ლოლას დარჩა. ეს იყო კაფანდარა, შავგრემანი ქალი — შინაბერა. გასტრონომში მუშაობდა მოლარედ. ლოლა ილანძღებოდა, მეზობელს გასახლებით ემუქრებოდა.

— რა მშვიდი ძილი დაგირღვიეს?! — დათო მანანას მიუბრუნდა.

— აბა!.. მაინც ვერ გავიგე, რაზე იჩხუბეს.

— ვერც გაიგებ.

დათომ შიშველ მხრებსა და ყელზე ააცურა მზერა. გარკვევით დაინახა, გლუვი, ელვარე სხეული როგორ აეხორკლა და გაუვარდისფრდა. ცოტა ხნის შემდეგ მანანას ისევ დაუმშვიდდა კანი და ძველი ელვარება დაუბრუნდა.

მანანა უხმოდ გაერიდა, თავისი ოთახის კარისკენ წავიდა.

— მანანა!

ქალიშვილი მობრუნდა. დათომ არ იცოდა, რისთვის დაუძახა, რა ეთქვა.

— მანანა... თუ ფიზიკაში ან ქიმიაში დაგჭირდე, ნუ მომერიდები... — შარშან მანანას რამდენჯერმე დაეხმარა დათო, ახლა სათქმელი რომ ვეღარ მოიგონა, ისევ შესთავაზა დახმარება.

— მაშინ მართლა დამჭირდი. ახლა ამხანაგებთან ვმეცადინეობ, — მანანა ოთახში შევიდა.

დათომ თვალი მოავლო იქურობას, სადაც წეღან ქალები ჩხუბობდნენ, მარტო ზურიკო იდგა. მოაჯირისათვის ნიკაპი დაეყრდნო და ეზოში იხედებოდა. შეიძლება, არც იხედებოდა ეზოში. თავისი დიდი, ნაღვლიანი თვალებით სივრცეს ეძებდა, მაგრამ ეზო ოთხივე მხრით აივნებით იყო შემოზღუდული, ხოლო აივანზე გადმომდგარი ცნობისმოყვარენი თავიანთ ოთახებს უბრუნდებოდნენ.

სეირი დასრულდა.

ჭიშკრის გვირაბიდან ძია ვანო ფაციფუცით შემოიჭრა. გამწარებული ათვალიერებდა აივნებს.

ალბათ ალღოთი გრძნობდა, უმისოდ რაღაც ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა.

დააგვიანდა.

როდესაც დათო შინ შებრუნდა, ოთახები სავსე იყო მთრთოლვარე, სევდიანი ხმებით.

თეონა უკრავდა.

საღამო მეგობრებთან გაატარა დათომ და შემთვრალი შინ ბრუნდებოდა. მთელი პროსპექტი ისე გამოიარა, კაცი არ შეხვედრია.

საკმაოდ გვიან იყო.

დაცარიელებულ პროსპექტზე ნეონის რეკლამები უაზროდ ციმციმებდნენ.

მხოლოდ ქუჩაში იგრძნო — ღვინო მოჰკიდებოდა. გზაში ინანა სუფრა რომ მიატოვა და მეგობრებს დაშორდა. უკვე აღარ ახსოვდა, რისთვის იჩქარა. შეიძლება იმიტომ —ხვალ ადრე უნდა ამდგარიყო მშენებლობაზე წასასვლელად. თუმცა უფრო გვიანაც დაწოლილა. საერთოდ, დათოს არ უჭირდა დილით ადგომა. ნასვამსაც და ფხიზელსაც ადრე ეღვიძებოდა, ყოველთვის კარგ გუნებაზე ილვიძებდა ბავშვივით.

შესაძლოა, დაღლილობის გამოც აჩქარდა. თუმცა ახლა მსუბუქად მოდიოდა. სულ არ გრძნობდა დაღლას.

გასაოცარია, ცოტა დალია თუ არა, სულ შინისაკენ იქაჩებოდა. მეგობრები ძლივს აკავებდნენ.

— არა ნამდვილად დაღლილი იყო. შფოთიანი დღე გაიარა.

დილიდანვე ცემენტისათვის დაწანწალებდა. ცემენტი ეკუთვნოდათ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, გეკუთვნის თუ არა? რამდენიმე დღე მაინც უნდა იწანწალო, იჩხუბო, როგორმე კუთვნილი რომ მიიღო. ანდა ქრთამი უნდა მისცე, რა თქმა უნდა, თუ საქმე აღარ იცდის.

დღის ბოლოს ცემენტი, როგორც იყო, მშენებლობაზე მიიტანა და დააბინავა. შინ წასვლა დააპირა.

მშენებლობის წინ მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. მანქანიდან შავულვაშიანმა კაცმა გამოიხედა და დათოს დაუძახა:

— მეგობარი!

დათო მანქანასთან მივიდა. მანქანიდან იხედებოდა შუახნის მამაკაცი, რომელსაც კუპრივით შავი თმა და ბრინჯაოსფერი, ხმელი სახე ჰქონდა, დახვეწილი ნაკვთები, თითქოს ილიმე-

ბოდა კიდეც და არც იღიმებოდა. იღიმებოდა თვალებს ქვემოთ, თვალებში ღრმა, ნაღვლიანი ფიქრი გაწოლოდა. საფეთქლებთან თმა შეჭაღარავებოდა.

უნებური მოკრძალებით განიმსჭვალა დათო.

— გამარჯობათ! — მიესალმა უცნობი. პასუხს არ დაელოდა, თავი გააცნო. — მე ნიკო კორინთელი ვარ!

— რა გნებავთ?

— მე პირდაპირი კაცი ვარ, — თქვა ნიკო კორინთელმა.— საჩქაროდ მჭირდება ცემენტი.

— მეც პირდაპირ მიყვარს ლაპარაკი, — მიუგო დათომ,— ცემენტი არა მაქვს.

— არა გაქვთ?!

— არა!

— დღეს ხომ მოიტანეთ?

— დიახ, მოვიტანე!

— ოთხი ტონით მეტი!

— ეგ მომავალი თვისაა. წინასწარ მომცეს.

— თქვენ რაღაცაში ვერ გარკვეულხართ, წინასწარ არავინ არაფერს იძლევა.

— მე მოვახერხე.

— ყმაწვილო, მე მესმის თქვენ ან გეშინიათ ჩემი, აწდა გგონიათ, ვერ გავუგებთ ერთმანეთს.

მანქანიდან შოფერი გადმოვიდა, ყურში ჩასჩურჩულა:

— ეგ კაცი შავი ნიკოა.

— ჩემთვის სულ ერთია, შავია თუ თეთრი, — ჩაიბურტყუნა დათომ, — ცემენტი მე თვითონ მჭირდება.

— ყმაწვილო, მე უფრო თავაზიანი მეგონეთ.

— წარმოიდგინეთ, მეც შევცდი.

— კეთილი... — ნიკო კორინთელი შოფერს მიუბრუნდა,— წავიდეთ.

მანქანა დაიძრა.

მანქანის წასვლისთანავე დაავიწყდა დათოს შავი ნიკოს არსებობა. მხოლოდ შინ, სადილობისას, გაახსენდა და დააპირა ამ ამბის მოყოლა. მაგრამ თეონამ არ აცალა.

— რა არის, დათო, ის ბიჭი რომ შემოიჩვიე?

— რომელი ბიჭი?

— რომელი და ზურიკო! ნამდვილი ზტერია, მოდის და მთელი დღე ფანჯარასთან დგას.

— კი, მე მივეცი უფლება.

— რატომ? — იკითხა დედამ.

— მოვიდეს, რას გიშლით?!

— რა უცნაური კაცი ხარ, დათო.

ზურიკო სულ მარტო იდგა მოაჯირთან, დარცხვენილი. გარშემო იხედებოდა დიდი, სევდიანი თვალებით. ბავშვმა იცოდა მესამე სართულიდან დათო რომ დასცქეროდა. იცოდა და მაინც არ ამოხედა. მისი ბალღური სიამაყე დათრგუნვილი იყო.

— რა უნდა ვუყოთ მაგ ბავშვს? — იკითხა თეონამ.

დათომ მირიანს გახედა. მირიანი მდუმარედ შეექცეოდა თავის ულუფას. ალბათ ძმის თვალი იგრძნო, ირიბი, ცივი მზერა გააპარა დათოსაკენ.

— მე აქ მოსვლის ნება მივეცი და ვეღარ დავუშლი.

— ჰო... იაროს, — თქვა პლატონმა.

— თქვენ რა გენაღვლებათ, — თქვა დედამ, — მთელი დღე გარეთ ხართ.

— მაშ, რა ვქნა?

— უთხარი, ნუღარ მოვა, — ურჩია თეონამ.

— როგორ ვუთხრა ბავშვს, ნუ მოხვალ-თქო?

— ჩვეულებრივად.

— თქვენ რატომ არ ეუბნებით?

— შენ დაგირთავს ნება და შენვე აუკრძალე, — მოუჭრა სიტყვა დამ.

— გეყოფათ... ჰო... — აღელდა პლატონი.

— პლატონ, თეონა მეცადინეობს, როგორ არ გესმის მეცადინეობს! როცა ის ბიჭი აქ არის, მირიანიც ვერ ისვენებს, თავის ოთახში ვეღარ შედის. არაფერს არ ვიტყოდი, კვირაში ერთხელ რომ მოდიოდეს, გამიგია ყოველდღე მოსვლა?! ჯერ ფანჯარასთან დგას მთელი საათი. მერმე ამ თეზს მიადგება და აღარ ეშვება.

— მე მგონი, არაფერს გიფუჭებთ ეგ ბავშვი.

— ეგღა გვაკლია, გაგვიფუჭოს! — თქვა თეონამ.

— კარგი, ვეტყვი...

„რა დაემართათ... ყველანი გაღიზიანებულები არიან...“

სადილზე მეტი არა თქმულა რა. ოჯახი ჩვეულებრივმა სიმ-

ყუდროვემ მოიცვა. ბლატონი წასაძინებლად გაეშურა. მირიანი შუშაბანდში წამოწვა ტახტზე, ხოლო დათო წასასვლელად მოემზადა: დღეს რვის ნახევარზე კოტე რამიშვილთან უნდა შეკრებილიყვნენ მეგობრები, მერმე გაისეირნებდნენ ქუჩაში და ათი საათისთვის დაბადების დღეზე ესტუმრებოდნენ გელას.

დათომ კრეპის შავი კოსტუმი ჩაიცვა, თეთრ პერანგზე თეთრზოლებიანი შავი ჰალსტუხი გაიკეთა. სარკესთან მივიდა და თმა დაივარცხნა. თვითონ ვერ შეატყობინა, მაგრამ დარწმუნებული იყო, ციცინოს ახსოვდა და ისიც მოვიდოდა დაბადების დღეზე.

ზურგიდან თეონა მიეპარა, ფეხის წვერებზე აიწია და ძმას სარკეში გაუცინა.

— გეწყინა?

— ვერ გავიგე, რა დაგიშავათ იმ ბიჭმა?

— ასე სჯობია... ხომ იცი მირიანის ამბავი!.. უცხოს ვერ იტანს.

— ყველაფერს მირიანს ნუ აბრალებთ!

თეონა ახლა წინიდან დაუდგა ძმას და ლოყა მიუშვირა.

— მაკოცე!

— კარგი, რას მეპირფერები?!

— არა, მაკოცე!

დათო დაიხარა და დას ლოყაზე აკოცა.

— ასე გამოპრანჭული სად მიდიხარ?

ძმამ არაფერი უპასუხა. კარადის უჯრიდან სუფთა ცხვირსახოცი ამოიღო და აივანზე გავიდა.

აივნიდან უცებ თვალი მოჰკრა ზურიკოს. ბავშვმა ეზო გამოირბინა და მოვიდა იმ კიბესთან, რომელზეც დათო უნდა დაშვებულიყო. ეტყობოდა, დათოსთან მორბოდა.

როგორ შეხვდეს, რა უთხრას ახლა ამ პატარა ბიჭს?

შინ შებრუნება გადაწყვიტა: შეეძლო, სადარბაზოდან გასულიყო ქუჩაში. მაგრამ ოჯახის წევრებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. როცა ზურიკო კარზე დააკაკუნებდა, მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ დათომ გამიზნულად აარიდა თავი ზურიკოსთან შეხვედრას.

ოცდაშვიდი წელი აქედან დადიოდა დათო და ახლა პირ-

ველად ინანა, რომ ასეთი შესანიშნავი ბასასეფლილით, როგორიც სადარბაზოა, აქამდე არ უსარგებლია.

ზურიკო კიბეზე ამოდიოდა. უკვე ნაბიჯების ხმაც ისმოდა.

სხვა გამოსავალი არ იყო ბავშვს უნდა შეგებებოდა, რაღაც ეთქვა და უკან გაებრუნებინა. მოულოდნელად ნათელმა სხივმა გაურბინა: მის წინ ბენო ჩიჩუას ბინის კარი მოჩანდა.

არც დაფიქრებულა, ისე დააკაკუნა.

— მობრძანდით! — გაისმა შიგნიდან მანანას ხმა.

ახალ მიპატიჟებას აღარ დაუცადა, ოთახში შევიდა და კარი მიხურა.

— მამა შინ არის?

— ამ წუთში წავიდა. ერთი ფეხით გაგასწრო.

მანანა მაგიდას უჯდა და წინ ხელნაწერები ეწყო. დათოს შესვლისთანავე წამოდგა. რაღაც ჰკითხა, მაგრამ დათომ ვერ გაიგონა: მთელი გულისყური აივნისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

აივანი მოკლე ნაბიჯებით გაიარა ზურიკომ.

— საქმე გქონდა? — ჰკითხა მანანამ.

— კი.

კიდევ კარგი, ბენო შინ არ აღმოჩნდა, რას ეტყოდა, რისთვის შემოვედიო?

— იქნებ მე დაგეხმარო?! — არ ეშვებოდა მანანა.

— ისეთი არაფერია... — დათო ერთხანს ფიქრობდა, რა ეთქვა. მერე უნებურად წამოსცდა, — ასმანეთიანის დახურდავება მინდოდა.

— მაგდენი ფული არა მაქვს.

— მანანას ყვავილებიანი სარაფანი ეცვა. დათოს გაახსენდა, კვირას ამ სარაფანით გამოვიდა მანანა აივანზე.

— არა უშავს, ქუჩაში დავახურდავებ, — დათო ისევ კართან იდგა. ელოდა, რა მოხდებოდა გარეთ. „ალბათ ეტყვიან, შინ არ არისო და გაისტუმრებენ. ანდა, შეიძლება, არაფერი უთხრან“.

— რა კარში დგახარ? — ჰკითხა გაოცებულმა მანანამ.

— მეჩქარება... რას კითხულობდი? — დაძაბულობა რომ არ შეემჩნევინებინა, დათოს უნდოდა მანანა საუბრით გაერთო.

— ოო... საიდუმლოა!

დათომ ისევ გაიგონა ბავშვის ნაბიჯის ხმა... „არ შეუშვეს, არა, უნდა დავხვედროდი და მეთქვა. არ შეუშვეს...“

— მაინც რა არის ასეთი საიდუმლო? — იკითხა დათომ სხვათა შორის.

— გეტყვი, თუ არ გამცემ...

— მითხარი... „უნდა დავხვედროდი... ვეტყოდი: ახლა მივდივარ და კვირას გამოიარე-მეთქი... რატომ დავემალე?“

— არ გაინტერესებს და რა გითხრა?! — ისევ აღვივებდა ცნობისმოყვარეობას მანანა.

— როგორ არ მაინტერესებს!

— მირიანის მოთხრობაა, — გაანდო ბოლოს საიდუმლო.

— მირიანის?!

— ჰო!

— ვინ მოგცა?

— თვითონ მირიანმა... ოღონდ ძალიან მთხოვა, არავის უთხრაო.

დათომ დააპირა, წაძალადევი ღიმილით როგორმე დაეფარა გაოცება. „ალბათ ომამდელი მოთხრობაა...“ — ფიქრში ინუგეშა თავი. „თუნდაც ძველი მოთხრობა იყოს, რატომ მისცა მანანას წასაკითხად?..“

მაგიდასთან მივიდა და ხელნაწერს დახედა. ფურცლებიც და ხელნაწერიც ძველს არა ჰგავდა, ახალი იყო.

თავისი თვალით რომ არ ენახა, ვერაფრით დაიჯერებდა. მირიანი თურმე ისევ წერდა მოთხრობებს და დათოს არ უმხელდა, მაგიდიდან ფურცლები აიღო... შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. „მიმალავს... რატომ დამიმალა, რატომ არ წამაკითხა?..“

— შენ, ალბათ, წაკითხული გაქვს, — რატომღაც გაბზარული ხმით უთხრა მანანამ.

— რა თქმა უნდა, — იცრუა დათომ, — მოგწონს?

— კი... რაღაც სხვანაირია...

— მე მგონი, ომამდე უკეთესად წერდა.

— რა ვიცი...

— ძველი მოთხრობებიცა გაქვს წაკითხული?

— კი.

დათომ ხელნაწერი თავის ადგილზე დადო. სხვა დროს სიამოვნებით წაიკითხავდა, ახლა დანახვაც აღარ უნდოდა.

დათომ ბოროტად გახედა მანანას, თითქოს მისი ბრალი იყო, მირიანი რომ არ აკითხებდა მოთხრობებს. მოულოდნე-

ლად ქალიშვილის ნისლიან ზზერას წააწყდა. მანანა თითქოს გაბრუებული, ანდა ბურანში იყო. თვალების ნისლში უცნაური ცეცხლი უღვივოდა.

დუმილი ჩამოვარდა.

— გეტყობა, ძალიან მოგწონს მირიანის მოთხრობა?

— ძალიან არა... ისე კი, სიამოვნებით წავიკითხე.

— როდის მოგცა?

— დღეს დილით.

— გესაუბრება ხოლმე?

— ხანდახან.

— რას გეუბნება.

მანანა თვალს არ აშორებდა დათოს. გაშეშებული იდგა და შემკრთალი უმზერდა ბურანიდან, მერმე თითქოს ხმაურისა ეშინოდა, ფრთხილად დაჯდა, როგორც მოსწავლემ მერხზე, ისე დააწყო ხელები მაგიდაზე. ერთხანს ასე იყო გაყუჩებული... უცებ სახე მკლავებში ჩამალა... შავი, მძიმე თმა ტალღასავით დაეფინა მაგიდას. ხელნაწერი ფურცლები, საფერფლე, ფანქარი თმამ გადაფარა, თითქოს წალეკა.

დათოს არასოდეს ენახა ამგვარი გაშლილი თმა — მბზინავი, მძიმე, თანაც ჰაეროვანი. მოულოდნელად უჩვეულო, ჯერ განუცდელმა გრძნობამ შეიპყრო: უნდოდა ხელით შეხებოდა, თმაში გაბურდულიყო, დაკარგულიყო, როგორც ბავშვობისას ბურბუშელაში...

თმაში მართლაც გაებურდა ხელი.

— მანანა...

მანანა თრთოდა.

დათომ სათქმელი აღარ დაამთავრა. იგრძნო, მანანას სხეული კი არ უთრთოდა, შინაგან მთრთოლვარებას მოეცვა მთელი მისი არსება.

ეს მთრთოლვარება დათოსაც მოეკიდა.

თმა გადაუწია და ხელი ყელზე შეუცურა. თმის ქვეშ მონახა სახე... ტუჩები... ცხვირი... ლოყა... თვალები... თვალები სველი ჰქონდა.

მანანამ წამოიწია, თავი გადააქნია და თმა მხრებზე გადაიყარა. წამოდგა, საყვედურით და ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო დათოს ქალიშვილმა.

დათო ჰკოცნიდა ყელზე, სახეზე... ქალიშვილი მთელი ტა-

ნით აეკრა დათოს. მერმე სწრაფად გადაიხსნა გულისპირი. სარაფანის ვიწრო სამხრეები მკლავებზე ჩამოუცვივდა.

— მაკოცე, — ჩურჩულით ეუბნებოდა დათოს და საკვე, მკვრივ მკერდს უშვერდა, — მაკოცე!..

ბოლოს, მანანა გონს მოეგო. სწრაფად გაშორდა და მეორე ოთახის კართან მივიდა. ზურგშექცევით დადგა, გულისპირი შეიბნია და თმა გაისწორა.

— წადი, — უთხრა დათოს მტირალი ხმით.

— მანანა...

— წადი, ნუღარ მოხვალ...

— მანანა...

— ღმერთო, რა დამემართა, — ჩურჩულებდა მანანა, — წადი, გეხვეწები, წადი!

— მობრუნდი, რაღაცას გეტყვი და წავალ!

— ნუ მეტყვი, არ მინდა!

დათოს არაფერი ჰქონდა სათქმელი. უნდოდა კიდევ ერთხელ შეეხედა სახეზე, მაგრამ მანანა ზურგით იდგა და მობრუნებას არ აპირებდა.

— მანანა!..

— მაპატიე, დათო... თვითონ არ ვიცი, როგორ მომივიდა... გეხვეწები, წადი, წადი!.. აღარ მოხვიდე!

დათო გატრიალდა და წავიდა. სირბილით გაიარა აივანი და კიბეზე დაეშვა. სირბილითვე გადასჭრა ეზო... ქუჩაში აღმოჩნდა.

საკმაოდ დაღლილიყო. ღრმად სუნთქავდა.

ყველაფრის მიმართ გაურკვეველი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს ყოველივე, რაც მის გარშემო ჩანდა, ნამდვილად კი არა, გამოგონილი იყო, საღამოს ბინდიც, სახლებიც, ადამიანებიც.

საღამო ლურჯი კი არ არის, მოიგონეს, რომ ლურჯია. სილურჯე მოიგონეს. ასევე მოიგონეს სახლებიც, ოღონდ აგურისა კი არა — მუყაოსი. ადამიანებიც მოიგონეს.

მერმე დათო მეგობრებს შეხვდა.

გელასთან ღვინოს მიეძალა, მაგრამ რამდენიმე ჭიქა დალია თუ არა, შინ წასვლა აიჩემა. მეგობრები ძალით ასმევდნენ ღვინოს, ძლივს აკავებდნენ.

ბოლოს მაინც გამოიპარა.

ოპერის წინ ელექტროსაათი ორის ნახევარს უჩვენებდა.

დათომ ჭავჭავაძის ქუჩა აიარა და თავისი სახლისკენ გაუხ-ვია.

მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეზოდან აღარ ევლო. ეს გადაწყვიტა მაშინ, როცა მანანასაგან წამოვიდა. ახლა შინ შესვლას სადარბაზოდან აპირებდა, მაგრამ სადარბაზომდე ჯერ ჭიშკარი უნდა გაევლო. ჭიშკართან მივიდა, არც კი დაფიქრე-ბულა. რკინის კარს ხელი ჰკრა და ეღრიალით გააღო. ეზოში შესვლისთანავე აივნები და ფანჯრები მოათვალიერა. ეზოს ეძინა. კიბეზე სვენებ-სვენებით ადიოდა, ყოველ მოსახვევში ჩერდებოდა დაფიქრებული. ამ მცირე შეყოვნებამ საკუთარ არსებაში აღმოაჩენინა სხვა, მეორე დათო. პირველმა ჯერ გარკვევით არ იცოდა, რა უნდოდა და მაინც ებრძოდა. ბრძო-ლის მიზეზი მკაფიოდ მხოლოდ მესამე სართულის აივანზე გამოიკვეთა, მანანას ოთახის კართან.

— რატომ შეჩერდი?

— უნდა დავაკაკუნო.

— ხომ არ გაგიჟდი, რა დროს დაკაკუნებაა?!

— ცოტა ხნით გამოვიყვან და დაველაპარაკები.

— რა ლაპარაკი აგიტყდა ამ შუაღამით?!

— ორ სიტყვას ვეტყვი.

— გეუბნები, გვიან არის-მეთქი!.. გოგოს ძინავს.

— მე მიყვარს, როცა ნამძინარევი გამოდის, — სხვანაირი სითბო გამოჰყვება ხოლმე.

ამ ბოლო საბუთს პირველმა ვეღარ გაუძლო და დანებდა.

დათომ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან მამაკაცის ხმა.

ორივე დათოს მხედველობიდან გამორჩა ერთი გარემოე-ბა: ამ დროს, შესაძლებელია, შინ ყოფილიყო ბენო ჩიჩუა — მანანას მამა.

ორივე მოკამათე წამში აორთქლდა. ჩიჩუების კარის წინ ახლა უკვე შეშინებული დათო იდგა.

— რომელი ხარ?! — ისევ გაისმა ბენოს ხმა.

ამ ხმასთან ერთად დათომ გაიგონა სხვა ხმაც — სკამის წაქცევისა.

შეშინებული გავარდა კიბისკენ და კედელს მოეფარა. კე-დელსმოფარებულმა ცალი თვალი გაუსწორა აივნის სიგრ-ძეს, ცოტა ხნის შემდეგ დაინახა: გარეთ გამოსულიყო თეთრი

პერანგი თავის ამხანაგიანად. თეთრმა პერანგმა და მისმა ამხანაგმა მიიხედ-მოიხედა, მოაჯირსაც გადაეყუდა, მერმე წამოვიდა. დათოსკენ... სადაც დათო იმალებოდა და, იქვე იწყებოდა სხვენში ასასვლელი კიბე. დათო სწრაფად აჰყვა კიბეს და სხვენის სიბნელეში კატასავით გაუჩინარდა.

საკმაო ხანი გამოხდა.

დათომ ჩამოიარა რამდენიმე საფეხური და იქვე ჩამოჯდა.

სხვენში ასასვლელ კიბეზე უკვე სხვა დათო იჯდა. ეს იყო მომლოდინე, რწმენით აღჭურვილი დათო.

— იგი იჯდა და ელოდა...

დარწმუნებული იყო, მანანამ გაიგო მისი მოსვლა. ახლა საწოლში წრიალებს და იცდის, როდის დაიძინებს მამა. მამის ფშვინვას გაიგონებს თუ არა, მაშინვე ფეხაკრეფით გამოიპარება გარეთ.

სხვენში ასასვლელ კიბეზე მჯდარი დათო მოთმინებით ელოდა მანანას გამოსვლას...

ოქროს თევზი ბედნიერად გრძნობდა თავს...

დილით კარგ გუნებაზე გაეღვიძა.

მაგრამ უეცრად გაახსენდა წუხანდელი ღამე და ბავშვივით გაწითლდა. კედლისკენ გადაბრუნდა, ბალიშში შერგო თავი. ესეც არ იკმარა — საბანი წაიფარა, თითქოს უნდოდა საკუთარ სირცხვილს როგორმე დამალვოდა.

გაახსენდა, შუაღამით როგორ დაუკაკუნა მანანას, როგორ ემალებოდა მერმე სხვენზე ბენოს. „კიდევ კარგი, არ დამინახა, კიდევ კარგი!.. რას იფიქრებს მანანა, ნამდვილად მიხვდებოდა, მე რომ ვიყავი...“

გუშინდელი დღე სიზმარივით იყო.

მაინც რა მოხდა გუშინ?

„რა ამბავი ატყდებოდა, ბენოს რომ დავენახე?! გადავრჩი... ნამდვილად გადავრჩი“.

მაინც რა მოხდა გუშინ?

რა დაემართა მანანას? ან თვითონ რატომ ვეღარ შეიკავა თავი?

მანანა ბავშვია...

მანანა არც ისე ბავშვია.

თეონაზე წლინახევრით უფროსია. შარშან დაამთავრა სკოლა. სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა მისაღებ გამოცდებს და ვერ მოხვდა.

შინდამჯდარმა თვინიერმა გოგომ ძნელი ცხოვრება გადაიტანა, რვა წლისას დედა გაუთხოვდა — დემობილიზებულ მფრინავს გაჰყვა, ბენოს ომიდან დაბრუნებას აღარ დაუცადა.

ნათესავები ინახავდნენ მანანას. მერმე, როგორც იქნა, ომი დამთავრდა და ბენო ჩიჩუა ჩამოვიდა. მაშინვე მოეწყო რომელიღაც ქარხანაში მთავარ ბუღალტრად.

საუკეთესო წლები ომსა და მანანას შეალია... ცოლი აღარ შეურთავს... შვილი უქალოდ გაზარდა, თვითონ იყო დედაც და მამაც...

მაინც რა მოხდა გუშინ?

აივანზე თეონასთან ერთად დატანტალებდა მსუქანი, ხუჭუჭთმიანი ბავშვი. ყოველთვის პატარა, ფეხშიშველი გოგო...

თავზე საბანწაფარებული იგონებდა გუშინდელ დღეს. ღმერთმა იცის, მანანასთან შესვლამდე, წინასწარ არა ჰქონია რა განზრახული. იმიტომ შევიდა რომ ზურიკოს დამალვოდა. როგორ დაძაბა და დააბნია პატარა ბიჭმა! დაჭიმული ელოდა. რა მოხდებოდა გარეთ, შეუშვებდნენ თუ არა სახლში ზურიკოს... მერმე, როცა გაიგო, მირიანი თურმე ისევ წერს მოთხრობებს, არათუ წერს, მანანას აკითხებს, სულ მთლად დაიბნა და გარემოს გამოეთიშა. მანანას კი რაღაც მოეჩვენა, უთუოდ მოეჩვენა... სხვა რამ იფიქრა და აღელდა... დათოც აღელდა...

მ ა გ ი დ ა ზ ე ე ყ ა რ ა მ ბ ზ ი ნ ა ვ ი, შ ა ვ ი თ მ ა...

ბ ნ ე ლ შ ე ს ა ხ ვ ე ვ ვ ში, ფ ი ც რ ი ს მ ე ს ე რ თ ა ნ ვ ე ე ბ ე რ თ ე ლ ა ლ ო დ ი გ დ ი ა. ა ლ ბ ა თ ს ა უ კ უ ნ ე ზ ე მ ე ტ ი ა ი ქ დ ე ვ ს მ ო ლ უ რ ჯ ო-მ ო ნ ა ც რ ი ს ფ ე რ ო ლ ო დ ი... „წ ა ვ ი დ ე თ, დ ა ვ ს ხ დ ე თ, ჩ ვ ე ნ ი წ ი ლ ი გ ა ვ ც ვ ი თ ო თ“. ც ი ც ი ნ ო კ ი ი დ გ ა, რ ო გ ო რ ც ხ ვ ა ტ ში დ ი დ ი და გ რ ი ლ ი ჩ რ დ ი ლ ი. ჩ რ დ ი ლ ში კ ა რ გ ი ა დ ა ს ვ ე ნ ე ბ ა.

— მოდი, მშენებლობაზე წავიდეთ.

— ამ ღამეში? — გაოცდა ციცინო.

— ერთხელ ხომ უნდა ნახო, სად ვმუშაობ, რას ვაკეთებ.

— სიბნელეში მაინც ვერაფერს გავარჩევ, დღისით სჯობია.

— დღისით შენ არ გცალია, სულ ლექციებზე ხარ.

— კვირა დღეს იყოს.

— არ გაინტერესებს ჩემი ოთახის ნახვა?

— ძალიან.

— ჩემი კი არა — ჩვენი. მე უკვე მიყვარს ჩვენი ბინა. მეოთხე სართულზე.

— მე მაინც არ მესმის საიდან არის შენი?

— ჩვენი — გაუსწორა დათომ.

— კარგი, თუ გინდა ეგრე თქვი.

— შემპირდნენ... მითხრეს კიდეც, რომელს მაძლევენ.

— ჯერ არც ბინაზე, არც ოჯახზე არ ვფიქრობ. ალბათ სულელი ვარ და იმიტომ. მე მინდა... თვითონ არ ვიცი, რა მინდა.

— წინათ არც მე ვიცოდი, მაგრამ... ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— ალბათ ასეა. რა თქმა უნდა, ასეა.

— ჩვენი ოჯახი მყუდრო იქნება, წყნარი... ისე კი გამიჭირდება ჩვენების მიტოვება. ძნელია.

ციცინო და დათო ნიკოლაძის ქუჩით ლენინის ქუჩაზე გავიდნენ.

— გვიან არ არის? — იკითხა ციცინომ.

— ათის ნახევარია.

— შინ გაგიყდებიან, მამაჩემი ვერ იტანს გვიან რომ ვბრუნდები.

ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო.

უკან მოკალათდნენ. კონდუქტორმა თავი შეახსენა და დათომ ჯიბეები მოიქექა — მანეთიანი გაუწოდა კონდუქტორს. მერმე ციცინოს მიუბრუნდა:

— უკან ჯდომა მიყვარს. სტუდენტობის დროს შევეჩვიე და ვეღარ მოვიშალე.

ავტობუსი თითქმის მთელი დღის მუშაობით დაიღალა. სვენებ-სვენებით მიდიოდა. გმირთა მოედანი გაიარა და საბურთალოსკენ შეუყვა აღმართს. დათომ ციცინოს ხელი მოხვია და კოცნა დაუპირა. ციცინომ კონდუქტორისკენ მიახედა.

— მაგას ახლა „სძინავს“, — ჩასჩურჩულა დათომ, —ოღ-ონდ ბილეთებს ნუ მოვთხოვთ და დილამდე იძინებს.

წინა რიგებში სამი მამაკაცის კეფა მოჩანდა. ერთს, ეტყობოდა, ნამდვილად ეძინა. ოდნავ გვერდზე გადახრილიყო და თავს აკანტურებდა, გეგონებოდა, წინ საკენკი ეყარა და კენკავდა.

— მალე დაებრუნდეთ რა... თერთმეტზე მაინც მივიდე შინ. დედა იმდენჯერ მოვატყუე, უკვე მრცხვენია.

— დიდხანს რა გაგვაჩერებს?!

ციცინოს ნარისჯისფერი შალის კაბა ეცვა, სადად შეკერილი. ყოველთვის ასე იცვამდა. მისი ტანსაცმელი არ ყვიროდა, უბრალო იყო, ტანზე კარგად მორგებული.

არიან ქალიშვილები, თუ გინდა ქალები, რომლებიც ერთი შეხედვით არ ტოვებენ არავითარ შთაბეჭდილებას. მათ სწორი, მაგრამ მშვიდი ნაკვთები აქვთ. სახის არც ერთი ნაწილი — თვალები ან ტუჩები — ცალ-ცალკე არ იქცევს კაცის ყურადღებას. ასეთი ქალიშვილები თუ ქალები ხშირად ძალიან ლამაზები არიან, ოღონდ ამ ფარულ სილამაზეს თანდათან უნდა ალმოჩენა.

დათო უხმოდ შესცქეროდა მკრთალად განათებულ ხორბლისფერ სახეს. ციცინოს ქერა თმა ჰქონდა, წარბები და წამწამები — მუქი, თვალები — მომწვანო. მაგრამ ამ სხვადასხვა ფერს სახის ხორბლისფერი კანი რაღაცნაირად უკარგავდა მკაფიობას.

ავტობუსში ოთხნი ამოვიდნენ: ორი ბავშვი, ქალი და კაცი. კაცი მთვრალი იყო. ქალი ხმამაღლა საყვედურობდა: ზომა არ იცი, სანამ არ გატყვრები და გათახსირდები, ღვინოს არ მოეშვებიო, ეს ბავშვები გამოუძინებელი დარჩნენ და ხვალ დილით როგორ ავაყენო, სკოლაში როგორ გავუშვაო.

ქმარი გაბუსუნებული უსმენდა, უდრტვინველად იტანდა ცოლის საყვედურებს.

ორმა მგზავრმა ოჯახს ცნობისმოყვარეობით მოხედა. მესამე ისევ გვერდულად იჯდა და თავს აკანტურებდა.

ავტობუსმა განათებული ქუჩები უკან ჩამოიტოვა. ორღობეს ქუჩით კარგა ხანს მიჩაქჩაქებდა. ბოლოს დიდი წრე შემოხაზა და გაჩერდა. ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს ვეებერთელა ბურთი დაიჩუტა.

— ჩავიდეთ, — თქვა დათომ. — ბოლო გაჩერებაა.

ორი მგზავრი და ერთი ოჯახი წინა კარიდან ჩავიდნენ. მძღინარესთან კონდუქტორი მივიდა და გააღვიძა. გაღვიძებული სწრაფად კი წამოხტა, მაგრამ ვერ გაერკვა, სად იყო.

ზედ გუბესთან გაჩერებულიყო ავტობუსი. დათომ ისკუპა, გუბეს გადაახტა. მერე ცალი ხელი ციცინოს გაუწოდა და ისიც გადაახტუნა.

ირგვლივ სიჩუმე და სიბნელე იყო. ალაგ-ალაგ მკრთალად ელავდა გუბეები. ისინი მიწაყრილებზე მიდიოდნენ, ქუჩა არსად ჩანდა.

— სად მივდივართ, დათო?

— შენ არ იცი, ხუთი-ათი წლის შემდეგ აქ რა იქნება.

— რა გვეჩქარებოდა, ჩვენც ათი წლის შემდეგ მოვსულიყავით.

— ათი წლის შემდეგ გვიან იქნება.

— ნეტა ვიცოდე, რა მეხუმრება, მეშინია.

— ჩემთან ნურაფრის გეშინია.

— დროის გრძნობა დავკარგე, ასე მგონია, შუაღამეა.

— ეგ იმიტომ, რომ ბნელა და სიჩუმეა.

— მე ყველაზე უფრო სიბნელისა და სიჩუმის მეშინია.

თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს. ღამის წყვდიადში ნელ-ნელა ამოიზარდა შენობის აჩონჩხილი კედლები და ამწეები.

— აგერ, ჩვენი სახლიც გამოჩნდა.

დათო მალიმალ გაჰკრავდა ხოლმე ასანთს. ფრთხილად ადიოდნენ სახელდახელო ხის კიბეზე. ციცინოს, ეტყობოდა, მართლა ეშინოდა, მაგრად ჩაეჭიდა ხელი დათოსთვის.

როგორც იყო, ააღწიეს მეოთხე სართულს და „თავის ბინაში" შევიდნენ. ოღონდ ბინას ჯერ არც კარი ჰქონდა, არც ფანჯრები და, რაც მთავარია, არ გააჩნდა ჭერი. სამაგიეროდ საკარე და საფანჯრე ადგილები დატოვებული ჰქონდა.

ფანჯრიდან ღამეული სივრცე მოჩანდა. ვარსკვლავებით დაწინწკლული სივრცე ოთახზე უფრო ნათელი იყო. ჭერზე მილიარდობით ვარსკვლავი დაბორიალებდა. კარი, რომელიც რკინის აივანზე გასასვლელად დაეტოვებინათ, გაჩირაღდნებულ ქალაქს გასცქეროდა. ქალაქი ღამის რეიდზე მდგარ გაჩახჩახებულ ხომალდსა ჰგავდა.

— მოგწონს? — დათოს უნდოდა ციცინოს აქაურობა მოსწონებოდა.

— კარგია, — უპასუხა ციცინომ.

დათო ერთი წუთით გავიდა და მეზობელი „ბინიდან“ უამრავი ბურბუშელა შემოიტანა. მერმე კიდევ გავიდა, კიდევ შემოიტანა.

— საით გირჩევნია ყურება, თბილისისკენ თუ წყნეთისკენ?

— სულ ერთია... თუმცა, სჯობია, თბილისს ვუყურეთ... ლამაზია.

ისინი ბურბუშელაში ისხდნენ და ქალაქს გაჰყურებდნენ. დათომ პიჯაკი გაიხადა. პიჯაკი ორივემ მოიხურა. ბ ურ ბ უ შ ე ლ ა ს ა ვ ი თ ე ყ ა რ ა მ ა გ ი დ ა ზ ე თ მ ა... დათოს გუნება შეეცვალა. ისიც კი გადაწყვიტა, ყველაფერი გულახდილად ეთქვა ციცინოსათვის. თავიდან მოეშორებინა მანანაზე უაზრო ფიქრი. მაგრამ ამ გულახდილობით შეიძლება, ტკივილი მიეყენებინა ციცინოსთვის.

გაჩუმება არჩია.

ციცინო მკლავზე გადაიწვინა, ყელსა და მკერდზე დაუწყო კოცნა. მერმე სიბნელეში ტუჩებს მიაგნო. დიდხანს კოცნიდა, მერმე წამოდგა და ციცინოც წამოაყენა. წელზე ღონივრად მოხვია ხელები, ტანზე მიიკრა.

მერმე დაიღალნენ და ისევ ბურბუშელაში ჩასხდნენ.

დათომ მიგდებული პიჯაკი მოძებნა, ციცინოს მხრებზე მოახურა. გუმანით იგრძნო, ახლა ლაპარაკი იყო საჭირო... მხიარული, უზრუნველი, მაგრამ სიტყვა არ მოეკიდა ენაზე, ვერაფერი გაიხსენა ისეთი, რითაც ორივენი გაერთობოდნენ. სულ უნდოდა მანანას ამბავი ეთქვა, ეთქვა ისიც, რომ ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და თუ ახლა ჰყვება, ჰყვება მხოლოდ იმიტომ, რომ ციცინოსთან არაფერი აქვს დასამალი.

ციცინო დუმდა. დუმილი დათოს საეჭვოდ მოეჩვენა.

გახსოვს, პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს? გელამ მომიყვანა შენთან... მართლა, რატომ არ იყავი წუხელ გელასთან?

— დამავიწყდა.

მე მეგონა, გახსოვდა. არც გამიფრთხილებიხარ, ისე კი, მალე წამოვედი. უმოკლესი გზით მივედი შინ.

დათოს გაახსენდა, როგორ ემალებოდა ბენო ჩიჩუას, მერმე სხვენზე როგორ ავიდა.

— იცი, რა? ჩვენს ეზოში ერთი ძალიან სასაცილო ბიჭი ცხოვრობს, ზურიკო ჰქვია. ახლახან გადმოვიდნენ საცხოვრებლად.

მერმე დაწვრილებით უამბო ზურიკოს დარბაზობა კვირა დილით. საყვედურები, ფანჯარაში ცქერა, უამბო, როგორ მიანიჭა ბავშვს მოსვლის უფლება, მერმე როგორ დაემალა ბენო ჩიჩუას ოთახში.

ციცინო მდუმარედ უსმენდა.

— სასაცილო ბავშვია, — თქვა დათომ.

— ბავშვს როგორ დაემალე?

— რა ვიცი. დავიბენი.

გულაღმა გადაწვა ბურბუშელაში. ცალი ხელი თავქვეშ ამოიდო, მეორეთი ციცინოს ხელი მონახა. ჭერი სავსე იყო ვარსკვლავებით. ერთმანეთზე მიყრილი უამრავი ვარსკვლავი ციმციმებდა ჭერზე. „დღეს არ უნდა შევხვედროდი, ანდა რისთვის მოვიყვანე მაინცდამაინც აქ? ხომ შეიძლებოდა სადმე სხვაგან წავსულიყავით, სადაც ბევრი ხალხი იქნებოდა, თეატრში ან კინოში“.

დათო წუთი წუთზე ელოდა, ციცინო მეტყვის, უკვე დროა და შინ წავიდეთო. იგი კი ისევ მისჩერებოდა მოციალე და მდუმარე სივრცეს, თითქოს მარტო იყო, თითქოს მის გვერდით არავინ იჯდა.

— ციცინო!

ციცინომ თავი მოაბრუნა.

— რა კარგი ღამეა, არა?

ციცინომ თავი დააქნია. მერმე ღამეულ ქალაქს გახედა ისევ.

— დღეს რაღაც სხვანაირი ხარ, დათო...

— რას ჰქვია, სხვანაირი?

— არ ვიცი, რას ჰქვია.

— თუ ამბობ, უნდა იცოდე.

— ვგრძნობ, მაგრამ თქმა მიჭირს, არ შემიძლია. ხშირად მემართება ასე. ალბათ იმიტომ, რომ ეს გრძნობა მთლად ნა-

თელი არ არის ჩემთვის. არც ის ვიცი, როგორ ან საიდან მეგადება ხოლმე ასეთი გრძნობა.

დათო მიხვდა — ციცინო მართალი იყო. დღეს საღამოს შეხვდა თუ არა, იმ წუთიდან უჩვეულო ურთიერთობა დამყარდა მათ შორის. არაფერი არ უთქვამს ისეთი, რასაც სხვა დროს არ ეტყოდა, მაგრამ სულ ეჩვენებოდა, რომ ატყუებდა, სიმართლეს არ ეუბნებოდა ციცინოს... არადა, ისეთივე გულწრფელი იყო, როგორც მანამდე, წინა შეხვედრებისას.

ისეთი არაფერი არ გაუკეთებია, რასაც სხვა დროს არ გააკეთებდა, მაგრამ ყოველი თავის მოქმედება ყალბად და ნაძალადევად ეჩვენებოდა. თითქოს იმიტომ კოცნიდა, რომ ვალდებული ანდა იძულებული იყო მოფერებოდა. სინამდვილეში კი წრფელად უნდოდა ციცინოს გვერდით ყოფნა, თანაც უნდოდა ეს სიახლოვე საუკუნოდ გაგრძელებულიყო.

იქნებ ამ გაურკვევლობის გამო მოუნდა, რაც შეიძლება მალე მიეცილებინა ციცინო სახლამდე და მარტო დარჩენილიყო.

— იცი, რად გითხარი? ჩვენ ერთხელ დავთქვით, მუდამ გულწრფელები ვყოფილიყავით, არაფერი დაგვემალა ერთმანეთისთვის, — თქვა ციცინომ.

დათომ გარკვევით გაიგონა მანქანის ხმა. კაცის ხმაც გაიგონა გარკვევით.

— ვიცი. შენ არ დამაცადე, თორემ გეტყოდი.

— რას მეტყოდი?

— იქ რომ შევედი, მარტო მანანა დამხვდა ოთახში.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაგხვდა! შენ ვერ გამიგე, დათო... მე სხვა მიგანიშნე და შენ სხვას მეუბნები.

— როგორ არა აქვს მნიშვნელობა?!.

დათოს ისევ შემოესმა გარედან ხმაური და მიაყურა. მერე წამოდგა და გადაიხედა. სიბნელეს თვალშეჩვეულმა ეზოს სიღრმეში საბარგო მანქანა და ორი კაცი დალანდა. კაცები რაღაცას ფუსფუსებდნენ.

— რა მოხდა?

— ვიღაცეები არიან... მანქანით მოსულან.

— ამ ღამეში რატომ მოსულან?

— მეც ეგ მიკვირს, წავალ და გავიგებ.

— დათო!

— ნუ გეშინია, ახლავე დავბრუნდები.

დათო სიფრთხილით დაჰყვა ხის კიბეს, თან ხელს კედელზე მიაფათურებდა. ეზოში რომ ჩავიდა, უცებ ვერაფერი გაარჩია. ასე იარა ერთხანს. მერმე ოციოდე ნაბიჯზე საბარგომანქანა გამოიკვეთა. დათო მიხვდა, რაც ხდებოდა: ვილაცები ცემენტით ტვირთავდნენ მანქანას.

— ეი, მანდ ვინა ხართ?! — გასძახა დათომ და რამოდენიმე ნაბიჯი კიდევ წადგა.

ყოველგვარი ხმაური მიწყდა. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

— მანდ ვინა ხართ-მეთქი?! რას აკეთებთ?!

ორი ლანდი გამოეშურა დათოსკენ. დათო მონუსხულივით იდგა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხმა აღარ ამოუვიდა ყელიდან.

ლანდები ნელ-ნელა მოიწევდნენ დათოსკენ, ჯიუტად უახლოვდებოდნენ...

სულ ახლოს მოვიდნენ. დათომ სახეებიც კი გაარჩია, მაგრამ ვერ იცნო. მერმე შეამჩნია, რომ ლანდებს ნიჩბები ეკავათ ხელში.

გაქცევა სცადა... კეფაში ყრუ ტკივილი იგრძნო, შეტორტმანდა, თავზე ორივე ხელი წაივლო. კიდევ დააპირა გაქცევა და მუხლებმა უმტყუნა...

უნებურად შეტრიალდა, ახლა უფრო ძლიერი ტკივილი იგრძნო. ვიღრე გონებას დაჰკარგავდა, მიხვდა, ამჯერად შუბლში დაჰკრეს ნიჩაბი...

როდესაც გონს მოვიდა, თენდებოდა. გულაღმა ეგდო მიწაზე და ეძინა. ალბათ, ეძინა რადგან სიზმრები ნახა, საშინელი სიზმრები.

თავის ტკივილმა გამოაღვიძა. მაღლა გაფითრებული ცა და აქა-იქ შერჩენილი ვარსკვლავი ცახცახებდა... წამოიწია, მაგრამ ვერ ადგა. მთელ სხეულში ტკივილმა დაუარა, მტვრევა დაუწყო. გულაღმა დაგდებულმა წამში გაიაზრა, სად იყო და რა მოხდა. გაახსენდა: მეოთხე სართულზე ციცინო დატოვა. თავი წამოჰყო და მიდამოს თვალი მოავლო. ირგვლივ არავინ ჩანდა, არც სიჩუმეს არღვევდა ვინმე.

— ციცინო! — დაიძახა ჩახლეჩილი ხმით, — ციცინო!

გვერდზე გადაბრუნდა, ახლა ასე სინჯა წამოდგომა, გა-

ჭირვეებით დადგა ფეხზე. მთელი ღამე მიწაზე ნაგდებს შესცივნოდა, კანკალებდა... პერანგზე სისხლი შეამჩნია, მერე სახეზე მოისვა ხელი — სისხლი შეხმობოდა. მერე შუბლი მოისინჯა, დარტყმისაგან ჭრილობა გასჩენოდა, თანაც ზედ თმა მიწებებოდა და ძალიან ტკიოდა.

ბანცალით გაემართა შენობისაკენ. კედელ-კედელ აჰყვა კიბეს.

— ციცინო!

ხმას არავინ სცემდა.

— ციცინო!

მეოთხე სართულზე ციცინო არ დახვდა.

მიყრილ-მოყრილი ბურბუშელა.

ბურბუშელაზე მიგდებული პიჯაკი.

დათო ფანჯარასთან მივიდა. ორივე ხელით კედელს მიებჯინა და ეზოში გადაიხედა. ფარდულის კარი გაეტეხათ და ღიად დაეტოვებინათ. მთელი ეზო ცემენტით მოფენილიყო.

მერმე მთელი სართული დაიარა, ყველა ოთახი დაათვალიერა. ციცინო არსად იყო. უკან რომ დაბრუნდა, „თავისი ოთახი" როგორღაც დარბეული მოეჩვენა. თითქოს ბურბუშელა მიმოეფანტათ, პიჯაკიც დაეკმუკნათ და ისე მიეგდოთ.

— ციცინო! — ოღრიალა და ტკივილისაგან დაიმანჭა. კეფაზე ფრთხილად მოისვა ხელი. ახლაღა გაიხსენა, რომ პირველად სწორედ აქ დაჰკრეს ნიჩაბი. თმას სისხლში აზელილი მიწა თუ ცემენტი მიჰკვროდა. იფიქრა მოვიშორებო, თმა ეწიწკნებოდა და საშინელ ტკივილს ჰგვრიდა.

პიჯაკს დასწვდა, გაჭირვებით გაუყარა ხელები.

ეზოში ჩამოვიდა და დიდხანს იბოდიალა. ფარდულის კარი მიხურა. გატეხილი ბოქლომი ხელში ატრიალა და იქვე მიაგდო. მერე ონკანი მოუშვა, პირი დაიბანა.

ერთთავად ციცინოზე ფიქრობდა. ჯერ შესაძლებლად ჩათვალა, რომ იმ ორ უცნობს შეეძლო ციცინოს მიგნება. ათასგვარი შემზარავი სურათი წარმოიდგინა... მერმე თავი დაიმშვიდა: რატომ ავიდოდნენ მაინცდამაინც მეოთხე სართულზე? გინდაც გაეგოთ, რომ იქ ვიღაცაა, თავს საფრთხეში აღარ ჩაიგდებდნენ, დასხდებოდნენ მანქანაზე და მოუსვამდნენ.

არა, ციცინო ნამდვილად შინ წავიდა.

მაგრამ იმ ღამეში როგორ წავიდოდა?.. ანდა რატომ დატოვებდა პიჯაკს?

აღარ იცოდა, რა ექნა, ციცინო მოეძებნა, პოლიკლინიკაში წასულიყო, თუ სამშენებლო კანტორისათვის შეეტყობინებინა ეს ამბავი?

კანტორაში წასვლას არ ჰქონდა აზრი, გვიან გაახსენდა: დღეს კვირა იყო და არავინ დახვდებოდა... ციცინოსთან მტვერში ამოგანგლული და თავპირდალეწილი ვერ გამოცხადდებოდა, უხერხული იყო, ხალხს დააფრთხობდა... არადა, ასე გულდამშვიდებაც არ შეიძლებოდა.

ასიოდე მეტრზე მშენებლობისაკენ მომავალი ავტომანქანა დაინახა, მტვერში რწევა-რწევით მოიკვლევდა გზას. დათო გზაზე გავიდა და დაელოდა თუ ტაქსი აღმოჩნდებოდა, უკან დაბრუნებისას გაჰყვებოდა.

ტაქსი დათოს წინ გაჩერდა. მოულოდნელად მანქანიდან გელა და ციცინო გადმოვიდნენ. ორივეს შეშფოთებული სახე ჰქონდა. დათომ ციცინო რომ დაინახა, დამშვიდდა, სული მოითქვა.

— რა მოგვიდა, ბიჭო! — სასოწარკვეთილი ხმით იყვირა გელამ. — რას ჰგავხარ?!

ციცინო შეწუხებული უმზერდა და ხმას არ იღებდა. გელამ ირგვლივ შემოუარა დაზარალებულს, საფუძვლიანად აათვალიერ-ჩაათვალიერა. ჭრილობებიც გაუსინჯა თავზე.

— ჩქარა ექიმთან! — გასცა განკარგულება, — გზაში მიამბე, რა მოხდა.

უკან ციცინო და დათო მოთავსდნენ. გელამ შოფრის გვერდით დაიკავა ადგილი. მანქანამ იქვე მონახა მოსაბრუნებელი ადგილი და ქალაქისაკენ დაიძრა.

— ლამის გავგიჟდი, — დაიწყო გელამ, — დილაადრიან ციცინო რომ მომადგა. უნდა გენახა, რა სახე ჰქონდა!.. არა, მაინც როგორ დატოვე ეს გოგო? მერმე ქვევით ჩამოსულა, უძებნიხარ... ერთი მითხარი, რა გინდოდათ, ამ დასაქცევში რას მოდიოდით?! საწყალ გოგოს რა არ უფიქრია... სხვა ადგილი ვერ ნახეთ?! თუ სიყვარულისთვის მშენებლობის პეიზაჟია აუცილებელი? წარმოგიდგენია, ჩემს სახლამდე სულ ფეხით უვლია. კი არ უვლია, ურბენია... ტრანსპორტი უკვე

აღარ მუშაობდა... ტაქსი ვერ იშოვა... კერძო მანქანას არ ენდო...

დათო მოშვებულად იჯდა, სავარძლის ზურგზე მისვენებულიყო და ნახევრად მოხუჭული თვალებით გზას გასცქეროდა. წინ ჩიკორივით ტრიალებდა გელას თავი. წვრილი კისერი დიდ, ბურთივით მრგვალ თავს თითქოს იმაგრებდა კიდეც და ვერც იმაგრებდა. გეგონებოდა, ვიღაცის უხილავი ხელი ზემოდან აწვებოდა, ატრიალებდა, რომ თავი როგორმე კისრისთვის მოერგო, ზედ დაემაგრებინა.

— რას გაჩუმებულხარ, თქვი რა მოხდა?!

როდესაც დათო წუხანდელ ამბავს ყვებოდა, დაბინდულ მეხსიერებაში შავი ნიკო ამოტივტივდა.

— ხომ არ იცი, ვინ არის შავი ნიკო? — ჰკითხა გელას, როცა ამბავი დაასრულა.

— არა, პირველად მესმის.

— შავი ნიკო? — იკითხა შოფერმა, — მაგას ვინ არ იცნობს!

გელაც და დათოც შოფერს მიაჩერდნენ.

— სოლოლაკში ცხოვრობს... მაგარი ვინმეა.

შოფრის ყოველგვარი ცნობები შავ ნიკოზე ამით ამოიწურა. ალბათ, ეგონა, ამ კაცის შესახებ ბევრი რამ ვიციო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერაფერი თქვა. ეს უხერხულობა თვითონაც იგრძნო და ვიღაცაზე თუ რაღაცაზე გაბრაზებულმა წაიბურტყუნა:

— თუ გინდათ, სახლს გიჩვენებთ?

— რას ჰქვია, გვინდა?! ახლავე გვაჩვენე!.. — გელას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო შავი ნიკო. მაგრამ, როგორც ჩანს, წუხანდელმა ამბებმა ისე დამუხტა, რომ ყველაფერს შეუმოწმებლად აკავშირებდა ერთმანეთთან და დამნაშავეს ამ წუთიდანვე ეძებდა.

ციცინო მანქანის კუთხეში მიწურულიყო, ფერგამკრთალი უსმენდა მამაკაცების საუბარს.

დათომ ნიკო კორინთელის ამბავი გაიხსენა. ლაპარაკი თავის ტკივილს უორკეცებდა, მაგრამ ამბავი მაინც ჩაათავა.

— ყველაფერი გასაგებია, — თქვა გელამ, — ყველაფერი დღესავით ნათელია. მე უკვე ვხედავ ნიკო კორინთელს, — მერე შოფერს მიუბრუნდა, — შენ იმის სახლი დამანახვე!

— შავი ნიკო მაგარი ვინმეა.

— გელა, ჯერ დათო მივიყვანოთ ექიმთან.

— არა, ციციონო... იქ დიდხანს არ დავყოვნდებით.

დათოს თვლემა მოერია. ოდნავ შებრუნდა ციციონოსკენ და უფრო მოხერხებულად მიწვა. ქუდების მაღაზიაში, მირიანი, ნიკო კორინთელი და დათო, რატომღაც ერთად შევიდნენ. დათოსთვის ქუდი უნდა ეყიდათ. უცებ მოესმა ქალის ხმა, რომელიც ძალიან ჰგავდა ციციონოს ხმას.

— აქ მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება!.. მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება... ბავშვის ქუდები იყიდება...

ნიკო კორინთელი მაინც შევიდა დახლში და ქუდების გადმოლაგება დაიწყო. მერმე ყველა მათგანის მორგებას ცდილობდა დათოს თავზე. ყველა ქუდი პატარა იყო, ნიკო კორინთელი მაინც აბურავდა; დათო წვალობდა, იტანჯებოდა, ბოლოს სულ პატარა ზომის ქუდი ამოარჩია მირიანმა. ნიკომ ძალით ჩამოაცვა ეს ქუდი დათოს. ქუდი შუბლსა და კეფაზე უჭერდა, სუნთქვა აღარ შეეძლო, თანაც ტკივილის გამხელა აკრძალული ჰქონდა.

მანქანა მოასფალტებულ ვიწრო ქუჩაზე იდგა. გელა აღარ ჩანდა მანქანაში.

— სად არის გელა?— იკითხა დათომ.

— შავი ნიკოს სახლი უნდა ნახოს, — უპასუხა შოფერმა.

— რომელია?

— აქედან არ ჩანს, ქვემოთ არის...

— რატომ იქვე არ დააყენე?

— გაგიჟდი? რამე რომ მოხდეს და ჩემი მანქანა დაიხსომოს? — შოფერი ზედმეტად ფრთხილი და წინდახედული აღმოჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ გელა მოვიდა.

— ეგ სახლი შემჩნეული მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ნიკო კორინთელის იყო.

— მთლიანად მაგისია, აი!

— ახლა მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ! ერთი, თუ ძმა ხარ, სადმე აქვე პოლიკლინიკაში მიგვიყვანე, მორიგე ექიმი იქნება.

გელას ფაციფუცი გულს უწყალებდა დათოს. არაფრის თავი არ ჰქონდა, არც ფიქრის, არც ამ უაზრო, გელას მიერ წამოწყებული გამოძიებისა. შუბლი დაუმძიმდა, სიმძიმე ქუთუთოებს ჩამოაწვა... ეძინებოდა. იმასაც მიაქცია ყურადღება, ციცინო ხმას არ იღებდა და თავისთვის იჯდა მიყუჟული. ხანდახან ეჩვენებოდა, ციცინო უცხო ადამიანი იყო და ამ მანქანაში შემთხვევით მოხვდა.

პოლიკლინიკიდან გამოსულებმა მთაწმინდის უბნისაკენ აიღეს გეზი. დათომ წარმოიდგინა მტვერში ამოსვრილი, თავშეხვეული რომ შეაღებდა კარს, ოჯახში რა ალიაქოთი ატყდებოდა. რა გაუძლებდა დედის შეცხადებას, წუხილს, თეონას შეშფოთებულ მზერას და ათასგვარ შეკითხვას. წინასწარ დაეუფლა გრძნობა განწირული კაცისა, რომელიც საშველს ვეღარა ხედავდა.

მანქანა სადარბაზოსთან გაჩერდა.

— ციცინო, შენც ამოდი, რა! — შესთავაზა გელამ.

— არა, მე წავალ.

— ცოტა ხნით ავიდეთ. მერმე მიგაცილებ.

— არა, არა, წავალ... დაღლილი ვარ.

გელამ ტაქსის შოფერს ფული გადაუხადა. გამოიანგარიშა, ციცინოს სახლამდე დაახლოებით რას დაწერდა მრიცხველი და ისიც მისცა.

— ჯიგარო, ეს გოგო მიიყვანე!

სადარბაზოდან მირიანი გამოვიდა, მარჯვნივ გაუხვია და სწრაფად გაჰყვა ქუჩას. ბადურით რძის ბოთლები მიჰქონდა.

კარი დედამ გაუღო.

შვილმა შესვლისთანავე ანიშნა: ისეთი არაფერი მომხდარა და ნუ აღელდებიო. დედას თვალები გაუფართოვდა.

— იჩხუბე?!

შვილი არ მოელოდა ასეთ შეკითხვას და ეწყინა. მით უმეტეს, რომ დედამ ეს სიტყვა ძალიან ნაცნობი კილოთი წარმოთქვა. ასეთი კილოთი ეკითხებოდა ბავშვობაში, როცა შინ სხვა უბნის ბიჭებთან ნაჩხუბარი მოვიდოდა ხოლმე.

დათო პირდაპირ თავის საწოლისაკენ გაეშურა, უკან მოჰყვებოდა დედა, რომელსაც გელა ამშვიდებდა:

— ყველაფერს ახლავე მოგახსენებთ, ქალბატონო. ნუ აღელდებით.

ტანსაცმელი დათომ იქვე სკამზე მიყარა და ლოგინში შეწვა. შუშაბანდში თვალი მოჰკრა პლატონს, რომელიც მაგიდას უჯდა და საუზმობდა. დედა და გელა თავზე ადგნენ. დათომ თვალები დახუჭა, ამით ორივეს ანიშნა: მეძინება და მარტო დამტოვეთო.

— ჰო, ექიმმა თქვა, სიმშვიდე და მოსვენება სჭირდებაო,— ჩურჩულით თქვა გელამ.

არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს ექიმს, არავითარი რჩევა-დარიგება არ მიუცია. კეფაზე, ჭრილობის ირგვლივ, თმა შეკრიჭა, მერმე შუბლიც და კეფაც სუფთად მობანა, ორივეგან მალამო დაადო და კარგად შეუხვია. უხმოდ მოქმედებდა. ისიც არ უკითხავს, რა შეემთხვა. თავისი პროფესიული ვალი კეთილსინდისიერად მოიხადა. ერთხელ გაეხუმრა:

— მაგარი თავი გქონია, ბიძიკო.

ხოლო წამოსვლისას უთხრა:

— თუ სამედიცინო დასკვნა გჭირდებათ, პირველ საავადმყოფოში მიაკითხეთ, ასეთ ცნობებს იქ იძლევიან...

დათომ თვალი გაახილა (იცოდა, დედა და გელა შუშაბანდში იყვნენ გასულები), შუა ოთახის კართან თეონა იდგა და ეშმაკურად იღიმებოდა.

— გოგოს გულისთვის იჩხუბე? მე ყველაფერი ვიცი.

ისევ დახუჭა თვალები.

შუშაბანდში გელა ქაქანებდა. დათოს გარკვევით ესმოდა ლაპარაკი და ბრაზობდა, მეგობარი აუარბებდა, ყველაფერს გაზვიადებულად ხატავდა. როდესაც შავი ნიკოს ამბავს მიადგა, პლატონმა გაოცებით წამოიძახა:

— ნიკო?!

— დიხ, ნიკო კორინთელი.

— ნიკო... ნიკო დიდი კაციაl..

მერმე პლატონი დიდხანს წვალობდა, ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვას სიტყვაზე ვეღარ აბამდა, ეს იყო სიტყვების უაზრო გროვა. როგორც ჩანს, გელამაც ვერ გაიგო პლატონის ნათქვამი. საუბარში დედა ჩაერია.

— პლატონი ამბობს, — განმარტა დედამ, — მაგ ამბის გახმაურება არ ღირსო.

— როგორ თუ არ ღირსო! — ეს გელა იყო.

— არ ვიცი, ასე ამბობს პლატონი. კიდევ იმას ამბობს, რომ ოთხი ტონა ცემენტი არაფერიაო, მაგის დაფარვა ადვილად შეიძლებაო. ნიკოსთან კი საქმეს მე მოვაგვარებ, თქვენ ვერაფერს გახდებითო.

— დიდი კაცია, — თქვა პლატონმა.

— მე ვიცი, რა კაციც არის! — ცხარობდა გელა.

დათომ ნახევრად მოხუჭული თვალებით გახედა შუშაბანდს. პლატონს დამცინავად ეღიმებოდა. ასე ეღიმება ხოლმე კაცს, რომელმაც ორივე მოწინააღმდეგის შესაძლებლობები კარგად იცის და იმ ორთაგან სუსტის ტრაბახს ისმენს.

— ჩემი რჩევაც ეს იქნება, შვილო, — ამბობდა დედა, — პლატონს დაუჯერეთ, გამოცდილი და ჭკვიანი კაცია, ნუ გაახმაურებთ მაგ ამბავს, ოთხი ტონა ცემენტი არაფერია.

„საოცარი ხალხია, — გულს ვეღარ ერეოდა დათო, — ჯერ ერთი, კაცმა არ იცის, ოთხი წაიღეს, თუ ათი. ცემენტი იქით იყოს, კინაღამ მომკლეს. ეგენი მარტო ქურდები კი არა, მკვლელები არიან. მოსაკლავად მომიქნიეს ნიჩაბი და შემთხვევით გადავრჩი“.

გელა კიდევ ერთხანს შემოვიდა დათოს ოთახში, მეგობარს დახედა. დათომ თავი მოიმძინარა. მერმე ისევ შუშაბანდში დაბრუნდა და თქვა:

— ეძინოს. საღამოს შემოვიღლი.

— თეონა! — მეგობრის წასვლისთანავე დაუძახა დათომ დას, — სარკე მომიტანე.

სარკე გულგატეხილმა შემოუტანა. ეტყობა, თეონას ერჩია, გოგოს გულისთვის ეცემათ ძმა, ვიდრე ოთხი ტონა ცემენტისათვის.

დათოს ორივე თვალში სისხლი ჩაქცეოდა, უპეები ჩალურჯებოდა. საკმაოდ გასიებოდა ცხვირიც და სახის იერს უცვლიდა. სულ სხვა კაცი იყურებოდა სარკიდან. „არ გინდა ასე ქუჩაში გასვლა?!. ალბათ, იმიტომ ვერ მიმზერდა ციცინო სახეში“.

სარკე დას დაუბრუნა. თეონას იმედის შუქმა გადაურბინა.

— დედა მოატყუეთ, არა? თქვი, რას მიმალავ? ცემენტისთვის ვინ გცემდა.

— შენ წარმოიდგინე, მცემეს.

— ვიცი, ვიცი, — თეონამ სარკე წაიღო.

მერმე დედამ მოაკითხა დათოს.

— რად გააგებინე, შვილო, გელას? ეგ ახლა მთელ ქალაქს მოსდებს და საქვეყნოდ მოგვეჭრება თავი. შეიძლება, გაზეთშიც დაწეროს. მეტი კი არ უნდა.

- საღამოს შეპირებისამებრ მოვიდა გელა, თან ოთხი ბიჭი მოჰყვა. როცა ერთიმეორის მიყოლებით მეგობრები შემოიბაწრნენ, დათოს კინაღამ გული წაუვიდა.

მეგობრების თანაგრძნობამ შინაგანად გაახარა და ააღელვა კიდეც, მაგრამ მაინც ეწყინა, დედას დღევანდელი ნათქვამი რომ უმართლდებოდა. ოჯახის თვალში გელამ საბოლოოდ დაჰკარგა წონა და ვეღარაფერი უშველიდა.

ბიჭების მოსვლისთანავე მირიანი სამზარეულოში გავიდა. დედა და პლჯტონი შუშაბანდში ისხდნენ და ბიჭების წასვლამდე ადგილიდან არ დაძრულან. თეონა შინ არ იყო. დათო რას არ მისცემდა, მარტო თეონა კი არა, დედაც რომ სადმე წასული ყოფილიყო.

დათომ თავის ოთახში შეიყვანა მეგობრები და სკამები შეუტანა. გელას ისეთი შეწუხებული და საქმიანი იერი ჰქონდა, როგორც დილას, ეტყობა ბიჭებს მთელი დღე ტელეფონით ურეკავდა, ატყობინებდა, ეთათბირებოდა.

— გაქოთაქეს, ბიჭო? — შეთანმებულებივით რამდენიმემ ერთად ჰკითხა დათოს.

დათომ მეგობრებს ნაძალადევად გაუცინა.

— ქუჩაში რომ შემხვედროდი, ვერც კი გიცნობდი, —უთხრა ნოდარმა. — შენ თავს აღარ ჰგავხარ.

ნოდარ ნიჟარაძეს შავი რქის ახალი სათვალე ეკეთა.

ყველამ გულდასმით შეამოწმა ნაცემი მეგობარი, შემოწმებამ ხმაურსა და სიცილში ჩაიარა. გელა ცდილობდა, უფრო სერიოზული სახე მიეცა სტუმრობისათვის, მაგრამ არ გამოუვიდა. ბიჭები კარგ გუნებაზე იყვნენ და სულ ხუმრობა უნდოდათ.

— თუ ცნობა დაგვჭირდა, — გელა დათოსთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო, — ოთარი მოგვცემს.

ოთარ სალაყაია, რომელიც ახლა ფეხიფეხგადადებული იჯდა და გვერდზე გადახრილი საწერ მაგიდას მიყრდნობოდა, ექიმი იყო, ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობდა, ქირურგიულ განყოფილებაში.

ნოდარ ნიჟარაძე და ჯიმშერ ქალდანი ფანჯარასთან იდგნენ. ნოდარი, ალბათ, ჯერ არ იყო, შეჩვეული ახალ სათვალეს, წამდაუწუმ ისწორებდა, ანდა, შეიძლება, სათვალე დიდიც ჰქონდა.

— არა, შენ ვერ გამიგე, ჯიმშერ, — როგორც ჩანს, ნოდარმა ქუჩაში დაწყებული საუბარი გააგრძელა, — მე გელაპარაკებოდი წონასწორობის მდგომარეობაში წარმოქმნილ რხევაზე. ეს შედარებით მარტივი რხევაა და წარმოიქმნება უკუქცევის ძალისაგან, რომელიც წონასწორობის მდგომარეობიდან წერტილის გადანაცვლების, თუ გინდა — გადაადგილების პირდაპირპროპორციულია, გამიგე?.. ამაზე მარტივად როგორღა გითხრა?.. — ნოდარი ცბიერად იღიმებოდა, მერე რატომღაც ხმას დაუწია, — ასეთი რხევები სინუსის კანონით წარმოიშვება და ამპლიტუდაზე არ არის დამოკიდებული.

— მე მესმის რასაც შენ ამბობ...

— ისე შენ რა გითხრა, — შეაწყვეტინა სიცილით ოთარ სალაყაიამ.

— ეს ხალხი გამაგიჟებს, რა დროს ამპლიტუდაა?! — აღშფოთდა გელა, თან პალტოს ღილებივით დიდსა და მრგვალ თვალებს ახამხამებდა.

გელას აღშფოთებამ უფრო გაამხიარულა ბიჭები.

— ეგენი სახლში არ არიან შესაშვები, — თქვა ისევ ოთარმა.

— შენ ხუმრობ და მართლა ეგრეა.

— რატომ გგონია, რომ ვხუმრობ? მაგათ, ორივეს ერთად, სახლში არ ვუშვებ. სათითაოდ, თუ უნდათ, მობრძანდნენ.

ნოდარი ფიზიკოსი იყო, უნივერსიტეტში ასპირანტურას ამთავრებდა. ჯიმშერი, ეს მთასავით კაცი, ლექსებს წერდა, ლექსების პაწაწინა კრებულიც კი გამოსცა. უცნაური გატაცება იცოდა ჯიმშერმა... ბოლო ხანებში ფიზიკამ გაიტაცა. მთელ დღეებს ნოდართან ატარებდა ლაბორატორიაში.

— საფერფლე არა გაქვთ ოჯახში? — იკითხა კოტემ.

— არც ერთი არ ვეწევით, — დათო უცებ ვერაფერს წა-

აწყდა ისეთს, რაც საფერფლედ გამოდგებოდა. მერე დიდი ნიჟარა გაახსენდა და შუა ოთახის კარი შეაღო. ნიჟარა, როგორც ყოველთვის, პიანინოს თავზე იდო და სულაც, მგონი, პიანინოსთან ერთად გაჩნდა ამ ოჯახში. ამ ნივთს მხოლოდ იმ შემთხვევაში დასძრავდნენ ადგილიდან, თუ სტუმარი საფერფლეს მოითხოვდა.

— იშვიათი ნიჟარაა! — თქვა კოტემ.

— პირველად ხომ არ ხედავ? — ჰკითხა დათომ.

— მეორედაც შეიძლება ნივთი მოგეწონოს, მეათედაც...

— ეგ ნიჟარაძეს დააჭერინეთ ხელში, — ჩაიცინა ჯიმშერმა.

— სულ ეგრე უკბილოდ უნდა იხუმრო? — უთხრა კოტემ.

— ახლა ჩამოფქვი, რაც იცი, — მიუბრუნდა გელა ფეგობარს, რომელსაც ხელში ნიჟარა ეჭირა.

— რა თქვა?

— რაც იცი ნიკოზე.

დათო უსიამოვნოდ დაიმანჭა. ნიკოს გაგონებაც კი არ უნდოდა. გახედა შუშაბანდს, სადაც დედა და პლატონი მდუმარედ უსხდნენ მაგიდას.

კოტე რამიშვილმა, ამ ბუნჩულა და უწყინარმა, მუდამ მთვლემარე ადამიანმა ზეპირად იცოდა ყველა, ასე თუ ისე, განთქმული რეციდივისტისა და საქმოსნის ბიოგრაფია. სკოლაშივე ჰყვებოდა საოცარ ამბებს. მერმე სასამართლოებშიც დაიწყო სიარული და მათი ბიოგრაფიის ცარიელი ფურცლები საინტერესო ცნობებით შეავსო. ეგონათ, სკოლის დამთავრების შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდოდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად სულ სხვა დარგი აირჩია — ბიოლოგია.

ბავშვობა და ყრმობა: მოძრავი, ცოცხალი ბიჭი ყოფილა, შავტუხა, რის გამოც უბნის ბიჭებს ბავშვობაშივე „შავი ნიკო“ შეურქმევიათ. მეშვიდე კლასამდე მხოლოდ ცელქობდა. მეშვიდე თუ მერვე კლასში, ჯერ მეზობლისათვის, მერე კი მასწავლებლისათვის, ოქროს საათები მოუპარავს და გაუყიდია. იმავე წელს, ზამთარში, მორიგეობისას, რამდენიმე თანაკლასელის პალტო ჩაუცვამს, ზემოდან თავისი მოუხუ-

რავს და კლასიდან შეუმჩნევლად გაპარულა. მერე ცხოვრება რამდენადმე უინტერესო ხდება. სამი წელი დაპყო არასრულწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ბანაკში. იქიდან სკოლაში არ დაბრუნებულა, რადგან უკვე სწავლა აღარ სჭირდებოდა, ისედაც ბევრი იცოდა.

ს ი ჭ ა ბ უ კ ე: ცხრამეტი წლისამ ამხანაგებთან ერთად საიუველირო მაღაზია გატეხა და დიდძალი ოქრო გაიტაცა. მერმე უნივერმაღის გაქურდვისას, დახლის უკან დამალულმა ბელგიურმა დოგმა ისე დაფლითა, რომ გაქცევა ვეღარ შეძლო... მეგობრებმა დოგი კი მოჰკლეს, მაგრამ მაღაზიიდან ძმაკაცის გაყვანა დააგვიანეს და გაიქცნენ. ნიკო დაიჭირეს და თურმე დღემდე ვერ იტანს ვერავითარი ჯიშის ძაღლს და აღარც მეგობრებისა სჯერა. მერმე ათი წლით გადაასახლეს კალიმაში. იქ ძმაკაცებს, რომლებმაც ძაღლისაგან დაფლეთილი მიატოვეს მაღაზიაში, სასტიკად გაუსწორდა და კიდევ რამდენიმე წელი დაუმატეს. გაქცევა უცდია, უცდია კი არა, გაქცეულა და ორი წლის შემდეგ გვარშეცვლილი ასტრახანში დაუჭერიათ. კიდევ გაქცეულა, ამჯერად მაგადანიდან. გზაშივე დაუკავებიათ. მერმე ომი დაიწყო. გარეთ ყოფნას იქ ყოფნა არჩია. მერმე სიჭაბუკეც გაჰქრა, ძველი ცეცხლი აღარ უღვივოდა გულში...

— როდის დაბრუნდა? — იკითხა ნოდარმა.

— მგონი ორმოცდათოთხმეტში. — უპასუხა კოტემ.

— რამდენი წელი იჯდა?

— თითქმის ოცი.

— ახლა რას აკეთებს?

— არ ვიცი, აღარ დავინტერესებულვარ.

— საოცარია, როდისღა მოასწრო ასე გამდიდრება? —თავისთვის ჩაილაპარაკა გელამ.

— ამბობენ, ის ოქრო, რომელიც საიუველირო მაღაზიიდან გაიტაცა, დამალული ჰქონდაო.

— შეუძლებელია!

— არაფერი არ არის შეუძლებელი.

— მაინც რას აკეთებს ახლა, რას საქმიანობს? — ჩააცივდა გელა.

— გითხარი, არ ვიცი-მეთქი.

— ეგეც შენი ნიკო! — წამოიძახა ოთარ სალაყაიამ.

უცებ შუშაბანდიდან ბურდღუნი მოისმა. ეს პლატონი იყო. გამწარებული ბურდღუნებდა. დათომ შიშით გახედა. პლატონს სახე წამოწითლებოდა, მრისხანედ იყურებოდა ოთახისაკენ და რაღაცას იმუქრებოდა. წამოდგა, მთელი ხმით იყვირა. ბიჭებისაკენ იწევდა. დედა ძლივს აკავებდა. დათოს პლატონის ამგვარი გაცეცხლება ჯერ არ ენახა და შეეშინდა. შიშითვე გადახედა მეგობრებს. გაოცებული მეგობრები ერთმანეთს მიჩერებოდნენ. გელამ შუშაბანდში გასვლა დააპირა, ალბათ პლატონის დამშვიდება მოინდომა, მაგრამ ოთარ სალაყაიამ წაავლო ხელი და შეაჩერა, თან თვალით ანიშნა: ხომ არ გაგიჟდიო?!

დათო შუშაბანდში გავიდა.

— დედა, რა მოუვიდა პლატონს?

— არაფერი... არაფერი... შენს მეგობრებს უთხარი, წავიდნენ... ბოდიში მოიხადე.

მეგობრები წავიდნენ. უფრო სწორად — გაიძურწნენ.

პლატონი ისევ ბდღვინავდა. დათო თავის ოთახში იყო და იქიდან ადევნებდა თვალს. მერმე ქუჩიდან სიცილი მოესმა და ფანჯარაში გადაიხედა. ქუჩაში სიცილით კვდებოდნენ მისი მეგობრები, იჭაჭებოდნენ.

— არა, ეს რა ჰქნა, კაცო?! — ამბობდა ნოდარი, — რა ხმები ამოუშვა.

— ეტყობა, დიდი ტემპერამენტის კაცია, —მხარი აუბა კოტემ.

ბიჭებმა სიცილ-ხარხარით წაიღეს მთელი ქუჩა. ყველაზე უკან გელა მიდიოდა, ჩია, დალეული. გაკვირვებული თავს აქეთ-იქით ატრიალებდა. სხეულის მოძრაობით, მთელი არსებით გაუგებრობას გამოხატავდა.

დათოს გული დაუმძიმდა „პლატონს იგდებდნენ მასხარად, აბიაბრუებდნენ. არ იცნობდნენ და იმიტომ. პლატონი არ არის. მასხარად ასაგდები კაცი. ჩუმია და უწყინარი. ახალგაზრდობაში ალბათ კოტე რამიშვილს ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, დათო ასეთად წარმოადგენს ხოლმე. რა დაემართა, ასე რატომ აღელდა და გაცოფდა?! ნეტავი რა მოეჩვენა? ფაწჯარას ზურგი შეაქცია დათომ. დედას უკვე დაემშვიდებინა

პლატონი, შუბლზე ოფლს უწმენდდა ცხვირსახოცით, რაღაცას ეჩურჩულებოდა. პლატონი გაყუჩებული იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. დედას ისეთი სახე ჰქონდა, მგონი საყვედურობდა.

ოჯახი ისევ სიჩუმემ მოიცვა.

ამ სიჩუმის ეშინოდა ყველაზე მეტად დათოს. ახლა გაირკვეოდა, რა მოხდა. გუმანით ხვდებოდა, რომ რაღაცაში მისი მეგობრები იყვნენ დამნაშავე. მაგრამ რა შუაში არიან მეგობრები? თუ ოჯახის ღირსებას უფრთხილდები, პლატონის საქციელი უფროა სამარცხვინო, ვიდრე ის, რომ დათო სცემეს და მშენებლობა გაქურდეს.

შუა ოთახის კარიდან მირიანმა გამოიხედა. გაფითრებული იყო, მარჯვენა ლოყა უთრთოდა.

— რა მოხდა?

დათომ ხელები გაშალა — არაფერი არ ვიცი.

კარი ისევ მიიხურა.

— თავი მოგვეჭრა, საქვეყნოდ მოგვეჭრა თავი... — ეს დედაა. დათომ დღე გამოიძინა და ტკივილებიც მიყუჩდა. ახლა კი შუბლის ჭრილობასთან ძარღვი უფეთქავდა და საშინელ ტკივილს ჰგვრიდა. თითქოს იარაზე ვიღაც წკიპურტს ურტყამდა. ამ უსიამოვნო შეგრძნებისაგან გული ერეოდა.

— მაშ, ნიკო, ჰა?.. ეგ ლაწირაკი!.. ქურდია!.. არა, არა... ჰო... ვინა, კაცო?. ლაწირაკი!.. — ეს პლატონია.

— როგორ შეიძლება, კაცს ასეთი ცილი დასწამო?! — ეს ისევ დედაა.

დათო მიხვდა, რომ ყველაფერი მის გასაგონად იყო თქმული. ხმა არ გაუღია, თავის საწოლზე მიწვა, შუშაბანდისკენ ზურგშექცეული.

— დიდი კაცია... ჰო.... არა...

შპალერზე ყვითელი ვარდები ეხატა. ვარდის ფურცელს რატომღაც რუხი ზოლები ჰქონდა მოვლებული. პაწაწკინტელა ჭიამაია მიცოცავდა. ჭიამაიაც ყვითელი იყო, რუხი წერტილებით დაწინწკლული, ვერც კი შეამჩნევდა. ალბათ ღია ფანჯრიდან შემოფრინდა.

— ეგეთები არიან ახალგაზრდები... ოღონდ ვინმე გაჰკილონ, ცილი დასწამონ... ინიღბებიან, ვითომ პატიოსნები იყვნენ. ისე კი ქვეყანას აქცევენ. ნიკოს რომ არ ვიცნობდე, და-

ვიჯერებდი, — დედამ უცებ ხმას აუწია და უშუალოდ დათოს მიმართა: — შენი ძმაც იყო გადასახლებული, მაგრამ ქურდი და ოხერი არ ყოფილა. წინასწარ არავინ იცის, ვის რა შეემთხვევა.

კარის გაღებისა და მირიანის ხმა დათომ თითქმის ერთდროულად გაიგონა:

— მეც ვიცნობ ნიკო კორინთელს.

— შენ საიდანღა იცნობ? — შეეკითხა გაკვირვებული დედა.

— მაგადანში შემხვდა.

— მერმე?

დათო საწოლზე წამოჯდა.

— რა მერმე? — მირიანს კაცის ფერი აღარ ედო და წაშინლად უცახცახებდა მარჯვენა ლოყა.

— არაფერი, მხოლოდ ეგ ვთქვი, რომ შენც გადასახლებული იყავი, — შემკრთალი ხმით თქვა დედამ.

— იმას ნუ მადარებ, მე სხვა ვარ!

დათოს მეხსიერებაში წამით გაიელვა პირშეკრულმა, ვარდისფერმა ნაჭრილობევმა. ამ რამდენიმე წლის წინათ მირიანმა პერანგი ამოიჩაჩა და შინაურებს ფერდზე დამჩნეული ნაიარევი აჩვენა. სულ ორი დღის დაბრუნებული იყო მაშინ. დათოს ეგონა, მირიანს ეს ჭრილობა ომში ჰქონდა მიღებული. მაგრამ მირიანმა თქვა: ეს ერთადერთი ჭრილობაა, რომელიც ომში არ მიმიღიაო, მერმე ვიღაც ახსენა, ახლაღა მოაგონდა — ვინ ახსენა იმ დღეს უფროსმა ძმამ.

— რა ვიცი, შვილო, პლატონი ამბობს, ჩემს ოჯახში ნიკოს აუგად ხსენების უფლებას არავის მივცემო.

მირიანმა დათოს გადახედა და უხმოდ დატოვა ოთახი. დედაც ასე გავიდა შუშაბანდში სიტყვა არ ამოუღია.

დათოს თავი უსკდებოდა ტკივილისაგან. ტკივილი ისევ ქუთუთოებზე ჩამოაწვა და დაუმძიმა, გაბრუებული მირიანზე ფიქრობდა. მირიანმა შეაკრთო, მირიანმა ბევრი რამ იცოდა. მირიანი ბევრ რამეს მალავდა, მირიანს ბევრი რამ აწუხებდა, ყველაზე მეტად საკუთარი დუმილი აწუხებდა მირიანს.

ისევ საწოლზე გადაწვა, პირი კედლისაკენ იბრუნა. ყვითელი ვარდებით იყო მოფენილი კედელი. ბევრი ვარდი იყო კედელზე მიყრილი, ბევრი, ძალიან ბევრი. ვარდის ფურცლე-

ბისთვის რუხი არშიები შემოეელოთ. ალბათ, იმიტომ, რომ ყვავილები უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო. პაწაწკინტელა ჭიამაია ისევ მიცოცავდა თავის გზით. ჭიამაიაც ყვითელი იყო, ყვითელი, რუხი წერტილებით დაწინწკლული.

დათო ცუდ გუნებაზე მივიდა გელასთან რედაქციაში. გუშინდელი ამბის შემდეგ მისვლა ერიდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

წუხელ მთელი ღამე არ სძინებია. უძილობა ჯერ იმას დაებრალა, რომ დღისით კარგად გამოიძინა. მერმე ფიქრებმა შეაწუხა. ფიქრებიც იმ ძილღვიძილივით ბურანიანი და გაურკვეველი იყო. არც მირიანს ეძინა მშვიდად; მთელი ღამე შფოთავდა, წრიალებდა, ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს ისროდა. ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ ასე მოხდა. იმ ღამეს დათო მოკრძალებით განიმსჭვალა ძმისადმი.

კაცი, რომელიც სხეულით ხუთ ჭრილობას ატარებს, შეუძლებელია ისეთივე დარჩეს, როგორიც ჭრილობებამდე იყო. ყოველ ჭრილობას თავისი პატარა ცხოვრება აქვს, თავისი წარსული და მომავალი.

მირიანი ძილში ბორგავდა. მას ხუთი ჭრილობის ტკივილი კი არ აწვალებდა, აწვალებრა ხუთი წარსული ამ ჭრილობებისა. მირიანი ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს ისროდა. ეს სიტყვები დათოსთვის იყო გაუგებარი და გაურკვეველი, თორემ ისინი იმავე ცხოვრებიდან, იმავე წარსულიდან იყვნენ ამოსროლილნი.

მერმე დათომ ნაცნობი ხმები გაიგონა. ის ხმები ძალიან ჰგავდა მეგობრების მიერ ქუჩაში ატეხილ სიცილს. სწრაფად წამოხტა და ფანჯარაში გადაიხედა. ქუჩა წყნარი და უკაცრიელი იყო. ისევ შეწვა ლოგინში, საბანი წაიფარა. როგორც ჩანს, წასთვლემია და ძილში გაუგონია მეგობრების სიცილი. მერმე კიდევ კარგა ხანს იცოდვილა, იტრიალა, მოხერხებულად მაინც ვერ დაწვა.

პლატონის უეცარი აღელვებაც გაუგებარი იყო. თუ შავი ნიკო მეგობარია და პლატონი ვერ იტანს მეგობრის აუგად ხსენებას... თუმცა რად უნდა იყვნენ მეგობრები?! ვთქვათ ასეა. პლატონის ამგვარი თავგანწირვა მაინც მოულოდნელია.

ვინც პლატონის წყნარსა და აუღელვებელ ბუნებას. კარგად იცნობს, მის ამგვარ მოქმედებას ნამდვილად თავგანწირვად ჩათვლის და გაუკვირდება.

კორინთელი გაცილებით ახალგაზრდა უნდა იყოს პლატონზე. გარდა ამისა, ერთი სხვა კაცია, მეორე — სხვა. ნეტავი რა აკავშირებთ, რა აქვთ საერთო? იქნებ საქმე? მაგრამ მარტო საქმით ადამიანების დამეგობრება ძნელია. დედასაც სცნობია. დედაც ამბობს, წესიერი კაცი არისო. დედა რომ ცდებოდეს, არცაა გასაკვირველი, ნიკო ერთი შეხედვით პატიოსანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

დათოს ფიქრი აღარ შეეძლო. წამოდგა, საწერ მაგიდაზე მაჯის საათს მისწვდა: ისრები ოთხის ნახევარს უჩვენებდნენ. ოთახში ფეხაკრეფით გაიარ-გამოიარა. მერმე ფანჯარასთან მივიდა და რაფას იდაყვებით დაეყრდნო. ფანჯრიდან სუსტად განათებული ქუჩა ჩანდა, ვიწრო და წყნარი. ნათურის ახლოს დიდი ცაცხვის ხე იდგა. ახლოდან გაშუქებული ფოთლები თითქოს თვითონვე ასხივებდნენ მწვანედ, უფრო ფოსფორისფრად. ეს ფერი, ფოსფორისა, დეკორატიულ იერს აძლევდა ხეს.

მხარზე რაღაც თბილი და ფაფუკი შეეხო. ხატაურა კრუტუნით ეხახუნებოდა დათოს. კატის თბილმა ბეწვმა აგრძნობინა, რომ ფანჯარასთან გრილოდა.

— რა გინდა?

ხატაურამ საცოდავად დაიკნავლა.

— წყალი ხომ არ გწყურია? წამო, ვნახოთ, გისხია თუ არა წყალი.

სირბილით დაედევნა ხატაურა. კონსერვის კოლოფი ცარიელი იყო. დათომ წყლით გაუვსო და იქვე დაუდგა.

— შენ ხარ, დათო? — ხმადაბლა იკითხა დედამ.

— ჰო, მე ვარ.

— რატომ არ გძინავს?

— რა ვიცი, არ მეძინება.

დედა შუშაბანდში დახვდა დათოს, სინათლე აენთო და ხალათმოხურული ელოდა. ალბათ სათქმელი ჰქონდა რაღაც, თორემ რატომ ადგებოდა? დაფიქრებული იატაკს დასჩერებოდა, რამდენიმეჯერ დააპირა სიტყვის თქმა, მაგრამ გადაი-

ფიქრა. დათო მდუმარედ უმზერდა, სურდა წინასწარ გამოეცნო, რას ეტყოდა დედა.

დედამ თვალებში შეხედა შვილს.

— როგორ დაგამახინჯეს, შვილო.

— არა უშავს, მალე გამივლის.

— რა დაგემართა?!

— ისეთი არაფერი.

— პლატონს ეგ არ უნდა დამართოდა. რას იფიქრებენ შენი ამხანაგები?

— მართლა, რა მოუვიდა პლატონს?

დედა შეყოყმანდა.

— რა პლატონის მეგობარია ნიკო კორინთელი?

— არ ვიცი.

— აკი ვთქვი, ვიცნობო?

— ის პლატონის გასაგონად ვთქვი, ნიკო მე მხოლოდ ორჯერ ვნახე.

— მაინც რა აქვთ საერთო? ვერ გამიგია.

— გამიგონე, შვილო, — დედამ თითქმის ჩურჩულით გააგრძელა საუბარი, — პლატონს ეშინია ნიკოსი...

— როგორ თუ ეშინია?!

— ნამდვილად ეგრეა... ჯერ შევამჩნიე და მერმე გამოვტეხე. მეგობრობს, ამავე დროს ეშინია.

— რა აშინებს?

— ეგ ვერ გავიგე, ამხელა კაცს ვერ ვკითხე: რისი გეშინია-მეთქი?

— აკი თვითონ ამბობდა, ჩემი მეგობარიაო, დიდი კაციაო.

— ამბობდა და, მართლაც, რომ იცოდე, მეგობარია, ბევრ საქმეს უკეთებს, დიდ საქმეებს.

— მაინც რა საქმეებს?

— ეშინია, ძალიან ეშინია, ნიკომ თუ როგორმე გაიგო, რომ ჩვენს ოჯახში მასზე ასეთი რაღაც ითქვა, — დედამ აღარ დაამთავრა, ღრმად ამოისუნთქა, რითაც სათქმელის აზრი დაასრულა.

— რა საქმეებს უკეთებს?..

დედამ არაფერი უპასუხა.

დათომ ხელი ჩაიქნია, შუშაბანდიდან აგდებულად, ამრეზილად გახედა ღამის სიბნელეს.

— წავალ, იქნებ დამეძინოს.

— მოიცა, შვილო, შენ, რა თქმა უნდა, არ გაამხელ, რა შეგემთხვა... არსად, არავისთან არ ახსენებ ნიკოს...

— მაგაზე ვიფიქრებ დედა.

— გონიერი კაცი ისე მოიქცევა, როგორც მე დაგარიგე.

— ვნახოთ...

დილით მაინც მივიდა მშენებლობის უფროსთან. საათნახევარი უცადა ჯერ მის მოსვლას, მერე ამდენივე — მიღებას.

მაგიდას უჯდა წითური მამაკაცი. თავი განიერ მხრებში ჰქონდა ჩარგული. თმა წინ გასცევნოდა და მელოტის დასამალად კეფიდან საგანგებოდ გადმოევარცხნა. ადგილზე ვერ ისვენებდა, სულ შფოთავდა, ხმამაღლა იძლეოდა განკარგულებებს. უფროსის მაგიდას გვერდიდან მისჯდომოდა გამხდარი, გრძელკისერა ბერიკაცი, რომელსაც ერთთავად ტკბილი ღიმილი დასთამაშებდა დამჭკნარ სახეზე. იგი უდიდესი მოკრძალებით უდებდა წინ ხელმოსაწერ ქაღალდებს. დათო ამ კაცს არ იცნობდა.

— რისთვის გარჯილხარ? — ჰკითხა მშენებლობის უფროსმა დათოს. დათომ უთხრა, რისთვისაც გაისარჯა.

— რა გვარი ხარ?

— ნათიშვილი.

— ამაშია საქმე!

დათო, რაში იყო საქმე, ვერ მიხვდა.

გრძელკისერამ უცებ მოიწყინა და თავი ჩაქინდრა, ბებერ ინდაურს დაემსგავსა.

დათო, ვიდრე თავისას იტყოდა, დაძაბული იყო, ახლა დამშვიდებული ელოდა უფროსის განაჩენს.

— იმ ღამეში რისთვის მიხვედით მშენებლობაზე?

შეკითხვა იმდენად ვერაგული და მოულოდნელი იყო, რომ დათო აილეწა რა ეთქვა? რისთვის მივიდა იმ ღამით მშენებლობაზე?.. უცებ ვერაფერი მოიფიქრა და სდუმდა.

— გეკითხები, იმ ღამით რა გინდოდა იქ?!

ბებერი ინდაური გამოცოცხლდა, თვალები აუციმციმდა.

დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა. მშენებლობის უფროსი, ეტყობა, დუმილსა და სიწყნარეს მაინცდამაინც ვერ ეგუებოდა.

— მარტო იყავი?

— რა მნიშვნელობა აქვს...

— გასაგებია! — შეაწყვეტინა მშენებლობის უფროსმა,— შენ არ ამბობ, რატომ მიხვედი, არც ის გინდა თქვა, ვისთან ერთად იყავი.

დათომ გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა, რადგან მისი ასეთი ქცევა მართლა საეჭვოდ მოეჩვენებოდა კაცს.

— საცოლესთან ერთად ვიყავი, ბატონო.

— ახლა არ მითხრა, მშენებლობას ვათვალიერებდითო.

— დიახ...

— ამაშია საქმე!

დათო ვერც ახლა მიხვდა, რაში იყო საქმე.

მშენებლობის უფროსმა ბებერ ინდაურს გადახედა. ბებერმა ინდაურმა პირზე ხელი აიფარა და ჩაიქირქილა.

— მაშ, ერთად დაათვალიერეთ, არა?! ისე რა შთაბეჭდილება დატოვა მშენებლობამ?

დათო შეეცადა აეხსნა მშენებლობის უფროსისათვის, რატომ მივიდა საცოლესთან ერთად და მერე რა მოხდა. ლაპარაკის დროს გრძნობდა, რომ უფროსი ყურს არ უგდებდა და არც აინტერესებდა მისი ნათქვამი, ხოლო დათო, უფროსის ყურადღება რომ მიექცია, უფრო დაწვრილებით უყვებოდა, ცდილობდა დაერწმუნებინა თავის სიმართლეში.

— გესმის, პოლიკარპე, რა ამბები ხდება ქვეყანაზე? — მიუბრუნდა მშენებლობის უფროსი ბებერ ინდაურს. — მერმე კიდევ გისაყვედურებენ, რას ერჩით ამ ახალგაზრდებს, რატომ გზას არ აძლევთო. მისცემ გზას და ყველაფერს გაგითახსირებენ. ძალიან მაინტერესებს, ვინ არის ამ კაცის საცოლე...

— რა მნიშვნელობა აქვს...

— როგორ თუ არა აქვს?!

— მე სრული სიმართლე მოგახსენეთ.

— ამაშია საქმე!

დათო ფიქრობდა, ეხსენებინა თუ არა შავი ნიკო. შეიძლება ამ სახელის ხსენებას უფრო მეტი დამაჯერებლობა მიეცა მისი ნათქვამისათვის. მაგრამ ვინ აცალა... მშენებლობის უფროსმა დიდხანს ილაპარაკა მშენებელთა ამოცანებზე, მათ ღირსებასა და პატიოსნებაზე. ბოლოს დასძინა:

— ხედავ, პოლიკარპე, რა დღეში ვართ?.. მშენებლობა საროსკიპოდ გადაუქცევიათ. ამ საქმეს სასამართლოს გადავცემ!

მერმე როგორ მოხდა, დათოს აღარ ახსოვს... ეტყობა, ვეღარ გაუძლო გაუგებრობას, აბუჩად აგდებას, დაცინვას, თავი ვეღარ შეიკავა... ვიღაცეებმა მშენებლობის უფროსის ოთახიდან გაიყვანეს და ქუჩამდე მიაცილეს.

კარგა ხანს იქვე იბორიალა, იწრიალა, უკან შებრუნება დააპირა... მერმე გადაიფიქრა და გელასთან წასვლა არჩია.

დიდ, მზით განათებულ ოთახში შეაღო კარი. გელა კარის პირდაპირ უჯდა უზარმაზარ, დაძველებულ მაგიდას. წაწვეტებული ცხვირი თითქმის ქაღალდზე ედო და გამალებული რაღაცას წერდა. დათო დაინახა თუ არა, წამოდგა და მიეგება. სკამი მოუტანა და ახლოს დაისვა. ოთახში ორი საწერი მაგიდა, ორი, ძველი გაზეთებით გამოტენილი წიგნების კარადა და ერთი მუშამბაგაკრული გაძვალტყავებული ტახტი იდგა. ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე ჭადრაკს თამაშობდნენ, ისე იყვნენ გართულნი, დათოს შემოსვლა არც გაუგიათ.

გელამ, ცოტა ხანი დამაცადეო, წერა განაგრძო.

ყველაფერი დაკარგული იყო. დათო მშენებლობაზე აღარ მივიდოდა, სასამართლოთიც დაემუქრნენ. ყველაფერი გათავებული იყო. რას უშველიდა ახლა გელა? მაგრამ როგორ შეიძლება ასე უსამართლოდ დაისაჯოს ადამიანი?! ალბათ, გაარკვევენ, ბოლოს და ბოლოს გაირკვევა, ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი... ციცინოს სახელი არ უხსენებია... ალბათ, იძულებულს გახდიან, ახსენოს. ეს უკვე ცუდია. თუმცა რა შუაშია ციცინო? ასეა! თუ რამე წამოგცდა, ბოლომდე უნდა თქვა. არადა რატომ მალავ? გეშინია ციცინოს სახელი არ გაუტყდეს. მაგრამ რა შუაშია ციცინო? შენ ხომ იცი და დარწმუნებული ხარ საკუთარ სიმართლეში, არაფერს არ ნიშნავს, მთავარია, ყველას გააგებინო და ყველა დაარწმუნო, რომ მართალი ხარ. სუფთა გულითა და სინდისით განმარტოება მცირე ნუგეშია, ანუ არც არის ნუგეში.

გელა წერას განაგრძობდა. გულისგამაწვრილებლად წრიპინებდა კალამი. ალბათ მთელ ქვეყანაზე მარტო გელას შეეძლო ამ კალმით წერა. ქაღალდს დღაბნიდა, ფხაჭნიდა. დათოს ცუდად აურეოლებდა. სკოლის შემდეგ არც უნახავს ასეთი კალამი.

— არაფერი არ გამოდის! — გელამ კალმისტარი მიაგდო მაგიდაზე, — ესეც საქმეა?! გაიგე ახლა, რომელია მართალი.

ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ცოლის ბრალი იყოს, მოსამართლეც ცოლს დებდა ბრალს. მე ვერ გავიგე, ერთ ადამიანს აღარ უნდა მეორე ადამიანთან ცხოვრება, ოთხი წელი იცხოვრეს და აღარ უნდა. ალბათ აქვს ამის მიზეზი, ისე რად მოინდომებდა გაყრას?.. ორივე წესიერი ადამიანია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. ერთმანეთს ვერ ეგუებიან, უფრო სწორად, ქალი ვერ ეგუება მამაკაცს, ოჯახი ინგრევა, კარგი ოჯახი. ახლა ეძიე მიზეზი, არკვიე, გაჰკიცხე.

დათო რატომღაც დარწმუნებული იყო, გელა თეონას მუსიკის მასწავლებელზე ლაპარაკობდა.

— ჯერ ვიღაც ქურდბაცაცას საქმე გაარჩია, მერე ვიღაც ლოთისა, რომელსაც სიმთვრალეში თავისი ცოლი მიუსიკვდილებია, ბოლოს ამ ცნობილი ოჯახის საქმე გამოიტანა, — ციანიზმია, მაშ, რა არის! — უცებ აღშფოთდა გელა, — მოსამართლეს ვიცნობ და ვკითხავ: რატომ ჰქენი მეთქი ასე? განგებო, — მიპასუხა. ეგეთი ციანიზმი, — ვუთხარი, — ამ ოცი საუკუნის წინათაც იყო ცნობილი: ქრისტეს გვერდით ორი ავაზაკი აცვეს ჯვარს-მეთქი.

— მოგიკლავს და ეგ არის! — გაიცინა დათომ.

— მე კი ჩემი ვუთხარი და გინდა მოკვდეს, გინდა იცოცხლოს.

— ის ქალი მუსიკას ხომ არ ასწავლის?

— კი. მართლა, დედაშენსაც მოვკარი სასამართლოზე თვალი და გამიკვირდა.

— დარწმუნებული ვარ, იქნებოდა.

— მესამე დღეა ვწერ და არაფერი გამომდის.

— რასა წერს?

— წერილს, რამდენიმე გაყრას დავესწარი. მშრალი რომ არ გამომივიდეს, ცოცხალი მაგალითები მჭირდება.

— მაგალითებთან ერთად იქნებ სიმართლეც იყოს საჭირო?

— რა თქმა უნდა.

— მეც ეგრე მგონია.

— რა ქალია!.. ღმერთო, რა ქალია!..

— ვინა?

— ბუბა ეშბა, მუსიკის მასწავლებელი.

— მოეშვი მაგ ბუბას და... საერთოდ, მაგ ოჯახს.

— კარგი ოჯახი არ უნდა დაინგრეს.

— რას ჰქვია კარგი ოჯახი?

— კარგი, წესიერი, რა ვიცი, რას ჰქვია.

— თუ კარგი ოჯახი არსებობს, ცუდიც იარსებებს!

— რასაკვირველია.

— თუ კარგი და ცუდი არის, საშუალოც იქნება?

— კი.

— თუ ეგრეა, კარგზე კარგი ოჯახიც იქნება, ცუდზე ცუდიც, მერე: კარგზე ცოტათი ცუდი, ცუდზე ცოტათი კარგი, საშუალოზე ცოტათი ცუდი ან ცოტათი კარგი...

მოჭადრაკეები ხმაურით აიშალნენ.

— რა გუნებაზე ხარ, დათო?

— მაინტერესებს ოჯახების კლასიფიკაცია.

— ნეტავი შენ! მაგას ვინ გაარკვევს?!

დათო წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

— მიდიხარ?

— წავალ.

— შენ საქმეს როგორ მოვუაროთ?

— ბოლოს და ბოლოს გაჰყარეს ბუბა ეშბა და მისი ქმარი?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კარგი ოჯახი არ უნდა დაინგრეს.

— ?..

— ქალი შეარცხვინეს, ერთი სიტყვით, ნამუსზე შეაგდეს. ღმერთო, რა ქალია!

— ნახვამდის!

— მართლა, თავი როგორა გაქვს, გაწუხებს?..

— ცოტათი.

სექტემბრის ნათელი და მზიანი დღე იყო. დათო რუსთაველის პროსპექტით ბრუნდებოდა შინ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პატარა ბავშვის ქუდი ეხურა, სწორედ ის, სიზმარში ძალით რომ ჩამოაცვეს თავზე.

დ ა თ ო: ალბათ მორიგეობით მოგვიწევს მე და მირიანს დილდილობით რძესა და პურზე სიარული. როდემდე შეიძლება შინ უქმად ჯდომა, არაფრის კეთება? საუზმე, სადილი, ვახშამი... საუზმე, სადილი, ვახშამი... მერე ისევ: საუზმე, სადილი... ვახშამი... ასე თენდება და ასე ღამდება. ერთხანს საუზმესა და სადილს შორის დროს ჩემ საქმეებზე სირბილში ვკლავდი. დავდიოდი და თავს ვიმართლებდი, ვამტკიცებდი, რომ მართალი ვარ. თავდაპირველად არ ვაპირებდი კორინთელის ხსენებას, ოჯახში შემაშინეს და ვერიდებოდი, მაგრამ როცა გამიჭირდა, ვახსენე, ვიფიქრე: ბოლოს და ბოლოს, ამაზე მეტი რა უნდა მიქნას-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, ამ საქმეში მისი ხელი ერია და ბოლომდე რომ ჩაეძიათ, ნამდვილ დამნაშავეს მიაგნებდნენ კიდეც. კორინთელის პიროვნებით არავინ დაინტერესებულა. ციცინოთი კი დაინტერესდნენ, რამდენჯერმე დაიბარეს კიდეც გამომძიებელთან. მერიდებოდა, მრცხვენოდა ციცინოსი, ამგვარ საქმეში რომ გავხვიე. ციცინოს კი ისე თავისუფლად და ღირსეულად ეჭირა თავი, გამიკვირდა. ერთი რამ მაინც ვერ ამიხსნია: რატომ მეჩვენებოდა ხანდახან ჩემი თავი დამნაშავედ? ხომ ვიცოდი, არავითარი ბრალი არ მიმიძღოდა, პირიქით, კინაღამ მომკლეს. მიუხედავად ამისა, გულში მაინც გამკენწლავდა ხოლმე, თითქოს სადღაც მეც ვიყავი დამნაშავე, შეიძლება, იმის გამოც რომ მთელი ორი კვირის განმავლობაში ცდილობდნენ ამის დამტკიცებას?.. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ჩემს ბოროტმოქმედებაში და სასჯელიც დამადეს: მშენებლობიდან დამითხოვეს და ზარალის ანაზღაურებაც დამაკისრეს. გელა დავტანჯე. მთელი შესაძლებლობით ცდილობდა ჩემს დაცვას. ვერაფერს გახდა, დამამტკიცებელი საბუთები არ ეყო. უმეტეს დროს ახლა შინ ვატარებ. გელა შემპირდა, სამსახურს გიშოვიო. სადაც მივედი ან, სადაც მივდიოდი, ყველგან თან მომდევდა ოთხი ტონა ცემენტი, როგორც სოფლის შარაზე მანქანას მისდევს ხოლმე მტვერი. რატომ მაინცდამაინც ოთხი ტონა და არა სამი? ან ხუთი? ვინ არწყა და აწონა? მე მხოლოდ ვთქვი: ამა და ამ კაცმა ოთხი ტონა მთხოვა-მეთქი. მერე დაიძრა, დაიძრა და აღარ გაჩერდა, ფეხდაფეხ მომდევდა, აღარ მასვენებ-

და. ყველა საქმე გაიარა, ყველა ქაღალდზე აღიბეჭდა. ნაცნობები თუ უცნობები ალმაცერად მიმზერდნენ, ეჭვიანი ღიმილით მაცილებდნენ ხოლმე. ასე დავრჩი განზე. ჩემს ადგილზე უკვე სხვა მუშაობს, ახლა ბებერი ინდაური აშენებს სახლს. ძველი მშენებელია, გამოცდილი, ადვილად არ მოტყუვდება, ან არ მოატყუებინებს თავს. ბებერი ინდაური, ალბათ, გუნებაში იცინის, ანდა ისე, როგორც იცის, პირზე ხელს იფარებს, დამპალი კბილები რომ არ გამოაჩინოს, და ქირქილებს. ხანდახან იმ ზომამდე მივდივარ, ლამის გავგიჟდე. იქნებ მართლა უნდა დამეჯერებინა პლატონისათვის? იქნებ ასე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც სახლში დამარიგეს? უფრო ის მაგიჟებს, შინ ამ საქმეზე ხმას რომ არ იღებენ, ვითომ არაფერი არ მომხდარა. პლატონი ბოლო ხანებში სულ კარგ გუნებაზეა, დედაც... პლატონი იმასაც კი შემპირდა, ცემენტს მე დაგაფარვინებო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მირიანს რა ვუყო? ჩემმა შინ ყოფნამ ნამდვილად ააფორიაქა და ააწრიალა, ეტყობა მარტოობას შეეჩვია და მის ახლოს რომ ვტრიალებ, მოსვენება ეკარგება, ნერვიულობს. იქნებ რაღაცა აქვს დასაწერი და ხელს ვუშლი? ერთი ორჯერ წავასწარი, გამალებული წერდა. მაშინვე მიანება წერას თავი და ქაღალდები საწერი მაგიდის უჯრაში შეტენა. ვატყობ, მეც ალარ შემიძლია მეტის გაძლება. როდემდე უნდა ვიყო ასე დაძაბული და დაჭიმული? რაც შემიძლია, ვერიდები, ზოგჯერ მთელი საათობით მარტოდმარტო დავეხეტები ქუჩებში. მერმე დაქანცული და დაოსებული ვბრუნდები შინ. წინათ მირიანს უფრო თავისუფლად ვექცეოდი. ერთგვარ უპირატესობასაც კი ვგრძნობდი მის მიმართ. ვმფარველობდი კიდეც. მებრალებოდა, ფულსაც ვაძლევდი ხოლმე. ახლა ეს დამოკიდებულება ძმისადმი ჩემდაუნებურად შემეცვალა. თავისი განუწყვეტელი დუმილითა და განმარტოებით მაღიზიანებს. თუკი შეიძლება მეზობლის გოგომ წაიკითხოს მისი მოთხრობა, რატომ მე არ მაკითხებს? მე ხომ უფრო ახლობელი ვარ, ღვიძლი ძმა ვარ! უჯრას კეტავს, მიმალავს. თავისი ნაწერების წაკითხვის ღირსად არ მთვლის. ციცინომ ერთხელ მითხრა: ისე მეჩვენება, თითქოს მირიანი არ გიყვარსო... სისულელეა, მაშინაც უარვყავი და ახლაც უარვყოფ. მიუხედავად ყველაფრისა, მირიანი მიყვარს, სწორედ იმიტომ ვფიქრობ მასზე ამ-

დენს, რომ მიყვარს. ციცინომ რა იცის, ციცინო გარედან უყურებს ჩვენს დამოკიდებულებას...

ახლაც ნახეტიალევი და დაღლილი დაბრუნდა დათო. მას შემდეგ, რაც შუაღამისას დაუკაკუნა ბენო ჩიჩუას, ეზოდან აღარ დადიოდა ხოლმე, მანანასთან შეხვედრას გაურბოდა.

პიჯაკი შუშაბანდში დატოვა. შეიხედა იმ ოთახში, სადაც მირიანი ეგულებოდა. ოთახი ცარიელი იყო. საწერ მაგიდაზე გაფანტული ეყარა მირიანის ხელნაწერები. მირიანი სადღაც ახლომახლო უნდა ყოფილიყო, თავის ნაწერებს ასე მაგიდაზე გაშლილს არ მიატოვებდა. დათოს ერთი სული ჰქონდა, წაეკითხა, რას წერდა მისი ძმა, მაგრამ ვერ გაბედა, უფრო იმის შეეშინდა, კითხვისას არ წაესწრო მირიანს.

არც დედა იყო შინ, არც თეონა, ყველანი სადღაც გაკრეფილიყვნენ.

დათომ აივნიდან მანანას ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი გაიგონა. ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მერე სიცილი რომ განმეორდა, დაინტერესდა, აივანზე გასასვლელ კარისკენ გაეშურა. კარის ფანჯრიდან, რომელსაც თხელი, გამქვირვლე ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, ნათლად დაინახა მანანა და მირიანი. მირიანი ხის ბოძს მხრით მიყრდნობოდა, და, ეტყობოდა, რაღაც ძალიან მხიარულ ამბავს უყვებოდა მანანას. ორივენი გულიანად იცინოდნენ, მანანა — ხმამაღლა, მირიანი — დაგუბულად, თითქოს სიცილს უკანვე აბრუნებდა და ახშობდა, იცინოდა უხმოდ, მკერდს შიგნით.

დათომ ჯერ იფიქრა, რომ მანანასთან დგას ვიღაც სხვა კაცი, რომელიც ძალიან ჰგავს გარეგნობით მირიანს. დათოსთვის დაუჯერებელი, ყოვლად წარმოუდგენელი იყო ასეთი მხიარული და მოლაყბე მირიანის დანახვა. მერმე ვის ელაყბება? მეზობლის გოგოს, ვისთანაც არც ასაკით, არც ფიქრებით, არც ცხოვრებით არაფერს აქვს საერთო. იქნებ მირიანი ყოველთვის ამგვარი იყო ოჯახს გარეთ, ანდა მაშინ, როცა თავისიანი არ ეგულებოდა ახლომახლო და დათო ვერ ამჩნევდა?

ერთხელ კიდევ იფეთქა აივანზე სიცილმა. დათოს, სამწუხაროდ, სიტყვები არ ესმოდა, მირიანი ხმადაბლა ლაპარაკობ-

და. რა იქნებოდა, ვითომ შემთხვევით, რომ გასულიყო გარეთ და მათ ლაზღანდარობას ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე შეერთებოდა? ვითომ ყოველთვის ასე ხდებოდა, ვითომ მეზობლების სიცილსა და ხორხოცში არაფერი იყო დათოსთვის მოულოდნელი, უცნაური. დათოს არც გამბედაობა და არც გარდასახვის ნიჭი ეყოფოდა. მირიანის დღევანდელი მოქმედება შინაგანად ისე აბნევდა, რომ აივანზე გასვლისას ვერაფრით აღიდგენდა წონასწორობას, ვერანაირად მიიღებდა იერს დამშვიდებული და უზრუნველი კაცისა, რომელიც აივანზე მხოლოდ იმიტომ გამოვიდა, რომ სხვებივით იცინოს და გული მოიოხოს ჭორაობითა და ლანზღანდარობით.

მირიანი უცებ დაიხარა და მხრიდან რაღაც ააცალა მანანას. მანანა გაინაბა, სახიდან მხიარული იერი ნიღაბივით მოეხსნა. თავი მოაბრუნა და მოაშტერდა იმ კარს, რომლის უკან დათო იდგა. დათომ უნებურად დაიხია, ეგონა, დამინახავსო, ჭაგრამ მანანა ვერა ხედავდა და არც შეეძლო დაენახა, რადგან იქ, სადაც დათო იდგა, თითქოს ბნელოდა.

მანანას მრგვალ, ბავშვურ სახეს თითქოს ნაღველის ჩრდილმა გადაუარა. შავად მბზინავი თმა აბურდული ჰქონდა და ისედაც ბავშვურ გამომეტყველებას გულუბრყვილო იერს მატებდა.

შეიძლება იმიტომ, რომ გამჭვირვალე ფარდის იქით ხედავდა, მანანა ძალიან ლამაზი ეჩვენებოდა, არასოდეს არ ენახა იგი ასე ლამაზი... მირიანიც უხმოდ მიჩერებოდა მანანას, თვალს არ აშორებდა.

რამდენიმე წამი იდგნენ ხმის ამოუღებლად. მერმე მანანა გატრიალდა და თავისი ოთახისაკენ გაემართა, სწორედ ისე, როგორც იმ კვირა დილით. მირიანმა მზერა გააყოლა. მანანა არ მობრუნებულა, ოთახში შევიდა და კარი მოიხურა. აივანი დაცარიელდა და თითქოს არც დაცარიელდა. აივანზე დარჩა შემოდგომის დღესავით ნათელი და გამჭვირვალე სევდა, რომლის დანახვა შეუძლებელი იყო. ამ სევდამ შთანთქა მირიანიც, თითქოს ნისლად აქცია და სივრცემ შეისრუტა...

დათო სწრაფად გაიკრა შუშაბანდში და ტახტზე წამოწვა. გარკვევით ესმოდა მირიანის ნაბიჯების ხმა. უფროსმა ძმამ შუა ოთახი გამოიარა და შუშაბანდის კართან შეჩერდა. ეტყობოდა, ტახტზე მწოლიარე დათო დაინახა. დათოს, ვითომ არ

გაუგონია მირიანის შემოსვლა, გაუნძრევლად იწვა. დარწმუნებული იყო, უფროსი ძმა რაღაცას ეტყოდა, არ შეიძლებოდა, რამე არ ეთქვა.

მირიანმა ფეხაკრეფით გაიარა შუშაბანდი. მერმე დათომ გაიგონა ქაღალდების შრიალი და საწერი მაგიდის უჯრების ხმაური, აშკარა იყო უფროსმა ძმამ თავისი ნაწერები დამალა.

ვითომ უჯრების ხმაურმა გამოაღვიძა, დათო ტახტზე წამოჯდა და თვალები მოისრისა.

— მე მეგონა, შინ არ იყავი...

მირიანმა არაფერი უპასუხა.

— ხომ არ იცი, სად წავიდნენ ჩვენები?

— არა.

— ისადილეთ?

არც ამ შეკითხვაზე გასცა პასუხი მირიანმა.

რად დასჭირდა ახლა დათოს ეს თამაში? ხმაც და კილოც როგორი ყალბი ჰქონდა?! ან რა შეეკითხა? ვითომ მირიანი იმდენად მიამიტი და გულუბრყვილო იყო, რომ ეს სიყალბე და ნაძალადევობა ვერ შეემჩნია? რატომ ჰგონია, თითქოს მირიანის გაცურება ადვილია? საერთოდ, რა საჭიროა ამგვარად გამოგონილი ურთიერთდამოკიდებულება?

თვითონ მირიანი იძლევა ამის მიზეზს!

შესაძლოა, დათოს სულ სხვანაირი ურთიერთობა ჰქონოდა უფროს ძმასთან, თვითონ უფროსი ძმა რომ ყოფილიყო უფრო წრფელი და გულღია. მირიანმა აიძულა და დათოც ასე იქცევა.

მირიანი ახლა ეცოდებოდა. დათოსთვის ნათელი იყო, რომ მირიანს მანანა მოსწონდა. შესაძლებელია, უყვარდა კიდეც. მაგრამ უფროსი ძმა დუმს და ამის შესახებ არაფერს ამბობს. ასეთ საკითხებში ხომ უმცროსი ძმა უფრო მეტადაა გაცნობიერებული და გაანდოს საიდუმლო, ვიდრე გვიან არ არის. მირიანი თითქოს განგებ ირჩევს ისეთ გზას, რომელსაც ბოლომდე ვერ გაივლის. განგებ ისახავს ისეთ მიზანს, რომელსაც ვერაფრით მიაღწევს. მირიანს დაკარგული აქვს ადამიანებთან და მოვლენებთან სწორი, ზუსტი დამოკიდებულების მონახვის უნარი და, რაც მთავარია, არ შეუძლია ზუსტად შეაფასოს გარემო, რომელშიც თვითონ უხდება ყოფნა.

„მე კი დაზღვეული ვარ ამისაგან? იქნებ მე თვითონ მჭირს

სენი, რომელსაც სხვას ვაბრალებ? ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა ნაცარქექიასავით შინ არ ვიჯდებოდი. ჩემ საქმეს გავაკეთებდი... თუმცა, არა ვარ მართალი. ჩემი საქმე სხვაა, მე შემთხვევისა და გაუგებრობის მსხვერპლი შევიქენი“...

სადარბაზო შესასვლელში ზარმა დარეკა.

დათო სწრაფად წავიდა. კარი გააღო. ღია კარებში უცნობი ქალი დაინახა.

— მაპატიეთ, თეონა შინ არის?

— არ გახლავთ, ქალბატონო. მობრძანდით... ალბათ, მალე მოვა.

— არც მშობლები არიან?

— არა, არ არიან. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე თეონას მუსიკის მასწავლებელი ვარ.

ეს იყო ბუბა ეშბა.

დათო უეცრად გაწითლდა, ძლივს მოახერხა, შემოიპატიჟა ოჯახში.

— თეონა ერთი კვირაა, ჩემთან აღარ დადის...

— მობრძანდით, ჩვენები საცაა, მოვლენ.

— ხუთი წელია, ვასწავლი და არ მახსოვს, გაკვეთილი გაეცდინოს, — ბუბა მასწავლებელი შუა ოთახში შემოჰყვა დათოს.

დათომ სკამი შესთავაზა და უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. ინანა კიდეც, შინ რომ შემოიყვანა. ვერ მიატოვებდა, უხერხული იყო, არადა, რითი შეექცია ან გაერთო სტუმარი...

— თქვენ, ალბათ, დათო ხართ...

— დიახ!

— მე და მირიანი ერთად ვსწავლობდით სკოლაში, ერთ კლასში ვიყავით. დიდი ხანია არ მინახავს, ალბათ, ველარც ვიცნობთ ერთმანეთს.

— მირიანი შინ გახლავთ, — დათომ მირიანს გასძახა.

მირიანმა კარი შემოაღო.

— გამარჯობა, მირიან!

დათოს გაუხარდა, სკოლის ამხანაგები ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ახლა შეეძლო, მირიანისთვის ძველი მეგობარი მიეჩეჩებინა ხელში, მაგრამ იმედი ნაადრევი გამოდგა.

მირიანი მიესალმა სტუმარს, თუმცა... მგონი ვერ იცნო.

— რა თქმა უნდა, ვერ მცნობ, — გაეღიმა მუსიკის მასწავლებელს, — მე ბუბა ვარ...

— ბუბა?

— შეგხედე თუ არა, მაშინვე გიცანი, თუმცა საკმაოდ გამოცვლილხარ.

— ?..

— რუსიკო რატიანი მაინც გეხსომება? მე და რუსიკო ყოველთვის ერთად ვისხედით ხოლმე.

— რუსიკო რატიანი?

— საოცარია, მეშვიდე კლასამდე ერთად ვიყავით... მეშვიდემდე კი არა, მერვემდე...

— ალბათ სხვაში გეშლებით.

— განა პირველ სკოლაში არ სწავლობდით?

მირიანმა დათოს გადახედა, მერმე თავი გააქნია:

— არა.

ბუბა მასწავლებელი დაიბნა.

— შეიძლება, სხვა ვინმე სწავლობდა, ჩემი მოგვარე...

მუსიკის მასწავლებელი დაეჭვდა. იქნებ არც დაეჭვდა, ამ დაეჭვებით მხოლოდ თავი აარიდა უსიამოვნო ლაპარაკს თუ შეხვედრას.

— შესაძლოა, მე შევცდი... ჩვენს კლასში მართლა იყო თქვენი მოსახელე და მოგვარე, რომელიც ძალიან გგავდათ თქვენ.

— მაპატიეთ...

— პირიქით, მე შეგაწუხეთ...

მირიანი გავიდა.

„რა ღმერთი გამიწყრა, მირიანს რომ დავუძახე?! გაგონილა ასეთი სიცრუე? რა სირცხვილია... რა სირცხვილია...“

— მე წავალ, — თქვა მუსიკის მასწავლებელმა, — იქნებ როგორმე შემატყობინოთ, რატომ არ დადის თეონა.

— მოიცადეთ, — დათო მიხვდა: ქალს გუნება შეეცვალა და არ უნდოდა დედის დაბრუნებამდე გაეშვა სახლიდან... „რას იფიქრებს ეს ქალი, რა ხალხი ყოფილანო...“ — რატომ იგვიანებენ ჩვენები? უკვე მოსულები უნდა იყვნენ.

— არა უშავს, გავიგე, ავად არ ყოფილა და ერთგვარად დავმშვიდდი, ნახვამდის...

დათომ კარებამდე მიაცილა. დაემშვიდობა. კარის გაღება

რომ დააპირა, იგრძნო, კარი თითქოს თავისთავად იღებოდა.

დედა ცივად შეხვდა მუსიკის მასწავლებელს, თავშეკავებულად მიესალმა.

— გამარჯობათ, ქალბატონო...: — ღიმილი შეაცივდა სახეზე ბუბა ეშბას, — თეონას გამო მოგაკითხეთ.

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ, წინასწარ რომ არ შეგატყობინეთ... — დედა ცოტა ხნით ჩაფიქრდა, — თქვენთან რომ დადიოდა, იმ საათებში თეონა უკვე ვეღარ ივლის... ამიტომ ვარჩიეთ... რა თქმა უნდა, თქვენთან უნდა შეგვეთანხმებინა...

— მე არ მესმის, რა არჩიეთ?

— თეონამ... ასე ვამჯობინეთ, ხვალიდან სხვა მასწავლებელთან უნდა იაროს... თქვენ, ალბათ, არ გეწყინებათ.

ეტყობა, იმდენად მოულოდნელი იყო ბუბა მასწავლებლისათვის ეს ამბავი, რომ ხმა ვერ ამოიღო. ოდნავ გაფითრდა და რატომღაც დათოს შეხედა. დათომ თვალი ვერ გაუსწორა.

ბუბა ეშბა წავიდა.

დედამ მოიხადა ლურჯი შლაპა, რომელსაც მარცხენა მხარეს სირაქლემას მომწვანო-მოლურჯოდ მოელვარე ბუმბული ჰქონდა მოვლებული და იქვე სკამზე დადო. მერე ამ ათიოდე წლის წინ შეკერილი, მაღალმხრებიანი კოსტიუმი გაიხადა, შიფონერში დაჰკიდა.

— ბავშვებო, ვისადილოთ, პლატონს საქმეები აქვს და გვიან მოვა. თეონაც დაიგვიანებს — დაბადების დღეზე წავიდა.

„მე ახლა ვეტყვი მირიანს, რომ უსინდისოდ მოიქცა, ტყუილი უთხრა ქალს და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. დედასაც ვეტყვი, რომ არც ის იყო მართალი, როცა თეონა სხვა მასწავლებელთან გადაიყვანა, არ იყო მართალი არც მაშინ, როცა ასე ცივად მიიღო ქალი, რომელიც ხუთი წელი ასწავლიდა მის ქალიშვილს, მირიანს ვეტყვი... დედასაც... მკაცრად... ორივეს ვეტყვი... ორივეს მკაცრად ვეტყვი...“

— ხელები დაიბანეთ?

— დედა, რატომ გადაიყვანე თეონა სხვა მასწავლებელთან?

— ასე იყო საჭირო.

— ვისთვის?

— როგორ თუ ვისთვის?! თეონასთვის!

— არ მესმის, რისთვის დაგჭირდა? იმიტომ, რომ ქმარს გაეყარა?

— თუნდაც მაგიტომ, — დედას ტანსაცმელი გამოეცვალა და უკვე მაგიდას შლიდა, — მოდით, ვისადილოთ.

— იქნებ აღარ შეეძლო ქმართან ცხოვრება?

ეს შეკითხვა დედამ პასუხის ღირსად არ ჩათვალა. ყოველ შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვა.

— კი მაგრამ, თეონა რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ არც ერთს ჭკუა არა გაქვთ. შენ რა იცი?.. ცხოვრების არაფერი გესმის... თავის დროზე ჩვენთვის უნდა დაგეგდო ყური, საქმე სხვანაირად წაგივიდოდა, ჩემი ბრალია, ყველაფერს მზამზარეულს მოგართმევთ ხოლმე.

„როდემდე შეიძლება იცხოვროს კაცმა მშობლის კალთაგადაფარებულმა? ანდა რამდენჯერ შეიძლება მოისმინოს ერთი და იგივე საყვედური?.. თუ კაცი გქვია, სხვა თუ არა, საკუთარი აზრის თქმის უფლება მაინც უნდა გქონდეს, რა თქმა უნდა, თუკი გაგაჩნია საკუთარი აზრი“.

— აბა, დასხედით, სადილი გაცივდება.

— მე არა მშია, — უთხრა დათომ, პიჯაკს დაავლო ხელი და გარეთ გავარდა.

დათო სწრაფად მიდიოდა, უნდოდა, როგორმე დასწეოდა გზაში ბუბა ეშბას.

დალმართი თითქმის ჩაირბინა, რუსთაველზე გავიდა, ბუბა ეშბას ვერ დაეწია და მაშინღა მიხვდა, რომ თვითონაც არ იცოდა, რისთვის მისდევდა. ეს კი იყო, რაღაც ძალა ეზიდებოდა — უცნაური, ძლიერი, ამავე დროს გაუცნობიერებელი. მერე გზაშივე სცადა, ბუბას სახე აღედგინა მეხსიერებაში, მაგრამ ვერ მოახერხა. აღარ ახსოვდა, როგორი იყო. როდესაც გონება დაძაბა, ბუბას ნაცვლად ფერები წარმოესახა: მოლურჯო-ლაჟვარდისფერი და წითელი...: ეს ფერები ერთმანეთში იღვრებოდა, მაგრამ არ ზავდებოდა... წითელი ფერი მაინც ცალკე რჩებოდა. მერმე სულ გაჰქრა და მიხაკის სურნელი დატოვა. წითელი ფერი სურნელი იყო, მიხაკის ნაზი სურნელი..

რუსთაველის პროსპექტზე გავლა არ შეიძლებოდა, უამრავი ხალხი ირეოდა. ახლაღა გაახსენდა, რომ დღეს მთელი დღე

დაეხეტებოდა, დაღლილი დაბრუნდა შინ და გარეთ გამოსვ-
ლას არ აპირებდა.

საწერ მაგიდაზე მირიანის მოთხრობ-
ები იყო გაშლილი, თეთრი, ქათქათა ფურ-
ცლები. დათოს ერთი სული ჰქონდა წაეკი-
თხა, მაგრამ... ფიქრმა ფურცლებს შავად
მბზინავი, ჰაეროვანი და ამავე დროს მძი-
მე თმა გადააყარა. მთელი მაგიდა გადაფ-
არა აბურდულმა თმამ. დათო გულაღმა გა-
დაწვა ბურბუშელაში. და ხელის ფათურით
მონახა ციცინოს ხელი. ციცინოს ხელი ცი-
ვი იყო და გათბობა დაუპირა. მირიანი კი
დაიხარა და მანანას მხრიდან რაღაცა ააცა-
ლა. მანანა გაირინდა, გაყუჩდა; დათოს
მაინც უნდოდა მირიანის მოთხრობები წა-
ეკითხა, მაგრამ მაგიდაზე შავი ბურბუ-
შელა ეყარა. მერე მოვიდა უცნობი ქალი—
ბუბა ეშბა, ყველაფერი მოლურჯო-ლაქ-
ვარდისფრად დაინისლა. წითელი ფერი კი
მიხაკის სურნელი იყო. დათოს შესცივდა
და ეს სიცივე აგრძნობინა ხატაურასთბილ-
მა და ფაფუკმა ბეწვმა. ყვითელ ვარდე-
ბით მოჩითულ კედელზე პაწაწინა, ყვი-
თელი ჭიამაია მიდიოდა. „ღმერთო, რა ქა-
ლია!“ „ვინა?“ „ბუბა ეშბა...“

— დათო!

დათო ვიდრე თავს მოაბრუნებდა, ჯიმშერ ქალდანის ხმა
იცნო.

— სად მიდიხარ, დათო? — წამოეწია სახეგაბრწყინებუ-
ლი ჯიმშერი.

— არსად. ისე, დავეხეტები. რა გიხარია?!

— არაფერი. შენი დანახვა გამიხარდა.

— მეც გამიხარდა.

— კარგია, როცა ძველ მეგობრებს უხარიათ ერთმანეთ-
თან შეხვედრა. უფრო უკეთესია, როცა ამის გამოხატვაც შე-
უძლიათ. ხალხს ერთმანეთის დანახვა აღარ უნდა.

— შენ სადღა მიდიოდი?

— მეც სახეტიალოდ ვარ გამოსული. ცოტა გავბრუვდი და გავივლ-გამოვივლი-მეთქი. სულელები ვართ, თავიდანვე რომ არ ვსწავლობთ ფიზიკას, ახლა ხელმეორედ მიხდება შესწავლა.

— შენ არ სწავლობდი, თორემ...

— ეგეც მართალია, სხვებს რას ვერჩი..

— ახლა რისთვის დაგჭირდა ფიზიკა?

— ისე, ელემენტარული რაღაცეები არ ვიცი... გინდა, ნოდართან წავიდეთ? ახლა შინ იქნება.

— არ მინდა, არ წამოვალ. ამ ბოლო დროს ნოდარს პედაგოგიური მისწრაფებები გაუჩნდა, შენ კი — მოწაფური. არ შემიძლია ახლა მეათე კლასის ფიზიკის მოსმენა.

— უსინდისო ვიყო, თუ ფიზიკაზე ხმა ამოვიღო.

— ნოდარს რას უზამ, პირს ხომ ვერ აუკრავ?!

— ჭირის დღესავით ეზარება ფიზიკა. მე თუ არ შევუჩიჩხინე, თვითონ არ გაახსენდება. წამოდი, მარტოა... თუ გინდა ერთი ბოთლი კონიაკი წავიღოთ.

ნოდარ ნიჟარაძე ვაკეში ცხოვრობდა, ფალიაშვილის ქუჩაზე. მამა — ცნობილი მეატომე-ფიზიკოსი შარშანწინ გარდაიცვალა და შვილს ფიზიკისადმი სიყვარულისა და მიდრეკილების გარდა უზარმაზარი ბიბლიოთეკა დაუტოვა. ნოდარს მამის ოთახში არაფერი შეუცვლია, მხოლოდ მაგნიტოფონი შეიტანა და თაროები შეავსო ახალი წიგნებით.

— რა კონიაკი მოიტანეთ?

ჯიმშერმა ბოთლს ქაღალდი შემოაცალა და აჩვენა:

— ეგ შენს ძმაკაცებს დაალევინე, ახალგაზრდა პოეტებს... მე ცოტა უკეთესი მაქვს. დაჯექი, დათო, რა ფეხზე დგახარ?!— ნოდარი ოთახიდან გავიდა, „ვარციხე“ და პატარა, ვარდისფერი ჭიქები შემოიტანა. პირდაპირ საწერ მაგიდაზე დაალაგა. — აბა დაჯექით ახლა.

— დ ა ჯ ე ქ ი თ კ ი ა რ ა, დ ა ს ხ ე დ ი თ, რეგვენო! — უთხრა ჯიმშერმა, — ქართული ვერ გასწავლე.

ნოდარმა დამნაშავესავით გაიღიმა.

ჯიმშერმა სავარძელი მოაჩოჩა და რბილად ჩაჯდა. დათომ სკამი არჩია, ღია ფანჯარასთან მიიტანა და დადგა.

— ხომ არ გშიათ?— იკითხა ნოდარმა.

— მე მშია, — თქვა დათომ, — ისე ვერ დავლევ.

— კატლეტს გაგიცხელებ.

— ცოესაც კარგად გეახლება.

— რა უშავს, იყოს ცივი... ყველიც გექნებათ.

— ვნახოთ.

— ახლა ყველი მომთხოვე. — დაუმატა ჯიმშერმა.

— დედა! — ყველი არა გვაქვს?! — გასძახა ნოდარმა და თვითონვე გავიდა ყველის მოსატანად.

„ჩვენს ოთახს არა აქვს ფანჯარა". წაბლისფერთმიანი ბიჭი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იხედებოდა. ხანდახან მოვალ, რა ძია დათო... მე ძალიან მიყვარს ფანჯრიდან ყურება". მეორე სართულის აივანზე ქალები ჩხუბობდნენ, პატარა ბიჭი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ეზოში. „აქ მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდებოდა".— ქალის ხმა ძალიან ჰგავდა ციცინოს ხმას.

— გეყოფა ჭამა, — უთხრა დათოს ჯიმშერმა, — ახლა დალიე.

დათომ პატარა, ვარდისფერი ჭიქა დაცალა. ჯიმშერმა ისევ შეუვსო და ნოდარს მიუბრუნდა:

— ჩართე შენი არღანი.

ნოდარმა მაგნიტოფონი ჩართო.

დრო ნელა და სასიამოვნოდ გადიოდა. კონიაკის ბოთლიც ნელ-ნელა იცლებოდა. შორიდან, თითქოს ძალიან შორიდან ისმოდა რიტმული და ამგზნები მუსიკის ხმები. ნოდარი და ჯიმშერი ნეტარებით აბოლებდნენ სიგარეტებს, თან მუსიკას უსმენდნენ. დათო კონიაკს წრუპავდა მერმე სიგარეტს მისწვდა, კოლოფიდან ერთი ცალი ამოიღო და მოუკიდა... სიმწრის ოფლმა დაასხა...

ლანდებს ნიჩბები ეკავათ ხელში. გაქცევა სცადა... კეფაში ურუ ტკივილი იგრძნო, შეტორტმანდა. ბანცალით წავიდა. კედელ-კედელ აჰყვა კიბეს. „ციცინო!" ხმას ირავინ სცემდა. „ციცინო!"

— პირველად მეც ეგრე მომივიდა, ოღონდ მაშინ მეათე კლასში ვიყავი, — თქვა ჯიმშერმა, — გადააგდე ეგ სიგარეტი, აქამდე არ მოგიწევია და ახლა რატომ იკლავ თავს?!

ნოდარი უკვე შემთვრალიყო. სიმთვრალეში ლექსების თქმა უყვარდა:

შენს ლაქვარდოვან მანდილში ჰქროდა...
აგვისტო. თბილი, სამხრეთის ქარი

თითქმის ჩურჩულით ამბობდა ლექსს... გეგონებოდა, თავისთვის იხსენებდა მივიწყებულ სტრიქონებს.

— ჩვენმა პოეტებმა რატომ არ იციან ზეპირად სხვა პოეტების ლექსები? — ლექსის კითხვა გაათავა თუ არა, მაშინვე იკითხა ნოდარმა.

— ვინ გითხრა, არ იციანო?

— რა თქმა მინდა? აბა, მითხარი ვისიმე ლექსი... და, საერთოდ, რატომ წერ სულ ბებიაზე და მამიდაზე? ამხელა კაცს არა გრცხვენია, სამყურაზე და ხბოზე რომ დაგიწერია ლექსები?.. რატომ უჩუყებ გულს სანტიმენტალურ პროვინციელებს?.. თქვი, ჰო, სხვა რომელიმე პოეტის ლექსი.

ჯიმშერს გულწრფელად ეცინებოდა.

დათო კონიაკს სვამდა და მუსიკას უსმენდა.

ნოდარი:

Ночь, улица, фонарь, аптека,
Бессмысленный и тусклый свет.
Живи еще хоть четверть века—
Все будет так. Исхода нет.

— კარგია, — თქვა ჯიმშერმა.

— აბა თქვი, ვისი ლექსია... — ჩააცივდა ნოდარი, — ამ ფიზიკას რომ გადააკვდი, არ გირჩევნია ლექსები იკითხო? თუმცა ისიც გჭირდება... კარგი ბიჭი ხარ, ძალიან კარგი... დავლიოთ?

— დავლიოთ! — მაშინვე დაეთანხმა ჯიმშერი.

ნოდარმა მეორე ბოთლი შემოიტანა.

— შენ თუ გინდა, ეს ბოთლი გავხსნა, მითხარი მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

— ეგ ხომ საშუალო სკოლაშიც ვიცოდი.

— შენ ჯერ მერვე კლასში ხარ. თუ გსურს მეცხრეში გადაგიყვანო, თქვი ფორმულა! ისე ამ ბოთლს არ გავხსნი.

„ახლა დაიწყება კატა-თაგვობანას თამაში. რა თქმა უნდა,

დარწმუნებული ვიყავი, აქამდე მივიდოდნენ. ნოდარს, უბრალოდ, სიამოვნებს ჯიმშერის წვალება".

— თქვი, თორემ არ გავხსნი.

დათოს აღარ ახსოვდა, სად დაშორდა ჯიმშერ ქალდანს. როცა ცოტათი გონს მოვიდა, აღმოჩნდა, რომ მარჯანიშვილის მოედანზე იდგა, ხეს მიყრდნობილი. როგორ გაჩნდა მარჯანიშვილის მოედანზე? სულ საწინააღმდეგო მხრით უვლია, იქნებ მანქანაში ჩაჯდა ან ავტობუსმა მოიყვანა აქამდე? დათოს არაფერი ახსოვდა... მაინც რამდენი დალიეს?!

მარჯანიშვილის ქუჩა და ვერის ხიდი ბარბაცით გაიარა. გზადაგზა ჩერდებოდა და ცხენივით ფეხზე თვლემდა. ასე ძილღვიძილით აიარა აღმართი. რუსთაველის მოედნის კუთხეში, წყლის დასალევ შადრევანთან პირზე შეისხა ცივი წყალი, კეფაც დაისველა.

მანქანა მაინც შეხვედროდა, რამხელა გზა გამოიარა...

. რა უბედურებაა ლექსების კითხვა! არა, მაგათთან ჯდომა აღარ შეიძლება... მერმე რას ჩააცივდა ამ ნიუტონის ფორმულას, რა მოხდა?! ყველა თავის ჭიას კლავს, ყველა თავისებურად აფრენს.

აფთიაქს ჩაუარა. შეჩერდა და თავი მოაბრუნა. გაოცდა. აფთიაქი მკრთალად და უაზროდ იყო განათებული. მეოთხედი საუკუნეა, რაც ამ აფთიაქის წინ დადის და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ყოველთვის ასე მკრთალად და უაზროდ არის განათებული.

. დათომ ხელი ჩაიქნია და თავისი გზა განაგრძო. ვითომ მართლა უაზროდ არის განათებული ეს აფთიაქი?

ყველა კუნთი მოდუნებული და მოშვებული ჰქონდა. სიარული აღარ შეეძლო, ძლივს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს.

„ახლა არ მითხრა, მანანას კარზე დავუკაკუნებ და ცოტას წავესაუბრებიო".

დათო ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ნაცნობი ხმა გაიგონა. შეჩერდა და მიაყურა. ჭიშკრის გვირაბიდან ქალ-ვაჟის ლაპარაკი ისმოდა.

— კარგი, რა გამიშვი, უკვე გვიანაა. — ემუდარებოდა ვიღაცას გოგო, რომელსაც ნაცნობი ხმა ჰქონდა.

— ცოტა ხანს კიდევ დარჩი, რა? — ვაჟიც ეხვეწებოდა...

— გეუბნები, გვიან არის... სახლში მომკლავენ! — ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ნაცნობი ხმაა...

დათო დარწმუნდა, გვირაბის სიბნელეში თეონა იდგა. სამიოდე ნაბიჯი გადადგა და ერთმანეთს ჩაკრული ბიჭი და გოგო დაინახა. ეზოს სიღრმეში სინათლე ენთო და გარკვევით ჩანდა მათი სილუეტები. ბიჭი თეონასთან შედარებით სუსტი და ტანმორჩილი იყო და ტკიპასავით მიჰკვროდა მას. გოგო და ბიჭი უცებ ელდანაკრავებივით დაშორდნენ ერთმანეთს. ეტყობა, შეამჩნიეს, ჭიშკართან რომ ვიღაცა შეჩერდა. თეონამ დათო ვერ იცნო. ისე დადგა, ვითომც აქ არაფერიაო და საუბარი გააგრძელა.

— თეონა! — დაუძახა დათომ.

— ვაიმე, ჩემი ძმა! — წაიჩურჩულა თეონამ და გაქცევა დააპირა.

— თეონა, მოდი აქ!

თეონა ადგილიდან არ დაძრულა.

დათომ რკინის ჭიშკარს გადააბიჯა და გვირაბში შევიდა. ბიჭს მხარში მოჰკიდა ხელი და სინათლისაკენ მიაბრუნა. მკრთალ შუქზე დაინახა ჯერ კიდევ უწვერულვაშო, გაპუწკული და დარცხვენილი სახე.

— ახლავე წადი აქედან, ჩემმა თვალებმა აქ აღარ დაგინახოს!

ბიჭი შურდულივით გავარდა გარეთ, დათო თეონას მიუბრუნდა:

— შენ კი მოგივლი, ქალბატონო!.. ტირილი არ გიშველის! — დათომ ხელი ხელში ჩასჭიდა თეონას და ეზოსკენ წაათრია. — ვინ არის ეგ ბიჭი?! უკვე დაიწყე, არა?!

— ნუ ყვირი, მთელი ეზო ნუ შემიყარე! — ტიროდა თეონა, — შენ მთვრალი ხარ, მთვრალი!

— მაშ მთვრალი ვარ, ხომ?! ძალიან კარგი! — დათო ხელს არ უშვებდა თეონას, კიბეზე ძალით აჰყავდა. — ის კარგი იყო, ვიღაც ლაწირაკი რომ გეხვეოდა?!

— მოგეჩვენა!.. მთვრალი ხარ და მოგეჩვენა!

მესამე სართულზე დათომ ხმას აუწია. კარი დედამ გაუღო და შეშფოთებულმა იკითხა:

— რა მოხდა?

— თვითონვე გითხრას, რაც მოხდა!

— შემოდი ახლა, სახლში შემოდით!

— მაშ, მთვრალი ვარ და მეჩვენება?!

— შემოდი, რა გაყვირებს?!

— მე ცოტა ხანს გარეთ დავრჩები, ჰაერი აღარ მყოფნის.

დათო გარეთ დარჩა. „დავიჯერო ამ ხმაურმა მანანა არ გააღვიძა?..“

ბენო ჩიჩუას ოთახის კარი გაიღო და პერანგის თეთრმა ამხანაგმა გამოიხედა.

— შენ ხარ, დათო?! რა ხმაური იყო?

— ისეთი არაფერი, ბატონო ბენო.

— წადი, დაწექი, გვიანაა.

— ახლავე წავალ.

თუ ბენო ჩიჩუამ გაიგონა ხმაური, რასაკვირველია, მანანაც გაიგონებდა, დაინტერესდებოდა, გარეთ რა მოხდა. ქალების ცნობისმოყვარეობა დათოს ჰკითხეთ. ეგეც არ იყოს, ხომ იცის, რომ დათო აივანზე დგას. საკმარისია... ახლა მანანა დაუცდის მამის დაძინებას და მაშინვე გამოვა, თან ლოგინის სითბო გამოჰყვება... ღრმად არის დარწმუნებული, ბენო ჩიჩუა დაიძინებს... არა, ღრმად არის დარწმუნებული, მანანა გამოვა... ბენო ჩიჩუა, რა თქმა უნდა, დაიძინებს.

მეორე სართულის აივანი ოდნავ აყირავდა და მარცხნივ აიწია, მას მოჰყვა სხვა აივნები, ფანჯრები... მერმე ზემოდან დაქანდა აივნები და ახლა მარჯვნივ აყირავდა.

დათო კედელს მიებჯინა და თვალებზე ხელები აიფარა. ეზოში აღარ იხედება. მთელი მისი არსება დიდი მოლოდინით არის გამსჭვალული... ბენო ჩიჩუა დაიძინებს... დაიძინებს... დაიძინებს...

— რა ამბავი ატეხე წუხელ?! მთელი ეზო გაგიღვიძებია! — ეს დედაა.

— ხო, რა ამბავი ატეხე? — ეს კი — თეონა.

— ზომაზე უნდა დალიო, როგორ შეიძლება ასე დათრობა?!

— დათვრება და აღარ იცის, რას აკეთებს!

— მოიცა, თეონა. როცა მე ველაპარაკები, შენ გაჩერდი!

— ამხანაგთან შემარცხვინა.

— მარტო ამხანაგთან?! მთელ ეზოს გააგებინა, დღეს დილით ყველა ჩვენი აივნისკენ იყურებოდა?!

— როგორღა შევხედო იმ ბიჭს თვალებში?!

— ასეთი რა მოხდა, ამხანაგს დაბადების დღიდან გამოუცილებია.

— დამაცადე, თეონა.

— ხო, რა მოხდა?!

— ვითომ სძინავს?!

— წესიერი ბიჭი ყოფილა, კარგი ოჯახის შვილი.

„კარგი ოჯახი... ცუდი ოჯახი... საშუალო ოჯახი... კარგზე კარგი... საშუალოზე კარგი... ცუდზე ცუდი... კარგზე ცუდი... საშუალოზე ცუდი... ცუდზე ცუდი... რამდენნაირი ოჯახი არსებობს ამქვეყნად?“

— თეონასთან ერთად სწავლობს... არა, რა მოგივიდა, მითხარი!

— შენ არ გაგიცილებია ქალიშვილი?

— ახლა ისეთი დროა, ათასი რაღაცა ხდება ქუჩებში. თუ შენი და ვინმემ მოაცილა, მადლობა უნდა უთხრა.

— მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ! მადლობელი!

— რა გაუვირებს?

„ვაითუ, მართლა მომეჩვენა? ჭიშკრის გვირაბში იქნებ მართლაც წესიერად იდგნენ სკოლის ამხანაგები და მე ცუდად შევხედე?“

დათოსთან ძია ვანო მოვიდა.

— გამარჯობა, ბიჭო! სად დამეკარგე? ამბობენ, მარშრუტი შეიცვალა და ეზოდან აღარ დაიარებაო. მართალია? იმასაც ამბობენ, ეზოში მხოლოდ ღამღამობით დადისო, თანაც ხმაურითა და ერთი ამბითო. ტყუილია თუ მართალი?

— მართალი!

— მერმე? რატომ მიღალატე, ეზოდან რატომ აღარ დადიხარ?

— რა ვიცი, ძია ვანო.

— შენ რომ ჩამოივლიდი, რაღაც იმედი მქონდა. ახლა მარტო ვარ. მარტო ვიბრძვი, ვა, რა ხალხია! ეზოში წესრიგია, ვასუფთავებ, ვჩალიჩობ. რა ჯანდაბა უნდათ? ანტისანიტარია?

ძია ვანოს განსაკუთრებით სიამოვნებდა ამ ბოლო სიტყვის წარმოთქმა, მთელი ქვეყნის ბოროტებას ამ სიტყვაში დებდა.

— კაცო, რისთვის მოვედი... ის ბავშვი ავად არის და ელჩად გამომგზავნა.

— რომელი ბავშვი?

— ზურიკო, რამდენჯერაც მივედი, სულ შენა გკითხულობს...

„და მოვიდა ერთი შვიდთა მათ ანგელოზთაგანი, რომელთა აქუნდა შვიდი იგი ლანკნები, და ეტყოდა ჩემ თანა და თქუა: მოვედ, და გიჩუენო შენ სასჯელი იგი მეძვისა მის დიდისა, რომელი-იგი ზის წყალთა ზედა მრავალთა...“

— როგორა ხარ, ზურიკო?

— კარგად. — გაიღიმა ზურიკომ.

ოთახი ნაცრისფერი ტილოს ფარდით იყო გადატიხრული და ფანჯარა არ ჰქონდა. ფარდის იქიდან ისმოდა დედაბრის ბუტბუტი. ნახევრად ბნელ ოთახში საკმეველის სუნთან შეზავებული დახუთული ჰაერი იდგა. ზურიკოს ლოგინი ტახტზე იყო გაშლილი. გაფითრებული ბალიშს ზურგით მისწოლოდა. პატარა სიფრიფანა ხელები წითელ საბანზე ეწყო.

„...რომელსა თანა ისიძვეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და დაითვნეს მკვიდრნი, ქუეყანისანი ღვინისა მისგან სიძვისა მისისა“.

— მე მეგონა ნაწყენი იყავი ჩემზე და იმიტომ არ მოდიოდი.

— არა, ძია დათო, ავად გავხდი. გავცივდი.

— სიცხე გაქვს?

— ახლა აღარა მაქვს... მე ისე მომენატრა თქვენი ფანჯარა. იქიდან ქუჩა მოჩანს, აგურის კედლები, ერთი კედელი გამოხვრეტილია და შინგ ბეღურები ცხოვრობენ.

— როცა ადგები, მოდი და მეც მაჩვენე ბეღურების ბუდე.

— მაგას რა ჩვენება უნდა, გაიხედავ თუ არა, დაინახავ.

— კარგი, დღესვე ვნახავ.

ზურიკომ ბალიშს ქვემოდან ასანთის კოლოფი გამოიღო, ოდნავ გამოხსნა და დათო ჩაახედა. კოლოფში დამწყვდეული იყო დიდი, მწვანე კალია.

— ძია დათო, კალიას დედა ჰყავს?

— რა თქმა უნდა.

— კალიას დედა ბრაზიანია?

— საშინლად, სულ ცოფებს ყრის.

ზურიკოს გაეცინა. ასანთის კოლოფი ისევ ძველ ადგილას დააბრუნა.

„და დედაკაცსა მას ემოსა პორფირი და ძოწეული, შემკული ოქროჲთა და ქვითა პატიოსნითა და მარგალიტითა და აქუნდა ხელთ მისთა ბარძიმი ოქროჲსა. საძაგელებითა და არაწმიდებითა სიძვისა ქვეყნისაჲთა, და შუბლსა მისსა ზედა სახელი დაწერილი: საიდუმლოჲ, ბაბილონი დიდი, დედა მეძავთა და საძაგელებათა ქუეყანისათა...“

დათოს დედაბრის ბუტბუტი უწყალებდა გულს. მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, ზურიკო რომ ინახულა.

„და ვიხილე დედაკაცი იგი...“

— ბებია ლოცულობს? — ჰკითხა ჩურჩულით დათომ.

— არა. ჩურჩულითვე უპასუხა ზურიკომ. — წიგნს კითხულობს. როცა დედაზე ლოცულობს, მაშინ ბებიას ხმა არ ისმის.

— დედაზე?

— ბებია ეუბნება, ცოდვები გაქვსო.

— შენ იცი, რა არის ცოდვა?

— ისა... ეცოდება და იმიტომ ლოცულობს...

— ეჰა, ეცოდება...

კარი გაიღო და ოთახში პატარა კოხტა ქალი შემოვიდა, მასაც ზურიკოსავით დიდი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. დათომ მაშინვე იცნო ზურიკოს დედა. რატომღაც არ ეგონა, თუ ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა იქნებოდა. დათო ფეხზე წამოდგა და მიესალმა. ნორამ ხელი გაუწოდა. ხელი თბილი და ხავერდოვანი იყო. გაღიმებისას თვალები დაუვიწროვდა, თეთრი და სწორი კბილები გამოუჩნდა.

— ჩემს ბიჭს ძალიან შეუყვარდით, სულ თქვენ გახსენებთ.

— მე მხოლოდ დღეს გავიგე, რომ ავად იყო.

— დედა, ბავშვს აჭამე?

— ძალიან ცოტა ჭამა. — მოისმა ფარდის იქიდან დედაბრის ხმა.

— ზურიკო, არა გრცხვენია? როგორც გატყობ, ძალიან მოგწონს ლოგინში წოლა. — ნორა ფარდის იქით გავიდა და მაშინვე შემობრუნდა. პლაშჩი გაეხადა და ნაქსოვ მწვანე კაბაში უფრო მოხდენილი ჩანდა. დადიოდა რბილად, თავისუფლად, ოდნავ გამომწვეევად. შეიძლება დათოს მოეჩვენა, რომ გამომწვეევად დადიოდა, რადგან შალის ნაქსოვი კაბა უფრო მკაფიოდ აჩენდა სხეულის ნაკვთებს.

— დათო, რატომ დგახართ ფეხზე? დაბრძანდით.

— უნდა წავიდე, ქალბატონო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს იგივე ქალი იყო, ვინც იმ კვირა დღეს ავაზას გაშმაგებით ებრძოდა ლოლას, გასტრონომის მოლარეს.

— ნუ წახვალთ, რა, ძია დათო.

— სხვა დროს შემოგივლი, ზურიკო. ახლა მაგვიანდება.— დათოს არსად აგვიანდებოდა, მაგრამ ჩათვალა, რომ უკვე საკმაო ხანი დაჰყო აქ და წასვლის დრო დადგა.

— ნუ შეაწუხებ, შვილო, ძია დათოს, თორემ აღარ მოვა.

დათო დაემშვიდობა ყველას და აივანზე გამოვიდა. ეზოს გადახედა, მოეჩვენა, რომ მეზობელ აივნებზე საეჭვოდ ბევრი ხალხი გამოსულიყო. მესამე სართულზე მანანა და თეონა გადმომდგარიყვნენ; მანანა იდაყვებით დაყრდნობოდა მოაჯირს და დათოს უმზერდა, თეონას ცალი ხელი მოეკლო ხის ბოძისათვის და ისე იხედებოდა.

— სამივე მხრიდან დათოს თავს წასდგომოდნენ მეზობლები. მდუმარე მოლოდინით დასცქეროდნენ, და, როცა დათომ ყველას თვალი გაუსწორა, მეზობლებმა ისეთი სახე მიიღეს, თითქოს შემთხვევით იყვნენ აივნებზე გამოსულნი. დათომ სამიოდე ნაბიჯი გადადგა და ისევ ახედა ცნობისმოყვარე მეზობლებს. რამდენიმე ცბიერი და დამცინავი ღიმილი დაიჭირა.

— გამარჯობათ, მეზობლებო! რამდენი ხანია ასე ერთად არ მინახავხართ! როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით?! ღრმადა ვარ დარწმუნებული, შესანიშნავად ხართ, კითხვაც არ გინდათ, მაგრამ რატომ დამცქერით ასე სევდიანად, ასე მოწყენით?! იქნებ ცუდად მოვიქეცი და გული გატკინეთ?! სალამი, ბატონო ალექსანდრე! თქვენზე ამბობენ, თითქოს ქალბატონმა კატუშამ საყვარელთან წაგასწროთ, იმ ქალს ქალბა-

ტონ კატუშასათვის უთქვამს თურმე: რას მეჩხუბები, შე ქალო, წაიყვანე შენი ქმარი, კაცად მაინც არ ვარგაო... ასე ამბობენ... ისე კი რა ჩემი საქმეა თქვენს მამაკაცურ ღირსებაზე მსჯელობა... უჰ, ბატონო ვარლამ! ბოლო ხანებში აღარ ისმის თქვენი წუწუნი. როგორც გავიგე, თქვენი საკუთარი ცოლი სამუდამოდ წაგირთმევიათ ამხანაგ მაიორისათვის... კარგია, სიბერეში მაინც იცხოვრეთ დამშვიდებულებმა...

დათო მდუმარედ ჩამოდიოდა ხრახნილი კიბით. ეზო ნელ-ნელა დაიძრა და დატრიალდა. დატრიალდა კარუსელივით. სულ ახლოს ჩაიკროლეს ნაცნობმა სახეებმა. კარუსელი ტრიალებს და ტრიალებს... ტრიალებენ ადამიანები... მოწყენილი და სევდიანი, ცბიერი და დამცინავი სახეები... წყვილ-წყვილად ტრიალებენ: ბატონი ალექსანდრე და ქალბატონი კატუშა, ბატონი ვარლამი და მისი ძვირფასი მეუღლე... მარტო ეგენი კი არა, ყველანი, ყველა მეზობელი... დაჰქრიან, დაჰქრიან, დაჰქრიან... დედა და პლატონიც გაიელვებენ... მირიანიც და... მანანაც... თეონაც და, ის გაპუწკული, დარცხვენილი ბიჭიც...

ხრახნილი კიბე ჩაათავა დათომ და მარჯვნივ გაუხვია. ქუჩაში გავიდა.

გელამ, ბოლოს და ბოლოს, დაბეჭდა თავისი წერილი. წერილში ინიციალებით იყო მოხსენებული ბუბა ეშბა და მისი მეუღლე.

შესანიშნავი ოჯახი დაინგრა.

— ვისი ბრალია?

— რა თქმა უნდა, ბუბა ეშბასი.

— მაინც რა ბრალი ედება?

— კაცმა არ იცის.

დათოს უკვირდა, რატომ ხდება ხოლმე ასე?.. თითქოს რაღაც ბედისწერის გარდუვალობა არსებობს. გელა ხომ გრძნობდა? მგონი, თქვა კიდეც, თითქოს ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ბუბა ეშბა არ იყო დამნაშავე. მაინც დაწერა. მერმე როგორ დაწერა, თითქოს მთელი ქვეყანა დალაგებულია და ეს ერთი ქალი ამღვრევს ცხოვრებას...

ზოგჯერ შენი ფიქრის, შენი რწმენის საწინააღმდეგოდ მი-

დიხარ ხოლმე, თანაც ამას გრძნობ, არ გინდა წახვიდე და მაინც მიდიხარ.

გელა მოღუშული იჯდა თავის საწერ მაგიდასთან. დათოს ეგონა, ამ წერილის გამო იყო ასეთ გუნებაზე. ეგონა ნანობდა, რომ დაბეჭდა.

 გ ე ლ ა: დღედაღამ შავ ნიკოზე ვფიქრობდი და ვერ ვისვენებდი. მე მინდოდა დღის სინათლეზე გამომეტანა მისი საქმეები და ყველასთვის მეჩვენებინა, ვინ არის იგი და რას წარმოადგენს. გადავწყვიტე, მასთან სახლში მივსულიყავი, გამეგო, თუ ასე ფუფუნებით როგორ და საიდან ცხოვრობს. რედაქციის სახელით ოჯახში მისვლის უფლება არ მქონდა. ამიტომ ჩემი ნება-სურვილით უნდა მივსულიყავი. შევუთანხმდი კოტე რამიშვილს და გუშინ დილას მივადექით შავი ნიკოს სახლს (კოტე რამიშვილს იმიტომ შევუთანხმდი, რომ მას, ასე თუ ისე, სხვაზე მეტად აინტერესებს რეციდივისტების ცხოვრება და მჯეროდა, წამომყვებოდა).. ეს არის ორსართულიანი ძველებური სახლი, რომელსაც ქუჩის მხარეს ცხრა ფანჯარა და ერთი სადარბაზო შესასვლელი აქვს. ზარი დავრეკეთ. ცოტა ხნის შემდეგ კარი გააღო ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ვაჟმა, მე და კოტეზე საკმაოდ მაღალმა, თანაც ჯანიანმა. „ვინ გნებავთ?“ „ნიკო კორინთელი“. კარი ისევ მიიხურა. კი არ მიიხურა, დაიკეტა მე ვღელავდი. ვატყობდი არც კოტე ღელავდა ჩემზე ნაკლებად. უხმოდ ველოდით, როდის გაიღებოდა ხელმეორედ სადარბაზო შესასვლელი. ბოლოს და ბოლოს, გაიღო და მე დავინახე შავგვრემანი მაღალ-მაღალი და მეტად ლამაზი მამაკაცი. ამ მამაკაცის ზურგსუკან ორი ვაჟი შევნიშნე: ერთი ის იყო, რომელიც პირველად შემოგვეგება, მეორე — სხვა, უცხო, ოღონდ პირველ ვაჟივით მოსული და ჯანიანი. „რა გნებავთ“? „ჩვენ რედაქციიდან ვართ და თქვენთან გვინდა საუბარი“. „გისმენთ“. „აქ უხერხულია საუბარი, ავიდეთ თქვენთან“. „მე სიამოვნებით მოგისმენთ აქაც“. „ჩემთან რომ მოსულიყავით, ასე კარებში არ დაგიწყებდით ლაპარაკს, შინ შეგიპატიჟებდით“. „მითხარით, რა გნებავთ?“ „ავიდეთ და გეტყვით, არ დაგიმალავთ“. „მაგაში ეჭვი არ მეპარება. მიუხედავად ამისა, თქვენ ვერ ამოხვალთ ზევით“. „რატომ“? „თქვით თუ რამე გნებავთ, მე ბევრი დრო არა მაქვს“. „ხომ არ გეშინიათ ჩვენი“? „ძალიან“. „ნუ გე-

შინიათ, ჩვენ მხოლოდ წყნარად ვისაუბრებთ". „ფლირტი ბავშვობის შემდეგ არ მითამაშია, რა სასიამოვნო ყოფილა"! როდესაც შევატყვე, რომ სახლში ჩვენ შეშვებას არ აპირებდა, ძალით მოვინდომე შესვლა. ვაქები, რომლებიც შავი ნიკოს უკან სიბნელეში იდგნენ, დაჭიმულები გამოეშურნენ ჩემკენ. აქ კოტემ მიმტყუნა, განზე გადგა. მარტო რას გავხდებოდი სამ ვაქკაცთან. უკან დავიხიე. „თუ დამნაშავე არა ხართ, რისი გეშინიათ, ახლავე შეგვიშვით. იცოდეთ, უარესი იქნება! ახლავე შეგვიშვი"! იცი, რა გითხრა, არ უნდა ავღელვებულიყავი და არ უნდა მეყვირა... ჩემი აზრით, ძალიან შევაშინე... გაზეთი რომ ვუხსენე, გაფითრდა, მაგრამ რა გამოვიდა? კარი მოგვიხურეს. გარეთ დაგვტოვეს პირში ჩალაგამოვლებულები. რაღა უნდა გვექნა, წამოვედით... დამაცადონ, მაგ საქმეს ეგრე არ დავტოვებ.

— კი მაგრამ, რისთვის მიხვედით სახლში? — შეეკითხა დათო.

— ერთი შეეშვით და მერმე გაჩვენებდი, რისთვის მივედი.

— მაინც?

— საგაზეთო წერილში უბრალოდ აღვწერდი მის ბინას და ბოლოს დავსვამდი კითხვას: ვინ არის ეს კაცი და საიდან აქვს ამდენი ქონება.

— ჯერ ერთი, რა შეწი საქმეა, ვის რა ქონება აქვს? მეორეც...

— როგორ თუ რა ჩემი საქმეა?!

— ერთი სიტყვით, მიხვედით და თავი შეირცხვინეთ.

— მაგ საქმეს ეგრე არ დავტოვებ.

— გირჩევნია, თავი დაანებო...

— მე შენსაგით მშიშარა არა ვარ.

— ეტყობა, მაგარი წელი აქვს, ციდაცა მფარველობს.

— მართალია. იმიტომ არის ასე გათავხედებული.

კოტე რამიშვილი: კაცო, გადამეკიდა გელა, გინდა თუ არა, შავ ნიკოსთან მივიდეთო. ვუთხარი, ეგრე არაფერი

გამოვა-მეთქი. არ დამიჯერა. ამიტყდა: წამოდი და წამოდიო, მეც, რას ვიზამდი, წავყევი.. თანაც მაინტერესებდა კორინთელის ნახვა და გაცნობა. ნიკოს სახლს რომ მივუახლოვდით, გელამ ფერი დაკარგა, ცახცახმა აიტანა. თუ ასე ეშინოდა, რაღას მიეთრეოდა. მითხრა, მიდი და შენ დარეკე ზარიო. მე რაკომ უნდა დავრეკო-მეთქი, ვუთხარი. კარგა ხანს ვიბრძოლეთ, ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ზარს თითი დააჭირა. ვიღაც ახმახი გამოვიდა და გვკითხა: რა გინდათო. ჩვენ მოვახსენეთ, ვინც გვინდოდა. შემდეგ თვითონ კორინთელი გამოვიდა მაღალი, ხმელ-ხმელი, შავგვრემანი. თუმცა, შენ ხომ გყავს ნანახი... სწორედ ასეთი მყავდა წარმოდგენილი... რა გნებავთო, იკითხა. გელამ აუხსნა მოსვლის მიზეზი, თქვენთან საუბარი გვინდაო. რომელი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მნახე, ინტერვიუს რომ მთხოვო. გელა დაიბნა და ალუღლუღდა, დიდხანს უმტკიცებდა, ქართული თავაზიანობა და სტუმართმოყვარეობა მოითხოვს, შინ შეგვიპატიჟოთო. ნიკომ ბევრი იცინა და უთხრა: ბავშვობის შემდეგ არ მითამაშია ფლირტი და სასიამოვნო თამაში ყოფილაო. გელამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, სულ წავიდა ხელიდან. ნიკო დამცინავი ღიმილით დასცქეროდა გელას ტანჯვასა და წვალებას. ბოლოს თქვა: მე საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს არ ვკითხულობო, და კარი ცხვირწინ მიუხურა. გელა დატუქსული და ყურაწეული ბავშვივით იდგა სადარბაზო კართან, თითქოს ესეეს არის გარეთ გამოაგდესო. ჩემკენ არც იხედებოდა. მე სიცილი ამიტყდა. გელა, იმას რომ ვეღარ მოერია, ჩემზე გაბრაზდა. ყველაფერი მე დამაბრალა. ასე გამოვბრუნდით უკან საზიზღრად გაბითურებულები. დავრწმუნდით, კორინთელი მაგარი კაცია, მაგასთან ბრძოლა არც ისეთი ადვილია, როგორც გელას ჰგონია. თავაზიანი ღიმილის უკან წარმოუდგენლად ვერაგული მზერა იმალება. მართალი გითხრა, შემეშინდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამე მქონდა გაგებული და ერთგვარად შემზადებულიც ვიყავი მასთან შესახვედრად. მაინც შემეშინდა. საშიში კაცია. ყველაფერს იკისრებს.

— მართალია, საშიში კაცია, — თქვა დათომ.

— გელას დააჯერებ რამეს?

— მოეშვას ახლა. მაგისთვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები და ისინი მოუვლიან.

— მეც ეგ ვუთხარი.

— მერე რაო?

— თითქოს დამიჯერა, — უპასუხა კოტემ.

დათო მთელ დღეებს გარეთ ხეტიალში ატარებდა. ზურიკოსთან მისვლის შემდეგ პირისპირ არ შეხვედრია დედას. ერიდებოდა. გუმანით გრძნობდა რა ამბავი დაატყდებოდა თავს და გაურბოდა. თეონამაც რამდენჯერმე გადაჰკრა გესლიანი სიტყვა ქალბატონ ნორაზე, ვითომ ბავშვი იმიტომ შემოიჩვიე, რომ დედამისს დაახლოებოდიო. მანანაც, ალბათ, ამ აზრისაა. რითი შეიძლება მათი გადარწმუნება? თუმცა რატომ უნდა გადაარწმუნოს?! ვისაც რა უნდა, ის იფიქროს... მაგრამ დათო არ ეკუთვნოდა რიცხვს იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვათა აზრს მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ბავშვობიდანვე შეაჩვიეს და ჩაუნერგეს: ყოველთვის ისე უნდა მოიქცე, რომ სხვებმა შენზე მხოლოდ კარგი თქვანო. ამიტომ ყოველთვის ისე იქცეოდა, რომ სხვები დათოზე მხოლოდ კარგს ამბობდნენ. საკუთარი თავმოყვარეობის საამებლად ზოგჯერ განგებ იმსახურებდა სხვათა ყურადღებას. მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს კაცი ასე მოქცევას, მით უმეტეს, როცა უკვე დიდია და ავზეც და კარგზეც საკუთარი აზრი გააჩნია. დათოს მერმე ხშირად უთქვამს, რა მნიშვნელობა აქვს. სხვა რას იტყვის შენზეო, მაგრამ მაინც მტკივნეულად განიცდიდა სხვების შეხედულებასა თუ აზრს.

დათოს ეგონა, რომ დაახლოებით იცოდა, მასზე რას ფიქრობდნენ. რა თქმა უნდა, შეფასებაში ცდებოდნენ, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დაუმტკიცოს იმათ თავისი სიმართლე. ნუთუ ასე ძნელია საკუთარი სიმართლის დამტკიცება?!

დათო გრძნობდა, მის თავისუფლად მოქმედებას ვიღაცები ბოჭავდნენ. ეს გარემოება მით უფრო აწუხებდა, რომ დარწმუნებული იყო, ცუდს არაფერს აკეთებდა, პირიქით, შეეძლო სხვებისთვის ბევრი რამ სასარგებლო გაეკეთებინა, მაგრამ ზოგიერთი მის მოქმედებას ეჭვით უმზერდა და სწორედ ეს ეჭვი ბოჭავდა და ბორკავდა დათოს.

მხდალი და მშიშარა არასოდეს ყოფილა, მაგრამ როდე-

საც დაეჭვდნენ მის სიწმინდესა და სიმართლეში, არათუ დაეჭვდნენ, დაადანაშაულეს კიდეც, დათომ გამბედაობა დაჰკარგა, ეშინოდა, კიდევ არ დაეჭვებულიყვნენ მის პატიოსნებაში, კიდევ ახალი ჩრდილი არ მიეყენებინათ მისი სახელისათვის.

ქუჩის გადასასვლელთან შეჩერდა. რამდენიმე მანქანა გაატარა და ქუჩაზე გადასვლა დააპირა, მაგრამ ერთ მანქანაში უცებ თვალი მოჰკრა ზურიკოს დედას.

მანქანაც თითქოს ნაცნობი იყო, სადღაც ენახა ეს მანქანა. ის მამაკაციც ეცნო, რომელიც საჭეს მართავდა და რომელსაც გვერდით ნორა უჯდა. არ დაიჯერა. შეუძლებელია, ნორა შავი ნიკოს გვერდით მჯდარიყო. რამდენადაც ახსოვს, მაშინ მანქანას ნიკო არ მართავდა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

თავისუფალმა ტაქსმა გამოიარა. შეიძლება ამანაც აფიქრებინა, უკან დადევნებოდა კორინთელის მანქანას.

დათომ ტაქსი გააჩერა და ჩაჯდა. შოფერს უთხრა, საით უნდა წასულიყო, თანაც შეეხვეწა, ცოტა აჩქარებულიყო.

ტაქსი დაიძრა.

ოთხ-ხუთ მანქანას გადაუსწრო. წინ ვეებერთელა ავტობუსი აეფარა. საჭირო იყო ავტობუსისთვისაც გაესწროთ.

დათო ავტორბოლის ჟინმა შეიპყრო. ტაქსის შოფერს აჩქარებდა და ბავშვივით უხაროდა, როცა რომელიმე მანქანას გაუსწრებდნენ. ახლა ეს ავტობუსი გაიხირა და ტაქსის სწრაფად სვლის საშუალებას არ აძლევდა.

ტაქსიმ, როგორც იყო, გვერდი აუარა ავტობუსსაც და წინ გაიჭრა. კიდევ გაუსწრეს ერთ მანქანას, მეორეს, მესამეს...

დათო მანქანის კუთხეში მიიყუჟა. წუთიც და გამოჩნდებოდა ვინ იჯდა წინა მანქანაში...

მანქანა მანქანას გაუსწორდა. უკვე აღარ აინტერესებდა ვისთან იჯდა ზურიკოს დედა.

დათომ ტაქსი გააჩერებინა შოფერს. ფული გადაუხადა და გადმოვიდა.

აქ თავდებოდა ქალაქი და იწყებოდა საქართველოს საზხედრო გზა.

წინ ჩაუქროლა კორინთელის მანქანამ.

მანქანა ქალაქგარეთ გაიჭრა.

დათო სულ მთლად დაიბნა. ერთმანეთს ვერაფრით უკავშირებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც ახლა მანქანით ჩაუქროლეს. ვთქვათ, პლატონსა და კორინთელს რაღაც საერთო საქმე ჰქონდათ... „ბევრ საქმეს უკეთებს... დიდ საქმეებს“. ნორა? არაფრით არ უნდოდა ნორა კორინთელთან დაეკავშირებინა, ჯერ ერთი, ზურიკოს დედა იყო და, მისდაუნებურად, უფრთხილდებოდა ამ ქალის სახელს. უფრო სწორად, არ უნდოდა, ზურიკოს დედას შავ ნიკოსთან რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა. მეორე: თუ ნორას კორინთელს დაუკავშირებდა, მაშინ პლატონი თავისთავად უკავშირდებოდა მანქანაში მჯდარ უცხო ქალს. ამის დაჯერება კი დათოსთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ნორა და ნიკო მაინც ახალგაზრდები არიან. ის უცხო ქალიც პლატონთან შედარებით ძალიან ახალგაზრდა ჩანდა. ნუთუ პლატონი, ეს ბუნჩულა და ღრუტუნა კაცი, სამოცდაორი წლისა..., „პლატონი ამბობს, მაგის გახმაურება არ ღირსო...“ „პლატონს დაუჯერეთ, გამოცდილი და ჭკვიანი კაცია...“

პლატონი... პლატონი... პლატონი..

„რა უნდა ვუყოთ მაგ ბავშვს?.“

„მე აქ მოსვლის ნება მივეცი და ველარ დავუშლი...“

— ჰო... იაროს...“

— ჰო... იაროს...“

— ჰო... იაროს...“

ყველა აუჯანყდა მაშინ ზურიკოს, პლატონის გარდა. ეტყობა ნორას იცნობდა, რომ არ სცნობოდა, ხმასაც არ ამოიღებდა, მისთვის სულ ერთი იქნებოდა, პატარა ბიჭი მოვიდოდა თუ არა ფანჯარაში გადასახედად...

— არ ვიცი, შვილო, ამ ბოლო დროს რა გემართება.

— არც მე ვიცი, დედა.

— რას მივაწერო შენი ასეთი საქციელი?

— ზურიკოს სიყვარულს. — მეორე ოთახში ხმამაღლა თქვა თეონამ.

— მაინც რამ მიგიყვანა იმ ქალთან.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, დედა, ზურიკოს სანახავად გიყავი.

— ზურიკო მოენატრა ბიჭს.

— შენ გაჩუმდი, თეონა! ჩაიცვი, თორემ დაგვაგვიანდება.

— რა დაგვაგვიანებს, კონსერვატორიაში ერთ წუთში მივალთ.

— შვილო, მეზობლებს მეტი კი არ უნდათ, უკვე სალაპარაკო გაუჩნდათ, ერთმანეთთან დადიან, გვჭორავენ, დაგვცინიან. კიდევ კარგი, არაფერი გაუგია პლატონს... თეონა, ჩაიცვი...

დათოს ახლა გაახსენდა, რომ ნორა მანქანაში პლატონისკენ იყო მიბრუნებული და რაღაცაზე გაცხარებით ელაპარაკებოდა.

— ეს ოჯახი, შვილო, რასაკვირველია, თქვენიც არის, მაგრამ პლატონი მაინც ოჯახის უფროსია. პატივი უნდა სცეთ მის სახელს. პატიოსნებას, ღირსებას... პლატონი სხვანაირი კაცია... თეონა, დაგვაგვიანდება.

დღეს რიხტერის კონცერტი იყო. დათომ, კონსერვატორიის წინ რომ ამოიარა, აფიშა წაიკითხა. კარგი იქნებოდა დღეს რიხტერი მოესმინა... ნეტავი ისიც წაეკითხა, რას უკრავს, თუმცა, სულ ერთია, მაინც ვერ წავა.

— ჩაუფიქრდი, შვილო, შენს საქციელს... თეონა!

დათო წინდაწინვე შეეჩვია აზრს, რომ ზურიკოსთან მისვლისთვის შინ გაჰკიცხავდნენ. დედის ნალაპარაკევი გულთან არ მიუტანია, წესიერად არც კი უგდებდა ყურს. მით უმეტეს, რომ დედა უფრო რბილად ელაპარაკებოდა, ვიდრე მოელოდა.

დედა და თეონა, ბოლოს და ბოლოს, წავიდნენ.

დათომ იცოდა, პლატონი სადაც იყო: მეგობრები ქალაქგარეთ ქეიფობდნენ ქალებთან ერთად... მაგრამ სად არის მირიანი? მაგიდაზე ისევ მისი ნაწერი ქაღალდებია გაშლილი. შეიძლება აივანზეა გასული და მანანას ელაპარაკება?

აივანზე მხოლოდ მანანა იდგა. ხის ბოძზე დაეკიდა მამის კოსტიუმი და ჯაგრისით წმენდდა. დათო მაშინვე გამობრუნდა. მანანას დანახვა ბოლო დროს ცუდ გუნებაზე აყენებდა. აგონდებოდა ის სულელური ღამეები, მანანას გამოსვლას თითქმის განთიადამდე რომ უცდიდა. რა უაზრობა იყო ის ლოდინი. რისთვის ელოდა, ანდა რად სჭირდებოდა იმ შუა ღამით მანანასთან საუბარი?!

მაინც, საინტერესოა, რატომ არ გამოდიოდა მანანა? ვითომ მამის ეშინოდა? ვთქვათ, მამის ეშინოდა, ანდა მამამ არ დაიძინა და გამოსვლა ვერ მოახერხა. მერმე რატომ აღარ ცდი-

ლობდა დათოსთან შეხვედრას? ვითომ იმ საღამოს არაფერი მომხდარა? თვითონ აგრძნობინა, თორემ დათო ვერც გაბედავდა... გაბედვა იქით იყოს, ვერც იფიქრებდა ასეთ რამეს. იქნებ ნაწყენია? მერმე რა, რომ მანანამ უთხრა — წადიო. იქნებ მანანასთვის არ უნდა დაეჯერებინა? ადამიანი ხშირად ერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს. მაინც რა ცივად წამოვიდა... სხვა რა უნდა ექნა საბრალო გოგოს? არა, კარგად მოიქცა, ურთიერთობა რომ არ გაართულა... ერთი საბრალო გოგოა, თავის გზას მონახავს, ვისმე შეიყვარებს და ბედნიერი იქნება. ასეთი რამ ვის არ შემთხვევია. დრო გავა და ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

დათო მაინც გაბრუნდა აივანზე გასასვლელი კარისკენ. აივანს გახედა: მანანა ოთახში შესულიყო და მამის კოსტიუმიც შეეტანა. დათოს რაღაცნაირად მაინც დაწყდა გული, მანანა რომ აღარ დახვდა აივანზე.

საწერ მაგიდასთან მივიდა. ზემოდან დახედა ფურცელს, რომელზეც ნაცნობი გაკრული ხელით იყო დაწერილი:

„მე ვარ ის ვისაც მამა არ ჰყოლია... მე მოწყვეტილი ვარ საკუთარ ფესვებს და მეჩვენება, თითქოს დავკარგე ის, რაც ჩემში, ჩემთვის იყო ყველაზე უფრო არსებითი“.

ეს ადგილი წიგნიდან ამოწერილ ფრაზას ჰგავდა.

„მე არა მაქვს წარსული: უარვყავი! უფრო სწორად — იძულებული გავხდი, უარმეყო“.

ცოტა უფრო ქვემოთ ეწერა:

„მძიმე ტვირთივით მოვიშორე მოგონებები... აღარა მყავს ძველი ნაცნობები, ამხანაგები, მეგობრები... თუ ხანდახან ჩემს მეხსიერებაში რაიმე მოგონება მაინც ამოტივტივდა, ბუტანელ ტკივილებს მაყენებს და ვცდილობ, მაშინვე მოვიშორო, სამუდამოდ დავკარგო“.

შემდეგ ხუთიოდე სტრიქონი წაშლილი იყო.

„ყველა თხილისგულივით თავის პატარა და უბადრუკ ნაჭუჭში ცხოვრობს და ნაჭუჭს თხილისგულივით მხოლოდ იმიტომ ტოვებს, რომ გაქრეს...“

დათო საწერ მაგიდას მოშორდა და შუშაბანდში გავიდა.

აქვარიუმში დასრიალებდა გრძელფარფლებიანი ოქროს თევზი. დათო დაინახა თუ არა, წყლის ზედაპირზე ამოცურდა. განუწყვეტლივ ამოძრავებდა პირსა და ლაყუჩებს, ზოგჯერ

უასროდ მიაჩერდებოდა დათოს. დათომ თუნუქის კოლოფი გახსნა და ოქროს თევზს პაწაწინა კოვზით ჩაუყარა საჭმელი.

ნეტავი ახლა რა დროა? იქნებ ამ სახლში ჯდომას სჯობია, ციცინო ნახოს?

ციცინო! თითქოს დღეს აღმოაჩინა, რომ ქვეყანაზე ციცინო არსებობდა.

რატომ აქამდე არ გაახსენდა? არა, ციცინო კი ახსენდებოდა, მაგრამ მასთან შეხვედრის სურვილი არ დაბადებია. ესეც უცნაურია. რატომ აქამდე არ ებადებოდა ასეთი სურვილი?

მას შემდეგ, რაც მშენებლობაზე შეემთხვა, იმგვარი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ციცინო სხვა ქალაქში ცხოვრობდა, შორს, სადღაც, მივიწყებულ, პატარა ქალაქში. და ერთხელაც არ მონდომებია ჩასულიყო და მოენახულებია.

ათის თხუთმეტი წუთი იყო. ფანჯრის მინებს უკვე ღამე მოსწოლოდა.

დათომ პლაშჩი ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. შეეძლო ტელეფონით დაერეკა, მაგრამ მისვლა ამჯობინა. დარწმუნებული იყო, ციცინო შინ დახვდებოდა.

ავტობუსის გაჩერებასთან სკოლის ამხანაგი ავთანდილ ხარაბაძე შეხვდა. ავთანდილმა მაშინვე გაუბა საუბარი, მაგრამ დათო ყურს არ უგდებდა. მოუთმენლად ელოდა ავტობუსს, რომ ვაკეში გაჰყოლოდა.

ხარაბაძე დათოს სულაც არ აყოვნებდა, რაზეც არ უნდა ესაუბრა, ან ვისთანაც არ უნდა ესაუბრა, მხოლოდ ერთ რამეს არკვევდა, ჰქონდა თუ არა მოსაუბრეს ჯიბეში ფული, რომ ასი გრამი არაყი ან იაფფასიანი კონიაკი გადაეკრა. თუ გამოარკვევდა, ფული არა აქვსო, მოსაუბრისადმი ჰკარგავდა ყოველგვარ ინტერესს და საშინლად მოწყენილი იმწამსვე შორდებოდა, ნახევრად მოყოლილ ამბავს არც კი დაამთავრებდა.

— ჰო, რას ვყვებოდი?.. თუმცა, მანამდე, ხომ არ გადაგვეკრა ას-ასი?

— სიამოვნებით, მაგრამ ფული არა მაქვს.

— მართლა, აბა, მე წავედი... მგონი, შენი ავტობუსიც მოდის.

ავტობუსიდან რესთაველის მოედანზე ჩამოხტა და ფეხით

გამოჰყვა პროსპექტს. რატომღაც იფიქრა, ციცინო რიხტერის კონცერტზე იქნება წასულიო. საერთოდ, ასე იციან თბილისელებმა. თუ ვინმე ცნობილი ხელოვანი ჩამოვიდა, ყველა თავს ვალდებულად თვლის, დაესწროს მის გამოსვლებს, სულ ერთია, ესმის თუ არ ესმის, აინტერესებს თუ არ აინტერესებს. მთავარია, კონცერტს დაესწროს, რომ მეორე დღეს სალაპარაკო ჰქონდეს. ეს არც არის გასაკვირი, ალბათ ყველა ქალაში ასე ხდება. გასაკვირი ის არის, როგორ იტევს ამდენ ხალხს პატარა საკონცერტო დარბაზები.

რუსთაველის პროსპექტზე მიმავალს ისევ შეხვდა ავთანდილ ხარაბაძე. ხარაბაძემ მაშინვე რაღაცის მოყოლა დააპირა, მაგრამ ეტყობა გაახსენდა, რომ დათოსთან დღეანდელი ურთიერთობა უკვე გარკვეული ჰქონდა და მორცხვი ღიმილით გაშორდა.

დათო დაიმედებული იყო, ციცინო კონცერტს ესწრებოდა და იქიდან გამოსულს უთუოდ შეხვდებოდა. ამიტომ არ ჩქარობდა. წიგნების მაღაზიის ვიტრინასთან თითქმის ნახევარი საათი შეჩერდა. ყოველი წიგნის სათაური გულდასმით წაიკითხა, სხვა წიგნებს შორის თავისი მეგობრის — ჯიმშერ ქალდანის ამ ერთი წლის გამოცემული ლექსების პაწაწინა კრებულს წააწყდა: „პირველი სიმღერა". მწვანე მთების ფონზე სვანური კოშკები იყო აღმართული. კოშკებს თავზე ღრუბლები ეხვეოდა. ეს მთები, ღრუბლები და სვანური კოშკები პოეტის გვარის მიხედვით ეხატა წიგნის ყდაზე. თვითონ ქალდანი თბილისშია დაბადებული და, მგონი, ერთხელაც არ ყოფილა სვანეთში. ლექსებს მაინც სულ სოფელში გატარებულ ბავშვობაზე წერდა, სოფელი, როგორც მისივე ბავშვობა, ამ წიგნში აბსტრაქცია იყო, არ გულისხმობდა რომელიმე გარკვეულ კუთხეს. არც შეიძლებოდა ეგულისხმა, რადგან სოფლები ჯიმშერ ქალდანს მხოლოდ მატარებლიდან ჰქონდა დანახული.

რუსთაველზე უკვე გამოჩნდა კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზიდან გამოსული ხალხის პირველი ნაკადი. დათოს გზაც იქით ჰქონდა და ხალხისკენ გაეშურა. ნელ-ნელა მიდიოდა. არც ერთი შემხვედრი მხედველობიდან არ გამორჩენია, ერთი ორჯერ ციცინო თითქოს დაინახა კიდეც, მაგრამ, როცა მიუახლოვდა, სხვა აღმოჩნდა.

„ლაღიძის წყლების“ კუთხეში შეჩერდა და ახედა კონსერვატორიის შენობას. შესასვლელის წინ უამრავი ხალხი ირეოდა. ესენი თაყვანისმცემლები იყვნენ და რიხტერის გარეთ გამოსვლას ელოდებოდნენ, დიდი მუსიკოსი, რაც შეიძლება, ახლოდან რომ დაენახათ და სახელი კმაყოფილების ღიმილი შეეფრქვიათ.

ხალხს გამოეყო და ქუჩა გადმოსჭრა ნაცნობმა სილუეტმა. დღის ნათურები პატარა ქუჩას იმდენად სუსტად ანათებდნენ, რომ დათომ კარგად ვერ დაინახა, ნამდვილად ბუბა ეშბა იყო, თუ სხვა... სწრაფად გატრიალდა და „ლაღიძის“ მაღაზიაში შევიდა. ვითომ წყალი სწყუროდა.

დიდი ვიტრინიდან დაინახა, როგორ ჩამოიარა ქუჩა ბუბა ეშბამ და პროსპექტს მარცხნივ გაჰყვა.

ბუბა ეშბა მარტო იყო.

დათომ შენიშნა, ნაღვლიანი და დაფიქრებული სახე ჰქონდა.

ქალმა როგორც კი გაიარა, დათო მაღაზიიდან გამოვიდა და თვალი გააყოლა მიმავალ ბუბას.

მისდაუნებურად აედევნა დათო, შორიახლო მისდევდა. ბუბა შეჩერდა წიგნების მაღაზიასთან და წიგნები დაათვალიერა. მერმე პროსპექტი გადასჭრა და ოპერის თეატრისკენ გაუხვია. რატომ წამოვიდა აქეთკენ? მას შეეძლო უფრო მოკლე გზით მისულიყო ოპერასთან. დათომაც გადასჭრა პროსპექტი.

ბუბა ტროლეიბუსების გაჩერებასთან მივიდა. დათოც მივიდა ტროლეიბუსების გაჩერებასთან, ბუბას გვერდით დადგა, სულ ახლოს, წითელი ფერიც კი იგრძნო. უფრო სწორად — მიხაკის სურნელი. დალაპარაკება ვერ გაბედა, დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა. ტროლეიბუსები ზედიზედ მიდიოდნენ, დათოს გული უსკდებოდა, რომელიმე მათგანს ბუბა უსათუოდ გაჰყვებოდა. ბევრი ხალხი იყო გამოსული თეატრებიდან და კონსერვატორიიდან. ვერაფრით ახერხებდა ასვლას. დათოს კი უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაც აწუხებდა... მაინც რა უნდოდა, რა აწუხებდა?.. „გამარჯობათ, ბუბა... თქვენ ალბათ მიხვდით, რატომ მოვედი... იქნებ ფეხით წასვლა სჯობდეს, მე მიგაცილებთ... მე ვიცი, რას ფიქრობთ ჩვენს ოჯახზე... თუ ფეხით წამოხვალთ...“

ისევ მოვიდა № 3 ტროლეიბუსი და ამჯერადაც ვერ მოახერხა ბუბამ ასვლა.

— ბუბა!

ბუბამ გვერდზე მიიხედა.

დათომაც მიიხედა გვერდზე. დათოს ჯერ ეგონა, უნებურად ხომ არ წამომცდა ბუბას სახელიო და შეკრთა. მაგრამ მეორედაც გაიგონა იგივე ძახილი.

— ბუბა!

ბუბასთან მივიდა შუა ხნის ჭაღარა მამაკაცი. ქალს აშკარად შეატყო, არ ესიამოვნა ჭაღარა მამაკაცის დანახვა.

— ბუბა, მე მინდა, მომისმინო.

ტროლეიბუსის შესასვლელთან ზედახორა იყო.

— მე აღარ შემიძლია, დავით, ყოველ წუთს ერთი და იგივეს მოსმენა...

— შენ ვალდებული ხარ მომისმინო.

დათო მიხვდა, ჭაღარა მამაკაცი ბუბას ქმარი იყო და გუნება შეეცვალა. ამ კოხტად გამოწყობილი კაცისადმი დაებადა წინააღმდეგობის გაწევის ფარული სურვილი. უნდოდა, ასეთივე წინააღმდეგობა ბუბასაც გაეწია.

— თუ ღმერთი გწამს, ნურაფერს ნუ დამავალდებულებ; მე ამქვეყნად არავისი ვალი არა მაქვს... არც სხვისი, არც შენი, დავით. რა აზრი აქვს შენს წამოყოლას.

დათოს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ბუბას პასუხები. მაგრამ მაინც ეჩვენებოდა, ეს პასუხები მკაცრი და მკვეთრი არ იყო.

დათომ ვეღარ გაიგონა ბოლომდე, რა თქვა ჭაღარა მამაკაცმა, რადგან ბუბამ მოულოდნელად მოიხედა და დათოს თვალებს წააწყდა. ერთ ხანს დათომ არ იცოდა, რა ექნა, მისალმებოდა თუ არა, ბუბამ მწარედ გაიღიმა და თვალი აარიდა დათოს.

— კარგი წავიდეთ.

ბუბა და მისი ქმარყოფილი ნელი ნაბიჯით გაჰყვნენ რუსთაველის პროსპექტს.

დ ა თ ო: როგორც ჩანს, ჩემზე ბევრი იმსჯელეს ოჯახში და ეს დაადგინეს: ჩემი უმუშევრად ყოფნა ყოვლად შეუძლე-

ბელი იყო, რადგან სამსახური ვერსად ვიშოვე, პლატონმა შემომთავაზა: მე უნდა დამეწყო კაპიტალური რემონტი იმ შენობისა, რომელშიც პლატონის დაწესებულებაა მოთავსებული. უფრო სწორად, სამუშაოთა მწარმოებლად ვყოფილიყავი. მე არც მენახა და, როგორც მერმე დავრწმუნდი, წარმოდგენაც არ მქონია, სად მუშაობდა პლატონი. ისე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს იყო არტელი, სადაც ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები იკერებოდა. ვერცხლის ქუჩაზე, ერთ-ერთი შენობის სარდაფში ჩამიყვანა პლატონმა. ჯერ მეგონა, სარდაფი პატარა იქნებოდა. მაგრამ საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. მერმე გამაოცა იმ სიჩუმემ და წესრიგმა, რომელიც საამქროებში სუფევდა. სიჩუმე, რა თქმა უნდა, პირობითად ვსთქვი. ფეხსაცმელებს პირველყოფილი წესით ამზადებდნენ და ისმოდა ჩაქუჩების განუწყვეტელი კაკუნი. მე მხოლოდ იმან გამაოცა, რომ ხალხის ლაპარაკი და ხმაური არ ისმოდა. თუმცა, დავაკვირდი თუ არა ხელოსნებს, მაშინვე მივხვდი. ეს იყო ყრუ-მუნჯთა არტელი.., პლატონმა თავისი კაბინეტი დამათვალიერებინა. პატარა, ნახევრად ბნელ ოთახში იდგა საწერი მაგიდა, დივანი და რამდენიმე სკამი. მერე საამქროებიც მომატარა და ისევ თავის კაბინეტში დამაბრუნა. ერთმა გარემოებამ გამაკვირვა კიდეც. მე უკვე დანიშნული ვიყავი კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მწარმოებლად. სარემონტო კანტორაში არც კი გამოვცხადებულვარ. ამაზე ალბათ პლატონს ან ვილაც სხვას უჩემოდ უზრუნვია. პლატონმა მაჩვენა სარდაფის გეგმა და დიდი გაჭირვებით განმიმარტა, სამუშაო ისე უნდა ჩაგვეტარებინა, რომ ხარაზების უმეტესობა მუშაობისათვის არ მოგვეწყვიტა. ეს არ იყო ძნელი. მე სხვა რამემ შემაწუხა და თავმოყვარეობა შემილახა. პლატონი თხუთმეტი წელი ამ არტელს ხელმძღვანელობდა, როგორც ყრუ-მუნჯი. ესე იგი, ყველას ეგონა, ყრუ-მუნჯი იყო. სარდაფში ჩასვლისთანავე მივხვდი, პლატონს ჩემი ლაპარაკი ცუდად ესმოდა, ანდა, არ უნდოდა გაეგონა და ხელების მოძრაობით მანიშნებდა, უფრო ხმამაღლა მეთქვა სათქმელი, თან ნიჟარასავით დიდი ყური ზედ ტუჩებთან მოჰქონდა. ეს კაცი თხუთმეტი წელი განგებ იყრუებდა და იმუნჯებდა თავს. რისთვის? შეიძლება ამიტომაც გადაეჩვია „ლაპარაკს და აზრის გადმოცემა უჯირდა". მაგრამ სმენა ხომ ჩვეულებრივი ჰქონ-

და?! თავს განგებ იყრუებდა. თხუთმეტი წელი იყრუებდა თავს. ასე არჩია. ეტყობა, ცხოვრებისთვის ეს უფრო ხელსაყრელი იყო. მე მეგონა პლატონს ვიცნობდი. პლატონი პირველად ამ ოცი წლის წინათ ვნახე. ჩვენს სახლში მოვიდა უცხო კაცი — მაღალი, ჩუმი და პირქუში. დედამ მე და მირიანი ერთად შეგვყარა და გვითხრა: დღეიდან თქვენც გეყოლებათ მამა... ეს კაცი იქნება თქვენი მამა... მამა მე არ მახსოვს. მირიანი ხანდახან იგონებდა ხოლმე: მხრებზე ფეხებით შემაყენებდა და ოთახებში ასე დამატარებდაო. სხვას ვერაფერს იხსენებდა. თუმცა, მგონი, ერთხელ მითხრა, ხმამაღლა სიცილი იცოდა და იმ სიცილის სულ მეშინოდაო. ბავშვობაში სულ ვფიქრობდი, მამაჩემი მოვიდოდა. ერთს ისე გაიცინებდა, რომ შიშისაგან თავზარი დამეცემოდა, მერმე დასამშვიდებლად ხელში ამიყვანდა და, როგორც მირიანს, მხრებზე მეც შემაყენებდა ფეხებით... ბავშვი ვიყავი და მივხვდი, ჩვენს სახლში არ მოსულა ის კაცი, რომელსაც ველოდი. ამ კაცს ხმამაღლა არ გაუცინია და არც საკუთარ მხრებზე შევუყენებივარ ფეხებით. მირიანმაც თქვა: ჩვენი მამა ეგ არ არისო, მაგრამ პლატონი მხოლოდ გარეგნულად აღმოჩნდა პირქუში, ის შიში, პირველი მოსვლისთანავე რომ აღმიძრა, ნელ-ნელა გაქრა, თანდათან შევეჩვიე და ერთი წლის შემდეგ უკვე აღარ მეჩვენებოდა საშიშ ადამიანად. პლატონი კეთილი, ოჯახის მოყვარული კაცი გამოდგა. პლატონს განსაკუთრებით თეონა უყვარდა, ამას ვგრძნობდი მაშინ, როცა მამა ბედნიერი ღიმილით თვალს ადევნებდა თავისი ერთადერთი ქალიშვილის ყოველგვარ მოქმედებას. სხვა მხრივ არაფრით ამჟღავნებდა თეონასადმი განსაკუთრებულ სიყვარულს და ჩვენგან არაფრით ასხვავებდა. მერმე მეჩვენებოდა, პლატონი ზედმეტად რბილი და გულუბრყვილო იყო. ოჯახში დედა მბრძანებლობდა. ყოველ მის სურვილს პლატონი უხმოდ და მორჩილად ასრულებდა. ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ პლატონს შეეძლო ასეთი ეშმაკობა და თვალთმაქცობა. ძნელია, ქვეყანა დააჯერო, რომ შენ ყრუ და მუნჯი ხარ, მაგრამ თუ დააჯერებ, მერმე, როგორც ჩანს, შედარებით იოლია ცხოვრება...

მირიანმა ბოლო ხანებში მოუხშირა გარე-გარე სიარულს. ზოგჯერ ნასვამიც ბრუნდებოდა, მაგრამ დათოს ერთხელაც

არ უკითხავს, სად დადიოდა უფროსი ძმა და ვისთან სვამდა.

ამას წინათ გელა მოვარდა აქოშინებული.

— მირიანი შინ არის?! — იკითხა, პლატონს ღილებივით დიდსა და შავ თვალებში საიდუმლოებით მოცული ღიმილი უთამაშებდა.

— არა, რა იყო?

— ეეჰ, ეს არის საქმე?.. მალე მოვა?

— არ ვიცი, როდის მოვა...

— რედაქციაში შემოვიდა წერილი... ვიღაც ბონდარევი იწერება სმოლენსკიდან.

— მერმე მირიანი რა შუაშია?

— დამაცადე. ეს ბონდარევი ომის ვეტერანია, ბრესტის დაცვაში მიუღია მონაწილეობა. მასთან ერთად უბრძოლია ვიღაც ქართველს, რომლის სახელსა და გვარს ვეღარ იხსენებს, გარეგნობა კარგად დაუმახსოვრებია და შესანიშნავად აღწერს კიდეც. ისიც იცის, რომ თბილისელია. ბონდარევის აღწერით, ის ქართველი გარეგნობით ძალიან ჰგავს მირიანს, საოცარია, პირდაპირ მირიანია დახატული, შენი ძმა ბრესტში არ ჩავარდა ტყვედ?

— კი.

— მერმე ტყვეობიდან გაიქცა და ფრანგ პარტიზანებთან იბრძოდა?

— კი, ეგრე იყო.

— ჰოდა მირიანია! სხვა ქართველებსაც ასახელებს, მაგრამ იმათი გვარები და სახელები ახსოვს, რატომღაც მირიანისა დავიწყებია მაინცდამაინც.

— იმ ქართველებისთვის ეკითხა. იმათ ეცოდინებოდათ.

— მათგან არც ერთი არ გადარჩენილა. ყველა დაღუპულა.

— ვთქვათ, მირიანია, მერმე?

— რას ჰქვია მერმე? თუ მართლა მირიანია... შენ იცი, რა საქმეები აქვს გაკეთებული: ფანტასტიური... დაუჯერებელი... ეგ ყოფილა, ძმაო კაცი!

გელამ კინკრიხო მოიფხანა ნეკით და ფანჯრიდან ნეტარებით გახედა სივრცეს. დათო იცნობდა ამ გამომეტყველებას; ბევრჯერ უნახავს იგი გელას სახეზე უეჭველი გამარჯვების მოლოდინში აღბეჭდილი.

/ მირიანი გვიან დაბრუნდა. ნასვამი იყო. დათო იწვა. მაგრამ არ ეძინა. გაიგონა როგორ გააღო უფროსმა ძმამ სამზარეულოში მაცივარი. მერმე ბოთლების ხმაურიც გაიგონა, ეტყობა, ბორჯომის წყალი დალია.

მირიანი ფრთხილად შემოვიდა ოთახში და ტანზე გაიხადა. დაწვა.

— მირიან.

დუმილი...

— ხმა ამოიღე, მე ხომ ვიცი, არ გძინავს.

— რა გინდა?

— გაგიგონია, ასეთი გვარი, ბონდარევი?

— ბევრჯერ.

— მე არ გეხუმრები, მირიან.

— არც მე ვარ ხუმრობის გუნებაზე.

— მაშ, მითხარი.

— არ გაინტერესებს, სად ვიყავი, ან ვისთან დავლიე?

მირიანი გულაღმა იწვა. გაშეშებული იწვა და თვალები ჭერისთვის მიეპყრო, თითქოს თვალებს არ ახამხამებდა, დათოს ისიც მოეჩვენა, უფროსი ძმა აღარ სუნთქავდა. საწოლზე წამოჯდა. დააკვირდა. ქუჩიდან შემოსულ მკრთალ შუქზე გაარჩია: მირიანს მარჯვენა ლოყა უცახცახებდა.

— დამანებე თავი, — თქვა მშვიდად მირიანმა. — ხომ უნდა მიხვდე, რომ არარაობა ხარ!

დათოს ეგონა, მირიანი ხმამაღლა ფიქრობდა და ამ სიტყვებით ვიღაცას სხვას მიმართავდა.

— მაგრამ შენ ამას ვერასოდეს მიხვდები...

— ვის ეუბნები?

— დამაცადე, გეტყვი.

— სხვა დროს მითხარი, ახლა...

— ნასვამი ვარ, არა? მთვრალი?.. შენ არ გინდა, ნამდვილად არ გინდა, დათო, რომ სიმართლე გითხრა, ყოველთვის ასე იყო: საკუთარი სიმართლე გქონდა, საკუთარი თარგი და ყველაფერს იმ თარგზე სჭრიდი; თუმცა ამას ყოველთვის შეუგნებლად, გაუცნობიერებლად აკეთებდი, შენ თვითონ ვერ გრძნობდი ისე... თუმცა, შეიძლება, ზოგჯერ გრძნობდი კიდეც...

— ეგ უსამართლობაა, მირიან.

— ეგრე იყოს... ხომ უნდა გაიგო ერთხელ, რას ფიქრობს შენზე შენი უფროსი ძმა — თუნდაც უსამართლოდ.

მირიანი გაჩუმდა. ისევ გაუნძრევლად იწვა, გაშეშებული, დიდრონი თვალები ჭერზე ჰქონდა მიბჯენილი. დათოს მართლაც არ უნდოდა არაფრის მოსმენა. განწყობილი იყო იმისათვის, რომ მირიანი გაეხარებინა, რაღაც მეტად სასიამოვნო ეთქვა, რატომ ხდება ასე, რატომ? თითქოს დასჯილია. სწორედ ისინი ჰკიცხავენ, ანდა ჰკიცხავს ის, ვისთვისაც გული შესტკივა. ჰკიცხავენ მაშინ, როცა მათთვისვე ზრუნავს, როცა ცდილობს რაღაც კარგი და სასარგებლო გაუკეთოს.

— შენ ზრუნავდი ჩემზე, ვიცი, წუხდი... — მირიანი თითქოს უმცროსი ძმის ფიქრებს კითხულობდა. — მაგრამ სინამდვილეში შენი თავისთვის ზრუნავდი და წუხდი. ჩემი გარეთ გასვლა და დაგვიანება გაღელვებდა, და გინდოდა სულ შინ ვჯმდარიყავი, რომ შენი სიმშვიდე არ შეგეშფოთებინა, დაწყნარებით რომ გეცხოვრა. ისედაც ბევრი გაღელვე და გაშფოთე. ჯერ ომში ვიყავი, მერმე დავიკარგე, მერმე მოვკვდი, მერმე ისევ აღვსდექი მკვდრეთით, მერმე... როგორც იქნა, დავბრუნდი... ხომ არ შეიძლება ერთმა კაცმა ამდენი წუხილი და მღელვარება განაცდევინოს მეორეს? ამიტომ გერჩია სულ შინ ვყოფილიყავი...

— მირიან?

— რა მირიან! ტყუილია?

— არა გრცხვენია, ბიჭო.

— ახლა კი ჩემმა ამგვარმა ყოფნამაც შეგაწუხა.

— თუ კიდევ მაგისთანა რამეს მეტყვი, აღარ მოგისმენ, ჩემს ლოგინს შუშაბანდში გავიტან.

— არ გსიამოვნებს სიმართლის თქმა... ჩვენ ხომ ძმები ვართ, რა გვაქვს ერთმანეთთან დასამალი?.. ჩვენ კიდევ ბევრი უნდა ვუთხრათ ერთმანეთს.

— დღეს გელა გეძებდა... გაზეთში წერილი მოვიდა...— დათო ხმამაღლა და სხაპასხუპით უყვებოდა იმას, რაც გელასაგან შეიტყო. ამით უნდოდა დაეხშო უფროსი ძმის ხმა და სიტყვები, სულს რომ უფორიაქებდა და ურყევდა. ამ ლაპარაკში მირიანის საწოლთან მისულიყო და უფროს ძმას თავზე დასდგომოდა. — თუ ის ქართველი შენა ხარ, მაშინ ჩვენ ყველანი შენით ვიამაყებთ.

— სამწუხაროდ, არა ვარ და ვერასოდეს იამაყებ ჩემით.

ოთახში ნამძინარევი დედა შემოვიდა. გაკვირვებული შესცქეროდა შვილებს.

— მირიან, თქვი, რომ შენა ხარ! — არ ეშვებოდა დათო.

— დამანებე თავი, რა გინდა ჩემგან, — მირიანი ლოგინზე წამოჯდა. — არა ვარ, არა! არა! არა!

მირიანი პირქვე დაემხო საწოლზე და ატირდა, თან რაღაცას ეუბნებოდა უმცროს ძმას, მაგრამ ნათქვამი დათოს არ ესმოდა, რადგან ბალიში თითქოს ნთქავდა ამ სიტყვებს. გული შეეკუმშა და დაეწურა. ამ გრძნობაში დათოსთვის მაინც იყო რაღაც სასიამოვნო. ალბათ ის, რომ ძველი დუმილის ყინული გატყდა და დაიძრა.

— მირიან... დათო... — დედამ დათოს ხელი მოჰკიდა და მირიანის საწოლს მოაშორა. — რა გემართებათ?! როდის იყო, თქვენ ჩხუბობდით?!

მირიანი მალე დაწყნარდა, კედლისკენ გადაბრუნდა და გაყუჩდა. დედამ აიძულა, დათოც დაწოლილიყო. შვილებს გაახსენა: არც ბავშვობაში, არც მერმე, არასოდეს არ გიჩხუბიათ და ახლა რა ღმერთი გიწყრებათო, ნუთუ ამისთვის გაგზარდეთ, რომ ერთმანეთი დაჭამოთო.

დათოს არ ასვენებდა ძმის მიერ წაყენებული ბრალდებები. მას ლაპარაკი უნდოდა. უნდოდა თავი ემართლებინა. ემართლებინა კი არა, უბრალოდ ეთქვა, რომ მირიანი ცდებოდა. ასეთივე ბრალდება მასაც შეუძლია წაუყენოს უფროს ძმას.

თითქმის განთიადამდე იწვალა ლოგინში, არ ეძინებოდა, ერთი ორჯერ დააპირა მირიანთან გამოლაპარაკება. ხელი ჩაიქნია, ახლა არ ღირსო... საშველი არ იყო — ვერაფრით იძინებდა...

დათო მსუბუქად შეხტა ფანჯარაზე. ფანჯარა ღია იყო და პირდაპირ ქუჩაში გავიდა. თვითონვე უკვირდა, ისე თავისუფლად დადიოდა ჰაერში. ნამდვილად სიზმარში ვარო, ფიქრობდა. აგურის კედელს მიადგა. ერთგან აგური იყო გამოვარდნილი და ხელი თავისუფლად შეეტეოდა. ეს უნდა ყოფილიყო ბეღურების ბუდე, რომელიც ზურიკომ აღმოაჩინა. დათომ ღრმად შეჰყო ბუდეში ხელი, მკლავი მთლიანად შეეტია, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიაწვდინა. არადა იცოდა, ბეღურები შიგ იყვნენ. რა უნდა ექნა, ცოტა გაიარ-გამოიგ-

რა და სახურავზე დადგა. სახურავიდან ქუჩას გადმოხედა. ქუ-ჩა ხალხით იყო გაჭედილი, ცივი და არაფრისმთქმელი თვა-ლებით უმზერდნენ დათოს, როგორ დადიოდა პარაპეტზე. და-თომ ამ ხალხის შეშინება მოინდომა. ტელეფონის მავთულზე შეფრინდა და ზედ დაიწყო სირბილი და სრიალი, თამ ამას ისე აკეთებდა, ვითომ საცაა ფეხი დამიცდება და დაბლა გადმოვ-ვარდებიო. ხალხი არ შეშინებულა, პირიქით, თითქოს უფრო მეტს მოელოდა დათოსგან, იმედებიც კი გაუცრუვდათ. და-თო ტელეფონის მავთულიდან ცას დაეკიდა კბილებით, რო-გორც აკრობატი ცირკის თაღს და თავბრუდამხვევი ტრიალი დაიწყო... გამწარებული ტრიალებდა, გასაოცარი სისწრაფით ტრიალებდა...

პლატონი და დათო ერთად გამოვიდნენ ბინიდან. დილის ათი საათი სრულდებოდა. ქუჩის კუთხეში ტაქსი დახვდათ. პლატონმა გაუფრთხილებლად გამოაღო მანქანის კარი და ჩაჯდა, მერე დათოს ანიშნა, შენც ჩაჯექიო. ეს ტაქსი, როგორც შემდეგ გაიგო, ყოველ დილას ათი საათისთვის მოდიოდა აქ და პლატონს ელოდა. წინასწარ ყოფილან მორიგებულები.

მირიანს დღეს უკვე აღარ უზრუნვია რძისა და პურის მო-სატანად. ადრიანად წავიდა. ეტყობა, გელას ნახვა და წერი-ლის წაკითხვა უნდოდა. დათოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ უც-ნობი ქართველი, რომელიც ბრესტში იბრძოდა, მირიანი იყო, მაგრამ რატომ ცდილობდა იგი ასე თავგამოდებით თავისი წარსულის დამალვას და უარყოფას? როგორც გელას ნათქ-ვამიდან ჩანდა, წარსული არ უნდა ჰქონოდა ლაჩრული და სამარცხვინო.

შეიძლება, არც წასულა გელასთან. რას გაიგებ მირიანი-სას?!

დათოს ახლა სხვა რამ უფრო აწუხებდა. მას არ ეგონა, თუ ასეთი ღვარძლიანი იქნებოდა მირიანი. თურმე დუმილით რამ-დენ ღვარძლსა და ბოღმას მალავდა. სხვანაირად არც შეიძ-ლებოდა. როდესაც კაცი ამდენ ხანს დუმს და კარჩაკეტილია, ალბათ, სულში დიდი ბოღმა უგუბდება ხოლმე.

ვითომ მართლა არ ზრუნავდა მირიანისთვის? რამდენადაც შეეძლო, ზრუნავდა. თვითონ მირიანი არ აძლევდა მეტის სა-

შუალებას, ყოველთვის გაურბოდა, არ იკარებდა, ხმას არ სცემდა, თითქოს დათო ყოფილიყო დამნაშავე, მირიანს ცხოვრებამ არ გაუმართლა.

მაინც სად წავიდა მირიანი?

მირიანის ქცევაში, უფრო ხშირად, გამოხედვაში, დაუჭერია ისეთი რამ, რითაც აქამდე უნდა ეგრძნო უფროსი ძმის დამოკიდებულება მისდამი, მაგრამ დათო ყოველთვის ჩქმალავდა ამ გრძნობას, უფრო სწორად, ყურადღებას არ აქცევდა და არ აღვივებდა. ფიქრობდა, მირიანი იმიტომ დუმს, რომ შეეჩვია დუმილს, იმიტომ გაურბის ყველას, რომ მარტოობას შეეჩვია და ამ ჩვევებიდან უჭირს თავის დაღწევა.

მაინც სად წავიდა მირიანი?

თუ მართლა გელასთან წავიდა, მაშინ... მაშინ, ცხადია, წარსულის ტკივილი დაუძლევია. მთელი ღამე იწვალა და, ბოლოს და ბოლოს, ალბათ, დასძლია, ვეღარ გაუძლო მარტოობასა და დუმილს. საინტერესოა, შეიცვლის თუ არა აზრს დათოზე? უსათუოდ მიხვდება, რომ ცდებოდა და მწარედ ინანებს...

ტაქსი ვერცხლის ქუჩაზე, სარდაფის წინ გაჩერდა. პლატონი და დათო მანქანიდან გადმოვიდნენ. სარდაფიდან ნესტის, ტყავისა და საღებავების სუნი ოხშივარივით ამოდიოდა.

თითქმის მთელი საათი იჯდა დათო პლატონის კაბინეტში უსაქმოდ. იჯდა და თვითონაც არ იცოდა, რას ელოდა. პლატონი არაფერს ეუბნებოდა და არც თვითონ ეკითხებოდა რასმე.

დღეს აუცილებლად უნდა ნახოს ციცინო. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც არ შეხვედრია და უკვე სხვანაირად იფიქრებს გოგო... უცნაური კი იყო, წინათ, რაც უფრო ხშირად ხვდებოდა, უფრო მეტად უნდოდა მასთან შეხვედრა და ყოფნა. ახლა ციცინოზე ფიქრსაც კი გაურბოდა. და თუ ერთხელ ნახვა დააპირა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხანი არ ჰყავდა ნანახი.

დღის ბოლოს გელას გაუვლიდა. თან მირიანის ამბავს გაიგებდა, თანაც ციცინოს დაურეკავდა.

პლატონის კაბინეტში ყოფნისას რამდენჯერმე შემოვიდა გოგონა, რომელსაც ცოცხალი, შავი თვალები ჰქონდა, უცნაურად მეტყველი თვალები. გოგონას რაღაც ქაღალდები შე-

მოჰქონდა. პლატონი ქაღალდებს არ კითხულობდა, ისევე ალაგებდა მაგიდის კუთხეში.

გოგონამ, შეიძლება იმიტომ, რომ ბევრჯერ მოუხდა შემოსვლა და უცხო ადამიანის ერიდებოდა, დათოს მორცხვად გაუღიმა და გავიდა.

დათო დაიღალა ლოდინით.

გოგონა... ხავერდის წითელი კაბა და ადგილობრივი წარმოების მწვანე ჟაკეტი... წვრილ, გამხმარ ფეხებზე ბავშვის წინდები აცვია. გოგონა კი იქნება თვრამეტი წლის, ან ჩვიდმეტის. ძალიან ფერმკრთალი სახე აქვს...

პლატონის საწერი მაგიდა კაკლის ხისაა, შუაში უზარმაზარი მარმარილოს სამელნე ასვენია, ბრინჯაოს ირმის რქებიანი. სამელნის გვერდით თიხის ჭიქა დგას, ჭიქაში სხვადასხვა ფერის ფანქრები აწყვია. მაგიდის კარადებს შორის ვეებერთელა ფეხები ისე ყრია, თითქოს პლატონისა არ არის...

ფანჯრიდან ტროტუარის ნაწილი მოჩანს, ქუჩაში ვინმე რომ გაივლის, ოთახს ჩრდილი გადაურბენს. რადგანაც ქუჩაში ბევრი გამვლელია, კედლებზე სულ ჩრდილები დაბორიალობენ.

ვენური სკამები...

ოთახში კორინთელი შემოვიდა.

პლატონი წამოდგა. დათომაც უნებურად წამოდგომა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ოო... ნიკო... — თქვა პლატონმა და გაიღიმა. მერმე ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— როგორა ხარ, ბებერო? — ახლადშემოსულმა პლატონს ხელი ჩამოართვა, მერმე დათოს მიუბრუნდა, ვითომ ახლადა შენიშნა, დააკვირდა — თქვენი სახე საიდანღაც მეცნობა.

— მეც. ოღონდ მე კარგად მახსოვს, საიდან მეცნობა თქვენი სახე.

— ეგ არის, რა... — თქვა პლატონმა.

— აჰა! — გაიხსენა კორინთელმა და დათოსაც ჩამოართვა ხელი.

დათოს მანამდე არასოდეს უფიქრია, რომ აქ შესაძლებელი იყო, კორინთელს შეხვედროდა. ეს რომ ეფიქრა, ალბათ არც დათანხმდებოდა პლატონს მუშაობაზე. დათო მიხვდა და გაბრაზდა, მთელი საათი ამ კაცს ელოდნენ.

ისევ შემოვიდა წითელკაბიანი გოგონა და ჭაღალდები შემოიტანა. გასვლისას კვლავ გაუღიმა გულუბრყვილო, დიდრონი თვალებით.

— ბებერო, თუ ღმერთი გწამს, ამ ხალხის წრიალს მოუხერხე რამე.

პლატონი სახეგაბადრული შესცინებდა ნიკოს. ხოლო, როცა ნიკომ ეს უთხრა, სახე დაეძაბა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერ გაიგო რას ეუბნებოდა. ნიკომ ხელი ჩაიქნია, ვითომ არაფერი გეშველებაო და უსიტყვოდ ანიშნა ის, რაც წელან სიტყვით უთხრა. პლატონი გავიდა და მალევე შემობრუნდა უკან.

ნუთუ თავის მეგობარსაც ატყუებდა, რომ ყრუ იყო? ნამდვილად ატყუებდა, მეგობარი ათასგვარ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეუბნებოდა იმ იმედით, რომ პლატონს არ ესმოდა, ხოლო პლატონი ყველაფერს ამას უდრტვინველად იტანდა, არა მარტო იტანდა, ქლესურად შეჰღიმოდა სახეში. რისთვის დაიყრუა და დაიმუნჯა ამ კაცმა თავი? იქნებ მართლა ყრუ იყო და დათომ არ იცოდა?

უკვე აღარ შეეძლო აქ ყოფნა, მაგრამ ერთი რამ აჩერებდა, უნდოდა გაეგო, ამდენი ხანი რა საქმისთვის ელოდებოდნენ კორინთელს.

— ჩვენ უნდა შევრიგდეთ, დავით. — ეს იყო პირველი კაცი, რომელმაც ჩვეულებრივ საუბარში დათოს დავითი უწოდა.

— მე მგონი, ჩვენ არ ვყოფილვართ დამდურებულები.

— ნურც თავს მოვიტყუებთ და ერთმანეთის მოტყუებასაც ნუ შევეცდებით. ჩვენ უკვე ბავშვები აღარა ვართ.

„აქ მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება... მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება... ბავშვის ქუდები იყიდება...“

— ჩემი ბიჭები ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ იმ ღამით მშენებლობაზე თქვენ იქნებოდით, თორემ სხვანაირად მოიქცეოდნენ... ვერც მე წარმოვიდგენდი... სამწუხარო ამბავი მოხდა და მე ძლიერ ვნანობ. შეიძლებოდა ამ საქმეს უფრო კეთილი ბოლო ჰქონოდა. მაგრამ რაც იყო, იყო! ახლა ჩვენ სხვა უფრო დიდ საქმეს ვიწყებთ და ერთმანეთის მეგობრობა და მხარდაჭერა გვმართებს.

დათო უხმოდ უსმენდა. იმდენად ღრმად იყო დარწმუნებული, იმღამინდელ ქურდობასა და ცემა-ტყეპაში შავი ნიკოს ხელი ერია, რომ ეს გულახდილობა არც გაჰკვირვებია.

— თქვენ საქმე უნდა გააკეთოთ. მე, რაც საჭირო იქნება, დაგეხმარებით.

— არავითარ დახმარებას არ მივიღებ თქვენგან. —უპასუხა დათომ.

— ერთხელ უკვე მიიღეთ...

დათოს ეგონა, კორინთელი იმ ღამეს გულისხმობდა, მშენებლობაზე ნიჩბებით რომ გალახეს და გაბრაზდა. ასეთ თავხედურ დაცინვას აღარ მოელოდა.

— თქვენგან დიდად ვართ დავალებულები მეც და ჩემი ძმაც.

— თქვენი ძმისა რა მოგახსენოთ, თქვენ კი ხართ. ამ ცხრა თუ ათი თვის წინ მე მოგაწყეთ მშენებლობაზე სამუშაოდ. ამ გადაყრუებულისთვის არასოდეს გიკითხავთ? — კორინთელი მერმე პლატონს მიუბრუნდა, — პლატონ, შე იდიოტო, ამ კაცისთვის არაფერი გითქვამს?!

პლატონი ილიმებოდა. ოთახში დადიოდა, ხელებს იფშვნეტდა და ილიმებოდა. ვითომ არაფერი ესმოდა, ვითომ საქმე უკვე ისე აეწყო, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. არადა, დათო გრძნობდა, რომ ჩიხში იყო მომწყვდეული და გასაქცევ გზას ვეღარ პოულობდა...

— ახლა წავიდეთ.

— სად?

— ცოტა უკეთესი ადგილი ვიცი მოსალაპარაკებლად.

დათოს შინაგანად წინააღმდეგობის გაწევა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მორჩილად წამოდგა, უცხო ნებას დაჰყვა.

გასასვლელთან თავდახრილი იდგა წითელკაბიანი ქალიშვილი.

უხმოდ აიარეს კიბე.

დათო ვიდრე ქუჩაში ავიდოდა, სარდაფს ჩახედა. გოგონა მობრუნებულიყო და გულუბრყვილო აღტაცებული მზერით აცილებდა დათოს. ალბათ არ ეგონა, დათო თუ მოხედავდა, დარცხვენილი მაშინვე გაუჩინარდა სარდაფის სიბნელეში...

ფანჯრიდან მოჩანდა მტკვარი და მტკვრის გაღმა ნაპირი, ფერდობზე შეფენილი ქალაქის ძველი უბანი. ერთმანეთზე მიწყობილი, დაბრეცილაივნიანი, კრამიტით დახურული სახლები. მათ შორის, როგორც დედოფალი, იდგა გოდოლისებური შენობა, რომელსაც ქამარივით ჰქონდა შემორტყმული ხის ლურჯი აივანი.

მდინარის მიმართულებას აქ ვერ გაიგებდი. წყალი ყოველი მხრით მოძრაობდა, ბდღვინავდა, ფუთფუთებდა, უზარმაზარი ქვაბივით დუღდა, ძაბრულებს აჩენდა. დინება სწრაფად და მზაკვრულად იცვლიდა გეზს, აგურის კედელს ეხეთქებოდა და უკან დაბრუნებული უფრო მოულოდნელი მიმართულებით მიდიოდა. მომწვანო ფერი დაჰკრავდა მორევს, ცივსა და ღრმას.

პატარა და ნათელ ოთახში მხოლოდ ერთი მაგიდა და ოთხი სკამი იდგა. ორმა ოფიციანტმა თვალის დახამხამებაში გააწყო სუფრა. მარდად და რბილად მოქმედებდნენ, თითქოს რეზინისაგან იყვნენ დამზადებულები.

ოთახში დარბაზიდან მოქეიფეთა ღრიანცელი შემოდიოდა. ხალხი დილიდანვე შესდგომოდა საქმეს.

დათო მოთმინებით ელოდა, როდის დაიწყებოდა საქმიანი საუბარი. ნელ-ნელა შეჰყვნენ სმას. მაგიდაზე უხვად ელაგა საუზმე: წითელი ხიზილალა და ცივად მოხარშული ზუთხი, თუშური ყველი და ხასხასა მწვანილი... მაგრამ დათო საჭმელს არ გაჰკარებია, არ შიოდა. კორინთელმა თავისი ხელით გადაუღო თევზი და ნაშარაბიც მიაწოდა.

ჩაის ჭიქები იცლებოდა და ისევ ივსებოდა ტიბაანით. საუზმეს ჯერ საქონლის სუკი მოაყოლეს, მერმე — შემწვარი ყინწილები.

პლატონი მყუდროდ იჯდა და თავის წილს უხმოდ შეექცეოდა. საუბარსა და სადღეგრძელოში გამოირკვა, თურმე შესაძლებელი იყო სარდაფის სიღრმეში ახალი საამქრო გამოთხრილიყო. ოღონდ ეს საამქრო სარდაფის გეგმაში არ ფიქსდა შეეტანათ.

წუხანდელი უძილობისა და მღელვარების შემდეგ დათოს ადვილად მოეკიდა ღვინო. გაყუჩებული იჯდა და ნათლად არ ესმოდა, რისთვის სჭირდებოდათ პლატონსა და მის მეგობარს უგეგმო საამქრო...

სარდაფის გასასვლელთან თავდახრილი იდგა წითელკაბიანი გოგონა. გოგონა ფერმკრთალი იყო და ჰქონდა შავი, მეტყველი თვალები... დათომ ვეღარ გაიგონა ჭაღარა მამაკაცის ნათქვამი, რადგან ბუბამ მოიხედა და დათოს მზერას წააწყდა. ბუბამ გაიღიმა, დათოს თვალი აარიდა. დათო კბილით დაეკიდა ცას, დატრიალდა. მირიანი კართან იდგა. მერმე პერანგი აიწია, ძველი პირმოკუმული ნაჭრილობევი გამოაჩინა.

— მე ყველაფერზე თანახმა ვარ,— თქვა დათომ, — ოღონდ...

კორინთელმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— ოღონდ, რა?

— მომიყევით, რატომ დაარტყით დანა მირიანს.

კორინთელი მოიღუშა.

— რა საჭიროა ცუდი წარსულის გახსენება?!

— თუ არ მომიყვებით, მე არ ვიმუშავებ თქვენთან.

იმის გამო, რომ ზედამხედველს გაარტყა, შავი ნიკო ორი კვირით „ბურში" გადაიყვანეს. ვიდრე „ბურიდან" დაბრუნდებოდა, მირიანი იმავე ბარაკში შეუსახლებიათ. ბარაკში ასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. ყველაზე კარგი ადგილი შავ ნიკოს ჰქონდა დაკავებული, ფანჯარასთან. მირიანი ბარაკის ბინადრებს გაუფრთხილებიათ, რომ ეს ადგილი ეკუთვნოდა ამა და ამ კაცს, მაგრამ მირიანს ნათქვამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. როცა შავი ნიკო დაბრუნდა, დიდად გააოცა ახალმოსულის თავხედობამ. თუ არა თავისი ჯანით დაიმედებული არიფი, მისი საწოლის დაკავებას ვინ გაბედავდა?! თუმცა ახალმოსული თხელი ბიჭი ჩანდა და არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ღონიერი. ეს ყველაფერი სხვათა შორის ითქვა, შავი ნიკოსთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ დაიკავა მისი ყოფილი საწოლი, ღონიერმა თუ უღონომ. იგი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა მირიანს. მთელი ბარაკი გაისუსა, დაიძაბა. ყველა დარწმუნებული იყო, საშინელი ამბავი დატრიალდებოდა. შავი ნიკოს ბიჭებმა ნარები დატოვეს და ისინიც მირიანისკენ წავიდნენ. ამ დროს მირიანს ეძინა. ვერავინ გა-

ზედა გაღვიძება. მძინარე კაცს თავზე დაადგა ოთხი კაცი. ბიჭებმა გაღვიძება დაუპირეს, მაგრამ შავმა ნიკომ ბიჭებს უბრძანა გაუფრთხილებლად გადმოეთრიათ ძირს. ასეც მოიქცნენ, წააგლეს ფეხებში ხელი და ძირს გადმოათრიეს. აქ მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: გამოღვიძებული მირიანი, ეტყობა, იმწუთსვე გაერკვა საქმის ვითარებაში და... სამი მოწინააღმდეგე იატაკზე აღმოჩნდა გაშხლართული. სამივე უგონოდ ეყარა. „რა გინდა", მიუბრუნდა მირიანი შავ ნიკოს. „არაფერი... შემთხვევით ჩემს ადგილზე დაწოლილხარ". „რატომ შემთხვევით? საცა მითხრეს, იქ დავწექი". „ისიც გითხრეს, რომ ეს ჩემი ადგილია". „ეგეც მითხრეს". შავი ნიკო ასე რომ არ მოქცეულიყო, მირიანი გაბრაზდა, მოჰკიდა მეტოქეს ხელი და დაბლა გადმოაგდო. მერმე უკვე შავ ნიკოს აღარ ახსოვს, რა მოხდა, მეტი არაფერი უთქვამს, გადმოუყარა მირიანს ბარგი და ნარზე თვითონ დაწვა. ალბათ, უფრო მშვიდობიანად წარიმართებოდა საქმე, შავ ნიკოს რომ არ ამოეღო დანა. მირიანი დაბარბაცდა, ფერდში წაივლო ხელები და ჩაიკეცა. ამასობაში მირიანის გალახული ბიჭებიც მოვიდნენ გონს და ჩაჩოქილ მირიანს წიხლებით დაუწყეს ცემა... შავი ნიკო ისევ „ბურში" გაგზავნეს, დაჭრილი მირიანი კი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში... თითქმის ორი თვის შემდეგ დაბრუნდა შავი ნიკო ბარაკში. გაოცებისაგან მუხლები მოეკვეთა მირიანი ისევ მის საწოლზე იწვა. ამჯერად დანა აღარ ჰქონდა და მირიანთან მისვლა ვერ გაბედა.

გელამ მეტად სასიამოვნო ამბავი უთხრა დათოს. ეს უცნობი ქართველი, რა თქმა უნდა, მირიანი აღმოჩნდა.

მირიანი რედაქტორთან შეუყვანია და გაუცვნია. რედაქტორს უთხოვია საპასუხო წერილის დაწერა. იქვე ფოტოკორესპენდენტს მირიანისთვის გადაუღია სურათი გაზეთში მოსათავსებლად.

ერთი სიტყვით, მირიანის საქმე წაღმა შეტრიალებულა. გახარებული დამშვიდობებია რედაქტორსა და გელას და წასულა.

— რამ მოგიყვანა ასე მთვრალი? — ჰკითხა გელამ, ამბის მოყოლა რომ დაასრულა.

— რომ იცოდე, ვისთან დავლიე, გაგიქდები.
— აბა, ჭკუას დავკარგავ!
— რომ დამიჩოქო, მაინც არ გეტყვი... შეიძლება დავრეკო?
— დარეკე, ბატონო, ვინ გიშლის?!
დათომ ტელეფონის ნომრები აკრიფა.
— ალო, თუ შეიძლება, ციცინოს თხოვეთ.
„ციცინო ვარ“.
— გამარჯობა, ციცინო!
„გამარჯობა, რომელი ხარ?“
— მე ვარ, დათო.
„რა სხვანაირი ხმა გაქვს, ვერ გიცანი“.
— ციცინო, ძალიან მინდა შენი ნახვა.
„ახლა ვერ გამოვალ, დათო“.
— რატომ?
„არ ვიცი, არ შემიძლია“.
— თუ გინდა, მე მოვალ?
დუმილი.
— იცი რა, ამასწინათ ვიყავი შენთან და სახლში არ დამხვდი.
„ვიცი, მითხრეს“.
— სად იყავი?
„სად? არც კი მახსოვს“.
— გამოდი, რა, გეხვეწები.
„არა მცალია, გინდაც მეცალოს, მაინც ვერ გამოვალ, წვიმს“.
— წვიმს?
„თუ არა გჯერა, ფანჯარაში გაიხედე“.
— ვერა ხედავ, წვიმს. — თქვა გელამ.
— ციცინო... ციცინო... რაღაც მინდოდა მეთქვა და დამავიწყდა.
„მთვრალი ხარ?“
— არა, ცოტა დავლიე.
„მაპატიე, დათო...“
— ციცინო... ციცინო...
„რა გინდა?“
— მარტო ვარ... სულ მარტო... მარტო...

— კარგი, ახლა, ნუ აჯტირებ მაგ გოგოს. — თქვა გელამ.
— ციცინო, გესმის?
„კი“.
— ლამის ცას კბილით დავეკიდო...
„დათო, წადი, დაიძინე. გეტყობა დაღლილი ხარ“.
— უშენოდ მიჭირს, ციცინო... მისმენ?
„გისმენ“.
— უშენოდ ბევრი სისულელე ჩავიდინე.
„დამიჯერე, დათო, სახლში წადი“.
— შინ წასვლა არ მინდა...
„საიდან მელაპარაკები?“
— გელასთან ვარ, რედაქციაში.
„გელას ჩემ მაგივრად თხოვე, სახლში წაგიყვანოს“.
— არა, მე ყველაფერი კარგად მესმის... მესმის...
„რა გესმის?“
— შენ ნაწყენი ხარ, აქამდე რომ არ დაგირეკე და არ შეგ-ხვდი.
დუმილი.
— ყველა მე მემდურის, ყველა ჩემზეა ნაწყენი!
დუმილი.
— ყველას მე უნდა გავუგო! ვალდებული ვარ ყველასი მესმოდეს!
დუმილი.
— ციცინო... რამდენი ხანია არ შევხვედრივართ ერთმა-ნეთს?
„არ მახსოვს“.
— რა ტყუილად ვლაყბობ... მოგენატრე?
„ახლა მაგის დრო არ არის“.
— საშინლად ცივი ხმა გაქვს, ციცინო. რატომ გაქვს ასე-თი ცივი ხმა?
— „არ ვიცი... ალბათ გეჩვენება“.
— გინდა გითხრა, რა სისულელე ჩავიდინე?
„სხვა დროს მითხარი“.
— არა, ახლა გეტყვი. დღეს კორინთელთან ერთად ვიქეი-ფე.
— ვისთან?! — იღრიალა გელამ.
— ციცინო, გელა გაგიჟდა. გაიგონე ღრიალი?

„გავიგონე“.

— მართლა იმასთან ოქეიფე? — ვერ ისვენებდა გელა.

— ღმერთო, რა მეშველება... ციცინო, ძალიან მთვრალი ვარ, არა?

„ძალიან“.

— ვცდილობ, სულ ვცდილობ და მაინც ვერ გამოვდივარ... ვერ გამოვდივარ.

„საიდან?“

— სიბნელიდან.

„საიდან?!“

— სიბნელიდან.

„საიდან?!“

— იცი რა, ციცინო, ტვინი მაქვს დაბნელებული. მე არ მეგონა, თუ სიბნელე ასე მტკივნეული იქნებოდა. ეს უფრო მტკივნეულია, ვიდრე ის, უცებ რომ იგრძნობ, თურმე მთელ ქვეყანაზე მარტო ხარ დარჩენილი. რაღაცნაირად დავიბენი, არც ჩემი თავისა მჯერა და არც სხვისი. გესმის, როგორ ვწუწუნებ?

— რამ გამოგაშტერა, ბიჭო, ახლავე დაკიდე მილი! — შეუტია გელამ მეგობარს. — რა დალიე ასეთი?!

— ციცინო, გელა მეჩხუბება რამ გამოგაშტერაო... არც შენ, არც გელამ, არც სხვებმა... არავინ არ იცის, რა დღეში ვარ... იცი, მირიანმა რა მიქნა, რა დღე დამაყარა?.. ალბათ შეწყ მართალი იყავი, გახსოვს, ერთხელ რომ მითხარი... თუმცა ახლა არ ღირს მაგაზე ლაპარაკი. სხვა დროს გეტყვი, როცა შეხვდებით... როგორ მინდოდა შენი წახვა.

— დაანებე ახლა მაგ გოგოს თავი.

— ნახვამდის, ციცინო... გელა აღარ მაძლევს ლაპარაკის საშუალებას.

„ნახვამდის“.

დათომ ყურმილი დაჰკიდა.

— არა გრცხვენია, რიეგს ეუბნებოდი ციციწოს?!

— დამანებეთ თავი!.. თვითონ როგორ მელაპარაკებოდა? თითქოს უცხო ვყოფილიყავი! არა, დღეს უნდა გამოსულიყო, უსათუოდ უნდა გამოსულიყო... მერმე რა, რომ წვიმს და უკვე დაბნელდა. წვიმაშიც გამოსულა და ქარშიც, თოვლშიც... უფრო გვიანაც გამოსულა... მაგრამ დღეს არ მოინდომა. განა

ხმაზე ვერ შევატყვე, რომ ნაწყენია? რატომ არ მითხრა, ნაწყენი ვარო, რატომ? ვერ მივედი, ვერ მივაკითხე, ვერ დავურეკე... თვითონ რატომ არ მოვიდა? რატომ ყველა მე მადანაშაულებს, რა დავაშავე ასეთი?!

— კარგი, დამშვიდდი... — გელამ პლაშჩი მოუტანა დათოს. — ჩაიცვი და წავიდეთ, რედაქციაში ჩვენს მეტი არავინაა.

— წავიდეთ. — დათომ პლაშჩში ხელები გაუყარა. — კიდევ წვიმს?

— საზიზღრად.

დათოს შინ მისვლა არ უნდოდა. მაგრამ ასეთ ამინდში ვარეთ ხეტიალი და ბოდიალი წარმოუდგენელი იყო.

მართლაც საზიზღრად წვიმდა. ასეთი წვიმა თბილისში მხოლოდ შემოდგომაზე იცის. გაუთავებლად, ჯიუტად წყიმს და არავითარი იმედი არა გაქვს, რომ გადაიკარებს.

შენობის ვერანდას შეფარებულები მოედანს გასცქეროდნენ. მანქანის ფარების შუქზე ხშირი და ირიბი წვიმის ფრთა გაიელვებდა ხოლმე. ვერანდის ქვეშ უამრავი ხალხი იდგა. ყველანი შეთანხმებულებივით მოწყენილნი გაჰყურებდნენ მოედანს. ავტობუსი გაჩერდებოდა თუ არა, ხალხი აჩოჩქოლდებოდა. თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ ავტობუსისკენ.

— გელა, შენ იცი, რისთვის ცხოვრობ ან არსებობ?

— ასეთ წვიმაში შეიძლება მაგის კითხვა?

— სერიოზულად გეკითხები, გელა.

— მე მგონია, ვიცი.

— მეც ეგრე მეგონა. მაინც რა გგონია, რისთვის ცხოვრობ?

— ახლავე გაგცე პასუხი?

— ახლავე.

— ახლა რა აზრი აქვს თქმას?! სხვა დროს ვილაპარაკოთ.

— სხვა დროს... სხვა დროს... აღარ დაილია ეს სხვა დრო.

— მე ვიცი, რაც გაწუხებს, დათო... მართალი გითხრა, უფრო სხვანაირი მეგონე. პირველივე მარცხმა როგორ კაკანუკა, ბიჭო? კაცი არა ხარ, რა მოგივიდა?! მაგისთანას შეხვდები ცხოვრებაში?

— შენ გგონია, მარცხი მომივიდა? არავითარი!.. მე ეგეთი მარცხის არ მეშინია... დღეს დავკარგე სამუშაო, ხვალ ვიშო-

ვი... ბოლოს და ბოლოს თბილისიდან წავალ, ქვეყანა დიდია. სამუშაოს ყველგან ვიშოვი... ბოლოს და ბოლოს, ჩემ სიმართლეს გავიტან, დავამტკიცებ... მე სხვა რამ მაშინებს. მე მეშინია შენი...

— ჩემი?

— დამაცადე! მე მეშინია შენი, მე მეშინია მირიანის, თეონასი, პლატონის, ნოდარის, ჯიმშერის... ყველა მახლობელი ადამიანის მეშინია... ყური დამიგდე, შენ არ იფიქრო ღვინო მალაპარაკებდეს... ყველანი ერთმანეთს ვატყუებთ, საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც... დღეს რა გაგიხარდა? ის, რომ მირიანს საშველი დაადგა? ის, რომ კაცმა თავი დააღწია ვარტოდ?ას, აპათიას, კარჩაკეტილობას?

— რასაკვირველია!

— თუ ის, რომ წერილის გამოქვეყნებამდე სწორედ შენ მიაგენი მირიანს და უფროსების ქება დაიმსახურე?

— რა თქმა უნდა, ეგეც იყო.

— ჯერ ეს იყო და მერმე ის! ხომ მართალია, გელა?

— მაგაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— წავედი. შენც უნდა გეშინოდეს ჩემი, მეც ეგეთი ვარ.

— ამ თავსხმაში სად წახვალ?!

— დიდი-დიდი, დავსველდე.

— მანქანა დავიჭიროთ. მოიცა, გაგაცილებ.

— ნახვამდის, შეიძლება ამ დღეებში გამოგიარო. მოგიყვები, როგორ შევხვდი კორინთელს.

— ხუმრობ, თუ მართალს ამბობ?

— შენ როგორ გგონია, ვხუმრობ?

— მოიცადე, წვიმს.

— მერმე ცუდია, რომ წვიმს?! — დათომ პლაშჩის საყელო აიწია და წვიმაში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი წავიდა. ქუჩა გადასჭრა და საბურთალოდან მომავალ ავტობუსს დაელოდა. ვიდრე ავტობუსი მოვიდოდა, მაგრად დასველდა.

ავტობუსი რუსთაველის პროსპექტზე გაჩერდა, მინერალური წყლების მაღაზიასთან...

დათომ ერთი ჭიქა ბორჯომი დალია და ისევ ქუჩაში გამოვიდა. პროსპექტი დაცლილი იყო. წვიმდა. დათოს არ უნ-

დოდა შინ მისვლა, შინაურთაგან არავის დანახვა არ შეეძლო, განსაკუთრებით პლატონის. მის ბუნჩულა და კეთილად მოღიმარ სახეს ველარ იტანდა. აი, კაცი, რომელიც მთელ ქვეყანას ატყუებს!

საკონდიტროს ვიტრინა გაჩახჩახებული იყო. ვიტრინაში უხვად ელაგა ათასგვარი ტკბილეული, ნამცხვარი. „შოკოლადს ვიყიდი და ზურიკოს ავუტან. შინ მისვლა მაინც არ მინდა და ცოტათი გულს გადავაყოლებ. რომელი საათია? ჯერ გვიან არ ყოფილა, ზურიკოს არ ეძინება“.

ჭიშკარში შევიდა. გვირაბი გაიარა. „ასე გაწუწული როგორ ვესტუმრო?“ — შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სველი თმა შეიმშრალა.

ეზოში ბნელოდა. აივანზე არავინ ჩანდა.

ხრახნილ კიბეს აჰყვა. ტრიალ-ტრიალით ასვლამ თავბრუ დაახვია. მეორე სართულის აივანზე გაჩერდა, თვალები დახუჭა და ჰაერი რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა. მერვე აივანი გაიარა, ნაცნობ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოესმა კარს იქიდან ნორას ხმა.

— დათო ვარ. — თითქმის ჩურჩულით უპასუხა. — ზურიკოს ხომ არ სძინავს?

კარი გაიღო. ოთახის სითბო და ნორას ღიმილი ერთდროულად შეეფრქვია სახეში.

— როგორ დასველებულხართ?! შემოდით...

დათომ კარის წინ დაგდებულ ჩვარზე ფეხები გაიწმინდა და ოთახში შევიდა. შესვლისთანავე შეამჩნია კედლიდან კედლამდე გაბმული კანაფი. ოთახი ნაცრისფერი ფარდით არ იყო გადატიხრული და საკმაო დიდი ჩანდა, ნორას კედლის ერთ მხარეს მიეკეცა ფარდა.

— ზურიკო სად არის?

— ზურიკო და ბებიამისი სოფელში გავგზავნე. ავადმყოფობამ, ცოტა არ იყოს, დაასუსტა და ჰაერს გამოიცვლის. ხომ იცით, სოფელი მაინც სოფელია, მით უმეტეს, ახლა ბევრი ხილია. — ნორა ისე ეუბნებოდა ამას, თითქოს ბოდიშს უხდიდა, რომ ზურიკო შინ ვერ დაახვედრა.

დათოს გული დაწყდა და თავი სინანულით გააქნია.

— როდის წავიდა?

— დღეს დილით.

დათომ ჯიბიდან საბავშვო შოკოლადის ორი ფილა ამოიღო და ნორას გაუწოდა.

— ზურიკოს შეუნახეთ... ავადმყოფი ხელცარიელმა ვინახულე და ვიფიქრე, ახლა მაინც გამოვისყიდი-მეთქი დანაშაულს.

— რატომ წუხდებოდით.

— რა შეწუხებაა?!

— დაჯექით, რა ფეხზე დგახართ!

— არა, წავალ.

— განა ასე მაგრად წვიმს?

— კი, საშინლად.

— პლაშჩი გაიხადეთ... ჩაის დაგალევინებთ... შეცივებული იქნებით და ცხელი ჩაი მოგიხდებათ.

— ნუ წუხდებით, ნორა.

— პირიქით... თქვენ არ იცით, როგორ ჩაის ვამზადებ. გაიხადეთ.

— კარგი. ჩაი მართლა დიდი ხანია არ დამილევია. — დათომ პლაშჩი გაიხადა და იქვე მდგარ საკიდზე ჩამოკიდა.

ოთახში მაგიდისა და სკამების გარდა ორი ტახტი და ერთი საწოლი იდგა. საწოლზე, ალბათ, ნორა იძინებდა, ტახტებზე — ზურიკო და დედაბერი.

ნორამ ელექტროქურაზე ჩაიდანი შემოდგა და მაგიდის გაწყობას შეუდგა. კედელში დატანებულ კარადიდან გამოალაგა ჩაის ჭიქები, თეფშები, კოვზები, საშაქრე... მერმე გადმოიღო შინდამზადებული ტკბილი ნამცხვარი...

— ასეთ ღარიბულ სუფრაზე არც ღირდა თქვენი დაპატიჟება.

— მთავარია ცხელი ჩაი! — დათო უკვე მოშინაურდა.

— ჩაის იმდენს მოგართმევთ, რამდენსაც ინებებთ.

ნორა ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა და ასევე უშუალოდ მოქმედებდა — შლიდა სუფრას. კოხტა ქალი იყო, პირმრგვალი, ეშხიანი. ღიმილი თვალებს უვიწროებდა და უფრო ეშხიანს ხდიდა, ალბათ ეს თვითონაც შენიშნული ჰქონდა, სულ იღიმებოდა.

ყველაზე ბოლოს ნორამ კონიაკი მოიტანა.

— მაგას ვერ დავლევ... დღეს მეყოფა, — თქვა დათომ.
— მეც შეგატყვეთ, ცოტა ნასვამი ხართ.
— ჩაი, მხოლოდ ჩაი!
ნორამ კონიაკით შეუვსო ჭიქა და თვითონაც დაისხა.
ჯერ ზურიკო ადღეგრძელეს, მერმე — ერთმანეთი. ამასობაში ჩაიც ადუღდა. ნორამ დათოს წინ დაუდგა სურნელოვანი, მაგარი ჩაი.
— ღმერთო, სულ აღარ ვუფრთხილდები ხმას, — თქვა ნორამ. — ჩემთვის სმა არ შეიძლება... სულ აღარ ვუფრთხილდები.
— ნუ დალევთ.
ნორა წამოდგა და სიგარეტი მოიტანა.
— თქვენ, მგონი, პაპიროსს არ ეწევით?
— არა.
— რა ბედნიერებაა. — ნორამ კიდევ გამოსცალა ჭიქა და სიგარეტს მოუკიდა.
დათომ ნახევრად მოწრუპა კონიაკი და ჩაი დააყოლა.
— გენიალურია.
— მართლა კარგია?
— საოცარია, რატომ ვსვამთ ღვინოს ან კონიაკს, როდესაც ქვეყანაზე არსებობს ჩაი.
ნორა ხარბად ქაჩავდა სიგარეტს. მის თვალებში თამბაქოს ბოლივით გაწვა ნაღველი. თავი დახარა, დაფიქრებული დასცქეროდა მაგიდას.
დათო კმაყოფილი იყო ოთახის სითბოთი, კონიაკის ცეცხლით, ცხელი ჩაით. ნორასთან საუბრით... ქვეყანაზე არაფერი არ აწუხებდა, არავინ ახსოვდა. ნეტარებით სვამდა ჩაის. ოღონდ ნორას თვალებში გაწოლილმა თამბაქოს ბოლმა დათოც სევდიან გუნებაზე დააყენა. მაგრამ ეს არ უნდა იყოს საკუთარი სევდა, წუხილის ან ტკივილისმიერი. მსუბუქი ნაღველი გადმოედო ნორასაგან და სასმელივით აბრუებდა და ათრობდა.
— თუ გიყვართ ძველებური რუსული რომანსები? — ჰკითხა ნორამ.
— ძალიან.
— მღერით?
—ცოტას.

— ხომ არ ვიმღეროთ? — ნორამ პასუხს აღარ დაუცადა, წამოდგა და წავიდა. კედელთან მიკრეფილი ნაცრისფერი ფარდა გადასწია.

დათომ კედელზე დაკიდული გიტარა დაინახა. ჭიქაში ჩარჩენილი კონიაკი ნელ-ნელა მოწრუპა...

დაბალი სასიამოვნო ხმით მღეროდა ნორა ძველებურ რომანსს. დათოს ჯერ ეგონა, ქალმა იმისთვის მოიტანა გიტარა, რომ სტუმარი სიმღერით გაერთო. მერმე მიხვდა, ამ სიმღერით ნორა დათოსთვის უცხო იდუმალებით მოცულ წუხილსა და ტკივილს იკლავდა.

Отвори потихоньку калитку
И войди в темный сад ты как тень...

ნორა სიმღერამ შთანთქა, თითქოს დაავიწყდა, იქვე აწ-ლოს რომ დათო იჯდა.

ეს რომანსი ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი რადიოში. ტელევიზორში, ესტრადის სცენიდანაც არაერთხელ მოუსმენია... მაგრამ ნორა მაინც სხვა გრძნობით, სხვანაირად მღეროდა.

მომწვანო წყალში ნებივრად დასრიალებდა გრძელფარფლიანი ოქროს თევზი, მოადგებოდა აქვარიუმს და უაზროდ იყურებოდა. ოქროს თევზი მარტოდმარტო დაცურავდა მომწვანო წყალში. ხოლო ყრუ კედლიდან ერთი აგური იყო გამოვარდნილი, დათომ თითქმის მთლიანად შეჰყო მკლავი, ბოლომდე მაინც ვერ მიუწვდინა. არადა, იცოდა, ბეღურები ბუდეში ისხდნენ. ყრუ კედელი თითქოს თვითონ იყო, მკერდიდან აგური გამოვარდნოდა და ვიღაც სხვა ცდილობდა ბეღურების გამოყვანას.

— რა მეშველება. სულ დამეკარგა ხმა.

— მშვენივრად მღერით.

ნორამ გიტარა მიაყუდა მაგიდაზე და ჭიქებში კონიაკი ჩაასხა.

ვაჟმა გაუბედავად დააფარა ქალის ხელს თავისი დიდი ხელი. ქალმა გაიღიმა და თვალების ჭრილი დაუვიწროვდა.

— დღეს წვიმა დაიწყო თუ არა, საშინელი მარტოობა ვიგრძენი. ქვეყანაზე არავის ნახვა არ მინდოდა და ამავე დროს სიმარტოვე მკლავდა. თქვენ, ალბათ, არ იცით, დათო, ქალისთვის რა არის მარტო ყოფნა. კიდევ კარგი, მოხვედით... სულ ასე მიდის ჩემი ცხოვრება. დავდივარ ქალაქიდან ქალაქში, ვმღერი, სახეგაბრწყინებული თავს ვუკრავ აღტაცებულ მსმენელებს. მერმე სასტუმროში მარტო ვბრუნდები და ჩემს ნომერში ვიკეტები... სასტუმროები... სასტუმროები... ძნელია, მთელი ცხოვრება ხეტიალში და სასტუმროებში ატარო...

მანქანამ მანქანას გადაუსწრო... მანქანაში კორინთელსა და ნორას გარდა პლატონი და ვიღაც ქალი ისხდნენ.

— უმამაკაცოდ ცხოვრება მიჭირს, დათო... მაპატიეთ, ასე გულახდილად რომ ვამბობ... მაგრამ ასეა, და რას იზამ?! თვალთმაქცობა არ შემიძლია... ვიცი, რასაც ამბობენ ჩემზე... შეიძლება თქვენც გითხრეს... ცუდი ხალხი ცხოვრობს ჩვენს ეზოში. არ დაუჯეროთ, არავის არ დაუჯეროთ არაფერი... მას შემდეგ, რაც ვიგრძენი, რომ ქალი ვარ, სულ მარტო მიხდება ყოფნა... არ გჯერა?

ქალმა ნაღვლიანად გაიღიმა.

დათო გულალმა იწვა.

ნორას ვაჟის მხარზე მოხერხებულად დაედო თავი და ეძინა. დათომ ეს-ესაა გაიღვიძა.

გარეთ ისევ ბნელოდა. ისევ მოისმა წვიმის შხაპუნი.

ვაჟმა მეორე ხელი საბანში შეაცურა და ქალი თავისკენ მოზიდა. შებრუნდა, ყელზე და მკერდზე დაუწყო კოცნა. ქალმა თვალები გაახილა.

— თქვენები გაგიჟდებიან, ასე რომ დაიგვიანე... თუმცა შეჩვეულები იქნებიან, ალბათ, ხშირად ბრუნდები გვიან.

— იშვიათად.

— არა მგონია.

— დამიჯერე, ეგრეა.

— გესმის? ისევ წვიმს.

— რა უსაშველო წვიმაა!

— იმან იკითხოს, ვინც გარეთ დარჩა. — ქალი უფრო მიეხუტა ვაჟს.

— ნორა, რა კაცია პლატონი? — ჰკითხა დათომ დუმილის შემდეგ.

— რატომ მეკითხები?

— ისე.

— ჯერ ის გეკითხა, ვიცნობ, თუ არა პლატონს?

— ეგ არ არის საკითხავი, ვიცი, რომ იცნობ.

— საიდან იცი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს... მითხარი, რა კაცია?

— არ ვიცი.

— მაინც... ის შავგვრემანი ქალი ვინ არის?

— მარგო? — ნორამ გაიცინა. — სასაცილო კაცია პლატონი, არაფერი შეუძლია და საყვარლებს მაინც არ ეშვება. პლატონი მხოლოდ იმიტომ დადის მარგოსთან, რომ უზარმაზარ მკერდში თავი ჩარგოს და დაიძინოს. არა მგონია ქვეყანაზე ვინმეს კიდევ ჰქონდეს იმხელა მკერდი... საშინელებაა... რატომ მაყოლებ, დათო, ასეთ საზიზღრობას.

— მაინტერესებს.

— მარგოსაც რა ენაღვლება, ბედნიერად აცხოვრებს. პლატონი მდიდარი კაცია.

— მართლა?

— ვითომ არ იცი... რატომ არ მეფერები? მე მარგო კი არა ვარ... — ნორამ უცებ გადაიხადა საბანი და შიშველმა სხეულმა გაიელვა.

ნორა ერთგვარი სიამაყით დასცქეროდა თავის ტანს. დათო მიხვდა, იმიტომ გადაიძრო საბანი, რომ ქალმა იცოდა თავისი სხეულის ფასი და უნდოდა ეს დაფარული სილამაზე სხვასაც სცოდნოდა. ქალი ამაყობდა თავისი ლამაზი ტანით. ასევე ამაყობს ქალი, როცა რაიმე მნიშვნელოვანი საიდუმლო იცის და ასეთივე სიამაყით უმჟღავნებს იგი ამ საიდუმლოს მეორე ადამიანს.

ეს იყო პირველი ქალი, რომელსაც მთლად გაშიშვლებულს ხედავდა. ჯერ გაუკვირდა, არ ეგონა, თუ ქალები თავიანთი სხეულით ამაყობდნენ. არ ეგონა ასეთი სიამაყითა და კმაყოფილებით კი არა, საერთოდ რომელიმე ქალს თუ აღეძვრებოდა სხვის წინაშე გაშიშვლების სურვილი. ქალები სიშიშვლეს ყოველთვის მალავდნენ და ამაში ხედავდა იგი სხეულის სილამაზის, სხეულისაკენ ლტოლვის საიდუმლოებას. სა-

ოცარია, ეს შიშველი, ლამაზი ტანი აღელვებდა, იზიდავდა და ამავე დროს ამშვიდებდა კიდეც.

ნორამ საბანი გადაიფარა.

მიუხედავად ნორას სიწრფელისა და გულახდილობისა, დათოს მაინც ეეჭვი ეპარებოდა, მთელი ღამე ფიქრობდა, რომ ქალი ცდილობდა, უკეთესად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ სხეულის სილამაზის მოულოდნელმა ძალამ თითქმის მთლიანად გაუქარწყლა ეჭვები.

ერთი რამ აწუხებდა მხოლოდ რა ურთიერთობა ჰქონდა ნორას შავ ნიკოსთან? ერთი ორჯერ დააპირა თქმა და მოერიდა. კი არ მოერიდა, შეეშინდა, შეიძლება კორინთელის ხსენებას სულაც გაეფუჭებინა ტკბილად დაწყებული ღამე.

ახლა უკვე შეიძლებოდა და თავისი საწუხარი უთხრა კიდეც ქალს.

ნ ო რ ა: ნიკოს ექვსი წელია ვიცნობ. ამ ექვსი წლის წინათ (მაშინ ოცის გავხდი), ფეთხაინის უბანში დედაჩემს პატარა ოთახი მიაქირავა მოსე მამისთვალოვმა, რომელსაც ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა. მოსე მშრომელი კაცი იყო. ჩუმი, კეთილი... ნამდვილად კეთილი... დედა სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა. და ორს როგორღაც გაგვქონდა თავი. სიმართლე რომ ვთქვა, არც მოსეს ოჯახს გადასდიოდა თავზე, მაგრამ გაჭირვებაში ბევრჯერ გაუმართავს ჩვენთვის ხელი. ერთ დღეს მოსემ ოჯახში მოიყვანა ნიკო და ცოლს თავის მეგობრად გააცნო. მე მომეწონა ეს შავგვრემანი, ლამაზი კაცი. საერთოდ, ჩემი ტოლი არასოდეს მომწონებია, ჩემზე გაცილებით უფროსი მიზიდავდა ყოველთვის. ნიკომ უცნაური ამბების მოყოლა იცოდა ხოლმე. მისი თავგადასავალი წიგნში წაკითხულს ჰგავდა. მოხიბლული და გაბრუებული მთელ ღამეებს ვათენებდი ხოლმე ნიკოზე ფიქრში. მე არ ვიცოდი, რა აკავშირებდა მას მამისთვალოვების ოჯახთან. ერთი რამ შევამჩნიე მხოლოდ: რაც ნიკომ მათთან დაიწყო სიარული, ესთერი გამოიცვალა, უფრო გალამაზდა და გამშვენიერდა. ბოლოს და ბოლოს, ამ ლამაზმა ქალმა თავის თავს მიაქცია ყურადღება და მიხედა. ზოგჯერ ნიკო იმ დროს მოდიოდა, როცა მოსე შინ არ იყო. მერმე მეჩვენებოდა, რომ ესთერი ყოველ წუთს ნი-

კოს ელოდა... მეც ველოდი... შინიდან თითქმის აღარ გავდიოდი, ერთთავად ველოდი... ერთ დღეს მოვიდა... არც დედა-ჩემი, არც ესთერი, არც მოსე შინ არ იყვნენ, ნიკომ ლაპარაკით გამაბრუა და ბოლოს მითხრა: აქ იმიტომ დავდივარ, რომ შენ მეგულებიო. მერმე მივხვდი: მე შინაგანად ესთერს ვეტოქებოდი და რახან ნიკომ ასეთი რამ მითხრა, სულელმა გოგომ თავი გამარჯვებულად ჩავთვალე... ზურიკომ არც იცის და არც მინდა გაიგოს... ნიკოსთვის სულ ერთია, ჰყავს თუ არა შვილი. ასეთი შვილი ბევრგან მიუტოვებია და აღარ გახსენებია... არც ზურიკო ახსოვს. ასე უკეთესია! ასეთი მამის ყოლას სჯობია, სულ არ ჰყავდეს... ნიკო ხშირად დადიოდა. უფრო ხშირად ფარულად ვხვდებოდით ერთმანეთს... მაგრამ მერმე უცებ დაიკარგა, გაქრა. მამისთვალოვებთან სიარული შეწყვიტა, აღარც მე მაკითხავდა. თანდათან მენგრეოდა მისი დაპირებებისა და ჩემი ნაოცნებარის ზღაპრული კოშკები. ვატყობდი, ესთერსაც რაღაც ემართებოდა. მე ჩემი გაჭირვება მქონდა და მაინც ვატყობდი, ქალი სამ-ოთხ თვეში დაილია, დადნა. ათასგვარი ეჭვი მღრღნიდა, თუმცა იმედს არ ვკარგავდი. დარწმუნებული ვიყავი, ნიკო მოვიდოდა და წამიყვანდა... ესთერმა, ეტყობა, ფარულ ტანჯვასა და წვალებას ვეღარ გაუძლო, შემოვიდა ჩემთან და დიდი საიდუმლო გამანდო. მამისთვალოვებს ჰქონიათ მარგალიტი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე. ეს იშვიათი მარგალიტი ძველი ჟილეტის სარჩულში ყოფილა ჩაკერებული. მოსე ხშირად სინჯავდა, იყო თუ არა ქვა თავის ადგილზე, გარედან შეავლებდა ხელს. პატიოსანი თვლის გამოყენება მხოლოდ უკიდურესი გაჭირვებისა და უბედურების დროს შეეძლოთ. მე არ ვიცი, ესთერს არ უთქვამს, საიდან გაიგო ნიკომ ეს საიდუმლო. შესაძლოა, თვითონ ესთერს წამოსცდენოდა... ერთხელ რამდენიმე დღით თბილისიდან გაემგზავრა მოსე. ნიკომ დრო იხელთა და ესთერს სთხოვა, ქმრის ჩამოსვლამდე ეთხოვებინა მარგალიტი. ქალი დაურწმუნებია, პატიოსანი თვალი თითქოს რაღაც დიდი საქმისთვის სჭირდებოდა. ერთ კაცს მხოლოდ უჩვენებდა და მაშინვე უკან დააბრუნებდა... თითქოს ამ დიდ საქმეს სხვა არაფერი ეშველებოდა, თითქოს ნიკო იღუპებოდა... ტირილით, ხვეწნა-მუდარით ესთერი დაუყოლებია. მოსე შეიძლება მოულოდნელად ჩამოსულიყო,

ამიტომ, ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ჟილეტის სარჩულში იმ მარგალიტისოდენა კენჭი ჩაუკერებიათ. ამის შემდეგ დაიკარგა ნიკო. ესთერმა ვერ გაბედა, ქმრისთვის გაემხილა, რომ ოჯახს აღარ ჰქონდა შთამომავლობით მიღებული სიმდიდრე. მოსე მამისთვალოვი კი ყოველ კვირას ხელს ავლებდა კრეპსა და სატინას შორის მომწყვდეულ ქვას და დამშვიდებული ებრძოდა ცხოვრებას. მაგრამ ქვა ჩვეულებრივი კენჭი იყო, ის ქვა აღარ იყო პატიოსანი თვალი, რომლის იმედით რამდენიმე თაობას უცხოვრია. ნიკოს წასვლასთან ერთად მოსეს საქმეები უკუღმა დატრიალდა. კაცი ყელამდე ჩაეფლო ვალებში. ორ-ნახევარი წელი გაუძლო ესთერმა ფარულ წუხილსა და დარდს, გაჭირვებას... ესთერი გარდაიცვალა. ვალებში ჩაფლულ კაცს საყვარელი ცოლი მოუკვდა. რა უნდა ექნა? უკანასკნელ იმედს მიაკითხა... ღამე იყო, ბავშვს ვაძინებდი, მინდოდა მალე დაეძინა, რომ უბედურ კაცს რაღაცაში მივხმარებოდი. უცებ არაადამიანური, თავზარდამცემი ღრიალი გავიგონე. მოსეს ხმა ვიცანი. მაშინვე გარეთ გამოვედი, მივაყურე. ახლა ჩურჩული და ქვითინი მომესმა. კარი შევაღე... გაპარტახებული, დარბეული მოსე მიცვალებულის წინ დაჩოქილიყო და გულსაკლავად ტიროდა, ხელში დაჭმუჭნული, ძველი ჟილეტი ეჭირა „ესთერ! ესთერ, შენ დაგენაცვლე! რა იქნა მარგალიტი?! თქვი, ხომ იყო, ჰა? ხომ იყო?! ესთერ!.. ესთერ!.. მქონდა თუ არ მქონდა?! მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

თენდებოდა. ცას ფერი შეეცვალა, გაბაცებულიყო. შემოდგომის დაძენძილი ღრუბელი თითქმის სახურავებზე ეყარა.

დათო ხრახნილი კიბით ჩადიოდა. გაუკვირდა, აივნებზე რომ არავინ ჩანდა... მეზობლებს ჯერ კიდევ ეძინათ და კარგა ხანს არ გაიღვიძებდნენ.

ჩამოდითდა დაღლილი, ცარიელი, თითქოს გაძარცული...

„ესთერ!.. ესთერ!.. მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

ოქროს თევზი დილიდანვე შეშფოთებული იყო. ნერვიულად დასრიალებდა და კედლიდან კედელს აწყდებოდა.

შესაძლოა, დღეს პირველად იგრძნო, რომ აქვარიუმი, რომელშიც ამდენი ხანია ცხოვრობს, ძალზე პატარაა, რომ ამ პატარა ქილაში ძნელია ამდენი ხანი ცხოვრება.

აღარც ახსოვს, როდის გამოუცვალეს წყალი. მინის კედელს ხავსი მოედო და გარეთ გახედვა ჭირს. ოქროს თევზს კი გამჭვირვალე კედლიდან ყურება უყვარდა, აკვირდებოდა, რა ხდებოდა კედლის მიღმა. ვერ იტყვის, თითქოს არასოდეს ყოფილა ბედნიერი. როდესაც ყველა წავიდოდა და ოჯახში მარტო მირიანი დარჩებოდა, მოაკითხავდა ხოლმე. ოქროს თევზს ყოველთვის ეგონა, უფრო მეტიც, სჯეროდა, რომ მირიანს იგი ნამდვილად უყვარდა.

მირიანი სკამს ახლოს დაიდგამდა და მიუჯდებოდა. სახეს ზედ აქვარიუმთან მიიტანდა და თვალებში უმზერდა. ოქროს თევზი ერთს გაინავარდებდა, გასრიალდებოდა, მერმე სწრაფად მობრუნდებოდა და თვითონაც მიაჩერდებოდა მირიანს.

ასე უმზერდნენ ხოლმე ერთმანეთს დიდხანს.

— როგორა ხარ? — ეკითხებოდა მირიანი, — როგორა ხარ?

— კარგად! — უპასუხებდა ოქროს თევზი.

— მხოლოდ მე მესმის შენი, მხოლოდ მე მესმის... ჩემს გარდა არავის ესმის, არავის ესმის, იმიტომ, რომ მეც შენსავით ვცხოვრობ, შენსავით ვცხოვრობ, შენსავით ვცხოვრობ...

მერმე სიტყვები აღარ ესმოდა, რადგან ოქროს თევზი ცეკვას იწყებდა. თავდავიწყებამდე დასრიალებდა წყალში —ხან აღმა, ხან დაღმა ტრიალებდა, ბრუნავდა, ათასნაირ კამარას ჰკრავდა, მოცეკვავე თევზი ხანდახან გახედავდა მირიანს, რომლის დაფიქრებულ სახეს თანდათან ღიმილი ეუფლებოდა...

მერმე ისევ დაწყნარდებოდა, დაცხრებოდა... ისევ ესმოდა მირიანის ხმა:

— იყო დიდი მხატვარი... დიდი მხატვარი, რომელმაც ოთხი ოქროს თევზი დახატა... ოთხი ოქროს თევზი... მაგრამ ოთხი ოქროს თევზი არ არსებობს ქვეყნად. არსებობს ერთი,

არსებობს ერთი, არსებობს ერთი... და ის ერთი ოქროს თევზი შენა ხარ!.. შენა ხარ!..

საშინლად უკვირდა, რომ ქვეყანაზე ერთადერთი ოქროს თევზი არსებობდა, მაგრამ ამავე დროს უხაროდა, რომ ის ერთადერთი ოქროს თევზი თვითონ იყო.

ბუნდოვნად ახსოვდა, ოდესღაც, ალბათ, დიდი ხნის წინათ, ვიდრე მირიანი აქ მოიყვანდა, სხვა თევზებთან ერთად ცხოვრობდა. ოღონდ კარგად ვერ იხსენებდა, ნამდვილად ბევრნი ცხოვრობდნენ თუ არა, ვერც ის გაიხსენა ვერაფრით, ბედნიერი თუ იყო მაშინ...

დღეს დილიდანვე შეშფოთდა.

რამ შეაშფოთა?

სხეული უთრთოდა და გული ეკუმშებოდა, ისედაც პაწაწინა გული.

რატომ ეკუმშებოდა გული?

დაძაბული დასრიალებდა და კედლიდან კედელს აწყდებოდა, შეიძლება იმიტომ, რომ კარგად ვერ ხედავდა, რა ხდებოდა ხავსით დაფარულ მინის კედლის მიღმა.

შუშაბანდში თეონამ გაიარა. ტანის რხევით იცნო, ხმითაც იცნო... თეონა თავისთვის ღიღინებდა, ეტყობა კარგ გუნებაზე იყო. მირიანიც დალანდა ერთი ორჯერ... მირიანი დადიოდა ოთახიდან ოთახში, რაღაცები შეჰქონდა და გამოჰქონდა. მირიანს არ ეცალა. ეგეც არ იყოს, მირიანი მაინც არ მიაკითხავდა, სანამ ყველანი შინიდან არ წავიდოდნენ.

ახლა შორიდან ისმოდა თეონას სიმღერა. თეონა იმდენად იყო გახარებული, რომ ამ სიხარულს ვეღარც მალავდა. მღეროდა, შესანიშნავად მღეროდა თეონა.

დედა საქმიანად იდგა მაგიდასთან და აუთოვებდა...

თითქოს არაფერი ხდებოდა ისეთი, რასაც შეეძლო აეღელვებინა, თითქოს არაფერი შეცვლილა. თეონას ბევრჯერ უმღერია ასე მხიარულად, დედაც ხშირად მდგარა მაგიდასთან თავისი პრიალა უთოთი. მირიანიც არაერთხელ უნახავს ოთახებში მოფუსფუსე.

სამზარეულოდან ხატაურა გამოვიდა, კუდი აპრიხა და დაიკნავლა. მერმე მაგიდაზე შეხტა და თავით დედას გაეხახუნა. დედამ ხელი გაიქნია და კატა იატაკზე გადმოაგდო.

ოთახში ისევ გამოჩნდა თეონა.

ოქროს თევზს გული უწუხდა. აქვარიუმში ვეღარ ეტეოდა, სუნთქვა უჭირდა. ფსკერისკენ დაეშვა, მერმე ფარფლები ღონივრად დაიქნია და ისარივით აიჭრა ზევით. წყლის ზედაპირს რომ მიუახლოვდა, კიდევ ერთხელ დაიქნია გრძელი ფარფლები და წყლიდან ამოხტა. ერთი წამით ამოხტა მხოლოდ, ისევ წყალში ჩაეშვა თავდაყირა.

იმ ერთ წამში ნათელი ქვეყანა იხილა, ნაცნობი, ათასჯერ ნანახი და განცდილი, მაგრამ მაინც სხვანაირი. ქვეყანა უფრო მხიარული და გაბრწყინებული ეჩვენა, ვიდრე აქამდე ეგონა.

იმ ერთ წამში სამი გაღიმებული სახე დაინახა — მირიანის, დედასი და თეონასი. ყველას რაღაც უხაროდა, თუმცა ეს სიხარული არ იყო ერთნაირი, ანდა ერთიანი. ყველას თავისთვის უხაროდა რაღაც, ცალ-ცალკე უხაროდა.

უცებ ზარი დაირეკა.

ოქროს თევზს გული კინაღამ გაუსკდა. ასე ემართებოდა ყოველთვის, ზარის ხმა გულს უხეთქავდა...

ოქროს თევზმა პლატონის დიდი თავი დაინახა, წრე შემოხაზა და ფსკერისკენ გაეშურა. ნიჟარას ამოეფარა, გაყუჩდა, გაინაბა და მოლოდინით აღიჭურვა.

— ჰა... მიდიხარ... ჰო... მიდიხარ... — თქვა პლატონმა.

პასუხი არავის გაუცია და ოქროს თევზმა ვერ გაიგო ვისი მისამართით იყო ნათქვამი ეს სიტყვები.

მაგიდიდან სასწრაფოდ აკრიფეს თეთრეული. სამზარეულოდან ხმაურით გამოიტანეს ჭურჭელი და სუფრა გააწყვეს.

პლატონი მაგიდას მიუჯდა.

ნიჟარას მოფარებული დაძაბული ადევნებდა თვალს მოძრავ ლანდებს, „რა მემართება, — ფიქრობდა, — რატომ ვღელავ, რატომ მიცემს ასე საშინლად გული?“

პლატონმა რაღაც გაურკვეველად წაიბურტყუნა. ოქროს თევზმა ვერ გაიგო, რა თქვა პლატონმა.

— მირიან, მამა ამბობს... ამბობს... როდის დაელოცოთო შენი ბინა?.. შენი ბინა?.. — გაიმეორა მამის ნათქვამი თეონამ.

— როცა გენებოთ... როცა გენებოთ... — უპასუხა მირიანმა.

ოქროს თევზი ისევ ზევით ამოცურდა და ხავსიან კედელს მიადგა, ცდილობდა მირიანის სახე დაენახა. უცებ მისდაუნებურად საზარელი ხმა აღმოხდა.

— მირიან!

როგორც ჩანს, ოქროს თევზის ხმა არავის გაუგონია. ამ ხმას არც ერთი მათგანი არ შეუძრწუნებია, მხოლოდ თვითონვე დაეცა თავზარი. საკუთარმა ხმამ შეაშინა და ათრთოლებული კვლავ ნიჟარას ამოეფარა.

ოქროს თევზი ცახცახებდა. იგი მიხვდა, რომ მირიანი მიდიოდა, სამუდამოდ ტოვებდა სახლს. ფარფლები მოუდუნდა, სასოწარკვეთილი დაესვენა ფსკერზე... მაგრამ იმედის სხივმა გაუელვა უეცრად გონებაში და ისევ ზევით ამოტივტივდა.

თუ მირიანი ნამდვილად მიდის, მაშინ, რა თქმა უნდა, მასაც თან წაიყვანს... რა თქმა უნდა, წაიყვანს, მაშ, აქ ვის დაუტოვებს?

მოულოდნელად კარგ გუნებაზეც კი დადგა. ერთი ორჯერ ნეტარებით გასრიალდა წყალში. მისთვის სულ ერთი იყო, სად იქნებოდა, ამ შუშაბანდში, თუ სხვაგან, მთავარია, მირიანთან ახლოს ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, მოწყინდა სულ ერთთავად შუშაბანდში ყოფნა. სხვა ქვეყნების ნახვა მოენატრა.

— წავედი,—გაიგონა მირიანის ხმა, — წავედი.

— მოიცადე, — გადაეღობა დედა, — ერთად ვისადილოთ... მოიცადე.

— არ მინდა... არ მშია... არა მშია.

ოქროს თევზი გაილუსა, სულგანაბული ელოდებოდა ნაცნობი ნაბიჯების მოახლოებას.

— ჰა... მიდიხარ... მიდიხარ... ჰა... — ბურტყუნებდა პლატონი.

ნაბიჯების მოახლოებას ელოდებოდა მოუთმენლად.

პლატონი წამოდგა. მირიანი კარებთან იდგა და იღიმებოდა.

ოქროს თევზს ეგონა, რომ მას უღიმოდა და ერუანტელმა დაუარა. თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდა, კამარა შეჰკრა და ისევ შეჩერდა. ნელა მისრიალდა მინის კედელთან, შეძრწუნებული იხედებოდა გარეთ. შუშაბანდში უკვე ღარავინ იყო... არც მირიანი, არც სხვა...

— მირიან!— დაიყვირა, — მირიან! — მერმე ფარფლები დაჰკრა მთელი ძალით და წყლიდან ამოხტა.

ირგვლივ სიცარიელე იყო.

— მირიან!

გამწარებული ასკდებოდა კედელს, მაგრამ საშველი არ იყო.

მერმე მოეშვა, მოდუნდა. გული ტკიოდა, საშინლად ტკიოდა პაწაწინა გული. ისე წავიდა მირიანი, არც კი მოუხედავს. მოხედვა იქით იყოს, არც კი გახსენებია ოქროს თევზი.

არეული ნაბიჯების ხმა ახლოვდებოდა. მიხვდა, შინაურებმა მირიანი გააცილეს და უკან ბრუნდებიან. ახლა მიუსხდებიან მაგიდას და ისადილებენ. კარგად დანაყრდებიან.

— მაინც გული დამწყდა, რომ წავიდა... გული დამწყდა... — თქვა დედამ ნამტირალევი, გაბზარული ხმით.

თეონამ გაიცინა:

— მადლობა ღმერთს, წავიდა. სულ მეშინოდა მირიანის... სულ მეშინოდა...

— რა ცუდი გოგო ხარ, თეონა, ცუდი ხარ, — ეს ისევ დედაა, — რას გიშლიდა?.. ყოველთვის თავისთვის იყო, არავის აწუხებდა... თავისთვის იყო.

ხოლო პლატონმა თქვა:

— დიდი გახდება, ჰო... კაცი... დიდი კაცი... წავიდა... ჰო... არ უნდა წასულიყო... არა... გამოგვადგებოდა... ალბათ, ჰო... გამოგვადგებოდა... გამოგვადგებოდა.

ოქროს თევზი ნიკარის უკან მიყუჟულიყო. ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს ოჯახიდან მირიანი კი არა, უცხო ვიღაც წავიდა.

ნიკარის უკან მიყუჟული ტიროდა, თან იმედი ჰქონდა, რომ მირიანი დღეს თუ ხვალ, უსათუოდ გამოივლიდა და წაიყვანდა... აქ არ დატოვებდა.

ყველა სულდგმული იმედით ცოცხლობს.

ნახევრად ბნელ სალუდეში დათომ თვალი მოჰკრა უფროს ძმას. ჯერ მარტო ეგონა, მაგრამ როდესაც მეორედ ჩაუარა სალუდეს, დაინახა: ვიღაც სამ მამაკაცთან ერთად ნიკელის ფეხებზე შეყენებულ, მაღალ მაგიდასთან იდგა მირიანი.

ორ კვირაზე მეტია უფროსი ძმა არ უნახავს. ამასწინათ მირიანს საბურთალოში ერთოთახიანი ბინა მისცეს და გადასახლდა.

შინიდან არაფერი წაუღია. დათოს ეგონა, ოქროს თევზს მაინც წაიყვანდა, მაგრამ მირიანმა არც ოქროს თევზს მიაკითხა. საერთოდ, აღარ გამოუვლია ძველ სახლში.

დათო სალუდესთან წრიალებდა. ძმის ნახვა უნდოდა და შესვლა ერიდებოდა. კი არ ერიდებოდა, აინტერესებდა, უცებ მირიანს რომ დაენახა, დაუძახებდა თუ არა?

ქარიანი დღე იყო და ციოდა, კოლმეურნეობის მოედანზე მაინც უამრავი ხალხი ფუსფუსებდა.

ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტრამვაები, ყველა ჯურის ავტომანქანები, ხალხი... ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა... პატარა მოედანი გამაყრუებლად გუგუნებდა.

დათომ გაიარ-გამოიარა სალუდეს წინ და მერმე ჩქარა, საქმიანი ნაბიჯით შევიდა დარბაზში. ისეთი სახით გადახედა ხალხს, თითქოს მათ შორის ნაცნობი ეგულებოდა და რატომღაც ვერ პოულობდა. ბოლოს მზერა მირიანზე შეაჩერა.

მირიანი მკლავებით დაყრდნობოდა მაგიდას, დაფიქრებული ლუდის ტოლჩას ჩაშტერებოდა. ორივე მამაკაცს მირიანისთვის მიეპყრო თვალები. დათოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს უფროსი ძმა რაღაც საინტერესო ამბავს ჰყვებოდა და ერთი წამით დადუმდა, ხოლო ამხანაგები მოუთმენლად ელოდნენ, როდის ამოიღებდა ხმას, როდის გააგრძელებდა დაწყებულ საუბარს.

დათო უცებ გამობრუნდა. სანამ დარბაზიდან გავიდოდა, ირიბად მიხედა მირიანს. უფროსი ძმა უკვე ლაპარაკობდა. მხოლოდ ახლა დაებადა ეჭვი. შესაძლებელია, მირიანმა დაინახა და თვალი აარიდა. არ ჭოისურვა უმცროსი ძმის დაძახება.

გარეთ გამოსული უფრო თავის თავზე ბრაზობდა, ვიდრე მირიანზე. მაინც რა საჭირო იყო ეს თამაში? თუ ძმის ნახვა უნდოდა, პირდაპირ მისულიყო, თუმცა მირიანმა ხომ არ იცოდა, რისთვის შევიდა?.. იმანაც ხომ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს უმცროსი ძმა ვერ დაინახა...

ქუჩაში გამოსვლისთანავე ავთანდილ ხარაბაძეს მოჰკრა თვალი. სკოლის ამხანაგს პალტოს საყელო აეწია და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი სალუდეს წინ დაბორიალობდა. ალბათ ნაცნობს ეძებდა, ერთი არაყი ან იაფფასიანი კონიაკი რომ გადაეკრა.

— ავთანდილ?

ავთანდილმა დათოსთან მიირბინა. მისალმებამდე გამომცდელად მიაჩერდა დათოს თვალებში, ალბათ უნდოდა გამოეცნო, რისთვის დაუძახა, დასაპატიჟებლად თუ სალაზღანდაროდ.

— როგორა ხარ, ავთო?

— ვარ რა.

— ხომ არ დაგვეელია?

ავთანდილ ხარაბაძემ მორცხვად გაიღიმა.

— ფული არა მაქვს, ბიჭო...

— რახან შეგთავაზე...

— კი, კაცო... მაგაზე გაწყენინებ?!

ასეთი გარდასახვა პირველად ნახა დათომ. სკოლის ამხანაგს სალუდეში მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა და ისიც დატრიალდა. ეს იყო სულ სხვა კაცი, ან უფრო სწორად, ეს იყო კაცი, რომელიც დიდი ხნის განშორების შემდეგ თავის ქვეყანას დაუბრუნდა.

დათომ ისეთი მაგიდა ამოირჩია და ისე დადგა, რომ მირიანს მისი დანახვა შეძლებოდა. თავიც იმგვარად ეჭირა, ვითომ უფროსი ძმა ვერ დაინახა, ვითომ, წეღან რომ შემოვიდა, სწორედ ამ კაცს ეძებდა.

ავთანდილ ხარაბაძემ, მიუხედავად იმისა, რომ დახლს უამრავი ხალხი აწყდებოდა; ხინკალი, არაყი და ლუდი მაშინვე მოარბენინა.

— ამ უბანში საიდან გაჩნდი, ბიჭო? — ჰკითხა დათოს.

— აქვე ვმუშაობ, ვერცხლის ქუჩაზე.

— აჰა!

დათო შინაგანად კმაყოფილი იყო, მოულოდნელად სკოლის მეგობარს რომ გადააწყდა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე თვითონაც სჯეროდა, სალუდეში რომ შემოიხედა წეღან, თითქოს ავთანდილ ხარაბაძეს ეძებდა.

ავთანდილ ხარაბაძე დიდხანს წრუპავდა არაყს და თვალები ნეტარებით ელულებოდა, დათომ უცებ გადაჰკრა და უსიამოვნოდ დაიჭყანა, მაშინვე დააყოლა ლუდი.

არც ისეა საქმე, როგორც დათო ფიქრობდა, თურმე მირიანს მეგობრები ჰყოლია... ალბათ, მეგობრები არიან. სალუდეში უცხო ხალხთან რატომ შემოვიდოდა? რა თქმა უნ-

და, ჰყოლია მეგობრები, ანდა შეიძლება, ახლა შეიძინა...

მომწვანო წყალში თავისთვის დასრიალებდა მიტოვებული ოქროს თევზი.

— ჭამე, თორემ გაცივდება. — სკოლის ამხანაგმა ხინკლიანი თეფში მიუჩოჩა დათოს.

დედა და თეონა ერთხელ იყვნენ მირიანთან და კმაყოფილნი დაბრუნდნენ: მშვენიერი ბინა არისო. მარტოხელა კაცს მეტიც არ უნდოდაო.

— დათო, ის კაცი შენი ძმა ხომ არ არის?

— კი, მირიანია. — გვერდზე არც მიუხედავს, ისე უპასუხა დათომ.

— უბრად ხომ არა ხართ?

— არა, რატომ უნდა ვიყოთ უბრად?

— დიდად არ გამოცვლილა...

— მოიტანე არაყი... ოღონდ შენთვის... მე ვეღარ დავლევ.

— მეც ვერ დავლევ, — თქვა ავთანდილ ხარაბაძემ. —ეს გრამზე მეტი ჯერ არ დამილევია...

დათომ ეჭვით გადახედა სკოლის მეგობარს და გაიღიმა.

— რას იღიმები? არა გჯერა?

— რომ არ გიცნობდე, დავიჯერებდი.

— ჩემ სიცოცხლეში არ დამილევია ეს გრამზე მეტი.

საწერ მაგიდაზე ხელნაწერი ფურცლებია გაშლილი. დათო მივიდა და დახედა... მირიანის გაკრული ხელი იცნო: „მძიმე ტვირთივით მოვიშორე მოგონებები... ადარა მყავს ძველი ნაცნობები, ამხანაგები, მეგობრები... თუ ხანდახან ჩემს მეხსიერებაში რაიმე მოგონება ამოტივტივდება, აუტანელ ტკივილებს მაყენებს დავცდილობ, მაშინვე მოვიშორო, სამუდამოდ დავკარგო“...

— ძალიან გაითქვა შენმა ძმამ სახელი... ეტყობა, მაგარი ვინმეა, მთავარი მაინც ის არის, რომ ნიჭიერი კაცი ყოფილა... ამ ოთხი დღის წინ წავიკითხე მაგის მოთხრობები. მოგეწონა. — თქვა ავთანდილ ხარაბაძემ და ხინკალი დაითრია.

სად შეიძლებოდა მირიანის მოთხრობები წაეკითხა ავთან-

დილ ხარაბაძეს? როგორც ჩანს, რომელიღაც გაზეთში ან ჟურნალში დაიბეჭდა, სხვანაირად როგორ წაიკითხავდა...

— კი, საინტერესო მოთხრობებია. — დაუდასტურა მერმე სკოლის ამხანაგს.

— შენ, ალბათ, ხელნაწერი წაგიკითხა.

— რა თქმა უნდა... ისიც და ესეც...

— მახსოვს, სკოლის კედლის გაზეთშიც წერდა რაღაცებს...

მირიანი მიესალმა სტუმარს, თუმცა... მგონი ვერ იცნო.

რა თქმა უნდა, ვერა მცნობ, — გაეღიმა მუსიკის მასწავლებელს, — მე ბუბა ვარ.

— ბუბა?

— შეგხვედე თუ არა, მაშინვე გიცანი...

ავთანდილ ხარაბაძემ „პრიმის“ წითელი კოლოფი ამოაძვრინა ჯიბიდან და დათოს გაუწოდა. დათომ უარი უთხრა.

განა პირველ სკოლაში არ სწავლობ-დით?

მირიანმა დათოს გადახედა, მერმე თავი გააქნია.

— არა.

ბუბაეშბა დაიბნა...

ავთანდილ ხარაბაძე კმაყოფილებით ქაჩავდა სიგარეტს. თავისი წილი ლუდი უკვე დაელია და ახლა თამბაქოს ბოლში გახვეული გვერდზე იხედებოდა, ალბათ მირიანს უყურებდა. წყნარი, დამშვიდებული სახე ჰქონდა.

— გამაცანი რა, შენი ძმა, — თხოვა ბოლოს დათოს.

— ახლა?

— სხვა დროს სადა გნახოთ ერთად.

— ახლა არ ღირს.

— შენს ძმას ბევრჯერ შევხვედრივარ აქ... პირველად სულ მარტო დადიოდა... ბოლო დროს სამნი დადიან ერთად. ეგ მაგიდა აქვთ ამოჩემებული. საოცარი კია, სულ შენი ძმა ლაპარაკობს... ისინი გაშტერებულებივით უსმენენ. საინტერესოა, რა აქვს ამდენი სალაპარაკო, მეც სიამოვნებით მოვუსმენდი.

— ლუდი მოიტანე, ლუდი მაინც დავლიოთ.

ავთანდილ ხარაბაძე ლუდის მოსატანად წავიდა.

დათო ბუბა ეშბაზე ფიქრობდა. დიდი ხანია ამ ქალზე აღარ უფიქრია. ახლახან გაახსენდა მხოლოდ და გუნება გაუფუჭდა, მოულოდნელი სევდით აივსო. სულ ეჩვენებოდა, რომ ეს ქალი შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო. ცხოვრებამ კუთხეში მიამწყვდია და მერმე ზურგი შეაქცია.

ამასვე ფიქრობდა საკუთარ თავზეც...

ერთხელ უცნაური სიზმარი ნახა: ვითომ უზარმაზარ მინის ჭურჭლად იქცა და მზით განათებულ შუშაბანდის კუთხეში იდგა. ბირამდე იყო სავსე მომწვანო წყლით. მომწვანო წყალში დასრიალებდა დიდი, გრძელფარფლიანი ოქროს თევზი. მარტოდმარტო დაცურავდა. დათო ტკივილივით გრძნობდა: მის სხეულში წრიალებდა უცხო არსება. ამავე დროს იმასაც გრძნობდა, რომ თევზისთვის თვითონაც უცხო სხეული იყო. ოქროს თევზი წუხდა, თავის დაღწევა უნდოდა, მაგრამ ამაოდ აწყდებოდა მინის გამჭვირვალე კედელს.

— ნახე, რა ლუდია, — თქვა ავთანდილ ხარაბაძემ მოსვლისთანავე, — ახალი კასრი გახსნეს.

— კიდევ ხომ არ დაგველია არაყი?

— არა, დღეს საღამოს უნდა ვიმუშაო... ახლა წავალ დავიძინებ და მერმე საქმეს შევუდგები.

— რას აკეთებ?

— ვთარგმნი.

— რას?

— დანტეს.

— დანტეს?

— ჰო, „ჯოჯოხეთს“.

— ენა იცი?

— კი.

— როდის ისწავლე?

— ექვსი წელი სხვა არაფერი მიკეთებია. მთელი სიჭაბუკე მაგას შევალიე.

— „ჯოჯოხეთი“ ხომ არის თარგმნილი.

— კი. წაგიკითხავს?

— არა. დავიწყე და ველარ დავამთავრე.

— ეტყობა ორი რომ თარგმნიდა... შიგადაშიგ კარგია... მაგრამ საქმე რა არის, იცი? — ისე უნდა თარგმნო, შენისთანა კაცი რომ დაიწყებს კითხვას, ბოლომდე წაიკითხოს.

— არსად არ მუშაობ?

— როგორ არა, საღამოს სკოლაში ვასწავლი ქართულს... პურის ფულად გვყოფნის მე და დედას, მეტი არც მინდა, ხანდახან შენსავით ვინმე თუ დამპატიჟებს...

— როდის მორჩები თარგმნას?

— ალბათ სამ-ოთხ წელიწადში.

— თუ გჭირდება, ფულს გასესხებ... მე სამყოფზე მეტი ფული მაქვს...

— მერმე როდის გადაგიხადო? — გაიცინა ავთანდილ ხარაბაძემ. — არა, არ მინდა... ვიცხოვრებ ისე, როგორც აქამდე მიცხოვრია, ტყუილად რატომ დავიდო ვალი?!

— როგორღაც შეურაცხმყოფელია, ავთანდილ, სალუდესთან წრიალი და ლოდინი, ვინ შეგიყვანს, ვინ დაგალევინებს ეს გრამ კონიაკს? ეგეც რომ არ იყოს, დროს ხომ გაკარგვინებს შინიდან გამოსვლა და ხეტიალი?

— რა თქმა უნდა.

— ფულს მოგცემ, რამდენიმე ბოთლი ერთად იყიდე, მოიმარაგე.

— მაგისთანა ფუფუნების უფლება, მართალი გითხრა, არა მაქვს.

— მაშინ, აქედან რომ გავალთ, მე გიყიდი... მთელი თვე რომ გეყოს...

— გმადლობთ, დათო, კარგი ბიჭი ხარ. შენ ყოველთვის კარგი ბიჭი იყავი, კეთილი.

დათოს ესიამოვნა მეგობრის ნათქვამი და დამშვიდდა. ამ სიმშვიდემ მერმე ჩააფიქრა: „იქნებ იმიტომ შევთავაზე ფული, რომ ასეთი რამ ეთქვა ჩემთვის. მის ნიჭსა და შრომისუნარიანობას ჩემი სიკეთე დაუპირისპირე. რადგან... რაღაც ხომ უნდა ჰქონდეს ადამიანს, ან ტალანტი, ან სხვა რამ? მე არაფერი გამაჩნია და ეს „სიკეთე“ — მეგობრისადმი ზრუნვა მოვიგონე“...

სკოლის მეგობრებმა მალე დატოვეს სალუდე. მირიანი თავის ამხანაგებიანად იქვე დარჩა.

ავთანდილ ხარაბაძემ არც ფული გამოართვა და არც კონიაკი აყიდვინა. მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და წავიდა. დათო მარტო დარჩა სმაურიან მოედანზე. ცოტა გაიარა,

მერმე ნატო ვაჩნაძის ქუჩას აჰყვა რუსთაველის პროსპექტი-საკენ.

აღმართზე მიმავალი ისევ სკოლის მეგობარზე ფიქრობდა. ავთანდილ ხარაბაძე რატომ ეგონა ყოველთვის ლოთი და არაფრის მაქნისი? ნუთუ მუდამ ასე ცდებოდა, ანდა ცდება ადამიანის შეფასებისას?

მერმე მოეჩვენა, რომ თვითონაა არაფრის მაქნისი. შემძვრალია სადღაც ჯურღმულში და უღირსი ადამიანები თავის ნება-სურვილზე ათამაშებენ...

მერმე უცებ გადაწყვიტა, ახლავე ენახა ის სახლი, რომელსაც აშენებდა ოდესღაც. ასეთი სურვილი რომ დაებადა, თვითონვე გაუკვირდა, რადგან დღემდე საბურთალოსკენ გახედვაც კი ეზიზღებოდა.

სახლი ისევე იდგა, როგორც მიატოვა. მეოთხე სართულისთვის ზემოდან აგურიც კი არ დაუდვიათ.

სამუშაოთა მწარმოებლად მაშინ დათოს მაგივრად გამოგზავნეს ბებერი ინდაური — გამოცდილი მშენებელი:

სულ ორი სართული იყო ასაყვანი, სულ ორი სართული.

ირგვლივ ყველაფერი დაერბიათ, გაეპარტახებინათ.

დათო სინანულით და გულისტკივილით შესცქეროდა მიტოვებულ შენობას, უფრო სწორად, შენობის ჩონჩხს. რატომ ეგონა, თითქოს ის ერთი ოთახი მეოთხე სართულზე მისი იყო? დაპირდნენ... ამ დაპირებაზე ახლა ეცინება, მაგრამ მაშინ სჯეროდა. ნამდვილად სჯეროდა, რომ ის ერთი ოთახი მეოთხე სართულზე მისი იყო.

მსუსხავმა ქარმა დაუბერა და სახეში შეაყარა მტვერი, დათომ სახე მოარიდა, დიდხანს ისრესდა თვალებს ხელისგულებით.

ფანჯრიდან მოჩანდა ღამეული სივრცე. ვარსკვლავებიანი სივრცე ოთახზე უფრო ნათელი იყო. ჭერიც უფრო ნათელი იყო, ჭერზე დაბორიალობდა მირიადობით ვარსკვლავი. რკინის აივანზე გასასვლელ კარიდან გაჩირაღდნებულ ქალაქს გასცქეროდა. ქალაქი ღამის რეიდზე მდგარ გაჩახჩახებულ ხომალდს ჰგავდა.

— მოგწონს? — დათოს გულით უნდოდა აქაურობა ციცინოს მოსწონებოდა.

— კარგია! — უპასუხა ციცინომ.

დათომ ირგვლივ შემოუარა სახლს, მერმე ნელ-ნელა აჰყვა დროებით დაგებულ ხის კიბეს... მეოთხე სართულზე ავიდა. ზევით ქარი უფრო მეტად მძვინვარებდა. გულის წამღებად ზუზუნებდა. დათომ პალტოს საყელო აიწია და ყური ჩამალა.

— საით გირჩევნია ყურება, თბილისისაკენ თუ წყნეთისაკენ?

— სულ ერთია... თუმცა, სჯობია თბილისს ვუყურო, ლამაზია, — უპასუხა ციცინომ.

ისინი ბურბუშელაში ისხდნენ და ქალაქს გასცქეროდნენ.

დათომ პიჯაკი გაიხადა. პიჯაკი ორივემ მოიხურა.

ბურბუშელა ისევ ეყარა ოთახში, ოდონდ ქარს აქეთ-იქით მიმოეფანტა. დათო მარტო იდგა და უმიზნოდ იხედებოდა ფანჯრიდან, საიდანაც წყნეთის ფერდობები მოჩანდა.

მერმე გამობრუნდა და ისევ დაეშვა ხის კიბეებზე.

— სად მივდივართ, დათო?

— შენ არ იცი, ხუთი-ათი წლის შემდეგ აქ რა იქნება.

— რა გვეჩქარებოდა, ჩვენც ათი წლის შემდეგ მოვსულიყავით.

დათო დაფიქრებული მიდიოდა მიწაყრილზე, ვიდრე შენობა თვალს მიეფარებოდა, ერთხელ კიდევ მოხედა.

სხვა ნაგებობათა და ამწეებს შორის ოთხსართულიანი შენობის ჩონჩხი იდგა.

საშინლად ციოდა.

დათო აიბუზა. თავი მთლიანად ჩარგო პალტოს საყელოში და თავისი გზით წავიდა.

ცხოვრება რაღაცას უმალავდა — დიდსა და მნიშვნელოვანს, თითქოს არ ენდობოდა.

„რა მოხდება ხვალიდან სამუშაოზე რომ არ გამოვცხადდე? უკვე აღარ შემიძლია იმ ჯურღმულში ჩასვლა. რა უნდა მოხდეს, არ წავალ... არ წავალ... არ წავალ... პლატონი და ნიკო გაგიჟდებიან. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ, ერთსაც და მეორესაც! ეგ კი არა, ამ სახლიდანაც უნდა წავიდე... რაც შეიძლება, მალე უნდა წავიდე!“

დათო უკვე კარგა ხანია ფიქრობდა ოჯახიდან წასვლაზე. პლატონის სიახლოვეს ვეღარ იტანდა. ვეღარ უძლებდა მოგონილ სიყრუესა და ენაბლუობას.

ყოველდღიურად სარდაფში ჩასვლაც გულს ურევდა. გულს ურევდა ყოველდღიური შეხვედრა შავ ნიკოსთან, დამპალი ტყავეულისა და საღებავების სუნი...

იმ ბნელ სარდაფში ერთადერთი ნათელი ყრუ-მუნჯი გოგონა იყო, რომელსაც ადგილობრივი წარმოების მწვანე ჟაკეტი ეცვა მუდამ. დიდი, წყლიანი თვალები ჰქონდა, კუპრივით შავი თვალები, მეტყველი...

გოგონა საათობით იდგა ხოლმე და აღტაცებული შესცქეროდა დათოს. სულ იმას ელოდა, რას დაავალებდა, რომ დავალება გასაოცარი მორჩილებითა და სიყვარულით მაშინვე შეესრულებინა.

— რა გინდა, ლაურა? გინდა რამე? — ეკითხებოდა დათო. — რაც გინდა, მთხოვე.

მაგრამ ლაურას არ ესმოდა დათოს ნათქვამი. სახე დაეძაბებოდა და ხელების მოძრაობით თხოვდა, გამაგებინე, რა მითხარიო.

ერთ დღეს დათოსთვის მოულოდნელი ამბავი დატრიალდა. როდესაც ლაურას ელაპარაკებოდა, საამქროდან გამოვარდა შავგვრემანი, ტანმორჩილი ვაჟი. ხელში ჩაბღუჯული ჰქონდა ტყავის საჭრელი ალესილი დანა. ასე გაცოფებული კაცი ჯერ არ ენახა.

შავგვრემანი ვაჟი დათოსთან მიიჭრა. გამწარებული რაღაცას ეუბნებოდა ხელების ქნევით. დათო მიხვდა: ემუქრებოდა, მერმე ვაჟმა ლაურას მოჰკიდა ხელი და ღონივრად მოიქნია საცოდავი, სუსტი გოგონა იატაკზე დაეცა.

დათომ წაქცეულისაკენ გაიწია, მაგრამ შავგრემანი ვაჟი გადაეღობა. დათოსაც ჰკრა ხელი და დანა მოუღერა. საამქროებიდან ხარაზები გამოცვივდნენ დანებითა და ჩაქუჩებით შე-

იარაღებულები. შავგვრემანი ვაჟი იქაურობას მოაცილეს, ლაურა წამოაყენეს და წაიყვანეს.

მერმე ყველა ერთად მიადგა დათოს, ყველა ერთად იქნეედა ხელებს, ყველა ერთად ცდილობდა ეთქვა დათოსთვის, თუ რატომ მოხდა ეს ამბავი. მერმე ყველანი ერთბაშად მოშორდნენ და საამქროებში შეიმალნენ. დათოს რისხვა და მუქარა დაუტოვეს.

მაგრამ დათო არც რისხვას, არც მუქარას არ შეუძრწუნებია. შეაძრწუნა მოულოდნელმა ზიზღმა, რომელიც მათ თვალებში დაინახა.

მუშებს დავალება მისცა და მაშინვე ამოვიდა სარდაფიდან.

მერმე დიდხანს ფიქრობდა იმ ზიზღზე, ასე დაუფარავად რომ მიაფრქვიეს სახეში. ეს დაუმსახურებელი და უსაფუძვლო ზიზღი აწუხებდა, გულს ტკენდა. ამ პატარა, სუსტი გოგონასადმი თავიდანვე სიბრალულით განიმსჭვალა და ეგონა, ერთგვარ მფარველობას გაუწევდა სათუთი და ნაზი დამოკიდებულებით. მართლაც, ერთხელ საკუთარ თავში აღმოაჩინა ლაურასადმი წრფელი, უანგარო, უფრო სწორად, დაძმური სიყვარული.

მერმე უნდობლობამ მაინც თავისი გაიტანა. არავინ დაიჯერა, რომ ეს იყო უანგარო ურთიერთობა და დათოსაც საკუთარი თავისადმი ეჭვი აღეძრა, რწმენა გაებზარა, მოეჩვენა, რომ ისინი მართალნი იყვნენ, რომ ამ წრფელსა და უზადო დამოკიდებულების მიღმა ქვეცნობიერად ანგარება იმალებოდა.

დათოს აღარ შეეძლო ამ ამბებზე ფიქრი. იგი თავის ფანჯარასთან იდგა და ქუჩას დასცქეროდა.

გარეთ თოვდა.

ირიბად ბარდნიდა.

დედა და თეონა სამზარეულოში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

ყრუ კედელზე, იქ, სადაც ერთი აგური იყო გამოვარდნილი, აბუზული ბეღურა იჯდა. მოწყენილი უმზერდა თოვას.

„ესთერ, ესთერ, მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

ფანჯარას მოშორდა. ოთახში აღარ იდგა მირიანის საწოლი. დაშალეს და სადღაც გაიტანეს.

სამზარეულოში ისევ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ დედა ღა

თეონა. დათო ყურს არ უგდებდა და მხოლოდ ხმაური ესმოდა.

დათომ არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ეს უქმად ყოფნა ტანჯავდა.

შუშაბანდში გავიდა. უცებ გაახსენდა, რომ დღეს ოცი დეკემბერი იყო.

— თეონა, — გასძახა დას, — დღეს რა რიცხვია?

— ოცია. ისიც გითხრა, რა თვეა?

ოც დეკემბერს, დღის პირველ საათზე, უნივერსიტეტში დისერტაციას იცავდა ნოდარ ნიჟარაძე.

ღმერთო, როგორ დაავიწყდა.

საათზე დაიხედა, ხუთი სრულდებოდა. ექვსზე რესტორან „თბილისში“ ბანკეტი ექნება. უხერხული არ არის, დისერტაციაზე არ ყოფილა და ბანკეტზე მივიდეს?

— სულ შენი ბრალია, — თქვა თეონამ.

— რა არის ჩემი ბრალი? — გაოცდა დედა.

— შენი ბრალი ის არის, რომ სანახავად ვეღარ მივდივარ, ყველანი მივიდნენ, ჩემს გარდა.

დათომ სმენა დაძაბა.

— უსათუოდ უნდა მიხვიდე, თეონა...

— როგორღა მივიდე დედა... მრცხვენია, მეუხერხულება. არაფერიც არ მოხდებოდა ბუბა მასწავლებლის კლასში რომ დავრჩენილიყავი.

— რა ვიცი. მაშინ რატომღაც ავღელდი.

— ამბობენ, ძალიან ცუდად არისო.

— უსათუოდ მიდი, შვილო, ინახულე...

დათომ სწრაფად გპიარა შუშაბანდი და სამზარეულოს კარი შეაღო.

— სად უნდა წავიდეს? — ჰკითხა დედას.

— ბუბა მასწავლებელთან. — დედის ნაცვლად თეონამ უპასუხა.

— შენ არა გაქვს იქ მისვლის უფლება და არც წახვალ!

დედამ და შვილმა კარტოფილის ფცქვნას თავი მიანებეს და გაოცებულებმა შეხედეს დათოს.

— ვინ გითხრა, რომ უფლება არა მაქვს?

— მე გეუბნები. — დათო ახლა დედას მიუბრუნდა. — აკი სხვა კლასში გადაიყვანე?! შენ არ აუკრძალე ბუბასთან სიარული?!

— მაშინ სხვა იყო...

— მას შემდეგ არაფერი შეცვლილა.

დედა სახეზე წამოწითლდა. სიბრაზემ თვალებში გამოჟონა.

— მართალია, მე ავუკრძალე, რომ იცოდე, სწორედაც მოვიქეცი.

— თუ ეგრეა, ნურც ახლა მისცემ იქ მისვლის ნებას.

— ეგ არ არის შენი საქმე!

— ძალიან ცუდად მოექეცით იმ ქალს. მაინც რა ჩაიდინა ასეთი?! ქმარს გაეყარა! იქნებ აღარ შეეძლო იმ ქმართან ცხოვრება. — დათო ერთი წამით შეყოვნდა. მერმე ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით თქვა: — იცი რა... მართალი გითხრა... ზოგიერთმა ქალმაც ვერ უერთგულა ბოლომდე თავის ქმარს, ვერ შეინახა ქმრის სიყვარული...

— ვის გულისხმობ?

— რა ვიცი... ისე ვთქვი... სხვათა შორის.

დედა რაღაცას ამბობდა. მაგრამ დათო ყურს აღარ უგდებდა. თავის დას მიშტერებოდა. თეონა სახეშეცვლილი ეჩვენა. ცხვირი და ტუჩები ცოტათი წამოსიებოდა და საშინლად დამსგავსებოდა პლატონს. დის სახეზე აქამდე ამგვარი ცვლილება არ შეუმჩნევია და უკვირდა, განსაკუთრებით გაუკვირდა ის, რომ თეონასა და პლატონს შორის მოულოდნელად დიდი მსგავსება აღმოაჩინა.

დათო როდესაც შინიდან გამოვიდა, დარწმუნებული იყო, ნოდარ ნიჟარაძის ბანკეტზე მიდიოდა. რა თქმა უნდა, დააშავა, დისერტაციის დაცვას რომ არ დაესწრო, მაგრამ თუ ბანკეტზეც არ მივიდოდა, ეს უკვე მეორე დანაშაული იქნებოდა.

ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. თოვლის დიდ ბაბუას აკეთებდნენ.

ხრახნილი კიბით ზურიკო ჩამოდიოდა. ცალი ხელი რკინის მოაჯირისათვის ჩაეკლო, მეორე ხელით თოვლის გუნდა მიეხუტებინა მკერდზე.

— ოჰ... გამარჯობა ზურიკო!

— გაგიმარჯოს, ძია დათო!

— სად დამეკარგე, ბიჭო? შეიძლება მეგობრის ასე დავიწყება?!

— სოფელში ვიყავი.

— ამდენი ხანი?

— კი, ბებია მომიკვდა. — ზურიკომ ჩამოათავა კიბე და პირდაპირ ბავშვებისაკენ გაეშურა.

დათო მობრუნდა და თვალი გააყოლა პატარა ბიჭს. არაფრით არ ეგონა, თუ ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ ასე ცივად შეხვდებოდა ზურიკო.

— ზურიკო! — დაუძახა დათომ.

პატარა ბიჭი მოტრიალდა.

— მოდი აქ, ზურიკო.

ზურიკო ადგილიდან არ დაძრულა, თოვლის გუნდა ახლა ორივე ხელით ეჭირა. ხელებზე მწვანე თათმანები ეცვა.

— ხვალ საღამოს ამოდი ჩემთან, კარგი?

ბავშვმა გაიღიმა. დათომ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს ღიმილი. ბავშვის ღიმილით ვერ განსაზღვრავდა, ზურიკო ავიდოდა თუ არა ხვალ საღამოს დათოსთან.

ტროტუარებზე თოვლი დატკეპნილი და მოლიპული იყო და სიარული ჭირდა, მით უმეტეს, დაღმართზე. გარეთ ყოფნა მაინც სასიამოვნო იყო. სასიამოვნო იყო ამ კრიალა და სუსხიანი ჰაერით სუნთქვა.

„რა ეშველება ამ ბიჭს?.. რა ეშველება?.. თუ ბებია აღარა ჰყავს, ვიღა მოუვლის?..

ნორა ცხოვრების ნახევარს გასტროლებზე ატარებს. სად უნდა ათრიოს ეს ბავშვი?“.

დათო ფრთხილად მიდიოდა მოსრიალებულ თოვლზე. ეშინოდა დაღმართზე არ დაცემულიყო. „მაინც რატომ შემხვდა ასე გულგრილად ზურიკო?.. ეგებ თოვლში თამაში უფრო უხაროდა, ვიდრე ჩემთან შეხვედრა... ნორა მაინც მენახა სადმე, გავიგებდი, რას უპირებს ამ ბავშვს?!“

ნორამ უცებ გადაიხადა საბანი და შიშველმა სხეულმა გაიელვა.

ლაღიძის წყლებთან ჩავიდა დათო და რუსთაველის პროსპექტს მარჯვნივ გახედა. დათომ ახლალა აღმოაჩინა, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნოდარ ნიჟარაძის ბანკეტზე მისვლისა. „რა მოხდება ახლა ბუბასთან რომ მივიდე? არადა, რა

საბაბით მივაკითხო?“ დათო ისევ აჰყვა ქუჩას და კონსერვატორიის წინ დაიწყო წრიალი. მეორე სართულიდან მომღერალი ქალის გამყივანი ხმა მოისმოდა. კონსერვატორიის კარი შეაღო და შევიდა. სკამზე მთვლემარე დარაჯის გარდა ვერავინ ნახა.

— კანცელარიაში თუ არის ვინმე? — ჰკითხა ბერიკაცს.

— ყველა წასულია, ვინ გინდოდათ?

— მინდოდა გამეგო ბუბა ეშბას მისამართი.

— ბუბა ავად არის. მარჯანიშვილის მოედანზე ცხოვრობს, ნომერი არ მახსოვს. ერთხელ ვიყავი, დირექტორმა გამაგზავნა, აი, დიდი სახლი რომაა, აფთიაქის თავზე...

— გცოდნიათ და ეგ არის!.. მადლობელი ვარ.

დათოს მოეჩვენა, თითქოს იცოდა ბუბა რომ მარჯანიშვილის მოედანზე ცხოვრობდა. იცოდა და მერმე დაავიწყდა. ხოლო ახლა ისევ გაახსენდა, როცა ბერიკაცმა უთხრა.

თოვლი მხოლოდ პროსპექტის ტროტუარებზე იდო. მანქანები ბორბლებს ქვემოდან ტალახიან თოვლ-ჭყაპს აშხეფებდნენ. თოვლ-ჭყაპი სიცივის შეგრძნებას ამძაფრებდა. ახლა თითქოს სიცივე ნოტიო იყო და ძვალსა და რბილში ატანდა.

რატომ მოეჩვენა, თითქოს იცოდა ბუბა ეშბა რომ მარჯანიშვილის მოედანზე ცხოვრობდა? ანდა ერთხელ, ნოდარ ნიჟარაძისაგან წამოსული, შუაღამით, მთვრალი, რატომ დაბოდიალობდა იმ სახლთან? დათოს აღარ ახსოვდა, სად დაშორდა მაშინ ჯიმშერ ქალდანს. როცა ცოტათი გონს მოვიდა, აღმოჩნდა, რომ მარჯანიშვილის მოედანზე იდგა ხეს მიყრდნობილი.

დათომ რუსთაველის პროსპექტი გადასჭრა და ოპერის თეატრისაკენ წავიდა ჩქარი ნაბიჯით.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან ბევრი ხალხი ირეოდა.

ისევ მოვიდა № 3 ტროლეიბუსი და ამჯერადაც ვერ მოახერხა ბუბამ ასვლა.

— ბუბა!

ბუბამ გვერდზე მოიხედა.

დათომაც გვერდზე მოიხედა. ჯერ ეგონა, უნებურად ხომ არ წამომცდა ბუბას

სახელიო და შეკრთა. მაგრამ მეორედაც გაიგონა იგივე ძახილი:

— ბუბა!

ბუბასთან მივიდა შუა ხნის, ჭაღარა მამაკაცი. ქალს აშკარად შეატყო, არ ესიამოვნა ჭაღარა მამაკაცის დანახვა...

ტროლეიბუსში გაჭირვებით ავიდა დათო. უკან მონახა დასადგომი ადგილი და კონდუქტორს ფული გადააწოდა. ისევ ზურიკო და ნორა გაახსენდა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ნორას გახსენება სევდას გვრიდა, ეჩვენებოდა, რომ იმ ღამეს მოტყუებული და გაძარცული გამოვიდა ნორას სახლიდან...

ტროლეიბუსმა ნახევარწრე შემოხაზა მოედანზე და გაჩერდა.

როდესაც დათო სადარბაზო შესასვლელში შევიდა, აღელდა, მუხლებმა უმტყუნა და კინაღამ ჩაიკეცა. „კაცმა რომ თქვას, რატომ მივდივარ ახლა ბუბასთან". დათოს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ბუბა ავად იყო.

პირველი სართული აიარა, მეორე... მესამე...

მეოთხე სართულზეც სამი კარი იყო. მხოლოდ ერთ კარს არ ეწერა გვარი და სახელი. დათომ გადაწყვიტა, ნამდვილად აქ ცხოვრობს ბუბა ეშბაო..უფრო ახლოს მივიდა კართან, წარწერა შეამჩნია. კარზე ფანქრით მიეწერა ვიღაც ანიკოს: „ბუბა, ვიყავი შენთან და არ დამხვდი. 10.6". ზოგჯერ რა სასაცილოები არიან ადამიანები... „არ დამხვდი"... თითქოს უამისოდ ვერ მიხვდებოდა ბუბა, რომ ანიკოს მისვლისას შინ არ იყო.

უკან გამობრუნება უკვე აღარ შეეძლო. ზარის ღილაკს თითი დააჭირა... ნეტავი გამოცელილია თუ არა ბუბა?..

კარი ჭაღარა მამაკაცმა გაუღო.

— ვინ გნებავთ?

დათომ ჭაღარა მამაკაცი იცნო და დაიბნა. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

— ვინ გნებავთ ყმაწვილო?

— ბუბა ეშბა.

— ბუბა აქ აღარ ცხოვრობს.

დათომ შეკითხვისათვის ძალა მოიკრიბა.

— ხომ ვერ მეტყვით, ახლა სად ცხოვრობს?

— ეგ არ ვიცი... მაგრამ იმას კი გეტყვით, ახლა სად არის... ბუბა ავადაა, საავადმყოფოში წევს...

დათო ისე დაეშვა კიბეებზე, როგორც სიზიფე, რომელსაც მწვერვალამდე ატანილი ლოდი პირველად დაუგორდა...

საბანკეტო დარბაზი გაჩირაღდნებული იყო. დათოს გამოჩენას ყიჟინით შეეგებნენ მეგობრები. მათ უზარმაზარი სუფრის ერთი კუთხე ეკავათ. დანარჩენ სუფრას დათოსთვის უცხო ადამიანები უსხდნენ.

დათო ნოდარს გადაეხვია და გადაკოცნა, მერმე მოუბოდიშა, დისერტაციის დაცვაზე რომ ვერ მოახერხა მისვლა.

ნოდარმა მხიარულად გადახვია ხელი და სუფრას წარუდგინა:

— ჩემი სკოლის მეგობარი — მშენებელი ინჟინერი დათო ნათიშვილი!

ოთარ სალაყაიასა და გელას შორის ჩასვეს, მაგიდის გარშემო ისხდნენ ყველა ასაკის მამაკაცები და ქალები. მამაკაცების უმრავლესობა უკვე შეზარხოშებული იყო და სიმღერას მოითხოვდა. სამი ვაჟი ერთმანეთს ხმას უწყობდა. ეტყობა, მობანკეტეთა სიმღერის იმედი ამ სამ ვაჟს უნდა გაემართლებინა. გაღაჟღაჟებულმა, პირმსუქანმა თამადამ ჩანგალი შემოჰკრა ბოთლს, საზოგადოებას წესრიგისაკენ მოუწოდა. მერმე წამოდგა, შემოსწრებული ექსტრად ადღეგრძელა, უსურვა პირად ცხოვრებასა და საქმეში წარმატება. ყველამ ერთხმად შესვა დათოს სადღეგრძელო. მერმე თამადამ დიდი ყანწი მოითხოვა, პირამდე გაავსო ღვინით და დაგვიანებისათვის დათო დააჯარიმა.

ყანწი გადმოაწოდეს. „რა დალევს ახლა ამხელა ყანწს?! სისულელე არ იყო ახლა აქ მოსვლა?!“ დათო ღვინის დასალევად მოემზადა, ყანწს ჩახედა და ღრმად ამოისუნთქა... „ბარბაროსობაა, აბა რა არის?!“ ნელ-ნელა შეუდგა სმას...

...თოვლითა და მზით განათებულ პალატაში ბუბა მარტო იწვა. პალატა თეთრი და სუფთაა ქაღალდივით. დათომ შესვლისთანავე შენიშნა წითელი მიხაკები, რომლებიც სასთუმალთან მდგარ მაგიდაზე ეწყო. მაშინვე ინანა ხელცარიელი რომ მოვიდა.

ბუბამ გაიცებით შეხედა შემოსულს.

— გამარჯობათ, ბუბა.

— ოჰ, დათო... კინაღამ ვერ გიცანით.

— როგორა ხართ?

— აქ საიდან გაჩნდით, დათო...

— გავიგე, ავად ყოფილხართ და სანახავად მოვედი.

— რატომ წუხდებოდით?!

— რა შეწუხებაა. მე ისე მინდოდა თქვენი ნახვა... სახლშიაც კი მოგაკითხეთ... მაგრამ იქ თურმე აღარ ცხოვრობთ.

— კი... კარგა ხანია იქიდან გადავსახლდი.

— როგორა ხართ, ბუბა, თავს როგორ გრძნობთ.

— ვერც მე, ვერც ექიმებმა, ვერაფერი გავუგეთ ჩემს ავადმყოფობას... მგონი, კარგად არ უნდა ვიყო... ფეხზე რატომ დგახართ, დათო, სკამი მოიდგით და დაჯექით.

დათომ საწოლთან მიიდგა სკამი და დაჯდა, ბუბას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დათო ამ სახეს უშუალოდ კი არა, წყალში არეკლილს ხედავდა. ბუბა მკრთალად იღიმებოდა.

— თქვენ ალბათ ჩვენს ოჯახზე ნაწყენი ხართ.

არა... არა... უფრო სწორად, ვიყავი და წყენამ უკვე ვადამიარა. მირიანი კიდევ უარს ამბობს, პირველ სკოლაში არ მისწავლიაო?

— დღემდე ვერ მივხვდი, ბუბა, მირიანმა რატომ უარყო...

— მე ვიცი... — შეაწყვეტინა ბუბამ, — სხვა დროს გეტყვი... ახლა არ მსიამოვნებს გახსენება.

— ძალიან ბევრს ვფიქრობდი თქვენზე.

— მართლა?

— იცით რა, როდესაც თქვენზე ვფიქრობ, რაღაცნაირად ვიცვლები ხოლმე, ასე მგონია, უფრო კეთილი ვხდები, გულახდილი, რასაც მანამდე ვმალავდი, მინდა მთელ ქვეყანას გავანდო.

დათო ცოტახანს შეჩერდა და ჩაფიქრდა. იგრძნო, მთელი პალატა მიხაკების სურნელით იყო გაჟღენთილი და ეს სურ-

ნელი იქაურობას იერს უცვლიდა. პალატას ნათელი ფერი ეღვრებოდა...

დათო აღტაცებულმა შეძახილებმა და ტაშისცემამ გამოარკვია, დაცლილი ყანწი ტუჩებიდან მოიშორა და ისევ თამადას დაუბრუნა.

— საშმელი მიართვით! — ბრძანა თამადამ.

— დაჯექი და რამე შეჭამე, შე უღმერთო, — უთხრა გელამ. — რამ დაგალევინა ამხელა ყანწი.

დათო დაჯდა. შექების შეძახილებითა და ღვინით გაბრუებულმა სუფრას გადახედა.

— რომ იცოდე, უკვე მთვრალი ვარ.

— აბა რა იქნები. აქ ვერც ერთმა ვერ დალია ეგ ყანწი და შენ გამოგიჭირეს... —გელამ მოხარშული ბეჭის მოზრდილი ნაჭერი გადმოუღო დათოს. მერმე ტყემალი მიაწოდა.

— უნივერსიტეტში რატომ არ მოხვედი? — ჰკითხა ოთარ სალაყაიამ.

— გვიან გამახსენდა, დღეს რომ ოცი იყო.

— პირდაპირ სუფრაზე მოსვლა, რასაკვირველია, სჯობია.

— აცალე ახლა ჭამა, — შეუტია გელამ. — მოკვდება ეს საწყალი, თუ რამე არ დააყოლა.

— როგორ დაიცვა დისერტაცია?

— ბრწყინვალედ! — ერთგვარი ღირსებითა და სიამაყით უპასუხა გელამ. — თუ იმის ნახევარი მაინც მართალია, რაც იქ თქვეს, გენიოსი ყოფილა, ძმაო.

— თავიანი ბიჭი რომაა, მაგას არ უნდა ლაპარაკი. —დაუდასტურა ოთარ სალაყაიამ.

დათოს ოთარ სალაყაია და გელა ამარაგებდნენ საშმელებით. გამწარებული ჭამდა, თან გრძნობდა, ღვინო მოერია და საშმელი ვერაფერს უშველიდა.

სუფრის ერთ კუთხეში სიმღერა წამოიწყეს.

გელამ მხარი გაჰკრა დათოს და გადასჩურჩულა.

— ეგ არის, შენს წინ რომ ზის.

— ვინა?

— ციცინოს საქმრო.

— რომელია?

— შენს წინ რომ ზის, ცოტა მარჯვნივ.

— მელოტის გვერდით.

— არა, თვითონ მელოტი. ამას წინათ ნიშნობა ჰქონიათ, ახალ წელს დაქორწინდებიან.

— ეგ ხომ უკვე მითხარი.

— მაყრად არ წაჰყვები?

— ჩვენს დროში ნიშნობა ცოტა სასაცილოა.

— მაგათ ძველი ყაიდის ოჯახი აქვთ... ტრადიციების მუზეუმია. ვერა ხედავ რა სერიოზულობით ეკიდება ყოველ სადღეგრძელოს... დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

— ალბათ იდიოტია!

— რა თქმა უნდა.

— ისე, რა კაცია?

— კანდიდატია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა... მე მაინც ვერ გავიგე, რატომ დაშორდით?

— რაღა დროს ეგ არის.

— გული არ გწყდება?

— რა მნიშვნელობა აქვს მწყდება თუ არა... მეცოდება ციცინო მაგ იდიოტის ხელში... თუმცა რა, გათხოვება უნდოდა და გათხოვდა.

— არა, ბიჭო, შენ გადაგყვებოდა.

— აქ საიდან მოხვდა ეგ ბითური?

— მართალი გითხრა, არ ვიცი...

უცებ ჯიმშერ ქალდანი წამოდგა და თამადას ერთი სადღეგრძელოს თქმის უფლება სთხოვა. თამადამ უარი უთხრა. ჯიმშერი გაწითლდა, გასივდა და ბურდღუნით დაჯდა თავის ადგილზე.

— ეს ვიღაა? — ჰკითხა დათომ გელას და მიუთითა პირდაპირ მჯდარ მთვრალ კაცზე, რომელიც უკვე მთელი საათი განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა ქერა ქალიშვილს.

— ეგ მწერალია... ს-ი.

— მე უფრო ახალგაზრდა მეგონა.

— ამ ბოლო ხანებში გაჭაღარავდა, ისე ახალგაზრდაა...

— მერმე თმას ვერ შეიკრეჭს და დაივარცხნის, ბუს რომ დამსგავსებია?! ეგ საიდანღა მოხვდა აქ?

— ჯიმშერმა მოიყვანა.

— მეტს აღარ დაელევ, საშინლად დავთვერი, — დათომ თავი მიაბრუნა და ავთანდილ ხარაბაძის მოწყენილ სიფათს წააწყდა. — ავთანდილიც აქ ყოფილა.

— კი, აქ არის.

დათო ოთარ სალაყაიას მიუბრუნდა:

— ოთარ, თუ ძმა ხარ, მითხარი, შენს განყოფილებაში ხომ არ წევს ვინმე ბუბა ეშბა.

— არა!

— როგორ გავიგო, სად წევს ეგ ქალი?

— ძალიან გინდა?

— ძალიან.

— ხვალ 12 საათზე დამირეკე და გეტყვი.

— მართლა დაგირეკო?

— თუ არ დაგეზარება, გამოიარე.

— კარგი, გამოგივლი, ახლა ავდგები და წავალ... დავთვერი... მშიერ გულზე არ უნდა დამელია... წავალ, თორემ შემომელახება ეგ იდიოტი... რა გაბღენძილი ზის.

— სად უნდა წახვიდე, — უთხრა ოთარ სალაყაიამ, — ვერა ხედავ, ის გოგოები როგორ გიყურებენ, თვალებით შეგჭამეს... მაინც რა ლამაზი ხარ, შე ოხერო!

— მე ვარ ლამაზი? — გაეცინა დათოს და გახედა გოგოებს, რომლებიც მისგან ხელმარცხნივ ისხდნენ. გოგონები მართლაც გულუბრყვილო აღტაცებით მიჩერებოდნენ დათოს.

— თუ გული გეუბნება, წადი, — გადაულაპარაკა გელამ,— მართლა არ ატეხო ერთი ამბავი, სირცხვილი არ აჭამო ნოდარს!

თამადა სადღეგრძელოს წარმოსათქმელად წამოდგა, ხელში ღვინით სავსე დიდი ბროლის ჭიქა ეჭირა.

სიმღერა შეწყდა.

ნოდარ ნიჟარაძე რატომღაც ოფიციანტებს გაჰყვა.

— ნოდარის დედა არ ყოფილა? — იკითხა დათომ.

— კი, იქაც იყო და აქაც... შენს მოსვლამდე წავიდა... ალბათ დაიღალა.

თამადა გაშეშებული იდგა. მოთმინებით ელოდა ხალხის დაწყნარებას.

ბუბა გულაღმა იწვა. თვალები დახუჭული ჰქონდა. ფრთხილად სუნთქავდა. ავადმყოფს ალბათ ჩაეძინა, დათო სკამზე გაქვავებული იჯდა და არ ინძრეოდა. ეშინოდა ძილი არ დაეფრთხო ბუბასათვის. საბანზე ხორბლისფერი მკლავები მოწყვეტით ეყარა. ბავშვივით ძილში გაეღიმა ბუბას და ტუჩები შეერხა. მერმე თვალები გაახილა და იკითხა:

— მეძინა?

— მე მგონი, გეძინათ.

— დიდი ხანია მძინავს?

— არა... სულ ოთხი-ხუთი წუთი იქნება.

— კარგი სიზმრები ვნახე.

— ალბათ, ძილში იღიმებოდით.

— მართლა?

დათომ თავი დაუქნია და თვითონაც გაიღიმა.

— მგონი სიცხემ დამიკლო... უკეთესად ვგრძნობ თავს.

დათო გადაიწია და მაჯაზე შეავლო ხელი. სკამი უფრო ახლოს მისწია საწოლთან. მერმე დაიხარა, შუბლზე ლოყა დაადო ბუბას, ხელიც და შუბლიც ცხელი ჰქონდა. უფრო მეტად— შუბლი, საშინლად უხურდა.

— დედაჩემი ასე მატყობდა ხოლმე ბავშვობაში, მქონდა თუ არა სიცხე, — უთხრა დათომ.

— თქვენ როგორ ატყობთ, მაქვს სიცხე?

— ცოტათი, — იცრუა დათომ. ბუბას ხელისგული ტუჩებთან მიიტანა და აკოცა...

— რამ გამოგაშტერა, — უთხრა დათოს ოთარ სალაყაიამ, — მიაქციე იმ გოგოებს ყურადღება... დაწყდნენ შენი ცქერით, თვალები ამოიღამდათ.

ციცინოს საქმრომ ცარიელი ბოლის ჭიქა მიაწოდა დათოს და სადღეგრძელოს შესმა სთხოვა.

დათომ ჭიქა გამოართვა და სანამ მელოტი სასიძო სკამზე დაჯდებოდა, ჰკითხა:

— იცით თუ არა თქვენ, ვერის ხიდის მახლობლად, ერთ ჩიხში, გდია უზარმაზარი ლოდი, ზედ, ტრადიციის მიხედვით, მიჯნურები სხდებიან რამდენიმე საათით. ქვა ჯდომისაგან გაუცვეთიათ, რაც იმას ამტკიცებს, რომ დიდი ხნის უნდა იყოს...

— რამე წარწერა თუ აქვს? — იკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა.

— სამწუხაროდ, მგონი, არ უნდა ჰქონდეს.

— აბა, უბრალო ლოდი ყოფილა.

— მეც ასე ვფიქრობდი, როგორც ჩანს, შეიძლება საამშენებლო მასალად გამოვიყენოთ.

— შეუმოწმებლად ნუ გამოიყენებთ... ეგების მართლაც ჰქონდეს ისტორიული მნიშვნელობა.

— კი, ბატონო, ეგრე მოვიქცევით. — დათომ ცარიელი ჭიქა ღვინით შეავსო და გელას ჩურჩულით ჰკითხა, — ვისი სადღეგრძელო დალიეს?

— დაჯექით, რა ფეხზე დგახართ! ბრძანა თამადამ.

— დაჯექით კი არა, დასხედით, რეგვენო! — ჩაიბურდღუნა ჯიმშერ ქალდანმა.

დ ა თ ო: ხომ კარგი ვქენით, რომ წამოვედით?

გ ე ლ ა: აღარ მოეშვი იმ კაცს და რა მექნა?!

დ ა თ ო: ძალიან გავუჭირე, არა, საქმე?

გ ე ლ ა: ისიც კაი ვინმე ყოფილა, ყველაფერზე სერიოზულად გპასუხობდა. მაინც რას ერჩოდი, რა მაგის ბრალია?

დ ა თ ო: ციცინოზე ვარ ნაწყენი და გაბრაზებული... თუმცა არც ისე... იცი რა, გელა, მე უკვე შევეჩვიე, რომ არავის ვუყვარვარ.

გ ე ლ ა: კარგი ახლა, ნუ ამატირებ. იქნებ შენ შეაჩვიე სხვები, რომ არავინ გიყვარს.

დ ა თ ო: ვითომ არ მიყვარდა ციცინო?

გ ე ლ ა: მაგას ახლა ვერ გამოარკვევ... ალბათ არ გიყვარდა. ისე რატომ დაშორდებოდი?!

დ ა თ ო: მეც ეგ მიკვირს. იმ ღამის შემდეგ, ნიჩბებით რომ გამლახეს, რაღაც მოხდა ვერ გამიგია.

გ ე ლ ა: თუ ძმა ხარ, ყველაფერს ნუ ართულებ... მოვლენებს უფრო მარტივად უნდა შეხედო.

დ ა თ ო: გელა... იცი რა, გელა, ხანდახან მეჩვენება, საკუთარი თავი დავკარგე და ვეღარ ვპოულობ.

გ ე ლ ა: რას დაკარგავდი, რაც არ გქონია.

დ ა თ ო: შენ ხუმრობ და მართლა ეგრეა. მართლა ვეძებ

ჩემს თავს... ხანდახან ვამჩნევ, რომ ჩემში რაღაც არის ჩემზე უფრო ძლიერი და არ მემორჩილება...

გ ე ლ ა: მაგალითად, ახლა შენში შენზე უფრო ძლიერია ღვინო... რას იცინი... ეგრე არ არის?

დ ა თ ო: დაახლოებით ეგრეა.

გ ე ლ ა: აუხვიე ახლა და წადი... გინდა, სახლამდე მიგაცილო?

დ ა თ ო: არა, მე თვითონ წავალ... გელა, გიყვარს უკაცრიელი ქუჩა, ქუჩაში შენს მეტი რომ არავინაა?

გ ე ლ ა: გაგიჟებით მიყვარს!

დ ა თ ო: ესეც შენი თბილისური თოვლი! გაქრა, აღარ არის! უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე საათით მოდის ხოლმე... წავედი ახლა... წავალ და დავიძინებ... შენ რას იზამ?

გ ე ლ ა: მეც წავალ და დავიძინებ, დავიღალე.

დ ა თ ო: მოიცადე, რა გეჩქარება, ერთხელაც არ გაუცინია... ალბათ ჰგონია, თუ გაიცინა, სამეცნიერო ხარისხს დაჰკარგავს.

გ ე ლ ა: წაიკითხე დღევანდელი გაზეთები?

დ ა თ ო: არა.

გ ე ლ ა: ომის ვეტერანთა თათბირზე მიდის შენი ძმა მოსკოვში, დელეგაციის ხელმძღვანელია.

დ ა თ ო: ეგეც ვერ გამიგია.

გ ე ლ ა: რა?

დ ა თ ო: რატომ ვეჯავრები მირიანს.

გ ე ლ ა: ეჯავრები კი არა, ის არ გინდა...

დ ა თ ო: რაღაც ვერ მაპატია... მე ვიცი რა... მაგრამ თქმა მიჭირს, არა, არ მიჭირს, უბრალოდ ვერ ვახერხებ იმის გამოთქმას... ვგრძნობ, ჰო, ვგრძნობ...

გ ე ლ ა: შენ გეჩვენება, დათო.

დ ა თ ო: ამ ორი დღის წინათ სალუდეში ვნახეთ მე და ავთანდილმა, ზედაც არ შემომხედა... როდის მიდის მოსკოვში?

გ ე ლ ა: თუ არ ვცდები, ხვალ მიდიან.

დ ა თ ო: ან გაზეთი, ანდა სხვა მატყობინებს მირიანის ამბებს... ბავშვობაში ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, სულ ერთად ვიყავით... ხვალიდან სამუშაოს ძებნას ვიწყებ, გელა... შემეცოდა ჩემი დაწყებული მშენებლობა... ისევ ისე დგას

სახლი, როგორც დავტოვე, ერთი აგურიც კი არ მიუმატებია-ათ... აღარ მისმენ, გელა? მოგწყინდა უკვე ჩემი წუწუნი?

გ ე ლ ა: არა, დავიღალე, მეძინება.

დ ა თ ო: ყოველთვის ეგრეა.... როცა რაიმე ტკივილის გამ-ხელას იწყებ, მეგობრებს ეძინებათ ხოლმე... მაგრამ... მეც ერთს გეუბნები და მეორეზე ვფიქრობ. გახსოვს ბუბა?

გ ე ლ ა: კი, როგორ არ მახსოვს... ძალიან ცივა, ფეხები გა-მეყინა.

დ ა თ ო: წავედი... ნახვამდის, გელა...

გ ე ლ ა: ნახვამდის.

ისინი ლაღიძის წყლებთან დაშორდნენ ერთმანეთს და თავ-თავიანთი გზებით წავიდნენ.

დათო აღმართს შეუდგა.

„ასე გვიან რომ არ იყოს, ნორასთან ავიდოდი. გავიგებდი, რა დაემართათ, რას აპირებენ. ალბათ ზურიკოს საბავშვო ბაღ-ში მიაბარებს?.. საბავშვო ბაღი რას უშველის? ნორა სწო-რედ საღამოობით არის დაკავებული... რა ეშველება ამ ხალხს?!‘

ეზოში შესვლისთანავე შეამჩნია, ნორას არ ეძინა: შუქი ენთო. ხრახნილი კიბით გაეშურა მეორე სართულისაკენ.

ყვავილების მაღაზიაში მიხაკები იყიდა და ბუბასთან წავი-და. ბუბა ახალგაღვიძებული დახვდა, კარგ გუნებაზე იყო, დამ-შვიდებული სახე ჰქონდა.

ყვავილები მაგიდაზე დააწყო დათომ და სკამი საწოლთან დაიდგა.

— გუშინ რომ წახვედი, — უთხრა ბუბამ — საშინელი სიმა-რტოვე ვიგრძენი. კიდევ კარგი, ცოტა ხნის შემდეგ შენი მეგო-ბარი ექიმი შემოვიდა, ბევრი მაცინა თქვენი ბავშვობის ოინები მიამბო. როცა ვუთხარი, მეც პირველ სკოლაში ვსწავლობდი-მეთქი, გაგიჟდა. ოღონდ ვერაფრით გამიხსენა.

— მეც ბევრს ვფიქრობ და ვერ ვახერხებ გახსენებას, სკო-ლაში არ მახსოვხარ, ბუბა.

— ოთხი კლასით წინ ვიყავი. ცოტა კი არ არის ოთხი წელი.

— სიცხე გაიზომე?

— კი, თითქმის არა მაქვს... შენ წარმოიდგინე, დღეს ძალიან

კარგად ვგრძნობ თავს. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ მალე გამოვეწერები.

— მთავარია, მორჩე. რა მნიშვნელობა აქვს, როდის გამოეწერება, მე სულ შენთან ვიქნები, აღარ მოგაწყენ. დღეიდან მაინც თავისუფალი ვარ, სამუშაოდ აღარ წავედი.

— რატომ?

— აღარ შემიძლია, ბუბა... ყოველ დილით, შინიდან ისე გავდიოდი, თითქოს წინასწარგანზრახული დანაშაულის ჩასადენად მივეშურებოდი.

— წუხელ სწორედ მაგაზე ვფიქრობდი, დათო... შენი თავი უნდა მონახო, ბნელმა ადამიანებმა ჩაგიგდეს ხელში და თავის ნება-სურვილზე გათამაშებენ. ოღონდ იცოდე, თუ დანაშაულზე წაასწრეს, შენც იმათ გვერდით აღმოჩნდები. კარგი გიქნია, დღეს რომ არ წასულხარ.

ერთი რამ ვერ გამიგია, ბუბა, საიდან ტრიალებს იმ სარდაფში ამდენი ფული. მე ჯერ არ მინახავს კაცი, მანდ შეკერილი ფეხსაცმელი რომ ეცვას... საიდან ტრიალებს ამდენი ფული?!

— არა, ნამდვილად კარგად მოიქეცი.

— ბუბა... შენ რომ არ მენახე, შეიძლება არც კი დამენებებინა თავი მაგ სამუშაოსათვის.

ოთახში ორჯერ შემოვიდა დედა. დათოს თვალები არ გაუხელია, ვითომ ეძინა, დედა მესამედაც შემოვიდა და მხარზე ფრთხილად შეახო ხელი.

— დათო, გაიღვიძე... უკვე თერთმეტის ნახევარია.

დათომ თვალები გაახილა.

— იყოს რა, მე არსად მეჩქარება.

— პლატონმა წასვლისას დაგიბარა, არ დაიგვიანოო.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ პლატონის დანაბარებს ვერ შევასრულებ.

— რას ჰქვია, ვერ შეასრულებ?!

— იმას, რომ აღარ მინდა, დედა, იქ მუშაობა.

— ნუ ზარმაცობ ახლა, ადექი და ჩაიცვი. კაცი იქ გელოდება და შენ აქ ნებივრობ ლოგინში.

— ადგომით ავდგები, აბა რას ვიზამ?! ოღონდ იმ სარდაფში აღარ ჩავალ.

— შენი დაწყებული საქმე შენვე უნდა დაამთავრო. ხალხს შენი იმედი აქვს.

— უფრო დიდი საქმე მქონდა დაწყებული და აღარ დამამთავრებინეს. — დათო წამოდგა საწოლიდან და ფლოსტებში წაჰყო ფეხები, — ახლა ისეთი საქმე უნდა დავიწყო, რომელსაც დავამთავრებ.

— რა დროს ხუმრობაა. დაგაგვიანდა. აღარ დაწვე. მე ბაზარში მივდივარ.

დედა პასუხს აღარ დაელოდა, წავიდა. გინდაც დალოდებოდა, დათო არ აპირებდა პასუხის გაცემას. ნეტარებით გაიზმორა და პირის დასაბანად გაეშურა. ოთახებში თბილოდა, ეტყობოდა, კაფელის ღუმელში ცეცხლი დილაადრიან დაენთოთ. აქამდე მირიანი აპობდა ეზოში შეშას, მერმე ამოჰქონდა და ცეცხლს ანთებდა.

დათო არასოდეს ყოფილა ისე კმაყოფილი, როგორც დღეს. შვებით ამოისუნთქა, თითქოს დიდი ხნის უიმედო ტყვეობას დააღწია თავი. სიამოვნებას გვრიდა ისიც, ზოგჯერ რომ წარმოიდგენდა, რა ამბავი ატყდებოდა, როცა გაიგებდნენ დათოს მოუსვლელობის მიზეზს.

პირი დაიბანა და ტანსაცმელი ჩაიცვა. მერმე სამზარეულოში გავიდა, დედას საუზმე მაგიდაზე დაეტოვებინა. წაიხემსა. წუხანდელი ღამითაც კმაყოფილი იყო. დიდხანს ილაპარაკეს დათომ და ნორამ ზურიკოზე, რომელსაც ფარდის იქით უზრუნველად ეძინა. საბრალო ქალს სხვა გზა არა აქვს, პატარა ბავშვი თან უნდა წაიყვანოს, ქალაქიდან ქალაქში უნდა ათრიოს, სასტუმროდან სასტუმროში... მერმე ნორამ თქვა: ზურიკო ამ ბოლო ხანებში ძალიან გამოიცვალა, აღარ მელაპარაკება, გულჩათხრობილი გახდაო.

როცა დათომ წამოსვლა დააპირა, ნორამ ხელზე ხელი შეავლო და უთხრა:

— თუ გინდა დარჩი, ერთი-ორი საათით დარჩი, მაინც გრძელი ღამეა.

დათო კმაყოფილი იყო წუხანდელი ღამითაც. არ დარჩა. თავისთვის ძალაც კი არ დაუტანებია, ისე წამოვიდა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნორასთან დარჩენისა.

აივნის მხრიდან კარზე დააკაკუნეს.

დათომ ძია ვანოს გაუღო კარი. ძია ვანო საქმიანად შემოვიდა ოთახში.

— გამარჯობა, დათოჯან. ამ განცხადებაზე ხელი უნდა მოგიწეროს! — ძია ვანომ უბიდან დააძრო ოთხად დაკეცილი ფურცლები და გაშალა.

— რა განცხადებაა?

ბერიკაცმა პირდაპირ დაიწყო განცხადების კითხვა, ათითხუთმეტი წუთი მაინც კითხულობდა. ამხელა „არზა" იმიტომ იყო შედგენილი, რომ ძია ვანო ძველი სახლის კაპიტალურ რემონტს მოითხოვდა. განცხადების წაკითხვის შემდეგ დათოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, ამ წუთშივე თუ არ გაასწრებდა, ჭერი ჩამოენგრეოდა თავზე.

— როგორია? — იკითხა ბოლოს ბერიკაცმა, — მე დავწერე, აი! ყველამ მოაწერა ხელი, მარტო თქვენ დამრჩით. მაინც ყველას თანამდებობა და პროფესია მივაწერე, უნდა იცოდნენ, კაცო, რა ხალხი ცხოვრობს ამ დასაქცევ ეზოში. მე კი ვიცი, რა ხალხიც არის, მე რომ მკითხო, ერთსაც არ გავაჩერებდი...

ძია ვანომ კითხვა განაგრძო:

1. ვარლამ ხუნდაძე — ინჟინერი.

ძია ვანომ თვალებში შეხედა დათოს და თქვა: — ესეც ინჟინერია და შენც! ამის აშენებული სახლი ორ წელიწადში ინგრევა — აფერისტია! ორჯერ წაართვეს ცოლი და სიბერეში დაიბრუნა.

2. კონსტანტინე დავითაშვილი — პედაგოგი.

— ჰო! პედაგოგი... ამისმა მოწაფემ გოგოს გულისათვის დანა დაარტყა ამხანაგს... ერთი ამის პედაგოგობაც!.. ნამდვილი ჩანჩურაა...

3. ბენო ჩიჩუა — ქარხნის მთავარი ბუღალტერი.

— აი, ეს არის, რაც არის, ქვეყანა შეჭამა. სისხლის სამართლის დამნაშავე!

4. ალექსანდრე ჯიმშელეიშვილი — დამსახურებული ექიმი.

— ჩვარი! ყოფილი მუსუსი. ბოლო ხანებში საყვარლებმაც გამოაპანღურეს. უფულოდ არ აკეთებს ოპერაციას.

5. ოლიფანტე ბასარია — გადამდგარი პოლკოვნიკი, პენსიონერი.

ძია ვანომ საჩვენებელი თითი წინ გაიშვირა და პირით ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს იარაღი ისროლა. მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თქვა:

— შენც იცი, რა კაცია, სროლა უყვარდა...

6. ლოლა დორეული — გასტრონომის მოლარე.

— გასტრონომის ვირთხა. ფულის ანგარიში არ იცის, ყოველთვის გაკლებს.

7. ნორა ზანდუკელი — ესტრადის მომღერალი (Эстрадная певица).

— ჩემზე უკეთ შენ იცნობ, ბოლო ხანებში მოუხშირე, აი, სიარულს.

8. თინათინ სამხარაძე — ფარმაცევტი.

— ესეც კახპაა!

დათოს გული შეუწუხდა და კითხვა შეაწყვეტინა.

— ნუღარ წაიკითხავ, ძია ვანო, ყველას ვიცნობ. ძია ვანო, ამიტომ არ უყვარხარ მეზობლებს, საინტერესოა, მე რომ მოვაწერ ხელს და სხვა მეზობელთან შეხვალ, იქ რას იტყვი ჩემზე?

— შენ მოაწერე, მე ვიცი, რასაც ვიტყვი! — ბერიკაცმა გაიცინა და ხელის მოსაწერად გაუწოდა ქაღალდი.

დათომ პირველივე ავტომატიდან დაურეკა ოთარ სალაყაიას. რატომღაც დარწმუნებული იყო, ბუბა პირველ საავადმყოფოში იწვა. მაგრამ ოთარმა უთხრა: ყველა განყოფილებაში დავრეკე და ასეთი ავადმყოფი ჩვენთან არ წევსო.

მთელი დღის გეგმა ჩაეფუშა, არა მარტო გეგმა...

სულ სჯეროდა, დღეს უსათუოდ ნახავდა ბუბას.

რამდენი საავადმყოფოა თბილისში, სად უნდა ეძებოს ახლა?! არადა ბუბასთან შეხვედრის მოლოდინით ცხოვრობდა. ფიქრებით ისე შეეთვისა, ახლა ბუბაზე მახლობელი ადამიანი ქვეყნად არა ჰყავდა, მაგრამ საკვირველი კი იყო, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ბუბაზე და ეთვისებოდა, მით უფრო ბურანში ეხვეოდა ბუბას სახე. ცდილობდა, მეხსიერებაში აღედგინა ნაკვთები, გამომეტყველება... ვერ ახერხებდა. ეჩვენებოდა, რომ უფრო სხვანაირი იყო, ვიდრე მას ჰყავდა წარმოდგენი-

ლი. წარმოსახვა მეხსიერებაში ჩარჩენილ სახეს იერს უცვლიდა.

— ღ მ ე რ თ ო, რ ა ქ ა ლ ი ა!

— ვ ი ნ ა?

— ბ უ ბ ა ე შ ბ ა!

ავტომატიდან საავადმყოფოებში რეკვა და ძებნა უაზრობაა, უკეთესი იქნება, თუ გელასთან მივა რედაქციაში. იქ ტელეფონია და ადვილად გაიგებს, სად წევს ბუბა.

გელა საქმიანად მოეკიდა ბუბას ძებნას. ჯერ, რა თქმა უნდა, გაუკვირდა, როცა შეიტყო დათოს დამოკიდებულება ბუბასადმი. ისიც კი უთხრა, ნამდვილი გიჟი ხარო, მაგრამ მეგობარს მაინც უნდა დახმარება, გინდაც ის ნამდვილად იყოს გიჟი.

— მაშ პირველ საავადმყოფოში არ აღმოჩნდა?..

— არა.

— მოდი, ჩვენ დავრეკოთ... — გელა ცოტა ხნით ჩაფიქრდა. — დავრეკოთ... ალადაშვილის საავადმყოფოში. — ტელეფონების წიგნი გაშალა, მონახა საჭირო ნომერი და დარეკა. — ისე, რომ იცოდე, კარგი ხელი მაქვს, ალო! ალო! ხომ ვერ მეტყვით, თქვენთან წევს თუ არა ასეთი ავადმყოფი — ბუბა ეშბა? აჰა, გმადლობთ.

გელამ ყურმილი დადო და გაიღიმა.

— რა გითხრეს?

— რას მეტყოდნენ... აკი ვთქვი, კარგი ხელი მაქვს-მეთქი, რად გინდოდა ოთარ სალაყაია, პირდაპირ ჩემთან უნდა მოსულიყავი.

— რომელია ეგ ალადაშვილის საავადმყოფო?

— როგორ არ იცი. კამოს ქუჩაზეა.

— აჰა, ვიცი.

— ისე, შავი ნიკო როგორა გყავს.

— ერთი მაგისი.

— რომ იცოდე, ცუდი ახალი წელი გაუთენდება, ამ უჯრაში მიდევს მაგისთვის დამზადებული ატომური ყუმბარა... ისე დავარბიო, შენი პლატონი არისტოტელედ მოეჩვენოს.

გელა თავისსავე ხუმრობაზე სიცილით მოკვდა.

— ძალიან მეეპვება. შენ სულ ეგრე ტრაბახობ.

— აღდგომა და ხვალეო.

— თუკი ეგრეა, კაცი შენ ყოფილხარ...

გელა კმაყოფილი იჯდა თავის მაგიდასთან, სიგარეტს აბოლებდა.

— წუხელ ძალიან შევუბერეთ, არა? — გელა სკამზე გასწორდა და სალაპარაკოდ მოემზადა, მაგრამ დათოს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, მაშინვე წამოდგა.

— მე წავალ, გელა, ბუბა უნდა ვნახო. არ შემიძლია.

დათომ ზოოპარკთან ტაქსი დაიჭირა... ჯერ ყვავილების მაღაზიაში შეიარა, მერე საავადმყოფოს მიადგა.

დარაჯმა არ შეუშვა.

— არ შეიძლება, ჩაჩავამ აკრძალა.

— რატომ?

— იმიტომა, რომა ბევრნი მოდიოდნენ. ახლა აღარავის უშვებენ.

— ეგ ჩაჩავა ვინ არის?

— ვა, ჩაჩავა არ იცი, კაცო?! პროფესორი!

— აჰა... პროფესორს რომ ვთხოვო?

— თხოვე.

— სად შეიძლება ნახვა!

— დღეს ვეღარ ნახავ... წავიდა... ხვალ გამოიარე.

დათომ მიხაკები დარაჯს გადააწოდა და უთხრა — აუტანეო... როდესაც კარებში გადიოდა, დარაჯის ხმა დაეწია:

— ჩვენი ძმა, რა ვუთხრა, ვისგან არისო?!

დათოს პასუხი არ გაუცია.

სუსხიანი დღე იყო. ქარი სახურავების თავზე მიერეკებოდა თეთრ ღრუბლებს.

პატარა ბიჭი ყვავილებით მოჩითულ, მწვანე მინდორზე მიდიოდა. მინდორს ყოველი მხრიდან ლურჯი, უსაზღვროდ ლურჯი ცა დამხობოდა. ბიჭი უზრუნველად მიაბიჯებდა. მოულოდნელად შეაშფოთა ცხენის ფლოქვების ყრუ ხმაურმა. შეშინებულმა მოიხედა, მისკენ მირბოდა გაგიჟებული, გახელებული შავი ცხენის რემა. შავი, მაღალი ცხენები გასაოცარი სისწრაფით ბავშვისაკენ პირზე ქაფმორეულები გრიგალივით მიჰქროდნენ. განწირულმა ბავშვმა იყვირა და თვალებზე აიფარა ხელები. მაღალი, შავი ცხენები შემზარავი ჭიხვინით

უახლოვდებოდნენ, ფლოქვების თქარათქური მიდამოს აყრუებდა. რემამ ბავშვს გადაუარა, არც ერთი ცხენი არ შეხებია, მხოლოდ ქარმა წააქცია ბავშვი... თავზარდაცემულმა თვალები დაჭყიტა... ცხენების ოფლიან მუცლებს და პრიალა ნალებს ხედავდა. რემამ გადაიგრიალა და წავიდა. ბავშვმა წელი აითრია. თვალუწვდენელ მინდორზე გარბოდა რემა, შავი, მაღალი, გაოფლიანებული ცხენები გრიგალივით მიჰქროდნენ... უკან რჩებოდა ფლოქვებით გადათელილი მწვანე ბალახი, მიწაზე დაწვენილი გადაჯეგილი ყვავილები...

ოქროს თევზი უმირიანოდ ცხოვრებას შეეჩვია. ჯერ გაუჭირდა, მაგრამ მერმე თანდათანობით შეეგუა მარტო ყოფნას.

გადიოდა დღეები და მირიანი არ აკითხავდა. იმედი ჰქონდა, მოვიდოდა და წაიყვანდა, მაგრამ აღარ მოვიდა. აღარ მოაკითხა და ოქროს თევზი მარტო დარჩა. იმედი გადაიწყვიტა...

ბოლოს და ბოლოს, შეეჩვია უმირიანოდ ცხოვრებას. თუმცა ეს ცხოვრება ძველს არა ჰგავდა. მოლოდინი და მირიანთან შეხვედრა აღარ აღელვებდა. დღეები მოწყენილი და ერთფეროვანი იყო. მინის გამჭვირვალე კედლები მთლიანად დაიბურა მწვანე ხავსით. გარეთ გახედვა უკვე აღარ შეიძლებოდა. ოქროს თევზი ვერ იხედებოდა და არც აინტერესებდა, რა ხდებოდა მინის კედლებს მიღმა. თავისთვის ცხოვრობდა, გარე სამყაროს მოწყვეტილი.

მოგონებები ასულდგმულებდნენ, კარგი, კეთილი მოგონებები. მირიანთან შეხვედრის მთრთოლვარე წუთები, ტკბილი საუბრები, სიყვარული...

ოქროს თევზი ფიქრიანი და გულჩათხრობილი გახდა.

სულ ეჩვენებოდა, მირიანი შინიდან გააძევეს და მოიშორეს. ადამიანებზე შეეცვალა წარმოდგენა.

მაგრამ დღეს, როცა ყველა წასული ეგონა, მოულოდნელად დათო დაადგა თავზე და ჰკითხა:

— როგორა ხარ?

ოქროს თევზმა არაფერი უპასუხა, რადგან სჯეროდა, რომ დათო უგულოდ ეკითხებოდა, ისე —— სხვათა შორის.

— მიგატოვა მირიანმა? მიგატოვა?

— ჰო, მიმატოვა... — ჩაილაპარაკა თავისთვის ოქროს თევზმა.

— სულ მარტო დარჩი, შე საწყალო!.. მარტო დარჩი.

— ჰო, მარტო ვარ.

— შენი მარტოობა მაწუხებს ხოლმე. მარტოობა... ერთხელ დამესიზმრა, თითქოს მე ვიყავი მინის ეს ჭურჭელი.... თითქოს მე ვიყავი, და შენ ჩემში ცხოვრობდი. ჩემში ცხოვრობდი... მე ვწუხდი, რომ ჩემს სხეულში უცხო არსება მოხვდა, ვწუხდი... თან მომეჩვენა, რომ შენც შეწუხებული იყავი, რადგან სხვა ჭურჭელში აღმოჩნდი... მომეჩვენა...

ოქროს თევზი სიხარულის თრთოლვამ აიტანა.

— მაგრამ ის სიზმარი იყო... სიზმარი...

— სიზმარი?

— მერე ხანდახან მეგონა, მართლა ცხოვრობდი ჩემში...: ხანდიხან... იქნებ მართლა ჩემში ცხოვრობ?.. იქნებ?

— მე მინდა ვიცხოვრო, მინდა შენში ვიცხოვრო.

— ახლაც ასე მგონია, თითქოს ეს ჭურჭელი მე ვარ და შენ ჩემში ცხოვრობ... ახლაც ასე მგონია.

— ვცხოვრობ!— სიხარულით იყვირა ოქროს თევზმა, — მე ყოველთვის ვიცხოვრებ!

ამაყად გასრიალდა წყალში. ოქროს თევზს ბევრჯერ განეცადა სიხარული, სიამაყე კი — არასოდეს. ღირსეულად ეჭირა თავი, ფარფლებს ნელა, დინჯად ამოძრავებდა, ისე, როგორც ეს შეჰფერის დარბაისელ თევზს, რომელმაც სიცოცხლეშივე მოიპოვა დიდი დიდება, ეზიარა უკვდავებას.

— მე ახლა დაგაპურებ, ოქროს თევზო, დაგაპურებ...

დათო მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე მივიდა სადგურზე, მატარებელი პირველ ლიანდაგზე იდგა. ვაგონების წინ ხალხი ფუსფუსებდა. გულმა ვერ გაუძლო, მაინც გადაწყვიტა, მირიანი გაეცილებინა. რაღაც გაუგებრობა მოხდა ძმებს შორის, უფროსი ძმა ნაწყენია. უმცროსი ძმა, იმიტომ რომ უმცროსია, ვალდებულია მოვიდეს და გაარკვიოს ეს გაუგებრობა. თუ დამნაშავეა, ბოდიშიც უნდა მოუხადოს...

დათომ არ იცოდა, რომელი ვაგონით მიემგზავრებოდა მირიანი, ბოლოდან დაჰყვა, ბაქანზე გულდასმით ათვალიერებდა მოსაუბრე ხალხს, არც ფანჯრებზე მიმდგარი მგზავრები გამორჩენია...

ყველა ვაგონის წინ გაიარა.

ახლა თავიდან გამოჰყვა მატარებელს. ისე მოდიოდა, თითქოს ნაბიჯებს ითვლიდა, მირიანს, ალბათ, გაუხარდება. რა თქმა უნდა, გაუხარდება... განა არ იცის დათომ, როგორ უყვარს უფროს ძმას. მაშინ აღელდა და რაღაც სისულელე უთხრა. სად გაგონილა, ძმას ძმა ეჯავრებოდეს. გელა მართალი იყო... უბრალოდ მივა, გადაეხვევა და გადაკოცნის. გულით მიულოცავს გამარჯვებას...

— დათო! — მოესმა ქალის ხმა.

დათომ გვერდზე მიიხედა. შემოსასვლელში მორბოდა სახეგაბადრული მანანა, ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

მანანამ დათოსთან მიირბინა, მოეხვია და აკოცა. დათო დაიბნა, ვერაფრით მიხვდა, რაში იყო საქმე. იმ ღამის შემდეგ მანანა ყოველთვის გაურბოდა, თავს არიდებდა...

— ჩვენს გასაცილებლად მოხვედი, არა? — ჰკითხა მანანამ, პასუხს აღარ დაელოდა და ლაპარაკი განაგრძო, რატომღაც მეგონა, დღეს შენც იქნებოდი... თუმცა არც ჩვენები ყოფილან... ეს ისე, საიდუმლოდ მოხდა, მხოლოდ მირიანის ამხანაგები იყვნენ.

— არაფერი არ ვიცი, მანანა.

— დღეს მე და მირიანმა ხელი მოვაწერეთ!

დათოს მუხლებმა უმტყუნა, კინაღამ ჩაიკეცა.

— არ გიხარია?!

— როგორ არა... მაგრამ ეს ჩემთვის ისე მოულოდნელი ამბავია...

— ყველასთვის მოულოდნელი იქნება... მამაჩემი გაგიჟდება,

— არც ბენომ იცის?!

— არა, როცა გაიგებს, ჩვენ უკვე წასულები ვიქნებით... დიდი წერილი დავტოვე... მამაჩემი კეთილი კაცია, მაპატიებს, მაგრამ ჯერ მეშინია. ამიტომ გადავწყვიტეთ, სადგურზე ცალ-ცალკე მოვსულიყავით.

ქალიშვილი მთელი ტანით აეკრო... მერმე სწრაფად გადაიხსნა გულისპირი, სარაფნის ვიწრო სამხრეები მკლავებზე ჩამოუცვივდა... დათო თავს ძალას ატანდა, უხდოდა როგორმე ჩაეხშო თუ ჩაეკლახსოვნაში გაღვიძებული წარსული.

— წამოდი, დათო... მირიანი უკვე მოვიდოდა და ალბათ ღელავს. შენ არ იცი, რა ბედნიერი ვარ, დათო... წამოდი.

— მოიცადე, თუმცა, არა....

— ჯობია ერთად მივიდეთ.

— რა თქმა უნდა, ჯობია, მაგრამ მე ასე მირჩევნია.

— ხომ მოხვალ, დათო.

— შენ წადი, მანანა.

— მე მეგონა, ჩვენს გასაცილებლად მოხვედი.

— აკი გითხარი, არ ვიცოდი, თუ დაქორწინდით. შენ წადი, მანანა. მირიანი ნამდვილად იღელვებს.

— დათო, მირიანს ეწყინება. — მანანა გაიქცა.

— მანანა, — დაუძახა დათომ, — გეხვეწები, მირიანს არ უთხრა, თუ მნახე.

— რა სისულელეა, რატომ არ უნდა ვუთხრა?!

— რომელი ვაგონია?

მანანამ უთხრა, ამა და ამ ვაგონში ვართო და ნახევრად ბნელ ბაქანზე გაიქცა.

„სულ ერთი არ არის, რომელია? მე მაინც არ მოვალ... არ მოვალ... ნამდვილად არ მოვალ... თუმცა, რატომ არ უნდა მოვიდე? კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი?“

ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გამოვიდა თეთრი პერანგი თავის ამხანაგიანად. თეთრმა პერანგმა და მისმა თეთრმა ამხანაგმა მიიხედ-მოიხედეს... მერმე დათოსკენ წამოვიდა... დათო სხვენის სიბნელეში კატასავით გაუჩინარდა... უცებ სახე მკლავებში ჩამალა მანანამ. შავი მძიმე თმა ტალღასავით გადაეფარა ნახევარ მაგიდას. ხელნაწერი ფურცლები, საფერფლე, ფანქარი თმის ქვეშ მოექცა. შავი მბზინავი თმა ზღვის ტალღებივით იზრდებოდა, მთელი მაგიდა წალეკა... მერმე აზვირთდა, გადაევლო ქუჩებს, ხეებს, მანქანებს, ადამიანებს, გადაევლო მატარებლებს, ხიდებს, სახლებს... მთელი ქალაქი მოექცა თმის ქვეშ...

დათო რესტორანში შევიდა. ორი ბოთლი შამპანური და შოკოლადის ფილები იყიდა.

ბაქანზე გამოსულმა ნაბიჯს მოუჩქარა, რადგან ვაგონების წინ ხალხი აწრიალდა, ელმავლის საყვირის ხმაც გაიგონა დათომ. გაიქცა. გულზე მიხუტებული შამპანურის ბოთლები მიჰქონდა. მატარებელი დაიძრა, დათო მთელი ძალით გაეკიდა მატარებელს. წინ კიბეზე მდგარ მირიანს მოჰკრა თვალი, იღიმებოდა, ვიღაცას უქნევდა ხელს.

— მირიან! — დაიყვირა დათომ.

მირიანმა მოხედა, მაგრამ, ეტყობოდა, სიბნელეში ვერ გაარჩია, ვინ ეძახდა.

— მირიან — უყვიროდა დათო, თან მატარებელს მისდევდა. — მირიან — მე ვარ, მი-რი-ან!

მატარებელი წავიდა. თურმე კარგა ხანს სდია მატარებელს, როცა გამობრუნდა, ბაქანზე კანტიკუნტად დაბორიალობდნენ გამცილებლები.

ერთხანს მოსაცდელ დარბაზში იწრიალა. შამპანურის ბოთლები ისევ გულზე ჰქონდა ახუტებული. გრძელ მერხზე დაინახა მძინარე გლეხი, რომელსაც გვერდზე მიედგა ცარიელი კალათა და ხელი მთვრალი ძმაკაცივით გადაეხვია. დათო მიუახლოვდა. შამპანურის ბოთლები და შოკოლადის ფილები ფრთხილად ჩაუწყო კალათაში...

ქუჩაში გამოვიდა.

ქალაქზე დაცემული ცა გაუბედავად იწყებდა თოვას. პატარ-პატარა ფანტელები თითქოს მიწამდე არ აღწევდა, მუმლივით ირეოდა ჰაერში.

დათომ მოედანი გადასჭრა...

— ბუბა, მე მეშინია, არ გადაიღალო.

— პირიქით, —უპასუხა ბუბამ, — ეგ დასვენება იქნება ჩემთვის... ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ.

— ავთანდილს გარდა მოვა ვინმე?

— გელა, ნოდარი, ჯიმშერი... თუ დრო ექნა, შეიძლება ოთარ სალაყაიაც მოვიდეს. ვერ წარმოიდგენ, რა კარგი ბიჭები არიან. დარწმუნებული ვარ, ყველას შეუყვარდები.

ფრთხილი კაკუნი გაისმა. კარი გელამ შემოაღო, შემოვიდა შავ კოსტუმში გამოწყობილი, გაპარსული, თმადავარცხნილი... ბუბასკენ გაღიმებული გაემართა, ბუბამ ხელი გაუწოდა, გელა დაიხარა და უდიდესი მოკრძალებით ეამბორა ხელზე.

— ჯერ არ მოსულან ბიჭები?

— პირველი მერცხალი შენა ხარ.

— რასაკვირველია... მაგათ თუ არ დაიგვიანეს, ისე არ შეუძლიათ. — გელა არაბუნებრივად ლაპარაკობდა და მოძრაობდა, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა.

— მშვენივრად გამოიყურებით, ქალბატონო ბუბა. დათო ისე წუხდა, მე მეგონა, დავრდომილი იყავით.

— დათო ყოველთვის აჭარბებს. — ბუბა ბრწყინავდა, იდუმალი, შინაგანი შუქით იყო ანთებული.

ცოტა ხნის შემდეგ ნოდარ ნიჟარაძე და ჯიმშერ ქალდანი მოვიდნენ. მათ რაღაც კოლოფი მოუტანეს ბუბას, ვარდისფერ ქაღალდში შეხვეული.

დათომ მეგობრები წარუდგინა, ორივემ ხელზე აკოცა მწოლიარე ქალს. „დღეს რა ზრდილობიანები არიან!“ — გაიფიქრა დათომ.

გელას აშკარად შეეტყო ეწყინა, თვითონ რომ ვერ მოიფიქრა საჩუქრის მოტანა.

— ავთანდილი არ მოსულა? — იკითხა ჯიმშერმა.

— საცაა ისიც მოვა.

— ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს... ვერაფრით გიმასპინძლდებით, — თქვა ბუბამ, — დათო, შენ უნდა გეზრუნა ამისთვის.

— ნუ წუხდებით, ქალბატონო ბუბა, — დაამშვიდა გელამ,— ჩვენ არაფერი არ გვინდა. ჯიმშერი და ნოდარი ფანჯარასთან დასხდნენ.

— თქვენი ერთად დასხდომა არ შეიძლება, — გელა თანდათან ემსგავსებოდა თავის თავს, — ფიზიკა არ გამაგონოთ!

— ფიზიკას უღალატა, — დაუმატა ნოდარ ნიჟარაძემ, — ისევ კოტე რამიშვილისა და გენების საკითხს დაუბრუნდა.

— ალბათ, ეგ უფრო იოლია, — ვერ ისვენებდა გელა. — ჯიმშერ, მე მაინც ვერ გავიგე, რატომ არ გათქმევინა სადღეგრძელო თამადამ.

ჯიმშერ ქალდანი გაწითლდა.

— აქ ყველანი მეგობრები ვართ. ის მაინც გვითხარი, რის თქმა გინდოდა. დათო ამბობს, რაღაც ახალი სადღეგრძელო უსწავლია და ჩვენ არ გვიმხელსო.

ამ დროს ავთანდილ ხარაბაძე შემოვიდა. გაუპარსავი, გაბურძგნული, მორცხვად აიწურა კარებთან, შორიდან მიესალმა ყველას და უხერხულად აიჩეჩა მხრები.

— ავთანდილ ხარაბაძე, — გააცნო დათომ ბუბას, მერე სკამი მიაწოდა, სხვების წინაშე ბოდიშს ვიხდი, მხოლოდ ავთანდილისთვის რომ ვიზრუნე, — უბის ჯიბიდან პაწაწინა ბოთლით „ენისელი“ ამოიღო და მეგობარს მიართვა.

ავთანდილმა მადლობა გადაუხადა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— რაღას ვუცდით,—თქვა გელამ, — ოღონდ სანამ კითხვას დაიწყებდეს, პირობა უნდა მომცეს, რომ ყველაზე პირველად თარგმანის ნაწყვეტს ჩვენს გაზეთში გამოაქვეყნებს.

ავთანდილი დაეთანხმა და ჯიბიდან ორად გაკეცილი ფურცლები ამოიღო. დათო თვალს არ აშორებდა ბუბას. ბუბა ბედნიერი იყო.

დათო კინოსტუდიასთან ავიდა ტროლეიბუსში. მან მოულოდნელად მეორე ცხოვრება აღმოაჩინა და ასეთი კმაყოფილება არასოდეს უგრძვნია. იქ არავინ ერეოდა მის საქმეში, არავინ უშლიდა ხელს. ცხოვრებას აწყობდა ისე, როგორც თვითონ მოესურვებოდა.

დანჯღრეული ტროლეიბუსი ჩაქჩაქით მიდიოდა. ირყეოდა, ბანცალებდა, თახთახებდა, ათასგვარ ხმებს გამოსცემდა.

დათო ისევ ბუბაზე ფიქრობდა... ასე ეგონა, თითქოს აღარ შეეძლო ამ ფიქრის გარეშე არსებობა. ეგონა, ეს ფიქრები ბუბამდე აღწევდა. სიმარტოვის გრძნობას უხშობდა და ტკივილებს უქარვებდა. ღრმად სჯეროდა, რომ ეს ფიქრები ცხოვრებას უმსუბუქებდა ბუბას.

დათომ ჭიშკარში შესვლისთანავე იგრძნო, ეზოში უჩვეულო ამბავი ხდებოდა, ასე გვიან, ასეთი სუსხიანი ღამით მეზობლები უმიზეზოდ არ იქნებოდნენ აივნებზე გამოფენილები.

როგორც კი ეზოში შევიდა და თავის აივანს ახედა, მაშინვე მიხვდა, მთელი ეზო გარეთ რატომ გამოსულიყო, ხალხს თბილი ოთახები და საწოლები რატომ მიეტოვებია.

მესამე სართულის აივანზე ბენო ჩიჩუა იდგა. საცოდავი კაცი თავში იცემდა ხელებს და ღრიალებდა.

— დავიღუპე, ხალხო, დავიღუპე! ჩემი მანანა მოატყუეს. წაიყვანეს! ხომ იცით რა ტანჯვით გამიზრდია! მომტაცეს! მარტო დამტოვეს! სკანი გოლუაფირო, ნანა! სო რექ, ნანა, სო

რეე, სკუა! გაჭირვებაში ნარდ, ჩქიმი სკუა! უსკანეთ! მუ დავა-შე თეფერე, ნანა!..

დათოსთან ძია ვანო საქმიანად მოცუხცუხდა.

— გაიგე, დათოჯან, რა უქნია მირიანს?

— გავიგე.

— ხედავ რა დღეშია!

— ვხედავ, ძია ვანო.

— ბენო ამ ამბავს ეგრე არ დატოვებს. ჭკვათამყოფელი კაცი იყო, განათლებული, როგორ მოიტაცა, კაცო.

— თვითონ წაყვა, ძია ვანო... ახლა მოვდივარ სადგურიდან.

მესამე სართულზე ისევ ყვიროდა ბენო ჩიჩუა. იმუქრებოდა, ილანძღებოდა. ხალხი მდუმარე თანაგრძნობით მისჩერებოდა გამწარებულ კაცს.

— აქედან ნუ ახვალ, — ურჩია ძია ვანომ დათოს. — შეიძლება უბედურება დატრიალდეს. ხომ ნახე, თქვენები არც კი გამოსულან, გაგიჟებულ კაცს უნდა მოერიდო. როცა დამშვიდდება, მერმე გაასწორებთ ანგარიშს.

დათო აივნისკენ გაეშურა. თითქმის სირბილით აიარა კიბეები. მესამე სართულის აივანს რომ გაუსწორდა, ბენომ იცნო და ღრიალით წამოვიდა დათოსკენ.

— დამღუპეთ ხომ, ბიჭო. აწი მე მიყურეთ, რას ვიზამ!

— ბატონო ბენო, ასეთი ყვირილი თქვენ არ შეგფერით.

— რა დროს შეფერებაა!.. დამექცა ოჯახი!

— მომისმინეთ, ბატონო ბენო... მომისმინეთ, ახლა მოვდივარ სადგურიდან, მანანა ვნახე.

— ნახე?!

— კი!

— რა გითხრა?

— რას მეტყოდა? გამიკვირდა, როცა გავიგე მირიანს წაჰყოლია ცოლად... მე მირიანის გასაცილებლად გავედი... ეჭვიც კი არ მეპარებოდა... უცებ მანანას წავაწყდი სადგურზე... დამიჯერეთ, ბატონო ბენო, ასე გახარებული და ბედნიერი მანანა პირველად ვნახე.

— ბავშვია, ბიჭო, სულელია! მოატყუა იმ ოხერმა.

— ბოლოს მითხრა, ვიცი, მამაჩემი კეთილი კაცია და ყველაფერს მაპატიებსო.

ბენო ჩიჩუას, როგორც ჩანს, გული აუჩუყდა, თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლი. ოთახში შევარდა და კარი მოიჯახუნა.

დათო ერთხანს აივანზე იდგა. ვეღარ გაუძლო ბენო ჩიჩუას ქვითინს და შინ შევიდა.

— დათო ხარ? — შინ შესვლისთანავე გაიგონა დედის ხმა.

— კი, დათო ვარ.

დედა ოთახში შეეგება, შეშფოთებული და შეწუხებული ჩანდა.

— ცოტათი დავამშვიდე. — თქვა დათომ.

— ვინა?

— ბენო ჩიჩუა.

— ბენო ჩიჩუას არაფერი უჭირს. მადლობა თქვას, მაგის ცხვირმოუხოცელი გოგო მირიანმა თუ წაიყვანა.

— რატომ არის მანანა ცხვირმოუხოცელი? მშვენიერი გოგოა.

— ქვეშ-ქვეშა კია, ძალიან დაგაგიჟათ ძმები.

დათო აილეწა, სახე წამოენთო.

— მე რა შემატყვე...

— დედამ ყველაფერი იცის, შვილო, — შეაწყვეტინა სიტყვა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. წამოდი, თითქმის სამი საათია ბატონი ნიკო გელოდება. — ცედა შუშაბანდისკენ წაუძღვა.

დათო უნებურად შეკრთა. არაფრით არ მოელოდა, თუ შავი ნიკო დახვდებოდა შინ. მოულოდნელად შიშიც კი იგრძნო. შეეშინდა, ნამდვილად შეეშინდა.

პლატონი და ნიკო კორინთელი მაგიდას უსხდნენ. ორივე დაფიქრებული იყო, ხელები ორივეს მაგიდაზე ეწყო. თეონა ტახტზე იჯდა. მუხლებზე ხატაურა დაესვა და ეფერებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, ვითომ კატის მოფერებით იყო გართული და არ აინტერესებდა, რა ხდებოდა ოჯახში.

— თეონა, წადი, დაიძინე... გვიან არის,— უთხრა დედამ. თეონამ კატა გადმოაგდო მუხლებიდან და უკმაყოფილო სახით წავიდა დასაძინებლად. დათო არავის მისალმებია, იქვე მიეყუდა კედელს. იცოდა, ადრე თუ გვიან მოუწევდა შავ ნიკოსთან შეხვედრა და ლაპარაკი, მაგრამ არ ეგონა, თუ ეს დღე ასე მალე დადგებოდა. შინაგანად მოუმზადებელი იყო

ამ შეხვედრისათვის. ალბათ, ამიტომ ღელავდა. ანდა, შესაძ-ლოა, ამიტომ შეკრთა და შეშინდა წელან.

— ხედავ, პლატონ, მისალმებაც აღარ უნდა დავითს.

პლატონმა ვითომ ვერ გაიგონა, რა თქვა შავმა ნიკომ, სა-ხეზე გაუგებრობა გამოეხატა. ჯერ დათოს გადახედა, მერმე ნიკო კორინთელს.

— მე მეგონა, დავითი სიტყვის კაცი იყო, — განაგრძო კორინთელმა... — ძალიან კარგად მახსოვს პირობა მოგვცა— საქმეს დაიწყებდა და დაამთავრებდა. ხომ ასე იყო, დავით.

— აღარ მინდა იქ მუშაობა! — დათო დაცხრა, უკვე წე-ღანდელივით აღარ ღელავდა. მთავარი იყო პირველი სიტყვის თქმა.

— ეგ ვიცი, მაგრამ ხომ შემიძლია, გკითხო: რატომ აღარ გინდა!

— მთავარი მიზეზი ჩემი სურვილია. თუ მინდა ვიმუშა-ვებ, თუ არ მინდა, არ ვიმუშავებ.

— კარგი იქნებოდა, ეს დალოცვილი წუთისოფელი ჩვენს ნება-სურვილზე რომ ტრიალებდეს.

— ერთი სიტყვით, არ მინდა მუშაობა... გინდათ, მიჩივ-ლეთ.

— ნუ აღელდები, დავით. აქ საჩხუბრად კი არ მოვსულ-ვარ, მოვედი, როგორც მეგობარი მეგობართან. მე მგონია, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მეგონა, ჩვენ დავმეგობრდით, ბევრ საკითხში გავუგეთ ერთმანეთს, ხომ მართალია.

დათო უცებ მიხვდა, შავი ნიკო მარტო იმისთვის არ იყო მოსული, რომ გამოერკვია, სამუშაოთა მწარმოებელმა მუშა-ობაზე რატომ თქვა უარი. ნიკო კორინთელს ფარული შეშ-ფოთება შეამჩნია. ამ შეშფოთების დამალვას გამოცდილი, ცხოვრების უკულმართობაში გაძობრძმედილი მამაკაცი საუბ-რის მშვიდი კილოთი და დამცინავი, მსუბუქი ღიმილით ცდი-ლობდა. შემპარავი ღიმილით გაძოხატავდა მუდამ სხვისადმი თავისი კაცური ღირსების უპირატესობას.

— შენ ჭკვიანი და განათლებული კაცი ხარ, დავით, კარ-გი მეგობრები გყავს, კარგი ამხანაგები. ზოგიერთ მათგანს შეუძლია ადამიანის ბედიც კი გადაწყვიტოს... წელან მართა-ლი იყავი, თუ მოისურვებ, მოხვალ სამუშაოდ, თუ არადა არ მოხვალ. ჩვენ შეგვიძლია გიჩივლოთ, რადგან ჩვენს შორის

ოფიციალური ხელშეკრულებაა დადებული. შენ ეს იცი, მაგრამ მაინც უარს ამბობ სამუშაოზე, რადგან იქ მუშაობას შეგნებულად გირჩევნია დასჯა... თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ არ გიჩივლებთ. მე სულ სხვა რამ მინდა გითხრა. შენ უფლება გაქვს საკუთარ თავს სურვილისამებრ მოექცე. მაგრამ შენი მეგობრის, შენი აღმზრდელის განსაცდელში მიტოვების უფლება არა გაქვს. დარწმუნებული ვარ, გესმის, დავით, რასაც ვამბობ.

— არა მარტო მესმის, უკვე ვიცი, რაც უნდა მითხრა.

— მით უკეთესი, შენმა მეგობარმა...

— ჩემმა მეგობარმა წერილი მოამზადა შენს წინააღმდეგ.

— არა მარტო ჩემს წინააღმდეგ, ესე იგი, გაიგე თუ არა ამ წერილის არსებობა, მაშინვე უარი თქვი ჩვენთან მუშაობაზე. ეგ რა ვაჟკაცობაა, დავით?!

— ჯერ უარის თქმა გადავწყვიტე, შემდეგ შემთხვევით გავიგე, ისიც გაკვრით. არ წამიკითხავს ის წერილი.

— მე ვიცნობ იმ ვაჟს, ერთხელ იყო ჩემთან და ცუდად მოვექეცი. რა თქმა უნდა, დავაშავე. დავით, შენ უნდა შეგვარიგო.

— არ შემიძლია.

— შენ ყველაფერი შეგიძლია, დავით. შენ არა გაქვს უფლება დაღუპო პლატონი, კაცი, რომელმაც გაგზარდა.

— გითხარით, არ შემიძლია თქვენი შერიგება. ის სხვა კაცია.

— მე ვიცი, როგორ ცხოვრობენ გაზეთის მუშაკები... ფუფუნებას ვერ დაიტრაბახებენ...

საუბარში დედა ჩაერია:

— როგორ, დათო, პლატონს უჭირს, შენ დახმარება შეგიძლია და არ ეხმარები?!

— მე არ ვიცი, ვის უჭირს!..

— დედა! — გაისმა თეონას ხმა.

— რა იყო, თეონა?!

— დედა, მოდი რა, მეშინია!

— რისი გეშინია, შვილო?.

— რა ვიცი, მეშინია!

დედა გავიდა. პლატონს მსუქანი სახე მაგიდაზე დაყრდნობილ ხელებში ჩაემალა და გაუნძრევლად იჯდა.

— ის კაცი არც ესწრაფვის ფუფუნებას, ცოტა უცნაური კაცია — ყველაფერს პატიოსნება ურჩევნია, — თქვა დათომ.

ნიკო კორინთელი წამოდგა. ბოროტად გახედა დათოს. მერმე უცებ გამომეტყველება შეეცვალა, სახეზე შემპარავმა ღიმილმა გადაურბინა.

— ასე გაუთავებლად შეიძლება ლაყბობა... წავედი.

ნიკო კორინთელი გამოუმშვიდობებლად წავიდა. კარებამდე დათომ მიაცილა. როცა გამობრუნდა, დედამ შეაჩერა.

— უმადურო! ყველანი გეჯავრებით, მეც, თეონაც, პლატონიც... მირიანიც გეჯავრებოდა... იმ დღეს განა ვერ მივხვდი, რა მითხარი. მაშ, ვერ ვუერთგულე, არა?! ვინ ეუბნება ეგეთ სიტყვებს დედას?!

— პლატონი მაშინ დაისჯებოდა, გეგმით გაუთვალისწინებელი საამქრო რომ დაემთავრებინა. შემოსავალი პლატონს და კორინთელს უნდა გაენაწილებინა... მაგრამ მე ეს არ ვქენი... ამიტომ მივანებე სამუშაოს თავი... თუ სხვა რამ დანაშაული ჩაუდენია, ეგ უკვე მე არ შემეხება, დედა...

დათოს დილიდანვე უნდოდა საავადმყოფოში წასულიყო. ეშინოდა, დღესაც არ გაესწრო პროფესორს, თორემ ბუბას ნახვას ველარ მოახერხებდა. სადარბაზოდან გამოსვლისთანავე დაიჭირა ტაქსი. დათოს ამგვარად არასოდეს უღელვია. უცნაური წინათგრძნობა დაეუფლა — დღეს უსათუოდ ნახავდა ბუბას. ნეტავი როგორი იქნებოდა ბუბა? ისეთი, როგორიც ბოლო დროს ჰყავდა წარმოდგენილი, თუ სხვანაირი?

საავადმყოფოსთან იმდენად აღელდა, უკან გამობრუნება გადაწყვიტა. მაგრამ დათოს რაღაც უცნობი, ძლიერი გრძნობა ეწეოდა ბუბასაკენ.

პროფესორმა, როგორც იქნა, ნება დართო.

თეთრი ხალათი გადააცვეს... მეორე სართულზე აგზავნეს...

დათომ საკმაოდ გრძელი და ბნელი დერეფანი გაიარა. პალატის ნომერს ახედა, ამ პალატაშია ბუბა!

კარი ოდნავ ღია იყო.

— შეიხედა.

ნიკელის საწოლზე ვიღაც იწვა ზურგშექცევით. ქალის ჭა-

ღარა თმით მიხვდა, ავადმყოფი ბუბა არ უნდა ყოფილიყო.

ისევ დააპირა გამობრუნება.

მაგრამ კარზე დააკაკუნა და იკითხა:

— შეიძლება!

პალატიდან არავინ უპასუხა.

ხელმეორედ დააკაკუნა და მორიდებით შეაღო კარი.

ბუბამ თვალი გააxილა და შემოსულს შეxედა. ერთxანს უყურა და მერე ისევ დაxუჭა.

ალბათ ვერ იცნო.

ალბათ იფიქრა: სxვა ავადმყოფს ეძებს და შემთxვევით შემოვიდა.

დათომ თვალი მოავლო იქაურობას. პალატაში სამნი იწვნენ: ორი დედაბერი და ბუბა.

სასთუმალთან, ტუმბოზე გუშინდელი მიxაკები ეყარა.

სუსტი, გამxდარი მკლავები საბანზე ეწყო... დათოს მოეჩვენა, თითქოს სახე დაპატარავებოდა ბუბას, დალეოდა. კანს სიყვითლე თითქოს შიგნიდან შეჰპარვოდა.

— გამარჯობათ, ბუბა.

ბუბამ ისევ გააxილა თვალები.

— მე თქვენთან მოვედი.

ბუბას გამომეტყველება არ შეცვლია, ცივად მიჩერებოდა დათოს.

— ალბათ ვერ მიცანით.

— მე არ მინდა ვიცრუო ისე, როგორც თქვენმა ძმამ.

— იცით, რა... მე ახლაც არ მესმის, რატომ მოგატყუათ მირიანმა.

— მირიანმა კი არ მომატყუა... ტყუილი თქვა.

— მართალია, რა თქმა უნდა, ეგ ერთი და იგივე არ არის.

— ეს მიxაკები თქვენ გამომიგზავნეთ?

— დიახ!

— როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მივxვდი.

— პირველად რომ გნახეთ, წითელი ფერი ჩამრჩა xსოვნაში... მერმე ვიგრძენი, რომ ეს ფერი მიxაკის სურნელი იყო.

ბუბამ მიxაკებს გადახედა.

— ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა, ბუბა. ასე მეგონა, რაღაცას დაგეxმარებოდით, ტკივილს შეგიმსუბუქებდით.

— ჩემი ნახვა აღარ შეიძლება... დღესაც არ უნდა მოსულიყავით...

— მაპატიეთ... მშვიდობით.

დათო ბალატიდან გამოვიდა. ბალატაში სული ეხუთებოდა, იხრჩობოდა. ჩქარი ნაბიჯით გაიარა დერეფანი.

ხშირად იხედებოდა უკან, თითქოს ვიღაცა მოსდევდა და გაურბოდა.

სწრაფად ჩაირბინა კიბეები.

დარაჯს თეთრი ხალათი მიუგდო და პალტო გამოართვა. არც კი ჩაუცვამს, ისე გავარდა გარეთ. კარებთან დარაჯის ხმა გაიგონა:

— ვა, სულ ეგ იყო?!

ქუჩაშიც თითქმის გარბოდა.

მერმე შეჩერდა.

პალტო ჩაიცვა და საავადმყოფოს მოხედა.

„ვა, სულ ეგ იყო?! სულ ეგ იყო?! სულ ეგ იყო?!“

დათომ სცადა აღედგინა მის ფიქრებსა და წარმოდგენაში არსებული ბუბა, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ის ბუბა უკვე აღარ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ ლოგინში მწოლიარე ქალი, რომლისთვისაც სულ ერთი იყო, მივიდოდა მასთან თუ არ მივიდოდა დათო... სულ ერთი იყო, წუხდა თუ არ წუხდა დათო... სულ ერთი იყო, ანუგეშებდა თუ არ ანუგეშებდა დათო.

როგორც ჩანს, ორივე ბუბას ერთად არსებობა შეუძლებელია. ან ფიქრებში უნდა არსებობდეს, შენივე მოგონილი, ანდა...

„ესთერ, ესთერ, მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

დათომ თითქმის სირბილით აიარა აღმართი. ეზოში შევიდა. ახლა უკვე სულ ერთი იყო, საიდან შევიდოდა, ეზოდან თუ სადარბაზოდან.

— გამარჯობა, ზურიკო!

— გაგიმარჯოს, ძია დათო!

— ჩემთან ხომ არ ამოხვიდოდი ცოტა ხნით?

— არა, ძია დათო, მე ეზოში მირჩევნია ყოფნა.

— შენი ბეღურები აღარ მოგენატრა? ამას წინათ ვნახე, მობუზულები ისხდნენ თოვლში.

— სციოდათ?

— ალბათ, წამო, ვნახოთ.

ზურიკო შეყოყმანდა.

— წამო, ძველი მეგობრობა გავიხსენოთ. თანაც რაღაც უნდა გაჩუქო.

— რა?

— ჯერ ნახე, იქნებ არ მოგეწონოს.

დათომ ხელი ხელში ჩაჰკიდა და კიბისკენ წაიყვანა ბავშვი.

— ძია დათო, იცი რა, ორჯერ ორი არის ოთხი.

— სხვამ გასწავლა, თუ შენ თვითონ მიხვდი?

— ვის უნდა ესწავლებინა.

— ცოტაა, ვინც ეგ იცის?

— არავინაც არ იცის... მე მივხვდი.

— შენ თვითონ მიხვდი, რომ ორჯერ ორი ოთხია?

— კი, ძია დათო.

— შენხელა ბავშვი ვერ უნდა მიხვდეს.

— მე მივხვდი, ძია დათო.

დათომ ხელში აიტაცა ბავშვი და აკოცა. უკანასკნელი საფეხურები ასე აათავა, ზურიკო აყვანილი მიჰყავდა.

— ჩამომსვი, რა, ძია დათო, ისე მირჩევნია.

დათომ აივანზე ჩამოსვა ზურიკო. თვითონ კარი გაუღო.

— მობრძანდით, ბატონო.

შინ არავინ იყო.

— ზურიკო, ხვალიდან მე მივდივარ.

— სად?

— სადმე, მშენებლობაზე.

— დიდხანს დარჩები?

— დიდხანს.

— ჩვენც მივდივართ. დედა ამბობს, მალე წავალთო...

— ასეა, ზურიკო, ყველა მიდის, ყველას თავისი გზა აქვს. აბა, ახლა ვნახოთ, იქ არიან თუ არა შენი ბელურები.

ზურიკომ ფანჯარასთან მიირბინა და მაშინვე იმედგაცრუებული მობრუნდა:

— არ არიან, ძია დათო.

— სად წავლენ, მოფრინდებიან.

— ძია დათო, რა უნდა მაჩუქო!

— ოო... თუმცა ჯერ შენ მითხარი, რატომ არ მოდიოდი ჩემთან? განა ვერ შეგატყვე, ნაწყენი რომ იყავი.

— ბიჭები მაბრაზებდნენ.

— რას გეუბნებოდნენ?

— მე ვუთხარი, ძია დათო ჩემი მეგობარია-მეთქი.

— იმათ რა გითხრეს?

— მეგობარი კი არა, მამობილიაო.

დათო მოულოდნელად გაწითლდა და შუშაბანდში გავიდა, რომ ბავშვს სიწითლე არ შეემჩნია.

— ძია დათო, ერთხელ აქ ამოვდიოდი და მითხრეს: მამობილთან მიდიხარო!

— სულელები არიან. ზურიკო, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, ისინი კი სულელები არიან.

— რა არის, ძია დათო, მამობილი?

— ზურიკო, ეს ოქროს თევზი მოგწონს?..

— ზურიკო, ეს ოქროს თევზი მოგწონს? ეს ოქროს თევზი...

სისხლისფერი, გრძელფარფლიანი თევზი მშვიდად რომ დასრიალებდა მომწვანო წყალში, უცებ დაიძაბა.

შუშაბანდში შემოვიდა პატარა ბიჭი. ეს ბიჭი წინათაც უნახავს, რამდენჯერმე იყო აქ, კარგად ახსოვს მისი ცნობისმოყვარე, ხარბი თვალები, მაგრამ წინათ არასოდეს არ შეშინებია ამ ბიჭისა, ახლა კი დაინახა თუ არა, გული გადაუქანდა.

პატარა ბიჭი მივიდა, ისეთივე ცნობისმოყვარეობით უმზერდა ოქროს თევზს, როგორც მაშინ, ოღონდ ახლა თვალებში სხვა ცეცხლი უღვიოდა პატარა ბიჭს. საშიში ცეცხლი. თევზი დაბლა დაეშვა და თავი ნიჟარაში დამალა.

— ძალიან მომწონს! ძია დათო!.. ძალიან მომწონს.

— ეგ არის, რაც უნდა მეჩუქებინა... მეჩუქებინა.

ოქროს თევზი მიხედა, ამიერიდან მისი პატრონი იქნებოდა ეს პატარა ბიჭი. უსიამოვნო თრთოლვამ აიტანა. გულის გამაგრება მოიწადინა. ვერ შეძლო. მერმე მოეჩვენა, რომ დაღამდა. მერმე მოეჩვენა, რომ მარტო არ იყო, სხვა თევზებთან ერთად ცხოვრობდა. ოღონდ წყალში კი არა, არამედ ღამეულ სივრცეში. ისე, როგორც ოქროს ვარსკვლავები ცხოვრობენ.

— ძია დათო, წავიყვან, ძია დათო...

— წაიყვანე, ზურიკო... ზურიკო.

ზურიკომ ქილას ორივე ხელი მოხვია.

— მოიცადე, ზურიკო... მოიცადე... წყალი მოვაკლოთ... ისე ვერ მოერევი... ვერ მოერევი...

აქვარიუმიდან წყალი გადაღვარეს, სულ ცოტა დაატოვეს, სულ ცოტა. ოქროს თევზს ცურვა აღარ შეეძლო... აღარც ჰაერი ყოფნიდა. შეშინებული ცდილობდა ნიჟარის უკან დამალულიყო, მაგრამ ნიჟარა ქანაობდა, ფერდებში ხვდებოდა და აუტანელ ტკივილს აყენებდა.

პატარა ბიჭმა ისევ მოავლო ორივე ხელი აქვარიუმს და წაიღო. აქვარიუმში წყალი ტორტმანებდა, ოქროს თევზს მინის კედლებს ახეთქებდა.

„მე უნდა გავუძლო ყველაფერს, — ფიქრობდა ოქროს თევზი, — მე უნდა გავუძლო...“

მერმე ლურჯი ცა და თეთრი ღრუბლები დაინახა. სახლები, სახურავები, მერე კიბის რიკულებიან მოაჯირსაც მოჰკრა თვალი.

პატარა ბიჭი ხის კიბეზე ჩადიოდა.

ეზოში პატარა ბიჭი გაიქცა.

— ნუ მირბიხარ, ზურიკო! ნუ მირბიხარ!.. — გაიგონა ოქროს თევზმა დათოს ხმა.

პატარა ბიჭი მაინც გარბოდა.

უცებ ყვირილი შემოესმა... წყლის ტორტმანით იგრძნო, პატარა ბიჭმა რაღაცას წამოჰკრა ფეხი. ისიც იგრძნო, რომ აქვარიუმს შეუშვა ხელები.

მერმე იგრძნო, როგორ დაიმსხვრა მინა.

ოქროს თევზი ცივ ასფალტზე ფართხალებდა. ხტოდა, საშველს ეძებდა. სუნთქვა აღარ შეეძლო...

„ღირსეულად უნდა მოვკვდე, — გაიფიქრა ოქროს თევზმა. — მე უკვდავი ვარ, ჩემი სული ადამიანში იცოცხლებს...“

ოქროს თევზი აღარ სუნთქავდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლუკა . . . 3

თეთრი ცხენი . . . 168

ოქროს თევზი . . . 377

რედაქტორი ზ. კილაძე
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: ნ. ებრალიძე, ნ. კირთაძე
გამომშვები ა. სააკაძე

ს. ბ. № 6333

გადაეცა წარმოებას 18.03.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.11.88. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84 1/16 გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28,98. პირ. საღ.-გატ. 28,98. საღ.-აღრ.-საგამომც. თაბახი 26,89. ტირაჟი 20 000. შეკვ. 14 [illegible]13

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.

Сулакаури Арчил Самсонович

ТРИ РОМАНА

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили 5
1988